ლალი ავალიანი

„გიჟი დროის“ ქართული მწერლობა

XX საუკუნის დასაწყისი



გამომცემლობა „თეთრი გიორგი“
თბილისი
2005

სიტყვის თავისუფლებამ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობას დიდი გასაქანი მისცა, მაგრამ წარსულის ინერციის დაძლევა უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე მოველოდით. „სოცრეალისტურ“ დოგმატიზმს ნაწილობრივ მეორე უკიდურესობა, რადიკალიზმი და ნიჰილიზმი ჩაენაცვლა, ფასეულობათა გადაფასების პროცესი კი დღემდე გრძელდება.

XX, აწ უკვე გარდასული საუკუნის ერთიან ლიტერატურულ პროცესს ბალავარი საუკუნის დასაწყისში ჩაეყარა. ავტორი შეეცადა ამ უმნიშვნელოვანესი პერიოდის, „ვიჟი დროის“ (აკაკი) ქართული მწერლობის ახლებურად გააზრებას, ნაკლებად ცნობილი საარქივო მასალის, ტაბუდადებული თემების შესწავლასა და კომენტირებას, 10-20-იანი წლების ლიტერატურულ დაჯგუფებათა როლის განსაზღვრას.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისა და სტუდენტობისათვის, აგრეთვე ლიტერატურის მოყვარულთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი მანანა კვაჭანტირაძე
მხატვარი ნინო ჩიტაიშვილი

ISBN 99940-0-409-3

მარადი დაბრუნება
ანუ
ქართული კლასიკური პოეზიის გაკვეთილები

„ოდეს კაცსა დაეჭირვოს“ – მაშინ უნდა სულის საგზალი. სულის კრიზისი – დღევანდელი მსოფლიოს გლობალური სენი – ჩვენში იმითაც მძაფრდება, რომ XXI საუკუნის დამდეგს, ისევე როგორც გასული საუკუნის დასაწყისში, ჩვენს ეროვნულ თვითმყოფობას, ენასა და კულტურას კვლავ საფრთხე ემუქრება, თუმცა სულ სხვა ვითარებაა და თავსატეხიც სხვაგვარი გვაქვს.

კვლავ ისეთი დროა, როცა „სასოწარკვეთილებამ გამოიხმო ყველა მხსნელი და ფუძემდებელი, ყველა მფარველი და მარტვილი, ყველა გმირი და მამულის მამა, წმინდანებად შერაცხული ქალები, ნაციონალური პოეტები“ (პოლ ვალერი, „სულის კრიზისი“, ბაჩანა ბრეგვაძის თარგმანი).

ვის მივმართოთ ისეთ დროს, თუ არა კლასიკოსებს, რომელთა ნააზრევს ყავლი არასოდეს გაუვა, დღეს კი, მათი მხატვრული სამყარო ჩვენთვის უფრო მახლობელი და აქტუალურია, ვიდრე ზოგი ულტრათანამედროვე „რეაქტიული“ თუ „რადიაქტიული“ პოეტის გონებამახვილური თამაში.

1917 წელს გერონტი ქიქოძე ხელოვნებას, ეროვნული აღორძინებისა და თვით დემოკრატიის დამკვიდრებისთვისაც კი, დიდ მისიას აკისრებდა: „ეროვნული განახლება ხელოვნების შემწეობითაც უნდა მოხდეს. დემოკრატია უნდა გაუმჯობესდეს რჩეული სულის. შეხებით“.

გაუმჯობესება არც ჩვენს „თინეიჯერულ“ დემოკრატიას აწყენს. ამიტომაც, ერთი საუკუნით უკან დავიხიოთ და გულისყური ისევ და ისევ წარსულის დიდ პოეტებს მივაპყროთ.

* * *

საუკუნის მიწურულიც და საუკუნის დამდეგიც განათლებული კაცობრიობის ისტორიასა და საზოგადოებრივ აზროვნებაში ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენებსა და განწყობილებებს იწვევს: შფოთსა და ალიაქოთს, უსასოობას და განწირულობას, უკეთესი მერმისის რწმენას და იმედს, სოციალურ-პოლიტიკურ დამანგრეველ კატაკლიზმებსაც და პროგრესულ იდეათა ზეობასაც.

ეს პროცესი განსაკუთრებით გამძაფრდა XX საუკუნის მომლოდინე საქართველოში, სადაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების ზეობას ერთგვარი ბზარიც კი გაუჩინა სოციალურ საკითხთა წინ წამოწევამ და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის რადიკალიზმმა.

საუკუნის დასაწყისიც და საუკუნის დამლევიც ზოგადად ხელოვანის, განსაკუთრებით კი მწერლის ცნობიერებაში, შეგნებულად თუ ქვეშეცნეულად, ბადებს დიდ მოლოდინს: სიახლის ძიების ესთეტიკურ წყურვილს, ფასეულობათა გადაფასების მძაფრ მოთხოვნილებას, ძველი კერპების დაშხობის ჟინსა და თვითდამკვიდრების ვნებას. თუკი გარემოებაც ხელს უწყობს, ასეთ დროს შემოქმედის პოტენციალი მაქსიმალურად მჟღავნდება.

თუმცა, ამ მეტ-ნაკლებად ზოგად „წესში", ზოგჯერ შესაძლოა კორექტივი შეიტანოს რაიმე მოულოდნელმა ვითარებამ — ისტორიულმა გარემოებამ ან ისტორიულმა (ამ სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით) პიროვნებებმაც.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ XIX-XX საუკუნეთა მიჯნის საქართველოში, „პოლიტიკური ნერვების საბედისწერო დაჭიმვის" (ტიციან ტაბიძე) კვალობაზე, პოეტური ნოვაციებისადმი სწრაფვა ნაკლებად შეინიშნებოდა.

თუკი XIX საუკუნის ქართული პოეზიის მძლავრმა ინერციამ XX საუკუნის 10-იანი წლების დასაწყისამდე მოაღწია, ეს მხოლოდ და მხოლოდ სამი გოლიათის — ილიას, აკაკისა და ვაჟას შეურყეველი, როგორც თვით ილია იტყოდა, „სარწმუნო და ხელშეუხებელი ავტორიტეტის" მეოხებით მოხდა.

საცნაურია, რომ ამ დიდ სამეულში ილია მოწამებრივი აღსასრულითაც გამოირჩა და, არა მხოლოდ სამწერლო, არამედ საზოგადოებრივი მნიშვნელობითაც — იგი ხომ საქართველოს სულიერი საჭეთმპყრობელიც იყო და, როგორც „ცისფერყანწელი" პოეტები იტყოდნენ — „ნახევარსაუკუნოვანი დიქტატორიც."

გალაკტიონის პოეტურმა გენიამ კი ლექსის ორიოდე ტაეპით თითქოს მეცნიერთა ტომეულები გადაწონა: „წიწამურში რომ მოჰკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა დიდი“...

XX საუკუნის პირველი ათწლეულის ქართული პოეზიის მდგომარეობას, შესაძლოა, „უძრაობის“ პერიოდი ანდა „უდროობის დროც“ ვუწოდოთ. მას ხშირად ვადარებთ ქარიშხლის წინ გამეფებულ სიჩუმეს. მართლაცდა „საყდრული მყუდროება“ სუფევდა, რადგან ილიასა და აკაკის გავლენისაგან თავის დაღწევა არ იყო იოლი, მათი „დევის ნაფეხურები“ კი ვერავინ მოირგო.

XXI საუკუნის თვალსაწიერიდან გასული საუკუნის დასაწყისის პოეზია, რომლის ათვლის წერტილი, თუკი მკაცრ ქრონოლოგიას დავიცავთ, 1901 წელია, – საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყურება (ნოვაციათა თვალსაზრისით).

შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნის სიტყვაკაზმულ მწერლობაში პოეზია გაბატონებული დარგი გახლდათ. საუკუნეთა მიჯნის ქართული პროზის თვალნათლივ აღმავლობას (დავით კლდიაშვილი, ეგნატე ნინოშვილი, შიო არაგვისპირელი, ჭოლა ლომთათიძე, ვასილ ბარნოვი) პოეზიის ერთგვარი კრიზისი დაემთხვა, რაც განსაკუთრებული სიმძაფრით XX საუკუნის დასაწყისში გამოვლინდა.

1900 წლის პირველ იანვარს გამოქვეყნდა ილიას „მეცხრამეტე საუკუნე“, პავლე ინგოროყვას თქმით, მწერლის უკანასკნელი საპროგრამო წერილი, ერთგვარი ანდერძი მომავალი თაობებისადმი. მისი ლაიტმოტივი ერის თავისუფლება და „შრომის ახსნის“ კაცთმოყვარული მოძღვრებაა, ახალ საუკუნეში – „მეცნიერების, ადამიანის გონების წინსვლის, ზნეობის აღმატების“ რწმენაა.

ასე მიეგება ილია XX საუკუნეს, იმდენად ჯანგატეხილი (1900 და 1901 წლებში იგი ხანგრძლივად მკურნალობდა ევროპაში), რომ 1902 წლიდან „ივერიის“ რედაქტორობა ალექსანდრე სარაჯიშვილს გადაულოცა.

ჭარმაგ ილიას ეყო ძალა და გამბედაობა 1905 წელს საქართველოს პოლიტიკური ავტონომია მოეთხოვა, დაეცვა გლეხები შავრაზმელთაგან, გაელაშქრა დასავლეთ საქართველოში დამსჯელი ექსპედიციის წინააღმდეგ; პეტერბურგში, ვითარცა სახელმწიფოს საბჭოს წევრს, სრულიად საქართველოსა და ქართველთა ინტერესები დაეცვა; იქვე, 1907 წელს გამოსულიყო სიკვდილით დასჯის კანონის აღსაკვეთად.

ილია – მოღვაწე, მოაზროვნე, პუბლიცისტი კვლავ იბრძვის, ილია – პოეტი – კარგა ხანია დუმს.

ვალერიან გუნიას კალამბური ფრანგი სტუმრის შეკითხვაზე, ჰყავს თუ არა დიდი კაცი საქართველოსო – „Ilia un Ilia"– საუბედუროდ, ყველასათვის არ იყო უეჭველი. ქართველთაგანვე სასიკეთილოდ განწირული ილია, აკაკის თქმით – „მამულისთვის დარჩა ლამპრად".

უზომოდ პოპულარულ და პოეზიის მეფედ სახელდებულ აკაკის, თამაზ ჭილაძის თქმით, სხვა არაფერი ჰქონია, გარდა გვირგვინისა, რომელშიც ეკალი მეტი ერია, ვიდრე მარგალიტი. მისი პოეზია XX საუკუნეშიც ხვავრიელი იყო; მას არც ჭაბუკური გზნება აკლდა და არც „ღვთიური სიშმაგე" (პლატონი), თუმცა პოეტს უკვე პატრიარქად ალიქვამდნენ: „ხალხის წარმოდგენაში აკაკი ცხოვრობდა, როგორც ახოვანი, მუდამ თეთრი თმით შემოსილი მოხუცი და წინასწარმეტყველის იერით დამშვენებული მქადაგებელი" (სიმონ ჩიქოვანი).

XIX საუკუნის დასასრულის აკაკის პოეზიას (როცა შეიქმნა – „განთიადი", „სულიკო", „სატრფოს", „ჭალარა", „სანამ ვიყავ ახალგაზრდა"...) ტოლს არ უდებდა XX საუკუნეში შეთხზული ბევრი ლექსი, რომელთაც უბერებელი ნიჭის ტეიფარი აჩნდა; თუმცა, საბჭოურ ისტორიოგრაფიაში, როგორც მოსალოდნელი იყო, აკაკის პოეზიას ძირითადად 1905 წლის რევოლუციას უკავშირებდნენ. მართალია აკაკიმ „ინტერნაციონალიც" თარგმნა და რამდენიმე დაუვიწყარი ლექსიც უძღვნა რევოლუციას („გაზაფხული", „სიმღერა", „თქვენი ჭირიმე", „ძირს", 1905 წ.), – მათგან მხოლოდ „ძირს" არის „პოლიტიკური პროკლამაცია" (ლევან ასათიანი), რეფრენად რომ გასდევს აზვირთებულ დემონსტრანტთა შეძახილი. XX საუკუნეშიც, აკაკი, უწინარეს ყოვლისა, „მშობელი ქვეყნის მოზარედ" რჩება და არა სოციალური რევოლუციის ტრიბუნად.

არ არის შემთხვევითი, რომ ამ დროისთვის მას ძმათა შორის შუღლი და უაზრო სისხლისღვრა უფრო უკლავს გულს, ვიდრე რევოლუციის დამარცხება („გიჟი დრო", 1908წ.):

მზეო, ამოდი, ამოდი,
ნუ ეფარები გორასა!..
ქართველს ქართველი მოუკლავს
და უპატრონოდ გორავსა.
...ვისაც კი ნახავ ამ დროში
ცხოვრების უმადურია,
და ჯავრის ამოსაყრელად
სუყველას სისხლი სწყურია!

იქ, სადაც „კუჭია მხოლოდ გამეფებული“, ძმობა, ერთობა და სიყვარული მხოლოდ ლიტონ სიტყვად ქცეულა („ძმობა“, „ერთობა“ და „სიყვარული“, 1908წ.):

... აი, ხომ ხედავთ, ჩემზე რომ მოდის?
საბლიკაცია და მეზობელი...
უნდა ჩემს სახლ-კარს დაეპატრონოს
და ზედ დამაკლას ჩემი მშობელი.
ნუთუ სკვითი კი არ მეყოფოდა,
ახლა რომ მოდის კიდევ სხვა მეხი?
ჩემს მიწა-წყალზე ჰსურს დაესახლოს
და მოიმაგროს სამკვიდროდ ფეხი!

მარქსიზმისადმი ერთგვარი ლოიალური დამოკიდებულების გამოხატვის („საანბანო ჭეშმარიტება“, 1903წ.) შემდგომ, XIX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთმა მესვეურმა აკაკიმ დაურიდებლად შეუტია XX საუკუნის „ისტებს“ და, უპირველეს ამოცანად ეროვნული თავისუფლება დასახა („გამოტეხილი სიტყვა“, 1908წ.):

ყველაზე პირველ მე ქართველი ვარ,
მერე, თუ გინდა, სხვაგვარი ისტი.
სხვისი თვალითაც არ ვიყურები,
არ გადამკვრია ჩემსაზე ბისტი.
მთელ საუკუნის ბატონ-მონებამ
დაგვიბორკილა ხელი და ფეხი
და რჯულთან ერთად ეროვნებასაც
საშვილიშვილოდ თავს დასცა მეხი.
არა, ჩვენ უნდა ჩვენი ბორკილი
შეერთებულად ჯერ ავიყაროთ
და მერე უნდა „ძმობა-ერთობით“
და თანსწორობით ჩვენც გავიხაროთ.

ილია და აკაკი ბოლომდე თანამოაზრენი და თანამოდარდენი დარჩნენ. საქართველოს ავტონომიის ილიასეული თამამი მოთხოვნის მხატვრულ განსახოვნებად წარმოჩნდება აკაკის ბევრი პოეტური სტროფი; თუნდაც ასეთი („საქართველოს დღევანდელი სახე“, 1902წ.):

ეროვნებავ! ღვთის ნიჭი ხარ,
არც საპოვნი, ვერც სასყიდი

და მხოლოდ თვითარსებობა
არის შენი გზა და ხიდი!

აკაკის პოეზიაში ყოველთვის გვხვდებოდა და კვლავაც გვხვდება ე.წ. თვითგამეორებანი, — თემატიკის თუ პოეტისათვის ორგანულ მხატვრულ სახეთა თვალსაზრისით. კვლავაც — მწარე და „ნათელ-ტკბილი", არცთუ იშვიათად იუმორით შეფერილი ფიქრები პოეტსა და პოეზიაზე ანუ „ციურ სიმართლეზე" („შედარება", 1901წ., „მგოსანი", „ბულბული", „ფუტკარი", „ჩემს კალამს", 1902წ., „მოლექსე", 1908წ.):

კალამო, სანაღვლე-თაფლო,
ჩემო მახვილო და ფარო!
სასაიდუმლო გულისა
ხან სთქვი, ხან უნდა დაფარო...

სამშობლოს დუხჭირი აწმყო, მუდამ რომ გულს უკლავდა პოეტს, სიჭარმაგეში შესული აკაკისათვის მუდმივი ზრუნვისა და ურვის წყაროა; თუმცა ურვას ხშირად იმედი ენაცვლება, ხოლო უსასოობას — მომავლის რწმენა („საქართველოს დღევანდელი სახე", 1902წ., „უიდეალო", 1904წ., „გაზაფხული", 1905წ., „დამარხვა", 1907წ., „ოცნება", 1908წ და სხვ.)

აკაკის გულახდილი და იმავდროულად, ირონიული ვალალება და ვაი-ვიში მოხუცებულობის გამო, — არისტოკრატული სისადავით, სინატიფით, ამასთან, ახალგაზრდული განცდით არის გადმოცემული; ყოველივე ეს გადაჯაჭვულია სოფლის სამდურავთან, სამშობლოს დუხჭირ აწმყოსთან, პოეზიასთან და სიყვარულთან („სიბერე", 1901წ., „თქვენი ჭირიმე" 1905წ., „მოთქმა", 1905წ., „მოხუცის ალსარება", 1906წ., „მოთქმა", 1906წ., „ექსპრომტი", 1906წ., „ვინ ვარ?", 1908წ., „ზარი", 1910წ., „მოხუცის სიყვარული", 1913".)

თუ ჩემს სამშობლოს გამოაღვიძებს
ჩემი სიკვდილი, აჰა, მეც მზად ვარ!
მოდი, ჯალათო, შენი მახვილი
შეუბრალებლად ზედ გულზე დამჰკარ...

ამ ლექსს „მომაკვდავის ფიქრები" ჰქვია და თამაზ ჭილაძის თქმით, იშვიათი ჭაბუკური ენერგიითაა აღსავსე (დაწერილია 1911წ.); „მოხუცის სიყვარულში" (1913წ.) კვლავ ჩნდება სატრფო-სამშობლო:

შორის ოხვრით, შორის ბნედით

მიყვარს! მიყვარს სულით! გულით!
სამარეში თანჩამყოლის
აღმამფრენელ სიყვარულით!
სევდა გულში ჩაკირული,
გზას დაუთმობს სიხარულსა
და ვადიდებ მაშინ, ვით ღმერთს,
ამ უცნაურ სიყვარულსა!

გრიგოლ ორბელიანის მსგავსად, მოხუც აკაკისაც გულს უკლავს სამშობლოს „დაქცევა და დამხობა“ („ჩაფიქრება“, 1907-8წწ.):

მეც მივდივარ, შენც მიდიხარ,
გეთხოვები, საქართველო! –
მეც ვსჭკნები და შენცა სჭკნები,
როგორც ზამთრის პირად მდელო.

სატრფო-სამშობლო და სატრფო-ქალი კვლავ ძნელი გამოსარჩევია („გულის პასუხი“, 1902წ., „გამოთხოვება“, 1903წ., „დიდება მაღალთა შინა“, 1906წ., „სიყვარული“, 1910წ., *** „სატრფოვ ნუ გეშინია“, 1911წ.); ეს ლექსები ნათელი სევდითაა შეფერილი, თუმცა პოეტს მაინც სწამს საქართველოს უკვდავება:

სატრფოვ, ნუ გეშინია!
თუმც გაქვს გრძნობა მიხდილი,
მაგრამ მაინც შორს არის
კიდევ შენგან სიკვდილი.
სატრფოვ გულს ნუ გაიტეხ!..
არა ხარ სასიკვდილო
და მოგელის ისევე
ბედი საშვილიშვილო!

ამ თვალსაზრისს ამყარებს ეშზარ კვიტაიშვილის მოსაზრება ალეგორიული „მოლაღურის ბუდის“ (1909წ.) თაობაზე, სადაც მტერთაგან მიუწვდომელი მოლაღურის ბუდე – საქართველოს სიმბოლოა.

უღრმესი ვაება და, იმავდროულად, პატრიოტული სულისკვეთება მსჭვალავს აკაკის ლექსს „ილიას მოკვლის გამო“ (1907წ.), მის თანამედროვე ქართველთა ზნეობის დაცემაა მხილებული „დამარხვაშიც“ (1907წ.):

სიცოცხლეში რა ვიცით?

მტრობა, გმობა, ყვედრება!
მაგრამ დაშარხაში კი
ვერავინ შეგვედრება...
დიახ! ქართველ მოღვაწეს
ყველას თვალში ვამცირებთ:
სიცოცხლეში ვატირებთ!
რომ მოკვდება — ვიტირებთ!

მაგრამ ილიას საზარელმა მკვლელობამ გამოაფხიზლა სრულიად საქართველო, გაუმყარა მას ეროვნული თვითშეგნება. თითქოს ამის დასტური იყო ისიც, რომ სიცოცხლეშივე ჭეშმარიტ სახალხო პოეტად შერაცხულ აკაკის 1908 წელს მადლიერმა ქართველობამ 50 წლის სამწერლო მოღვაწეობის გრანდიოზული იუბილე გადაუხადა (თბილისში, ქუთაისში, ფოთში, ბაქოში...), რასაც, 1912 წელს პოეტის რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობასთან ერთად, დიდი ეროვნული მანიფესტაციის ელფერი ჰქონდა. „ეს დღესასწაული მით უფრო სანუკვარი იყო, რომ წიწამურის ტრაგედიით ღრმად დაკოდილი ეროვნული სხეული მცირეოდნად მაინც მოშუშებულიყო“ (აკაკი შანიძე).

აკაკისთვისაც ნამდვილი სალბუნი იყო მისი იუბილეს საყოველთაო რეზონანსი (იხ. ლექსი „იუბილე“, 1908წ.):

ეს ჩემს თავზე რა მოსულა? სადა ვარ?
სიზმარია, თუ სასიზმრო ზღაპარი?
ღარიბ-ღატაკს და ბნელში მყოფს აქამდე
ვინ ამინთო ამ ბოლო დროს ლამპარი?

მოჩვენებითი სისადავის მიღმა, „ღვთაებრივი უბრალოებით“ აღბეჭდილი „აკაკის ბუნება უფრო შეუცნობელი იყო, ვიდრე შეცნობილი, უფრო სტიქიური, ვიდრე გამიზნული“ (გროგოლ რობაქიძე). ის ელიტარულიც იყო და, იმავდროულად, ყველა ფენისათვის სასურველიც და მისაწვდომიც. ამიტომაც იყო, რომ სხვიტორში 1915 წლის იანვარში გარდაცვლილი აკაკის სამგლოვიარო მატარებელს მთელი იმერ-ამერი გამოეთხოვა. თბილისში აკაკის დაკრძალვის ცერემონიალის მსგავსი რამ დედაქალაქს ილიას დაკრძალვის მერე არ ენახა.

იმ ასი ათასზე მეტ ადამიანს შორის, უკანასკნელი პატივი რომ მიაგო აწ მთაწმინდის ბინადარს, არ ყოფილა „მარგალიტების მთესველი“ ვაჟა-ფშაველა. ის უკვე ხშირად ავადობდა და რამდენიმე თვეში მიიცვალა

კიდეც. არადა, XX საუკუნეს ვაჟა-ფშაველა მხოლოდ და მხოლოდ ორმოციოდე წლისა შეესწრო, „ულევი ნიჭის პოეტმა“ (გრიგოლ კიკნაძე) ახალი საუკუნის დადგომისთანავე უცნაური, არაჩვეულებრივი თემატიკის პოემა-შედევრით — „გველის-მჭამელით“ (1901წ.) დაადასტურა თავისი პოეტური სიჭაბუკე და ქართულ კრიტიკას ბევრი მოულოდნელი თავსატეხიც გაუჩინა. „გველის-მჭამელი“, ისევე როგორც ვაჟა-ფშაველას XIX საუკუნეში შექმნილი პოემები — „ალუდა ქეთელაური“, „ბახტრიონი“, „გოგოთურ და აფშინა“ და სხვ. თავის დროზე „ანაქრონიზმად“, უარეს შემთხვევაში — „ჩამორჩენილობად“ იქნენ აღქმულნი; გრიგოლ კიკნაძე გამოწვლილვით მიმოიხილავს მცდარ კი არა, კურიოზულ მოსაზრებებსაც კი, „გველის-მჭამელის“ მიმართებით („ვაჟა-ფშაველას შემოქმედება“) და უმაღლეს შეფასებას აძლევს მას: „ვაჟა-ფშაველამ თავისი ნიჭის სადიდებლად დაწერა კიდევ ერთი პოემა — „გველის მჭამელი“...

დღევანდელი დღის სამზერიდან, დიდია ცდუნება, ვაჟას ბევრი თხზულება და, უწინარეს ყოვლისა, ზემოხსენებული პოემა — ე.წ. „მაგიური რეალიზმის“ წინამორბედად დავსახოთ.

1902 წელს დაიბეჭდა ილიასადმი მიძღვნილი პოემა „ძაღლიკა ხიმიკაური“, 1903 წელს — „სული ობლისა“, 1908-9 წელს — „მთათა ერთობა“; 1913 წელს „მანდილი“ დაიწერა (გამოქვეყნდა 1924 წელს)... თითქოს სიმბოლურია, რომ ვაჟას ქრონოლოგიურად ბოლო პოემა „კაცი მართალი“ (1915წ.) სიკეთის, სამშობლოს, საზოგადოების მსახურების სულისკვეთებითაა განმსჭვალული.

გრიგოლ კიკნაძემ მართებლად შენიშნა, რომ „გველის-მჭამელში“ ვაჟამ გარემოში გარკვევის, მოყვასის შეწევნისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ მოქმედების საშუალებად, გარდა გონებისა, ინსტინქტიცა და ინტუიციაც დასახა; მან გაბედულად ჩაგვახედა ადამიანის შინასამყაროში, თუმცა სულის სიღრმის ხილვამ ვერც ვაჟა გაანაპირა საზოგადოებიდან და ამის უფლება არც თავის გმირს მისცა.

მინდია არ არის „თავისა სასიამოვნოდ წუთისოფლისა მცნობარე“; მისი უმთავრესი სატკივარი ასეა გაცხადებული:

რითი-ღა ვარგო ქვეყანას,
დავცარიელდი ცოდნითა...

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი თავისებურებანი და მხატვრული მანერა ბევრისათვის იმთავითვე გაუგებარი და ჯეროვნად დაუფასებელიც იყო (საბჭოთა პერიოდში ამ თვალსაზრისის „რეანიმაცია“ სცადეს 50-იან

წლებში): პოეტის ეროვნულება თავისი კუთხისადმი იმითაც იყო ღირსსაცნობი, რომ იმჟამინდელი საზოგადოებრივი ინტერესების სფეროში მოექცა მანამდე უცნობი, დიადი სამყარო. ამასთან, ვაჟა-ფშაველა სიცოცხლის ბოლომდე ქართველი ხალხის საერთო-ეროვნული ინტერესების დამცველი გახლდათ. „გაცნობა თავისთავისა პირველი საქმე მგონია“ — „მთათა ერთობაში“ გამოთქმული ეს მოსაზრება ვაჟას კრედოა.

„მთათა ერთობა“ მრავალპლანიანი ნაწარმოებია; მასში, სხვათა შორის, დაპირისპირებულია ადამიანური ცხოვრების უბადრუკობა და მთათა მარადიული „რაინდული კოდექსი“, რომელიც დრო-ჟამს არ ექვემდებარება. გასათვალისწინებელია, რომ იმ დროისათვის გამოიკვეთა არშემდგარი, ანარქიასთან წილნაყარი „ერთობის“ შუქ-ჩრდილებიც; ამიტომაც ამბობენ კავკასიონის ბუმბერაზები — „ღმერთმა გვაშოროს, მოვიქცნეთ, ჩვენც ადამიანთ გვარადა“ (იალბუზი), „ერთობის აურზაური არ მიმაჩნია ბეწვადა“ (სპეროზა). კაცთა მოდგმას „სწორი“ და „უსწორო“ ერთმანეთისაგან ვერ გაურჩევია:

ვნებათა ღელვაც დიდია,
ხომ უწყით, კაცთა შორისა —
ეს არის ამრევ-დამრევი
უსწოროსი და სწორისა...

ამიტომაც არაა მისაღები დაუსაბუთებელი და გაუაზრებელი „თანასწორობა“:

ყველა ერთ ხმაზე ვამღეროთ,
დავკარგოთ დიდი ლაზათი?

თვითმყოფობა და „დიდი ლაზათი“, განუმეორებელი საკუთარი ხმა გამოარჩევს ვაჟა-ფშაველა — ლირიკოსს, რომლის 1901-1015 წლებით დათარიღებული ლექსები ერთ მოზრდილ ტომს შეადგენს. ასეთი შემოქმედებითი ნაყოფიერება არ არის მოულოდნელი: დიდი პოეტი ხომ 54 წლისა გარდაიცვალა!

როცა ზარბაზანი ქუხს, მუზა დუმს — ეს ცნობილი გამონათქვამი უმალვე ქარწყლდება, თუ გავიხსენებთ, როგორი შემოქმედებითი ნაყოფიერებით გამოირჩნენ აკაკიც და ვაჟაც რევოლუციისა და მისი შემდგომი რეპრესიებისა და ე.წ. რეაქციის პერიოდში. მათ, ფაქტობრივად, ხელი არ გაუშვიათ კალმისათვის უმძიმეს ავადობამდე. რეაქციის ხანაში ჩვენი მწერლობის განსაკუთრებულ უსასოობასა და უიმედობაზე საუბარიც

გაზვიადებულია უთუოდ, რადგან პესიმისტურ სულისკვეთებას ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასასრულს გაუღო ხარკი ბევრმა მწერალმა, ყველაზე მძაფრად კი — შიო არაგვისპირელმა და მისმა მიმდევრებმა.

რატომ არის, რომ XX საუკუნეშიც ეგზომ პროდუქტიული აკაკისა და ვაჟას მთელს შემოქმედებას XIX საუკუნეს „მიაკუთვნებენ"? ალბათ იმიტომ, რომ ახალ საუკუნეში მათი თხზულებების თვისებრივი ცვლილება არ შეინიშნება.

საბჭოთა პერიოდში შექმნილი ლიტერატურის ისტორიები, XX საუკუნეში აკაკისა და ვაჟას შემოქმედების „ქვაკუთხედად", რატომღაც, 1905 წლის რევოლუციასთან მათ მიმართებას სახავენ. ამ გაუმართლებელი კონიუნქტურის „იდეური" ქვეტექსტი ნათელია; თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ XX საუკუნის დამდეგს რევოლუციურ იდეებს მეტ-ნაკლებად მთელი ქართული ინტელიგენცია და მწერლობაც თანაუგრძნობდა, თუმცა განსხვავებული მოსაზრებებით: 1905 წელმა ვის რუსთა უღლისგან გათავისუფლების იმედი გაუღვივა, ვის — ეროვნულ-სოციალური ჩაგვრისაგან თავდახსნის მიზანი დაუსახა, მავანმა — მარქსიზმის სამსახურს და ინტერნაციონალიზმს სამშობლოს ინტერესები მტლად დაუდო... ბევრი მათგანი, მალევე ხიბლგაფანტული შეიქმნა, რადგან „ერთობის" სახელით ბევრი ულმობელი სისხლიანი აქტი განხორციელდა.

ერთი მემუარისტის ცნობით, 1905 წელს ფშავ-ხევსურეთის შეიარაღებული რაზმიც კი ჩამოაყალიბა ვაჟამ და, ექსპრომტად, ქართული „მარსელიეზაც" შექმნა, თუმცა მისი „მონაწილეობა" რევოლუციაში, როგორც ჩანს, ამით შემოიფარგლა; მით უმეტეს, რომ სხვა მოგონებათა ავტორები ამ ფაქტს არ ადასტურებენ. საეჭვოა ისიც, განთქმული „სიმღერა" (*** „კიდევაც ვნახავ გაზაფხულს") მაინცდამაინც რევოლუციური მოძრაობით რომ ყოფილიყო შთაგონებული (ვაჟა ამგვარი სულისკვეთების მრავალი „სიმღერის" ავტორია).

ვაჟა-ფშაველას ამ პერიოდის ლექსებზეც ვრცელდება გურამ ასათიანის გამონათქვამი: „მან უაღრესად სრულყოფილი ფორმით გამოხატა „მიწისა" და „ცის" — რეალისტურისა და რომანტიკულის — ურთიერთგამსჭვალავი მთლიანობა" — („ზმანება", 1901წ., „მთების სიზმარი", 1907წ., „დამსეტყვე ცაო", 1903წ., „მეშღერება და ვიმღერი", 1903წ., „მზედართა ძველი სიმღერა", 1904წ., „მათრია წუთისოფელმა", 1905წ., „ხევსური ბერდია", 1906წ., „ილია ჭავჭავაძის სახსოვრად", 1908წ., „კაი ყმა", 1909წ. და სხვ.).

ვაჟას სიდიადე იმაშიც წარმოჩნდა, რომ მან არ უღალატა საკუთარ მრწამსს და ახალ საუკუნეშიც, მიუხედავად ათასგვარი ცდუნებისა, საკუთარი მსოფლაღქმისა და მხატვრული მანერის ერთგული დარჩა:

დამსეტყვე, ცაო, დამსეტყვე,
აქა ვარ ჩემის თავისა,
გულითა გაუტეხელი,
მოულალავი მკლავითა.
რაც უნდა ჭირი მომკერძო
ბილწთ არ შავეკვრი ზავითა;
მცნებას ვერ შემაცვლევინებ
მოზღვავებულის ავითა!..

ან კიდევ:

„შემღერება და ვიმღერი“, (1903წ.):

შემღერება და ვიმღერი,
გულზე მჭირს სამი იარა:
წარსულზე ფიქრი მაწუხებს,
აწმყოში არა ყრია-რა
და მომავალის ფიქრებიც
არავინ გამიმზიანა!

„ვაჟას სევდა გულხელდაკრეფილი სევდა არ არის, სევდა მიშვებული, მთელი ადამიანის დამტევი“ (გრიგოლ კიკნაძე). ვაჟა-ფშაველა სტოიკურად უმკლავდებოდა გაუსაძლისს, დუხჭირ ყოფას, ბედის უკუღმართობას და ახლობელთა დაღუპვას. ქართული პოეზიის პატარა შედევრი „იას უთხარით ტურფასა“ (1903წ.) მისი პირველი ცოლის ხსოვნისადმია მიძღვნილი:

იას უთხარით ტურფასა,
მოვა და შეგჭამს ჭიაო,
მაგრე მოხდენით, ლამაზო,
თავი რომ აგიღიაო!
შენ თუ გგონია სიცოცხლე
სამოთხის კარი ღიაო;
ნუ მოხვალ, მიწას ეფარე,
მოსვლაში არა ყრიაო.
ნუ ნახავს მზესა, ინანებს,
განა სულ მუდამ მზეაო!
მიწავ, შენ გებარებოდეს

ეს ჩემი ტურფა იაო,
შენ უპატრონე, ემშობლე,
როგორაც შენი ზნეაო.

ჭირთათმენა ვაჟკაცის წესია:

„სიცოცხლემ შხამი მასმია, მე კახურ ღვინოდ შევირგე“... მართლაც და, ვაჟას სევდას არაფერი აქვს საერთო ყოფით თუ პირადულ წუწუნსა და ვაებასთან.

ყველასთვის ცნობილია ვაჟას უღრმესი თაყვანისცემა ილიასადმი. ამ ორ ბუმბერაზს უკავშირდება ერთი ლეგენდა: გრიგოლ ყიფშიძის გადმოცემით, როცა ილიას წაუკითხავს ვაჟას პოემა „მოხუცის ნათქვამი“, — განუცხადებია — დღეიდან მე თავისუფალი ვარ, რადგან უნიჭიერესი მგოსანი დაგვებადაო. შიო მღვიმელი შემდეგში დაწერს, — „დღიდან ვაჟას პოემის გამოქვეყნებისა, ილიას აღარაფერი დაუწერიაო“, თუმცა დასძენს — დიდი ხვეწნა-მუდარით, „კითხვა-პასუხი“ და „ბაზალეთის ტბა“ მაინც გამოაქვეყნებინესო...

ვაჟა, ილიას მარადიული თანამოაზრე, მისი ხსოვნისადმი მიძღვნილ ლექსს ასე ამთავრებდა:

გაღმა გასვლისა მსურველთა
უკუღმა მიგვყავს ბორანი,
გაგვიბატონდა, მგოსანო,
სირეგვნე შეუწონარი.

ვაჟაც პირში უძრახავს მოყვარეს, ილიასებურად: „სიყმე სიბერედ ვაქციე, ერი კი — ვერა ერადა... კაცობად დაუსახიათ სიჩერჩეტე და ვირობა!“ („სიყმე სიბერედ ვაქციე“, 1907წ.). მწარე ირონიაა „ქებათა-ქებაში“ (1906წ.) — „ერთობას“ რომ ეხება:

ვიღვიძებთ, წინ მივისწრაფით,
დავრწმუნებულვარ ახლა კი:
მარსელიეზას მღეროდა
იმ დღეს მიხაკა დალაქი...

„ექსპროპრიატორის სიმღერა“ (1909წ.) და „თმა-გრძელა — ჭკუა-თხელა“ (1909წ.) — „ახალი“ ყაიდის „მოღვაწეებისადმია“ მიმართული:

სამშობლოს ზურგი აქციე,
რადგან კუდი გაქვს სხვაგანა.

აჩუქებ საქართველოსა,
თუ ვინმე დაგიკაკანა,
ძმობა-ერთობას დაგპირდა
და ღვინით პირი დაგბანა...

სიცოცხლის ბოლო წლები ვაჟა-ფშაველას პოეტური „ზაფხულის“ ხანაა; ამ დროსაა შექმნილი მისი „ქრესტომათიული“ ლექსები: „რამ შემქმნა ადამიანად“ (1913წ.), „დავით გურამიშვილის ხსოვნას“ (1913წ.), „იმერეთს“ (1913წ.), „დაგვიანებული პასუხი აკაკის“ (1913წ.), „ფშაველი ჯარისკაცის წერილი“ (1914წ.), „უკანასკნელი სალამი (აკაკის ნეშტს)“ (1915წ.) და სხვა.

„ვაჟა-ფშაველას პოეზიამ ზამთარი არ იცოდა: იგი დაიწყო და დამთავრდა ზაფხულში, ისევე როგორც პოეტი ვაჟა-ფშაველა — იშვა ზაფხულში და ზაფხულშივე გარდაიცვალა“ (გრიგოლ კიკნაძე).

ქართული საზოგადოება არ იყო მზად ვაჟას გენიის სათანადოდ გაცნობიერებისათვის: იგი დიდუბის მიწას მიაბარეს.

ვაჟას პოეზიას არც ხალხის სიყვარული აკლდა და არც ქართველი მწერლებისა, თუმცა ბევრი გაზვიადებულად მიიჩნევდა გრიგოლ რობაქიძის ალტაცებას ვაჟას ფენომენით.

„დასავლეთ საქართველოში ერთ ხანაზე ძლიერ ნაკლებად იცნობდნენ ვაჟას. ერთხელ ბათუმში ექიმ გრიგოლ ელიავას ოჯახში საგანგებოდ საღამო გამართეს, ვაჟა რომ გაგვეცნო საზოგადოებისათვის, წაკითხული იყო ვაჟას „გოგოთურ და აფშინა“. პოემამ ვერ მოახდინა დიდი შთაბეჭდილება. უმეტესობას ეუცხოებოდა მისი ენა. პირველად, საფუძვლიანად, დასავლეთ საქართველომ ვაჟა გაიცნო ქუთაისის თეატრში აუარებელი ხალხის წინაშე წაკითხული ლექციით, ვაჟას შემოქმედების შესახებ და განსაკუთრებით „გველის-მჭამელის“ შესახებ. მშვენიერმა ლექციამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე. ბევრს უკვირდა და კითხულობდნენ — ხომ არ აზვიადებს ლექტორი, ასეთ შემოქმედად რომ სახავს ვაჟასო. ამის შემდეგ ბევრი დაინტერესდა და შეუდგა ვაჟას პოეზიის გაცნობას“, — მოგვითხრობს დავით კლდიაშვილი.

მოგვიანებით, ქუთაისში, ილიას დაბადების დღეს გამართულ საღამოზე ვაჟაც მიიწვიეს (მწარედ მოსაგონარი ამბავია: უაღრესად ხელმოკლე პოეტს ქუთათურებმა წინასწარ გაუგზავნეს ფული რიგიანი ჩოხა-ახალუხისა და ფეხსაცმლის შესაძენად). ვაჟამ არამცთუ შესანიშნავი, შთამბეჭდავი დეკლამაციით („სული ამოართვეს პოეტს, იმდენი ლექსი ათქმევინესო“ — იგონებს დავით კლდიაშვილი), — თავდაჭერილობით და თავმდ-

აბლობითაც მოხიბლა მსმენელი.

თითქოს პარადოქსია, რომ მავანთა მიერ „ჩამორჩენილად“ შერაცხულ ვაჟას სულ მალე გამოუჩნდნენ გულანთებული „მეამბოხე“ – ჭირისუფლები: „წარსულის უარმყოფელი“ „ცისფერყანწელები“, რომელთაც თანმიმდევრულად და უაღრესი ერთსულოვნებით დააფასეს ვაჟა-ფშაველას გენია, – „დროისა და სივრცის გარეშე მყოფი აუხსნელი ფენომენი“, „ეროვნული შემოქმედების ციტადელი“, „მოვარდნილი ეულკანი“, „ვეშაპი, რომელსაც შეუძლია, კიდევ რამდენიმე საუკუნით დაეყრდნოს საქართველო“...

უდიდესია მათი ღვაწლი ვაჟა-ფშაველას მთაწმინდაზე დამკვიდრებაშიც. „ვაჟას განსასვენებელი მხოლოდ მთაწმინდაა, სადაც სძინავთ საქართველოს ღმერთებს. ამიტომ, ჯერ კიდევ, ვიდრე არ გამდნარა მისი მაგარი ძვლები, ვაჟა-ფშაველა გადასვენებულ უნდა იქმნეს დიდუბიდან მთაწმინდაში, სადაც სალოცავად გვეყოლება ქართული სამება“ (გაზეთი „ბახტრიონი“, 1922 წელი, №18).

დიდი ტრიადა – საქართველოს სულიერი ერთიანობისა და მარადუჭკნობი ქართული პოეზიის სიმბოლო – მთაწმინდის ბინადარია. მთაწმინდა კი კვლავ ჩაფიქრებულა...

2002 წ.

დიდი ეპოქის დასასრული – დიდი ეპოქის დასაწყისი

„წიწამურში რომ მოკვდეს ილია,
მაშინ ეპოქა გათავდა დიდი“...

გალაკტიონი

„რა ძნელია ეს ანბანი –
მეცხრამეტე საუკუნე!
იმის მზერას ვინ გაუძლებს
იმის ნათელს რა უყურებს“...

ბესიკ ხარანაული

ილიას შემდგომ, – დიდი, ნათელი ეპოქა, ღვთის წესრიგით შექმნილი სამყაროს გაუბზარავი მთლიანობის და ჰარმონიულობის რწმენა და იმედი, ეროვნული, ქრისტიანული ტრადიციებისა და ქართული კლასიკური

პოეზიის ერთგულება, სამოციანელთა „იდე ფიქსი“ — ნაციონალური გათავისუფლების მძაფრი სულისკვეთება (რაც საგრძნობლად განსხვავდებოდა XIX-XX საუკუნეთა მიჯნის ევროპული თუ რუსული ლიტერატურის გაბატონებული ტენდენციებისაგან), — თანდათანობით წარსულს ჩაბარდა.

ჯერ კიდევ არ დამდგარა ის დრო, როცა „თერგდალეულებს“ „სენადალეულები“ ან „რაინდალეულები“ ჩაენაცვლებიან და მათი ეპიგონების სიმრავლით გაბეზრებულნი, — შეუტევენ კიდეც.

ილიაც და აკაკიც, ხანდაზმულობის ჟამს, დროდადრო კი ცხოვრობდნენ (პირადული მიზნით: ოჯახურ გარემოებათა გამო ან სამკურნალოდ) დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, მაგრამ მათი, როგორც მოაზროვნეთა ჩამოყალიბება, უმთავრესად მაინც, XIX საუკუნის რუსულ პროგრესულ საზოგადოებრივ მრწამსს დაუკავშირდა.

სამოციანელთა მხატვრული ზეგავლენა და წარსულის ინერცია იმდენად მძლავრი იყო, რომ XX საუკუნის დასაწყისის თითქმის ყველა, სრულიად განსხვავებული მიმართულების, მსოფლაღქმისა და ტემპერამენტის პოეტი ილიასა და აკაკის ხმაზე „ამღერდა“. მათმა ნაწილმა მალევე დასძლია „ლიტერატურული შეგირდობის“ პერიოდი, ბევრი კი მარადიულ მიმბაძველად დარჩა.

პოეტური ნოვაციები, „ღმერთების დაისი“, ტრანსცენდენტურისკენ სწრაფვა, „წმინდა ხელოვნების“ პრიმატის აღიარება, ფორმალისტური სიახლენი, „სიმახინჯის ესთეტიკა“ თუ ხელოვნების დეჰუმანიზაციის იდეა ჯერხნობით ჩრდილში აღმოჩნდა.

ამაში თავისი წვლილი მიუძღვის ე.წ. „რევოლუციურ-დემოკრატიულ სკოლასაც“, რომელმაც, XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე აღმოცენებული მარქსისტული ყაიდის პარტიების კვალობაზე, უაღრესად შეავიწროვა პოეზიის სარბიელი და მას მშრომელთა და ჩაგრულთა სამსახური და კლასობრივი ბრძოლის ქადაგება დაუსახა მიზნად.

რევოლუციურ-დემოკრატიული ჯგუფი (იროდიონ ევდოშვილი, ნოე ჩხიკვაძე, დუტუ მეგრელი, ია ეკალაძე, გიორგი ქუჩიშვილი, ვარლამ რუხაძე, შიო მღვიმელი და სხვა) ლიტერატურული სკოლის შექმნის პრეტენზიით, მანიფესტებითა და დეკლარაციებით არასოდეს გამოსულა. მათ მხოლოდ მიზანდასახულობა და საზოგადოებრივ შეხედულებათა თანხმიერება აერთიანებდა; ხოლო მხატვრული გამოსახვის საშუალებები, ლექსთწყობა და სხვა პოეტური აქსესუარები, უპირატესად, ილიასა და აკაკის პალიტრიდან ჰქონდათ „ნასესხები“.

აშკარა გაზვიადება იქნებოდა ამ ჯგუფის მხატვრულ მიღწევებზე, ან, XX საუკუნის პოეზიაში მის განსაკუთრებულ დამსახურებაზე საუბარი; თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ერთგვარი სწორხაზოვნობისა და დეკლარაციულობის მიუხედავად, ჯგუფის წევრებს არც მოქალაქეობრივი სინდისი და პატიოსნება აკლდათ და არც სიწრფელე და უშუალობა (რასაც ვერასგზით ვერ ვიტყვით მოგვიანებით აღმოცენებული „პროლეტარული მწერლობის ასოციაციის“ ზოგ პოეტზე). ისიც აღსანიშნავია, რომ ბევრი მათგანი მხოლოდ კლასობრივი ბრძოლის პოეტური მოწოდებით არ იფარგლებოდა და თავად მონაწილეობდა რევოლუციურ მოძრაობაში.

რასაკვირველია, „დემოკრატიული სკოლა“ არ იყო ქართული კლასიკური ლიტერატურის განვითარების ახალი საფეხური ან ახალი ეტაპი (საბჭოური კრიტიკა მიკერძოებულად და გაზვიადებულად წარმოაჩენდა ჯგუფის დამსახურებას); ის უფრო ერთგვარი სიმბიოზი გახლდათ სოციალურ-რევოლუციური იდეებისა და საკმაოდ მოკრძალებული პოეტური ინდივიდუალურობისა, რომელსაც სავსებით აკმაყოფილებდა ახლო წინაპართა მიერ გაკვალული გზის „ათვისება“. ისინი ან სრულიად გულგრილნი იყვნენ ფორმის მიმართ (რაც სავალალო შედეგით მთავრდებოდა), ან, ზოგჯერ, გულწრფელობითა და სისადავით გადიოდნენ ფონს.

ჯგუფის ფუძემდებლად და უმნიშვნელოვანეს ფიგურად იროდიონ ევდოშვილია (1873-1916 წწ.) მიჩნეული, იგი იყო ჟურნალისტიც, პუბლიცისტიც, პროზაიკოსიც, — მაგრამ ქართული ლიტერატურის ისტორიაში უფრო ცნობილია, როგორც პოეტი.

„მესამე დასელ“ იროდიონ ევდოშვილის ლექსებში XIX საუკუნეშივე გამოიკვეთა მისი თავი და თავი მიზანი — სოციალური უთანასწორობის მხილება, კლასობრივი ბრძოლის აუცილებლობის რწმენა, რევოლუციისაკენ მოწოდება („მეგობრებს“, 1895წ.):

მეგობრებო, წინ... წინ გასწით,
ნუ შედრკება თქვენი გული,
დე მკერდს სისხლის დაღი აჩნდეს
და შუბლს ოფლის ნაკადული...

1900 წელს გამოქვეყნდა მისი, ალბათ ყველაზე ცნობილი და, გარკვეული აზრით, წინასწარმეტყველური ლექსი „სიმღერა“, რომელიც მაქსიმ გორკის „ქარიშხალაზე“ ერთი წლით ადრე დაიწერა:

მაინც ველით განთიადსა,
არ შედრკება ჩვენი გული,
უკვე აღდგა ქარიშხალი,
განთიადის მოციქული!..

როგორც მოსალოდნელი იყო, იროდიონ ევდოშვილი განსაკუთრებით გააქტიურდა 1905-1907 წლების რევოლუციის დროს, როცა მისი ლექსები, ძირითადად, იმდროინდელ ლეგალურ მარქსისტულ პრესაში იბეჭდებოდა. მან თარგმნა მუშათა საერთაშორისო სიმღერა „ვარშავიანკა“ და „მარსელიეზა“, დასტამბა რევოლუციური სულისკვეთების ლექსები „ტყე გმინავს“, „წერილი მეგობრებთან“, „გაზაფხულმა შემოგვცინა“, „ჩემს მტერს“, „ამირანი“, „მერცხლის სიმღერა“, „ბრძოლის სიმღერა“, „გასწი, იარე ეკლიანი გზით“ და სხვა.

მის ლექსებში კვლავ ხმიანებს ბრძოლისადმი შეუფარავი მოწოდება („თავისუფლება“, 1905წ.):

თავისუფლება დარბაზებში არ იბადება,
ის არის შვილი, პირმშო შვილი ღარიბი კერის,
ის მხოლოდ ბრძოლით, მხოლოდ ბრძოლით მოიპოვება...

ევდოშვილმა მგოსნობა და პოეტური ჩანგის ჟღერა ბარიკადებზე იარაღით ბრძოლას გაუთანაბრა („ჩემს ჩანგს“):

აბა, თამამად ბარიკადებზე!
რასაც სიმს ვცემდით, იმავ თითებით
გამოვკრათ ჩახმახს, — ან მტერი, ან ჩვენ,
ორივ ერთად კი ვეღარ ვიქნებით!

ხელოვნებას პოეტმა სოციალურ-პოლიტიკური ფუნქცია დააკისრა, მუზას — მშრომელთა სამსახური (პოემა „მუზა და მუშა“).

რევოლუციის დამარცხებამ, დამსჯელმა ექსპედიციებმა, ილიას ულმობელმა მკვლელობამ, და, ნაწილობრივ, ყოფილ თანამებრძოლთა მიმართ აღმოცენებულმა ეჭვმა და უნდობლობამ, — თავისი ნაყოფი გამოიღო: იროდიონ ევდოშვილის პოეზიაში შურისძიების გრძნობით აღსავსე ლექსებთან ერთად გვხვდება უსასოობისა და გულგატეხილობის მოტივები, რევოლუციურ აღტკინებას სევდა-ნაღველი ენაცვლება („ისევ გოლგოთა“, „მოღლილს“, 1908წ., „გოლგოთაზე“, 1909წ., „გატეხილი ჩანგი“, 1915წ. და სხვა).

პოეტი ვერც რეპრესიებს ასცდა: 1909 წელს დააპატიმრეს, 1910 წლიდან სამი წლით რუსეთში გადაასახლეს, საიდანაც ტუბერკულოზით დაავადებული, სულითა და ხორცით დაძაბუნებული დაბრუნდა სამშობლოში; ამას დაემატა უკიდურესი სიღარიბეც. გარდაიცვალა 43 წლისა. იროდიონ ევდოშვილის უდროო აღსასრულს დიდი სინანულით გამოეხმაურა კიტა აბაშიძე (თუმცა ხშირად აკრიტიკებდა მას, სხვა მარქსისტთა დარად): „ მოკვდა აკაკი, დავკარგეთ ვაჟა, მიწას მივაბარეთ ნ. ლომოური... ჩვენი ხალხი შეეჩვია გლოვას, შეეჩვია „ტანჯვას სული და გული“, და ამიტომაც ევდოშვილის უდროოდ დაკარგვა ისე სასტიკად, ისე მტკივნეულად ვერ იმოქმედებს, როგორც მოსალოდნელი იყო. მაგრამ, ამის მიუხედავად, მშრომელი ხალხი, რომლის საუკეთესო მგოსანთაგანი იყო იროდიონი, იგლოვებს თავის მედროშეს, მისი გაჭირვების მოენეს.

ევდოშვილი უკეთესი მომავლისთვის საბრძოლველად მოუწოდებდა ხალხს და მაშინაც მისი სიმღერა აღსავსე იყო გაზაფხულის სხივებით: იგი მომსწრე იყო მისი დამარცხების, და მაშინაც მისი სიმღერა მხნე და იმედიანი ჰარმონიით იყო შეხამებული. პირადმა ტანჯვამ, მწუხარებამ და გაჭირვებამ ვერ შესცვალა მისი რკინის გული და ისე ჩავიდა საფლავს, რომ სასომიხდილად არ ამოუკვნესია. მისი უკანასკნელი სიტყვა იყო მებრძოლის სიტყვა. იროდიონ ევდოშვილი — მებრძოლი მგოსანია“ (გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1916წ.).

გრიგოლ რობაქიძეც გულისტკივილით გამოეთხოვა მას და პირუთვნელად შენიშნა: „უცნაურია ბედი ევდოშვილის; გაჰქრა ისე, რომ თავისი ნამდვილი სიტყვა არ უთქვამს,თქმა კი შეეძლო... სოციალური მოტივი პოეტურ იდეად ვერ აქცია... მრავალი მისი ლექსი ამ მხრით მხოლოდ გარითმული პროკლამაციაა სარევოლუციო“, თუმცა დასძინა, — სამშობლოდან გადახვეწილმა, სამშობლოს ცრემლით ათამაშებული მრავალი მარგალიტი გადმოშალაო (გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916წ.).

დუტუ მეგრელმა (1867-1938წ.წ.), რომელიც ქრონოლოგიურად და არსებითადაც (პირველი პოეტური კრებული „ცრემლები“ 1893 წელს გამოაქვეყნა), „დემოკრატიული სკოლის“ ერთ-ერთი წინამორბედია, ოდითგანვე შეისისხლხორცა ქართული კლასიკური მწერლობის ჰუმანისტურ-რეალისტური ტრადიციები. ხელმოკლე ოჯახის შვილს, ოდესის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულს, ერთხანს სომხეთსა და აზერბაიჯანში მოუწია მუშაობა. ახალგაზრდობიდანვე მიზნად დაისახა ჩაგრულთა სამსახური, ქართულ პოეზიაში ერთ-ერთმა პირველმა შემოიტანა ლუმპენპროლეტარიატის თემა („მათხოვარი“), ხელოვნებას — მაშერალთა ცხოვრების ასახვის ფუნქცია დააკისრა, მაგრამ, ევდოშვი-

ლის სკოლის სხვა პოეტთაგან განსხვავებით, მის პოეზიაში ძალუმი პატრიოტული ნაკადიც შეინიშნებოდა („სამშობლოს“, „ჩემი სიმღერა“, „ნანინა“, „სამშობლოსათვის“ და სხვა).

მისი სიახლოვე რევოლუციურ-დემოკრატიულ ჯგუფთან განსაკუთრებით 1905 წლის რევოლუციის აღმავლობისას შექმნილ ლექსებში წარმოჩნდა („მეგობარს“, „მთის წყარო“, „დიდხანს ვიყავი ჩუმადა“, „საქართველო“); საბედნიეროდ, დუტუ მეგრელი იმ პოეტთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რევოლუციას ქართველი ერის გათავისუფლების იმედსაც რომ უკავშირებდა.

სხვა რომ არა, თუნდაც ერთადერთი „საკულტო“ ლექსი „პატარა ქართველი“ (1901 წ.), – დაუმკვიდრებდა მას მარადიულ ადგილს ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ღარიბი გლეხის ოჯახში დაიბადა ნოე ჩხიკვაძეც (1883-1920 წ.წ.); ბავშვობიდანვე იწვნია სიდუხჭირე და უსამართლობა; შეუპოვარს და ბუნებით მებრძოლს, რევოლუციურ მოძრაობასთან სიახლოვისათვის დევნიდნენ კიდეც. პირველი ლექსი 1908 წელს თბილისის პრესაში გამოაქვეყნა. ლიტერატურულმა თუ პირადმა სიმპათიებმა იგი დაუახლოვა იროდიონ ევდოშვილს, გიორგი ქუჩიშვილს, სოლომონ თავაძეს, ალექსანდრე აბაშელს. ამ უკანასკნელისადმი მიძღვნილ ლექსში „გამოძახილი“ გაცხადდა ნოე ჩხიკვაძის შეხედულება პოეზიის დანიშნულებაზე: ავტორი ურჩევდა მეგობარს, „ზეციური საიდუმლოებისადმი“ ლტოლვა მიწიერი ინტერესებით შეეცვალა:

მიზეზთ სათავე აქ ეძიე, აქ, ჩვენს მიწაზე
და, როცა ჰპოვო, რაც შენიშნო
ცხოვრების ზღვაზე
დაჰმღერე ჩანგზე!

მისი „ტანჯვის ქალაქი“ მხოლოდ ზედაპირულად ეხმიანება ემილ ვერჰარნის „ქალაქ-რვაფეხას“, რადგან ნოე ჩხიკვაძისთვის უმთავრესი კლასობრივი უთანასწორობისა დ მშრომელთა აუტანელი ყოფის მხილებაა:

ქშინავს ქურა, ბრუნავს ყოფნა, გაბასრული,
გულის სისხლი გრდემლს წვეთ-წვეთად ეპკურება;
ერთ მხრით მოსჩქეფს და გროვდება აღსასრული,
მეორე მხრით სიმდიდრე და ნეტარება...

ისევე, როგორც დუტუ მეგრელის შემოქმედებაში, ნოე ჩხიკვაძის პოეზიაშიც სოციალური უთანასწორობის და ეროვნული ჩაგვრის მოტივი ურთიერთგადაჯაჭვულია („სამშობლოს“, „უცხო მხარეში“, „გედის ყივილი“).

არც ის გვეჩვენება დღეს უცნაურად, რომ ნოე ჩხიკვაძეც ქართულ პოეზიას სწორედ იმ ლირიკული ლექსებით შემორჩა, არაფერი რომ არ ჰქონდა საერთო რევოლუციასთან, კლასობრივ ბრძოლასთან თუ მჩაგვრელ-ჩაგრულთა დაპირისპირებასთან („სათნოების ყვავილი ხარ“):

რომ დავხატო ცის ალმური,
ცის ცისკარი, ცის ბინდბუნდი,
გთხოვ მასესხო, გთხოვ მასესხო,
შენთა თვალთა იაგუნდი...

თავის დროზე დიდად პოპულარული იყო ნოე ჩხიკვაძის სატრფიალო ლექსი „№-ს“, რომელიც ვერსიფიკაციული თვალსაზრისითაც იპყრობს ყურადღებას:

ვინ მკითხულობს? ვინ დამეძებს,
ვის ვუყვარვარ მე?
აცრემლებულ თვალთ ვაცეცებ,
მოდი, ხმა გამე!
ირგვლივ ცივა... სისხლიანი
ღამეა ღამე,
გული მტკივა, სანუგეშო
მითხარი რამე!

დემოკრატიული ფრთის პოეტთა უმრავლესობის მიერ მხატვრულ თუ ვერსიფიკაციულ ძიებათა უგულებელყოფა, თითქოსდა გამართლებული იყო მათი მიზანსწრაფული შემოქმედებითი „პოლიტიკით“: ჩაეყენებინა ხელოვნება რევოლუციის, მუშათა და გლეხთა კლასობრივი ბრძოლის მსახურის როლში; პოეზიისათვის დაეკისრებინათ ერთგვარი „გამოყენებითი“ ფუნქცია. მაგრამ, საბოლოოდ, ორბუნებოვანი, „მიწიერ-ზეციერი“, „ხან მიწის, ხან ცის“, „ღმერთთან მოლაპარაკე“ პოეტის მარტო მიწაზე მიჯაჭვის მცდელობა („სამოციანელთა“ მრწამსის საწინააღმდეგოდ), პოეზიისათვის ფრთების შეკვეცა, როგორც მოსალოდნელი იყო, — მარცხით დამთავრდა. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ არც ერთი ქვეყნის ლიტერატურა არ შეუქმნია ერთეულებს: მას მთელი მწერლობა ქმნის —

კორიფენიც, მეორეხარისხოვანნიც და მეათეხარისხოვანნიც. XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაშიც კეისარს კეისრისა უნდა მიეზღოს, მაგრამ მთლიანი ლიტერატურული პროცესის ამსახველ გამოწვლილვით მიმოხილვაში „წვრილ" ვარსკვლავთათვისაც უნდა მოიძებნოს ადგილი.

ქართული მწერლობა ერთიანი, განუყოფელი, მართლაც „თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობაა" (რევაზ თვარაძე). მაგრამ, წინარე პერიოდებთან შედარებით, ლიტერატურული პროცესი XX საუკუნის ათიანი წლებიდანვე გართულდა, გაღრმავდა, სხვადასხვა მიმდინარეობებით, „სკოლებით" თუ „ჯგუფებით" დაიყურსა.

XXI საუკუნის დამდეგს უნდა ვაღიაროთ, რომ XX საუკუნის ქართული ლიტერატურის რამდენადმე სრულყოფილი ისტორია არ გაგვაჩნია. ეს ჩვენი დიდი სირცხვილი იქნებოდა, რომ არა „შემამსუბუქებელი" გარემოება ანუ ობიექტური საფუძველი ამ არანორმალური ვითარებისა: ბუნებაში არარსებული, ყბადაღებული „სოციალისტური რეალიზმის" (რომლის ზუსტი დეფინიცია, მასზე დაწერილი მრავალი დისერტაციის მიუხედავად, ვერა და ვერ მოხერხდა) დოგმათა დაცვის მოთხოვნა 70 წლის მანძილზე!

კომუნისტური იდეოლოგიის „კლასობრივი" საზრისი და ლიტერატურის „პარტიულობის" პრინციპი (ნონსენსი!), ყოვლისმომცველი ცენზურა, ანტიფორმალისტური კამპანიები, დროდადრო — მწერალთა გააფთრებული რეპრესიები, — თითქმის შეუძლებელს ხდიდა ლიტერატურული პროცესის სათანადო გააზრებას, იფქლისა და ღვარძლის გამორჩევას, ობიექტური კრიტერიუმის მომარჯვებას. რა გასაკვირია, რომ ე.წ. „დემოკრატიულ-რევოლუციური" ჯგუფიც, ვითარცა „სწორი" იდეოლოგიის მქონე, უფრო მეტ დითირამბებს იმსახურებდა, ვიდრე ეკუთვნოდა... იმედი ვიქონიოთ, რომ ფასეულობათა გადაფასების, ცოტა არ იყოს, დაგვიანებული პროცესი, თანდათანობით გაღრმავდება და XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორია ყველას კუთვნილ ადგილს მიუჩენს.

XX საუკუნის სასაწყისში კი „მშვიდობიანად" თანაარსებობდნენ ყველა თაობისა და მრწამსის პოეტები და, თუ ოთარ ჭილაძეს დავესესხებით, ისინი თუნდაც იმის გამო იყვნენ პატივსაცემნი, ქართველი მწერლის უმძიმესი ხვედრი რომ იტვირთეს. ჩვენდა სავალალოდ, XX საუკუნის დასაწყისის ვითარებისაგან ჩვენი დღევანდელობა დიდად არ განსხვავდება; ამიტომაც უპრიანია ჩაეუკვირდეთ ოთარ ჭილაძის სიტყვებს: „დღეს რომ ქართველს წერის სურვილი გაუჩნდება, ესეც ჩვენი გარდუვალი

განკურნების მაუწყებელი ნიშანია. ჯერ ერთი ამით თავის ენას მიაგებს პატივს და, რაც მთავარია, სიყვარულს უხსნის სამშობლოს. უსინდისობაა, ვინმეს დასწამო, სამშობლოს საგინებლად უნდა მწერლობაო. მწერლობა ნებაყოფლობითი მსხვერპლშეწირვაა და, როცა დღეს, ამ არეულ-დარეულ, ერთხელ კიდევ ჩაწიხლულ ქვეყანაში ახალგაზრდა კაცი მწერლის ურთულეს პროფესიას ირჩევს, ეს ჩემში, უპირველეს ყოვლისა, მისდამი პატივისცემის გრძნობასა და მხარდაჭერის სურვილს ბადებს. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, ყველაფერი მომეწონება, რასაც ის დაწერს"... (ოთარ ჭილაძე, „24 საათი", 2002 წელი, 20 ივლისი, №4).

მშვიდობიანი თანაარსებობა ტყუილად არ მიხსენებია: საუკუნის დასაწყისში გვერდიგვერდ იღვწიან XIX საუკუნის ორი ბუმბერაზი — აკაკი და ვაჟა (რომელნიც 1915 წლამდე ანუ გარდაცვალებამდე შესაშური პოეტური ნაყოფიერებითაც გამოირჩევიან), დემოკრატიული სკოლის მეტნაკლებად „მებრძოლი მგოსნები", ლიტერატურულ სარბიელზე ახლად მოვლენილი ახალგაზრდები — სანდრო შანშიაშვილი, იოსებ გრიშაშვილი, ალექსანდრე აბაშელი, გალაკტიონი, გრიგოლ რობაქიძე, ტიციან ტაბიძე, კოტე მაყაშვილი, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, გიორგი ლეონიძე და სხვანი, — რომელნიც მალე განსაზღვრავენ XX საუკუნის ქართული პოეზიის გეზს.

მოცილე-მოქიშპე, ზოგჯერ აშკარად ანტიეროვნული თუ ნაციონალური მიმართულების პარტიებისგან განსხვავებით, ჯერჯერობით (რადგან მალე ყველაფერი შეიცვლება), მათ შორის მეტი ურთიერთპატივისცემა და ერთსულოვნება იგრძნობა.

უჭირს პოეზიას და პოეტებსაც: როგორც სოციალურ-პოლიტიკური ვითარების, ისე უკიდურესი ხელმოკლეობის გამო, — სავალალო მდგომარეობაშია სალიტერატურო პრესა და წიგნის გამოცემის საქმე. 1905 წელს „მოამბემ" შეწყვიტა არსებობა. ახალი ლექსები ძირითადად საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთებშია გაბნეული; გამკაცრებულია ცენზურაც.

1911 წელს გრიგოლ რობაქიძე სამართლიანად შენიშნავდა: „დღევანდელი ჩვენი ცხოვრება, საშინელი არეული და დაწვრილმანებული, სხვათა შორის ერთს სამწუხარო მოვლენას გვიშლის თვალწინ: ჩვენში ლიტერატურაც არის და კრიტიკაც, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენში არ არის ისეთი მთლიანი ორგანო, რომელიც, ასე თუ ისე, ტონს აძლევდეს ლიტერატურის მიმდინარეობებს. სხვა ქვეყნებში ამგვარ როლს დიდი ჟურნალები და საფუძვლიანი გამოცემანი ასრულებენ; ჩვენში ამავე როლს ყოველდღიური გაზეთები კისრულობენ" („სახალხო გაზეთი").

ჩანს, ქართველ მოღვაწეებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული საყმაწვილო ლიტერატურის მისია, რადგან „ჯეჯილი“ და „ნაკადული“ თითქმის შეუფერხებლად გამოდიოდა. უამრავ დღემოკლე და შემთხვევით გაზეთებსა და საორნუნჯო პერიოდიკის მორევში, ამ დროისათვის ღირსსაცნობია თბილისის („სახალხო ფურცელი“, 1911-1917წ.წ., „თანამედროვე აზრი“, „1915-1917წ.წ.) და ქუთაისის („კოლხიდა“, 1911-1913წ.წ., „მეგობარი“, 1915-1916წ.წ., „სამშობლო“, 1915-1917წ.წ.) გაზეთები, რომელნიც მნიშვნელოვან ადგილს უთმობენ მწერლობასაც. აღსანიშნავია ვალერიან გუნიას „ნიშადური“ (1907-1908წ.წ.), „ფასკუნჯი“ (1908-1910წ.წ.), სალიტერატურო გაზეთი „მზე“ (1908წ.), იოსებ იმედაშვილის „თეატრი და ცხოვრება“ (1910წ; 1914-1920წ.წ.), ქუთაისის ჟურნალი „ოქროს ვერძი“ (1913წ.) და სხვა.

სწორედ ზემოხსენებულ ჟურნალ-გაზეთებში შეინიშნება ტენდენცია, — გააფართოონ ქართველი მკითხველის თვალსაწიერი, როგორც ნებისმიერი თაობის პოეტთა საუკეთესო თხზულებების გამოქვეყნებით, ასევე თარგმანებით დასავლეთ ევროპისა და რუსეთის ე.წ. ახალი პოეზიიდან.

ამ მხრივ აღსანიშნავია „მზე“, „ფასკუნჯი“ და, განსაკუთრებით, „ოქროს ვერძი“.

პაოლო იაშვილის „ოქროს ვერძის“ შესაფასებლად ავტორთა ჩამოთვლაც კი კმარა: გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, იოსებ გრიშაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, ალექსანდრე აბაშელი, ლეო ქიაჩელი, ნიკო ლორთქიფანიძე, კონსტანტინე გამსახურდია, შალვა დადიანი, სერგო კლდიაშვილი... თუმცა, ძირითადად, ახალი თაობაა წარმოდგენილი, ცნობილია, რომ პაოლო იაშვილს უფროსი თაობის მიზიდვაც სურდა. ლიტერატურის მუზეუმში დაცულია ორი კერძო წერილი ვაჟა-ფშაველასადმი, რომელშიც ახალგაზრდა რედაქტორი ვაჟას, ბაჩანა და თედო რაზიკაშვილებს სათანამშრომლოდ იწვევდა. „ოქროს ვერძის“ ერთ-ერთ ნომერში გრიგოლ რობაქიძის რეცენზია დაისტამბა: „... არც მგონია, ასეთი ვერძისათვის იაზონმა მოაცუროს თავისი გემი კოლხეთის ნაპირს, მაგრამ მასში არის ისეთი რაღაც, ხელუხლებელი, გამოუთქმელი, რომელიც სიამოვნებას ჰგვრის ხელოვნების მოყვარულს: ეს არის ყვავილოვანი სიყმაწვილე, რომლის ლაღად ნაკვეთ შუბლზე ჯერ კიდევ არ გაურბენია ჭკნობის ფიქრის ფრთას.

მგოსნის სულში ერი ცოცხალ არსად უნდა ფეთქდეს; უამისოდ შეუძლებელია მზიურ-ხალისიანი შებმა. მართალია, ჩვენს გაბცდაში საქართველო როგორც მთელი არ არსებობს, მაგრამ ჩვენს ოცნებაში ხომ არსე-

ბობს მისი სრული სახე?! და ტანჯვაა საჭირო, ღრმა ტანჯვა, რომ ოცნების ჩონჩხმა ჩვენს წარმოდგენაში ხელსახები სხეული შეისხას და განა, ბევრი იტანჯვის ჩვენში?

და ამისთვის ახალგაზრდა „ოქროს ვერძს“ ეუსურვებ მხოლოდ ცეცხლსა და ტანჯვას“ (გ. რობაქიძე, „ოქროს ვერძს“, ჟურნალი „ოქროს ვერძი“, 1913 წელი, №3).

საყურადღებოა ჟურნალის სახელწოდების დამთხვევა რუსი სიმბოლისტების მოსკოვურ ჟურნალთან „ზოლოტოე რუნო“ (1906-1909წ.წ.). ღირსსაცნობია თავად ის ფაქტი, რომ ქუთაისელი რედაქტორი კარგად იცნობს თანამედროვე მწერლობას. ამასვე გვიდასტურებს თარგმანები ლეონიდ ანდრეევის, იგორ სეევერიანინის, ვილიე დე ლილ ადანის თხზულებებისა; ცნობები დანუნციოს, ვალერი ბრიუსოვის, კონსტანტინე ბალმონტის, იურგის ბალტრუშაიტისის შესახებ. „ოქროს ვერძის“ მხოლოდ რამდენიმე ნომერი გამოიცა, ჟურნალი ხელმოკლეობამ შეაფერხა, ხოლო პაოლო იაშვილი პარიზში გაემგზავრა.

ზემოხსენებული ჟურნალ-გაზეთები ერთგვარ გამონაკლისადაც კი უნდა ჩაითვალოს; რადგან იმდროინდელი წიგნის ბაზარი წალეკილი იყო იაფფასიანი, პატარ-პატარა, უგემოვნებო (უფრო ზუსტად – ქუჩურ-ბაზრული გემოვნების) წიგნაკებით, ე.წ. ქალაქური „კიჩით“. ეს კი სრულიადაც არ შეესაბამებოდა ბუნებით სიახლისმაძიებელ ქართველ შემოქმედთა თუ მომთხოვნი მკითხველის ინტერესებს.

ეს ის დროა, - როცა სარბიელზე ახლად გამოსული და სიახლის მწყურვალი პოეტები, ღრმა შინაგანი პროტესტით აღვსილნი ილიასა და აკაკის ეპიგონებისადმი, ჯერჯერობით პროტესტის გამოხატვას ერიდებიან: დიდია მოწიწება და თაყვანისცემა ილიას, აკაკისა და ვაჟას მიმართ.

/გროგოლ რობაქიძე 1908 წელს უცხოეთიდან დროებით ჩამოსვლის მიზეზად ილიას მკვლელობას ასახელებს, პუბლიცისტურ წერილებს აქვეყნებს და, რაც მთავარია, – სალექციო მოღვაწეობას იწყებს: კითხულობს ლექციებს ილიაზე (საკმაოდ გამჭვირვალედ მიანიშნებს მის მკვლელებს), აკაკიზე, ნიკოლოზ ბარათაშვილზე, ვაჟა-ფშაველაზე, უახლეს დასავლურ პოეზიასა თუ ფილოსოფიურ მიმდინარეობებზე. იმპროვიზაციის შესაშური უნარითა და დიდი ორატორული ნიჭით დაჯილდოებული ლექტორი იმთავითვე ექცევა საზოგადოების ყურადღების ცენტრში – თბილისშიც და ქუთაისშიც./

ახალგაზრდა პოეტებისათვის და, უწინარესად, გალაკტიონისათვის აკაკი პოეზიის მეფეა; სალიტერატურო საღამოებზე მასთან ერთად გამორენა უდიდესი პატივია და ძრწოლის მომგვრელიც!

უკვე ითქვა პაოლო იაშვილის განუხორციელებელ მცდელობაზე — „ოქროს ვერძში“ მიეწვია ვაჟა-ფშაველა. პარიზიდან ახლად დაბრუნებულმა პაოლომ მთელ საქართველოსთან ერთად გულწრფელად გამოიგლოვა აკაკის გარდაცვალება. იგი აკაკის დამკრძალავი ქუთაისის კომიტეტის აქტიური წევრი იყო. საგანგებო მატარებელი, რომლითაც აკაკის ნეშტი საჩხერედან თბილისში გადმოასვენეს, პაოლო იაშვილის მიერ იყო დიდებულად მორთული (იხ. გაზ. „სამშობლო“, 1915წ., №5). ქუთაისის და თბილისის გაზეთებში („სამშობლო“, „თემი“) დაიბეჭდა მისი ერცელი წერილი — „ცხედარი გამბრწყინებლისა“...

ამასთან, ახალი თაობის ფიქრთა მფლობელი „ევროპეიზაციის” მომხრე მოაზროვნეებია: კიტა აბაშიძე, არჩილ ჯორჯაძე და გრიგოლ რობაქიძე.

ზოგი ახალგაზრდა პოეტი სწავლის გასაგრძელებლად საფრანგეთსა და გერმანიას მიეშურება, ზოგიც მოსკოვსა თუ პეტერბურგს.

გაცხოველდა ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობანიც. თუკი, თავის დროზე, პუშკინი და ლერმონტოვი „შერისხულნი“, იძულებით მოევლინენ საქართველოს, XX საუკუნის დასაწყისში (1914, 1915, 1917წ.წ.) სახელგანთქმული რუსი პოეტი კონსტანტინე ბალმონტი, „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი და პოპულარიზატორი, — სამგზის, თავად ესტუმრება საქართველოს.

უფრო ადრე კი თბილისსა და ქუთაისში იმართება ცნობილი რუსი პოეტების თეოდორ სოლოგუბისა და იგორ სევერიანინის ლიტერატურული საღამოები. ირკვევა, რომ არამცთუ ლიტერატურული საზოგადოება, თბილისისა თუ ქუთაისის გიმნაზისტებიც კი ჩინებულად იცნობენ მათ პოეზიას.

პოეტური „სტაგნაცია“ პოზიციას თმობს; უძრაობისა თუ უდროობის ჟამი წარსულს ბარდება, დაღმართს აღმართი ენაცვლება...

ალექსანდრე აბაშელი, იოსებ გრიშაშვილი, სანდრო შანშიაშვილი დიდ პოპულარობას იხვეჭენ და უკვე „მოდერნისტებად“ თუ „დეკადენტებად“ იწოდებიან. 1914 წელს გალაკტიონის პირველი პოეტური კრებულით, ხოლო 1915-16 წლების მიჯნაზე „ცისფერი ორდენის“ დაარსებით, — იწყება თვისებრივად ახალი ხანა XX საუკუნის ქართულ პოეზიაში, როგორც გრიგოლ რობაქიძე იტყოდა, — საქართველოს ხელოვნების

რენესანსი: „საქართველოს რენესანსი უკვე დაიწყო, — წარმოთქვი ერთხელ; — და ამ სიტყვის სიმართლეს დღითიდღე უფრო ვგრძნობ. მაგრამ რენესანსი იგი ჯერ კიდევ ქაოსისა და ფორმის ბრძოლაში აშკარავდება და კიდევ დიდი დროა საჭირო, რომ ფორმამ სავსებით სძლიოს ქაოსს. ეს ფიქრი მებადება, როცა შევსცქერი ჩვენი უახლესი ხელოვნების ზრდას“ („ოქროს ვერძი“, 1913წ. №3).

მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ აღორძინებულ პოეტურ სიტყვას და „ქაოსისა და ფორმის ბრძოლას“ მალე იდეოლოგიური დირექტივების ზღუდე დაუხშობდა სავალ გზას... თუმცა, XX, აწ უკვე გასული საუკუნის ქართულმა პოეზიამ დაამტკიცა, რომ ტოტალიტარიზმის დროსაც კი ხარობს პოეზიის ცისფერი ყვავილი.

რეჟიმი მიდის, რეჟიმი მოდის, პოეზია კი ჰგიეს უკუნისამდე.

2002წ.

გრიგოლ რობაქიძე – არჩილ ჯორჯაძე – დიმიტრი უზნაძე

(ერთი ლიტერატურული პაექრობის გამო)

გაზეთ „დროების“ 1909 წლის ნომრებში მივაკვლიე უაღრესად საინტერესო ლიტერატურულ პაექრობას არჩილ ჯორჯაძეს, გრიგოლ რობაქიძესა და დიმიტრი უზნაძეს შორის.

პაექრობის მიზეზი გახლდათ გრიგოლ რობაქიძის საჯარო ლექცია ნიკოლოზ ბარათაშვილზე — „სულიერი დრამა ნიკოლოზ ბარათაშვილისა“ — თავდაპირველად წაკითხული თბილისის ქართულ თეატრში, ქართულ ენაზე (ეს ფაქტი საგანგებო აღნიშვნის ღირსად მიუჩნევია „დროების“ კორესპონდენტს), 1909 წლის 24 ოქტომბერს; მოგვიანებით კი, ამავე წლის 7 ნოემბერს — ქუთაისში.

9 ოქტომბერს „დროება“ იუწყებოდა, ლექციის დაწყებამდე ნიკოლოზ ბარათაშვილის მოკლე ბიოგრაფია-დახასიათებას ცნობილი მწერალი ივანე გომართელი წაიკითხავს, ხოლო მის ლექსებს თავადი ნიკოლოზ ერისთავი წარმოსთქვამსო. 27 ოქტომბერს კი გაზეთი უკვე ჩატარებული ლექციის მოკლე მიმოხილვას აწვდიდა მკითხველს: ხაზგასმით აღნიშნავდა, თეატრი თითქმის სავსე იყო, დამსწრე საზოგადოებამ ტაშით დააჯილდოვა საღამოს სამივე მონაწილეო და მისთანანი.

არცთუ იშვიათად, ერთი შეხედვით წვრილმანი, უმნიშვნელო გარემოება განსაკუთრებულ სიცხოველეს ანიჭებს ჟამგარდასულის სურნელს; ამგვარ „წვრილმანად“ მესახება „დროების“ კორესპონდენტის „სასხვათაშორისო“ ცნობა: „სხვათა შორის, ამ ლექციისთვის სოფლიდან ჩამოვიდა განსვენებულ მგოსნის ნიკოლოზ ბარათაშვილის ღვიძლი და კნეინა ბარბარე ორბელიანისა“. ამ დროს კი კნეინა ბარბარე ორბელიანის გენიალური ღვიძლი ძმა გარდაცვლილი გახლდათ 64 წლის წინათ! ეს თავისთავად ღირსსაცნობი ფაქტი იმაზეც მიგვანიშნებს, რომ ახალგაზრდა გრიგოლ რობაქიძეს უკვე მოპოვებული ჰქონდა დიდი სახელი ქართულ საზოგადოებაში.

გრიგოლ რობაქიძის გამოსვლა სალიტერატურო სარბიელზე მის სალექციო მოღვაწეობას უკავშირდება. ცნობილია, რომ მას, ევროპასა და რუსეთში განსწავლულ, შემდეგში სახელმოხვეჭილ სხვა ეროვნულ მოღვაწეთა დარად, პირველად უჭირდა კიდეც საჯარო გამოსვლა ქართულად და ლექციებს ზოგჯერ რუსულად კითხულობდა. გრიგოლ რობაქიძის სალექციო მოღვაწეობის დასაწყისი მეტად მრავლისმომცველი, ტევადი თემაა, რომელსაც უსათუოდ მონოგრაფიული გაშუქება ესაჭიროება.

ამჯერად მკითხველს შევახსენებ დავით კლდიაშვილის მემუარების ფრაგმენტებს:

„ამ ხანებში იყო ქუთაისში პირველი გამოსვლები საჯარო ლექციებით გრიგოლ რობაქიძის. გრიგოლი ამ ლექციებს კითხულობდა რუსულ ენაზედ. ხალხი უზომოდ ესწრებოდა. დიდად ვწუხდით, რომ ლექტორი ერიდებოდა ქართულად გამოსვლას.

... გულდაწყვეტილებმა შევუთვალეთ — ლექციები ქართულად ეკითხნა.

გრიგოლმა შემოგვითვალა, რომ მალე ქართულად ვიწყებ ლექციებსო და მოკლე ხანში კიდეც აასრულა თავისი დანაპირები. მახსოვს პირველი მისი საჯარო ქართულად წაკითხული ლექცია. ლექცია იყო ბარათაშვილზედ.

საზოგადოება განსხვავებულ აღტაცებაში მოიყვანა ამ ლექციამ“...

ზემოთქმულის გათვალისწინებით ცხადია, რომ გრიგოლ რობაქიძის ლექციას ბარათაშვილზე მართლაც განსხვავებული გამოხმაურება უნდა მოჰყოლოდა და მოჰყვა კიდეც!

ჯერჯერობით გამოუქვეყნებელია (ეგების მის არქივში აღმოჩნდეს!) გრიგოლ რიბაქიძის ლექცია ბარათაშვილზე; მით უმეტეს ღირსსაცნობია მისი ლექციის „პროგრამმა“ ანუ თეზისები, გამოქვეყნებული „დროების“

I

„შესავალი, ორი სახის მხატვარი: ერთი, რომელიც იქცევა სხვადასხვა სახედ, რომ მათში ცხოველჰყოს საკუთარი სახე; მეორე, რომელიც ხსნის საკუთარ სახეს, რომ აქციოს იგი სხვადასხვა სახედ. პარალელი: შექსპირი და ბაირონი. ბარათაშვილი მეორე სახის მგოსანთა ჯგუფს ეკუთვნის. მისი მხატვრული ნაკვთი მისი სულიერი განცდის ნაკვეთია: მისი პოეტური შემოქმედება მისი სულიერი დრამაა.

მთავარი მოტივი ბარათაშვილის ლირისა, შედარება: თარის ხმა როგორც წარსულის ამოკვნესა, მაგალითი: ყოფილი და თანამედროვე ელლადა; წარსული აღვიძებს რომანტიულ გრძნობას მარადისობისას; აწმყო — საშინელს ფიქრს ცხოვრების ამაოებისას. გრძნობა მარადიულისა და ფიქრი წარმავალისთვის — აი მთავარი ჰანგი მგოსნის ჩანგისა. ლექსი: „ფიქრი მტკვრის პირად“.

II

ბარათაშვილი ცდილობს სიყვარულში იპოვოს ხსნა. ლექსები: „შევიშრობ ცრემლსა“, „არ უკიჟინო სატრფოო“, „ბულბული ვარდზე“. სიყვარული მისთვის უზენაესი მსხვერპლია. სხეულება და სულიერება სიყვარულში. ბარათაშვილი სქესური სიყვარულის სფეროში ხედავს იმავ წარმავალობას, იმავ ამაოებას, — და სულიერი დრამა მისი ღრმავდება.

მგოსანი მარტოდ რჩება. ლექსი: „სული ობოლი“. პრობლემა მარტოობისა და ფილოსოფია განდგომილობისა. ყოველისგან განდგომილი, მგოსანი ბუნებას უახლოვდება; ხოლო იმგვარ ბუნებას კი, რომელიც მასში აღვიძებს მისი ლირის მთავარს მოტივს: მტკვარი და მთაწმინდა — აი მისი მეგობრები. ლექსი: „შემოღამება მთაწმინდაზე“.

III

ბუნებასთან დაახლოება ვერ სწყვეტს მარტოობასა: მას ხსნის მხოლოდ რელიგია, ერთგვარი ზებუნებრივი ცდილება. ბარათაშვილი ვერ ასცილდა ბუნებასა და რჩება ყოველს მოწყვეტილი. გარშემომცველი ქართველობა მას ვერ აკმაყოფილებს: იგი იმავ ამაოებას ულვიძებს მას. ამაოება ეხლა მას გაპიროვნებული სახით ევლინება. ლექსი: „სულო ბოროტო“. სული ამაოებისა სწამლავს მგოსანს მაშინაც კი, როცა იგი შემოქმედების ტაძარში

საშსხვერპლო-სამლოცველოს ჰქმნის. ლექსი: „ვპოვე ტაძარი“.

ბარათაშვილის სულისკვეთება მის სასოწარკვეთად იქცევა. იგი მოსწყდა მსოფლიოს და უფსკრულში უნდა შთაინთქას. ამ თვითმკვლელობის წინ იგი უხმობს თავის პოეტურ ფანტაზიას, თავის მერანს, რომ ქვესკნელში გადაფრინდეს. ლექსი: „მერანი“.

პარალელი: ბარათაშვილი და ბაირონი.

დასკვნა: ბარათაშვილი და ქართველობა“.

ეს თეზისები საკმარისია იმისათვის, რათა გაეცნოთ ზემოთნახსენებ პაექრობასთან დაკავშირებულ არჩილ ჯორჯაძის და დიმიტრი უზნაძის კრიტიკულ ნააზრევში.

ამ პუბლიკაციის სათაურის შერჩევისას გურამ ასათიანის ცნობილი ნარკვევის სათაური ამეკვიატა – „როგორ უყვარდათ საქართველოში“. დასესხება მსურდა, რათა ამ წერილისათვის მეწოდებინა – „როგორ პაექრობდნენ საქართველოში“.

საქმე ის არის, რომ პირადად მე ეს პაექრობა სამაგალითოდ მიმაჩნია. არა მხოლოდ იმისათვის, რომ XX საუკუნის ქართული კულტურის უდიდეს მოღვაწეთ ეხება, არც იმის გამო, რომ მასში ავტორთა განსაკუთრებული, ღრმა აზროვნება ან კრიტიკული პათოსი გამოიკვეთა... უწინარეს ყოვლისა, სანიმუშო და სამაგალითოა მოპაექრეთა ეთიკა – პირუთვნელობასა და ობიექტურობასთან შეზავებული, ზრდილი, თავშეკავებული ტონი, უღრმესი პატივისცემისა და მადლიერების გამჟღავნება ერთურთის მიმართ.

უჩვეულოა ის ფაქტიც, რომ გრიგოლ რობაქიძის ლექციას სულ რაღაც ორიოდე დღის შემდეგ გამოეხმაურა ჯერ კიდევ ახალგაზრდა, თუმცა ლიტერატურულ-კრიტიკულ თუ ეროვნულ-პოლიტიკურ სარბიელზე უკვე სახელმოხვეჭილი არჩილ ჯორჯაძე (იგი ამ დროს 37 წლისა იყო).

არჩილ ჯორჯაძის „პოეზიის სამფლობელოში. გ. რობაქიძის ლექციის გამო“ გამოქვეყნდა გაზეთ „დროების“ 239-ე ნომერში. გრიგოლ რობაქიძე ფიცხლავ გამოეხმაურა მის წერილს და „დროების“ მომდევნო, 240-ე ნომერში დასტამბა „მცირე განმარტება. არჩ. ჯორჯაძის წერილის გამო“. ამას მოჰყვა არჩილ ჯორჯაძის „მცირე განმარტების განმარტება. კიდევ გრ. რობაქიძეს“ („დროება“, №247); აგრეთვე – დიმიტრი უზნაძის ვრცელი წერილი „ბარათაშვილის ლირის მოტივები (გრიგოლ რობაქიძის ლექციის გამო)“ („დროება“, №252 და №253).

გრიგოლ რობაქიძემ კვლავ სწრაფადვე გასცა პასუხი ორივე კრიტიკოსს – არჩილ ჯორჯაძესა და დიმიტრი უზნაძესაც – წერილით „შემო-

ქმედი და გარემო (კიდევ ჩემი ლექციის გამო)" („დროება", №257).

არჩილ ჯორჯაძის ზემოხსენებული ორივე წერილი შემდეგში დაისტამბა მის თხზულებათა კრებულის მესამე წიგნში („თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა", ტფილისი, 1911წ.), ხოლო ახლახანს – 1989 წელს გამოცემულ „წერილებში" (გამომცემლობა „მერანი", შემდგენელი – აკაკი ბაქრაძე).

ზემოთქმულის გათვალისწინებით, არჩილ ჯორჯაძის წერილების მხოლოდ ზოგიერთ მონაკვეთს შევეხები, რათა სრულყოფილად წარმოჩნდეს პაექრობის ღერძი – გრიგოლ რობაქიძის ლექცია; დაინტერესებული მკითხველი კი იოლად მოიძიებს ამ წერილს.

უწინარეს ყოვლისა, თქვენს ყურადღებას მივაპყრობ გრიგოლ რობაქიძის – პიროვნებისა და მოაზროვნის – ჯორჯაძისეულ შეფასებას: „... ადამიანი ნიჭით დაჯილდოებული, ... ამასთან იმგვარი ტიპისა, რომელიც დღემდე გამოუცნობელი რჩება ქართველ საზოგადოებისათვის, გამოუცნობელი მისტიკურ ფილოსოფიის წყალობით, რომელსაც აღიარებს იგი და რომელიც ჩვენი საზოგადოებისათვის სრულიად ახალ და დღემდე თითქმის უცნობ იდეურ მოვლენად ჩაითვლება.

...სასიამოვნოა, რომ გამოჩნდა კაცი, რომელიც კარგის, მკაფიო გამოსახულის ენით ესაუბრება საზოგადოებას პოეზიის და ხელოვნების შესახებ. ამ საქმეში გრ. რობაქიძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის და მადლობის მეტი არა ეთქმის-რა".

სათანადოდ შეაფასა არჩილ ჯორჯაძემ თეატრში თავშეყრილი ქართული საზოგადოებაც, რაც, მოიარებით, გრიგოლ რობაქიძის დიდ ავტორიტეტზეც მიგვანიშნებდა:

„საზოგადოება იმდენად მომწიფდა, რომ მზად არის სამი და ოთხი საათის განმავლობაში უსმინოს პოეზიის შესახებ სჯა-ბაასს, უსმინოს არა ისე, როგორც შეგირდები უსმენენ მასწავლებლის გაკვეთილს, არამედ შეგნებულად, ჩაფიქრებით, უნდობლობის და თანაგრძნობის გამოაშკარავების უნარით.

ასეთი იყო აუდიტორია გრ. რობაქიძის ლექციაზე. ქართულ თეატრის დარბაზში შეგროვდა რჩეული ქართველი საზოგადოება, ამ სიტყვის უკეთესის მნიშვნელობით. მოვიდა ლექციაზე ბევრი იმათთაგანი, ვისაც ეროვნულ მწერლობის სვებედი აფიქრებს, ვინც პოეზიაში ეძებს პასუხს იმის შესახებ, ვინც ეტრფიალება ოცნებას და ოცნებისადმი სიყვარულში ჰპოვებს ნუგეშს და შვებას. დიაღ, ასეთი იყო შაბათის აუდიტორია ქართულ თეატრში. და ამისი მიზეზი ის იყო, რომ ლექციის საგანი

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია იყო – პოეზია, რომელიც თავის „შეწუხებულის მშვენიერების“ დაუშრეტელ წყაროთი ასე ატკბობს და იზიდავს ადამიანს, – აგრეთვე ის, რომ ლექტორად გამოვიდა გრ. რობაქიძე“.

დღესდღეობით ჩვენამდე მოღწეულ მემუარულ წყაროებში, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გრიგოლ რობაქიძის ორატორულ ხელოვნებას.

არჩილ ჯორჯაძე საგანგებოდ, პირუთვნელად და საკმაოდ კრიტიკულადაც ეხება ამ საკითხს:

„გრ. რობაქიძის ლექციის პირველმა ნაწილმა საზოგადოებას ვერ ასიამოვნა. პირველი შთაბეჭდილება, რომელსაც ხშირად გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს, ცოტა არ იყოს, უხერხული იყო, ასე რომ პირველ ხანში მიუდგომელი მსჯელობის უნარიც კი დაუკარგა მსმენელს. უხერხულობა წარმოსდგა ბუნებრიობის დარღვევისაგან. ლექტორმა დაიწყო თავისი სიტყვა ამაღლებულის, პათეთიურის კილოთი, რაიც ქართულ საუბარს, დინჯს, ტკბილს და დამშვიდებულს, – დამშვიდებულს თვით აღფრთოვანების მომენტებშიაც, სრულიად არ ეგუება. აშკარაა, ლექტორი ძლიერ აღელვებული იყო და ეს თავისი აღელვება დასაწყისში ვერ შეიკავა, რის გამოც ცოტა არ იყოს, გადალახა ესტეტიურ მოთხოვნილების ზომა და ბუნებრიობა. მაგრამ, საბედნიეროდ, გრ. რობაქიძემ თანდათან სძლია ამ ნაკლს და ლექციის მეორე და მესამე ნაწილში ნამდვილი არტისტი და ბატონი იყო თავისი სიტყვისა. და საზოგადოებასაც უკმაყოფილება აღარ ეტყობოდა, პირიქით, აშკარა იყო, რომ შეკრებილი ხალხი ლექტორთან ერთად იმსჭვალებოდა ერთის აზრით და მისწრაფებით. ეს გრ. რობაქიძის ორატორულ ნიჭიერებას უნდა მივაწეროთ, რასაც სიამოვნებით აღვნიშნავთ“.

არჩილ ჯორჯაძის მიზანდასახულობა – „მიუდგომელი მსჯავრი დაედო ლექციის საზოგადო ავკარგიანობისათვის“ – კრიტიკულ შენიშვნებშიც გამოიხატა.

ძირითადი შენიშვნა შეეხებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის სულიერი დრამის გენეზისის საკითხს: კრიტიკოსი „მისტიკოს-იდეალისტ“ გრიგოლ რობაქიძისათვის მიუღებლად მიიჩნევდა იმავე მეთოდოლოგიის გამოყენებას, რაც მომარჯვებული ჰქონდა საღამოს შესავალი სიტყვის ავტორს „მატერიალისტ და რეალისტ“ ივანე გომართელს:

„საყურადღებო ის იყო, რომ მისტიკოს-იდეალისტი გრ. რობაქიძე, ითქმის იმავ საფუძველზე იდგა, რა საფუძველზედაც ვნახეთ ჩვენ ჰატერიალისტი და რეალისტი ივ. გომართელი. ლექციის პირველი ნაწ-

ილი ეხებოდა მგოსნის სულიერ განცდის ანალიზს იმდენად, რამდენადაც ეს ანალიზი ნათელსა ჰფენდა პოეტის სულიერ დრამის გენეზისის საკითხს. რამ შეჰქმნა ბარათაშვილის პოეზია, სად უნდა ვეძებოთ მიზეზი ამ პოეზიის ნაღვლიანობისა, საიდან წარმოსდგა წყურვილი ძებნისა, გრძნობა მარადისობისა და ამაოებისა? გრ. რობაქიძეც გომართელსავით მიგვითითებს იმ დროინდელ საზოგადოების ვითარებაზე. წარსულში იყო თავისუფლება და დიდება, აწმყოში მონობა და გახრწნილება. აზრის ილუსტრაციისთვის ლექტორმა ძველი ელადაც გაგვახსენა. რას უნდა გრძნობდეს ადამიანი, თანამედროვე საბერძნეთში რომ წავიდეს და ყოველ ნაბიჯზე წარსულის დიდების ნანგრევებს ხედავდეს. „წარსული აღვიძებს რომანტიულ გრძნობას მარადისობისას, აწმყო საშინელს ფიქრს ცხოვრების ამაოებისას“. ბარათაშვილის დროინდელი საქართველოც პოეტს სწორედ ამ გრძნობებს უღვიძებდა გულში. „გრძნობა მარადიულისა და ფიქრი წარმავლისათვის — აი მთავარი პანგი მგოსნის ჩანგისაო“.

ამრიგად, გრ. რობაქიძემ ივ. გომართელსავით მიზეზობრივის კავშირით დააკავშირა ისტორიული პირობები, საზოგადოებრივი გარემო და მგოსნის პოეზიის და სულიერ დრამის შინაარსი. პოეტის პესიმიზმი და მსოფლმხედველობა გამოყვანილია პოლიტიკო-სოციალურ პირობებიდან. როდესაც ივ. გომართელმა აღიარა ეს აზრი, ჩვენ არ გაგვიკვირდა, გრ. რობაქიძემ კი სწორედ გაგვაოცა. მისტიკოს-იდეალისტი და ამგვარი მეთოდი! ერთი მეორეს არ შეესაბამება. რეალურ პირობებს, რა თქმა უნდა, დიდი გავლენა აქვს ადამიანის პიროვნების შემუშავებაში. ამ პირობების ზედგავლენით ხშირად იღვიძებს ადამიანის გულში უკმაყოფილება, მაგრამ იმისი აღიარება, რომ სოციალურ-პოლიტიკური წყობილება ლოღიკურად არის დაკავშირებული „მარადისობის“ და „ამაოების“ პრობლემასთან, მაინც შეუძლებელია. ბარათაშვილის პოეტური ჩანგი და მისი ძებნა მარადიულისა და მისი სასოწარკვეთილება სიცოცხლის ამაოების გამო, გამოწვეული იყო პოეტის ერთგვარ ფილოსოფიურ მიდრეკილებით და მისი ლირის ესტეტიურის ღრმაჩახედულებით. გრ. რობაქიძემ ამ საკითხს საკმარისი ნათელი ვერ მოჰფინა და ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე, თითქოს მარტოოდენ პოლიტიკურ დამოუკიდებლობის დაკარგვას შეეძლო ბარათაშვილის გულში შეექმნა და შეემუშავებინა შინაარსი მგოსნის პოეტურ შემოქმედებისა.

საგულისხმოა, რომ ილია ჭავჭავაძე, რომელმაც მოგვცა მოკლე და საკვირველის ზომით და ჩაფიქრებით დაწერილი წერილი ნ. ბარათაშვილის პოეზიის შესახებ, პოლიტიკურ ვითარების მნიშვნელობას პოეტის ჩანგის შემუშავებაში უკანასკნელ ადგილს აკუთვნებს. იგი წერილის

ბოლოში ამბობს: „არც ნ. ბარათაშვილი იყო უიმისო, რომ გულში დარდად არ ჰქონოდა ბედი ქართლისა, ბედი მის მამულისა“. ამის შესახებ პოეტი „ბევრს საგულისხმო რამეს გვეუბნება და ქართველის ამომშრალს გულში ბევრს ნამს ნატვრისას და ნახვისას აწვეთებს“. ბოლოს „ახალ ქართლის“ ყოფა-ცხოვრებას თითქო შეურიგდა პოეტი, მაგრამ ესეც კი მისი ნათქვამია: „რა ხელს ჰყრის პატივს ნაზი ბულბული, გალიაშია დატყვევებულიო“. როგორც ხედავთ, ილია ჭავჭავაძე, ხაზს არ უსვამს პოლიტიკურ დამოუკიდებლობის დაკარგვის გარემოებას და აქედან არ გამოჰყავს პოეტის სულისკვეთების შინაარსი. ილიას აზრით, ვაება კაცობრიობისა ის არის, რომ მიზეზი აქვს ძებნისა, ეძებს და ვერ უპოვნია. „აი, სად არის სათავე ადამიანის სასოწარკვეთილებისა, ყოველისფრის უარყოფისა, რომელიც ზოგჯერ, ხანდახან, ასე დაიპყრობს ხოლმე მთელს მოაზროვნე კაცობრიობასა და შავად მღელვარის ფიქრებით ავსებს ადამიანის ცხოვრებასო“.

არჩილ ჯორჯაძე დაასკვნიდა:

„ჩვენ ილია ჭავჭავაძის განმარტება ნ. ბარათაშვილის პოეზიისა უფრო მართებულ და ჭეშმარიტ განმარტებად მიგვაჩნია, ვიდრე ის, რომელიც მხატვრულის ფორმით და კეთილშობილურის აღფრთოვანებით გადაგვიშალა შაბათს საღამოს ლექციაზე გრ. რობაქიძემ“.

კრიტიკოსმა მცდარად მიიჩნია „მერანის“ რობაქიძისეული გააზრება და აქაც ილია ჭავჭავაძის შეფასებას დაუჭირა მხარი:

„ილია ჭავჭავაძის განმარტების უპირატესობა სჩანს აგრეთვე იქიდანაც, თუ როგორ ხსნის იგი ბარათაშვილის „მერანის“ შინაარსს. გრ. რობაქიძის აზრით, „მერანში“ ისახება პოეტის უკიდურესი სასოწარკვეთილება. მან ვერ ჰპოვა ნუგეში ვერც სიყვარულში, ვერც ბუნების ჭვრეტაში, ვერც რელიგიაში. „ბარათაშვილის სულისკვეთება მის სასოწარკვეთად იქცევა. იგი მოსწყდა მსოფლიოს და უფსკრულში უნდა შთაინთქას. ამ თავისმკვლელობის წინ იგი უხმობს თავის პოეტურ ფანტაზიას, თავის მერანს, რომ ქვესკნელში გადაფრინდესო“. ასეთია აზრი ლექტორისა. ილია ჭავჭავაძის შეხედულებით კი „მერანში“ პოეტი „ბედს უცხადებს ომს“, და ეს ლექსი სასოწარკვეთილების გამომსახველი არ არის, მასში უფრო „ზეკაცობისადმი“ მისწრაფებაა ჩასახულიო. ილია ამბობს: „აშკარაა, საზღვარ-დადებული სიგრძე-სიგანე ადამიანის აზროვნებისა ჩვენის პოეტის „სულის კვეთებას“ ვერ იტევს. მას სწყურს ეს საზღვარი ბედისა გაარღვიოს (ხაზი ჩვენია) და ნიავს მისცეს თავისი „შავად-მღელვარე ფიქრი“, რომ დაუსრულებელი სივრცე ცისა და ქვეყნისა მოიაროს. ბაირონის კაინმა ამისთვის ლუციფერი აიჩინა, გეტეს

ფაუსტმა — მეფისტოფელი და ჩვენმა პოეტმა თავისი „მერანი“, ე. ი. თავისი სულის ქროლვა. პოეტი ჰნუგეშობს, „რომ ეს გაძალიანება, ეს თავგანწირულება, ეს „სულისკვეთება“, ეს პირდაპირი ომი ბედთან ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლისო“. როგორც ხედავთ, აქ „უფსკრულში შთანთქვის“ სურვილი არ სჩანს და ილია ჭავჭავაძემაც ხაზი სწორედ ამ გარემოებას გაუსვა“.

გარდა საერთო დადებითი შეფასებისა, არჩილ ჯორჯაძე „შეუდარებელს“ უწოდებდა ზოგიერთ მონაკვეთს; მაგ: სიყვარულისა და ბუნებასთან სიახლოვის მოტივების რობაქიძისეულ ანალიზს: „შეუდარებელი იყო მისი ანალიზი სიყვარულისა და პოეტის სულიერ დრამის გაღრმავებისა მის გამო, რომ სიყვარულში ვერ ჰპოვა მან ის, რასაც ეძებდა. შეუდარებელი იყო აგრეთვე ბუნების სიახლოვით გამოწვეული გრძნობების ანალიზიც და ის, რომ ვერც ბუნების ციაგსა შორის ჰპოვა სულის მყუდროება და სიმშვიდე“.

არჩილ ჯორჯაძე ჩვეული კეთილმოსურნეობით ასრულებდა წერილს:

„მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილა გრ. რობაქიძის ლექციის ზოგიერთმა დებულებამ და აზრმა, არ შეიძლება არა ვსთქვათ, რომ ამ და სხვა მის მსგავს ლექციებს ქართულ ლიტერატურისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს“.

უკვე ითქვა, თუ რა სწრაფად გამოეხმაურა გრიგოლ რობაქიძე უფროსი კოლეგის შეფასებას. ეს წერილი დღემდე უცნობია ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის, ამიტომ მიზანშეწონილია მისი სრულად წარმოდგენა:

„დიდის სიამოვნებით წავიკითხე ბ. არჩილ ჯორჯაძის წერილი შესახებ ჩემი ლექციისა. არა იმიტომ, რომ ამ წერილში ბევრგან ჩემი ქებაცაა, არამედ იმისთვის, რომ აქ მეტად მიუდგომელი კრიტიკაცაა გაყვანილი. აქამდე ჩემს ლექციებს ან აღფრთოვანებით ხვდებოდნენ ან ლანძღვა-გინებით; პირველსა და მეორე შემთხვევაშიც მხოლოდ საერთო შთაბეჭდილებას გადასცემდნენ. არჩილ ჯორჯაძის წერილში კი საერთო შთაბეჭდილებასთან ერთად ლექციის ავკარგიანობაზედაც არის ლაპარაკი, ლაპარაკი მიუდგომელი, გაზომილი, ობიექტური. ეს სასიხარულო მოვლენად მიმაჩნია ჩვენს მოწამლულს ატმოსფეროში: არჩილ ჯორჯაძის წერილი ნიმუშია იმისი, თუ როგორ უნდა იწერებოდეს კრიტიკული შენიშვნა. ნაკლის ჩვენება საწყენი არაა, რადგან არც სრულია არავინ. მაგრამ იგი ჩვენება უნდა იყოს სიყვარულით გამოწვეული და არა შურიანი მძულვარებით. ვიმეორებ: არჩილ ჯორჯაძის წერილი მეტად

სასიამოვნო .შთაბეჭდილებას ახდენს თავის მეგობრული ჯოდნით და მიუდგომელი აწონ-დაწონვით.

აქ მინდა აღვნიშნო, რომ არჩილ ჯორჯაძემ სხვანაირად გაიგო ჩემი აზრი შესახებ ბარათაშვილის ლირის მთავარი მოტივის წარმოშობისა. იგი წერს: „გრრობაქიძემ ამ საკითხს საკმარისი ნათელი ვერ მოჰფინა და ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე, თითქოს მარტოოდენ პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვას შეეძლო ბარათაშვილის გულში შეექმნა და შეეშუშაებინა შინაარსი მგოსნის პოეტურ შემოქმედებისა“. ჩემი აზრის ასე გაგებაში ბრალი მე თვითონ მიდევს. როგორც პატივცემულ ავტორს შეუმჩნევია, ლექციის დაწყების წინ მეტად აღელვებული ვიყავი, მაღალი ტონით დავიწყე, ხმას თავისუფლად ველარ ვხმარობდი, და აღძრული კითხვა ვერც განვავითარე და ვერც სავსებით გავანათე, ბევრი კიდეც გამოვტოვე. მეორე და მესამე ნაწილში კი მას ვერ დავუბრუნდი, რადგან მათი მთლიანობის დარღვევის მეშინოდა.

აი, რა აზრის განვითარება მინდოდა. მგოსანი და ეროვნული სხეული ორგანულად არიან ერთი მეორესთან დაკავშირებულნი. ყოველი მგოსანი ინდივიდუალობაა, და როგორც ამგვარი, განუმეორებელი, განსაკუთრებული, განცალკევებული; მას საკუთარი ბუნება აქვს, რომელიც სხვისგან არ გამოიყვანება და არც სხვად დაიყვანება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი არ არის მოწყვეტილი: პირიქით, იგი შესხეულებულია მსოფლიოსთან და უხდება თავის ბუნების გაშლა მსოფლიოს განსაზღვრულ ფარგლებში. აქედან, მისი შემოქმედება ორი თვალსაზრისით უნდა იხილებოდეს: აბსოლუტურით და ისტორიულით. აბსოლუტური თვალსაზრისი ფაქტად აღნიშნავს მგოსანის ბუნებას, მის ერთხელ მოვლენილსა და განუმეორებელს ინდივიდუალობას; ისტორიული თვალსაზრისი მიზეზობრივ ხსნის, თუ რომელ განსაზღვრულ წერტილში მხილდებოდა (და არა იქმოდა) მისი ბუნება. ამნაირადვე შეგვიძლია განვიხილოთ ბარათაშვილიც. იგი თავის გენიალურ ბუნებით წინ უსწრებდა მთელს მის თანადროულ ქართველობას, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი მთელი თავისი არსებით ქართველობის, როგორც სულიერი ერთეულის, სხეულს ეკუთვნოდა. მისი ბუნება, რასაკვირველია, განსაკუთრებული, სხვით გამოუყვანელი იყო, მაგრამ იგი ვითარდებოდა, მხილდებოდა ეროვნულ საზღვრებში. მე ვამბობდი: „წარსული აღვიძებს რომანტიულ გრძნობას მარადისობისას, ხოლო აწმყო საშინელს ფიქრს ცხოვრების ამაოებისას“. მივაქცევ ყურადღებას ამ ფრაზას. აქ არის ნათქვამი: „აღვიძებს“ და არა „ჰქმნის“. ეს კი სხვა აზრს გამოსთქვამს, ვიდრე პატივისცემულ ავტორს ჰგონია. გარდა ამისა, მე სიტყვადაც არ მიხმარია გამოთქმა: „სოციალ-პოლიტიკური“, და არც ვიხ-

მარ, რადგან მე, ბარათაშვილის დროის საქართველოს დაცემას რომ ვეხები, მხედველობაში მაქვს ქართველთა კულტურული, შემოქმედებითი ძალის მოქანცვა, დაღლილობა, დასუსტება; სოციალ-პოლიტიკური მომენტი კი აქ „სხვათა შორის“ გამოდის. მთავარ მოტივს ბარათაშვილის ლირისას მისი ლექსი „მტკვრის პირას“ გვამცნევს. რომანტიული გრძნობა მარადისობისა ამ სიტყვებშია გამონაკვთული: „ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის, რას იტყვი? მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი!“ ხოლო ამ გრძნობას თან სდევს საშინელი ფიქრი ცხოვრების ამაოებისა, რომელიც შემდეგ სიტყვებშია ჩამოსხმული: „არ ვიცი, ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება, რად იყო ფუჭი და მხოლოდ ამაოება?“ უდიდესი ქმნილება ბარათაშვილისა „ბედი ქართლისა“ და მისი შესანიშნავი ლექსი „მეფე ერეკლეს საფლავზე“ მჭერმეტყველურ მოწმობენ, რომ მისი პოეზია ეროვნულ საზღვრებშია აღმოცენებული; ხოლო იგი თავის ძლიერებით გარდალახავს ეროვნულ საზღვრებს და შემდგომ ხდება ყოვლად — კაცობრულად. ყოველი დიდი ქმნილება ასე იბადებოდა. შორს რომ არ წავიდეთ, მაგალითისათვის იბსენის დრამატულ პოემას „პერ გინტს“ მოვიყვან: „პერ გინტი“ ნორვეგიულ ნიადაგზეა აღმოცენებული და შემდგომ მსოფლიურად გადაქცეული. აი, ჩემი შენიშვნა. ვიმეორებ: ჩემი აზრის სხვანაირ-გაგება ჩემივე ბრალია.

რაც შეეხება „მერანს“, მე მისი განმარტება ილია ჭავჭავაძის მიერ ყალბად მიმაჩნია. ეს ლექციაშიც მაქვს ახსნილი, ხოლო მის მთლიანობას არღვევს და გვერდს ვუხვევ, არ ვამბობ. როცა ჩემი ლექცია დაიბეჭდება, მაშინ ილია ჭავჭავაძის აზრის განხილვა ვრცელ შენიშვნად იქნება ჩართული“ („მცირე განმარტება. არჩ. ჯორჯაძის წერილის გამო“, „დროება“, №240).

არჩილ ჯორჯაძე, ძირითადად, ფილოსოფიურ ჭრილში განიხილავდა გრიგოლ რობაქიძის ლექციას. მის პასუხშიც იგივე მდგომარეობაა და ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან არჩილ ჯორჯაძე უწინარეს ყოვლისა პუბლიცისტი და ფილოსოფოსი გახლდათ და არა ლიტერატურის კრიტიკოსი. პასუხი — „მცირე განმარტების“ განმარტება (პასუხად გრ. რობაქიძეს)“ საკმაოდ ვრცელია, ამიტომ მხოლოდ ორიოდე მონაკვეთის ციტირებით დავკმაყოფილდები:

„გრ. რობაქიძის განმარტება ნათელია და ჩემთვის საკმაოდ არის გარკვეული ის,თუ რა უნდა ეთქვა ლექტორს და რა ხასიათისაა მისი აზრი ნიკ. ბარათაშვილის პოეზიის გენეზისის საკითხში. მაგრამ ამ აზრის გარკვეულობამ მხოლოდ ამ მხრივ დამაკმაყოფილა. არსებითად კი მე ვერ გავყვები გრ. რობაქიძეს აბსოლუტის ფარგალში და აბსოლუტურის

თვალსაზრისით ვერ განიმარტავ პოეტის შემოქმედებით ნიჭს. არ შემიძლიან მივიღო გრ. რობაქიძის ორი საზომი, ორი კრიტერიუმი — ერთი აბსოლუტური, მეორე ისტორიული. მზად ვარ ვაღიარო კრიტერიუმი „ისტორიული“, ხოლო ამ „ისტორიულში“ ჩემის შეგნებით, უნდა შედიოდეს როგორც მატერიალური გარემო (პოლიტიკური ფორმა მმართველობისა და საწარმოო ძალთა ურთიერთობა), ისე ყოველივე ის, რაც ამ გარემოს გარეშეა აღმოცენებული, ხოლო რასაც პოეტის სულიერ ვითარებაზე აქვს გავლენა — კაცობრიობაში დამკვიდრებული ფილოსოფიური, რელიგიური და ესტეტიკური აზრები. ასე რომ, განსხვავება ჩემი და ივ. გომართელის პოზიციისა ის არის, რომ მე „ისტორიული პირობები“ უფრო ფართოდ მაქვს განმარტებული, „ისტორიულში“ ჩაქსოვილი მაქვს რთული კომპლექსი მატერიალურის და იდეალურის ძალებისა, რომელნიც მოქმედებენ ადამიანის ბუნებაზე. გრ. რობაქიძეს კი არ ვეთანხმები იმაში, რომ არა მსურს გადავაცილო საზღვარი ემპირიულის მოვლენათა და ადამიანის პიროვნებას არ ვსაზღვრავ, როგორც „ერთხელ მოვლენილ და განუმეორებელ ინდივიდუალობას“, რომელიც არა ისტორიულის, არამედ აბსოლუტურის საზომით უნდა იზომებოდეს.

... თუ რომელიმე მოვლენა ემპირიულის კრიტერიუმით ვერ ირკვევა, ეს გარემოება სრულიადაც არ გვავალებს მივმართოთ მეტაფიზიკურ ახსნას... ემპირიული მეცნიერება თავის კვლევა-ძიებაში მიადგა ერთგვარ ზღუდეს, რომლისგან გასავალს ჯერხნობით ვერ ხედავს. მაშ თუ ზღუდეა და გასავალი არ არის, ჩვენ გამოგვყევით, ამბობენ მეტაფიზიკები და ყოველივე ნათელი გახდება თქვენთვის. მაგრამ, როგორც ვსთქვით, ადამიანის რაციონალიზმი, კრიტიკულ პირობებში ჩაყენებული, ამგვარ სულმოკლეობას ვერ გამოიჩენს. აქამდა რაციონალურად ვერ აუხსნია მას სიცოცხლის პრობლემა, არარაციონალურ საბუთს მის თვალში ფასი არ უნდა ჰქონდეს, რადგან ორში ერთია, ან რაციონალიზმია შემეცნების საფუძველი, ან ისეთი რამ, რაც რაციონალიზმს ანგარიშს არ უწევს — ინსტინქტი, ინტუიტივიზმი, დიონისიზმი და სხვა ამგვარი. თუ რაციონალურსა და ირრაციონალურს შორის ბრძოლაა, ბრძოლა ეს ჯერ არ დამთავრებულა და სანამ ირრაციონალიზმი არ გაიმარჯვებს რაციონალიზმზე, რაციონალიზმის მიმდევარნი თავის ნიადაგს არავის დაუთმობენ და არ შეიწყნარებენ სიცოცხლის იმგვარ განმარტებას, რომელსაც ირრაციონალური განმარტების ხასიათი აქვს. არ შეიწყნარებენ იმ შემთხვევაშიც, თუნდაც რომ მათი რაციონალური განმარტება უძლური იყოს სიცოცხლის საიდუმლოების ახსნის კითხვაში.

და რაცა ვსთქვით სიცოცხლის შესახებ, ითქმის პოეზიის შესახებაც.

განმარტეთ პოეტის ლირა ემპირიულად. ახსენით პოეზიის შინაარსი ისტორიულად. ნათელი ჰფინეთ იმ კავშირს, რომელიც არსებობს „გარემოსა“ და პოეტის შემოქმედებას შორის. სთქვით თუ გნებავთ, რომ ეს კავშირი მიზეზობრივია. და როდესაც ყოველივე ამას აღასრულებთ, მაინც დარჩება გამოურკვეველი ერთი რამ — რთული ფსიქიური შემოქმედება პოეტისა, დარჩება გამოურკვეველი შემოქმედების საიდუმლოება და მისწრაფება „მარადიულობისადმი“ და უსაზღვროებისადმი, რომელიც პოეტის შემოქმედების საფუძველს შეადგენს. ეს ასეა, და მიუხედავად იმისა, ჩვენ მაინც არ ვხმარობთ „აბსოლუტურ“ საზომებს და ონტოლოგიურ არგუმენტებს შემოქმედებითი პროცესის ასახსნელად. საიდუმლოების წინაშე ჩაფიქრებულნი ვდგავართ და თავი არ გვინდა ვიხსნათ „სასწაულის“ აღიარებით. თუ გამოუცნობელი გამოსაცნობია, ხომ კარგი, ხოლო თუ იგი გამოუცნობელ კითხვად დარჩება სამუდამოდ, ეს ტრაგიკული მდგომარეობა ხვედრი ყოფილა ადამიანისა და ამ „ტრაგიკულის“ დათრგუნვისაკენ იქმნება მიმართული ადამიანის ძალ-ღონე. გამარჯვება დარჩება ადამიანს თუ არა, ესეც საიდუმლოებით არის მოცული“.

ზემომოტანილ ფრაგმენტებში კიდევ უფრო არაორაზროვნად წარმოჩნდა, რომ არჩილ ჯორჯაძე პრინციპული წინააღმდეგი იყო გრიგოლ რობაქიძის მრწამსისა (რაციონალიზმი — ირაციონალიზმის წინააღმდეგ). მით უმეტეს სანიმუშოა მისი წერილის დადინჯებული, უაღრესად კორექტული ტონი.

მალე პაექრობაში ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე (23 წლისა), შემდეგში განთქმული ფსიქოლოგი და ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებელი დიმიტრი უზნაძე ჩაერთო. იმხანად მას დამთავრებული ჰქონდა ლაიფციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტი.

ქართული ენციკლოპედიის X ტომში (1986წ.) აღნიშნულია: დ. უზნაძე „1910 წლიდან ქართ. ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა თავის შრომებს ფსიქოლ., პედ., ფილოს. და ლიტ-რის საკითხებზე“. თარიღი უსათუოდ უნდა ჩასწორდეს, რადგან დიმიტრი უზნაძის ვრცელი წერილი (დაიბეჭდა „დროების“ ორ — 252-ე და 253-ე ნომრებში) გრიგოლ რობაქიძის ლექციის გამო 1909 წლით თარიღდება. საგანგებოდ დავინტერესდი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფების ნანა ბაღათურიასა და ია დუდუჩავას მიერ შედგენილი ბიობიბლიოგრაფიით „დიმიტრი უზნაძე“, თბილისი, 1984წ. 1909 წლიდან, კერძოდ — სწორედ „ბარათაშვილის ლირის მოტივებით“ — იწყება დიდი მეცნიერის პუბლიკაციათა ნუსხა!

ჩანს, ეს წერილი ჯერჯერობით არ არის შესწავლილი ქართული

ფილოსოფიური აზროვნების მკვლევართა მიერ. დიმიტრი უზნაძის ცნობილი გამოკვლევა ნიკოლოზ ბარათაშვილზე მოგვიანებით გამოქვეყნდა.

1909 წლის მიწურულისათვის დიმიტრი უზნაძე ქუთაისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. მისი წერილი გრიგოლ რობაქიძის მიერ ქუთაისში 7 ნოემბერს წაკითხულ ლექციას ეხება; ახალგაზრდა ავტორი ითვალისწინებს და მიუღებლადაც თვლის არჩილ ჯორჯაძის ზემოხსენებულ სტატიებში წარმოთქმულ მოსაზრებებს. დიმიტრი უზნაძის ძირითადი კრიტიკული შენიშვნებიც, არჩილ ჯორჯაძის მსგავსად, ფილოსოფიის არეალს განეკუთვნება. მიუხედავად წრფელი აღტაცებისა გრიგოლ რობაქიძის „წარმტაცი ლექციით“, დიმიტრი უზნაძე, თუმცა უპირატესობას (არჩილ ჯორჯაძის შეხედულებებთან მიმართებაში) ლექტორის მრწამსს ანიჭებს, მასაც ბევრ რამეში არ ეთანხმება.

მის წერილში „ბარათაშვილის ლირის მოტივები (გრიგოლ რობაქიძის ლექციის გამო)“, ახალგაზრდული მაქსიმალიზმის უწინარეს, აზრისა და მისი გამოხატვის სიცხადე, ფართო განსწავლულობა, არაორდინალური მსჯელობა და აღიარებულ ავტორიტეტთა მიმართ ქედუხრელობა მჟღავნდება. წერილი უთუოდ მიგვანიშნებდა ბრწყინვალე მომავლის მქონე მეცნიერზე, მის დიდ შემოქმედებით პოტენციაზე. ის განმეორებით აღარ დაბეჭდილა. ფართო მკითხველი, ფაქტობრივად, პირველად გაეცნობა ამ წერილსაც:

„საინტერესოა, როდესაც რომელიმე მკვლევარი თავის გამოკვლევის საგნად რაიმე საყურადღებო მოვლენას იღებს და უფრო საინტერესოა ეს კვლევა, თუ იგი ისეთ ფორმებში ისხმება, რომ შეეძლება ანგარიში გაუწიოს ჩვენი ფართო ბუნების მრავალ მოთხოვნილებას. ადამიანის არსში კი ოთხი შინაგანი ღირებულება მარხია, და ამათ შორის ორს — ინტელექტუალურსა და ესთეტიურ ღირებულებას — განსაკუთრებული ადგილი უნდა მიენიჭოს. როდესაც მიზნად ისახება რაიმეს გამოკვლევა, ყველაზე უწინარეს პასუხს უნდა აძლევდეს იგი ჩვენი ბუნების ამ ორ მოთხოვნილებას, და რაც უფრო დამაკმაყოფილებელი იქნება ეს პასუხი, მით უფრო ღირსეულად ვცნობთ გამოკვლევას. იგი შესაძლებელია უნაკლულო პასუხს აძლევდეს ჩვენ ინტელექტუალურ მოთხოვნილებას, მაგრამ იმავ დროს სრულებით უვარგისი იყოს ჩვენი ბუნების ესთეტიურ მოთხოვნილების თვალსაზრისით. იმ შემთხვევაში მისი შემოქმედების ასპარეზი შეზღუდულია, მისი გაელენა ვიწრო წრით შემოფარგლული. ასეთია კანტისა და ჰეგელის ფილოსოფიური თხზულებანი. მათი გაელენის ასპარეზი სპეციალისტთა ვიწრო წრით იფარგლება.

მაგრამ როდესაც რომელიმე გამოკვლევა ჩვენ ესთეტიურ გრძნობასაც

ანგარიშს უწევს, როდესაც ღრმა შინაარსი მშვენიერ ფორმაში იხატება, მაშინ მისი გავლენის ფარგლები ფართოვდება და იგი უფრო აქტიურ სახესა ღებულობს. ასეთია პლატონისა და ნიცშეს ნაწარმოებნი. აზრი მშვენივრად გამოთქმული უფრო გასაგებია, უფრო წარმტაცია ჩვენთვის და რამდენადაც უფრო მშვენიერია ფორმა, იმდენად უფრო მნიშვნელოვანია ჩვენთვის ნაწარმოები. მშრალ სიტყვებში აბსტრაქტულად გამოთქმული აზრი მოსაწყენია და მით უფრო მოსაწყენი, თუ იგი ზეპირ წარმოითქმის, თუ იგი ფართო საზოგადოებაზე უნდა მოქმედებდეს. ფილოსოფიური საკითხები ჩვენი საზოგადოებისთვის რაღაც ახალს წარმოადგენენ და ამიტომ მით უფრო საჭიროა მკვლევარმა მასზე მშვენიერის ფორმით იმოქმედოს. ამიტომ კარგად იქცევა რობაქიძე, როდესაც იგი თავის ლექციებს მხატვრულად წარმოსთქვამს.

რობაქიძის უკანასკნელი ლექცია ქუთაისში („სულიერი დრამა ნიკოლოზ ბარათაშვილისა“ 7 ნოემბერს) ამას გარდა მდიდარია შინაარსით და მშვენიერი ფორმით. იგი მხატვრული დასურათხატებაა ბარათაშვილის პოეზიის მოტივებისა. ამიტომ ვერ მოესთხოვ იმას, რისი მოთხოვნაც შეგვიძლია ჩვეულებრივ, აბსტრაქტულ ხასიათის ლექციისაგან. ჩვენ შევეხებით აქ მხოლოდ ზოგიერთ იმ პრობლემას, რომელსაც რობაქიძის ლექცია იკვლევდა.

არჩილ ჯორჯაძის შენიშვნამ რობაქიძის ლექციის შესახებ ამაოებისა და მარადისობის გრძნობა ქართველ ინტელიგენტურ საზოგადოებისათვის პრობლემად აქცია. მისი აზრი ამაოების გრძნობის და მარადისობისაკენ მისწრაფების წარმოშვების შესახებ ფრიად მარტივია*, ჩვენი საზოგადოებისთვის არა უცნობი. გარეშე მიდამო ის საფუძველია, რომელზედაც აღმოცენდების ესა თუ ის მისწრაფება, ესა თუ ის შეხედულება, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ ხდება: ერთგვარი გარემო ხშირად სხვა და სხვა ლტოლვას, სხვა და სხვა მისწრაფებას აღმოაცენებს; ამიტომ აქ იბადება ჩვენი გონებისათვის რაღაც მიუწვდომელი, რაღაც განუჭვრეტელი, რაღაც ირაციონალური. ამიტომ აქ, შეიძლება მხოლოდ მეტაფიზიკას ჰქონდეს ადგილი, მაგრამ რაიმე საკითხის მეტაფიზიკურად გადაჭრა ჩვენი აზროვნების უძლურების დამამოწმებელი საბუთია. ამიტომ იგი უკუგდებულ უნდა იქმნას. ასეთია ჯორჯაძის აზრი დაახლოებით.

რობაქიძის შეხედულება საინტერესოა, იგი უფრო დაუცხრომელ,

---

*კონტექსტიდან ჩანს, რომ სიტყვა „მარტივს“ აქ და ქვემოთ არა აქვს უარყოფითი ელფერი; ის უფრო „სადას“, „გასაგებს“ უნდა მიგვანიშნებდეს — ლ.

შეუდრეკელ მოაზროვნეს თვისებებიდან გამომდინარეობს. მას არ აშინებს მსოფლიო საჭირბოროტო საკითხები, და მათ წინ მოწიწებით, მაგრამ უძლურების გრძნობიდან გამომდინარე ignoramis-ს არ წარმოსთქვამს. იგი უფრო მებრძოლი მოაზროვნეა და ელტვის ირაციონალურის რაციონალურად გარდაქმნას, განუჭვრეტელ გონების ბასრ მხედველობისთვის განსაჭვრეტად. ასეთი ლტოლვა მეტაფიზიკაა, აქედან მჩქეფარე აზრთა ნაკადი აზროვნების მეტაფიზიკური მიმდინარეობაა. მისი შეხედულებაც ფრიად მარტივია*. გენიალური პიროვნება აბსოლუტია, ამიტომ ერთხელ და სამუდამოდ მოვლენილი, განუმეორებელი, ინდივიდუალური.

თავის ძლიერების წყარო თვითონ მისი ბუნებაა. მის აზრთა სიდიადე, გრძნობათა სიძლიერე, ნებისყოფათა შეუდრეკელობა მისი ბუნების წიაღთაგან გადმოსჩქეფს. ხოლო საბაბი მისის სულიერ აქტივობისა, მის პსიქიურად გაღვიძებისა სხვაგან მარხია, მისს გარემოში. ეს გასაგებია თავისთავად, ვინაიდან ეს განუმეორებელი აბსოლუტი რაკი ობიექტური ხდება, სხვისთვის საჭვრეტი, აუცილებლად დროულ და ვრცეულ იქმნება. ამიტომ სხვისთვის გამოაშკარავება მისი სიდიადისა ამ დროსა და სივრცისდაგვარად ხდება; მისი პსიქიური ძლიერება, ესა თუ ის აზრი, ან გრძნობა, ან ნებისყოფა სივრცის და დროის ზედგავლენით აშკარავდება; იგი ამაოებას სცნობს, თუ კი გარემო საყოფ საბაბს აძლევს, მისი ამაოება შეიმეცნოს.

ასეთია რობაქიძის აზრი და ამისდამიხედვით ასეთია ის თვალსაზრისი, რომელიც აშკარად ხდის მისთვის ბარათაშვილის ლირის მოტივებს.

ჩვენთვის კი არც ერთი და არც მეორე არ არის ჭეშმარიტების მღაღადებელი: ჯორჯაძის შეხედულება სიმხდალეს იცავს აზროვნებაში. — რობაქიძის აზრიც შეუწყნარებელია. არას ვიტყვით პირველზე: ჩვენ იმ თავიდანვე განვსხვავდებით, — მეტაფიზიკური აზროვნება მისთვის უძლურების გამოაშკარავებაა, ჩვენთვის ძლიერების უტყუარი ნიშანი. დღეს მეტაფიზიკა აზროვნებიდან თითქმის გაძევებულია, — ეს ადამიანის ფილოსოფიურ სულის დაქანცვის ნიშანია; დღეს იგი ხანგრძლივ შრომის შემდეგ ისვენებს და უკან ჰხედავს განვლილ გზას, რომ ანგარიში მისცეს თავის თავს, თუ რა ჰქმნა, რას მიაღწია მან ამ თავის საუკუნოებით შეუჩერებელ მსვლელობაში, ამიტომ ჩვენი ეპოქა ხანაა დაღებითი და ისტორიულ ცოდნის შეგროვებისა, — თანამედროვე ფილოსოფიაში ძველ სისტემათა გამოკვლევას, უკვე მიღწეულის ანალიზს ყველაზე უფრო საპატიო ადგილი უჭირავს. მთელი გერმანიის ფილოსოფიის დღევანდელი მდგომარეობა აბა რას ამოწმებს, თუ არა ამ ჩემს. აზრს?

მე შევეხები უფრო ვრცლად რობაქიძის აზრს. იგი შეუწყნარებელია-

მეთქი, ვინაიდან იგი საკმაოდ ვერა ხსნის მას, რისი ახსნაც სწყურია. იგი ვერა სჭრის ჩვენს საკითხს, ისე, როგორც ჯორჯაძის აზრი უარს ამბობს მის გადაწყვეტაზე. რატომ? იმიტომ რომ რობაქიძის აზრი ბოლოს და ბოლოს ისეთივე სახეს იღებს, როგორიც მას ჯორჯაძის პირველ წერილის გაგებითა ჰქონდა: რობაქიძის შეხედულება ბოლოს და ბოლოს პსიქიურ ცხოვრების გარემოსაგან დამორჩილებაა, აზრთა და გრძნობათა გარეშე პირობათა საშუალებით განმარტება, ახსნა. მაშ დავამტკიცოთ. რობაქიძის მოსაზრებით არსებობს გენიალური ადამიანი; მისი პსიქიური სიმდიდრე ერთხელ და სამუდამოდ მოცემულია, ის თვით მისი პსიქიკაა. მაგრამ არ აშკარავდება, არ ობიექტდება, თუ მასზე გარემოს თვისებანი არ მოქმედებს. იგი მკვდარია, უმნიშვნელოა, არარაის მთქმელი. არსად არიან გენიალური აზრები, დიადი გრძნობები, შეუდრეკელი ვნებანი, სანამ მასზე გარემო არ იმოქმედებს, სანამ მათ გარემო არ გააღვიძებს და თუ კი იგინი ჩვენთვის აშკარავდებიან, იღვიძებენ, ამას ჩვენ გარემოს უნდა ვუმადლოდეთ. ამგვარად პრიორიტეტი აქ გარემოს რჩება და გენიალურ ინდივიდის გენიალობა მაშინ რაღასა იქმს, რისი მაქნისია! სადაა იგი გენიალობა, თუ კი იგი არარაობაა უგარემოდ? ნუთუ მხოლოდ იმაში, რომ იგი განსაკუთრებულ სახიერდება გარემოს ზეგავლენის ქვეშ? ნუთუ მხოლოდ ამ თავისებურ რეაქციაში? მაგრამ გარემოს პრიორიტეტობას განა აქრობს ეს?! გარემოს პრიორიტეტობა, პსიქიკის პასსივობა, — აი პირველყოფილი შეცოდება რობაქიძის აზრისა, მისი პროტოს ფსევდო. ეს კი პსიქიკის სუბსტანციონალურად გაგებიდან გამომდინარეობს (ისე, როგორც მე ეს თეორია მესმის). პსიქიკა სუბსტანციონალურია და აქტუალური მხოლოდ რაიმეს ზეგავლენით ხდებაო. ასეთია ეს თეორია. ამიტომ იგი ვერრას არკვევს.

ნამდვილად კი პსიქიკა აქტუალურია და არა სუბსტანციონალური, რაიც მხოლოდ გარეშე ბუნებაა, ვინაიდან ეს უკანასკნელი იგივეობის ენერგიის იგივეობის პრინციპზეა დამყარებული. პსიქიკა კი შემოქმედების პრინციპით ხასიათდება. ამას მეხსიერების ფაქტი შეურყევლად ამტკიცებს. ესაა ჩვენი პრინციპი[1]. მისი უტყუარობა მისი კვლევაში გამოდგომით აშკარავდება.

. მაგრამ ყოველი პსიქიკა ორმხრივია: იგი განუსაზღვრელად შემოქმე-

[1]ამ პრინციპზე ჩვენ აქ ვერ ვისაუბრებთ, ამიტომ მხოლოდ ამ შენიშვნით ვკმაყოფილდებით. მის გამოკვლევას შემდეგისათვის გადავდებთ.

დია, მაგრამ იგი ამავე დროს პასსიურიც არის იმოდენად, რამოდენადაც იგი რეცეპტიულია, მიმღებია. იგი შემოქმედია, დაუსრულებელი შემოქმედი აზრთა სფერაში, მაგრამ რაოდენადაც იგი გარე ბუნებრივ ელემენტთაც — გრძნებათა და გრძნეულ გრძნობათა — მატარებელია, რაოდენადაც იგი თავის გრძნებათა ორგანოების საშუალებით მდიდრდება, იგი პასიურია. ადამიანის პსიქიკა ამგვარად ორდება: იგი ორ მოწინააღმდეგე მიმდინარეობის წარმომადგენელია: შემოქმედ გონებისა და პასიურ გრძნებისა. ამიტომ ადამიანი, რაოდენადაც იგი შემოქმედია, — აბსოლუტია, მაგრამ რაოდენადაც იგი გრძნეულია და ამიტომ პასსიური, იმოდენათაა იგი განსაზღვრული, შემოფარგლული, შეზღუდული, ამიტომ უძლური და დროული. აი სწორედ ამიტომ იბადება ადამიანის შინაარსში ბრძოლა ამ ორ მოპირდაპირე მიმდინარეობას შორის. ეს ადამიანის ბუნების დრამაა, დრამა გარდაუვალი, და ეს დრამა, ჩემი აზრით მსოფლიო ისტორიულ განვითარების შინაარსია. იგივე დრამა მხილდება ყოველ ადამიანის ბუნებაში და იმოდენადაა იგი ძლიერი, რაოდენად დიდია პირდაპირობა ამ ორ მიმდინარეობის შორის ადამიანის პსიქიკაში. ეს პირდაპირობა კი მით უფრო ღრმავდება, მით უფრო ძლიერდება, რაც უფრო შემოქმედია რომელიმე ინდივიდის გონება, რაც უფრო აქტიურია იგი და გრძნება გრძნეული[1]. ეს კი გენიალურ ადამიანთა დამახასიათებელი თვისებაა, ვინაიდან გენიალობა ძლიერი შემოქმედებაა და უღრმესი გრძნება. გენიალური ადამიანები ამგვარად უმაღლეს წერტილამდე წარმოადგენენ ამ დრამას. და ბარათაშვილის სულიერი დრამაც ერთ-ერთი სახეა ასეთი დრამისა. იგი გრძნობს მსოფლიურ არარაობას, რადგანაც იგი ღრმად იგრძნებს; მისი ძლიერი სულის შემოქმედებითი ელემენტი იბოჭება მისი გრძნებითა და ვინაიდან გრძნებანი აგრე ბუნებრივ ელემენტს წარმოადგენენ ადამიანის ბუნებაში, მის შეზღუდულებას ააშკარავებენ, მის შემოქმედ თავისუფალ სულს გარე ბუნებას მიაჯაჭვებენ.

ამიტომ იგი ძლიერად გრძნობს წუთისოფლის ცხოვრების არარაობას, მის დაწყევლილობას. ყველა ეს იმიტომ, რომ, ვიმეორებ, იგი გრძნებანი გარე ბუნებრივი, მსოფლიური ელემენტები არიან ადამიანის შინაარსში და ამიტომ მის აბსოლუტურ ელემენტს, თავისუფალ შემოქმედ გონებას ბოჭავენ, ფარგლავენ. ეს მუდმივი დრამა ადამიანის არსისა, მისი შინაგან ბუნებისა შინაურია და მას გარეშე მოვლენებთან არავითარი კავშირი არ

[1]იმ დროისათვის ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგია საკმაოდ დაუხვეწავი ჩანს; ამიტომაც მოპაექრეთა ზოგი გამოთქმა ჩვენთვის ბუნდოვანია — ლ. ა.

აერთებს. ამიტომ შემცდარია ის აზრი, რომელიც მიზეზობრივ ხსნის რომელიმე ადამიანის გულის კვეთებას, მის პესიმისტურ ლტოლვილებას, რომელიც გარემოს თვისებებს უქვემდებარებს ტრაგიზმს ადამიანის ბუნებაში. მაგრამ არანაკლებ შემცდარია ის შეხედულებაც, რომელიც გარემოში სჭვრეტს საბაბს ამ დრამის, ამ ტრაგიზმის გაღვივებისას.

ჩემი მოსაზრება ნათელია: იმისდამიხედვით, გრძნობა არარაობისა ან ამაოებისა და ლტოლვა მარადისობისაკენ ყოველ ადამიანის არსში მარხია, თუ ის ადამიანი არა უმთავრესად გრძნეული, არამედ უწინარეს შემოქმედი, მოაზროვნე არის. მაგრამ არა მარტო შემოქმედი, უღრმესი მოაზროვნე უნდა იყოს ასეთი ადამიანი, არამედ ესეც ძლიერ უნდა მოქმედებდეს მასში გარე ბუნებრივი ელემენტი, გრძნობა იგი უნდა იყოს ღრმა, ამოუშლელი. ერთის სიტყვით, ძლიერი გრძნება და შეუბოჭველი შემოქმედებითი და ამიტომ აბსოლუტური ელემენტი ადამიანში — აზრი, — და ის ორი ძალა, რომელთა ურთიერთობა აუცილებლად ჰქმნის ამაოების გრძნობის ალმოცენებას და მარადისობისაკენ ლტოლვას. გრძნება — გარე ბუნებრივი ელემენტი იწვევს ამაოების გრძნობას, რადგანაც იგი შებოჭავს, შემოფარგლავს აბსოლუტ ელემენტს, განუსაზღვრელ შემოქმედ გონებას, მაგრამ გონება მუდამ შემოქმედებს და, იხილავს რა ძლიერ გრძნებათა წინააღმდეგობას, მით უფრო ძლიერად, მით უფრო აშკარად, შეუდრეკლად მიისწრაფის მარადისობისაკენ.

ასე იბადება მისწრაფება მარადისობისაკენ. აქ, როგორც ჰხედავთ, გარემოს არავითარი გავლენა არა აქვს; აქ ყველაფერი ნათელია: მხოლოდ ფაქტი ორ მოწინააღმდეგე მიმდინარეობისა ჩვენს პსიქიკაში და ინტენსიობა პირველისა და მეორესი წარმოშვებენ შეცნობილ, გრძნობილ ტრაგიზმს გენიალურ ადამიანში. ისტორიულადაც შეგვიძლიან დავასაბუთოთ ჩვენი მოსაზრება. ავიღოთ თუნდ არტურ შოპენჰაუერი, — ეს უდიდებულესი მოძღვარი ევროპის პესიმიზმისა. იგი იყო ძალზე გრძნეული ადამიანი. ამას ამტკიცებს მისი ცნობილი ლექსი, ეს აბობოქრებული ზღვა მის გრძნეულ გრძნობათა: O Sinne, o Hölle და სხვა. და იგი იყო ძლიერ, შემოქმედ აზროვნების მატარებელი. Velt als Ville und Vorstellung მოწამეა მისის შემოქმედებითი გონების ძალისა. ამიტომაცაა, რომ შოპენჰაუერი აუცილებლად პესიმისტი იყო.

. ავიღოთ ეხლა ჩვენი მგოსანი ნიკოლოზ ბარათაშვილი. იმის პოეზიისათვის თავიდან ბოლომდე უმნიშვნელოა ის სოციალურ-პოლიტიკური უკუღმართობა, რომელსაც იმის დროს საქართველო განიცდიდა. იმის სულიერ დრამის ახსნისათვის სრულიად გამოუსადეგარია საქართველოს ეს უკუღმართი მდგომარეობა. იმის სულიერ დრამას ფარდასა ჰხდის

მხოლოდ იმის სულის მიმდინარეობა. ნიკოლოზ ბარათაშვილის არსის აბსოლუტური მხარე, შემოქმედი გონება შეუდრეკელია, იგი სტიქიონურად ძლიერია, იგი ილტვის, რომ თავისი შემოქმედი სული, თავისი გონება ქმნილ აბსოლუტის მაგიერ შექმნილ აბსოლუტად აქციოს, მას სურს გონებით საჭვრეტი გახადოს განუსაზღვრელი. მაგრამ ნიკოლოზ ბარათაშვილი იმავე დროს ძლიერ გრძნობათა მატარებელი ფენომენია, — მისი გრძნეული გრძნობანი ზღვის ტალღასავით შეუპოვარნი არიან. ისინი აკავშირებენ მას დროულთან, წარმავალთან, უცაბედთან, ნაცადთან და ამიტომ იმის შემოქმედს სულის აბსოლუტად ქმნის ლტოლვას შემოზღუდვენ, შემოსაზღვრავენ. აქ იბადება ბრძოლა ამ ორ მიმდინარეობის შორის იმის შინაგან არსში და აი სწორედ ეს ბრძოლაა შინაარსი მისის სულიერ დრამისა. იგი მხილდება განსაკუთრებულის სიძლიერით შესანიშნავ „მერანში“, „შემოღამებაში მთაწმინდაზე“. მერანი ეს მისი შემოქმედი, აბსოლუტური სულია. მერანის რბენა, — ამ სულის ლტოლვაა დასრულებულ აბსოლუტად იქცეს. შავი ყორანი, — ის გრძნებანია, რომელნიც განუყრელად შეკავშირებიან იმის სულს, რომელნიც წარმოადგენენ გარე ბუნებრივ და ამიტომ დროულსა და წარმავალს ელემენტს. ბარათაშვილის შემოქმედი სული ებრძვის ამ უკანასკნელთ და ბარათაშვილიც თავის სიმპატიით თავის აბსოლუტურ ელემენტს უერთდება, თავის შემოქმედ სულს და სწყურის ამ ბრძოლაში მისი გამარჯვება. ამიტომ იგი ერთხელ და სამუდამოდ ეთხოვება თავის ძლიერ გრძნებათ და გრძნეულ გრძნობათ, თუმცა კი ჯავრობს, რომ ბრძოლის სხვაფერ გადაწყვეტა შეუძლებელი ხდება და „კენესას გულისას“ შესწირავს იმ ძლიერ გრძნობათა გამომშვიდობებას. მას სწყინს თავის გრძნობათა დაკარგვა, მაგრამ არ შეუძლიან დაუმონოს მათ თავისი აბსოლუტური სული: „თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი“, — ამბობს იგი და ამასთანავე მოგვითხრობს იმ ტკივილებს, რომელიც გამოუწვევია იმის არსებაში ბრძოლის ასეთ გადაწყვეტას. აქ არ შეიძლიან არ მოვიყვანო ამ ლექსის ზოგი ნაწილი, რომ აშკარად დავინახოთ, თუ რაოდენ ნათელსა ჰფენს მას ჩემი გაგება.

რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე ჰსწორთა და მეგობარსა;
ნუღა ვიხილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს ტკბილ მოუბარსა...
ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნუღა დამეცეს ცრემლი მწუხარის...

აქ მუდამ და ყველგან ჩვენ მხოლოდ გრძნეულ გრძნობებს ვპოვებთ და აი სწორედ მათ სტოვებს, მათ ემშვიდობება ბარათაშვილი, როდესაც

იგი თავის შემოქმედ და აბსოლუტურ სულის მხარეს იჭერს. მას სწამს, თუ რამდენად ძნელია სრული გამომშვიდობება ადამიანის სულის გარე ბუნებრივ ელემენტთაგან, გრძნობათაგან — მან იცის, რომ ყოველი ადამიანი ვერ გადაიტანს ამ გამომშვიდობებას, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვება მას მაინც სწამს და სწყურია:

ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება!

ამიტომ ბარათაშვილი ოპტიმისტია და არა პესსიმისტი, როგორც ეს, სხვათა შორის, გერონტი ქიქოძესა ჰგონია. იმისთვის ადამიანის გააბსოლუტება, სულის ბატონობა, გრძნების აღკვეთა აშკარაა და სასურველი. „შემოღამება მთაწმინდაზე“ არანაკლების სიძლიერით გადმოგვცემს ბარათაშვილის ამავ ოპტიმისტობას. ამ ლექსში, საუკეთესოში მათ შორის, რაც ბარათაშვილს დაუწერია, დახატულია ნატურალურ-ესთეტიური და მისი გავლენა ადამიანის სულიერ დისპოზიციაზე. ბარათაშვილსა სწამს, რომ ესთეტიური დატკბობა ამაოების გრძნობას ასუსტებს, აჭრობს, ისე, როგორც ეს შოპენჰაუერმა გამოსთქვა თავის ფილოსოფიურ სისტემაში.

ვინ მოგიხილოს, რომელ მყისვე თვისთა ფიქრთ შვება
არა იპოვოს და არ დახსნას გულსა ვაება!
გულდახურულთა მეგობარო, მთავ ღრუბლიანო!

თანამედროვე ესთეტიკაც იმ აზრისაა, რასაც აქ ბარათაშვილი ლამაზ ფორმებში ასხამს. ესთეტიური დატკბობა სწორედ მით არის ტკბობა, რომ აქ ადამიანი მაღლდება იმით, რომ სცილდება წუთისოფლის ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ჭირ-ვარამს, ზოგად ყოფას, ამაოებას. იგი მაღლდება, უერთდება განუსაზღვრელს და ამგვარად აბსოლუტდება. ჩემის შეხედულებით ეს გააბსოლუტება მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ესთეტიურ ტკბობის დრო მოქმედობს განსაკუთრებულს ძალით ადამიანის სულის შემოქმედებითი მხარე: ჩვენ უსულო მარმარილოდან გამოქანდაკებულ ტანსა ვქმნით ცხოველ არსებად, ხმათა გროვასა — მგრძნობიარე სულის ენებათა მხილებად. ესთეტური ტკბობა იმით არის დატკბობა, რომ აქ ჩვენ ვშემოქმედებთ და ამით მოკლე ხნით ვთავისუფლდებით გრძნეულ გრძნობათა მღელვარებისაგან. ასეთია ჩვენი შეხედულება და სწორედ ასე უნდა გვესმოდეს ბარათაშვილის „შემოღამება მთაწმინდაზე“. ბარათაშვილი ისწრაფის, თავისი შემოქმედი სული აბსოლუტად აქციოს. იგი ამიტომ სცდილობს განშორდეს გრძნებათ და გრძნეულ გრძნობათ. მას სწყურია

სრული თავისუფლება სულისა, მისი განმარტოება გარე ბუნებრივ ელემენტთაგან, გრძნობათაგან. ამ თავისუფლებას თავის შემოქმედ სულისა, ამ განმარტოებას ეძიებს იგი „მერანში“, მერანის ლტოლვაში, სულის შემოქმედების მის პასსივობასთან ბრძოლაში: თავის „შემოღამებაში მთაწმინდაზე“ იგი სხვა გზას ჰპოულობს: განთავისუფლებას სულისას გრძნეულ გრძნობათაგან ჰპოვებს იგი აქ ესთეტიურ დატკბობაში, უკანასკნელი გზა უფრო მართალი აღმოჩნდება, იგი ავლენს მას „შვებას შავ ფიქრთა“, მაგრამ ეს მხოლოდ რამდენიმე წუთით; ეს შვება ძალიან დღემოკლე აღმოჩნდა. მაგრამ თუნდ დღემოკლე იყოს იგი, მნიშვნელობა მისი მაინც დიადია. იგი მოწამეა იმისა, რომ ასეთი განთავისუფლება, განმარტოება შემოქმედ სულისა ამაო გრძნებათაგან – პრინციპიალურად შესაძლებელი ყოფილა, და ამიტომ იგი ოპტიმისტურ აღფრთოვანებით მიმართავს საღამოს „ტურფას, საამოს“:

მწუხრი გულისა – სევდა გულისა – ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს.
რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველ ბინდსა ის განანათლებს.

ამიტომ ბარათაშვილი, ამაოების მქადაგებელი და მარადისობისაკენ მლტოლველი, ოპტიმისტურად ჰგრძნობს, და ამით მისი მსოფლმხედველობა უფრო კონსექვენტურია, ვიდრე მსოფლმხედველობა შოპენჰაუერისა. შოპენჰაუერი ხშირად ეწინააღმდეგება თავის ფილოსოფიურ პრინციპებს, თუმცა იგი ამას ვერა ჰგრძნობს. ასეთი წინააღმდეგობაა მისი მოძღვრება ესთეტიურ ტკბობის გავლენით „სიცოცხლისადმი ნების“ აღკვეცის შესახებ. ეს მოძღვრება ძირითადად ეწინააღმდეგება იმის უსაზღვრო პესიმიზმს.

ამგვარად, ბარათაშვილის სული ესთეტიურ ტკბობის დროს ჰპოვებს განმარტოებას გრძნეულ გრძნობათა ღელვისაგან, და სწორედ ასე უნდა გვესმოდეს განმარტოების პრობლემა საზოგადოდ და კერძოდ ბარათაშვილის პოეზიაში და არა ისე, როგორც ეს გრ. რობაქიძემ დაგვიხატა თავის წარმტაც ლექციაში.

ბარათაშვილი ჰპოულობს „შვებას სულისას“ დროულ, სოფლიურ ელემენტთაგან, გრძნობათაგან და სწყურის შემოქმედ სულს, ან ადვილ აბსოლუტად ქმნილს, გამოხატულება მისცეს და აგებს ტაძარს, რომელიც მას თავისუფალი ჰგონია ყოველი სოფლიურიდან, დროულიდან, მაგრამ სოფლიური ელემენტი, გრძნება ადამიანის სულს მაინც ვერა სცილდება და იგი აქაც მძლავრად ლაპარაკობს.

„შვება სულისა“ წუთიერი ან ამაო აღმოჩნდება, და ტაძარი ინგრევა. იმსხვრევა. თავშესაფარი სულისა გრძნებათაგან – შეუძლებელი

აღმოჩნდა. „მას აქეთ ჩემს გულს ნეტარება არ ასადარებს“. — ასეთია ის მოტივები, რომელთაც წარმოშვეს ბარათაშვილის „ჯოვე ტაძარი“.

ამ მცირე შენიშვნით ვაბოლოვებ ჩემს წერილს. ჩემს შეხედულებას, როგორც მკითხველი ჰხედავს, სრულიად განკერძოებული ადგილი უჭირავს. მე, რასაკვირველია, არ მინდა ვთქვა, თითქოს ბარათაშვილის პოეზიის მოტივები მხოლოდ ნათქვამით ისაზღვრებოდნენ. მე აქ შევეხე მხოლოდ ერთ უმნიშვნელოვანეს მოტივს ბარათაშვილის პოეზიისას. იგი ძლიერად ამეტყველებს ბარათაშვილის მუზას. იგი ბრძოლაა შემოქმედ და ამიტომ უსაზღვრო სულის ელემენტის გონებასა და გარე ბუნებრივ და ამიტომ შეზღუდულ, დროულ ელემენტის — გრძნებათა სამეფოს შორის. მაგრამ არა მარტო ბარათაშვილს ამეტყველებს ეს ბრძოლა. იგი ამოქმედებს მთელ კაცობრიობას, როგორც ერთეულს, და მთელი მსოფლიო ისტორია რაა, თუ არ მხილება ამ ბრძოლისა, ხოლო ფართოდ აღებულის, ბრძოლისა კაცობრიობის სულისა და გარეშე ბუნებას შორის! რაა შინაარსი მსოფლიო კულტურის ისტორიისა, თუ არა ასეთი თუ ისეთი გადაწყვეტა ამ ბრძოლისა? რაა პროგრესი, თუ არა თანდათანობით გამარჯვება შემოქმედ სულისა, თუ არ მისი განმარტოება შემზღუდველ, შემბოჭავ გრძნებათაგან?!“

როგორც ვხედავთ, მომავალი დიდი ფსიქოლოგი მხატვრული შემოქმედების სწორედ ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ ასპექტს აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას და ეს ბუნებრივიცაა: ყველა თავისი სამრეკლოდან რეკავს.

პაექრობას წერტილი დაესვა გრიგოლ რობაქიძის საპასუხო წერილით „შემოქმედი და გარემო“, რომელიც ითვალისწინებდა როგორც არჩილ ჯორჯაძის, ისე დიმიტრი უზნაძის შენიშვნებს:

„ჩემს „მცირე განმარტებაში“ („დროება“, №240) არჩილ ჯორჯაძის საპასუხოდ, სხვათა შორის, ვსწერდი:

მგოსანი და ეროვნული სხეული ორგანულად არიან ერთი მეორესთან შეკავშირებულნი. ყოველი მგოსანი ინდივიდუალობაა, და როგორც ამგვარი, განუმეორებელია, განსაკუთრებული, განცალკევებული: მას საკუთარი ბუნება აქვს, რომელიც სხვისგან არ გამოიყვანება და არც სხვად დაიყვანება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი არ არის მოწყვეტილი: პირიქით, იგი შესხეულებულია მსოფლიოსთან და უხდება თავისი ბუნების გაშლა მსოფლიოს განსაზღვრულს ფარგლებში: აქედან, მისი შემოქმედება ორი თვალსაზრისით უნდა იხილებოდეს: აბსოლუტურით და ისტორიულით. აბსოლუტური თვალსაზრისი ფაქტად აღნიშნავს მგოსნის ბუნების, მის ერთხელ მოვლენილსა და განუმეორებელს ინდივიდუალობას; ისტორიუ-

ლი თვალსაზრისი მიზეზებრივ ხსნის, თუ რომელ განსაზღვრულ წრეში მხილდებოდა (და არა იქმოდა) მისი ბუნება.

ბ-ნმა არჩილ ჯორჯაძემ მიიღო ჩემი განმარტება („დროება", №247) იმის გასარკვევად, თუ რა უნდა მეთქვა მე ჩემს ლექციაში; ხოლო ვერ მომყვება მე აბსოლუტის ფარგლებში, რომ აბსოლუტურის თვალსაზრისით განმარტოს პოეტის შემოქმედებითი ნიჭი. აქ იგი მეტაფიზიკის წინააღმდეგ გამოდის, — და რადგან ეს სხვა საკითხია, ამისთვის მის მიერ მოყვანილ საბუთებს სხვა დროს გავარჩევ. ეხლა კი არ შეიძლია ყურადღება არ მივაქციო ბ-ნ დ. უზნაძის საინტერესო წერილს („დროება", №252 და 253), რომელიც შემოქმედისა და მის გარემოს ურთიერთობას ეხება.

ბ-ნი დ. უზნაძე არ უარყოფს მეტაფიზიკას, მაგრამ იგი არ ეთანხმება ჩემს შეხედულებას.

„რობაქიძის შეხედულება — სწერს იგი — ბოლოს და ბოლოს ფსიქიურ ცხოვრების გარემოსაგან დამორჩილებაა, აზრთა და გრძნობათა გარეშე პირობათა საშუალებით განმარტება, ახსნა. რობაქიძის მოსაზრებით არსებობს გენიალური ადამიანი; მისი ფსიქიური სიმდიდრე ერთხელ და სამუდამოდ მოცემულია, ის თვით მისი ფსიქიკაა. მაგრამ იგი არ აშკარავდება, არ ობიექტდება, თუ მასზე გარემოს თვისებანი არ მოქმედებს. იგი მკვდარია, უმნიშვნელოა, არარაის მთქმელი. არსად არიან გენიალური აზრები, დიადი გრძნობები, შეუდრეკელი ენებანი, სანამ მასზე გარემო არ იმოქმედებს, სანამ მათ გარემო არ გააღვიძებს და თუ კი იგინი ჩვენთვის აშკარავდებიან, იღვიძებენ, ამას ჩვენ გარემოს უნდა ვუმადლოდეთ".

აი, ვითომ ჩემი აზრი დ. უზნაძის განმარტებით. მიზეზსაც ჰპოვებს იგი, თუ რად ვაზროვნებ მე ამგვარად: ეს არის ჩემ მიერ აღიარებული სუბსტანციალობა სულისა. „ნამდვილად კი — განაგრძობს დ. უზნაძე — ფსიქიკა აქტუალურია და არა სუბსტანციონალური, რაიც მხოლოდ გარეშე ბუნებაა, ვინაიდან ეს უკანასკნელი იგივეობის, ენერგიის იგივეობის პრინციპზეა დამყარებული. ფსიქიკა კი შემოქმედების პრინციპით ხასიათდება".

პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნო, რომ ბ-ნ უზნაძეს არა აქვს ნათელყოფილი, თუ რაში გამოიხატება იგი პრინციპი შემოქმედებისა: მის ახსნა-განმარტებას იგი მერმისათვის გადასდებს და სანამ დანაპირებს არ აასრულებს იგი, მანამდე მისი დებულება, რომ ფსიქიკა აქტუალურია და არა სუბსტანციონალური, დაუმტკიცებელ შეხედულებად ჩაითვლება. „ფსიქიკა სუბსტანციონალურია და აქტუალური მხოლოდ რაიმე ზეგაელენით ხდება" — აი, ვითომ ჩემი აზრი ბ-ნ უზნაძის გადმოცემით. ნამდვილად-კი ჩემი აზრი სულ სხვაა, — და სწორედ აქ იმალება იმისი მიზეზი, თუ რად ჰგონია ბ-ნ უზნაძეს, ვითომ მე შემოქმედებისა და გარემოს ურთიერთო-

ბაში პირველობას უკანასკნელს ვაძლევდე. ჩემის აზრით, სუბსტანცია თვისგნითვე ხდება აქტუალური და არა „რაიმეს ზეგავლენით“, სწორედ აქ იმალება საიდუმლოება — შემოქმედებისა. თუ რად მხილდება აქტში სუბსტანცია, ეს შორეული კითხვაა, რომლის განხილვას აქ მე ვერ შევუდგები. აქ განვიხილავ მხოლოდ შემოქმედისა და გარემოს ურთიერთობას ზოგად ფილოსოფიურის მხრით.

გარემო ჩემთვის ფართო რამაა: იგი არ არის რაღაც მექანიკურად „გარემდგომი“, არამედ ცხოველი სხეული, რომელშიაც ორგანულად შედის ყოველი არსი და მასთან ყოველი შემოქმედი. ამ მხრივ გარემო თვითონ მსოფლიოა, რომელიც კერძო ინდივიდუალობის მიმართ დროისა და სივრცის საზღვრებში გარემოსადმი გამოდის. ნათელვყოთ ეს დებულება. ავიღოთ მაგალითისათვის ადამიანის შეცნობა (Bewnsstein, Сознание). პირველი შეხედვით იგი არის პიროვნული, კერძო; ღრმა დაკვირვების შემდგომ იგი ყოვლადია, უნივერსალი. ადამიანის შეცნობა მსოფლიო ფუნქციაა კაცობრიუის შეცნობისა. აზრი და სიტყვა სხეულებად უნივერსალურის შეცნობისა: პირველი და მეორეც ჰგულისხმობს ადამიანთა ფსიქიურ ერთობას. და ეს ერთობა ის მოვლენაა, რომელიც ტრანსცენდენტალურ შეცნობად ისახება. ამას ნათლად ამტკიცებს სივრცისა და დროის მეტაფიზიკური ბუნება... (იხ. ჩემი ესკიზი „იდეა ნაციისა“). ყოველი სულიერი არსი გრძნეულია: სივრცის გრძნებით იგი არჩევს თავის „მეს“ სხვადასხვა საგანთაგან, დროის გრძნებით იგი საზღვრავს სხვადასხვა მომენტებს თავის სულიერი მდგომარეობისა. თვითონ გრძნეულება კი (Sinnlichkeit, Чувственность). უნივერსალურია, ყოვლადი, კერძოობისა და პიროვნულისაგან გამოუყვანელი. და ამ მხრივ სივრცე და დრო უნივერსალური ფორმებია კაცობრიულის გრძნეულებისა. ეს არის უკვდავი ნაყოფი კანტის ფილოსოფიისა: სივრცე და დრო იდეალური არიან. გარნა, იდეალობა სივრცისა და დროისა სრულებით არ ნიშნავს მათს სუბიექტივობას, როგორც ეს კანტს ეგონა, პირიქით, თუ სივრცე და დრო უნივერსალური ფორმებია გრძნეულებისა, მაშ ობიექტურნიც უნდა იყვნენ ისინი. ასე თუ ისე, ადამიანის შეცნობა მსოფლიო ფუნქციაა ყოვლადის შეცნობისა. და სწორედ ამგვარი შეცნობა გვაძლევს ჩვენ შეძლებას შევიცნოთ ჩვენს გარემყოფნი არსებანი. სხვა არსის რეალობა ვერ შეიმეცნევის რაციონალურის გზით: ლოგიკურის ცნებისაგან გამოიყვანება მხოლოდ გონებრივი პოტენცია და არა თვითონ ცხოველი და კონკრეტი სინამდვილე; მაგ: რაც უნდა ვიაზროთ ტალერი, მის აზრისაგან ნამდვილს ტალერს ვერასოდეს ვერ გამოვიყვანთ. სინამდვილე არასოდეს აზრად არ იქცევა: აზრი ყოველთვის სინამდვილეს ჰგულისხმობს, რომელიც

არც ცნებად აიყვანება და არც სხვაფრივ წარმოიდგინება. აქ გნოსეოლოგიური პრობლემა ონტოლოგიურად იქცევა. და თუ სინამდვილეს გარე ყოფ არსთა მაინც ვიმცნევთ ჩვენ, ეს მხოლოდ იმ მოვლენის საშუალებით ხდება, რომელსაც უნივერსალური შეცნობა ეწოდების. მსოფლიო შეცნობით ჩვენ ისევ შევიმცნევთ სხვათა რეალობას, როგორც ჩვენს საკუთარს სინამდვილეს ვიმცნევთ.

უნივერსალურის შეცნობის მაგალითი ნათლად არკვევს მას, რომ სულიერი არსი და გარემო ერთი მეორეს ორგანულად ესხეულებიან და თავის განვითარებაში ცხოველსა და კონკრეტს მთელს წარმოადგენენ. არსი და გარემო ერთი მეორეს უპირისპირდებიან: აქედან, ისინი ერთი მეორისაგან განსხვავებულნი არიან. არსი და გარემო ერთი მეორეს ვერ გამოეყოფიან: აქედან, ისინი ერთი მეორესთან განუყრელნი არიან. არც არსი არსებობს გარემოს გარეშე და არც გარემო არსის გარეშე. ამგვარსავე ურთიერთობაში არის შემოქმედი და გარემო. შემოქმედი ორგანულად შედის მსოფლიოში და მის გარემოში შლის თავის ინდივიდუალობას. ავიღოთ მაგალითი: ადამიანის სიტყვა სხეულებაა მსოფლიო შეცნობისა, და მაშასადამე, ყოვლადი, უნივერსალი. შემოქმედს იგი მზად ხვდება, — და რადგანაც შემოქმედის შეცნობა ორგანულად შედის მსოფლიო შეცნობაში, ამისათვის იგიც თავისუფლად ხმარობს იმა სიტყვასა. ენა როგორც სულიერი ორგანო სრულებით გარემოს ეკუთვნის, და როდესაც რომელიმე შემოქმედი ამ ენით გამოსთქვამს თავის სულისთქმას, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი მსოფლიო გარემოში შლის თავის განუმეორებელ ბუნებას. შოთა რუსთაველს, მაგალითად, მზად ხვდება ქართული ენა, ქართველობის მიერ შექმნილი, — და იგი ხსნის მასში თავის მხატვრულ სახეობას.

ასეთია ურთიერთ-მიმოქცევა შემოქმედისა და გარემოსი. ხოლო იგი მიმოქცევა შემდგომ ანალიზში უფრო კონკრეტსა და ვიწრო ხასიათს იღებს. საქმე შემდეგშია. მსოფლიო არ განისაზღვრება მხოლოდ მით, რაც არის, არამედ იმითაც, რაც უნდა იყოს, რაც უნდა იქმნეს. და იგიც იქმნების: ვითარდება, სრულდება, ისტორიას განიცდის, ამ ქმნა და გარდაქმნაში მისი განსაზღვრული საფეხური ისტორიულ გარემოდ იქცევა, — და შემოქმედიც, მის საზღვრებში მოვლენილი, „ისტორიულ“ ამხილებს თავის ვინაობასა. რომელი ქმნილებაც გნებავთ, ის აიღეთ: თქვენ უთუოდ გამონახავთ მასში ისტორიულს მომენტს. ჰომიროსის პოემანი, დანტეს „ღვთაებრივი კომედია“. შექსპირის დრამები, გოეტეს „ფაუსტი“, — ყველა ესენი რამდენს, გარემოში შექმნილ ან ჩასახულ, ზრახვათ გვამცნევენ! მითი, ზღაპარი, ლეგენდა, რელიგიური ფიქრი და ლტოლვა, გარემოში

ხალხის სულის მიერ შექმნილი, ხდება მძლავრ თემად ამ უკვდავ ქმნილებათა. ამით აიხსნება ის საიდუმლო მოვლენა, რომ ორი ხალხი, ერთი მეორეს დროითა და სივრცით დაცილებული, სთხზავს თითქმის ერთსა და იმავე მითოლოგიას; აქვე იმალება ის გულისხმიერი მოვლენაც, რომ სხვადასხვა შემოქმედნი ერთი მეორეს დამოუკიდებლად ჰქმნიან ერთსა და იმავე მხატვრულს სახესა. ეს შეურყეველი ფაქტია ხალხთა ფსიქოლოგიის, რომელიც ნათელს ჰფენს უნივერსალურ შეცნობის მოვლენას. ერთი სიტყვით, შემოქმედი ორგანულ შესხეულებულია გარემოს, — და, როგორც უნივერსალური შემცნობი, სწვდება მსოფლიოს, ითვისებს, თავისად ხდის მას და შემდგომ, თითქოს საკუთარიაო, მხატვრულ სახით გამოხსნის და გაშლის მას. აქ იმალება ის საყურადღებო მოვლენა, რომ ლტოლვა, გარემოში ზრახული, შემოქმედის ბუნებაში სტიქიონად იქცევა; აქვე იხსნება დიონისიური აღმაფრენა, პოეტური ექსტაზი, მჭნე-ძალა, ზეშთაგონება (იხ. ამის შესახებ დაწვრილებით ჩემს ლექციაში: „აკაკი წერეთელი და მისი პოეზია")...

მაგრამ აქ დამეკითხებიან: სადღაა შემოქმედი, ერთხელ მოვლენილი და განუმეორებელი, სადღაა გენიოსი, ისტორიულ საზღვრების გარდამლახავი? ამ კითხვას დამშვიდებით შემიძლია მივუგო: შემოქმედი არსად არ დაკარგულა: იგი განუმეორებლად განსახიერებულა თავის ქმნილებაში. და აი ამნაირად, ყოველი შემოქმედი ინდივიდუალობაა და როგორც ამგვარი, განუშორებელი და განსაკუთრებელი: იგი არც სხვით გამოიყვანებს და არც სხვად დაიყვანება. და იგიც ასხამს თავის ინდივიდუალობას მხატვრულ ქმნილებაში. აიღეთ „ვეფხის ტყაოსანი". დააბნიეთ მისი ლექსი და გაფანტეთ მისი სიტყვები, აურიეთ ერთიმეორეში მხატვრული სახეები, აღმოსავლეთის მოტივები და ზრახვანი და ეს აბნეული მასალა მიეცით სხვა მგოსანს; თქვენ დაინახავთ, რომ ვერც ერთი სხვა მგოსანი, რაგინდ ნიჭიერი იყოს იგი, ვერ მოგვცემს ქმნილებას „ვეფხის ტყაოსანს", პიროვნულს და განუმეორებელს, ხოლო მიეცით იგი მასალად შოთა რუსთაველს და თქვენ მიიღებთ ჩვენს ნაცნობს „ვეფხის ტყაოსანსა". აშკარაა, შემოქმედი თავის „მხატვრულ პიროვნებას" თავის ქმნილებაში ჰკვეთს, — და აქ იგი განსაკუთრებულია, განცალკევებული, განუმეორებელი.

გარდა ამისა, შემოქმედი ისტორიულ საზღვრებშია მომწყვდეული, მაგრამ იგი გარდალახავს საზღვარსა და ერთვის უსაზღვროებას. როგორა ხდება ეს? როგორც აღვნიშნე, მსოფლიო ვითარება, პროცესს განიცდის. ამ ვითარებაში ყოველი მისი საფეხური ისტორიული და წარმავალია. მაგრამ, მიუხედავად ამ წარმავლობისა, ამ საფეხურებს სიმბოლური

სინამდვილე აქვთ; ყოველი წარმავალი მოვლენა იდუმალ უჩვენებს და უთითებს დასრულებულ მთელისაკენ, მარადიულის მხრისაკენ. ეს მოვლენა შესანიშნავად აღნიშნა სიმბოლიზმის წინამორბედმა გიოტემ შემდეგ სიტყვებში: Pilles Vergänglihes ist nur ein gleichniss. ესე იგი ყოველი წარმავალი, ხილული, რეალური გვეჩვენება, როგორც ფარული სახე, იდუმალი ნიშანი, რაღაც სხვა — ყოფისა, მარადიულისა. შემოქმედი იღებს წარმავალსა და მას სიმბოლოდ გვიჩვენებს. სიმბოლო იდეის სხეულია; ამას ამტკიცებენ: ნეოპლატონელი პლატონი* და ახლო ხანებში რამდენიმედ შოპენჰაუერი და ჰეგელი და, განსაკუთრებით, ვლ. სოლოვიოვი. შემოქმედი წარმავალს იღებს, მაგრამ არა როგორც შემთხვევითს, არამედ როგორც სიმბოლურ სინამდვილეს, და ამ სინამდვილეში იგი სახავს „იდეალურად-აუცილებელს".

აი, მოკლედ მთელი ფილოსოფია შემოქმედებისა. ამ მხრივ პოეზია წინ უსწრობს ისტორიასა, ესე იგი, სიმბოლურად წინ გვიჩვენებს იდეალურ სინამდვილეს, ჯერ კიდევ განუხორციელებელს (ქანდაკებით მშვენიერ ფორმებს, მუსიკით ჰარმონიულ ხმებს და სხვ.), — და მართლად იტყოდა ბრძენი არისტოტელი; პოეზია უფრო ფილოსოფიურია, ვიდრე თვით ისტორიაო. შემოქმედი ჰქმნის წარმავალსა სიმბოლურ სინამდვილედ, — და მით იგი დროულს საზღვრებს სცილდება და უახლოვდება მსოფლიო მარადისობას. და რამდენადაც ნიჭიერია იგი, იმდენად უფრო ყოველშემცველია მისი ბუნება, ყოვლადი და უნივერსალი გენიოსი ამ მხრივ მოპირდაპირე პოლიუსია; უკანასკნელიც ინდივიდუალობაა, როგორც გენიოსი; მაგრამ იმ დროს, როცა იდიოტი თავის განსაზღვრულებას ვერ სცილდება და ვერარას იგებს, გენიოსი გამოდის თავის პიროვნულ საზღვრებიდან და მსოფლიოს გამჭვირვალე, სცნობს იგი მის მრავალს საიდუმლოებას.

გენიოსი არის მინდია (იხ. ჩემი გარჩევა „გველის მჭამელისა" ვაჟა-ფშაველას შესახებ ლექციაში), რომელსაც ესმის ყოველის სულისა და უსულოს ენა. და ადამიანის ტრაგიზმი სწორედ აქ იშვება. იგი თავის არსებით ორ სინამდვილეს ეკუთვნის: რეალურსა და იდეალურს. რეალური მას ვერ აკმაყოფილებს, იდეალური ჯერ არ განხორციელებულა. და ადამიანიც ისწრაფვის სძლიოს ეს წინააღმდეგობა, ხორციელ იხილოს იგი იდეალი. ადამიანი ვერ ასრულებს წადილს, და იტანჯვის. აქ იბადება ტრაგიზმი ადამიანისა. მაგრამ იგი წინ უჭვრეტს იდეალს, მხატვრულ სახეში ჩამოსხმულს, სიმბოლურ სინამდვილეს და მით იქარვებს ტანჯვასა.

---

* უთუოდ კორექტურული შეცდომაა; უნდა იყოს — პლოტინე — ნეოპლატონიზმის ფუძემდებელი ბერძენი ფილოსოფოსი — ლ.ა.

აქ იშვება ტრაგედია, რომელიც, ხელოვნებაში გაყვანილი, თვით ტანჯვას სიამოვნებად აგრძნობებს ადამიანსა (ესტეტიური სიამოვნება). გარნა, რჩეულნი არც ამით კმაყოფილდებიან: მათ უნდათ ჭვრეტა „საქმედ“ აქციონ და ილტვიან კიდეც სხეულჰყონ სიმბოლო, აქციონ იგი ცხოველ რეალობად. აქ იბადება რელიგიური ლტოლვა და რელიგია...

აი, მოკლედ ორგანული ურთიერთობა შემოქმედისა და გარემოსი. ეს ურთიერთობა ჰქმნის კონკრეტსა და ცხოველს უნივერსალურს პროცესს. ამ პროცესსში შემოქმედი და გარემო არა თუ არ სცილდებიან, არამედ კიდეც უსხეულდებიან ერთი მეორესა. ეს განმარტება ნათელსა ჰფენს მას, თუ რად არ შეგვიძლია დავეთანხმოთ არჩილ ჯორჯაძესა და დ. უზნაძეს ბარათაშვილის ლირის მთავარი მოტივის წარმოშობის საკითხში. როგორც ერთს ჩემს წერილში („იდეა ნაციისა“) ვამტკიცებდი, ჩემთვის ეროვნება ონტოლოგიურ რეალობას წარმოადგენს: იგი სულიერი სხეულია. ამგვარ სხეულს წარმოადგენს ქართველობაც, რომელშიაც ბარათაშვილი ინდივიდუალურ მონადათ შედის და ბარათაშვილიც გრძნობდა ამას: „ბედი ქართლისას“ შემქმნელს სხვანაირი გრძნობა არ შეეძლო. მის სულის სიღრმეს ამოძრავებდა ქართველობის, როგორც სულიერ სხეულის, ყოფა-არყოფა (საზოგადოდ, და არა პოლიტიკურად); ეს პრობლემა მისივე პიროვნული პრობლემა იყო (იხ. ზემოდ ორგანული ურთიერთობა შემოქმედისა და გარემოსი). ჯერ კიდევ პიროვნების სიკვდილი ჰგვრის ადამიანს მსოფლიო ფიქრებს, და რა გასაკვირია, რომ ბარათაშვილის მუზას, მთელი ერის ყოფა-არყოფით ენებულს, მსოფლიო ფიქრებში შეეცურა. და მისცურავს კიდეც. იგი იღებს დროულს, წარმავალს, მაგ. მტკვრის ბუტბუტს, და როგორც ნამდვილი ხელოვანი, რომელიც ზემოდ მოყვანილ გიოტეს სიტყვას ახორციელებს, ბარათაშვილი ამ ბუტბუტს სიმბოლურ სინამდვილედ აქცევს: რომანტიულ გრძნობით გარდალახავს საუკუნებს (გრძნობა მარადისობისა) და, სცნობს რა განსაზღვრულს წარმავლობას, მის ფიქრს მოიცავს განსაზღვრული მსოფლიო ამაოება. აქ მარხია საიდუმლოება ბარათაშვილის შემოქმედებისა. ბარათაშვილი სულიერ დრამაში დარჩა; აბსოლუტ განმარტოებული, „ობოლი სული“ პანტეისტურად ერთვის სამყაროს „მერანის“ ფრენილი გადაჭრით“.

· როგორც ჩანს, გრიგოლ რობაქიძის ოპონენტები დააკმაყოფილა მისმა პასუხმა.

დისკუსია ამით დასრულდა.

არ .გავკადნიერდები და არ ჩავერევი ამ ბრწყინვალე სამეულის

კამათში. თვით მოუმზადებელი მკითხველიც, მსჯელობის სისადავისა და აზრის სიცხადის წყალობით, გაერკვევა მათ პაექრობაში; დისკუსიის ჰეცნიერული შესწავლა კი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების მკვლევარებს ხელეწიფებათ.

მხოლოდ ზოგიერთი გარემოება მინდა აღვნიშნო საგანგებოდ: მათი პაექრობა სრულიად თავისუფალია მსოფლმხედველობრივი დოგმატიზმისგან, რომ აღარაფერი ვთქვათ „პარტიულობაზე". „ლიტერატურის პარტიულობის" მანკიერი ლენინური პრინციპი, რომელმაც შემდგომში გააღარიბა და დააკნინა ლიტერატურაც და კრიტიკაც, ამ დონის პაექრობაში სრულიად გამორიცხულია. არჩილ ჯორჯაძეს — კრიტიკოსს — ვერ „შეატყობ", რომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქართული ეროვნული პარტიის სოციალისტ-ფედერალისტთა ლიდერთაგანია.

1909 წელი, როგორც გამუდმებით ჩაგვახოდნენ, 1905-1907 წლების რევოლუციის დამარცხების შემდგომი „მძვინვარე რეაქციის" ხანა იყო. ასეთ „მძვინვარე" დროში განათლებისაკენ მიმსწრაფი უნიჭიერესი ქართველი ახალგაზრდობა, ხელმოკლეობის მიუხედავად, მაინც ახერხებდა სწავლას ევროპის უნივერსიტეტებში.

რეაქციის დროს „მძვინვარებდა" ცენზურაც, ისე „მძვინვარებდა", რომ არჩილ ჯორჯაძეს არამცთუ არ ამოუშალეს, მრავალწერტილითაც კი არ შეუცვალეს მონაკვეთი: „გრ. რობაქიძე გომართელსავით მიგვითითებს იმ დროინდელ საზოგადოების ვითარებაზე.

წარსულში იყო თავისუფლება და დიდება, აწმყოში მონობა და გახრწნილება. ... „წარსული აღვივებს რომანტიულ გრძნობას მარადისობისას, აწმყო საშინელს ფიქრს ცხოვრების ამაოებისას". ბარათაშვილის დროინდელი საქართველოც პოეტს სწორედ ამ გრძნობებს უღვიძებდა გულში".

ერთადერთი, რასაც ევროპაში ვერ შეიძენდა ჩვენი ახალგაზრდობა, ეს ბედკრული, დამონებული სამშობლოს სიყვარულის გამძაფრებული გრძნობა იყო. მაგრამ სწორედ ეს გრძნობა, ლამის დედის რძესთან ერთად რომ ჰქონდა შესისხლხორცებული ქართველ კაცს, აიძულებდა მას — უკვე განსწავლულს და განათლებულს — სამშობლოში დაბრუნებულიყო; თავისი ცოდნა, უნარი და მისწრაფებანი საქართველოს სამსხვერპლოზე მიეტანა.

მიუხედავად პიროვნულ და შემოქმედებით ბიოგრაფიათა სხვაობისა, სწორედ ასეთ მოღვაწეთა რიცხვს განეკუთვნებიან ჩვენი მოპაექრენიც: არჩილ ჯორჯაძე, გრიგოლ რობაქიძე და დიმიტრი უზნაძე.

1991 წ.

გრიგოლ რობაქიძის პოლემიკა ლევან მეტრეველთან

მხოლოდ ათიოდე წელი თუ იქნება მას შემდეგ, რაც გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების კვლევას „ლეგალური“ ხასიათი მიეცა; მისი თხზულებების მნიშვნელოვანი ნაწილი (მათ შორის გერმანულიდან თარგმნილი) ცალკე წიგნებად ან პრესაში გამოქვეყნდა. თანამედროვე სალიტერატურო კრიტიკამაც სწორედ მათ მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია.

ჩვენი საუკუნის 10-20-იანი წლების პერიოდიკაში მოიძევება დიდძალი მასალა, რომელიც საშუალებას გვაძლევს ნაბიჯ-ნაბიჯ წარმოვაჩინოთ გ. რობაქიძის შემოქმედებითი გზის ყოველი წვრილმანი: მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ნაწილი სამშობლოდან გახიზვნამდე – 1931 წლამდეა შექმნილი. მე სრულიადაც არ მსურს დავაკნინო გ. რობაქიძის გერმანულად დაწერილი რომანებისა და ესეების მნიშვნელობა, მაგრამ მწერლის ემიგრანტული „გერმანულენოვანი“ პერიოდი ჩვენთვის ნაკლებად ღირსსაცნობი უნდა იყოს. გასათვალისწინებელია, რომ მონოგრაფიულ შესწავლას საჭიროებს გ. რობაქიძის სალექციო მოღვაწეობა, ქართულ და რუსულ პრესაში დაბეჭდილი კრიტიკული წერილები თუ ფილოსოფიურ-ესთეტიკური ხასიათის ესეები, ჯერ კიდევ მოსაძიებელია იმჟამინდელ ჟურნალ-გაზეთებში გაბნეული მისი ლექსები და პოემების ფრაგმენტები, დასაზუსტებელია მისი როლი „ცისფერყანწელებთან“ მიმართებაში, მისი მოღვაწეობა დიპლომატიურ სარბიელზე საქართველოს დამოუკიდებლობის დროს, საქმიანობა საქართველოს მწერალთა კავშირში და ა.შ. სამწუხაროდ ყოველივე ზემოთქმული ნაკლებად, ანდა, სრულიადაც არ იპყრობს მკვლევართა ყურადღებას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მის ლექციებს ლიტერატურის, ხელოვნების თუ ფილოსოფიის საკითხებზე, რომლითაც ევროპიდან 1908 წელს დროებით დაბრუნებული, იმხანად სტუდენტი გრ. რობაქიძე წარსდგა ქართული აუდიტორიის წინაშე.

ისევე, როგორც ქართული ინტელიგენტების უმრავლესობას, მასაც განათლება რუსულად ჰქონდა მიღებული და ცხადია, ლექციების რუსულად კითხვა უფრო „ემარჯვებოდა“. მაგრამ ცალკერძ საზოგადოების მოთხოვნით, ცალკერძ – საკუთარი სურვილით და, რა თქმა უნდა, დიდი ძალისხმევის ფასად, მან სულ მალე შესანიშნავი ქართულით დაატკბო მშობლიური ენის „შესაძლებლობებში“ დაეჭვებული მსმენელები.

მისი ლექციები იმთავითვე გაცხოველებული პოლემიკის საგანიც შეიქმნა (განგებ არ ვამახვილებ ყურადღებას გ. რობაქიძის „განქიქების“ ყოვლად დაუმსახურებელ და უსამართლო მცდელობაზე, მაგალითად, პ. გელეიშვილის მიერ). 1909 წლის გაზეთ „დროებაში“ მივაკვლიე უაღრესად საინტერესო პაექრობას არჩილ ჯორჯაძეს, გრიგოლ რობაქიძესა და დიმიტრი უზნაძეს შორის, რომლის საგანი გახლდათ საჯარო ლექცია „სულიერი დრამა ნიკოლოზ ბარათაშვილისა“.

ამავე წლის „დროებაშივე“ მოვიძიე გ. რობაქიძის შემოქმედებითი გზის დასაწყისის გაცნობისათვის ღირებული სხვა მასალაც: დღესდღეობით მივიწყებული, თავის დროზე კი საკმაოდ ნაყოფიერი პროზაიკოსის ლევან მეტრეველის (1887-1941წწ.) ვრცელი წერილი — „გრიგოლ რობაქიძის ლექციებზე“, „დროება“ 1909წ., №№242,243. მიუხედავად ავტორის ახალგაზრდობისა (იგი მაშინ 22 წლისა თუ იქნებოდა), წერილი თავისთავად საყურადღებო აღმოჩნდა; ხოლო მისი მნიშვნელობა ჩემს თვალში უმალ გაიზარდა, როცა „დროების“ ერთ მომდევნო ნომერში გ. რობაქიძის პასუხსაც გავეცანი („კიდევ ერთი განმარტება ლევ. მეტრეველის წერილის გამო“).

კომენტარებს დასასრულისათვის შემოვინახავ, ახლა კი უცვლელად გთავაზობთ 88 წლის წინ გამოქვეყნებულ წერილებს, რომელნიც სრულიად უცნობია თვით ლიტერატურის ისტორიკოსებისთვისაც კი.

გრიგოლ რობაქიძის ლექციებზე

უცნაური თვისება აქვს სწორედ გ. რობაქიძის ლექციებს.

მსმენელი უგდებს ყურს ერთგულად, დაბეჯითებით. სცდილობს არც ერთი ლამაზად ნასროლი სიტყვა არ ასცდეს მის ყურს, არც ერთი წარმოთქმული აზრი არ გაუფრინდეს შეუმჩნევლად, თვალმოუკრავად. მისჩერებია სიხარბით, გატაცებით, აღტაცებით. ჰსურს კიდევ გაგრძელდეს უფრო მეტ ხანს. იგი არა ჰგრძნობს მობეზრებას, მოწყენილობას...

თავდება ლექცია. ყველა სცდილობს თავის აზრში შეადგინოს მოკლე კონსპექტი ნათქვამისა და გაგონილისა, მაგრამ, ვაი, გაოცებავ. გონება მარჯვედ აფათურებს ხელებს ამ უამრავად წარმოთქმულ აზრებში, ჰსურს დაიჭიროს, იხილოს თვალით, მაგრამ იგინი სადღაც მიჰქრიან, იკარგებიან, იფანტებიან, შორს, უგზო-უკვლოდ, შეუმჩნევლად.

მაგრამ თუ გონება რჩება ესე სახტად, სამაგიეროდ გულში რჩება შთაბეჭდილება, შთაბეჭდილება ზოგჯერ ღრმა და კარგა ხანგრძლივიც.

ბ-ნი რობაქიძის ლექციებზე მხოლოდ შთაბეჭდილებებით შეიძლება ლაპარაკი. მეც თუ ვიტყვი რამეს, უმთავრესად ვიტყვი იმ შთაბეჭდილებათა მიხედვით, რომელნიც განმიცდია ამ ლექციების სმენის დროს.

ადამიანში ერთგვარი სულიერი საზომია, რომელიც რამდენიმედ ეწინააღმდეგება ლოგიკურ საზომს, რეალურ ღირებულებას: როცა ვინმე სიმაღლიდან ძირს ეშვება, — ეს ყოველთვის საწყენია და სამწუხარო. მაგრამ თუ ვინმე დაბლა მდგომი მაღლა მიიწევს, — ეს ყოველთვის საამოა, სასიხარულო. შეიძლება რეალური მნიშვნელობა, ღირებულება ძირს დაშვებულისა ბევრით ისევ მაღლა იდგეს, ვიდრე იმისი, ვინც დაბლიდან მაღლა ესწრაფის, მაგრამ, მიუხედავად ამ ლოგიკურ, რეალურ უპირატესობისა, ჩვენ პირველს მაინც უკმაყოფილოდ შევსცქერით და მეორეს კი კმაყოფილებით. აქ მხოლოდ პროცესსა აქვს მნიშვნელობა თუ ვინ საით მიესწრაფის: სიმაღლიდან ძირს ეშვება, თუ ძირიდან მაღლა მიიწევს.

გ. რობაქიძის ხუთ ლექციიდან მე ის შთაბეჭდილება გამოვიტანე, რომ იგი უნდა განიცდიდეს პირველს პროცესს. იგი თითქოს სიმაღლიდან ძირს ექანება.

პირველად ვნახე, როცა აკაკის შეასხა ქებათა-ქება და დაუწნა დაფნის გვირგვინი მჭევრ-მეტყველობით. მართალია, ჯერეთ ბევრი ილაპარაკა ნომინალიზმზე, კონცეპტუალიზმზე, რეალურ მისტიციზმზე, მაგრამ ამაებიდან თითქმის არავის არაფერი არ შერჩენია: ერთი მისივე მახლობელი მეგობარი ხელ-გაშლილი გაიძახოდა: საუცხოოდ ლაპარაკობს, მომწონს, მაგრამ არა მესმის-რა მაგის ფილოსოფიისაო.

მართლაც, მთელი მისი ლაპარაკი იყო მუსიკა, და თუ მასში მაინც იყო ფილოსოფიის მცირე ნასახი, იგი თითქმის სულ ჩაიღრჩო, ჩაიბნა ამ მუსიკაში. მან მარგალიტებად დააწყებინა ჩხრიალი ნაკადს, ააღელვა, ააშფოთა ზღვა გიჟ ოცნებასავით და დააშშვიდა მძინარე ყრმასავით. ხან ნისლი მოჰფინა ცას, კიდით-კიდემდე შავი ღრუბლები გადააფარა, ხან კი მოსწმინდა, მოაკრიალა, აასხივოსნა ვარსკვლავებიც, მთვარეც გაჰბადრა, გადაგვიშალა თვალუწვდენი მინდორნი — ველი, მაღალი მთები, ნაზად და წყნარად დააწყებინა ნიავსაც ქროლვა, თითქოს იმას ათხრობინებდა იდუმალის ხმით რაღაც შორეულ იდუმალებას. გვიჩვენა ზეაღმაფრენი დიონისი, თვალწარმტაცი აპოლონი, მოუწოდა მუზათ, ხელში მისცა ჩანგი და თავის ხმაზე ათქმევინა ჰანგები. წინ დაგვიყენა აჩრდილი შოთასი, მოგონება ილიასი და სხვა მრავალთა. ხელში მოგვცა მსოფლიო თავის სიდიადით, წარმავალობით, არარაობით. ალაპარაკა, ააკვნესა, ააყვირა, აგვალობა, რასაც კი შეუძლიან ამ ქვეყნად ხმის ამოღება.

ყველაფერი ეს საამო იყო, ტკბილსასმენი, ზეაღმფრენიც.

ყურს ვუგდებდით ხარბად, შევსცქეროდით აღტაცებით, მაგრამ ყველა აქედან გვესმოდა მხოლოდ მუსიკა, ტკბილი ჰანგები, ვხედავდით მხოლოდ წარმტაც სურათებს, ფერადოვნებას და სილამაზეს, მაგრამ რას მოგვითხრობდა ამ ნაკადულის ჩხრიალი, ან ნიავის ქროლვა, ან ზღვისა ღელვა, ეს არ გვესმოდა. არ გვესმოდა, მაგრამ მაინც კმაყოფილნი ვიყავით, და ისე ვიყავით კმაყოფილნი, რომ არავისაც აზრად არ მოსვლია რამე ნაკლი გამოენახა ამ ლექციაში.

მაშინ ვიგრძენ, რომ გონებასაც ჰქონია თავისებური მუსიკა: მას შესძლებია ისმინოს და ისიც აღფრთოვანებით არა აზრი, არამედ აზრთა სილამაზე; მას შეუძლია გაიგოს არა სიტყვანი, აზრის გამომთქმელნი, არამედ სიტყვანი, ჰანგის მთხრობელნი და ამაში ადამიანი განიცდის ნამდვილ ესთეტიკურ სიამოვნებას, როგორც საამო სიმფონიით, ტკბილი სიმღერით, რომელთა შემდეგაც რჩება შთაბეჭდილება და არა აზრი.

მაგრამ თუ ეს შთაბეჭდილებაც საამოა, ძლიერი, ზეაღმაფრენი, მაშინ ის თვით აზრზე ნაკლები რითია?

ასეთი იყო რობაქიძის ლექცია აკაკიზე.

შემდეგ წაიკითხა ლექცია ვაჟა-ფშაველაზე.

ვისაც აკაკიზე არ უნახავს იგი, იმას ძალიან მოეწონებოდა და მოიხიბლებოდა კიდეც, მაგრამ ვინც ნახა აკაკიზე, იმას გასაოცარი აღარაფერი არ გაუგონია. მან ბევრი სურათი გაიმეორა, რაც დაგვანახვა, გაგვაგონა აკაკიზე. მსმენელნიც ვერ მიეგებნენ ისეთის ფრთებშესხმით, როგორც აკაკიზე. რადგან ერთხელ ნასმენი ნაცნობი არის, და ნაცნობი-კი აღარ გვაოცებს.

მაშინ მისი ენაწყლიანობა უფრო სუსტად მოგვითხრობდა იმავე ტკბილ ჰანგებს, რაც გავიგეთ აკაკიზე, და უფრო მკრთალად გვისახატავდა მაშინდელ ლამაზ, წარმტაც სურათებს. მაგრამ იგი მაინც ისე ნიჭიერად იმეორებდა უკვე ნათქვამ ლამაზ ფრაზებს, რომ ხალხი მაინც კმაყოფილი იყო, მაინც აღტაცებული. თუმცა ისე კი აღარა, როგორც აკაკიზე.

შემდეგი ლექცია იყო იბსენზე.

აქ უკვე ერთი რამ შევამჩნიეთ ბ-ნ რობაქიძეს: რამდენადაც ის შედარებით ნაკლებ სილამაზეს ხმარობს თავის ლექციებში, იმდენად უფრო ნათლად გამოსჭვივის მისი აზრიც და შეხედულებაც და რამდენადაც უფრო ნაკლებ სილამაზეს ხმარობს, იმდენად უფრო ნაკლებ არის მომხიბვლელი იგი. ამიტომ იბსენზე იგი უკვე აღარ იყო ის, რაც იყო აკაკიზე, რაც იყო ვაჟაზე. მაგრამ მაინც კიდევ დასტოვა საამო შთაბეჭდილება, თუმცა რამდენიმე თვის შემდეგ ეს საამო შთაბეჭდილება, სამწუხაროდ, შესუსტდა. რადგან ერთ უცნაურობას შევხვდი:

ამ ზაფხულს გამოვიდა ოტტო ვეინინგერის უკანასკნელი წიგნი „უკანასკნელი სიტყვანი“. იქ პირველსავე წერილად მოთავსებულია ვეინინგერის ფართო ნარკვევი იბსენის „პერ გიუნტზე“ და წაკითხვისთანავე უცნაური მსგავსება აღმოჩნდა მასა და ბ-ნ რობაქიძის ლექციას შორის, რაცა სთქვა ბ-მა რობაქიძემ „პერ გიუნტზე“, იგივე თითქმის საკვებით არის ნათქვამი ვეინინგერის წერილში, თუმცა უფრო ფართოდ და უფრო ღრმად. ეჭვი არ არის, ბ-ნ რობაქიძეს, ვიდრე იგი წაიკითხავდა თავის ლექციას, წაკითხული ექნებოდა ვეინინგერის თხზულებაც, რადგან მას სხვა ლექციებშიაც დიდი ლტოლვილება ემჩნევა ვეინინგერისადმი.

მეორე ლექცია იყო ბარათაშვილზე. ეს ლექციაც, შედარებით წინანდელ ლექციებთან, სუსტი იყო. მეტადრე პირველ ორ ნაწილში იგი ძალიან კოჭლობდა, თითქოს რობაქიძეს ველარა სცნობდით სცენაზე, მხოლოდ მესამე ნაწილში ჩაჰბერა ისევ ცხოველი სული. პოეტურის ალფრთოვანებით ისევ დაიწყო გრძნობით ბაასი და ცოტა ხნით კიდევ განვიცადეთ ესთეტიკური სიამოვნება, აღტაცება, შედარებით კიდევ უფრო სუსტად, ვიდრე წინანდელ ლექციებზე.

საინტერესოა თვით მსმენელთა აზრი ბ-ნ რობაქიძეზე. აკაკის ლექციაზე მისი მოწინააღმდეგენიც და მომხრენიც აღტაცებაში იყვნენ და ქებას ასხამდნენ. ბარათაშვილის ლექციაზე კი მოწინააღმდეგენიც და მომხრენიც, თითქმის ახლო ნაცნობებიც ყველა უკმაყოფილო იყო. აკაკიზე იგი გააღმერთეს უფრო მეტად ვიდრე ეკუთვნოდა. ხოლო ბარათაშვილზე უფრო ულმობელად მოეპყრნენ ვიდრე ღირსი იყო, თუმცა ეს ულმობელობა სრულებითაც არ ეტყობოდა, როცა გაცხარებული ტაშის ცემით აჯილდოვებდნენ მას.

ქართველებს ერთი თავის მომჭრელი ბრბოსებური თვისება გვაქვს. თუ მოგვეწონება ვინმე — უნდა ღვთაებად გადავაქციოთ, თუ დავიწუნებთ კი — უბრალო მომაკედავადაც აღარ დავტოვებთ. ქვესკნელში უნდა ჩავაძვრინოთ ხოლმე. მართალია, ბ-ნ რობაქიძის მიმართ უკანასკნელ ზომამდის არ მივსულვართ, არც სასურველია, რომ მივიდეთ, მაგრამ მაინც ურიგო არ იქნება, რომ ბ-ნმა რობაქიძემ ანგარიში გაუწიოს ქართველთა ამ თვისებას, ისე ყოველ შემთხვევისთვის... რობაქიძეს, მართალია, სიამოვნებით უსმენენ, მაგრამ იგი მაინც ჯერ ისეთი ავტორიტეტი არ არის, რომლის ყოველი აზრიც ჭეშმარიტებად მიაჩნდეთ და ციტატებად ხმარობდნენ. და თუ შეცდომას მაინც შეამჩნევენ, მაინც თავისუფლად აპატიებენ ხოლმე.

აი, მაგალითად, შარშან აკაკიმ შოთაზე რომ ლექცია წაიკითხა, ბევრი შეუწყნარებელი აზრი წარმოსთქვა. იგი იძახდა: მხოლოდ რუსთა შემოს-

ვლამ განამტკიცა ჩვენში ბატონყმობა, მანამდის კი წმინდა მამა-შვილური განწყობილება სუფევდაო, რომ ჩვენში არა ყოფილა წოდებათა წინააღმდეგობა, ბრძოლა, როგორც ძველ საბერძნეთში, რომშიო. ამ აზრის საფუძვლიანად დასარღვევად უკვე საკმაოდ პოპულარული ისტორიული საბუთები მოიპოვებიან ქართველთა მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნის ცხოვრებიდან. მაგრამ აკაკის ამაზე არავინ არ უკიჟინა. პირიქით, იმის ლექციიდან ყველა კმაყოფილი გაბრუნდა, მიუხედავად იმისა, რომ მის აზრს იქ ხუთი კაციც არ დაეთანხმებოდა. რობაქიძეს ჯერ კრიტიკულად ვუცქერით, მისი ყველა ნათქვამი ჭეშმარიტებად არ მიგვაჩნია და არც ყველა შეცდომას ვაპატიებთ. ეს თვითონაც კარგად უნდა იცოდეს.

უკანასკნელი მისი ლექცია იყო სქესსა და სიყვარულზე. ეს იმის ყველა სხვა ლექციაზე სუსტათ ჩაითვლება, ამას თვითონაც ჰგრძნობდა სცენაზე და ჰხედავდა, რომ მსმენელნიც ჰგრძნობდნენ მის გრძნობას. მეორე ნაწილს კიდევ არა უშავდა-რა. საერთოდ მან ბოლოში კარგად იცის ხოლმე გამოკეთება. პირველი ნაწილი კი არაფერს არ წარმოადგენდა არც თავის სილამაზით და არც თავის ორიგინალობით. რაც მან იქა სთქვა, მართალია, ეს არ ალუნიშნავს, მაგრამ ყველა ეს დაწვრილებით აქვს იმავე ვეინინგერს თავის კაპიტალურ ნაწარმოებში „სქესი და ხასიათი“. იგი ანვითარებდა ვეინინგერის აზრს, რამდენადაც ზეპირად და ისე მოკლედ შესაძლო იყო, ისევ ვეინინგერისავე სიტყვებით. თუ ვისიმე აზრს ეთანხმება და ანვითარებს კაცი, აქ სათაკილო არაფერია. მაგრამ, როცა საფუძვლიანად სარგებლობს კაცი სხვის აზრით, მე მგონი, უკეთესი იქნება ყოველთვის აღინიშნოს პირველი წყაროც, რადგან უიმისოდ იმის საკუთარ, ორიგინალურ შეხედულებად მიიღებს მსმენელი. ეს არის მხოლოდ ფაქტის აღნიშვნა, რადგან, მე მგონი, თვითონ ბ-ნი რობაქიძეც არ უნდა გასწყრეს.

რაც შეეხება თვითონ გადმოცემის შინაარსს, მასში ცოტა შეცდომაც იყო. იგი ამბობდა: ადამიანი არ წარმოადგენს მთელს, იგი წარმოადგენს ან ნახევარს ან მთელის რომელსამე ნაწილს. იგი ეძიებს ქვეყნად ამ თავისს დანაკლისს, სცდილობს იქცეს მთელად, დამთავრებულ ერთეულად და ამ სიმთავრეს კი ჰპოვებს მოწინააღმდეგე სქესშიო (ავტორი პლატონის აზრს ვეინინგერისეულად მიიჩნევს — ლ.ა.).

შეიძლება დიდმა უმრავლესობამ აგრე გაიგოს ვეინინგერის აზრი, მაგრამ ნამდვილად იგი სხვას ამბობს: ადამიანი თავის პიროვნულ საზღვრებში წარმოადგენს მთელს, მხოლოდ ეს მთელი შესდგება ერთი-ერთმანეთის საწინააღმდეგო თვისებისაგან, მამობრიობისაგან და მდედრობისაგან, რომ ყველა ადამიანი არის მამაკაციც და დედაკაციც, მაგრამ იგი ქვეყნიურ

ასპარეზზე წარმოადგენს ცალად დარჩენილს. ქვეყნიურ პროცესში, ცხოვრების განვითარებაში კი საჭიროა ეს სხვადასხვა თვისებისაგან შემდგარი მთელი დაწყვილდეს, და, ამგვარად, შეადგინოს ახალი ერთეული, უმაღლესი სიმთავრე. ამ სიმთავრეს კი სპობს მოწინააღმდეგე სქესში, რომელიც ავსებს, როგორც მის მამობრივ, ისე მის მდედრივ დანაკლისს. ამგვარად, დაწყვილებული და ერთად ქმნილი კავშირი შეადგენს ჯამს მთელის მამაკაცისას და მთელის დედაკაცისას.

მხოლოდ ეს ორი მთელი, ორი სქესის მეტ-ნაკლებობით შევსებულ-შეზავებული და ერთ ძალად ქმნილი წარმოადგენს იმ რეალურ ერთეულს, იმ განუყოფელ ძალას ქვეყნიურ პროცესში, ცხოვრების განვითარებაში, რომელიც ითვლება უმთავრეს წყაროდ მომავალ სიცოცხლისა და კაცობრიობის არსებობისა.

ეს არის მოკლედ ვეინინგერის აზრი. ბ-მა რობაქიძემ კი ცოტა სხვანაირად დაგვანახვა.

მოკლედ ეს არის შთაბეჭდილება გრიგოლ რობაქიძის ხუთი ლექციიდან და გულწრფელად ვუსურვებ, რომ მომავალში მოგვევლინოს ისე, როგორც აკაკის და არა როგორც ილიას საღამოზე.

ლ. მეტრეველი

ლ. მეტრეველის ერთგვარი „ბელეტრისტული“ სტილის (ზოგჯერ რიტმული პროზის მსგავსი პასაჟებიც კი გვხვდება) წერილი თვითმხილველის უშუალო შთაბეჭდილებას გადმოსცემს და, სავსებით მოსალოდნელი სუბიექტივიზმის მიუხედავად, მაინც საყურადღებო წყაროა გრიგოლ რობაქიძის საჯარო გამოსვლების კვლევისათვის.

როგორც ჩანს, ავტორი ერთგული მსმენელი იყო ლექტორისა, რადგან, მისივე თქმით, გრიგოლ რობაქიძის ხუთ ლექციას დასწრებია — აკაკის, ვაჟა-ფშაველას, ჰენრიკ იბსენის, ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებისა და „სქესისა და სიყვარულის“ შესახებ.

იგი ძირითადად ზოგად შეფასებებს სჯერდება და საკმაოდ ენაწყლიანად გადმოგვცემს გ. რობაქიძის ლექციათაგან მიღებულ შთაბეჭდილებას. „შთაბეჭდილების“ მოხდენას, ეჭვგარეშეა, თვით გრიგოლ რობაქიძეც ელტვოდა. შესაძლოა, სწორი იყოს ლ. მეტრეველი, რადგან გ. რობაქიძის ლექციებში „აზრს“ ზოგჯერ „მუსიკა“, არტისტიზმი, შთაგონება, იმპროვიზაცია ჯაბნიდა. ისიც ცნობილია, რომ ლექტორი მართლაც დიდ ყურადღებას აქცევდა ლექციათა გარეგნულ მხარეს. გ. რობაქიძისათვის „მუსიკის“ სიჭარბე და მის ლექციათა „სიმფონიისათვის“ შედარება სრულიადაც არ იქნებოდა

საწყენი (გავიხსენოთ მისი სათაყვანებელი ფრანგი სიმბოლისტი პოეტის პოლ ვერლენის ლექსის სტრიქონი – „მუსიკა, მუსიკა – უწინარეს ყოვლისა"; ანდა ის, რომ უსაჩინოესი რუსი სიმბოლისტი ანდრეი ბელი თავის რიტმული პროზით გამართულ თხზულებებს „სიმფონიებს"უწოდებდა).

ლ. მეტრეველის აზრით, რობაქიძე-ლექტორი არ ამჟღავნებდა წინსვლას; პირიქით: აკაკიზე წაკითხული ლექციის შემდეგ იგი „სიმაღლიდან ძირს ეშვებოდა". ავტორის გულწრფელობაში ეჭვს ვერ შეივიტანთ; იგი ხომ თავის უშუალო შთაბეჭდილებას გვიზიარებს მხოლოდ (დ. კლდიაშვილს, მაგალითად, გამორჩეულად და აღტაცების მომგვრელად მიაჩნდა ვაჟა-ფშაველაზე წაკითხული ლექცია); ერთი რამ კი უნდა ითქვას: ახალგაზრდისათვის მოულოდნელობის ეფექტი და სიახლის მიმზიდველობა ძალიან ბევრს ნიშნავს, ლ. მეტრეველიც აღიარებდა: „ერთხელ ნასმენი ნაცნობი არის, და ნაცნობი კი აღარ გვაოცებსო"... მეორე მხრივ ისიც გასათვალისწინებელია, რომ სიახლე და უჩვეულობა ადამიანს ხიბლავს, მაგრამ, იმავდროულად, ქვეცნობიერად აღიზიანებს და აფორიაქებს.

მაშ ასე: ავტორი ძირითადად ზედაპირული შთაბეჭდილების გადმოცემას დასჯერდა, მაღალი შეფასება მისცა ლექტორის მჭევრმეტყველებას, მაგრამ საკმაოდ კრიტიკულად შეაფასა თვით ლექციათა შინაარსი; მიიჩნია, რომ გ. რობაქიძე ლექტორი „დაღმავალი ხაზით" მიდის და ერთადერთი კონკრეტული და საკმაოდ სერიოზული ბრალდება წაუყენა: თითქოსდა, რობაქიძის ორი ლექცია, კერძოდ, ჰენრიკ იბსენისა და სქესისა და სიყვარულის შესახებ – საოცარ მსგავსებას ამჟღავნებდა გერმანელი ფილოსოფოსის ოტო ვეინინგერის წიგნებთან – „სქესი და ხასიათი" და „უკანასკნელი სიტყვანი". ავტორმა – პლაგიატორობა თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ვეინინგერის ნაშრომთა, როგორც მნიშვნელოვანი წყაროს განზრახ დაუსახელებლობა კი უსაყვედურა ლექტორს; ამას, ცოტა არ იყოს, აბსურდული სამდურავიც დაურთო: „როცა საფუძვლიანად სარგებლობს კაცი სხვის აზრით, მე მგონი, უკეთესი იქნება ყოველთვის აღნიშნოს პირველი წყაროც, რადგან უიმისოდ მის საკუთარ, ორიგინალურ შეხედულებად მიიღებს მსმენელი. რაც შეეხება თვითონ გადმოცემის შინაარსს, მასში ცოტა შეცდომაც იყო". როგორც ჩანს, ლ. მეტრეველი უგულებელყოფდა რობაქიძის ლექციათა სხვა წყაროებს (ან, უბრალოდ, არ იცნობდა მათ), თორემ ასე დაუეჭვებლად არ დაასკვნიდა – ვეინინგერის აზრები რობაქიძემ შეცდომით(?) გადმოსცაო.

ოტო ვეინინგერს, როგორც ჩანს, აღარ თვლიან რამდენადმე სერიოზულ ფილოსოფოსად, თუმცა, 1903 წელს, როცა მისი ძირითადი ნაშრომი „სქესი და ხასიათი“ გამოიცა, მან მალევე მოიხვეჭა საკმაოდ სკანდალური დიდება. ეს წიგნი რამდენჯერმე გამოიცა გერმანულ ენაზე. ლ. მეტრეველი 1909 წელს რუსულად დასტამბულ მის წიგნებს („სექსი და ხასიათი“ და „უკანასკნელი სიტყვანი“) უნდა გასცნობოდა. იმჟამინდელი მკითხველის ეგზომ დიდი ინტერესი ვეინინგერისადმი უფრო განპირობებული იყო ერთგვარი „სენსაციურობით“, ავტორის ლიტერატურული ნიჭით, თხრობის მისაწვდომი მანერით, დიდ შემოქმედთა ბიოგრაფიის ნაკლებად ცნობილი, ზოგჯერ პიკანტური წვრილმანების გადმოცემით — ვიდრე ფილოსოფიური აზრის სიღრმითა და ძალმოსილებით. საბჭოთა კავშირში, არ ვიცი, „აკრძალული“ იყო თუ არა მისი ნაწერები, მაგრამ მისი სახელი თვით ენციკლოპედიებშიც კი არ მოიხსენიებოდა. გასაკვირი არ იქნება, თუ ახლა, საუკუნის მიწურულს, როცა სქესი და სექსის საკითხები ლამის კარდინალურ პრობლემად გამოცხადდეს — „კიჩის“ მეუფების ხანაში — კვლავ მოდური გახდეს მისი არცთუ მთლად ორიგინალური ნააზრევი (ამაზე მიუთითა ფილოსოფიის დოქტორმა და ფიზიოლოგმა პ. მებიუსმა — რუსეთში მოღვაწემ, რომელმაც იმავე 1909 წელს მოსკოვში გამოცემულ წიგნში „სქესი და უპატივცემულობა“ — ვეინინგერს თავისი ადრეული ნაშრომების „სქესი და გადაგვარება“ და „ქალი და ჭკუასუსტობა“ მიმბაძველობა და სხვა წინამორბედ ფილოსოფოსთა დასკვნების უბოდიშო მითვისება უკიჟინა).

მკითხველისათვის ცხადი რომ გახდეს, რაზეა საუბარი, გადმოვცემ ვეინინგერის ზოგიერთ ყველაზე რადიკალურ მოსაზრებას:

კაცი სუბიექტია, ქალი ობიექტი, სიყვარული მხოლოდ კაცს ძალუძს. ქალი მხოლოდ მატერიაა; მას არა აქვს იდეალები, მაღალი ინტელექტი, გულმოწყალების, თანალმობის უნარი. ქალთა ორი ტიპია — ჰეტერა და დედა (ჰეტერა, მისი აზრით, დედაზე მაღლა დგას). საუკეთესო ქალი ყველაზე უმდაბლეს მამაკაცზე განუზომლად დაბლა მდგომია. ადამიანები მიდრეკილები არიან ბისექსუალობისადმი: „ქალური“ და „მამაკაცური“ ორი სუბსტანციაა; არ არსებობს იდეალური ქალი ან მამაკაცი, რადგან ამ სუბსტანციათა კოეფიციენტი არასდროს არ უდრის ნულს. სიყვარული მხოლოდ პლატონურია, სხვა დანარჩენი (იგულისხმება სქესობრივი აქტი) არის მხოლოდ ღორობა. სიყვარულის მხოლოდ ერთი სახეობა არსებობს: სიყვარული ბეატრიჩესადმი, თაყვანისცემა მადონას მიმართ.

მამაკაცები, რომლებშიც ძლიერია „ქალური“ საწყისი, მიელტვიან ქალს — მკვეთრად გამოხატული „მამაკაცური“ საწყისით და პირუკუ.

ქალს არ გააჩნია საკუთარი თავის შეცნობის უნარიც კი. მათი ფსიქოლოგია მხოლოდ მამაკაცებს აქვთ შესწავლილი.

ყოველივე ზემოთქმული გაჯერებულია მარჯვედ მოხმობილი ისტორიული და ლიტერატურული ექსკურსებით.

თუმცა პირდაპირ ამაზე არაფერია ნათქვამი, ლ. მეტრეველი დიდად დაინტერესებული და მოხიბლულიც კი ჩანს ვეინინგერის „თეორიებით“.

მსურს მკითხველის ყურადღება მივაპყრო კიდევ ერთ დეტალს, რამაც სტატიის ბოლოში იჩინა თავი; ამის გამო ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას ავტორის პიროვნებაზე: ლ. მეტრეველი, გარდა მწერლობისა, ცნობილია რევოლუციური საქმიანობითაც; მუშაობდა თბილისის, ბაქოს, ოდესის საწარმოებში. 1905-07 წლების რევოლუციის მონაწილე იყო, რამდენჯერმე დააპატიმრეს. ერთხანს საფრანგეთში ცხოვრობდა. წინამდებარე სტატიდანაც ჩანს, რომ სოციალ-დემოკრატი უნდა ყოფილიყო: მაგალითად, „ვეფხისტყაოსანზე“ წაკითხული ლექციის გამო აღნიშნავს — აკაკიმ „შეუწყნარებელი აზრი“ გამოთქვა — საქართველოში წოდებათა შორის ბრძოლა-წინააღმდეგობა ისტორიულად არ არსებობდა, მხოლოდ რუსთა შემოსვლამ განამტკიცა ჩვენში ბატონყმობაო. ამასთან, ლ. მეტრეველი კრინტსაც არ ძრავს ილიაზე წაკითხული გახმაურებული ლექციის გამო (რომელზეც უკვე გვქონდა საუბარი), წერილის დასასრულს კი შენიშნავს: რობაქიძეს „გულწრფელად ვუსურვებ, რომ მომავალში მოგვევლინოს იგი ისე, როგორც აკაკის და არა ილიას საღამოზეო“. ... ჩანს, მასაც „ემცხეთა“ სოციალ-დემოკრატთა აუგად მოხსენიება, თუმცა, მათგან განსხვავებით, ლექტორის მიმართ ბოლომდე კორექტული და პირუთვნელი დარჩა.

ახლა კი სიტყვა დავუთმოთ გ. რობაქიძეს.

კიდევ ერთი განმარტება
(ლევ. მეტრეველის წერილის გამო)

ბ-ნი მეტრეველიც ცდილა მიუდგომლად გადმოეცა თავისი შთაბეჭდილება შესახებ ჩემის ლექციებისა. მისი „გრძნობით“, ლექცია შესახებ აკაკისა მშვენიერი და ძლიერი იყო, შემდგომ კი ყოველი ჩემი ლექცია ერთი მეორეზე სუსტი გამოდიოდა. შეიძლება ეს მართალიც იყოს: შთაბეჭდილების წინააღმდეგ ვერვინ ვერაფერს იტყვის. ხოლო მეც შემიძლია სიტყვა ამოვიღო იქ, სადაც ჩემს ლექციებს ერთი მეორეს ადარებენ: ამ შემთხვევაში მე უფრო მიუდგომელი გამოვალ.

ყოველი ჩემი ლექცია თავის განსაკუთრებული მანერით არის შეთხზული, რადგან სხვადასხვა თემა სხვადასხვა მანერას ითხოვს. შეთხზვის მეთოდს დიდ ყურადღებას ვაქცევ მას შემდგომ, რაც ფრ. ნიცშემ, ოსკარ უაილდმა და დიმ. მერეჟკოვსკიმ დამანახვეს მისი მრავალი საიდუმლოება. ორი ლექციის, სხვადასხვა მეთოდით შეთხზულის, შედარება მეტად ძნელია: ხშირად ხდება ხოლმე, რომ ერთი ლექცია როგორც დაწერილი უკეთესია, ვიდრე მეორე ლექცია როგორც წარმოთქმული, და, პირიქით, მაგალითად: ლექცია შესახებ ბარათაშვილისა უფრო ძლიერია, ვიდრე ლექცია შესახებ აკაკისა; მაგრამ , როგორც წარმოთქმული, უკანასკნელი გაცილებით მეტს შთაბეჭდილებას ახდენს. თუმცა ჩემი გამოცდილებით ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ის მეთოდი, რომლითაც შეთხზულია აკაკის შესახებ ლექცია, ქართველ საზოგადოებას ყველას უფრო მოსწონს; მე რომ მკითხონ კი, ბარათაშვილის შესახებ ლექციაში გაყვანილ მეთოდს ვამჯობინებ. აქ გამოთქმულს აზრს ბევრი მიიღებს, როცა ჩემს ლექციებს დაწერილს წაიკითხავს.

ორიოდე სიტყვა შესახებ ვეინინგერისა. ბ-ნ ლევ. მეტრეველს ჰგონია, რომ მე ვეინინგერის მიმდევარი ვიყო. ეს მართალი არაა. ჩემს რუსულ ლექციაში („სქესი და სიყვარული") ვეინინგერის წინააღმდეგ გამოვედი და ეხლაც წინააღმდეგი ვარ. მაშ, რამ გამოიწვია ლევ. მეტრეველის აზრი? საქმე იმაშია, რომ ვეინინგერი რამოდენიმეთ პლატონის ტრადიციებს იცავს. მე ვცდილობ იგი ტრადიციები განვაგრძო, და ადამიანს პირველი შეხედვით ჰგონია, ვითომ მე მართლაც ვეინინგერის მიმდევარი ვიყო, ნამდვილად ეს ასე არაა, ავიღოთ, მაგალითად, ვლ. სოლოვიოვის შესანიშნავი წერილი „Смысл любви". ამ წერილში სოლოვიოვი თითქმის იმასვე ლაპარაკობს გამოსასვლელ მუხლებში, რასაც ვეინინგერი სწერს თავის დიდ შრომაში. და მერე? ვლ. სოლოვიოვი გარდაიცვალა 1900 წელს, ვეინინგერმა კი თავისი წიგნი 1903 წ. გამოუშვა. მეორე მაგალითი: ნ. ბერდიაევმა დასწერა „პერევალში" წერილი 1907 წელს შესახებ „სქესის და სიყვარულის ფილოსოფიისა", სადაც იგი ბევრს იმას ამბობს რასაც ვეინინგერი სწერს. მაგრამ მე ვიცი დანამდვილებით, რომ მან ვეინინგერი მხოლოდ 1908 წელს (ზაფხულში) წაიკითხა. რად მოხდა ეს? იმად, რომ ვეინინგერიცა და ბერდიაევიც პლატონის ფილოსოფიისგან გამოდიან. ჩემს ლექციაში შესახებ იბსენის „პერ გიუნტისა" ბევრი ისეთი აზრია გატარებული, რაც ვეინინგერის წერილშია. ჩემი ლექცია (ნაწყვეტებად) დავსწერე მე პარიზში 1908 წლის თებერვალში, ხოლო ვეინინგერის წერილი წავიკითხე პირველად ბერლინში 1908 წელს მაისში, ჩემის მეგობრის მიერ ნაჩუქარ წიგნში. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ისეთი რამ მაქვს მე გამოთქმული, რაიც ვეინინგერის წერილშია

ნათქვამი, მე მაინც სოლოვიოვის როლი კაცობრიობაში სულ სხვანაირად მესმის და მით მთელი ახსნა-განმარტება იცვლება. მე უკვე დაწყებული მაქვს წერილი, მიმართული ვეინინგერის წინააღმდეგ და იქ სავსებით იქნება ყველაფერი გამორკვეული.

ბოლოს სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ ბ-მა ლევ. მეტრეველმა მიუდგომლობა სავსებით დაიცვა.

გრიგოლ რობაქიძე

როგორც ვხედავთ, ლექტორმა ნათელი, დასაბუთებული და სხარტი პასუხი გასცა კრიტიკოსს. ყოველგვარი გაღიზიანებისა ან დაყვედრების გარეშე განუმარტა — ლექციაში „სქესი და სიყვარული" ვეინინგერის წინააღმდეგ გამოვედი; თქვენი მოსაზრების საფუძველი კი ის არის, რომ ვეინინგერი რამდენადმე იცავს პლატონის ტრადიციებს, რომელთა დაცვას მეც შევეცადეო.

თავად ვეინინგერიც, რომლის „თეორიებიც" პლატონის ნააზრევის შარჟი უფროა, ვიდრე მიმდევრობა, წიგნის შესავალში აღნიშნავდა — ჩემს ნაშრომში მოცემულია მხოლოდ ჩანასახი იმ მსოფლმხედველობისა, რომელიც, ყველაზე უწინარეს, პლატონის, კანტისა და ქრისტიანობის მრწამსს უახლოვდებაო.

გ. რობაქიძემ არც ის ითაკილა, რომ ოპონენტისათვის თავისი ლექციის წყაროები დაესახელებინა; უწინარეს ყოვლისა ვლადიმერ სოლოვიოვის, რამდენადმე — პლატონისა და ნიკოლაი ბერდიაევის თხზულებანი.

ვ. სოლოვიოვი — ფილოსოფოსი-იდეალისტი, პოეტი და კრიტიკოსი, სიმბოლისტების, მათ შორის რობაქიძის კერპიც გახლდათ; წერილიდან ჩანს, რომ მის ნააზრევს ლექტორი განუზომლად მეტ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე ვეინინგერის შრომებს. უფრო მეტიც: მას მიაჩნია, რომ 1900 წელს გარდაცვლილი სოლოვიოვის ზოგ მოსაზრებას იმეორებდა ვეინინგერი 1903 წელს.

მანვე არამცთუ უარყო ვეინინგერის „უკანასკნელი სიტყვანის" ზეგავლენა ლექციაში იბსენზე, არამედ კატეგორიულად განაცხადა — „მე უკვე დაწყებული მაქვს წერილი, მიმართული ვეინინგერის წინააღმდეგ და იქ სავსებით იქნება ყველაფერი გამორკვეულიო".

ზემოთქმული ლ. მეტრეველის კერძო შენიშვნებს პასუხობდა, მაგრამ გ. რობაქიძის წერილი უფრო იმით იყო ფასეული, რომ იგი შეძლებისამებრ განმარტავდა საჯარო გამოსვლებისა და ლექციების თხზვის პროცესის სპეციფიკურობას — მაშინ საქართველოში საჯარო ლექციები იშვიათობა გახლდათ.

უფრო ადრე გ. რობაქიძე „დროებაშივე“, როგორც უკვე ითქვა, პაექრობაში ჩაება ნ. ბარათაშვილზე წაკითხული ლექციის გამო. სწორედ ამიტომ არის დასათაურებული მისი წინამდებარე წერილი როგორც „კიდევ ერთი განმარტება“.

ამ შემთხვევაშიც, როგორც ა. ჯორჯაძესა და დ. უზნაძესთან პაექრობისას, გ. რობაქიძემ თავაზიანად დაამთავრა წერილი — „ბოლოს სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ ბ-ნმა ლევ. მეტრეველმა მიუდგომლობა სავსებით დაიცვაო“.

ეს მცირედი მასალა რამდენიმე კოლორიტულ შტრიხს მატებს გ. რობაქიძის შემოქმედებითი გზის დასაწყისს და, აგრეთვე, მიგვანიშნებს იმდროინდელი ქართული საზოგადოების სულიერ ინტერესებსაც.

1997წ.

გრიგოლ რობაქიძე – ლექტორი

ძველ სამყაროში ყველა გზას რომისკენ მივყავდით; თითქმის 50 წლის მანძილზე, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან XX საუკუნის დასაწყისის ჩათვლით, ჩვენი „რომი“ ილია ჭავჭავაძე იყო: 1900-იან წლებში და შემდგომშიც, — ყველა საზოგადოებრივი თუ ლიტერატურული მოვლენა ჯერ კიდევ საქართველოს სულიერი საჭეთმპყრობელის, „ნახევარსაუკუნოვანი დიქტატორის“ (ტიციან ტაბიძე) — ილიას სახელს უკავშირდებოდა. მისმა მოწამებრივმა აღსასრულმაც კი უდიდესი როლი შეასრულა იმხანად მინავლული ეროვნული თვითშეგნების გაღვივებაში; დროებით მაინც გაამთლიანა რუსეთის გუბერნიებად დაყოფილი, ურთიერთდაპირისპირებულ პოლიტიკურ ვნებათა გახლეჩულ, რეგვნულ ჭიდილში ჩათრეული, „კლასებად“, „პარტიებად“, „ჯგუფებად“ დაქუცმაცებული საქართველო.

ალბათ ბევრმა არ იცის, რომ გრიგოლ რობაქიძის პირველი და ძალზე ეფექტური „გამოჩენა“ ქართულ სინამდვილეში სწორედ ილიას წყალობით გახმაურდა. საქმე ის გახლავთ, რომ 1908 წელს ევროპიდან დროებით დაბრუნებულმა, იმჟამად სტუდენტმა გრიგოლ რობაქიძემ შეუფარავად განაცხადა, — ილია ჭავჭავაძის ვერაგულმა მკვლელობამ მაიძულა მიმეტოვებინა ევროპა და სამშობლოში დავბრუნებულიყავიო. ახალგაზრდა და პატივმოყვარე მწერალს (რომლის სახელი სრულიად უცნობი იყო იმხანად), ჩანს, ძალიც შესწევდა ქადილისა.

რობაქიძემ ქართული აუდიტორია პირველივე ლექციით დაიპყრო, ის ილია ჭავჭავაძეს მიეძღვნა, ილიას, რომლის წმინდა სისხლი ჯერ

კიდევ არ შეშრობოდა ქართულ მიწას, გარდა საფუძვლიანი ამბიციურობისა, დამწყებ ლექტორს არც გამბედაობა აკლდა; მან საკმაოდ დაურიდებლად და არაორაზროვნად მიუთითა კიდეც ილიას სავარაუდო მკვლელებზე. როგორც მოსალოდნელი იყო, სოციალ-დემოკრატთა გაზეთებმა ერთი ვაი-უშველებელი ატეხეს, და ცუდი ჩვეულებისამებრ, ლანძღვა-გინების კორიანტელი დაატეხეს თავს.

ღვთის მადლით, ლექტორმა არად ჩააგდო მტრული გამოხდომები და ინტენსიური სალექციო მოღვაწეობა განაგრძო — თბილისშიც და ქუთაისშიც.

გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებითი გზის დასაწყისი — მისი სალექციო მოღვაწეობა, არსებითად, სრულიად შეუსწავლელია — არადა, სწორედ ლექციებმა მოუხვეჭა მას მყისიერად დიდი სახელი, სწორედ ლექციებში წარმოჩნდა პირველად მისი თავისთავადი, ღვთით ბოძებული ნიჭიერება, ფართო თვალსაწიერი და განსწავლულობა, იმპროვიზაციის შესაშური უნარი და პოლემისტის ალღო, ფიცხი ტემპერამენტი და მჭევრმეტყველის ტალანტი. იმთავითვე გამოიკვეთა მისი განუხრელი, მტკიცე ეროვნული მრწამსიც, რითაც აშკარად გაემიჯნა კოსმოპოლიტიზმსაც და ინტერნაციონალურ რადიკალიზმსაც.

ცნობილია, რომ გრიგოლ რობაქიძემ ლექციების კითხვა რუსულად დაიწყო; მაგრამ მის რუსულ ლექციებშიც ქართული სული ფეთქავდა, ქართული მრავალსაუკუნოვანი კულტურის ფენომენით აღტკინება მძლავრობდა, ეროვნულ ნიჰილიზმს ძირი ეთხრებოდა... შეუდარებელი ორატორი და მგზნებარე პატრიოტი, რუსულ ლექციებითაც დიდ აუდიტორიას იკრებდა და დამსახურებულ წარმატებასაც იხვეჭდა.

სალექციო მოღვაწეობის დასაწყისშივე მან რუსეთისა და დასავლეთ ევროპის დიდ ქალაქებში განსწავლულ ქართველ ინტელექტუალებს, სამაგალითო ზნეობრივი გაკვეთილიც ჩაუტარა: დიდი ძალისხმევის ფასად, სულ მოკლე ხანში შეძლო ლექციების ქართულად კითხვა.

საზოგადოებისათვის ჩანამდე უცნობი გრიგოლ რობაქიძის ლექციები გულგრილს არავის ტოვებდა: ბევრი ქართველი მოღვაწე, ხანდაზმული თუ ახალგაზრდა, სახელოვანი თუ ახალბედა, — გამოეხმაურა მას. ზოგი აკრიტიკებდა, ზოგი ედავებოდა, უმეტესობა კი ხოტბა-დიდებას არ იშურებდა. იმთავითვე გაისმა კეთილგანწყობილი, მორიდებული თხოვნაც და სუსხიანი, შეუვალი მოთხოვნაც — ქართველ ლექტორს ლექციები ქართულად წაეკითხა...

იმათ შორის, რომელთაც ჯეროვნად დააფასეს გრიგოლ რობაქიძის გაბედული, ახლებური აზროვნება, ორატორული ხელოვნება და, ამასთან,

ეჩოთირათ ლექციების რუსულად კითხვა, – ორი დიდებული მწერალი – დავით კლდიაშვილი და ნიკო ლორთქიფანიძეც იყვნენ.

დავით კლდიაშვილმა ოციანი წლების დასაწყისში დაწერილ მემუარებში საგანგებოდ მოიხსენია გრიგოლ რობაქიძის სალექციო მოღვაწეობა, ვითარცა ღირსსაცნობი კულტურული მოვლენა.

თანალმობის გასაოცარი უნარით დაჯილდოებულმა დიდმა დავითმა იშვიათი ტაქტით გადმოსცა ის სინანული, რასაც განიცდიდნენ ახალგაზრდა ლექტორის გულშემატკივარნი მისი რუსული გამოსვლების გამო: „ამ ხანებში იყო ქუთაისში პირველი გამოსვლები საჯარო ლექციებით გრიგოლ რობაქიძის. გრიგოლი ამ ლექციებს კითხულობდა რუსულ ენაზედ. ხალხი უზომოდ ესწრებოდა. დიდად ვწუხდით, რომ ლექტორი ერიდებოდა ქართულად გამოსვლას და ენატრობდით მოესწრებოდით ქართულ ენაზედ წარმოთქმულ ლექციას. ბევრი ამართლებდა გრიგოლს, ქართულად არ შეიძლება იმის ლექციების გადმოცემაო. ასე ეუცხოებოდათ ამ ახლო წარსულში ქართულად სიტყვის წარმოთქმა. საჯაროდ ქართულად მოლაპარაკე ათასში ერთი თუ გაბედავდა გამოსვლას; ჩვეულებად იყო ხოლმე ბოდიშის მოხდა, ქართული არ მეხერხებაო, ნება მიბოძეთ, რუსულად ვთქვა ჩემი სათქმელიო.

ამგვარი იყო მდგომარეობა, როცა გრიგოლ რობაქიძემ იწყო გამოსვლა საჯარო ლექციებით. როგორც ვთქვი, ამ ხალხს ქართველი ლექტორი ქართულ სიტყვას არ აგონებდა, ქართულ სიტყვას არიდებდა. გულდაწყვეტილებმა ვარლამ ბურჯანაძისა და გიორგი თუთბერიძის პირით (რომლებთანაც იდგა გრიგოლი), შევუთვალეთ – ლექციები ქართულად ეკითხნა“...

ამ ფრაგმენტში კიდევ ერთხელ წარმოჩნდა თვით დავით კლდიაშვილის დიდბუნებოვნება და ლამის ბავშვური აღტაცების უნარი.

თანაც, ვის-ვის და, ყრმობასა და სიჭაბუკეში ორგზის ძალით გარუსებულ დიდ ქართველ მწერალს არ ესწავლებოდა მშობლიური ენის წიაღში დაბრუნების სიძნელე.

გრიგოლ რობაქიძე ნაყოფიერ სალექციო მოღვაწეობას 1908-1909 წლებში შეუდგა. ჟურნალ „ნიშადურში“ მივაკვლიე ნიკო ლორთქიფანიძის ფრიად საინტერესო წერილს „უკუღმართი ლექტორები“ („ნიშადური“, 1908 წლის 23 მარტი, №34). სტატია კატეგორიულად გმობდა „მორუსულე“ ლექტორებს. ნიკო ლორთქიფანიძე და გრიგოლ რობაქიძე ერთი თაობისანი იყვნენ. მომავალ დიდ მწერალს, იმ ხანებში ხარკოვის უნივერსიტეტსა და ავსტრიის სამთო აკადემიაში სწავლამიღებულს, 1902 წლიდან რომ აქვეყნებდა მოთხრობებს ქართულ პრესაში, ჯერ კიდევ არ

ჰქონდა დიდი პროზაიკოსის სახელი: ნიკო ლორთქიფანიძე ის-ის იყო შესდგომოდა მხატვრული სრულყოფილების ძნელ აღმართს.

მის „უკულმართ ლექტორებში“ ცალკერძ ახალგაზრდული მაქსიმალიზმი იგრძნობა, ცალკერძ კი დიდი მამულიშვილური გულისწუხილი:

„როცა მითხრეს, ბატონი ი. ნაკაშიძე წაიკითხავს ლექციებს ქართულ იუმორზეო, ძლიერ გამეხარდა, მაგრამ რა განცვიფრებაში მოვედი, როცა გაზეთის განცხადებაში წავაწყდი სიტყვებს „რუსულ ენაზე“.

როგორ, ბატონი ნაკაშიძეც?!

ამას წინათ ჩამოვიდა ახალგაზრდა ლექტორი და რიხიანად თქვა – რასაც მე პირადად გულწრფელად ვუჯერი – ილია ჭავჭავაძის ვერაგულმა მოკვლამ მაიძულა მომეშურებია საქართველოსათვის, რათა ამეხსნა თანამემამულეთათვის საჭირბოროტო კითხვები – და საკვირველებაე! ქართველ ერს თავის გულისნადები რუსულად გადასცა... (ჩანს, ნიკო ლორთქიფანიძემ ერთგვარი მიკერძოება გაამჟღავნა გრიგოლ რობაქიძის მიმართ, რადგან „დაინდო“ იგი და, სხვებისაგან განსხვავებით, მისი გვარსახელი არ მოიხსენია – ლ.ა.).

პროფესორი ა. ხახანაშვილი ჩამოვიდა თბილისში, საქართველოს „გულისაგულში“ და ქართული მწერლობის შესახებ ლექციები რუსულად წაიკითხა...

ბატონი ე. თაყაიშვილი, რომელშიაც საოცნებოდ შეერთებულა გურული სიმკვირცხლე და ქართული სიდინჯე, ხიბლავდა, როგორც გადმომცეს, თავისი ლექციებით მსმენელთ; მაგრამ – დახეთ უკულმართობას – თბილისში, ქართველ საზოგადოებაში, საქართველოს ისტორია იკითხებოდა რუსულად. იქნება მსმენელთა საზოგადოება ჩვენში სხვადასხვა ერებისგან შესდგებოდა? თქვენც არ მომიკვდეთ! ცხრა მეათედი ისევე ქართველები ვართ!

წაიკითხა აგრეთვე ლექცია მ. გედევანიშვილმა, უკაცრავად, გედევანოვმა და რამდენადაც საინტერესო იყო ლექციის საგანი და თვით გადმოცემა მისი, იმდენად სამწუხარო იყო იგი, რადგან რუსულად იყო წაკითხული.

საქართველოს დედაქალაქში, ქართულ აუდიტორიაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს ლექციას რუსულ ენაზე ქართველ ლექტორისაგან. ეს ისეთი მარტივი და საღი ჭეშმარიტებაა, რომ მაგის მტკიცება სრულიად მეტი უნდა იყოს, მაგრამ რას იზამთ, როცა ამ უკულმართ დროს ჭეშმარიტების მტკიცებაც და მრავალგზის განმეორებაც დიაღაც საჭიროდ შეიქნა.

ეროვნული თვითშეგნება, ეროვნული კულტურა და ეროვნული მთლიანობა ქართულის ენის განმტკიცებას და შესისხლხორცებას თხოულობს და თქვენ კი...

ჩაუკვირდით, – ბატონებო, რას სჩადიხართ, ვის პროგრამას ავრცელებთ, ვის უწევთ სამსახურს?!"

ნიკო ლორთქიფანიძის „უკულმართი ლექტორების" ერთ-ერთმა ადრესატმა, ცნობილმა მწერალმა და პუბლიცისტმა ილია ნაკაშიძემ (1866-1923წ.წ.) ითაკილა ახალგაზრდა ოპონენტის, მისივე სიტყვებით – „გარეგნულ ვაჭკაცური იერიში", „ნიშადურის" მომდევნო, 35-ე ნომერში გამოაქვეყნა „პასუხი ბატონ ნ. ლორთქიფანიძეს". ავტორი შეეცადა თავის მართლებას, თუმცა, არცთუ საბუთიანად:

„თუ დღეს ქართულ მწერლობის შესახებ ლექციებზე უმთავრესად ქართველნი დადიან, ეს უძრაობის, სხვადასხვა ერთა ერთურთის მიმართ ძველებური გულგრილობის ბრალია. ამ სამწუხარო მოვლენასთან ბრძოლა საჭიროა არა რუსულ ლექციების განდევნით, არამედ რუსულივე და სხვა ადგილობრივ პრესის საშუალებით; საზოგადოდ, ადგილობრივ სხვადასხვა ტომთა (?!-ლ.ა.) ინტელიგენციის ყოველმხრივ დაახლოებით, ერთურთის მიმართ ინტერესის გაღვიძებით, და არა, ლოკოკინის მსგავსად, თავის პაწია ეროვნულ იდეაში შეძრომით და შიგ თავმომწონე მარტოობით".

„ადგილობრივ სხვადასხვა ტომთა ინტელიგენციის ყოველმხრივი დაახლოება" რუსული ენის მეშვეობით – ასეთი ლოზუნგი, ცხადია, სოციალ-დემოკრატთა მრწამსის გამოხატულება გახლდათ; სწორედ ამ პარტიას განეკუთვნებოდა ილია ნაკაშიძეც, რომელმაც ეროვნულ იდეას კნინობითი ეპითეტიც კი მიუსადაგა.

ილია ნაკაშიძისაგან განსხვავებით, გრიგოლ რობაქიძემ საუსებით გაიზიარა ნიკო ლორთქიფანიძის სამართლიანი შენიშვნა. როგორც ჩანს, ახალგაზრდა ლექტორი მწვავედ განიცდიდა თავისი მდგომარეობის ერთგვარად ორჭოფულ ხასიათს (ქართველთათვის ქართული სულისკვეთების განმტკიცება რუსულ ენაზე?!).

კვლავ დავით კლდიაშვილის მოგონებებს დავუბრუნდეთ:

„...შევუთვალეთ, ლექციები ქართულად ეკითხნა. მე მაშინ გრიგოლს არ ვიცნობდი პირადად. გრიგოლმა შემოგვითვალა, რომ მალე ქართულად ვიწყებ ლექციებსო. მახსოვს პირველი მისი საჯარო ქართულად წაკითხული ლექცია.

ლექცია იყო ბარათაშვილზედ.

საზოგადოება განსხვავებულ აღტაცებაში მოიყვანა ამ ლექციამ. გაზეთებში დიადი ქებით იხსენებდნენ ლექციის შინაარსს, ლექტორის

ცოდნას და განსაკუთრებით შენიშნავდნენ ლექტორის საუცხოო ქართულს. ბარათაშვილზე ლექციას მოყვა ლექცია ვაჟა-ფშაველას „გველის-მჭამელზედ“, შემდეგ აკაკიზედ. საზოგადოების აღტაცება თანდათან მატულობდა. ლექტორის არაჩვეულებრივი ლამაზი ქართულის გაგონების მსურველთა რიცხვი შესამჩნევად იზრდებოდა. უსმენდნენ ლექტორს სულგანაბულნი და თავის ყურებს არ უჯერებდნენ, თუ ასეთი შნოიანი ქართულით შესაძლებელი იყო ლექციის კითხვა. ლექტორის საოცარი ლამაზი ქართული უსაზომოდ ხიბლავდა და იტაცებდა მსმენელს.

... თამამად ვამბობ, რომ გრიგოლ რობაქიძემ გამოაცოცხლა მაშინდელი ქართველობა; თავის საჯარო ლექციებით ნათლად დაუმტკიცა საზოგადოებას, რომ ქართული ენა მშვენებით სავსეა, რომ მისით მშვენიერად გამოითქმება ადამიანის ყოველნაირი სულისკვეთება, გამოიხატება მისი აზროვნება. გრიგოლმა დაანახა ქართულ საზოგადოებას, გადაგვარების გზაზე შემდგარს, ქართულის სიმშვენიერე, სიმძლავრე — დაანახა და გაიტაცა. მან დიდად დაავალა ქართული საზოგადოება, მას ვერ დაუვიწყებს ქართველობა ამ დიდ ნამოღვაწარს“.

ისევე, როგორც ქართველი ინტელიგენტების უმრავლესობას, გრიგოლ რობაქიძესაც განათლება რუსულად ჰქონდა მიღებული და, ცხადია, ლექციების კითხვა რუსულ ენაზე უფრო „ემარჯვებოდა“, მაგრამ საზოგადოების მოთხოვნით და, რაც მთავარია, საკუთარი სურვილითა და დიდი ძალისხმევის ფასად, მან სულ მალე, შესანიშნავი ქართულით, — თანაბრად დაატკბო დიდი ილიას მიმდევრებიც და მშობლიური ენის „შესაძლებლობებში“ დაეჭვებული მსმენელიც.

ცნობისათვის: გრიგოლ რობაქიძეს არც რუსულ საჯარო გამოსვლებზე უთქვამს უარი; მისი რუსული ენამჭევრობაც, თურმე, როგორც ტიციან ტაბიძე წერდა მოგვიანებით, — „ქარიშხლის მოვარდნას“ ჰგავდა.

თავად გრიგოლ რობაქიძე, სამშობლოსაგან მოშორებული და სვეგამწარებული, 1949 წელს ჟენევაში გაიხსენებს: „1913 წელს, მარტში პეტერბურგის ქართველთა სათვისტომომ ილიას სახსოვარი საღამო გამართა. თავმჯდომარე მაქსიმ კოვალევსკი. მომხსენებელი შოთა დადიანი. სიტყვა ჩემი: „საქართველოს ტრაგედია“. მოვათავე სიტყვა — აღტაცება ექსტაზად იქცა. შინაარსმა გამოიწვია ეს ჩემი სიტყვისა? არა: ურიგო არ იყო, მეტი არა. ეგებ ფორმამ სიტყვისა? არა: ჩემი საშინელი აკცენტი რუსულში ცნობილია. მაშ რა იყო? ეს იყო „ის“ ცეცხლი, რომელიც სიტყვის წარმოთქმისას ჩემში იწვოდა: იწვოდა ილიას ირგვლივ... გადის ორი-სამი დღე. ერთი სტუდენტი, რუსი, უგზავნის პეტერბურგიდან ბარათს თავის მეგობარს ხარკოვში, სტუდენტს, რუსს. სწერს სიტყვა-სიტყვით: გრიგოლ

რობაქიძის სიტყვის შემდგომ – საქართველო რომ თავისუფალი მხარე იყვეს, მე მისი ქვეშევრდომი გაუხდებოდიო. ეს ამბავი გადმომცა ჩემმა მეგობარმა პროფ. დიტო (დიმიტრი) უზნაძემ – გადამდები სიხარულით აყვანილმა (ასეთი სათუთი ფარული ცეცხლით ანთებული ადამიანი მე მეორე არ მინახავს; მოგახარებს რამეს – თრთის, თითქო ჩვილი ბავშვიაო).

ეს მოხდა 1913 წელს. რა ვიყავ მაშინ? „დამწყები" მხოლოდ!" (ციტირებულია წიგნიდან – გურამ შარაძე, „უცხოეთის ცის ქვეშ", წიგნი პირველი, თბ., „მერანი", 1991წ.).

რუსულ ენაზევე წაიკითხა, როგორც ითქვა, რობაქიძემ პირველი ლექცია ილიაზე. ახლა აღარ მოხერხდება მისი შინაარსის აღდგენა, საერთო სულისკვეთების წარმოჩენას კი ლექტორის შემდგომდროინდელი ჩანაწერით შევეცდები:

„საქართველოს თავს ატყდება დიდი უბედურება: წიწამურის ველი ირწყვება დიდი ქართველის სისხლით. მკვლელი ქართველთა ნაშიერია, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს ტკივილს. დიდია გლოვა და ვაება, ხოლო საოცარი და საცნაური: ერის მიერ ღრმად განცდილ ტანჯვაში მკვლელობა თანდათან „მსხვერპლის" სახეს იღებს – მსხვერპლის, რომლის საიდუმლოება სინამდვილის გარდამქმნელი ძალაა. და აი: წიწამურის ველიდან ვლინდება დღითიდღე, კიდით კიდემდე, მთელს საქართველოს არეში ეს უხილავი, ხოლო ცხადზე უცხადესი ძალა – ვლინდება უშუალო ქმედებით ეს ქვეშეცნეული, ყოველ ქართველში, რომელშიაც ღვივის კიდეც, ოდნავ მაინც, ცეცხლი კარდჰუს თესლისა – ყოველ ქართველში იღვიძებს საქართველო – იღვიძებს არა წილობით, არამედ მთლად; იღვიძებს მთელი საქართველო, მთელი მისი ბედით, არც ერთი მექმე ქართველი არ რჩება ეხლა განზე განაპირებული. ყოველი მათგანის გზა მიდის ამიერიდან ამ მსხვერპლის ნიშნით.

ილია იღწოდა საქართველოს მზეთსან ხელმწიფების აღდგენისათვის: სიტყვით, საქმით, ცხოვრებით"... (იხ. დასახელებული წიგნი).

ილიას გარდაცვალების მეათე წლისთავზე გაზეთ „საქართველოში" გამოქვეყნებულ წერილში „ქართული რენესანსი", – გრიგოლ რობაქიძე ილიას მოწამებრივ აღსასრულს კვლავ ერის მიერ საკუთარი თავის შეცნობას და, აგრეთვე, ქართული რენესანსის ჩასახვას უკავშირებდა: „ქართული რენესანსის ჩასახვის მისტიური სიმბოლო წიწამურის ველია: ქართველმა მოჰკლა საქართველოს მძლავრი მხედარი, ხოლო სისხლით შესვრილ ხელს რომ დახედა, მკვლელმა საქართველოს სახე დაინახა. ილია ჭავჭავაძე მსხვერპლია, შეუცნობლად შეწირული საქართველოს საყოფელი სახის ხილვისათვის. და მართლაც: მგონი, არასოდეს ასე

მძაფრად არ უგრძვნია ქართველს საქართველო, როგორც ამ ტრაგიკულ წამს. უკანასკნელ წვეთამდე რისამე გრძნობა კი მისი შესაძლო სხეულის კვეთილობას უდრის. ქართველმა იგრძნო საქართველო და ამ გრძნობიდან ისახება ქართული რენესანსი" („საქართველო", 1917წ. №257).

გრიგოლ რობაქიძის ორატორულ ნიჭს ეხება დიდი რუსი მწერალი ანდრეი ბელი, როცა იგონებს 1907 წლის 5 მარტს პარიზში, „აღმოსავლეთის დარბაზში" გამართულ დიმიტრი მერეჟკოვსკის ლექციას: „ერთხელ მერეჟკოვსკის ლექციას ვისმენდი რუსულ კოლონიაში. ვიღაც მტკიცე შესახედაობის მამაკაცი, გულზე ჯვარედინად ხელებდაკრებილი, მხრებით კედელს მიყრდნობილი, აწეული პროფილით, როგორც ძველი მარმარილოს ქანდაკი, გაქვავებული იდგა. ... უცხო მამაკაცი არ წავიდა შესაკამათებლად. მკაფიო ხმით ადგილიდან იქუხა, მისი პროფილივით მტკიცედ გამოძერწილი სიტყვებით.

ამ გამოჩენილ მწერალს, სიმბოლიზმის კლასიკოსს, ქართველი პოეტების ჯგუფის ხელმძღვანელს, რომლის სახელი მოგვიანებით გერმანიაში გახმაურდა, ოცდასამი წლის შემდეგ შევხვდი თბილისში" (А. Белый, „Между двух рволюций," 1990წ.; ციტირებულია აკაკი ბაქრაძის წიგნიდან: „კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი", თბ., 1999წ.) საოცარი კი ჩემთვის ის გახლავთ, რომ ანდრეი ბელის ზემოხსენებული წიგნი, თუ არ ვცდები, 1934 წელს გამოცემული, – წაკითხული მაქვს (ანდრეი ბელის დიდი თაყვანისმცემელი ვარ; მიმაჩნია, რომ პროზის ისეთივე რეფორმატორია, როგორიც ჯოისი ან პრუსტი იყვნენ. ყოველთვის მიკვირდა, რომ რუსი ლიტერატორები კრინტსაც არ ძრავდნენ ამის თაობაზე); უნდა ვაღიარო, რომ ზემოხსენებული მნიშვნელოვანი ფრაგმენტისათვის ყურადღება არ მიმიქცევია, თუმცა ისიც არ არის გამორიცხული, რომ ძველ გამოცემაში ეს ეპიზოდი არ ყოფილიყო.

1927 წელს, როცა ანდრეი ბელი პირველად ჩამოვიდა საქართველოში, გრიგოლ რობაქიძე ბერლინში იმყოფებოდა; შეუძლებელია, რუს მწერალს არ სცოდნოდა, რომ რამდენიმე წლის წინ, თბილისის რუსულ ჟურნალში რობაქიძის მისდამი მიძღვნილი ერცელი ესეი გამოქვეყნდა. საკმაოდ ზუსტად მიუთითებს ანდრეი ბელი მათი გაცნობის თარიღსაც: რუსი მწერალი 1929 წელსაც ესტუმრა საქართველოს (მემუარები – „Ветер с Кавказа"– 1928 წელს გამოაქვეყნა).

რუს პოეტებთან სხვაგვარ „შეჯახებაზე" მოგვითხრობს ტიციან ტაბიძე. რობაქიძის სიმპათიას ანდრეი ბელისადმი ისიც განაპირობებდა,რომ რუსი პოეტი სამამულო სიმბოლიზმის ერთ-ერთი მოთავე გახლდათ; ამასთან, ცნობილია ტიციან ტაბიძისა და პაოლო იაშვილის „ლოიალური",

ხოლო გრიგოლ რობაქიძის შეურიგებელი მიმართება ფუტურიზმისადმი.

პარადოქსებითა და წინააღმდეგობებით აღსავსე წერილში „დადაიზმი და ცისფერი ყანწები“ (ჟურნალი „მეოცნებე ნიამორები“, 1923წ.) ტიციანი იგონებს 1919 წლის 7 ივნისს თბილისის კაფე „იმედში“ გამართულ რუსი ფუტურისტების საღამოს: „საღამო მოაწყვეს რუსის ფუტურისტებმა ილია ზდანევიჩმა, ა. კრუჩიონიხმა და ტერენტიევმა. ეს საღამო იყო ფუტურისტული მხატვრობის. უმთავრესად აქ წარმოდგენილი იყო მეორე ზდანევიჩი (იგულისხმება კირილე – ლ.ა.) და ლადო გუდიაშვილი. მოხსენებას კითხულობდა „ფუტურისტული სიტყვის იეზუიტი“ კრუჩიონხინი. როდესაც ტფილისის აკადემიის წურბელებმა იჯერეს გული (მახსოვს იყვნენ მათემატიკის დოქტორი ხარაზოვი და ს. გოროდეცკი), როცა ფუტურისტების ფრონტი მოიხსნა და ა. კრუჩიონხინი ჩხაოდა, როგორც მოგდებული კატა, სიტყვა აიღო გრიგოლ რობაქიძემ. ეს იყო ქარიშხლის მოვარდნა (ალბათ ეს ღამე დაამახსოვრდა ა. კრუჩიონხინს, როცა გრიგოლ რობაქიძეს დაარქვა „специалист по апокалипсису и безумию“)...

ამ აპოკალიპსის ორკესტრიდან რამდენიმე ფრაზა დავიმახსოვრე: აქ იყო ლაპარაკი ნიცშეს ინსტინქტების ანარქიაზე, ედგარ პოეს მიწის ქვესკნელის გაჟრჟოლებაზე, გეოლოგიურ კატასტროფებზე... დასკვნა ასეთი იყო: ფუტურისტები გამართლებული არიან ცხოვრებით. თქვენ ამტკიცებთ, რომ ისინი შეგნებულად ჯამბაზობენ: მაგრამ კარგი: თუ საუკეთესო ახალგაზრდობა საფრანგეთის, რუსეთის, საქართველოსი და შეიძლება მთელი ქვეყნისაც შეგნებულად ჯამბაზობს, მით უარესი თქვენი ქვეყნისთვისო.

... ამ ღამეს გრიგოლ რობაქიძემ გაბსნა თავისი მასკა: ამ ღამეს ის არ იყო მთაწმინდელი, ღვაწლით შემოსილი, მასში დასძლია პოეტის უკიდურესობამ“...

გრიგოლ რობაქიძის მაშინდელი გამოსვლით მიღებული შთაბეჭდილება იმავე ღამეს უკვდავჰყო ლადო გუდიაშვილმა, რომელიც „ჩაიკეტა თავის სახლში და დახატა გრიგოლ რობაქიძის პორტრეტი: ეს არის უდიდესი, რაც შეუქმნია ლადო გუდიაშვილს: გრიგოლ რობაქიძე არწივის თავით, რომელსაც გადმოდის ტვინი ბალღამივით და შუბლი შედრეკილი იხე,. თითქოს მაცხოვარს ჩასცეს ლახვარი“ (ტ. ტაბიძე, დასახელებული წერილი). საბედნიეროდ, ლადო გუდიაშვილის ამ ნახატმა ჩვენამდე მოაღწია.

გრიგოლ რობაქიძის სალექციო არეალი არ მოიცავდა მხოლოდ ქართულ მასალას. მისი აუდიტორიის დიდ ნაწილს გამორჩეულად დაამახ-

სოვრდა ლექციები ილიაზე, ნიკოლოზ ბარათაშვილზე, აკაკიზე, ვაჟა-ფშაველაზე; ზოგს უცხოელი მწერლები, ევროპული თუ რუსული ლიტერატურის, ფილოსოფიისა და ესთეტიკის საკითხები იზიდავდა (ნიცშე თუ ოსკარ უაილდი, გოეთე თუ ბოდლერი, ჰენრიკ იბსენი თუ ვეინინგერი, ბერდიაევი თუ მერეჟკოვსკი, ანდრეი ბელი თუ როზანოვი და ბევრი სხვა); „გრიგოლ რობაქიძის აქაფებული სიტყვა, ალმაფრენი ფანტაზია, თვალისმომჭრელი სახეები ძვირფასი მოგონებაა ჩვენი ახალგაზრდობისა, პირველად იმან შეგვახედა იოჰანაანის მოჭრილ თავს, პირველად იმან მოგვასმენინა ნიცშეს მწვალებელი სიტყვა. ამ ბრწყინვალე ტურნირზე ძალიან ცოტანი იყვნენ რჩეულნი და მოწვეულნი, რომელთაც გულში მოხვედროდესთ მისი სიტყვები. მაგრამ გრიგოლ რობაქიძეს ეს მაინც არაფერს უშლიდა, ერთი ფრაზაც არ შეუცვლია, ერთი მხატვრული სახეც არ მოუტანია მსხვერპლად იმისთვის, რომ უფრო გასაგები ყოფილიყო, რაც იმაში უთუოდ ხაზს უსვამს დიდ მხატვარს“ (ტ. ტაბიძე, „ცისფერი ყანწებით“, ჟურნალი „ცისფერი ყანწები“, 1916წ.).

ახლა, სამწუხაროდ, აღარ მოხერხდება გრიგოლ რობაქიძის ლექციათა რამდენადმე სრული სახით აღდგენა. მათი უმრავლესობა არ დაბეჭდილა, ზოგი მათგანი შემდეგში მწერლის ესეებს დაედო საფუძვლად, იშვიათად ქვეყნდებოდა ლექციათა თეზისებიც. მაგრამ XX საუკუნის 10-20-იანი წლების პერიოდიკაში მოიძებნება დიდძალი მასალა, რომელიც საშუალებას გვაძლევს წარმოვაჩინოთ გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებითი გზის დასაწყისის ყოველი წვრილმანი, მათ შორის – მის სალექციო მოღვაწეობასთან დაკავშირებული პოლემიკა.

დამოკიდებულება გრიგოლ რობაქიძის ლექციებისადმი არ იყო ერთგვაროვანი. საჯარო ლიტერატურული საღამოები (მეტადრე – ლექციები), რუსეთში ფართოდ გავრცელებული, – ჩვენში მაშინ უცხო ხილი გახლდათ. ქართული აუდიტორიის ერთი ნაწილი მხოლოდ სეირის საყურებლად დადიოდა. ზოგი სრულიადაც არ იყო მომზადებული საიმისოდ, რომ სათანადოდ აღექვა უცნობი თეორიები ან იმ მოაზროვნეთა და ხელოვანთა შემოქმედება, რომელნიც დიდი ხანია შექმნილიყვნენ ევროპის განათლებული საზოგადოების ფიქრთა მფლობელი. ქართული პრესაც ან ლიტონ ქებას ან უსამანო ძაგებას არ იშურებდა.

რობაქიძის ერთი ახალგაზრდა ოპონენტი ლევან მეტრეველი ალალად აღიარებდა: „ქართველებს ერთი თავის მომჭრელი ბრბოსებური თვისება გვაქვს. თუ მოგვეწონა ვინმე – უნდა ღვთაებად გადავაქციოთ, თუ დავიწუნებთ კი – უბრალო მოკვდავადაც აღარ დავტოვებთ. ქვესკნელში უნდა ჩავაძერინოთ ხოლმე“ (1909წ., „დროება“).

ქართული ხასიათის ასეთ უკიდურესობებს თავად ლექტორიც მწვავედ განიცდიდა, განსაკუთრებით, — სალექციო მოღვაწეობის დასაწყისში: „აქამდე ჩემს ლექციებს ან აღფრთოვანებით ხვდებოდნენ ან ლანძღვა-გინებით; პირველსა და მეორე შემთხვევაშიც მხოლოდ საერთო შთაბეჭდილებას გადმოსცემდნენო" — აღნიშნავდა ლექტორი და ემადლიერებოდა არჩილ ჯორჯაძეს, როგორც ობიექტურ, მიუკერძოებელ ოპონენტს (1909წ., „დროება").

„მესამე წელი გადის, რაც ლექციების კითხვას შევუდექი. ჩემს შესახებ ბევრი წერილი დაბეჭდილა: პირადი შთაბეჭდილება, საზოგადოების შთაბეჭდილება და კრიტიკული გარჩევა. ... სამი წლის განმავლობაში მხოლოდ ორი ავტორი (არჩილ ჯორჯაძე და დიმიტრი უზნაძე) შეეხო დასაბუთებით ჩემს ლექციებსო" — გულნაკლული შენიშნავდა გრიგოლ რობაქიძე 1911 წელსაც („სახალხო გაზეთი"), — დავით კასრაძის უმართებულო კრიტიკის საპასუხოდ.

„დროების" 1909 წლის ნომრებში მივაკვლიე უაღრესად საინტერესო ლიტერატურულ პაექრობას არჩილ ჯორჯაძეს, გრიგოლ რობაქიძესა და დიმიტრი უზნაძეს შორის (დაწვრილებით იხ. ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება", 1991წ., №2).

პაექრობის მიზეზი გახლდათ გრიგოლ რობაქიძის საჯარო ლექცია — „სულიერი დრამა ნიკოლოზ ბარათაშვილისა" — თავდაპირველად წაკითხული თბილისის ქართულ თეატრში, ქართულ ენაზე (ეს ფაქტი საგანგებო აღნიშვნის ღირსად მიუჩნევია „დროების" „ახალი ამბების" კორესპონდენტს), 1909 წლის 24 ოქტომბერს; მოგვიანებით კი, ამავე წლის 7 ნოემბერს — ქუთაისში.

„დროებაშივე", 14 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა გრიგოლ რობაქიძის ლექციის „პროგრამა" ანუ თეზისები.

„დროება" წინასწარ ამცნობდა მკითხველს იმასაც, რომ ლექციის დაწყებამდე ბარათაშვილის მოკლე ბიოგრაფიას ცნობილი მწერალი ივანე გომართელი წაიკითხავდა, ხოლო მის ლექსებს თავადი ნიკოლოზ ერისთავი წარმოსთქვამდა. 27 ოქტომბერს გაზეთი უკვე ჩატარებული ლექციის მოკლე მიმოხილვას აწვდიდა მკითხველს.

არცთუ იშვიათად, ერთი შეხედვით წვრილმანი, უმნიშვნელო გარემოება განსაკუთრებულ სიცხოველეს ანიჭებს ჟამგარდასულის სურნელს; ამგვარ „წვრილმანად" მესახება „დროების" სასხვათაშორისო ცნობა: „სხვათა შორის ამ ლექციისათვის სოფლიდან ჩამოვიდა განსვენებული მგოსნის ნიკოლოზ ბარათაშვილის ღვიძლი და კნეინა ბარბარე ორბელიანისა". ამ დროს კი კნეინა ბარბარე ორბელიანის გენიალური ღვიძლი ძმა 64

წლის წინ გარდაცვლილი იყო! ეს ფაქტი იმაზეც მიგვანიშნებს, რომ ახალგაზრდა ლექტორს უკვე მოპოვებული ჰქონდა დიდი სახელი.

არამცთუ თანამედროვეებს, თავად გრიგოლ რობაქიძესაც გამორჩევით აღბეჭდია ცნობიერებაში მისი პირველი ქართულად წაკითხული ლექცია, რადგან 1943 წელს ბერლინში, გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებულ მოგონებათა ფრაგმენტებში სწორედ ბარათაშვილისადმი მიძღვნილ საღამოს იხსენებს: „1909 წელს შემოდგომის მიწურულში ქუთაისის თეატრში გაიმართა ჩემი მოხსენება ნ. ბარათაშვილის შესახებ. ორიოდე სიტყვა წინასწარ, თუ რა გზას ირჩევენ ხოლმე მომხსენებელნი მოხსენებისათვის. ერთი სწერს მოხსენებას და კითხულობს მას; მეორე გეგმავს მას მხოლოდ და „შლის“ დაგეგმილს თავისუფლად. პირველ შემთხვევაში მოხსენება სიტყვიერ ჩამოსხმულია, ხოლო სიტყვას აკლია ცოცხალი უშუალობა; მეორე შემთხვევაში სიტყვა თუმცა ცოცხალია უშუალოდ, მაგრამ მას არა აქვს დასრულებული სხმულობა. მე იმთავითვე სხვა გზა ავირჩიე. მოხსენებას ვწერდი წინასწარ, მაგრამ მას „წარმოვთქვამდი“ და არა ვკითხულობდი. წარმოთქმამდი, რასაკვირველია, არა სიტყვასიტყვით, არამედ მიახლოებით – ეს ადვილი იყო ჩემთვის, რადგან მეხსიერება ბავშვობიდანვე ძალიან დიდი მქონდა, მეტი რომ არა ვთქვა. ამ გზით ვცდილობდი ჩემს სიტყვას სხმულობის სისრულეც ჰქონებოდა და თანაც ცოცხალი უშუალობაც. არც ხსენებული მოხსენების დროს გადამიხვევია ამ გზისთვის“... (იხ. „ლიტერატურული საქართველო“, 1992წ., 14 თებერვალი; პუბლიკაცია მოამზადა გურამ შარაძემ).

ზემოხსენებული ფრაგმენტი დიდი მნიშვნელობისაა თუნდაც იმის გამო, რომ ლექტორი ცხადად და თვალსაჩინოდ წარმოგვიჩენს თავის „შეთოდს“, აქვე იხსენებს იგი ერთ მეტად კოლორიტულ ეპიზოდსაც, რომელიც ტელემაკ გურიელის სახელს უკავშირდება: „თეატრის დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით. მოხსენება კარგად მიდიოდა. ადგილები ბარათაშვილის შაირებიდან რასაკვირველია ზეპირ მომყავდა, რადგან „წაკითხულ“ შაირში, ყველამ იცის, უკანასკნელის ძალა ნახევრად იკარგება. მრწამდა მეხსიერება არც ეხლა მიღალატებდა; ხოლო ამ რწმენას – არ ვიცი რის გამო – არ ჰქონდა ჩვეული სიჯერე. მე მაინც ჩემსას არ ვიშლიდი. უეცრად ერთი შაირის წარმოთქმისას ბორძიკი ვიგრძენი: ვეღარ მოვიგონე შემდეგი სტრიქონი. ჩამოწვა საშინელი პაუზა. აუტანელი როგორც ჩემთვის, ისე მსმენელთათვის. ამ დროს ერთს ლოჟაში, სცენიდან მარჯვნით, წამოდგა ერთი დამსწრეთაგანი. ნელი, დაბალი, სიტყვისგამფენელი ქართული კილოთი განაგრძო მან გაწყვეტილი შაირი. მთელი დარბაზი აზვირთებული ტაშისცემით გაეხმიანა მას. გახარების ფრთებს ისხ-

ამდა განცვიფრება. სიხარულით აყვანილი, მეც ისეთი გატაცებით ვუკრავდი ტაშს თითქოს ვლამობდი მისკენ ფრენით გავყოლოდი ტაშს, ეს იყო თავადი ტელემაკ გურიელი, უმცროსი ძმა მამია გურიელისა. ნეტარების ჟრუანტელი მიველის ტანში ეხლაც, როცა ამ უმაგალითო ამბავს ვიგონებ. აქაც იფეთქა გენიამ ქართული კულტურისა. სად შეიძლება სხვაგან ასეთი წუთის განცდა!“

რჩეული ქართული საზოგადოების ერთარსებად ქცევის ექსტაზი, გადმოცემული რობაქიძის მოგონებაში, დასტურდება თანამედროვეთა სტატიებსა თუ მემუარებშიც.

გრიგოლ რობაქიძის ლექციას, სულ რაღაც ორიოდე დღის შემდეგ, გამოეხმაურა ლიტერატურულ-კრიტიკული თუ ეროვნულ-პოლიტიკურ სარბიელზე სახელმოხვეჭილი არჩილ ჯორჯაძე – „პოეზიის სამფლობელოში. გ. რობაქიძის ლექციის გამო“ („დროება“, 1909წ., №239). ლექტორი ფიცხლავ გამოეხმაურა მის წერილს და გაზეთის მომდევნო ნომერში დასტამბა „მცირე განმარტება. არჩ. ჯორჯაძის წერილის გამო“. მას მოჰყვა არჩილ ჯორჯაძის „მცირე განმარტების განმარტება. კიდევ გრ. რობაქიძეს“ („დროება“, 1909წ., №247), აგრეთვე, სრულიად ახალგაზრდა, ლაიფციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტის კურსდამთავრებული, 23 წლის დიმიტრი უზნაძის ვრცელი წერილი „ბარათაშვილის ლირის მოტივები (გრიგოლ რობაქიძის ლექციის გამო)“ („დროება“, №252, 253).

პაექრობა დასრულდა გრიგოლ რობაქიძის წერილით – „შემოქმედი და გარემო. (კიდევ ჩემი ლექციის გამო)“ („დროება“, №257). ჩანს, ოპონენტები დააკმაყოფილა მისმა პასუხმა, რადგან დისკუსია აღარ გაგრძელებულა.

ეს პაექრობა მართლაც სამაგალითოა, არა მხოლოდ იმისათვის, რომ XX საუკუნის ქართული კულტურის დიდ მოღვაწეთ ეხება; უწინარეს ყოვლისა, სანიმუშო და სამაგალითოა მოპაექრეთა ეთიკა – პირუთვნელობასა და ობიექტურობასთან შეზავებული, ზრდილი, თავშეკავებული ტონი; პატივისცემისა და მადლიერების გამჟღავნება ერთურთის მიმართ.

გრიგოლ რობაქიძის – პიროვნებისა და მოაზროვნის – ჯორჯაძისეული შეფასება ერთობ ღირსსაცნობია: „... ადამიანი, ნიჭით დაჯილდოებული, ამასთან იმგვარი ტიპისა, რომელიც დღემდე გამოუცნობელი რჩება ქართველ საზოგადოებისათვის, გამოუცნობელი მისტიკურ ფილოსოფიის წყალობით, რომელსაც აღიარებს იგი და რომელიც ჩვენი საზოგადოებისთვის სრულიად ახალ და თითქმის უცნობ იდეურ მოვლენად ჩაითვლება. სასიამოვნოა, რომ გამოჩნდა კაცი, რომელიც კარგის, მკაფიო

გამოსახულის ენით ესაუბრება საზოგადოებას პოეზიისა და ხელოვნების შესახებ.

...ქართული თეატრის დარბაზში შეგროვდა რჩეული ქართველი საზოგადოება, ამ სიტყვის უკეთესის მნიშვნელობით. მოვიდა ლექციაზე ბევრი იმათგანი, ვისაც ეროვნული მწერლობის სვე-ბედი აფიქრებს, ვინც პოეზიაში ეძებს პასუხს იმის შესახებ, რაც სულიერ სიღრმეში გამოუცნობელ ამოცანად ეჩვენება, ვინც ეტრფიალება ოცნებას და ოცნებისადმი სიყვარულში ჰპოვებს ნუგეშს და შვებას. დიაღ, ასეთი იყო შაბათის აუდიტორია ქართულ თეატრში. და ამისი მიზეზი ის იყო, რომ ლექციის საგანი ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია იყო – პოეზია, რომელიც თავის „შეწუხებულის მშვენიერების“ დაუშრეტელ წყაროთი ასე ატკბობს და იზიდავს ადამიანს, – აგრეთვე ის, რომ ლექტორად გამოვიდა გრ. რობაქიძე. ...ეს გრ. რობაქიძის ორატორულ ნიჭიერებას უნდა მივაწეროთ, რასაც სიამოვნებით აღვნიშნავთ“.

როგორც უკვე ითქვა, გრიგოლ რობაქიძის ლექციები იმთავითვე გაცხოველებული განსჯის, მითქმა-მოთქმისა და პოლემიკის საგანი შეიქმნა – პრესაშიც თუ კულუარებშიც. დავით კლდიაშვილიც იგონებს ერთ საკმაოდ კურიოზულ ეპიზოდს: „... აღტაცებას განიცდიდა მთელი საზოგადოება.

– სად ისწავლა ამ ოჯახდაქცეულმა ასეთი ქართული?! – გაიძახოდა აღტაცებული კოტე ბაქრაძე, ქუთაისში ცნობილი საზოგადო მოღვაწე.

– გზიბლავს კაცს ამ შეჩვენებულის ენა. ვიძახით არ მეხერხება ქართულიო. უხეირო რომ იქნები, ვერაფერს ვერ მოახერხებ!.. ვაჟაფშაველაზე კი, რაღაც, მგონი გადააჭარბა! ნამეტანი მაღლა ასწია... თუმცა ესეცაა – არ ვიცნობთ არც ჩვენ ლიტერატურას, არც ენას, არც ჩვენ თავს! გადაგვარებაზე ვართ მისული! ჩვენი თავის აღარაფერი გვჯერა! ამისთანა ახალგაზრდები თუ მომრავლდნენ, ეგებ გამოცოცხლდეს ხალხი!“

სახალისოა და ნიშანდობლივი სერგო კლდიაშვილის ჩემთვის მონათხრობი, ერთ-ერთი მისი „ზეპირი მოთხრობა“, რომლის პერსონაჟები თავად ბატონი სერგო, გრიგოლ რობაქიძე და დავით კლდიაშვილი არიან (1991 წელს „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული სტატიის – „ბატონი სერგო კლდიაშვილი“ – ფრაგმენტი): ქუთაისის ერთ-ერთ საკრებულოში ლიტერატურულ საღამოზე გრიგოლ რობაქიძეს წაუკითხავს ლექცია ბესიკის პოეზიაზე. სრულიად ახალგაზრდა სერგო კლდიაშვილს, რომლის ენაკვიმატობა და ცინცხალი იუმორი ცნობილი იყო, იქვე სახელდახელოდ შეუთხზავს საკმაოდ მწარე პაროდია რობაქიძის ამაღ-

ლებული განწყობილების ლექციაზე. იმავე საღამოზე წარმოთქმულ მის პაროდიას სეირის მოყვარულები გვარიანად გაუმხიარულებია. დამსწრეთა შორის ყოფილა დავით კლდიაშვილიც (როგორც ჩანს, საღამოზე სხვადასხვა თაობის მწერლები მონაწილეობდნენ).

გაალმასებულ გრიგოლ რობაქიძეს თავი ვერ მოუთოკავს, სერგო კლდიაშვილისათვის რატომღაც გვერდი უქცევია და დავითთან მიჭრილა. დავითი, წლებით უკვე საკმაოდ დამძიმებული და ჯანგატეხილი, ორივე ხელით ჯოხს დაყრდნობილი, შეწუხებული სახით მდგარა კულისებში. მისთვის, როგორც მწერლისა თუ პიროვნებისათვის, სრულიად უცხო და მიუღებელი იყო ადამიანის დაცინვა, გამასხარავება, თვითმიზნური ენამახვილობა. ცხადია, იგი არ თანაუგრძნობდა ვაჟიშვილის „გამოხდომას", პირიქით, ძლიერ უხერხულობას გრძნობდა.

მაშ ასე, — გაცეცხლებული მიჭრილა გრიგოლ რობაქიძე მისთვის სათაყვანებელ დიდ მწერალთან და სერგო კლდიაშვილის განმაქიქებელი ვრცელი ტირადა, როგორც ჩანს, დავითის მიმართ მოწიწების გამოსახატავად, ასე დაუსრულებია: „ბატონო დავით! ის (— ამ ნაცვალსახელში მე ვიგულისხმებოდიო, — ეშმაკურად „მიხსნიდა" ბატონი სერგო, — ჩემი სახელის ხსენებაც კი არ სურდაო!) არ არის თქვენი შვილი, ის არის პლებსი!" ეს აზრი, მცირედი სახეცვლილებით („ის არ შეიძლება იყოს თქვენი ვაჟი, ის არის პლებსი!" „მე ვერ დავიჯერებ, რომ ეს პლებსი თქვენი შვილია!" და ა.შ) რამდენჯერმე დიდი გაცხარებით ყოფილა გამოთქმული. საოცარი კომიზმი იმაში გამოიხატებოდაო, იცინოდა ბატონი სერგო, რომ ეს გამოთქმა, — თითქოსდა მე, პლებსი, არ შეიძლებოდა ვყოფილიყავი დავითის ვაჟი, — გრიგოლის განზრახვის წინააღმდეგ, უნებურად ჩრდილს აყენებდა ჩემს მშობლებსო! ამას ვერ გრძნობდა ჩემი პაროდიით გაგულისებული და წყობიდან გამოსული გრიგოლი; პირიქით, ალბათ ფიქრობდა, — დიდი დავითის მიმართ მოკრძალებას გამოვხატავო!

დავით კლდიაშვილი, ერთის მხრით, ვაჟიშვილის „უსაქციელობით" დათრგუნული, მეორეს მხრით, ასე უხეიროდ გამოთქმული „ქათინაურით" თუ „ბრალდებით" შეცბუნებული, თავჩაქინდრული, ხმაამოუღებლად უსმენდა თურმე რობაქიძეს. მხოლოდ მოგვიანებით კი უყრია ჯავრი ენაკვიმატ შვილზე და ძალიანაც გაუჯორავს იგი, — რობაქიძის ლექციის გაბიაბრუებისა და მამის ასეთ შავ დღეში ჩაყენებისათვის.

უეჭველია, ეს ეპიზოდი იმ პერიოდს უნდა მივაკუთვნოთ, როცა „ცისფერი ორდენი" ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული. მაშინ, ცხადია, სერგო კლდიაშვილი არას აკადრებდა „ცისფერყანწელთა" აღიარებულ მაესტროსა და „უფროს მეგობარს" (რობაქიძის სიტყვებია).

ბატონი სერგო, მრავალი წლის შემდეგ, დიდი სიამოვნებით იგონებდა იმ ახალგაზრდულ „ცელქობას“ და იქვე დასძენდა, რომ საერთო მეგობრების შემწეობით, ეს გაუგებრობა დროთა ვითარებაში ალმოფხვრილა.

უფრო გაწონასწორებულ პოლემისტად წარმოგვიდგა გრიგოლ რობაქიძე სალექციო მოღვაწეობის დასაწყისში; იგი არ წამოეგო ოდიოზურ კრიტიკოსად მიჩნეულ პეტრე გელეიშვილის ანკესზე და „პარტიულ ბატალიებს“ გადაჭრით აარიდა თავი. მანვე დინჯი და მოზომილი პასუხი გასცა 22 წლის ლევან მეტრეველს (1887-1941წ.წ.), შემდეგში — ნაყოფიერ პროზაიკოსს, აგრეთვე სოციალ-დემოკრატს, — რომელმაც გაკვრით მიმოიხილა რობაქიძის ხუთი ლექცია (აკაკი, ვაჟა-ფშაველა, ჰენრიკ იბსენი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და „სექსი და სიყვარული“) და საკმაოდ უნიათოდ სცადა მათი გაკრიტიკება (დაწვრილებით იხ. „გრიგოლ რობაქიძის სალექციო მოღვაწეობის დასაწყისი“, ალმანახი „მწიგნობარი“, 1997წ.).

ერთგვარი ბელეტრისტული სტილისა (ზოგჯერ რიტმული პროზის მსგავსი პასაჟებიც კი გვხვდება) და სავსებით მოსალოდნელი სუბიექტივიზმის მიუხედავად, ლევან მეტრეველის სტატია თვითმხილველის უშუალო შთაბეჭდილებას გადმოსცემს და მაინც საყურადღებო წყაროა გრიგოლ რობაქიძის საჯარო გამოსვლების კვლევისათვის.

გრიგოლ რობაქიძის სალექციო მოღვაწეობა, მეტ-ნაკლები ნაყოფიერებით, გერმანიაში მის წასვლამდე (ე.ი. 1931 წლამდე) გრძელდებოდა, ის მწერალთა კავშირთან არსებული, ე.წ. „ხელოვანთა აკადემიის“ ლექტორი და დასავლური ლიტერატურული თუ ფილოსოფიური მიმდინარეობების აქტიური პროპაგანდისტი გახლდათ. მაგრამ მის ლექციებს უკვე აღარ ჰქონდა „მოვლენის“ სახე; მით უმეტეს, რომ ლექტორი და პოეტი რობაქიძე იმხანად დრამატურგიასა და პროზაზე „გადაერთო“ დიდი წარმატებით. ამ მიმოხილვას კი დავასრულებ გრიგოლ რობაქიძის ერთი წერილის პატარა ფრაგმენტით, რომელშიც ლექტორი მიგვანიშნებდა ლექციათა თხზვის მისეულ მეთოდზე და წინამორბედებსაც ასახელებდა:

„ყოველი ჩემი ლექცია თავის განსაკუთრებული მანერით არის შეთხზული, რადგან სხვადასხვა თემა სხვადასხვა მანერას ითხოვს. შეთხზვის მეთოდს დიდ ყურადღებას ვაქცევ მას შემდეგ, რაც ფრ. ნიცშემ, ოსკარ უაილდმა და დიმ. მერეჟკოვსკიმ დამანახვეს მისი მრავალი საიდუმლოება“...

ალბათ ამიტომაც იყო აღქმული გრიგოლ რობაქიძის ლექციები „ჩვენი საზოგადოებისათვის სრულიად ახალ და თითქმის უცნობ იდეურ მოვლენად“ (არჩილ ჯორჯაძე).

2003 წ.

გრიგოლ რობაქიძე და „სანატრელი ასული ივერიისა“

(გრიგოლ რობაქიძის ერთი უცნობი წერილის გამო)

ძველმა ტრადიციულმა ქართულმა ოჯახებმა ჟამთა სიავეს გადაურჩინეს ბევრი ძვირფასი რელიკვია, დღემდე სათუთად, საგულდაგულოდ, ხშირად — საიდუმლოდ შემონახული. ახლო წარსულში, არამცთუ მათი გამომზეურება და დასტამბვა, მათი არსებობის გამხელაც კი სახიფათო იყო.

დღეს მკითხველს გვინდა გავაცნოთ ერთი მათგანი — გრიგოლ რობაქიძის პირადი წერილი, რომლის ადრესატია „სანატრელი ასული ივერიისა“ — მშვენიერი სოფიო ტატიშვილი: იოსებ ტატიშვილის ქალიშვილი, ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ივანე გომართელის ცოლის და; შემდეგში — ბრწყინვალე გვარიშვილისა და ინტელიგენტის, 1924 წლის უდანაშაულო მსხვერპლის — გიორგი ციციშვილის მეუღლე.

გრიგოლ რობაქიძემ თითქოს ნათელმხილველის გზნებით შეიცნო ახალგაზრდა ქალიშვილის მომავალი, განჭვრიტა „უცნაური სევდა, ლურჯ ტალღად რომ კრთოდა მის თვალებში“: 1924 წელს დაქვრივებული სოფიო ტატიშვილი-ციციშვილისა სრულიად ახალგაზრდა აღესრულა 1927 წელს.

მისი ორი გოგონა ნინო და ქეთი ციციშვილები ივანე გომართელის ოჯახში აღიზარდნენ. სწორედ მათ შემოგვინახეს გრიგოლ რობაქიძის ზემოხსენებული წერილი, თუმცა ბოლომოკვეცილი: „უსაფრთხოებისათვის“ (ალბათ 30-იან წლებში, გრიგოლ რობაქიძის ევროპაში გადახვეწის შემდეგ) ხელმოწერის ადგილი ჩამოუჭრიათ.

გარდა სოფიო ტატიშვილი-ციციშვილის ქალიშვილების მოწმობისა, გრიგოლ რობაქიძის ავტორობას ცხადყოფს კალიგრაფია (დედანზე დაკვირვება გვაფიქრებინებს, რომ პოეტს ლამაზი ხელით, აუჩქარებლად, საგანგებოდ გადაუთეთრებია წერილი) და, აგრეთვე, წერის მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, მკვეთრად ინდივიდუალური მანერა, ფილოსოფიური თუ ლიტერატურული რეალიები, პოეტური, ამაღლებული სტილი, მოკლე-მოკლე წინადადებები, თვით პუნქტუაციაც კი...

რობაქიძისათვის ნიშანდობლივია ისიც, რომ მან თავისებურად, უცხოური სახელით „სილვიათი“ „მონათლა“ ადრესატი.

თითქოს პარადოქსია: მშვენიერი ასული ივერიისა და სილვია! მაგრამ, როგორც ჩანს, გრიგოლ რობაქიძის სურვილი საქართველოს „ევროპეიზაციისა“ ამ პატარა ჭაბუკურ „თამაშშიც“ გაცხადდა.

ძნელია წერილის ზედმიწევნითი სიზუსტით დათარიღება. ერთი რამ ცხადია: ის შესაძლოა დაწერილიყო მხოლოდ სოფიო ტატიშვილის გათხოვებამდე, ე. ი. დაახლოებით 1914-15 წლებამდე.

გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც: ევროპაში სწავლას დაწაფებული გრიგოლ რობაქიძე პირველად 1908 წელს დაბრუნდა საქართველოში. ამავე წლიდან შეუდგა გუშინდელი სტუდენტი ინტენსიურ სალექციო მოღვაწეობას თბილისსა და ქუთაისში. 1909 წელს ივანე გომართელმა და გრიგოლ რობაქიძემ ერთად წაიკითხეს ლექციები ნიკოლოზ ბარათაშვილზე. შესაძლოა, სწორედ ამ წლებს მივაკუთვნოთ ახალგაზრდა ლექტორისა და ივანე გომართელის ცოლის დის სოფიო ტატიშვილის ნაცნობობის დასაწყისი.

წერილში ლაპარაკია განშორებაზე: გრიგოლ რობაქიძე 1908-9 წლების შემდეგაც ბევრს მოგზაურობდა – დასავლეთ ევროპაში, რუსეთში, სწავლობდა ტარტუს უნივერსიტეტში... ასე რომ, წინამდებარე ბარათის სავარაუდო თარიღად შეიძლება ჩაითვალოს 1908-1914 წლები.

„Silvia!

თქვენს შეკითხვას, – თუ რად იქნება ჩემთვის საძნელო დაშორება, – მათრობელი ზღაპრით უნდა მივუგო პასუხი; მაგრამ ახლანდელ დროში ტყის უტეხი ტევრი, საცა ზღაპარი იბადება, გაჩეხილია, – და ლურჯი სუსხით თრთის; და მეც უბრალო სიტყვას უნდა მივმართო...

დიახ, ჩემთვის საძნელოა დაშორება. თუ რისთვის, ამის ახსნა კიდევ უფრო ძნელია. რამდენათ უფრო ნამდვილია რაიმე სინამდვილე, იმდენათ უფრო ძნელია მისი სიტყვით გამოთქმა; განა ცეცხლი გამოითქმის?! მისი გამოთქმა მხოლოდ „გრძნობით“, მხოლოდ „განცდით“ შეიძლება; და როცა ეცდებით მის გამოთქმას სიტყვით, ცეცხლის მაგიერ მხოლოდ ფერფლი შეგრჩებათ ხელში...

და მიუხედავად ამისა, უნდა ვსცადო ჩემი გრძნობის თქმა, სიცოცხლე ჩემთვის იდუმალი მგზავრობაა: გზაჯვარედინს მხვდება „ვინმე“, ერთი გაანათებს, და ობოლ ვარსკვლავივით უკუნეთში ინთქმება; მრჩება მხოლოდ მისი აჩრდილი, მისი ასლი ჩემს სულში, – და ცოცხალი ხსოვნით მასთან ვსცოცხლობ საუკუნეთა უცნაურს ცელაში. ასეთია ჩემი სული...

ასეთ გზაჯვარედინს შემხვდით თქვენც. ჩემმა სულმა იგრძნო სრულიად რამ ახალი. ჩემთვის ჯერ უგრძნობელი და უცდელი. არ ვიცი, რით ავსახო ეს „ახალი“, რა სახელი დავარქვა მას: იგი ჩემთვის ახლაც უცნობი და უსახელოა. მხოლოდ ერთი რამ არის ამ „ახალში“ ჩემთვის

ნათელი: ეს არის უცნაური სევდა, ლურჯ ტალღად რო კრთის თქვენს თვალებში. და სევდაა სწორედ ის, რაც ჩემს სულში უკვდავი დარჩება.

ჩემი სიცოცხლე ცეცხლია — და ბევრი რამ განმიცდია მის მრავალფეროვან ალში. არ მიხილავს მხოლოდ ერთი — რამ, რაც იწვევდა ჩემში უზომო ნაღველსა, არ მიხილავს სანატრელი ასული ივერიისა. და ვგრძნობ, რომ თქვენს იდუმალ სევდაში ამოვიკითხე იმ ასულის ნორჩი სული. წარმოიდგინეთ: მშვენიერი ქალწული, რომელიც უცხო ყვავილად აღმოცენებულა ჩრდილოვან ხევში, ქალწული, რომელიც, ვით ლურჯი ფრინველი, მხოლოდ იმ ადგილს დასცქერის, საცა მთვარის მკრთალი შუქი გადაეჭრის ლიცლივა ჭავლსა, ქალწული, რომლის ღიმილს მუდამ თავსდაჰკრის იდუმალი სევდა, — განა ეს ივერიის ასული არ უნდა იყოს, რომლის სევდაში ტანჯული ველის დუმილია ჩაქსოვილი და რომლის ნაღველში ივერიის მწუხრია გაშლილი?! და ეს ქალწული ხართ თქვენ.

ვიცი თქვენ გაიღიმებთ და გაკვირვებით თავს გააქნევთ; მაგრამ მე მაინც ვამბობ მას, რასაც ვგრძნობ, — და ვერა-რა ამოშლის ჩემში ამ გრძნობას. მე არაფერი არ მინდა თქვენგან; მე მინდა მხოლოდ შემდეგი: როცა გამიხსენოთ, არ დაიეიწყოთ ის ივერიის ასული, რომელიც თქვენით ჩემს სულში გადაიჭრა: იგრძენით იგი მთელი თქვენი არსებით, მიუტიეთ მის სევდას მისი ღიმილი — და თუ ღიმილი სევდას მოერია, მაშინ თქვენ იხილავთ თქვენს ნამდვილ არსებას, თქვენს ნამდვილ სახეს...

გული მტკივა, რომ ჩემი სული თქვენს შთაბეჭდილებაში მახინჯად გადაიჭრა; შეიძლება, ამაში მე თვითონ მედოს ბრალი; მაგრამ, ჰე, ეს აქ, რა მოსაყვანია?! ვიცოცხლო და ჩემს ნამდვილ სულს ოდესმე უთუოდ იხილავთ...

გისურვებთ ყოველს მშვენიერს იმა სურვილით, რომელსაც მე მოწყვეტილს ვარსკვლავს გავაყოლებ ხოლმე იდუმალს უკუნეთში...“

ასე სევდიანად მთავრდება წერილი. ეს გამოწვეული უნდა იყოს, ერთის მხრით, განშორების მოლოდინით, მეორეს მხრით კი, გრძნობის ცალმხრივობით. წერილში მინიშნებით არის გამჟღავნებული ამაღლებული, მოკრძალებული გრძნობა; წარმოჩენილია უღრმესი მოწიწება და რიდი სოფიო ტატიშვილის მიმართ. მას არაფერი აქვს საერთო „ტლანქი სინამდვილის სუსხთან“...

გრიგოლ რობაქიძის — იდეალისტ-მისტიკოსის (ასეა ცნობილი იგი 10-იანი წლების დასაწყისის კრიტიკაში) მრწამსი რამდენადმე გაცხადდა ამ კერძო წერილშიც: „სიცოცხლე ჩემთვის იდუმალი მგზავრობაა“ და ა.შ. უეჭველი ლიტერატურული რემინისცენციაა „ლურჯი ფრინველის“ (მორის მეტერლინკის სიმბოლოს) ორგზის მოხსენიება. „ლურჯი ფრინველი“

ერთგან „ტლანქი სინამდვილის“ ანტიპოდია, მეორეგან – თვით წერილის ადრესატია „ლურჯი ფრინველი“ – მოუხელთებელი, მიუწვდომელი.

გრიგოლ რობაქიძე მაშინ სიმბოლიზმით გახლდათ გატაცებული. სიმბოლისტებმა მიზნად დაისახეს „გამოუთქმელის გამოთქმა“ – მინიშნებათა, სიმბოლოთა გამოყენებით. ერთმა ფრანგმა პოეტმა გრძნობათა სიტყვიერი გამოხატვა შეუძლებლადაც კი მიიჩნია. გრიგოლ რობაქიძე უთუოდ დიდი რუსი პოეტის ტიუტჩევის ცნობილ ფრაზასაც ეხმიანება („Мысль изреченная есть ложь“) როცა წერს: „რამდენათ ნამდვილია რაიმე სინამდვილე, იმდენათ უფრო ძნელია მისი სიტყვით გამოთქმა; განა ცეცხლი გამოითქმის?!“ ისიც ჩანს, რომ გაუზიარებელი გრძნობა დიდ გულისტკივილს იწვევდა ახალგაზრდა კაცში.

მკითხველისათვის უთუოდ ღირსსაცნობია გრიგოლ რობაქიძის უწვეულო, ჯერაც სრულიად უცნობი მხრით წარმოჩენილი სახე.

რაინდული ბუნების, დახვეწილი გრძნობების თავმდაბალი ჭაბუკი – პოეტი, ფილოსოფოსი, კარგი მოქართულე, – ასეთად გვესახება დღემდე უცნობი წერილის ავტორი; წერილისა, რომლის გამოქვეყნებას დიდად უნდა ვუმადლოდეთ სოფიო ტატიშვილის შთამომავლებს.

1992წ.

დედაენა – სული ეროვნული არსებისა

არჩილ ჯორჯაძე, მამულიშვილი და მოაზროვნე

თავი და თავი ძალა ერისა მის ძალთა
შეგროვასა და კონცენტრაციაშია.

არჩილ ჯორჯაძე

რუსთაველზე, გამომცემლობა „მერანის“ საფირმო მაღაზიაში მუდამ ხალხმრავლობაა. ასეა ახლაც: ფართო საზოგადოებას ბოლოს და ბოლოს მიეცა საშუალება XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დამდეგის ერთ-ერთი უსაჩინოესი ეროვნული მოღვაწის არჩილ ჯორჯაძის (1872-1913წწ.) ნააზრევის გაცნობისას.

აქამდე მხოლოდ ერთეულებს თუ მიუწვდებოდათ ხელი აქტიური პოლიტიკური მოღვაწისა და ნაყოფიერი პუბლიცისტის მემკვიდრეობაზე: დიდი ხანია ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა „თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა“ ხუთ წიგნად (ტფილისი, 1911-14წწ.).

ღრმად განსწავლული (ქუთაისის გიმნაზიაში სწავლისა, ხოლო 1891 წელს თბილისის პირველი გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლობდა პეტერბურგის, ვარშავის, პარიზისა და ლონდონის უნივერსიტეტებში), ჭეშმარიტი მწერლის ნიჭით ცხებული, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა ერთ-ერთი ლიდერი არჩილ ჯორჯაძე ჩვენი საუკუნის დასაწყისის ლიტერატურულ-კრიტიკულ და ეროვნულ-პოლიტიკურ სარბიელზე განუზომელი ავტორიტეტით სარგებლობდა. 1904 წლიდან ჭლექით დაავადებამ ვერ შეაფერხა მისი ნაყოფიერი საზოგადოებრივ-სამწერლო მოღვაწეობა; იგი არ შეეპუა მძიმე სნეულებას და ერთხანს გამოკეთდა კიდეც, მაგრამ 1911 წელს ავადობამ კვლავ გაუხსნა, ხოლო 1913 წელს იმსხვერპლა ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი. 1922 წლით დათარიღებულ წერილში თედო სახოკია იგონებდა: „ამას ჩიოდა განსვენებული — ავადმყოფობისა და თვით სიკვდილისა სრულებით არ მეშინიან. მეორე სიკვდილი ის არის, რომ როცა გარშემო სიცოცხლე სდუღს, ჩვენს ქვეყანას მზიანი დღე უთენდება და თან სჭირია ხალხი, მუშა, მოქმედი ხალხი, იძულებული ვარ ლოგინში ვიწვე და შორიდან გულხელდაკრეფილი შევცქეროდე ქვეყანასო“ (თ. სახოკია, „ჩემი საუკუნის ადამიანები“, 1984წ.)

მადლიერმა ქართველობამ მხურვალედ დაიტირა იგი და დიდუბის პანთეონში მიუჩინა სამუდამო განსასვენებელი. მაგრამ ეს იყო 1913 წელს...

გასაბჭოების შემდეგ კი დიდი ეროვნული მოღვაწე და მწერალი „სუბიექტურ იდეალისტად“, „წვრილბურჟუაზიულ ნაციონალისტად“ მოინათლა, მის სახელს ფაქტობრივად ტაბუ დაედო და თუ არა უარყოფითად, იშვიათად მოიხსენიებოდა ხოლმე.

არჩილ ჯორჯაძის ახალი კრებული „წერილები“ (გამომცემლობა „მერანი“, 1989წ.) თავისებური „რჩეულია“, ჩინებულად შედგენილი, როგორც ჩანს, მწერლის 10-იანი წლების ხუთტომეულის საფუძველზე. შემდგენელი ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე აკაკი ბაქრაძე გახლავთ, რედაქტორი — პოეტი იზა ორჯონიკიძე, გამომცემლობის რედაქტორი — მანანა სანადირაძე.

დასანანია მხოლოდ, რომ დიდი ტირაჟით (40 000 ეგზ.) გამოცემულ, ფართო მკითხველისათვის გამიზნულ კრებულს აკაკი ბაქრაძემ არ დაურთო წინასიტყვაობა, რომელშიც საფუძვლიანად, მისთვის ჩვეული სისხარტითა და სისადავით წარუდგენდა დღევანდელ მასობრივ მკითხველს

მივიწყებულ ეროვნულ მოღვაწეს და განუმარტავდა მისი პუბლიცისტურ-ლიტერატურული მემკვიდრეობის დიდ მნიშვნელობას.

ამ კრებულზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ: იმედია, მისი დიდი ტირაჟი წიგნის შეძენის საშუალებას მისცემს ყველა დაინტერესებულ პირს. არჩილ ჯორჯაძის ნააზრევი ფასდაუდებელი განძია ჩვენი ახალგაზრდობისთვისაც, რომელსაც ალბათ გააოცებს, თუ რარიგ ეხმიანება ადრე წასული პუბლიცისტის შეხედულებანი დღევანდელი საქართველოს სატკივარს.

ჩემი მიზანია მკითხველს შევთავაზო არჩილ ჯორჯაძის ერთი უაღრესად აქტუალური ეპერადობის წერილი „მავნებელი სენი“, რომელიც ვერ მოხვდა ზემოხსენებულ კრებულში.

წერილი პირველად გამოქვეყნდა 1909 წლის 4 ოქტომბერს გაზეთ „დროებაში“ (№219, გვ. 2-3), განმეორებით – კრებულში „თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა“ (წიგნი მეორე, ტფილისი, 1911წ., გვ. 214-222).

წერილი მტკივნეულ და დღესდღეობითაც ღირსსაცნობ საკითხს – ქართველობის ერთი ნაწილის მიერ მშობლიური ენის უგულებელყოფას ეხება. ახლა, როცა აშკარად გამომზეურდა ქართველ ყმაწვილთა რუსულ სკოლაში მასობრივად შეყვანის ფაქტები – დედაქალაქშიც და საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, განსაკუთრებით – დასავლეთ საქართველოში; ახლა, როცა მომძლავრდა ამ „მავნებელი სენის“ შემაფერხებელი საიმედო ტენდენციაც, მკითხველს უთუოდ ჩააფიქრებს და ამასთან, ბევრს შესძენს არჩილ ჯორჯაძის ნააზრევი.

მწერალი ძირითადად საქართველოს რუსულენოვან პრესას და მის ქართველ მესვეურებს ეხება, თუმცა მისი დასკვნები უფრო განზოგადებულია, შორს მხედია და სცილდება ოდენ ზემოხსენებული მოვლენის შეფასებას.

საქართველოს რუსულენოვან პრესას დღეს დიდი მნიშვნელობა ენიჭება (გავიხსენოთ თუნდაც გაზეთი „მოლოდიოჟ გრუზიი“ 9 აპრილის შემდეგ), საუკუნის დასაწყისში კი, როგორც ჩანს, განსხვავებული ვითარება გახლდათ. ამას ჩვეული მყარი საბუთიანობით და შეუვალი ლოგიკით ამტკიცებს არჩილ ჯორჯაძის ზემოხსენებული წერილიც.

ფრიად საინტერესოა საქართველოს რუსეთთან შეერთების ჯორჯაძისეული გააზრება და რუსეთის მმართველობასთან ქართველობის იმჟამინდელი მიმართების შეფასებაც; ნაჩვენებია ჩვენს მოღვაწეთა ამაო წყვეტება უფრო ახალგაზრდა ცივილიზაციის ქვეყნებისათვის „თავის გაცნობისა“, მაშინ როცა ქართველობის დიდი ნაწილი არ იცნობდა თავის ისტორიასა და კულტურას.

სანიმუშოა არჩილ ჯორჯაძის პოლემიკის წესიც: მაღალზნეობრივი, თავშეკავებული, ყოველგვარ პირადულობას მოკლებული, ამასთან – მტკიცე და შეუვალი:

„დაჰკვირვებია თუ არა მკითხველი იმ უცნაურ, პირველ შეხედვით გაუგებარ მოვლენას, რომ ქართველი განათლებული საზოგადოება და ქართველი ინტელიგენცია, ერთის მხრივ, თითქოს მონდომებულია ჩვენი ხალხის ეროვნული ინტერესები დაიცვას, ხოლო, მეორეს მხრივ, თავის პრაქტიკულ მოქმედებით საძირკველსაც კი უთხრის ჩვენს ეროვნულ-კულტურულ აღორძინებას. სახეში მყავს ინტელიგენციის და საზოგადოების ის ფრიად დიდი ნაწილი, რომელიც რუსულად აზროვნებს, რუსულად სწერს და შემოქმედობს და მხოლოდ რუსულად კითხულობს.

მართლაც, განა საკვირველი მოვლენა არ არის, რომ საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ყველას არწმუნებს, რომ ჩემი მრწამსი ეროვნებაა და ეროვნების სამსახური, რომ ეს ნაწილი საზოგადოებისა ქართულ ენას პრაქტიკულ ცხოვრებაში უარჰყოფს, ხელს უშლის მწერლობის განვითარებას, ენის გავარჯიშებას და მით ეროვნების სულსა ჰკლავს და ეროვნულ ცხოვრების ძარღვს აღუნებს. განსაცვიფრებელი არ არის განა ის გარემოება, რომ საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში არსებულ რუსულ პრესისს ხელმძღვანელნი, თანამშრომელნი და თითქმის მკითხველნიც უმეტესს შემთხვევაში ქართველები არიან, ქართველ ინტელიგენციის წარმომადგენელნი. როცა ვუკვირდები ამ მოვლენას, ერთად-ერთი აზრი მებადება თავში – ჩვენი ბატონ-პატრონების პოლიტიკა ჩვენს ქვეყანაში გამარჯვებაშია. მას ძლიერი მოკავშირე გაუჩენია. ეს მოკავშირე თვით ინტელიგენციაა. იგი გადაგვარებულია და ამ გადაგვარების შეგნება მას არა აქვს და გულწრფელად ჰგონია, რომ ხალხის ერთ ნაწილში სამშობლო ენის დახშვა და აღგვა და ამავე დროს მთავრობის ვითამდა გაკიცხვა ანტი-ეროვნულ პოლიტიკის გამო, არის სწორედ ის მამულიშვილური მოღვაწეობა, რომელიც დღეს ესაჭიროება ქართველ ხალხს. ამ ფარისევლურ და შინაგან წინააღმდეგობით აღსავსე ფსიხიურ ატმოსფეროში იბრუნებს სულს და სცხოვრობს დღეს ჩვენი ინტელიგენციის დიდი ნაწილი.

ამ აზრს არ მომიწონებენ, არ დამეთანხმებიან, გაჯავრდებიან და შეიძლება შოვინისტობაც დამწამონ, რუსული მწერლობის მტრად გამომიყვანონ. მაგრამ ამ აღშფოთებას ჩემს თვალში მხოლოდ ის ფასი ექმნება, რომ მეტად დამარწმუნებს ჩემს შეხედულებაში.

მე ძლიერ კარგად მესმის, რომ ქართველ ინტელიგენციის გადაგვარებას თავისი გასამართლებელი საბუთი ბევრი აქვს, რომ ისტორიულ

პირობებს ამ საქმეში დიდი ადგილი უჭირავთ. მესმის ის, თუ რატომ აზროვნებს განათლებული ქართველი საზოგადოება უცხო ენაზე და რატომ ეადვილება უფრო უცხო ენაზე დაწერილ წიგნების და გაზეთების კითხვა; საანბანო ჭეშმარიტებად გადაიქცა ის აზრი, რომ ამისი მთავარი მიზეზი ეროვნულ ყველა ხარისხის სკოლის უქონლობაა. ფართო საზოგადოებაში ქართულ ენის უცოდინრობა ბუნებრივ მოვლენად გადაიქცა, რადგან ადამიანს არ მოეთხოვება ის, რაც მისთვის არ უსწავლებიათ. ჰაგრამ ამავე დროს ამ აზრის აღიარება თვით-მკვლელობის დადასტურებას მიაგავს. მაშ რაკი გარემოების ბრალია და ყოველივე გარემოებამ წაახდინა და გარემოების მონები ვართ, საბოლოოდ დავემორჩილოთ ამ გარემოებას, და ნულარ ვფარისევლობთ და ნულარ ვაჟღერებთ ეროვნულ სიმებს.

მაგრამ ჩვენ იმდენად ფართო საზოგადოება არა გვყავს ამჟამად სახეში, რამდენადაც ისინი ვინც ამ საზოგადოების სათავეშია მოქცეული, ჩვენ გვყავს სახეში ქართველი მოღვაწენი (ხაზი ყველგან ავტორისაა — ლ.ა.), რომელნიც ხელმძღვანელობენ რუსულ პრესას და სწერენ და მოღვაწეობენ რუსულ პრესის საშუალებით. ამ მოღვაწეებს რომ დაეკითხოთ, გეტყვიან, რუსულ პრესას ქართველებისათვის უაღრესი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური და საზოგადოებრივიო. ამ პრესის საშუალებით ჩვენ ველაპარაკებით მთავრობას, ვიწონებთ ან ვკიცხავთ მის მოქმედებას, ვაგონებთ ჩვენს საჭიროებასო. ამ პრესის საშუალებით ჩვენ ხელს ვუწყობთ მეგობრულ ურთიერთობის განვითარებას რუს ინტელიგენციის და ჩვენს შორის და, გარდა ამისა, კავკასიის ერებსაც ვაკავშირებთ ერთმანეთთან, ერთმანეთის პატივისცემას ვასწავლით და ვამზადებთ ნიადაგს ძმურ დამოკიდებულებებისასაო. ნუთუ ყოველივე ეს დიდი საქმე არ არის და ნუთუ ინტელიგენციის მიერ ენერგიის დახარჯვა ამ საქმეზე მადლობის ღირსი არ არისო?

აქ მოყვანილ თვითეულ საბუთს რომ დააკვირდეთ, დარწმუნდებით, რომ არც ერთი მათგანი სერიოზულ კრიტიკას ვერ უძლებს. მთავრობასთან ლაპარაკი, მთავრობისათვის ჩვენი საჭიროების გაცნობა... რუსეთის მთავრობასთან ჯერ კიდევ ასის წლის წინად გავმართეთ ლაპარაკი. ამ მოლაპარაკების დოკუმენტიც არის დარჩენილი. იმ ხანებში ლაპარაკი სერიოზული ვიცოდით და მთავრობას ჩვენი ერთგულებისა და მეგობრობის პირობები დავუდევით. მეგობრაობასა და ერთგულებაზე დაგვაფიცეს, ხოლო „პირობებმა“ ჩაილულის წყალი დალიეს. ძალიან გვეუცხოვა, გვეწყინა. ხოლო რაც დრო მიდიოდა, ჩვენი წყენა სუსტდებოდა... დრომ „პირობები“ დაგვავიწყებინა, ერთგულება და მეგობრობა კი ჩვენს გულში

არ დახშულა. პირიქით, ეს გრძნობა კულტად გავიხადეთ, ვამაყობდით მით და ეხლაც ვამაყობთ. გვიყურეთ, რა ხალხი ვართ, დიდ-სულოვანი, გმირი ხალხი! მართალია, „პირობები“... მაგრამ ერთგულება ხომ ჩვენს ხელშია. ერთგულებაა ჩვენი ფარ-ხმალი. გულს ვის არ მოვულბობთ! ვინ არ გაოცდება ამ თავმდაბლობით, თავდადებით! „პირობებზე“ ოცნება და ლაპარაკი ბავშვობის ტიტინად არის მიჩნეული. და რადგან ყველას გვინდა დამწიფებულ ადამიანის მოწმობა გვეჭიროს ხელში, ამიტომ აგერ სამოცი წელიწადია სხვა და სხვა რუსულ ორგანოს საშუალებით, რომელსაც ვმესვეურობდით, ვბაასობდით ისე, როგორც კი შესაძლებელი იყო ბაასი „ერთგულების“ ფარგლებში. ქართულ ენას ვიცავდით, საზოგადოებას კი ვავიწყებინებდით ამ ენას. ენასაც პირველ-დაწყებით კლასებისთვის ვიცავდით, სრულუფლებიან ეროვნულ სკოლის წამოყენების საჭიროებას ფიცის მოღალატეობად ვთვლიდით. ეკლესიაც გვაფიქრებდა. ავტოკეფალია არა. ავტოკეფალია ამ რამდენიმე წლის წინად მოგვაგონდა, მაგრამ დროზე გონს მოვედით დ ამოვიღეთ გულიდან უკანონო სურვილი. ვითხოვთ მხოლოდ, რომ ღვთის-მსახურება ხალხისთვის გასაგებ ენაზე აწარმოვონ. ვითხოვდით აგრეთვე იმას, რაც უკვე ორმოცი წელიწადია რუსეთში არსებობს, ერობას, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს. ხანდახან მიწის შესახებაც ვლაპარაკობთ. ციფრებით ვამტკიცებთ, რომ საქართველოში მიწის სივიწროვეა, რომ რუსეთის კოლონიზაციას აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ხოლო ყოველ ამგვარ საჭიროების წამოყენების დროს არც ერთხელ არ გვავიწყდებოდა მოგვეგონებინა ძლიერთა საყურადღებოდ, რომ ერთგულნი ვართ, ნამსახურნი ვართ და ღირსნი ვართ წყალობისა. მწყალობელი კი წყალობას არ იმეტებდა და არც სკოლას, არც ეკლესიას, არც მიწას (სხვაზე რომ აღარ ვილაპარაკოთ) არა ეშველა რა და ისევ ღარიბნი ვართ და უსწავლელნი, როგორც წინად ვიყავით, ხოლო ამასთან უფრო დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი.

მე ვამბობ, რომ რუსულ პრესასა, სადაც ქართველები სცდილობდნენ თავიანთ ინტერესების დაცვას ძალ-მომრევ პოლიტიკისაგან, არავითარი გავლენა არა ჰქონდა მთავრობის პოლიტიკის სისტემის შეცვლაზე ჩვენს ქვეყანაში. შეიძლება ზოგიერთ მოხელეზე, თუ მმართველზე მოქმედებდა ესა თუ ის წერილი და საბუთი, შესაძლებელია, რომ დროებით ეს მოხელე სცვლიდა თავის მოქმედებას, ან ამცირებდა ბოროტმოქმედებას, მაგრამ მთელ სისტემაზე ამ პრესასა არავითარი გავლენა არა ჰქონდა. ვისაც ცოტათი მაინც აქვს გათვალისწინებული სამოქალაქო მმართველობის ისტორია კავკასიაში, დაგვეთანხმება ამაში. არა თუ ამაში დაგვეთანხმება, იმაშიაც კი, რომ სწორედ ამ უკანასკნელ ოცდა-ათი წლის

ჯანმავლობაში ამ სისტემას სიმტკიცე მიეცა და სწორედ ეხლა გამოისახა ჰთავრობის წრეებში შეგნებულად შემუშავებული პროგრამმა მოქმედებისა. ვისაც წაუკითხავს უქეშევრდომილესი მოხსენება გრაფ ვორონცოვ-დაშკოვისა (1907წ.), ამაშიაც დაგვეთანხმება.

და შეუძლებელია, რომ ყოველივე ეს სხვანაირად იყოს. თვით-მმართველობას თავისი ლოგიკა და თავისი ფილოსოფია აქვს და ეს ლოგიკა და ფილოსოფია ანგარიშს უწევს მხოლოდ და მარტო იმას, რაც ძალას წარმოადგენს, რბილ ფაფას კი სჭყლეტს იგი თავის კლანჭებში. ხოლო ასე იქცევა არა მარტო მონარქიული თვით-მმართველობა, არამედ ხშირად დემოკრატიული წარმომადგენლობაც კი. გულუბრყვილონი ნუ ვართ და ნუ გვგონია, რომ რუსეთისთვის სხვა კანონებია დაწესებული ისტორიის მიერ.

გავსინჯოთ ახლა მეორე საბუთი — რუსეთის ინტელიგენციასთან დაახლოვება და მისთვის ჩვენი თავის და ვინაობის გაცნობა. ქართველი ხალხის ისტორია ოცდაათი საუკუნის ისტორიაა. ასურეთ-ბაბილონის მომსწრეებს ტელეგრაფისა და ელექტრონის ხანამდე მოგვიღწევია. და დღეს გარემოება ისეთი დაგვიდგა, რომ იძულებულნი ვართ ჩვენს ვინაობის შესახებ ვილაპარაკოთ: იცოდეთ, თანამედროვე ხალხნო და შენ, რუსეთის ინტელიგენციავ, რომ ჩვენცა ვართ. სწორედ ბობჩინსკის მდგომარეობაა: Нет, вы только скажите, что в таком то городе живет Петр Иванович Бобчинский! — ვემუდარებით ყველას. ოცდაათი საუკუნის ისტორია კი სადღაც ჩაიყლაპა! ჩაიყლაპა იგი არამც თუ სხვებისათვის, არამედ ჩვენთვისაც. წარსულთან ძაფები გაწყვეტილი გვაქვს. რუსულად ვწერთ ქართველების შესახებ და ამ ქართველების ისტორია, კულტურა, ლიტერატურა და ხელოვნება ჩვენთვის სრულიად უცნობი საგანია. მაგრამ ძალიანაც რომ სწავლულნი ვყოფილიყავით ამ დარგში, მაშინაც უნაყოფო იქნებოდა ჩვენი გარჯა, რუსის ინტელიგენციას ვერც მაშინ გავაცნობდით ჩვენს თავს. რუსის ინტელიგენცია ჩვენგან შორს არის, იგი ჩვენს გაზეთებს არა კითხულობს, კავკასიაში ინტელიგენცია არ არსებობს. აქ არიან სამხედრო და სამოქალაქო უწყების მოხელენი. ვისაც რაიმე ნიჭი გამოაჩნდება, ჩვენსა არა რჩება, თავისიანებში მიდის. და პეტერბურგსა და მოსკოვში დღეს ბევრია გამოჩენილი პირი, რომელთაც თავიანთი ბავშვობა და ხშირად ყმაწვილ-კაცობაც აქ გაუტარებიათ.

კავკასიაში მცხოვრები რუსის საზოგადოება რუსეთის ინტელიგენციაზე ჩვენსავით არის დაშორებული. მართალია, ეს საზოგადოება ერთფეროვანი არ არის, მასში ავიც არის, კარგიც, მაგრამ არავისთვის დასამალი არ არის, რომ ამ ბოლო ხანებში მხოლოდ ავმა სულებმა იწყეს მოქმედება, ჩვენს წინააღმდეგ მიმართული. და თუ ამათთვის, ამათ ჩასაგონებლად აარსებთ

რუსულ გაზეთებს, დაგვეთანხმებით, რომ უმადურ საქმეს სჩადიხართ, რადგან არც თქვენ სიტყვას, არც თქვენს პრესასა არავითარი გასავალი არ აქვს ამ საზოგადოებაში. და იცით რატომ არა აქვს? იმიტომ კი არა, რომ ეს ხალხი ბოროტია და ბოროტის გულს არ მისწვდება-რა, არა, მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენს გაზეთებს და თქვენს ნაწერებს ფლიდობის ელფერი აქვს, გულწრფელობის ნიშანწყალი არ აცხია. სტყუით და სხვებსაც ატყუებთ და გგონიათ, რომ დაგივჯერებენ. და არც გივჯერებენ. „ხულიგანებს“ ეძახით, ხულიგანი კი მართალია იმაში, რომ სტყუით, რადგან ყოველად შეუძლებელია ადამიანმა, რომელსაც ტყავი აქვს გადაყვლეფილი, იძახოს — არა მტკივა, სასიამოვნოც არის, ვენაცვალე იმას, ვინც გამატყავა და გამცარცვაო, და როდესაც ამ გადატყავებულ ტანზე „ხულიგნების“ შოლტი გხვდებათ, ყვირილს იწყებთ, ძირს ხულიგანები, ესენი არიან რომ სულს გვიხუთავენ, რა ნება აქვთ, რომ გადატყავებულ ტანს გვიშოლტავენო. ხულიგანები კი ხარხარებენ და შოლტზე შოლტს გვთავაზობენო!.

მაგრამ თქვენ ამბობთ, რომ კავკასიის ერთა სოლიდარობას ვეშსახურებითო. არ ვიცი, შეიძლება მართლა გქონდეთ ეს განზრახვა, ხოლო ამ სოლიდარობას თქვენ არ ემსახურებით, რადგან სოციალიზმი არა გწამთ, სოციალიზმს დასცინით. ამით იმისი თქმა არ მინდა, რომ ერთა სოლიდარობას ხელს არ შევუწყობ. და თქვენი პოზიციის სიყალბე იმაში იხატება, რომ აშკარად არ ამჟღავნებთ თქვენს აზრებს და გრძნობებს, „პოლიტიკანობას“ თამაშობთ, არავინ იცის, რას ესწრაფით და როგორ გესმით კონკრეტულად ერთა სოლიდარული ურთიერთობა. და როდესაც ძმობასა და სიყვარულზე ლაპარაკობთ, უნებლიეთ არავის სჯერა, რადგან არავინ იცის თქვენი ნამდვილი აზრი და სულისკვეთება.

მაშ რა არის, რისთვის ირჯებიან ქართველი მოღვაწენი? რატომ ხარჯავენ ამ უმადურ საქმეზე ამოდენა ჯანს, ენერგიასა და ფულს? ენერგია და ფული კი ბევრი იხარჯება. ხუთი-ექვსი გაზეთის გაძღოლა და ხელმძღვანელობა სახუმარო საქმე არ არის, ტფილისში თუ სამი არა, ორი გაზეთი მაინც არის, სადაც ქართველები მესვეურობენ და თანამშრომლობენ. ბათუმშიაც ერთ დროს ორ გაზეთს უძღვებოდნენ ქართველი ინტელიგენტები. მაგრამ პატარა ქალაქში ორი გაზეთის არსებობა ძნელია და ერთი გაზეთი გადაიტანეს ფოთში. ფოთში ეს გაზეთი ვერ იკიდებს ფეხს და დროებით დაიხურა. ვამბობ დროებით, რადგან ხმა დადის, რომ გაზეთის საქმე მალე გამოკეთდება, რადგან მის ხელმძღვანელობას კისრულობს იქ მცხოვრები ცნობილი ქართველი მოღვაწე. აგერ ორი წელიწადია ლაპარაკი ბაქოს ქართველ საზოგადოებაში რუსულ გაზეთის დაარსების შესახებ. მოკლე ხანში ეს წადილიც, როგორც იწერებიან,

განხორციელდება. ამის შემდეგ უნდა მოველოდეთ, რომ ამგვარივე რუსული ორგანოები დაარსდებიან ქუთაისში, ხონში, გორში, თელავში და დუშეთში, ერთიც ლანჩხუთში ან ოზურგეთში. და ყველა ამისი ჩამდენნი გაკვირვებულნი ვიძახით, საკვირველია, რატომ არის, რომ ქართულ საზოგადოებაში ქართული ლაპარაკი აღარ ისმის! ენა ხომ გვავიწყდება და გვავიწყდება, მაგრამ ამასთან ერთად საზოგადოებასა და ხალხს შორის უფსკრული უფრო ღრმა ხდება და გათხრილი ორმო ამოუვსებელი რჩება. და საკვირველიც არ არის, რადგან რუსულ გაზეთს ამიერკავკასიაში ვიწროდ შემოფარგლული მკითხველთა წრე ჰყავს. ხალხის გულამდე ამ ორგანოს მისავალი გზა არა აქვს, რადგან ხალხს მისი არა ესმის-რა. გაზეთი გამოდის ქალაქებში, ქალაქებშივე ვრცელდება ინტელიგენციის და მოხელეების წრეებში. ასე რომ ორგანოების ხელმძღვანელებმა წინდაწინვე იციან, ვისი გემოვნება და მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილონ, უნდა დააკმაყოფილონ გემოვნება და მოთხოვნილება ქართველ საზოგადოების გადაგვარებულ ნაწილისა. ამ „გადაგვარებულთ" უყვართ პატრიოტული თემები, მათს გულში რაღაც ნაშთი დარჩა, მემკვიდრეობით გადმოცემული, მაგრამ გაბედულად და მკაფიოდ საკითხის დაყენებას კი გაურბიან. შეცვლილი სულიერი ვითარება საკმაო ენერგიას არ იძლევა მოქალაქობრივ გაბედულობისთვის. და როგორიც მკითხველია, ისეთი გაზეთია.

პირადად არავისი წყენა არ მინდა. რუსულად სწერენ ხოლმე პატივცემულნი პირნიც, რომელთაც ქართულ მწერლობაში დიდი ღვაწლი მიუძღვით. მე მაქვს სახეში საზოგადოებრივი მოვლენა, რომელიც თანდათან მავნებელ სენის ხასიათს იღებს. მე მაქვს სახეში ის ცრუ აზრი, ვითომ პირველი საქმე და მოვალეობა ჩვენი იმაში კი არ იყოს, მთელი ჩვენი ძალღონე ეროვნულ ძალთა ორგანიზაციას მოვახმაროთ, არამედ იმაში, რომ ვიღაცა რაღაცაში დავარწმუნოთ და ჩვენსკენ გული მოვუბრუნოთ. ეს აზრი ისეა გამეჯდარი ჩვენს ინტელიგენტთა წრეებში, რომ ხშირად ქართველი მწერლებიც კი სტოვებენ ქართულ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებს და რუსულ პრესაში აქვეყნებენ თავიანთ გულის კვეთებას. ამგვარი სულიერი განწყობილება ჩვენი ინტელიგენციისა მისს უძლურობას მოასწავებს და ხალხთან ძაფების გაწყვეტას. თუ სამსახური და შრომა გინდათ, ასპარეზი დიდია. თუ ერის ინტერესი გაფიქრებთ და გაღონებთ, რატომ იმას არ ჰფიქრობთ, რომ თავი და თავი ძალა ერისა მის ძალთა შეგროვასა და კონცენტრაციაშია. თუ ეროვნულ კულტურას თანაუგრძნობთ, რატომ გავიწყდებათ ის უბრალო აზრი, რომ კულტურის აყვავება უენოდ შეუძლებელია, რადგან ენა არა მარტო იარაღია გრძნო-

ბისა და აზრის გადმოსაცემად, არამედ იგი სულია ეროვნულ არსებისა, ხალხის ფსიხიურ განწყობილების მაჩვენებელი. თქვენ კი ხალხს ამ ენას ართმევთ და ავიწყებინებთ, რადგან სცდილობთ, რაც შეიძლება მეტად და ფართოდ გაავრცელოთ თქვენი ფურცლები ქართულ საზოგადოებაში. და ამიტომ შეუგნებლად თუ შეგნებულად თქვენა ხართ ჩვენი ხალხის კეთილდღეობის ორმოს მთხრელნი. და ნუ დაგვემდურებით, თუ ისე მოგექცევით, როგორც შეგფერით".

უკვე შევნიშნე, ჯორჯაძე-პოლემისტი შესაშური თავშეკავებით გამოირჩევა-მეთქი, თუმცა, როგორც ხედავთ, მისი განაჩენი ეროვნული გადაგვარების ნებსით თუ უნებლიედ ხელშემწყობთა მიმართ უკომპრომისოა.

ჩვენთვის ამ მხრივაც სამაგალითოა არჩილ ჯორჯაძის სულისკვეთება: ეროვნული მაქსიმალიზმი — პიროვნული შეურაცხყოფისა და წვრილმანი კინკლაობის გარეშე.

ახლა მკითხველთა უმრავლესობისათვის ალბათ სრულიად მოულოდნელი რამ უნდა გავამხილო: ჯერ პეტერბურგში, შემდეგ კი ევროპაში სწავლისა და მოგზაურობის წლებში (ერთხანს იგი ლევ ტოლსტოის მოძღვრებით იყო გატაცებული, ორი წელი ინგლისში, ტოლსტოის მიმდევარ კოლონისტთა გარემოცვაში გაატარა; ცხოვრობდა და მკურნალობდა შვეიცარიაში) რუსული და უცხო ენების ჩინებული მცოდნე არჩილ ჯორჯაძე ქართულად არამცთუ წერას, ძლივსღა ახერხებდა საყველპურო ბაასს!

თედო სახოკია მოგვითხრობს: „პარიზში არჩილს სწორედ 1900 წელს ჩავუსწარი პანთეონის მოედანზე. სულ დიდს, დიდს გაჭირვებაში იყო; ტოლსტოის ფილოსოფიაზე ჯერ კიდევ ხელი არ აეღო. ყოველსავე შემთხვევაში, მასთან ბაასისაგან იმ შთაბეჭდილებას კაცი ვერ გამოიტანდა, რომ არჩილი საქართველოს ბედ-იღბლის უღელში შეებმებოდა როდესმე და, კერძოდ, ქართულ მწერლობაში მიიღებდა მონაწილეობას. იმას მაინც ვერ იფიქრებდით, რომ არჩილ ჯორჯაძე გახდებოდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის იდეოლოგად და თეორიულ ხელმძღვანელად. ყოველივე ამას ისიც უშლიდა ხელს, რომ ქართული ენა თითქმის დავიწყებული ჰქონდა, ქართულად საყველპურო ლაპარაკს თუღა ახერხებდა. მოკლედ რომ მოვჭრათ, არჩილი მაშინ ეკუთვნოდა ქართული საზოგადოების იმ წრეს, რომელსაც რუსულად ნასწავლ-აღზრდილს, ქართული ფიზიონომია დაკარგული ჰქონდა და თვით საქართველოს პოლიტიკურ კალოს გალეწილად სთვლიდა... ამ წრეს სამშობლოსათვის ზრუნვა, ქართველი ხალხის აღდგენისათვის ფიქრი და მისთვის მეცადინეობა, მეტი რომ არა ვთქვათ, მოცლილი ადამიანის საქმედ მიაჩნდა...

მთელი წელიწად-ნახევარი, რაც ერთად ვიყავით, დიდ სულიერ ბრძოლას განიცდიდა. 1901 წლის შემოდგომაზე, ერთ საღამოს ვინახულე არჩილი და იმანაც აღსარებასაებრ შემდეგი მითხრა: მომბეზრდა ამდენი უგზო-უკვლო და, თუ გინდა, უმიზნო ცხოვრება. გადავწყვიტე სამშობლოში დავბრუნდე. მაგრამ ისე არ მინდა მივიდე ჩემიანებთან, თუ წინასწარ რამდენიმე წერილი არ დავებეჭდე „ცნობის ფურცელში“, (მომავალში – საქართველოს სოც-ფედერალისტთა პარტიის არაოფიციალური ორგანო) და ასე თუ ისე ჩემი თავი არ გავაცანი საზოგადოებას აქედანვეო.

– ქართულად წერა რომ არ იცი, ჩემო არჩილ, როგორ უნდა დასწერო რამ? – ვკითხე.

– მართალია, მაგრამ ერთი-ორჯერ შენ მათარგმნინე რუსულიდან, ერთი ორჯერაც ჩემი ქართული გამისწორე და მერე ვნახოთო.

თქმა და საქმის შედგომა ერთი იყო. ორ კვირას, თუ ცოტა მეტს, გაგრძელდა ამნაირი მუშაობა. პირველად ძალიან გვიჭირდა, მაგრამ შემდეგ თვითონ ახერხებდა პირდაპირ ქართულად ეწერა; ბოლოს და ბოლოს, მსუბუქი შალაშინის გაკვრაღა სჭირდებოდა მის ნაწერებს. როცა პარიზში მოგვივიდოდა „ცნობის ფურცლის“ ნომრები, საცა არჩილის წერილები იყო დაბეჭდილი, მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა!.. ადამიანი გამოცოცხლდა, გადახალისდა, თითქო ხელახლა დაიბადაო. ახლა კი შეიძლია სამშობლოში დავბრუნდეო...“ (თ. სახოკია, დასახელებული წიგნი).

არჩილ ჯორჯაძე უთუოდ თედო სახოკიას დაუხმარებლადაც მიაღწევდა საწადელს: „უძღები შვილი“ საბოლოოდ მშობლიურ ქვეყანას, დედაენის წიაღს დაუბრუნდებოდა და საზოგადოებრივ-ლიტერატურულ სარბიელზეც გასწევდა ეროვნული მოღვაწის ჭაპანს. მაგრამ ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რა მოხდებოდა, თანადგომის მაგიერ გაკილვა და დაუზოგავი საჯარო კრიტიკა რომ მიეღო...

უეჭველია, რომ ამ უჩვეულო ამბავმა უნდა ჩააფიქროს ჩვენი „მაქსიმალისტებიც“, რომელნიც, ორიოდე გარეგნულ, ზედაპირულ ფაქტზე დაყრდნობით საკმაოდ უხეშად და უცერემონიოდ, სერიოზულ ბრალდებებს უყენებენ ზოგიერთ სახელმოხვეჭილ ქართველ მოღვაწეს!

ჭეშმარიტად, დედაენა ეროვნული არსების სულია. ღვთის მადლით, ახლა კი გვაქვს გადაგვარების საფრთხის გამომრიცხავი ობიექტური პირობები – აზვირთებული ეროვნული მოძრაობა. მის სამსახურში, ჩემი ღრმა რწმენით, უთუოდ თანდათანობით ჩადგება ბედის უკუღმართობით თუ სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური პირობების გამო მშობლიური ენის წიაღს მოწყვეტილი ქართველობაც.

1989წ.

გალაკტიონი და ოლია ოკუჯავა

ლეგენდასთან მიახლოება

აღიარებული თვალსაზრისით, ოლია ოკუჯავა იყო გალაკტიონის პირველი და უკანასკნელი „უკიდეგანო სიყვარული".

რიტორიკული შეკითხვის დარად – „ვინ არის ეს ქალი ასეთი ცისფერი" – პოეტის პირველი მეუღლის კონკრეტული ხატება თითქოსდა ეფემერული გახლდათ.

ოლია ოკუჯავას სახელი მრავალი წლის მანძილზე ჩრდილში იყო, მისი სახება კი – ბურუსით მოცული.

XX საუკუნის უპირველეს ქართველ პოეტს ბედმა მძიმე ხვედრი არგუნა: იგი ორგზის დააშორეს სასურველ მეუღლეს, 1929 წელს – დროებით, 1937 წელს სამუდამოდ...

ლეგენდა გალაკტიონზე მის სიცოცხლეშივე დაიბადა. ამას, უწინარეს ყოვლისა, პოეტის სიდიადე, მისი გენიალურობა განაპირობებდა. ეს ლეგენდა დღესაც არსებობს და ალბათ მარად იარსებებს.

ლეგენდის ათინათში გალაკტიონის ბედკრული მეუღლეც ინაკვთება.

საბედნიეროდ, ბევრი რამ, რაც ბუნდოვნად მინიშნებული, ანდა სულაც მიჩქმალული იყო, ახლა გამოდის სამზეოზე.

გამომცემლობა „მეცნიერებამ" ქართველ მკითხველს ძვირფასი წიგნი შესძინა – „ოლია ოკუჯავას დღიურები და მიმოწერა გალაკტიონთან" (შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, თარგმნეს, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთეს ლეილა სანაძემ და ლამარა მეგრელიშვილმა. რედაქტორი ფილოლოგ. მეცნ. დოქტორი გურამ შარაძე, თბილისი, 1987 წელი).

ამ წიგნზე „ლიტერატურულ საქართველოში" უკვე დაისტამბა ივანე ამირხანაშვილის სახელდახელო მცირე რეცენზია (1987 წლის 15 მაისს). გასაგებია ავტორის სიხარული ასეთი ნაღარტი წიგნის გამო; მაგრამ სასაყვედურო ის არის, რომ რეცენზენტი არ მოიხსენიებს მათ, ვინც თავი შეიწუხა, ეს მშვენიერი წიგნი შეადგინა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო.

ქართველი მკითხველი რომ განებიერებული არ არის ამგვარი გამოცემებით, ეს ყველასათვის ცხადია. განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამოიკვეთება ეს XX საუკუნის მწერლობის მაგალითზე. არადა, ვინ იცის, რამდენი რამ უკვე უკვალოდ გაქრობის, მივიწყების საშიშროების წინაშე დგას! და რომ ეს ლიტონი ფრაზა არ გახლავთ, ამას ზემოხსენებული წიგნის კომენტარებში არსებული ე.წ. თეთრი ლაქების სიმრავლეც გვაფიქრებინებს.

ლ. სანაძისა და ლ. მეგრელიშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ თავი გაართვეს უმთავრეს ამოცანას – შეადგინეს ერთობ მიმზიდველი წიგნი, კარგად გააზრებული კომპოზიციით. წიგნის ტირაჟი (15 000), რა თქმა უნდა, ვერ დააკმაყოფილებს იმ უზარმაზარ ქართულ აუდიტორიას, „გალაკტიონის ცხოვრების ლეგენდა“ (რევაზ თვარაძე) რომ აინტერესებს.

ქართველ მკითხველს დაუბრკოლებლივ შეუძლია გაეცნოს რომელიმე უცხოელი ან რუსი მწერლის ყოფისა და შემოქმედებითი პროცესის უკიდურეს წვრილმანებს. ამასთან, მას ნაკლებად მიუწვდება ხელი ბევრი დიდი ქართველი მწერლის პიროვნული ბიოგრაფიისადმი. ეს პარადოქსი მეტყველებს ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობის ხარვეზებზე, რომელთაგან არც წინამდებარე წიგნია დაზღვეული.

„მიმოწერას“ მრავალი მკითხველი ჰყავს, სხვადასხვა თაობის, სხვადასხვა დონის, ნაირგვარი .ინტერესებისა და განსწავლულობისა. მათ ერთი რამ აერთიანებთ – გალაკტიონის პოეზიის სიყვარული, მოწიწება მისი სახელისადმი, მძაფრი ინტერესი პოეტის მეუღლისადმი.

სადღეისო სულისკვეთებას ეხმიანება რევაზ თვარაძის, ნოდარ ტაბიძის წიგნები გალაკტიონის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე (რ. თვარაძე, „გალაკტიონი“, 1972; ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, 1982). დღევანდელობის მონაპოვარია წინამდებარე წიგნის გამოცემაც.

დასაწყისშივე უნდა ითქვას, რომ „მიმოწერის“ საერთო სულისკვეთება ძირითადად ერთობ სევდიანია: გალაკტიონის მეუღლის წერილების (სულ 51 წერილია) ორ მესამედზე მეტი შორეული გადასახლებიდან არის გამოგზავნილი:

მოვუსმინოთ წინასიტყვაობის ავტორებს: გალაკტიონმა „...კარგად იცოდა ოლიას თავგანწირული სიყვარულის ფასი, რომელიც, სამწუხაროდ, ძალიან ხშირად მხოლოდ წერილების მეშვეობით აღწევდა თავის ობიექტამდე. ამიტომაც იყო, ალბათ, რომ პოეტმა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მოწიწებით შემოინახა არა მარტო ოლიას წერილები და ქაღალდის ნახევზე სახელდახელოდ მიწერილი სტრიქონები, არამედ მისი ყმაწვილქალობის დროინდელი დღიურებიც კი, რამაც ჩვენ დღეს საშუალება მოგვცა მკითხველისათვის შეგვეთავაზებინა წინამდებარე წიგნი“ (გვ.11).

ნებისმიერ მკითხველს სულით ხორცამდე, თხემით ტერფამდე შეძრავს ოლია ოკუჯავას და, შესაბამისად, მისი მოყვარული მეუღლის, უპირველესი სულიერი მეგობრის – გენიოსი პოეტის უმძიმესი ბედი.

ცნობილია გალაკტიონის ჩანაწერი – თვითშეგონება „ჩემი კანონების“ სახელწოდებით, რომლის ერთი მუხლი ღაღადებს: „ნურსად ნუ

იქნები მეტისმეტად გულახდილი, რადგან მეტი გულახდილობა სიტიტვლეს გავს, სირცხვილია“ (ციტირებულია ნ. ტაბიძის დასახელებული წიგნიდან, გვ. 188). უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს მეტად თავისებური და უცნაური ხასიათის მქონე, უკიდურესად გულჩახვეული „პოეტი-ბავშვი“ მხოლოდ უახლოეს სისხლით ნათესავებთან და, უწინარეს ყოვლისა, უფროს ძმასთან და ძმისწულებთან თუ იქნებოდა გულახდილი. ზემოთქმულის გათვალისწინებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნოდარ ტაბიძის ერთ საინტერესო დაკვირვებას: „იმ წლებში, როცა მე უშუალოდ გალაკტიონთან ვიზრდებოდი, ბევრი რამ მსმენია ბიძაჩემისაგან ქუთაისისა და სოხუმის, პეტერბურგისა და პარიზის შესახებ. ჰყვებოდა სერიოზულად, არცთუ იშვიათად, თვალებში ჩამდგარი უდაბნოს სევდით; ჰყვებოდა ხანაც იუმორითა და მისთვის ჩვეული ჩაქირქილებით; ჰყვებოდა ზოგჯერ ნაკლებ ნაღდი ჰეროიკული პათოსითაც. იგონებდა ლიტერატურულ ბატალიებს, პიკანტურ ამბებს, ამხანაგებსა და ნათესავებს. მაგრამ არ მახსოვს, რომ სიტყვა დასცდენოდეს ოლია ოკუჯავასთან ურთიერთობაზე, თავის უკიდეგანო სიყვარულზე. ეს ალბათ უმთავრესად იმით აიხსნება, რომ გალაკტიონს ჰქონდა მეორე სამყარო მისთვის ძვირფასი პიროვნებებით და პიროვნებათა მისეული მოდელებით დასახლებული. ამ სამყაროს კარი ყველასთვის დახშული იყო. გალაკტიონმა ოლიას სიყვარული ამ მეორე, სანუკვარი სამყაროს ზღუდეებში მოაქცია; მის ცისფერ სასახლეში მხოლოდ ორნი იყვნენ და მესამის თუნდაც შემთხვევითი შესვლა პირველი თოვლის სისპეტაკესა და უბიწოებას დაუკარგავდა მათ გრძნობას. ამიტომაც დუმდა გალაკტიონი. ამიტომაც უფრთხოდა ამ ამაღლებულ სიყვარულზე საუბარს“ (დასახელებული წიგნი, გვ. 207-208).

ვგონებ, აქ კიდევ ერთი გარემოებაც არის გასათვალისწინებელი: სწორედ იმ ხანებში, როცა ძმისწული გალაკტიონთან იზრდებოდა, მრავალტანჯული ოლია ოკუჯავა უკვე გადასახლებაში გარდაცვლილიყო.

გალაკტიონისათვის ოლია ოკუჯავა მუდამ იყო მოუშუშებელი იარა, ღია ჭრილობა, რასაც, საფიქრებელია, ქვეცნობიერად თან ერთვოდა „დანაშაულის“ გრძნობა (თვითონ ხომ გადარჩა!). გალაკტიონის ფსიქიკური წყობის ადამიანს, ცხადია, სულს უწამლავდა ცოლის თავზე დატრიალებული უბედურება, თავისი უუნარობა და უმწეობა — რითიმე შეემსუბუქებინა მეუღლის ხვედრი.

მოვუსმინოთ რევაზ თვარაძეს: „ბედის დაცინვა თუ იყო, რომ ამ ავადმყოფ კაცს, ძლიერ, ძლიერ ავადმყოფს, 1937 წელს ახალი უბედურება დაატყდა თავს: მისი მეუღლე რეპრესიებს ემსხვერპლა. ამ ამბავმა ერთიანად შესძრა მისი არსება. ერთობ ცოტა ვინმემ თუ იცის, რა

კოშმარული თვეები მოჰყვა ამ ამბავს მის ცხოვრებაში. უამისოდაც სასმელს შეჩვეული რამდენსამე თვეს გონს აღარ მოსულა. ...აპრილამდე (1938 წლისა – ლ.ა.) არ გამოფხიზლებულა. როცა ამ საზარელი სიზმრიდან გამოერკვა, შეძრწუნებულმა წარმოუდგენელი ძალისხმევა იხმარა, სცადა მოეწესრიგებინა პირადი ცხოვრება, უდიასახლისოდ გამოყრუებული ბინის დალაგებას შეუდგა. მაგრამ დიდი ხნით გამობრუნება არ ეწერა იმხანად" („წერილები. ლეგენდა გალაკტიონის ცხოვრებისა", 1979წ., გვ. 267).

1940 წელი. გალაკტიონი წერს გადასახლებაში მყოფ მეუღლეს: „მე ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო ძლიერ სუსტად ვიყავი. თავს სრულიად უიმედოდ და გამოუვალ მდგომარეობაში ვგრძნობდი (ო, შენ გაიგებ, რატომ არ ვპასუხობდი შენს წერილებზე), აღარ ვიცოდი, რა უნდა მექნა. ყოველივე ამან სრულიად გამომაცალა ძალა. ...სულ მთლად უღონოდ ვიყავი ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო. მაგრამ ყველაფერმა ამან გაიარა, განადგურებული ვიყავი დარდისაგან, ამანაც გაიარა, დამბეჩავებელმა უიმედობამ, გაურკვევლობამ – რას იზამ? ყველაფერმა, ყველაფერმა გაიარა.

...ოი, როგორ მინდა შეგიმსუბუქო შენი ახლანდელი მდგომარეობა" („ოლია ოკუჯავას დღიურები და მიმოწერა გალაკტიონთან", გვ. 209-210).

სამი წლის შემდეგ ოლია ოკუჯავა გადასახლებაში გარდაიცვალა.

ჩანს, გალაკტიონი ყოველნაირად გაურბოდა მტანჯველ მოგონებებს. ალბათ ამიტომაც, ყველაზე ახლობელთა წრეშიც კი ოლიას სახელზე პოეტს ტაბუ ჰქონდა დადებული.

უკვე შევნიშნე ოლია ოკუჯავასა და გალაკტიონის მიმოწერას სხვადასხვა თაობის მრავალი მკითხველი ჰყავს-მეთქი. მათ შორის ბევრია სრულიად ახალგაზრდა. სწორედ ამიტომ ხაზგასმით უნდა თქმულიყო, რომ რევოლუციური ტრადიციების ოჯახში აღზრდილი, თავად რევოლუციური რწმენით აღსავსე, სოციალურად უაღრესად აქტიური ადამიანი ოლია ოკუჯავა ორგზის იყო უდანაშაულოდ რეპრესირებული და გადასახლებული. საოცარია, რა გაუგებარი „სიფრთხილით" არის მოწოდებული ეს ფაქტი წინასიტყვაობაში:

„...სამწუხაროდ, ცხოვრება ისე აეწყო, რომ მათ (გალაკტიონსა და მის მეუღლეს – ლ.ა.) ხშირად ერთად ყოფნის საშუალება არ ჰქონდათ" (გვ. 9).

„...განუზომელი იყო ის სევდა და მწუხარება, რასაც მათი განშორება იწვევდა. თითოეული მათგანის საფიქრალი ერთი მეორეზე ზრუნვა იყო, ხოლო ოცნება კი – კვლავ შეხვედრა. მაგრამ ამ ოცნებას ახდენა არ ეწერა" (იქვე).

წინასიტყვაობაში ვხვდებით ოლიას – „პოეტისგან ასეული და ათასეული კილომეტრებით დაშორებულს“ (გვ. 9), „შორეულ რუსეთში უსასოო მდგომარეობაში მყოფს“, „გარე სამყაროსგან იზოლირებულს“ (გვ. 10)...

ეს არის და ეს!

რა საჭირო იყო ასეთი „კონსპირაცია?“ რატომ უნდა იმტვრიოს თავი საქმეში ჩაუხედავმა მკითხველმა ოლია ოკუჯავას ბედზე, რატომ უნდა უნდა გაუჩნდეს რაღაც ეჭვები? რა საჭიროა სიმართლის მიჩქმალვა ან „შელამაზება“? ჩანს, ე. წ. „შინაგანმა ცენზორმა“ იმძლავრა, თორემ გალაკტიონის აკადემიური გამოცემის მე-12 ტომში, რომელიც 1975 წელს გამოქვეყნდა, ხომ სრულიად დაუფარავად ეწერა – „... Она была арестована, обвинялн ее в троцкизме.

Никогда она не была троцкисткой. Ленин был знаменем всей ее жизни“ – ეს სიტყვები გალაკტიონს ეკუთვნის. დაწერილია მისი ხელით, სახელმწიფო ბლანკზე, დათარიღებულია 1957წლის 10 დეკემბრით. პირველად გამოქვეყნდა გალაკტიონის მე-12 ტომში (გვ. 229). იქვე, ამავე წერილის კომენტარებში, რომლებიც იოსებ ლორთქიფანიძეს ეკუთვნის, გადმოცემულია ოლია ოკუჯავას (1892-1943) ბიოგრაფია, სხვათა შორის ისიც, რომ „1929 წლის დეკემბერში გადასახლებული იყო უზბეკეთში, საიდანაც თბილისში 1932 წლის ოქტომბერში დაბრუნდა.

1937 წელს იგი დააპატიმრეს, გარდაიცვალა გადასახლებაში (ქ. ვლადიმირის საპატიმროში) 1943 წლის პირველ ნახევარში, რაც დასტურდება პოეტის არქივში დაცული საფოსტო ბარათით“ (გვ. 688).

დასანანი უყურადღებობის გამოვლენად უნდა მივიჩნიოთ ისიც, რომ არც წინასიტყვაობაში, არც შენიშვნებში, არც საძიებელში არ არის მითითებული ოლია ოკუჯავას დაბადებისა და გარდაცვალების წლები! თუმცა ნიკოლო მაკიაველის, ერნესტ მეიმანის, ნოვიკოვ-პრიბოისა და სხვა, ამ წიგნისათვის ნაკლებად მნიშვნელოვან პირთა დაბადება-გარდაცვალება საძიებელში წესისამებრ მითითებულია.

ოლია ოკუჯავა თავისი დღიურებითა და წერილებით წარმოგვიდგება როგორც საინტერესო, გამორჩეული, უცნაური პიროვნება (გავიხსენოთ ტიციან ტაბიძის თქმული – „странная“ არისო); პოეზიის მოტრფიალე, რუსი მწერლობის ჩინებული მცოდნე; ამაღლებული, ზოგ შემთხვევაში – ეგზალტაციისაკენ მიდრეკილი ახალგაზრდა ქალი. გალაკტიონის დარად, ისიც მარტოსულია: „მე სულ მარტო ვარ, მაგრამ მე ვპოვებ დავიწყებას ხელოვნებაში...“, „ვის გავენდო? ვერავის! ვერავის! ხალხი უხეშია, უხეში სულით“... „მე მეგობრები არ მყავს, ვინც ახლა გარს მახვევია, ისინი

ჩემი მეგობრები არ არიან"... „რა კარგია, რომ მარტო ვარ, ...როგორ მიყვარს მარტოობა"... „ბავშვობიდანვე ჩემი მეგობრები სიჩუმე და მარტოობა იყო, მრავალთა შორის მე მუდამ კენტად ვიყავი, ყველგან ობლობას ვგრძნობდი"... და ა.შ.

გალაკტიონის დარად, მასაც უჭირს ადამიანებთან ყოველდღიური ურთიერთობა, ამასთან, თავდადებულია ძვირფას ადამიანთა მიმართ, ნათესავების უაღრესად მოყვარულია; მეუღლესა და უმცროს ძმაზე ნიადაგ დედობრივად მზრუნველია.

შეუპოვარ რევოლუციონერთა ოჯახში აღზრდილი ოლია ახალგაზრდობიდანვე თავისუფლებაზე ოცნებობს და მეგობრებად თავისუფლებისათვის მებრძოლთ მიიჩნევს – „მე მყავს მეგობრები, თავისუფლებისათვის მებრძოლები"... მისი ახალგაზრდული მაქსიმალიზმი და შეურიგებლობა ჩანს დღიურის ჩანაწერშიც, სხვიტორში აკაკის სამოქალაქო პანაშვიდს რომ ეხება. ეპოქის ძლიერ საინტერესოდ ამსახველი, მრავლისმთქმელი დოკუმენტია! დღეს ზოგი რამ იქნებ გაზვიადებულად და დასაგმობადაც მოგვეჩვენოს, დიდად გვეუცხოვოს კიდეც, თუმცა მაშინდელი რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობის საერთო სულისკვეთების უტყუარი გამოხატულებაა:

„პოეტის სახლის ახლოს დავინახე შეწუხებული სახით მიმავალი თავადები – ბატონები და ქალბატონები. მათ სახეზე ეწერა: „ის ჩვენია". მართალი გითხრათ, მე შემძაგდა ისინი. ღმერთო შეგცოდე და ასე მგონია, ეს ხალხი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება გაატარა თვითკმაყოფილებაში, ჭამა-სმასა და მხიარულებაში, რომლებიც მხოლოდ საკუთარ სიამოვნებაზე ფიქრობენ, რომელთაც არ გააჩნიათ ამაღლებული სული, ახლა თავს გვაჩვენებენ ისე, თითქოს დარდისაგან განადგურებულნი არიან და, საერთოდ, თავს პოეტის პატრონებად თვლიან. ოი, რა საშინელებაა, როდესაც შავი ყორნები ბატონობენ, როცა ისინი თავს ეხვევიან სინათლეს. ნუთუ პოეტი ეგუებოდა ამ მუქთახორებს? არა და არა! მე ეს არ მჯერა! სურვილი მებადება, რომ არ მივუშვა ისინი პოეტის ცხედართან.

ყველა ეამბორა ჯვარს, რომელიც პოეტს გულზე ესვენა. მე არ მიკოცნია, არ მსურს. იქნებ ეს ჯვარი ეკუთვნოდა რომელიმე გახრწნილ მღვდელს, რომელიც მალავდა თავის ზრახვებს და ყვლეფდა და ატყუებდა ხალხს. არა, არ ვაკოცებ ჯვარს. მე მინდა ვაკოცო ამ ნათელ შუბლს, მაგრამ უხერხულია. ჩემს წარმოსახვაში ვკოცნი მას..." (გვ. 46-47).

ოლია ოკუჯავას დღიურებისა და გალაკტიონთან მიმოწერის უნაზეს ფრაგმენტებშიც კი, აქა-იქ, ვხვდებით ლოზუნგებსა და ამგვარ შეძახილებს:

„გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას", „იცოცხლეთ, რევოლუცია იცოცხლებს", „სირცხვილი და ლაფი თქვენ, საცოდაო მემარჯვენე ესერებო!" „შორს კაპიტალის ბატონობა!" „ვაშა! გაუმარჯოს თავისუფალი ქვეყნის თავისუფალ შვილებს!" „კიდევ დასაპყრობია მსოფლიოს ხუთი მეექვსედი! ვწევ სასმისს და ვსვამ მომავალი მსოფლიო ოქტომბრისა და ზღაპრულად მშვენიერი მერმისის სადღეგრძელოს!" და ა.შ. .

ეს არ არის პოზა, ეს არის ოლია ოკუჯავას მტკიცე მრწამსის გამოხატულება; მრწამსისა, რომელიც ორგზის გადასახლებამ და ძმების რეპრესირებამაც ვერ გაბზარა.

ამიტომაც ერთგვარად გადაჭარბებულად მიმაჩნია „მიმოწერის" წინასიტყვაობაში გამოთქმული მოსაზრება: ოლია ოკუჯავასთვის „არ არსებობდა არავითარი პირადული, იგი მისი სახელოვანი მეუღლის სიცოცხლით ცხოვრობდაო" (გვ. 10).

ოლია ოკუჯავამ მართლაც იცოდა თავისი გენიალური ქმრის ფასი, მისი უახლოესი სულიერი მეგობარიც გახლდათ, ზრუნავდა კიდეც მისი ყოფის მოწესრიგებაზე, მის ჯანმრთელობაზე, მაგრამ... ამას ხელი არ შეუშლია მისთვის, ახალი ჯვარდაწერილისათვის, სწავლის გასაგრძელებლად 1916-21 წლები მეუღლისგან მოშორებით, მოსკოვში გაეტარებინა. თბილისში დაბრუნებულიც მუდამ მსახურობდა, სურდა თავისი წვლილი შეეტანა ახალი ცხოვრების დამკვიდრებაში. მოსკოვში გატარებული წლები ოლიას ჯანმრთელობისათვის საბედისწერო აღმოჩნდა. ერთ-ერთ შაბათობაზე მუშაობისას მან ხელი დაიზიანა და ძლივს გადაურჩა ამპუტაციას. უმძიმესი აღმოჩნდა ეს წლები გალაკტიონის სულიერი სიმხნევისა და სიმშვიდისათვისაც.

1916 წლის დეკემბერი, გალაკტიონი – ოლიას: „მე მთლად ნერვებად ვარ გადაქცეული. ძალიან მწარეა ჩემი ცხოვრება, ძალიან!" (გვ. 190). 1917 წლის იანვარი: „საქმე ძალიან არეულად მაქვს... ღმერთმანი ყველაფერი მომწყინდა... აქ ცოტა გაჭირვებას ვიტან..." (გვ. 192).

უსახსრობის გამო გალაკტიონი მოსკოვში სასწავლებლად ვერ წავიდა, ვერც ჩვეულებრივი მოკვდავის ერთი, გაუბედავად გამოთქმული ოცნება აისრულა; 1917 წლის ნოემბერი, გალაკტიონი – ოლიას: „მე ვოცნებობ ჩვენ ერთად ყოფნაზე, პატარა ბავშვზე, განა კარგი არ არი? აჰ, ნეტავი კარგად მოვეწყობოდეთ. მე ამის იმედი მაქვს. ...ცხოვრებას ჭკვიანად უნდა მოპყრობა, ცხოვრება მიდის!" (გვ. 194).

ყოფისადმი „ჭკვიანად მოპყრობა", რაშიც, უთუოდ ცხოვრებისეული პრაქტიციზმია ნაგულისხმები, ვერც გალაკტიონმა და ვერც მისმა მეუღლემ ვერ გაამეღავნა. ჩანს, ყოფით წვრილმანებსა თუ „მსხვილმანებზე" ზრუნ-

ვა ოლიასაც ნაკლებად ეხერხებოდა, თუმცა ყოველ ღონეს ხმარობდა ქმრის კეთილდღეობისათვის.

და მაინც, უმთავრესი ისაა, რომ ცნობილი კონფლიქტი ხელოვანსა და მის ცოლს შორის (სოკრატე — ქსანტიპე, მინდია — მზია და მრავალი სხვა) ამ შემთხვევაში არ ჩანს. გალაკტიონი დიდად აფასებდა ოლიას მაღალ სულიერებას, მის ნატიფ მხატვრულ გემოვნებას და განსწავლულობას, მის პოეტურ ბუნებას.

ზოგიერთი მკვლევარი ერთგვარი საყვედურითაც მოიხსენიებს გალაკტიონის მეუღლეს, რომელმაც ვერ შეუქმნა დიდ პოეტს ოჯახური სიმყუდროვე, თავად სუსტი ჯანმრთელობის მქონემ — ვერ იზრუნა ქმრის ჯანმრთელობაზე და ა.შ. ალბათ, დღესდღეობით მეტი დიდსულოვნება გვმართებს ოლია ოკუჯავას მიმართ, მით უმეტეს, რომ ასეთი სულგრძელობის ნათელ მაგალითს თვით გალაკტიონი გვაძლევს.

მხოლოდ ერთგან, მიუსაფარი, ნერვებდაწყვეტილი გალაკტიონის სულისშემძვრელ საახალწლო ჩანაწერში გაკრთება მწარე საყვედური ოლიას მიმართ. „დედაჩემმა სოფლიდან წყევლით გამომისტუმრა, აბესალომი აქ ჩამოვიდა, ცარიელი ლაი-ლაი გამართა და ისევ წავიდა, ოლია სწორედ მაშინ გაჰქრება, როდესაც ავად ვარ და წყლის მომწოდებელი კაცი არ არის. ამას წინად მთელი ერთი კვირა ვიყავი ავად, ვიწექი საწოლში და კაცი ჩემთან არავინ მოსულა; მშიერი, ავადმყოფი, უპალტოობის გამო სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი, 24 დეკემბრიდან 28 დეკემბრამდე მარტოდმარტო ვიყავი, კაცი არ იყო ჩემი ამბის მკითხველი“ („თხზულებანი 12 ტომად“ ტ. XII, გვ. 330). ეს ჩანაწერი 1932 წლის 31 დეკემბრით არის დათარიღებული. ცნობისათვის: ოლია ოკუჯავა ამ დროს ორიოდე თვის დაბრუნებული გახლდათ პირველი გადასახლებიდან. ჩანს, ამ ფიზიკურად სუსტ და მძიმედ დაავადებულ ქალს მეტი არ შეეძლო. ასევე არ შეეძლო მას, აღეკვეთინებინა მეუღლისათვის მავნე ჩვევა — ღვინის სმა.

ვგონებ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ რევაზ თვარაძემ გაითვალისწინა ბრძნული ქართული ანდაზა — კაცმა ჭირი მალა, ჭირმა თავი არ დამალაო — და პირველმა საჯაროდ და დაურიდებლად მიგვითითა გალაკტიონის მძიმე ავადობაზე — მემთვრალეობის უმძიმეს შეტევებზე. მანვე გვაზიარა თბილისურ ლეგენდას, რომლის თანახმადაც გენიალური პოეტი მხოლოდ სიმთვრალეში თხზავდა ლექსებს: „რადგან არავის გვსურდა იმის დაჯერება, რომ აგერ ჩვენს გვერდით, კრილოვის ათში თუ ჟორესის (აწინდელი მარჯანიშვილის) ოთხში უდრტვინველად ბინადრობდა კაცი, რომლის ცხოვრება გარეგნულად ჩვენეულისგან არაფრით განსხვავდებოდა. ამ კაცის ყოფა რაღაცით გამორჩეული უნდა ყოფილიყო უეჭველად.

მაგრამ რით, რით უნდა ყოფილიყო გამორჩეული და უჩვეულო? თავისთავად ის ამბავი, რომ ეს კაცი გენიალურ ლექსებს წერდა, არასგზით არ კმაროდა წარმოსახვის აღსაგზნებად.

...არა, ათასობით უზაკველ ადამიანს სხვა რამით უნდა ესულდგმულა. მათ მითი სჭირდებოდათ, რაღაც უფრო გამორჩეულთან წილნაყარი ლეგენდა. გალაკტიონი სხვებისგან გამორჩეული პოეტი რომ იყო, ამას ყველა გრძნობდა, ხშირად რომ სვამდა, ესეც კარგად მოეხსენებოდათ. მაგრამ პოეტობით გამორჩეული იქნებ კიდევ მოძებნილიყვნენ; თანაც ცისფერყანწელების შემდეგ მსმელი პოეტის სახელით ვის უნდა გაეკვირვებინა ქართველი კაცი. ცალ-ცალკე ეს ორი ფაქტი ბევრს არაფერს მეტყველებდა. მაგრამ „თუ არ დათვრა, ისე ლექსს ვერ დაწერსო", – ეს უკვე სულ სხვა რამ იყო. ამგვარი ცნობა მართლაც უჩვეულო ამბავს შეიცავდა. რადგან, თუ ცალკე სიმთვრალე და ცალკე ლექსების თხზვა ჩვეულებრივ რამედ მიაჩნდათ, სიმთვრალეში წერა ჯერ არავის სმენოდა. ეს უკვე ლეგენდა გახლდათ". (რ. თვარაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 96-98).

მსგავსი ლეგენდა სხვადასხვა ეროვნების არაერთ გამორჩეულ პოეტზე შექმნილა. ნუღარაფერს ვიტყვით ჩვენებურ ბოჰემაზე – მამია გურიელსა თუ გრიშა აბაშიძეზე, ფრანგ ე. წ. „დაწყეველილ პოეტებზე", ზოგიერთ ფრანგ და რუს სიმბოლისტზე და, საუკუნენახევრით უკან დავიხიოთ. თვით „რუსული პოეზიის მზე" – პუშკინიც კი ვერ გადაურჩა ამ ამბავს. მისი პოეზიის ყველა თაყვანისმცემელს სმენია „ბოლდინოს შემოდგომა": XIX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში, შემოდგომის ორ-სამ თვეს პოეტი თავის მიკარგულ მამულში ბოლდინოში ატარებდა: განმარტოებული, პეტერბურგში მყოფ მზეთუნახავ მეუღლესა და ოჯახს ნებაყოფლობით მოშორებული, საწერ მაგიდასთან კატორღელივით მიჯაჭვული... „ბოლდინის შემოდგომა" უაღრესად ნაყოფიერი სულიერი და შემოქმედებითი წვის სინონიმი გახდა, „ბოლდინოს შემოდგომაზე" შეიქმნა რუსული პოეზიის მრავალი შედევრი.

როგორ აღიქვა პოეტის ეს საარაკო „პროდუქტიულობა" იმჟამინდელმა მკითხველმა? ჩანს, მანაც ლეგენდა შეთხზა.

1833 წელს ბოლდინოში „დაყუდებული" პუშკინი ჩვეული იუმორით წერდა მეუღლეს:

„Знаешь ли,что обо мне говорят в соседних губерниях? Вот как описывают мои занятия: Как Пушкин стихи пишет – перед ним стоит штоф славнейшей настойки – он хлоп стакан, другой, третий – и уж начнет писать! – Это слава" (Пушкин А., Собрание сочинений, т. X, М., 1962 г., стр. 146). ამკარა თვითირონიის მიუხედავად, ფხიზელი განსჯით აღჭურვილი პოეტი უზუსტესად აფასებდა ამ

გარემოებას – „Это слава“.

გალაკტიონი რომ სავსებით ფხიზელი თხზავდა ლექსებს და ტიტანურ შრომასაც ხარჯავდა მათი სრულყოფისათვის – დღეს ეს დოკუმენტურად დადასტურებული ფაქტია და მასზე ყურადღების შეჩერება ღია კარის მტვრევა იქნებოდა.

ღვინისადმი მიდრეკილება, რაც ნელნელა ანადგურებდა პოეტს ფიზიკურად და სულიერადაც, მისი ახლობლების საწუხარი იყო.

გალაკტიონის მავნე ჩვევა სასოწარკვეთილებაში აგდებდა მის მეუღლეს.

ოლია ოკუჯავას დღიურები და წერილები აღსავსეა ამგვარი ჩანაწერებით: „ძვირფასო გალ, გამოიჩინე სულის სიმტკიცე, მუშაობა რომ შეძლო, ჯანმრთელი უნდა იყო. ამისათვის კი აუცილებელია კარგად იკვებო, თბილად ჩაიცვა და თავი დაანებო პაპიროსსა და ღვინოს, ისინი გღუპავენ შენ“ (გვ. 67).

„პირველყოვლისა უნდა მოიშორო ორი საშინელი მანკი – ღვინო და პაპიროსი, გველივით რომ გგესლავენ“ (გვ.69).

„რა კარგი იყო ეს დღეები... რამდენი იმედი – გალიმ შეიგნო, რომ ღვინო დაღუპავს და გადაწყვიტა სახლში სვას ცოტ-ცოტა.

...გალ, როგორ უგონოდ მიყვარხარ! სადა ხარ დღეს? უკვე ღამის 4 საათია და შენ კი არ ჩანხარ. რა ვქნა? სად გეძებო?!“ (გვ. 86).

შუა აზიაში გადასახლებული ოლია წერს მეუღლეს: „გალ, მეშინია! ვაი თუ სვამ! გალ, ნუ იზამ მაგას, ამჯერად მაინც“. (გვ.115).

ჩანს, უყოყმანოდ მისაღებია ნოდარ ტაბიძისეული სულგრძელი თვალსაზრისი, დაფუძნებული გენიალური ბიძის ჭირვეული და ბავშვურად ეგოისტური ბუნების ცოდნაზე: „არაერთხელ დავფიქრებულვარ ოლიას სიყვარულზე, თვალი მიმიდევნებია მისი ცხოვრების ურთულესი გზისთვის და ყოველთვის მოვხიბლულვარ ამ ქალის სტოიციზმით; ზოგჯერ გავოცებულვარ კიდეც ყოფით მოვლენებზე ამაღლების მისეული უნარით.

მოდი, ნუ შევაფერადებთ სინამდვილეს, ჩვეულებრივ მოკვდავს უთუოდ გაუძნელდებოდა გალაკტიონთან ცხოვრება, რადგან ამ გენიოსის გონება, ნიჭი, სურვილები ერთი კალაპოტით იყო მიმართული. ეს კი ბუნებრივად იწვევდა ყოველდღიური პრაქტიკული საკითხებისადმი გულგრილ თუ დაფანტულ დამოკიდებულებას.

გალაკტიონს შეეძლო მთელი დღე და ღამე ჩაკეტილიყო კაბინეტში და ფიქრადაც არ მოსვლოდა, რომ ოჯახს პური უნდა. შეეძლო საათობით მჯდარიყო გაყინულ ოთახში, რითმებთან შეჭიდებული. და არც კი გახსენებოდა, რომ ნავთი დიდი ხანია გამოილია. შეეძლო მთელი ღამე

ელხინა ახლადგაცნობილ მეინახესთან და არ მოგონებოდა ფანჯრის რაფაზე გადმოხრილი მეუღლე.

... ოლია კარგად გრძნობდა, რომ გალაკტიონს სხვაგვარად ცხოვრება არ შეეძლო, ამიტომაც დიდი პოეტის ჩვეულებრივ კალაპოტში მოქცევა კი არ დაუსახავს მიზნად, არამედ მისთვის ფეხის აწყობა. თავისუფლება შეცნობილი აუცილებლობაა. ოლიამაც შეიცნო გალაკტიონის ყოფის აუცილებლობა. ამიტომაც წარბშეუხრელად ხვდებოდა ბევრ ისეთ რამეს, რასაც სხვები შეიძლება ტრაგიზმამდე მიეყვანა" (ნ. ტაბიძე, დასახელებული წიგნი, გვ. 221-222).

ავადობით დაძაბუნებულ, მაგრამ სულით მხნე და გაუტეხელ ქალს ღრმად ჰქონდა გაცნობიერებული ქმრის გამორჩეულობა და განსაკუთრებულობა. სწორედ ეს იყო ცოლ-ქმრის სულიერი მეგობრობის მტკიცე ბალავარი.

ოლია ოკუჯავამ იმთავითვე შეიცნო გალაკტიონის პოეტური გენია. 1916 წლით დათარიღებული ჩანაწერიდან: „რას ფიქრობს კულტურული საზოგადოება და დაწესებულება, რომელიც სამშვენისებზე და ყბედებზე ხარჯავს უზარმაზარ თანხას და ამავე დროს ვერ ამჩნევს დაფარულ დიდ ტალანტებს, რომლებსაც შეუძლიათ შექმნან უდიდესი ზოგადსაკაცობრიო ქმნილებები, თუ მათ ექნებათ მატერიალური ხელშეწყობა. მაშინ მათი დაფარული ტალანტი გაშლის ძლიერ ფრთებს, ფრთებს თვალუწვდენელს, ფრთებს სუფთას, თავისუფალს, ფრთებს, რომლებსაც თავისი რხევით შეუძლია შექმნას დიდებული ქმნილებები"... (გვ. 48-49); 1927 წელი: „ო, როგორ ამაყობს საქართველო შენი გენიით. იამაყე, იამაყე, საქართველოვ, გალა პოეტით"... (გვ. 67); „წლები გაივლენ, მაგრამ საუკუნეთა ნალექებში არასოდეს არ შთაინთქმება პოეზიის მონარნარე ხმა. უცხო ადამიანები გრძელ ღამეებში მოისმენენ მას და სულით ამაღლდებიან.

...ათასწლეულების შემდეგ იმღერებენ შენს ლექსებს და სრულიად უცხო ადამიანები, სრულიად უცხო და უკეთეს პირობებში მოგიალერსებენ შენ" (გვ. 69); „აი, მივაბიჯებ კამოს ქუჩაზე, აქ ხომ ყოველდღე დადიოდა იგი — გენიალური პოეტი, იების სევდიანი მზერით. ...იგი მიდიოდა სტამბისკენ, სადაც იბეჭდებოდა მისი სული, მისი მსოფლიო მნიშვნელობის მარადიული ქმნილებები. ...მიდიოდა იგი მარადისობისაკენ და თან მიჰქონდა უჭკნობი სურნელოვანი თაიგული"... (გვ. 71-72); 1934 წელი: „არაფერია! გამოჩნდებიან, დაიბადებიან და დაიზრდებიან კრიტიკოსები, რომლებიც შესძლებენ მთლიანად შეიცნონ ჯერეთ შეუცნობელი

შემოქმედება გალისა“ (გვ. 84); „ო, შორეულ საუკუნეებში გადაიხდიან გალის საიუბილეო ზეიმსაც“... (გვ. 94).

ოლია ოკუჯავამ ამაგი დასდო გალაკტიონის ლექსების რუსულად თარგმნას. უკეთებდა ბჭკარედებს, ეხმარებოდა მეუღლეს წიგნების კორექტურაში, სათუთად ინახავდა მის ხელნაწერებს. მძიმე ავადმყოფი, შორეული გადასახლებიდან ემუდარებოდა გალაკტიონს – თვალის ჩინივით გაფრთხილებოდა ხელნაწერებსა და ძველ ფოტოებს.

ოლია ოკუჯავა რუსულად იყო აღზრდილი. ოკუჯავების ოჯახში, როგორც მიმოწერიდან ჩანს, რუსული ენა იყო გაბატონებული. გავიხსენოთ გალაკტიონის ოლიასადმი მინაწერი – შენი „პაპა“ ვნახეო, ან – მიშა ოკუჯავამ ზრდილობიანად მითხრაო „Вас можно выделить“ და მისთანანი. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ოლია ოკუჯავა, რომელიც ხშირად ურჩევდა მეუღლეს ამა თუ იმ წიგნის გაცნობას (ძირითადად უცხოურ ან რუსულ თხზულებებს), მიმოწერაში არ ასახელებს არც ერთ ქართულ მხატვრულ ნაწარმოებს. გალაკტიონია ერთადერთი ქართველი პოეტი, რომლის პოეტური სახეების ანარეკლი ხშირად გვხვდება მეუღლის წერილებში. დღეს ალბათ უცნაურად მოგვეჩვენება ის ფაქტი, რომ გადასახლებაში მყოფი, მძიმედ დაავადებული და გატანჯული ოლია დაჟინებით სთხოვს გალაკტიონს ათანასე ფეტის ლექსების გაცნობას. გალაკტიონი – ოლიას: „შენ ერთ პოეტზე სწერდი, რა შესანიშნავი პოეტია ის – ფეტი (ასე ხომ?) უნდა ვაღიარო არასოდეს არ დავინტერესებულვარ მისი პოეზიით. ახლა კი შევიძინე მისი თხზულებები. აუცილებლად წავიკითხავ“ (გვ. 209). წერილი 1940 წლით არის დათარიღებული. თუ რატომ არ იცნობდა გალაკტიონი დიდი რუსი ლირიკოსის პოეზიას, ამის ახსნა ადვილია: იმხანად ფეტის „უიდეო“ პოეზია დიდხანს იყო ჩრდილში.

სწორედ იმ წლების ამბავს იგონებს ალექსანდრე შეჟიროვი:

„Предвоенная лекция в Московском университете „Искусство для искусства. Афанасий Фет“ завершилась не совсем обычно. Лектора окликнули у двери: „Простите, профессор, если Фет действительно так ничтожен, почему вы через столько лет вспомнили о нем? За что же все-таки его ценят?“ Пожилой человек обернулся и чуть испуганно скороговоркой ответил: „За дивные звуки“ („Литературная газета“, 1987 г., № 20).

მაგრამ დავუბრუნდეთ ოლია ოკუჯავას, შორეთში გადასახლებულ იდეურ კომუნისტს (გ. ტაბიძე: „Да, ее отличала идейная прямолинейность, коммунистическая“), „უიდეო“ ფეტის წაკითხვას რომ ურჩევდა მეუღლეს (იმ ეპოქის კიდევ ერთი პარადოქსი!).

ოლია ოკუჯავას წერილები და დღიურებიც რუსულად იწერებოდა.

შემდგენლებს ისინი ქართულად უთარგმნიათ, ეს მათი ნებაა, მაგრამ მაშინ გალაკტიონის ქართულ წერილებში მოტანილი მეუღლის რუსული ციტატებიც უნდა თარგმნილიყო. (გვ. 172, 186, 201).

თარგმანი, მცირედი გამონაკლისის გარდა, აშკარად მოიკოჭლებს. იქნებ აჯობებდა მათი ხელუხლებლად დატოვება და რუსულსავე ენაზე გამოქვეყნება? გალაკტიონის ორი რუსული წერილის (გვ. 196, 206; წერილები 26-ე და 34-ე) თარგმნა კი საერთოდ გაუმართლებლად მიმაჩნია (წინასიტყვაობის ავტორებს უნებლიედ შეცდომაში შეყავთ მკითხველი: არ მიუთითებენ, რომ რუსულად არის დაწერილი 38-ე წერილიც! იხ. ტ. XII, გვ. 535-36).

ოლია ოკუჯავას ნაწერების თარგმანში არის გრამატიკული, ლექსიკური, სტილისტური შეუსაბამობანი.

ოლია — გალაკტიონს: „წვრილი ხმით ჭყივიან მოუსვენარი გალკები (ჩიტია ასეთი) და სადღაც ყარყარებს ყორანი“ (გვ. 149). „გალკები“ — ქართული სიტყვა არ არის, „Галка“ ქართულად „ჭკა“ გახლავთ და ასეც უნდა თარგმნილიყო. ხოლო ის გარემოება, რომ ოლია აქ, ნებსით თუ უნებლიედ, სიტყვათა თამაშს მიმართავს (ამ ჩიტის სახელი ქმრის მეტსახელს აგონებს მას), შენიშვნებში უნდა ასახულიყო.

ვერაფერი შვილი ქართულია: „სალამი შენ“, „გკოცნი ძლიერ“, „გკოცნით ძლიერ, ძლიერ ყველას“, და მისთანანი. ანდა: „ამას გთხოვს (თუმც ვეღარასოდეს) — მაგრამ მაინც შენი ოლია“ (გვ. 132); „მე სულ მარტო ვარ, მაგრამ მე ვპოვებ დავიწყებას (თუ თავდავიწყებას? — ლ.ა.) ხელოვნებაში და თუ არა“... (გვ. 53); „გიგზავნი ამბორს, დაკოცნილს ჩემსა და ბორჯომის ნათელი დილით“ (გვ. 108); „ორღანი“ (უნდა იყო არღანი — ლ.ა.), „სტენკა რაზინს“ უკრაეს და ვიღაც მღერის დაქანცული ხმით“ (გვ. 129); „მაგრამ ფეხზე დგება მილიარდობით და ტრილიარდობით(?!) ჯანმაგარი მშრომელი, ახალი ცხოვრების შემოქმედი“ (გვ. 112) და ა. შ.

ბევრი რამ, რაც აუცილებელ კომენტარს ითხოვდა, ან სავსებით უგულებელყოფილია, ანდა — არაზუსტად ან შეცდომით განმარტებული.

სრულიად აუხსნელია კომენტატორთა გულგრილობა თბილისისა და ქუთაისის ურბანონიმების მიმართ.

„მე, დედაჩემი და ჩემი ძმა წავედით გორაზე ოთახისათვის“... წერს გალაკტიონი ოლიას ქუთაისიდან 1914 წელს. იქვე: „ლადო (იგულისხმება ლადო მაჭავარიანი — ლ.ა.) რედაქციისკენ წავიდა, მე ზევით გორაზე. ...სიჩქარით დაეშვით გორიდან ქვევით“ (გვ. 176-177).

აქ „გორა“ მნიშვნელოვანი ქუთაისური ურბანონიმია და არა უსახო და უსახელო ბორცვი ან გორაკი. აქ ალბათ იგულისხმება ე. წ. არქიელის ან დათეშიძის (იგივე გაბაშვილის) გორა.

არც თბილისის ურბანონიმებს აღგათ უკეთესი დღე. დროებით დედასთან მყოფი ოლია ოკუჯავა 1932 წელს წერილს ახვედრებს გალაკტიონს სახლში: „მაპატიე, გუშინ ვერ მოვედი, ტრამვაის ბრალია, ორ საათს ველოდე, ღონე გამომელია.

დღეს აქა ვარ, გელოდები, შენ არ ჩანხარ. ხვალ ვერ მოვალ. ... მოდი პასკევიჩზე“ (გვ. 125). კომენტატორებს უნდა განემარტათ: პასკევიჩის (ახლანდელი მახარაძის) ქუჩა, სადაც ცხოვრობდა ოლიას დედა, საკმაო მანძილით იყო დაშორებული პოეტის სახლისაგან კრილოვის ქუჩაზე. შეუძლოდ მყოფ ოლიას, რა თქმა უნდა, გაუჭირდებოდა ტრამვაის გარეშე იქ მისვლა. საძიებელში გატანილი „პასკევიჩის ქუჩა (თბილისში)“ იმაზეც კი ვერ მიანიშნებს დღევანდელ მკითხველს, თუ რომელ უბანზეა საუბარი.

1934 წლის თებერვალში ოლია ოკუჯავას დღიურში ჩაუნიშნავს: „დღეს გალკი ხელახლა გაემზადა სამოგზაუროდ — სამტრედია, ბათუმი, სოხუმი.

მთელი დღის განმავლობაში ქუჩაში დავდიოდით. მიყიდა ჟოლოსფერი ბერეტი და ზამშეს ქამარი, აგრეთვე აბრეშუმის ჯემპრი, მე მთლად ჟოლოსფერი ვარ.

გალკისათვის ჩემოდანი ვიყიდეთ და სტალინის სახელობის კლუბის სასაუზმეში შევედით“ (გვ. 88-89). ასეთი მშვიდი და კმაყოფილი, თითქმის იდილიური ჩანაწერი დღიურში იშვიათია. მით უმეტეს, იქნებ გაერკვიათ შემდგენლებს — სტალინის სახელობის კლუბი, სადაც ისაუზმა ცოლქმარმა, სად მდებარეობდა.

„მიმოწერაში“ მოიხსენიება მოსკოვის შანიავსკის უნივერსიტეტი, რომელშიც ამაოდ ოცნებობდა სწავლას ჭაბუკი გალაკტიონი. ეს უნივერსიტეტი 1918 წლის დამლევს გაუქმდა. დღევანდელ მკითხველთა უმრავლესობას, ცხადია, წარმოდგენაც არა აქვს მასზე. საძიებელში უსათუოდ უნდა გატანილიყო ეს უმაღლესი სასწავლებელი (გენერლის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის — ლ.ა. შანიავსკის სახ. მოსკოვის საქალაქო სახალხო უნივერსიტეტი, 1908-1918 წწ. — ლ. ა.), სათანადო განმარტებითურთ.

საგანგებო მნიშვნელობისაა „მიმოწერის“ ის მონაკვეთები, რომლებიც ეხება ლიტერატურას ზოგადად, ანდა, კერძოდ, რომელიმე მწერალსა და მის თხზულებათ. კომენტატორებსაც, ჩემი აზრით, სწორედ ამ ასპექტზე უნდა გაემახვილებინათ ყურადღება.

1. „Жизнь на радость нам дана!“ — ამხნევებს ერთ-ერთ წერილ-

ში ჭაბუკი გალაკტიონი საცოლეს (გვ.170). ეს კი აშკარა ლიტერატურული რემინისცენცია, პუშკინის ლექსის ერთგვარი ანტითეზაა: „Дар напрасный, дар случайный, жизнь, зачем ты нам дана!“ შენიშვნებში ეს ფაქტი უგულებელყოფილია.

2. გალაკტიონი წერს ოლიას: – „სწერ თუ არა ჩემზე წერილს? უსათუოდ უნდა დამახვედრო, იცოდე. როდესაც ჩამოვალ, ჩემი წიგნი უნდა გამოვცეთ რუსულად“ (გვ. 193). ეს სიტყვებიც უთუოდ საჭიროებდნენ განმარტებას. ცნობილი და ღირსსაცნობი ფაქტია: „გალაკტიონს ხიბლავს ოლიას ანალიტიკური გონება, ფართო განათლება, პოეტური თრთოლვა. შემთხვევითი როდია, რომ 1917 წელს სწორედ მას სთხოვს რუსული წიგნისათვის წინასიტყვაობის დაწერას“ (ნ. ტაბიძე, დასახელებული წიგნი, გვ. 201).

3. „ვინ არის თუ იცი თეიმურაზ ჭუმბურიძე?“ – ეკითხება გალაკტიონი ოლიას 1927 წელს (გვ. 199). ჩანს, შემდგენლებმაც არ იციან მისი ვინაობა. ყოველ შემთხვევაში, სახელთა საძიებელში ეს გვარი არ იძებნება. არადა, თეიმურაზ ჭუმბურიძე (1891-1935წწ.) 10-20-იანი წლების პუბლიცისტი, კრიტიკოსი და პედაგოგი გახლდათ. ალბათ ძნელი არ იქნებოდა მასზე ცნობების მოძიებაც.

საძიებელში იმდენ წვრილმან თუ მსხვილმან „უცნაურობას“ წავაწყდი, რომ ყველა გაუგებრობის აღნუსხვა შორს წაგვიყვანდა: მოსკოვის ქუჩა „ბრონნაია“ საძიებელში ბრონსკაიად ქცეულა; „სტრასტნოი ბულვარი“ – „სტრასტნაიად“; მდინარე „ბორჯომკა“ (ასეა გალაკტიონის წერილში) – „ბორჯომულად“, „ლავრენევი“ (იხ. ოლია ოკუჯავას წერილი) – „ლავრენიოვად“; „მერეჟკოვსკი“ – „მერეშკოვსკად“.

გალაკტიონის წერილში (გვ. 190) მოხსენიებულია პოეტის ახლობელი მიშელ (მიხეილ) ბოჭორიშვილი. მეორეგან (გვ. 178) პოეტი მხოლოდ სახელით იხსენიებს მეგობარს. ეს საკმარისი შექმნილა იმისათვის, რომ შემდგენლებს „მიშელზე“ მიეთითებინათ საძიებელში და არა წესისამებრ – „ბოჭორიშვილზე“.

არასწორად არის მითითებული ზოგიერთი პიროვნების დაბადება-გარდაცვალების თარიღები: ონორე დე ბალზაკის, ვალია ბახტაძის, რენე კოტის... მამის სახელები ზოგჯერ მოხსენიებულია, ზოგჯერ არა, გვხვდება შეცდომაც: მაგალითად, პოეტი ლევ მეი ალექსანდრეს ძეა და არა ნიკოლოზისა.

მხოლოდ სახელითა და გვარით არის წარმოდგენილი შამშე ლეჟავა, კატო მიქელაძე და სხვები, თუმცა ადვილად შეიძლებოდა მათი დაბადება-გარდაცვალების თარიღებისა და მამის სახელის დადგენაც.

გვხვდება ისეთი შემთხვევაც, როცა საძიებელში არასწორად არის მითითებული სახელიც და გარდაცვალების წელიც: მაიკოვი ანატოლი ნიკოლოზის ძე (1821-1871). რუსული ლიტერატურის ისტორია ასეთ პოეტს არ იცნობს. უნდა იყოს: მაიკოვი აპოლონ ნიკოლოზის ძე (1821-1897).

სახელთა საძიებელში გამოტანილია ბევრი უცნობი სახელი — მარი, გელა, კუკუშა, სანია, რევეკა, ტოსია, დათიკო, ნატაშა და სხვ.

„რევეკასათვის" ფრჩხილებში მიუწერიათ — „ვაშაძე". როგორც წერილის შინაარსიდანაც ჩანს, აქ იგულისხმება კონსტანტინე გამსახურდიას პირველი მეუღლე რებეკა ვაშაძე. შემდგენლებს არ უნდა გასჭირვებოდათ არც ამ ფაქტის აღნიშვნა და არც ამ პიროვნების დაბადება-გარდაცვალების დადგენა.

ან კიდევ, მიმოწერაში მოხსენიებულია „ნატაშა", საფიქრებელია, რომ ეს გალაკტიონის ახლო მეგობრის თედორე ჩუდეცკის მეუღლე და ოლიას კარგი ამხანაგი ნატაშა კლიმენტის ასული იოსელიანია, დიდი პოეტის ახლობელი და ერთგული ადამიანი. სიტყვა დავუთმოთ ნოდარ ტაბიძეს: „1924 წელს, როცა გალაკტიონი უმძიმეს პირობებში აღმოჩნდა, სწორედ ჩუდეცკების ოჯახმა შეიკედლა და დაიფარა იგი. გალაკტიონს არაერთხელ გაუხსენებია მაშინდელი ეპიზოდი. გამეხებულ ვეფხვს გავდა ნატაშა (თედორეს მეუღლე), მზად იყო სისხლიც კი დაეღვარა, შენს თავს არავის დავანებებო" (დასახელებული წიგნი, გვ. 179).

და აი, ეს ამაგდარი პიროვნება რატომღაც არ არის სათანადოდ წარმოჩენილი არც საძიებელში და არც კომენტარებში.

„ვიყავი საავადმყოფოში გელას სანახავად" — წერდა გალაკტიონი ოლიას. ნუთუ ეს ფაქტი თავისთავად (გავიხსენოთ, რა შეთანხმებულად უჩიოდნენ ახლობლები გალაკტიონს უყურადღებობას) არ არის საკმარისი, რომ თავი ვიმტვრიოთ ამ პიროვნების ვინაობის დასადგენად?

აქ კი, ცოტა არ იყოს, შეშფოთებით მინდა მივმართო ჩვენს ლიტერატორებს (არა მარტო ამ წიგნის მესვეურთ): სანამ გვიან არ არის, სანამ ჯერ კიდევ ბევრი რამ ინახება ჩვენს უფროს თანამედროვეთა მეხსიერებაში, სანამ ჯერ კიდევ შესაძლებელია ბევრი რამის აღდგენა — მივხედოთ ჩვენს ახლო წარსულს! მივხედოთ პირველ რიგში, XX საუკუნის უდიდეს ქართველ პოეტს, ნაბიჯ-ნაბიჯ წარმოვაჩინოთ მისი ცხოვრება, მის ახლობელთა და მეგობართა წრე, ლიტერატურული თუ ყოფითი გარემოცვა... ცხადია, ამ სიტყვებში არ იგულისხმება იოსებ ლორთქიფანიძის, რევაზ თვარაძის, ნოდარ ტაბიძის, ვახტანგ ჯავახაძის და ზოგიერთი სხვა მკვლევარის დიდი ამაგის უგულებელყოფა; ჩანს, ყველაფრის ჩხრეკა-მოძიება და გათვალისწინება აღემატება ცალკეულ პიროვნებათა ძალისხმევას.

ალბათ, უპრიანია, რომელიმე უმაღლესი სასწავლებლის, ინსტიტუტის, მუზეუმის, რედაქციის თაოსნობით, ანდა, რამდენიმე დაწესებულების ბაზაზე, შეიქმნას მთელი ჯგუფი, რომელიც სპეციალურად იმუშავებს გალაკტიონის არეალის აღსადგენად.

დღემდე არა გვაქვს მოგონებათა რამდენადმე სრულყოფილი კრებული გალაკტიონზე, გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსების, მნიშვნელოვანი წერილების კრებულები, იკონოგრაფიული ფოტო-ალბომი. არადა, საბედნიეროდ, ერთ დროს უგულებელყოფილმა მემუარულმა მწერლობამ კვლავ დაიბრუნა პოზიცია. გამომცემლობა „მერანმა" დააარსა შესანიშნავი სერია „მოგონებები გარდასულ დღეთა", „საბჭოთა საქართველომ" — „ქართული მემუარული ლიტერატურა".

იმედი ვიქონიოთ, რომ უწინარეს ყოვლისა, გალაკტიონს, შემდეგ კი XX საუკუნის სხვა ქართველ მწერლებსაც ელირსებათ მემუარული კრებული.

ჩემს ხელთაა 1978 წელს მოსკოვში, „ნაუკას" მიერ გამოცემული წიგნი: „Литературное наследство, том восемьдесят девятый, Александр Блок, Письма к жене" — ა. ბლოკის ცხოვრებისა და შემოქმედების ცნობილი მკვლევარის ვლადიმერ ორლოვის ვრცელი და საფუძვლიანი შესავალი წერილით, ილია ზილბერშტეინის უაღრესად საინტერესო ბოლოსიტყვაობით.

აქ გამოქვეყნებულია ბლოკის 317 წერილი. აქედან 264 პირველად იბეჭდება. გამოწვლილვით კომენტარებში, რომელსაც დიდი ინტერესით (და ალბათ, „კეთილი" შურითაც) გაეცნობა პროფესიონალი ქართველი ლიტერატორი, მოტანილია ვრცელი ფრაგმენტები ლიდია დიმიტრის ასული მენდელეევას წერილებიდან. წიგნს უმდიდრესი იკონოგრაფიული მასალა ერთვის.

ზემოხსენებულ კრებულთან „ოლია ოკუჯავას დღიურებისა და მიმოწერის" შედარება ქართველ მკითხველს დიდად ვერ აამებს.

კრიტიკაში დიდი ხანია ცნობილია ე. წ. „ლიტერატურული ოცნებანი". დღესდღეობით ალბათ კრიტიკის ამ სახეობას განეკუთვნება ნატვრა — გამოვცეთ გალაკტიონისადმი მიძღვნილი მემუარული კრებული, მიმზიდველი არა მარტო შინაარსით, არამედ — ვრცელი, ამომწურავი, რაც მთავარია, ზუსტი კომენტარებით, მდიდარი იკონოგრაფიული მასალით, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე...

პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია.

უპირველესი, რაც „მიმოწერიდან“ გამოსჭვივის, გალაკტიონისა და მისი მეუღლის სულთა თანხმიერებაა, ყოფისაგან ამაღლებაა, ზოგჯერ — მოუწყობელი, ანდა სულაც ტრაგიკული ცხოვრებით გამოწვეული სულის აფორიაქება და მტანჯველი განცდებია.

შემდგენლებმა წინა პლანზე გალაკტიონის მეუღლე წამოსწიეს და არც შემცდარან: გალაკტიონის წერილებს ისედაც კარგად იცნობდა მკითხველი საზოგადოება (იხ. გ. ტაბიძე, „თხზულებანი თორმეტ ტომად“, ტ. XII), ოლია ოკუჯავას წერილები კი მხოლოდ ნაწილობრივ იყო გამოქვეყნებული.

და, რაც მთავარია, ოლია ოკუჯავას დღიურებსა თუ წერილებში აირეკლა „ნამდვილი“, ჩვენთვის მანამდე უცნობი გალაკტიონი.

1988 წ.

„...რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა“

გალაკტიონის ერთი პირადი წერილის გამო

1915 წლის 8 იანვარია.

23 წლის ჭაბუკი გალაკტიონი ქუთაისიდან წერს წერილს ჭიათურაში მყოფ საცოლეს — ოლია ოკუჯავას; წერს მხიარული, ერთგვარად ატაცებული ტონით, იშვიათი ენაწყლიანობით, თვითირონიით (ცოტა არ იყოს „შავი“ იუმორითაც), საბოლოო ჯამში კი — საკმაოდ აფორიაქებულად და ნერვიულადაც:

„ოლოლო! ლო იცოდე, ლა მშვენიერი დღე ალის დღეს! პირდაპირ არ გინდა კაცს სახლში იჯდე, გინდა გაინავარდო სადმე, წაჰყვე ვისმეს სადმე ისეთ ადგილას, სადაც მუდმივი სიხარული და ბედნიერებაა.

დღეს ძალიან ადრე გამომელვიძა, გავიხედე ფანჯარაში და მშვენიერი გაზაფხულის დილა მომაგონდა. ცოტა სიცივეა, მაგრამ ცა ისე იყო მოწმენდილი, რომ უნებურად რომაშოვივით ლერმონტოვის სიტყვები გავიმეორე [...]

საჩქაროდ ჩემი კაკაო დავლიე. მოვიხურე პალტო, ჩამოვიფხატე ქუდი და ტროსტით ხელში „ვაჟნოთ“ გავსწიე ქალაქგარეთ. უნდა გითხრა, რომ ძალიან მხიარულ გუნებაზე ვიყავი, აბა, შენ წარმოიდგინე, ასეთი მშვენიერი დღეა, 8 იანვარს, შუა ზამთარში. რომ ეს ამბავი მეთორმეტე საუკუნის ქრონიკაში წამეკითხა, არ დავიჯერებდი. მაგრამ ჩემი თვალით ვხედავდი ყველაფერს.

მივდიოდი იმ ქუჩაზე, სადაც გიჟებს ამწყვდევენ და სადაც რამდენჯერმე გულწრფელად გადაეწყეიტე შენი იქ ჩამწყვდევა, ჩემო ოლოლი! იქ ერთი გიჟი გადმომდგარიყო ფანჯარაში და ჩემს შეხედვაზე გულიანად გაიცინა. მაგრამ მე ყურადღება არ მივაქციე და ამაყი ღიმილით ჩავიარე, თან ჩემს თავზე გავიფიქრე: „И он усмехнулся горьким презрительным смехом“.

გზამ სოფელ ქვიტირში მიმიყვანა. თურმე სულ ახლო ყოფილა და მე არ ვიცოდი. გზაზე ბევრ მშვენიერ ფიქრს ვფიქრობდი და ძალიანაც არ მომგონებია, თუ სად მივდიოდი. შეველი ეკლესიის ეზოში და დიდხანს ვიწექი ქვაზე, შემდეგ წარწერებს ვათვალიერებდი, გაიცანი ბევრი მკვდრები, რომლებიც სიამოვნებით მომეგებნენ და მითხრეს: მობრძანდით, მობრძანდით! მაგრე რიგად ნუ გეშინია ჩვენი. ერთდროს ახლობელი მეგობრები ვიქნებით ან ჯოჯოხეთში ან სამოთხეში, უფრო კი ჯოჯოხეთშიო. თან ისიც მიამბეს, რომ უმეტესი ნაწილი ქვიტირლებისა, და, საზოგადოდ, მთელი ქვეყნის მცხოვრებლების, ჯოჯოხეთში მიდიან, რადგან სამოთხეში ყველას არ უშვებენ ცეცხლისხმლიანი ანგელოზები. გავიგე ისიც, რომ ჯოჯოხეთში შესვლა არც ისეთი საშინელებაა, როგორც ბევრ ცოცხალსა გონია. თურმე კუპრის ზღვაში და ცეცხლის მორევში ცურაობა ჯობნებია იმ ათასნაირ დამცირება-გაჭირვებებს, რომელთაც ქვეყანაზე განიცდიან ცოცხალი ადამიანები. რისი ცოცხალი! მკვდრები დაჟინებით მიმტკიცებენ, რომ მათში ბევრი მოიპოვება ისეთი, რომლებიც ცოცხლებს სჯობიან ყველაფერში. აი თუნდაც შენო! – მითხრა ერთმა მკვდარმა, – ნუ გეწყინება და ეხლაც თუ მე შენ არ გჯობდე, დამიმტვრიე ეგ ძვლებიო.. რა თქმა უნდა, მე იმ მკვდრისთვის სულ არ დამიმტვრევია ყბები, რადგან სრული სიმართლე სთქვა. მეორე მკვდარმა თავისი ლექსები ამოიღო და პათოსით კითხვა დაიწყო... ძალიან კარგი დეკლამატორი ყოფილა. მითხრა: აბა, შეადარე შენს ლექსებს, რომელი სჯობიაო? თურმე ის კაცი მკვდრების საზოგადოებაში გენიოს პოეტად ითვლება... საზოგადოდ, ჩემო ოლოლი, ცოტა ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე დღეს სასაფლაომ. იმ პოეტმა ტრაბახით ამიკლო, სულ ძვლებს აჩხარუნებდა და ისე გაიძახოდა: ჩემისთანა არ იქნებაო! მეც ვეღარ მოვითმინე და თაყის ქება დავიწყე, მაგრამ მკვდარმა პოეტმა დაცინვით გაიღიმა და ჯიბიდან გაზეთი „შადრევანი“ ამოიღო, სადაც მიხ. წულუკიძის წერილია მოთავსებული. მე სირცხვილით გავწითლდი და ხმა გავიკმინდე.

ხუმრობის გარეშე, მართლაც ბევრ სისულელეს ვფიქრობდი. როცა ამ საფლავის ქვაზე ვიყავ წამოწოლილი. მერე ჩემი ფიქრების მეცე შემრცხვა, რადგან ჩემს თავზე გავიფიქრე: Он лежал на плите блсдный,

неподвижный და სხვები... უცებ წამოვხტი, ერთი გულიანად გადავიხარხარე და ისევ უკან დავბრუნდი"...

წერილი აქ არ წყდება, მაგრამ მომდევნო ფრაზებსა და მინაწერებშიც ჩვეულებრივი, ყოფითი ხასიათის ამბებია გადმოცემული, რასაც ჩვენთვის ამჯერად არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. გალაკტიონის იმჟამინდელ სულიერ მდგომარეობაში გასარკვევად პოსტსკრიპტუმის მხოლოდ ერთი წინადადება თუ გამოგვადგება; სახელდობრ — „მე ეხლა არსად არ დავდივარ და, მაღლობა ღმერთს, არც ჩემთან დადიან".

ალბათ ძნელი არ იქნება იმის მიხვედრა, თუ რატომ არის ჭაბუკი პოეტი სულით ხორცამდე შეძრული, ერთიანად აწრიალებული (თუმცა ამაოდ ლამობს მხიარული ნიღბის მორგებას); მშვენიერი ამინდისა და ქალაქგარეთ შორეული გასეირნების (ქუთაისიდან სოფელ ქვიტირამდე, სულ ცოტა 7-8 კილომეტრი მაინც იქნება) მიუხედავად — გუნებაამღვრეული და დაძაგრული.

საქმე ისაა, რომ თბილისის გაზეთ „შადრევანში" გამოქვეყნდა მიხეილ წულუკიძის საკმაოდ სუსხიანი რეცენზია გალაკტიონის ლექსების პირველ წიგნზე („ლექსები", ტომი I, ქუთაისი, 1914წ.) — სათაურით — „გ. ტაბიძის ლექსები" (1915 წლის 5 იანვარი, №3). როგორც ვხედავთ, გალაკტიონის ეს წერილი (8 იანვრით დათარიღებული) ცხელ გულზეა დაწერილი. როგორი იქნებოდა ახალგაზრდა პოეტისათვის თავისი პირმშოს — პირველი პოეტური კრებულის ამგვარი შეფასება:

გალაკტიონ ტაბიძე „დაშორდა იმ ნიადაგს — ნამდვილ ხალხის სულისკვეთებას, განცდას, მისწრაფებას, რომელსაც შეეძლო გარკვეული, ფართო გზა მიეცა მის შემოქმედებისათვის.

...უიმედობა, პესიმისტური გოდება ახასიათებს ჩვენს ახალგაზრდა მწერალს...

...გ. ტაბიძე სრულ უვიცობაში იმყოფება იმის შესახებ, თუ რა ქნას, ვის ან რის შესამკობლად, სასიმღეროდ მომართოს თავისი „მოწყენილი" ქნარი, ან საჭიროა კი ის ვისმესთვის.

...ასეთი დასკვნა, ასეთი მიმართულება ქნარისა არ შეჰფერის ახალგაზრდა მგოსანს — გ. ტაბიძეს, რომელსაც თავი ხალხის შვილად მიაჩნია"... და მისთანანი.

ამრიგად, ყველაფერი ნათელი გახდა და გალაკტიონის ამღვრეულ გუნებასაც გამოეძებნა ახსნა.

ტრაგიკომიკური ის გახლავთ, რომ გალაკტიონის ლექსთა პირველი კრებულის გამოსვლამდე, პოეტის მეგობარს და კეთილისმდომელს, წიგნის გამომცემელ ტუტკუ გვარამიას თავისი განზრახვა შეუტყობინებია

კრიტიკოს მ. წულუკიძისათვის და რეცენზიის დაწერა უთხოვია მისთვის. 1914 წლის 26 თებერვლით დათარიღებულ ბარათში (წიგნი გამოიცა 1914 წლის ივნისის ბოლოს) კრიტიკოსი ტუტკუ გვარამიას წერდა: „...სიმპატიური საქმე გაგიზრახავთ — ახალგაზრდა მგოსნის გ. ტაბიძის ნაწერების გამოცემა. სიამოვნებით ვეთანხმები თქვენს წინადადებას — კრიტიკული განხილვის დაწერაზე. მომაწვდინეთ მისი ნაწერები რაც შეიძლება მალე. ვეცდები შეძლებისდაგვარად შევასრულო თქვენი თხოვნაც“ (ლ. ნუცუბიძე, „გალაკტიონი და ქუთაისი“, გაზ. „ქუთაისი“, 1973 წელი, №37). ჩანს, ტუტკუ გვარამიას, მისდაუნებურად, დათვური სამსახური გაუწევია მეგობრისათვის.

გალაკტიონის მთელი შემოქმედების გათვალისწინებამ მისცა უფლება რევაზ თვარაძეს დღევანდელი თვალსაწიერიდან შეენიშნა — 1908-1914 წლები პოეტისათვის უმთავრესად ლიტერატურული შეგირდობის წლები იყოო, თუმცა, მისივე სამართლიანი დასკვნით, „1914 წელს გამოცემულ ლექსთა კრებულში უკვე შეინიშნება ახალი ფორმის ჩანასახები, გამოსახვის ახალ, მანამდე სრულიად უცნობ საშუალებათა მიკვლევის ცდები“. ამიტომაც იყო, რომ ქართული პოეზიის იმდროინდელი კრიზისის ფონზე, პირველივე წიგნის წყალობით, „გალაკტიონ ტაბიძე ერთბაშად რჩეულთა შორის ურჩეულესად იქნა აღიარებული“ (რ. თვარაძე, „წერილები. ლეგენდა გალაკტიონის ცხოვრებისა“, თბილისი, 1979, გვ. 137, 132). ოფიციალურად გაცხადებული თვალსაზრისითაც, საქართველოს მწერალთა კავშირისა და მეცნიერებათა აკადემიის ნეკროლოგში რომ იყო გამოთქმული, გალაკტიონის პირველი პოეტური კრებული დიდი მოვლენა იყო XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში (გაზეთი „კომუნისტი“, 1959წ., №65).

რაც მთავარია, ახალგაზრდა პოეტის პირველ წიგნს იმთავითვე დიდი აღტაცებით გამოეხმაურა რამდენიმე პოეტი და კრიტიკოსი. საყოველთაო აღიარების ფონზე მხოლოდ მისეულ წულუკიძის წერილი გაჟღერდა დისონანსად. ამ წერილის გამოქვეყნებიდან ორიოდე კვირის თავზე იმავე „შადრევანში“ (№5, 19 იანვარი) დაისტამბა ალექსანდრე აბაშელის „ყვითელი ფოთოლი“.

„ნამდვილ პოეტთა რიცხვი კი, მიუხედავად მოლექსეთა საშინელ გამრავლებისა, ძლიერ ცოტაა, თითქმის თითებზე ჩამოსათვლელი.

„მრავალნი არიან წვეულ, ხოლო მცირედნი რჩეულ...“

და ამ რჩეულთა შორის პირველი ადგილი უნდა დაიჭიროს ჩვენმა ახალგაზრდა მგოსანმა გ. ტაბიძემ".

აქ კი დავუბრუნდეთ გალაკტიონის ბარათს, რომელიც პირველად გამოქვეყნდა პოეტის თორმეტტომეულში („თხზულებანი თორმეტ ტომად", ტ. XII, თბილისი, 1975 წელი, გვ. 513-516). XII ტომის „შენიშვნებისა და კომენტარების" ავტორი იოსებ ლორთქიფანიძე მას სამ განმარტებას ურთავდა:

„ქვიტირი — სოფელი ქუთაისის მახლობლად.

„შადრევანი" — სალიტერატურო და პოლიტიკური გაზეთი (1915წ.). გამოვიდა სულ 5 ნომერი. №3-ში დაიბეჭდა მიხეილ წულუკიძის რეცენზია გ. ტაბიძის ლექსების I ტომზე („შადრევანი" გამოდიოდა 1914-15 წწ., გამოვიდა 13 ნომერი — ლ.ა.).

რომაშოვი სერგეი — რუსი მსახიობი, დრამატურგ ბორის რომაშოვის (1895-1958) მამა, ლერმონტოვის ნაწარმოებების ერთ-ერთი საუკეთესო მკითხველი" (გვ.728).

„შადრევანში" გამოქვეყნებული კრიტიკული წერილის თაობაზე — ყველაფერი რიგზეა; მხოლოდ სასურველი იქნებოდა ლორთქიფანიძეს ისიც მიეთითებინა, თუ როდის გამოქვეყნდა „შადრევანის" მესამე ნომერი. ბარემ აქვე დავსძინოთ: გალაკტიონ ტაბიძის ლორთქიფანიძისეულ „ბიბლიოგრაფიაში" (1910-1973წწ., დასტამბულია 1973) 1915 წლის „შადრევანის" მეცამეტე (?!) ნომერია მითითებული (გვ. 35), ხოლო „ბიბლიოგრაფიის" მეორე, შევსებულ გამოცემაში (1910-1984წწ., გამოცემის წელი 1986), მ. წულუკიძის წერილის პუბლიკაციის „განახლებული" ვარიანტია შემოთავაზებული — 1915 წლის 16 მარტი. გაზეთის ნომერი (№3, №13 ან სხვა) კი აღარ ჩანს. .

რძით დამწვარი დოს უბერავდაო, ნათქვამია. მეც ასე მომივიდა და გიორგი ბაქრაძის „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაში" მითითებულ ცნობას — გაზეთ „შადრევანის" მესამე ნომრის 5 იანვარს გამოცემის თაობაზე აღარ ვენდე; მაგრამ საბედნიეროდ, ამჯერად ჩემს დაეჭვებას საფუძველი გამოეცალა: მ. წულუკიძის წერილი „შადრევანის" მესამე ნომერშია გამოქვეყნებული 1915 წლის 5 იანვარს.

მკითხველის ყურადღებას უთუოდ მიიპყრობდა გალაკტიონის წერილის ერთი გაუგებარი კუპიურა: „...ცა ისე იყო მოწმენდილი, რომ უნებურად რომაშოვივით ლერმონტოვის სიტყვები გავიმეორე [...]"

რომაშოვის თაობაზე კომენტატორი თითქოსდა ამომწურავ ცნობებს გვაწვდის — „რუსი მსახიობი, დრამატურგ ბორის რომაშოვის (1895-

1958) მამა, ლერმონტოვის ნაწარმოებების ერთ-ერთი საუკეთესო მკითხველი". წვრილმანებს გამოდევნებული მკითხველი ალბათ იუცხოვებდა, რაღა მსახიობის დრამატურგი შვილის დაბადება-გარდაცვალების წლებს გვაწვდის კომენტატორი, ეგებ მაშით დაინტერესებულიყოო.

შეეცადე რომაშოვის ვინაობის მიკვლევას საცნობარო ლიტერატურის მეშვეობით. მართალი გითხრათ, ამ კაცის ასავალ-დასავალსაც კი ვერ მივაგენი. მსახიობი რომაშოვი არ მოიხსენიება არც უნივერსალურ, არც თეატრალურ რუსულ ენციკლოპედიებში; და, რაც მთავარია, რომაშოვს — „ლერმონტოვის ნაწარმოებების ერთ-ერთ საუკეთესო მკითხველს" — არ იცნობს 1981 წელს გამოცემული „ლერმონტოვის ენციკლოპედია", რომელშიც მეცნიერთა უზარმაზარი ჯგუფის თითქმის ოცწლიანი გამოწვლილვითი მუშაობის შედეგია თავმოყრილი. ცნობისათვის: რომაშოვის სახელი არ ჩანს ენციკლოპედიის არც ანბანურ, არც მიმოხილვით მონაკვეთებში — „თეატრი და ლერმონტოვი" და „კინემატოგრაფია და ლერმონტოვი".

ისღა დაგვრჩენია დავუშვათ, რომ „ლერმონტოვის ენციკლოპედია" — დღემდე ერთადერთი ამგვარი ენციკლოპედია რუსულ ენაზე — არ არის სრულყოფილი და მას გამორჩა რუსი პოეტის თხზულებათა „საუკეთესო მკითხველი". ქართველი კომენტატორის წვლილს ეგების გაემდიდრებინა კიდეც „ლერმონტოვის ენციკლოპედია", ერთობ ადვილი მისაგნები რომ არ იყოს მის მიერ მოპოვებული ცნობების წყარო: ბიოგრაფიული წერილი დრამატურგ ბორის სერგეის ძე რომაშოვზე (1895-1958), რომელიც მსახიობის ოჯახშია დაბადებული (იხ. „თეატრალური ენციკლოპედია", „დიდი საბჭოთა ენციკლოპედია"). რა თქმა უნდა, ეს ცნობა არ კმარა იმისათვის, რომ დრამატურგის მამა გალაკტიონის წერილში მოხსენიებულ რომაშოვთან გააიგივო და იგი, ხელაღებით, ლერმონტოვის თხზულებათა ერთ-ერთ საუკეთესო მკითხველად გამოაცხადო.

თუმცა, ვინ იცის! კომენტარებში წყაროთა მითითება არ არის მიღებული, ეგებ მკვლევარს „ლერმონტოვის ენციკლოპედიის" მესვეურებზე მეტი რამ სმენია პოეტის „საუკეთესო მკითხველზე"!

ამჯერად კი „საიდუმლო" და ამოუხსნელ კუპიურას, გალაკტიონის თქმით, „ლერმონტოვის სიტყვებს" დავუბრუნდეთ. ცნობისათვის: კრებულში „ოლია ოკუჯავას დღიურები და მიმოწერა გალაკტიონთან" (შემდგენელ-კომენტატორები ლეილა სანაძე და ლამარა მეგრელიშვილი, თბილისი, 1987) გალაკტიონის ზემოხსენებული წერილი კომენტარებითურთ უცვლელად არის გადმოტანილი, მხოლოდ კუპიურის მინიშნება აღარ ჩანს (გვ. 181): „ ...ცა ისე იყო მოწმენდილი, რომ უნებურად რომაშოვივით

ლერმონტოვის სიტყვები გავიმეორე". კუპიურის გაქრობამ ახალი უხერხულობა შექმნა, წინადადება უადგილო ადგილას გაწყვიტა.

„საიდუმლო" კუპიურით დაინტერესებულმა გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურულ მუზეუმში დაცულ გალაკტიონის ფონდს მივაშურე. ყველაფერი ნათელი გახდა; მშვენიერი დილა, მოწმენდილი ცა გალაკტიონს ლერმონტოვის „მწირის" ფრაგმენტს ახსენებს:

„...В то утро был небесный свод
Так чист, что ангела полет
Прилежный взор следить бы мог".

ეს სიტყვები წერილში მშვენივრად იკითხება; მართალია, ოდნავ ხახეცვლილია, გადმოცემულია ძველი ორთოგრაფიით, არის შეცდომაც – „И небо было так сине, что ангела полет прилежный взор следить бы мог" – მაგრამ მის ნაცვლად კუპიურის გაჩენა ყოვლად გაუმართლებელია.

გალაკტიონის შემოქმედების მკვლევართ შენიშნული აქვთ, რომ ლერმონტოვის პოემის სწორედ ზემოხსენებული ფრაგმენტი ღრმად აღიბეჭდა ჭაბუკი პოეტის ცნობიერებაში და მის ერთ-ერთ ადრინდელ ლექსშიც იჩინა თავი.

მე თუ მკითხავთ, ლერმონტოვის ამ სიტყვების ამოტივტივება პოეტის კერძო ბარათში 1915 წლის დასაწყისისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტია და მიგვითითებს გალაკტიონის ერთ თავისებურებაზე – ისე „გაითავისოს", საკუთარ პოეტურ ქურაში ისე გადააღნოს სხვა პოეტური სამყაროდან დამახსოვრებული ხატი, რომ დაივიწყოს კიდეცაც მისი წარმომავლობა. ჩემი ღრმა რწმენით, ასე რომ არ ყოფილიყო, გალაკტიონს უმალ 1914 წელს გამოქვეყნებული „გურიის მთების" სტრიქონები უნდა გახსენებოდა და არა მათი რუსული პირველწყარო:

„ცა ისეა მოწმენდილი, ცა ისეა შეუმკრთალი,
რომ ანგელოზს დაინახავს მოდარაჯე კაცის თვალი".

შემოქმედების ფსიქოლოგიის მკვლევარნი და საერთოდ ფსიქოლოგები პოეტის (ზოგადად პოეტის და არა მხოლოდ გალაკტიონის) ამ თვისებას იოლად მოუძებნიან ახსნას; ლიტერატურათმცოდნის ვალი შემოქმედის ანათემა კი არა, სხვა მხატვრული სამყაროს გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი ანარეკლის შემჩნევაა.

გალაკტიონის აკადემიური გამოცემის კომენტატორებს ზემოხსენებული დამთხვევა არ აღუნიშნავთ.

კუპრინის გაშიფრვამ მსახიობ რომაშოვთანაც მიგვაახლოვა; შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჭაბუკ გალაკტიონზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მის მიერ წაკითხულ „მწირს“. ისიც აღსანიშნავია, რომ პოეტი მხოლოდ ქუთაისში ან თბილისში თუ მოუსმენდა მას (თუმც პირადად მე „მსახიობ“ რომაშოვის ლორთქიფანიძისეულ ვერსიას მცდარად მივიჩნევ).

კომენტატორთა ყურადღება ვერ მიიპყრო წერილის ორმა რუსულმა ფრაზამ: არადა, სწორედ ამ მოულოდნელ ჩანართში წარმოჩნდა მეორე (თუ ერთადერთი?) რომაშოვი (ალბათ გალაკტიონის ასოციაციების კვალობაზე).

გავიხსენოთ: სწრაფი ნაბიჯით, „ვაჟნოთ“ მიმავალმა გალაკტიონმა გიჟის დაცინვას ყურადღება არ მიაქცია, ამაყი ღიმილით ჩაიარა, თავის თავზე კი გაიფიქრა: „И он усмехнулся горьким, презрительным смехом“. მეორეგან, ქვიტირის სასაფლაოზე, საფლავის ქვაზე წამოწოლილმა პოეტმა რა არ გაიფიქრა (...„ბევრ სისულელეზე ჯფიქრობდი“...), მერე კი, „მერე ჩემი ფიქრებისა მევე შემრცხვა, რადგან ჩემს თავზე გავიფიქრე: Он лежал на плите, бледный, неподвижный და სხვები“...

უდავოა ამ ფრაზებში ჩაბუდებული თვითირონია, რომელიც არსებულისა და წარმოსახულის კონტრასტზეა დაფუძნებული.

ზემოხსენებული რუსული ფრაზები თითქოსდა მეცნაურა, მაგრამ, წერილის დასაწყისში ნახსენები რომაშოვი რომ არა, ალბათ ასე იოლად ვერ გავიხსენებდი მათ პირველწყაროს – ალექსანდრ კუპრინის ძალზე პოპულარულ რომანს „ორთაბრძოლას“ (პირველად გამოქვეყნდა 1905 წელს, 1915 წლისათვის უკვე ბევრჯერ იყო ცალკე წიგნად გამოცემული, ქართულად ითარგმნა 1958 წელს) და რომანის მთავარ გმირს გიორგი რომაშოვს.

პოდპორუჩიკი რომაშოვი – ნაღვლიანი მეოცნებე, სუფთა, გულმოწყალე, მიმნდობი ახალგაზრდა კაცი – გამონაკლისია რუსეთის არმიაში. მას აწვალებს განსხვავება ოცნებასა და სინამდვილეს, სასურველსა და რეალობას შორის; აწვალებს საკუთარი მორცხვობა, სიბეცე, დაბნეულობა, მოუხერხებლობა; ირგვლივ გამეფებული სისასტიკე და სიბრიყვე, ლოთობა და უზნეობა. ამასთან, ჭაბუკი პოდპორუჩიკი ძალზე დიდ ყურადღებას აქცევს იმას, თუ როგორ გამოიყურება ის სხვათა თვალში: თავის გარეგნობასა და ქცევას აფასებს „გარედან“, „შორიდან“; აფასებს სუბიექტურად და მუდამ მცდარად. სასურველისა და არსებულის მკვეთრი სხვაობა ქმნის კომიკურ სიტუაციას. კუპრინი პირდაპირ მიუთითებს რომაშოვის ამ უცნაურ, სასაცილო მანერაზე: „У Ромашова была немножко смешная, немножко

наивная привычка, часто свойственная очень молодым людям, думать о самом себе в третьем лице, словами шаблонных романов..."

აი, ეს სასაცილო „შეფასებანიც":

ტალახით მოთხვრილი კალოშებით, მოძველებული შინელით მოსილი რომაშოვი გასართობად რკინიგზის სადგურს მიაშურებს, საკურიერო მატარებლის ფანჯარასთან მდგომ ლამაზმანს მიაჩერდება, რომელიც ასევე ყურადღებით შეათვალიერებს მას. იმედმოცემული ვაჟი გაიფიქრებს თავის თავზე – „Глаза прекрасной незнакомки с удовольствием остановились на стройной, худощавой фигуре молодого офицера" – თუმცა მალე, გაუსაძლისი სირცხვილით გაიხსენებს ამ ლამაზ ფრაზას, რადგან მშვენიერი ქალბატონი ზურგს უკან სიცილს დააყრის.

რომაშოვი რაღაც მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებს და თავისთვის დასძენს – „Его выразительные черные глаза сверкали решимостью и презрением!" Хотя глаза у него были вовсе не черные, а самые обыкновенные – желтоватые с зеленым ободком".

მაგრამ მივუახლოვდეთ გალაკტიონს (სულიერი შეჭირვების ჟამს, როცა კუპრინის გმირს სირცხვილი, ბრაზი და ზიზღი დაუფლებია, – („И все-таки Ромашов в эту секунду успел по своей привычке подумать картинно в третьем лице: И он рассмеялся горьким, презрительным смехом) და გავიხსენოთ მისეული ფრაზა: „И он усмехнулся горьким, презрительным смехом".

ქვიტირის სასაფლაოს ქვაზე წამოწოლილი გალაკტიონი თავის თავზე გაიფიქრებს: „Он лежал на плите, бледный, неподвижный..." შევადაროთ რომაშოვის წარმოსახულს: „Ромашов лежит в гробу, неподвижный, холодный."

ვგონებ უეჭველია, რომ ეს დამთხვევები შემთხვევითი ხასიათისა არ გახლავთ. უეჭველია ისიც, რომ თავისი რუსული ფრაზებით გალაკტიონს გამოყენებული და „გათამაშებული" აქვს რომაშოვის ეს ბავშვურად გულუბრყვილო და იმავდროულად კომიკური მანერა. ის გარემოებაც აღსანიშნავია, რომ სხვას გალაკტიონი ამგვარი მანერით არ მისწერდა – რუსულად აღზრდილი ოლია ოკუჯავა კი, ზედმიწევნით მცოდნე რუსული მწერლობისა (სამწუხაროდ, იგივე არ ითქმის ქართულ პოეზიაზე, რაც პოეტის ცოლის დღიურებითა და პირადი წერილებითაც დასტურდება) უთუოდ მიუხვდებოდა თვითირონიას და მის წარმომავლობასაც.

ჩვენ ხშირად „ქრესტომათიული პეწის" გარეშე ვერ აღვიქვამთ დიდ მწერალს, გვავიწყდება, რომ ამა თუ იმ ლექსისა თუ წერილის მიღმა

თავისებურად მოაზროვნე, მაგრამ ხორცშესხმული „ჩვეულებრივი“ ადამიანის შვილია; გვაიწყდება, რომ მასაც ჩვენსავით აწვალებს ყოფა, ცხოვრების ათასი წვრილმანი, ჩვეულებრივი ადამიანური ვნებანი. ხშირად ხელოვანის ასაკსაც უგულებელვყოფთ.

გალაკტიონის ასაკის გათვალისწინებამ, ოლია ოკუჯავასადმი მიწერილი ამ ბარათის საფუძველზე, ამგვარი სურათი წარმოგვიჩინა: პოეტი თავისი სულიერი მდგომარეობის თანაზიარობას მხოლოდ თანატოლ ლიტერატურულ გმირებში ეძიებს (გავიხსენოთ მინაწერში თქმული – „მე ახლა არსად არ დავდივარ და, მადლობა ღმერთს, არც ჩემთან დადიან“), 23 წლის პოეტი თავის გულისნადებს ჭაბუკ პერსონაჟთა სიტყვების პირდაპირი თუ არაპირდაპირი მოშველიებითაც აცხადებს. ესენია – ლერმონტოვის მწირი და კუპრინის 21 წლის გმირი – რომაშოვი. შემთხვევითი არ უნდა იყოს გალაკტიონის წერილში ლერმონტოვისა და კუპრინის „თანაარსებობა“. საქმე ისაა, რომ კუპრინის „ორთაბრძოლა“ უთუოდ დავალებულია ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირისაგან“. ჭაბუკი გალაკტიონი ინტუიციურად, სრულიად ძალდაუტანებელი (იქნებ ქვეცნობიერი) ასოციაციის მეშვეობით, რაღაცნაირად ამყარებს კავშირს ლერმონტოვსა და კუპრინს შორის. ამ რთულმა ასოციაციამ შემამჩნევინა ის, რაც დღემდე არა აქვთ მიგნებული ლერმონტოვისა და კუპრინის რუს მკვლევარებს! ყოველ შემთხვევაში, უახლეს და უზუსტეს წყაროებში – მონოგრაფიებში, აკადემიურ გამოცემათა კომენტარებში და თვით „ლერმონტოვის ენციკლოპედიაშიც“ რომაშოვის პეჩორინთან მიმართების რაიმე კვალი არ ჩანს.

ამ უკანასკნელ გამოცემაში ზოგადად არის მონიშნული ლერმონტოვის ზეგავლენა XIX საუკუნის II ნახევრის რუს პროზაიკოსებზე, მათ შორის კუპრინზე; ამას გარდა კუპრინს ცალკე წერილიც ეძღვნება. სხვათა შორის, დანახულია კუპრინის პერსონაჟის ვასილი აკინთიევიჩის (მოთხრობა „არმიელი პრაპორშჩიკი“) სიახლოვე „ჩვენი დროის გმირის“ მაქსიმ მაქსიმიჩის სახესთან, მაგრამ „ორთაბრძოლის“ მიმართებაზე „ჩვენი დროის გმირთან“ კრინტიც არ არის დაძრული.

რომაშოვი პეჩორინის ანტითეზაა, მაგრამ თუ დავუკვირდებით, „ჩვენი დროის გმირი“ მისი იდეალია; არა იმდენად შინაგანი სამყაროთი, შინაგანი არსით, არამედ მისი პიროვნების ზედაპირული, გარეგნული გამოხატულებით. სწორედ ამით არის რომაშოვისათვის ლერმონტოვის გმირი საოცნებო. რომაშოვის კომიკური მანერაც – გაუთაველი თვითდახასიათებანი – „დემონურ“ პეჩორინს უფრო მიესადაგება, ვიდრე უაღრესად მიამიტ, კეთილ და სუსტი ნებისყოფის რომაშოვს:

... „Мрачное раздумье бороздило его чело..."
„Ироническая горькая улыбка показалась на его тонких губах..."
„Лицо его стало непроницаемо, как маска..."
„На его лице лежала несокрушимая решимость..."

ერთხელ, დუელის წინ, პეჩორინი სარკეში ჩაიხედავს და კმაყოფილი დარჩება: „...Глаза блистали гордо и неумолимо".

კუპრინის რომაშოვს ლერმონტოვის მეორე გმირთან, მის თანატოლ 21 წლის გრუშნიცკისთანაც მოეძებნება პარალელი, მის თვითდახასიათებებს, მის სანტიმენტალიზმს ბევრი საერთო აქვს გრუშნიცკის პოზიორობასთან, არაბუნებრივ ქცევასთან.

გრუშნიცკი – პეჩორინის თვალთახედვით: „Говорит он скоро и вычурно: он из тех людей, которые на все случаи жизни имеют готовые пышные фразы..." კუპრინი – რომაშოვს ერთ-ერთ თვითდახასიათებაზე: – „Мелькает у него в голове пышная фраза", „...Которые важно драпируются в необыкновенные чувства, возвышенные страсти и исключительные страдания. Производить эффект – их наслаждение..."

გრუშნიცკისთან ახლოებს რომაშოვს ამგვარი „ეფექტური" ფრაზები: „Его сердце было жестоко разбито..."

„Его красивое лицо было подернуто облаком скорби..."

რომაშოვი თავის თავზე: – „Его мысли были серы, как солдатское сукно"... ...პეჩორინი – გრუშნიცკიზე (დაცინვით): „... Под этой толстой серой шинелью билось сердце страстное и благородное..." რომაშოვი ალის თავზე – „Его добрые, выразительные глаза подернулись облаком грусти..." პეჩორინი – გრუშნიცკიზე: „Выразительное лицо его и в самом деле изображало страдание..."

სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ თუ ზემოთქმულს დავუმატებთ იმასაც, რომ „ჩვენი დროის გმირში" სიყვარული და სიკვდილი ხშირად განუყრელია და ასეცაა ეს „ორთაბრძოლაშიც"; თუ ზემოთქმულს დავუმატებთ პეჩორინ-გრუშნიცკისა და რომაშოვ-ნიკოლაევის დუელების უეჭველ პარალელიზმსაც (ორივე შემთხვევაში პეჩორინიც და რომაშოვიც უსინდისოდ არიან მოტყუებულნი), ცხადი გახდება კავშირი ამ ორ რომანს შორის.

გალაკტიონის ჭაბუკურ წერილში გამომჟღავნებული ინტუიციური მიგნება რომ არა, ამ ორი რუსული რომანის დაკავშირებით არასოდეს გავიინტერესდებოდი. ვერ გამოვრიცხავთ იმასაც, რომ გალაკტიონს შეეძლება ეშლება და „მწირის" სიტყვებს „მსახიობ" რომაშოვს კი არა, კუპრინის პერსონაჟს მიაწერს. საფიქრებელია, უფრო მარტივადაც იყოს

საქმე: რომაშოვი იმეორებს პეჩორინის (ლერმონტოვის) სიტყვებს; გალაკტიონიც, რომაშოვივით, იმეორებს ლერმონტოვის სიტყვებს, — „მწირის“ ფრაგმენტს...

მაგრამ ამჯერად თავი დავანებოთ ქვეტექსტებს. საერთოდ კი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არაფერია ხოლმე კერძო წერილებში ისეთი, რისი განმარტებაც არ შეიძლებოდეს; თუ სათანადო ერუდიციითა და მომზადებით აღჭურვილმა კომენტატორმა მძაფრ ცნობისწადილთან ერთად, ძიების წყურვილი და ერთგვარი „დეტექტური“ სულისკვეთებაც გაამჟღავნა.

გალაკტიონის წერილი პირველად 1975 წელს გამოქვეყნდა, მეორედ, უცვლელი კომენტარებით, 1987 წელს („ოლია ოკუჯავას დღიურები და მიმოწერა გალაკტიონთან“, შენიშვნებისა და საძიებლების ავტორები ლეილა სანაძე და ლამარა მეგრელიშვილი). თუ როგორი „ნახტომი“ გაუკეთებია ამ ხნის განმავლობაში გალაკტიონის ეპისტოლური მემკვიდრეობის კვლევას — მკითხველმა განსაჯოს.

დასასრულ, მკითხველს ვთხოვ, არ დამწამოს იოსებ ლორთქიფანიძის ანდა „მიმოწერის“ შემდგენელ-კომენტატორთა წვლილის უგულებელყოფა. ეს ჩემგან დიდი უმადურობა იქნებოდა, რადგან, სხვა მკვლევართა მსგავსად, მეც ხშირად მისარგებლია გალაკტიონის ი. ლორთქიფანიძისეული ბიბლიოგრაფიითა თუ „გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკით“, რაც დღემდე ამ სახის ერთადერთი ნაშრომებია ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში.

ცალკეულ ხარვეზთა აღნიშვნა და გამომზეურება არავის არ ეკრძალება, შეცდომებზე მითითება კი აუცილებელიც არის და მომავლისთვის სარგოც.

1988 წ.

„ნუ ღამართმევ მგოსნის სახელს“

დღეს, როცა პოეზია დაჩაგრული გერის როლში აღმოჩნდა (ცნობილი გამონათქვამით, საბაზრო ეკონომიკისათვის პოეზია იგივეა, რაც მანქანისათვის მეხუთე ბორბალი); დღეს, როცა „ძველ“ პოეზიას „ახლებურად“ მოაზროვნენი ჩამორჩენილად მიიჩნევენ, მის სუროგატს კი ხოტბას ასხამენ; დღეს, როცა აგრერიგად უჭირს თანამედროვე ქართველ

პოეტს და, ზოგადად, პოეზიას, — რაღა უნდა ითქვას აწ გარდასული XX საუკუნის პირველი ნახევრის პოეტებზე?!

თუ არა განსაკუთრებული საიუბილეო თარიღი ან შესაბამისი ინსტიტუტის, კათედრების თუ მწერალთა კავშირის ძალისხმევა, — მათთვის აღარავის ცხელა.

ვფიქრობ: ნეტა ჩემი ყოფა
როგორ იქნებოდა —
ეს ოხერი ლექსის წერაც
რომ არ შემძლებოდა?

ასე უცნაურად, წრფელად და სასაცილოდ გამოთქვა თავისი გულისნადები 1920 წელს იოსებ გრიშაშვილმა, რომელიც გასული საუკუნის 10-იან წლებშივე მოგვეელინა ახალი თაობის ერთ-ერთ უსაჩინოეს პოეტად.

გრიშაშვილის იმ პერიოდის გააზრების მცდელობა დღევანდელი თვალსაწიერიდან, — ასეთია ამ წერილის მიზანი.

კიტა აბაშიძე, რომლის სიტყვას უდიდესი ფასი ჰქონდა, სტატიაში „ჩვენი ახალგაზრდა მწერლები. 1912 წლის ლიტერატურის მიმოხილვის მაგიერ" — განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა ორ მათგანს: სანდრო შანშიაშვილს და იოსებ გრიშაშვილს.

„ს. შანშიაშვილი და ი. გრიშაშვილი არა თუ არ ღალატობენ იმ სახელს, იმ თანაგრძნობას, რომელიც დაიმსახურეს საზოგადოებაში, არამედ მათი სახელი თანდათან უფრო ფეხს იკიდებს ფართო თაყვანისმცემელთა წრეში, და თანდათან უფრო მეტ საბუთს გვაძლევენ მათ დასაფასებლად.

ყოველად უეჭველია ის, რომ ახალგაზრდა მგოსანთა შორის პირველ რიგში მარტო ეს ორი დგას და მომავალი ჩვენი პოეზიის მეთაურობა ჯერჯერობით მათ ეკუთვნით. ...მათ შეიტანეს პოეზიაში ახალი ელემენტები, გასაოცრად შეიმუშავეს ლექსის ტექნიკა და იმ სიმშვენიერემდე მიიყვანეს, რომ ქართული პოეზიის რჩეულნიც კი განცვიფრებაში მოჰყავთ".

ნიშანდობლივია, რომ ჭაბუკ პოეტთა ერთობ პესიმისტური დებიუტების ფონზე (გავიხსენოთ, თუნდაც, ალექსანდრე აბაშელის „შავი აჩრდილი", გალაკტიონის „შავი ღრუბელი", სანდრო შანშიაშვილის „სევდის ბაღი" და სხვ.), კიტა აბაშიძემ სამართლიანად გამოარჩია იოსებ გრიშაშვილი და მისი „საბედნიერო, გულგახსნილი, სიცოცხლის სიხარულითა და ნეტარებით აღსავსე ჰანგები" განახლებას, სულიერ აღორძინებას დაუკავშირა. ეს კი მით უფრო განსაცვიფრებელია, რომ ბუნებით მკვირცხლი,

ნიჭიერი და ცნობისწადილით აღსავსე იოსებ გრიგოლის ძე მამულაიშვილი-გრიშაშვილი გაუსაძლის ატმოსფეროში აღიზარდა.

აკაკი ხინთიბიძე მონოგრაფიაში „ი. გრიშაშვილის პოეზია“ (თბილისი, 1955წ.) გამოწვლილვით გადმოგვცემს მომავალი პოეტის გაუხარელ ბავშვობასა და ყრმობას: „წამოიზარდა თუ არა პატარა სოსო, მამამ თავისთან (ღვინის სარდაფში) წაიყვანა და მომავალი პოეტის ფერადოვან ფანტაზიებს სარდაფის ბნელ კუნჭულებში მოეკვეცა ფრთები...

„რა იყო ჩემი სიჭაბუკე?“ – ნაღვლიანად შენიშნავს პოეტი და მის მეხსიერებაში ცოცხლდება ღვინით მორწყული და ყარაჩოხელთა სადღეგრძელოებით შეჯერებული ორთაჭალის ბაღები... ქეიფი... ჩხუბი... და „ყასბის მორებთან“ ატუზული ობოლი, დაჩაგრული ბავშვი“.

იოსებ გრიშაშვილი დაიბადა 1889 წელს, თბილისში, ხარფუხში. მამა ჯერ კალატოზობდა, შემდეგ მიკიტანი იყო. დედამ, გაქართველებულმა სომეხმა, წერა-კითხვა შეასწავლა. 1897 წელს ერთხანს ქართულ გიმნაზიაში სწავლობდა, თუმცა სწავლის ქირის გადაუხდელობისათვის გარიცხეს. მამამ იგი კვლავ სამიკიტნოში დააბრუნა: „მთელ დღეებს მამიჩემის მეიხანაში ვატარებდი, მამაჩემს და მის ტოლ ამფსონებს, ძალიან უყვარდათ ძველისძველი წიგნების მოსმენა. ჩამსვამდნენ შუაში, შემომეჭდებოდნენ ირგვლივ და მაკითხებდნენ: „ალექსიანს“, „ქალეაიანს“, „ჩარ-დავრიშიანს“, „ყარამანიანს“... მაგრამ ბოლოს დედაჩემმა ამიკრძალა ამგვარ ამბების კითხვა, რადგან ეს ფანტასტიური სურათები თუ მოქმედნი პირნი ძილში მელანდებოდნენ და ერთი აურზაური მქონდა ლოგინში“.

საზარელი გამოდგა ბავშვობასთან დამშვიდობება: 15 წლის ასაკში იოსებ გრიშაშვილი მამით დაობლდა, ცოტა ხანში დედა გაუთხოვდა და ყმაწვილი ღვთის ანაბარა დარჩა. იოსებ გრიშაშვილი თვითგანვითარებას დაეწაფა, ამას ხელი შეუწყო ქართულ თეატრში და სცენისმოყვარეთა დასში მუშაობამ, სადაც მის მიერ გადმოკეთებული ვოდევილებიც იდგმებოდა; მაგალითად, – „ტიმოთეს ლეღვი“, – სომხურად მოსმენილი ეს პიესა, პოეტმა იმავე საღამოს გადმოაქართულა, – 15 წლის ასაკში!

დიდი ამაგი დასდო ნიჭიერ ახალგაზრდას ვალერიან გუნიამ, რომელმაც 1907 წელს ქართველ მსახიობთა ამხანაგობაში მოაწყო და პრესაშიც გაუკაფა გზა. სწორედ ვალერიან გუნიას ჟურნალ „ნიშადურში“ გამოქვეყნდა იოსებ გრიშაშვილის ლექსები „ილია ჭავჭავაძის ხსოვნას“ და „ტუსაღის მოთქმა“.

1906-1907 წლებში გამოცემული პატარა კრებულები „ვარდის კონა“ და „ფანტაზია“, აგრეთვე, „ზურნა“ (1908-1910წ.წ.) და „არ შეგცივდეს

ბარაშკაჯან“ (1909წ.), – ძველი თბილისის ფოლკლორის ზეგავლენით იყო აღბეჭდილი, ბესიკის, საიათნოვას და აშუღთა პოეზიით დავალებული; ზოგი ლექსი ე.წ. გადმოკეთება გახლდათ ან აშკარა მიბაძვა – რაფიელ ერისთავის, გრიგოლ ორბელიანის, აკაკი წერეთლის და სხვათა პოეზიისა.

იოსებ გრიშაშვილის თვითნაბადი, ხალასი ნიჭი, რომლის ტკივფარი ზემოხსენებულ წიგნაკებშიც იგრძნობოდა, – უფრო დახვეწილად და მიმზიდველად 1911 წელს დასტამბულ კრებულში – „ოცნების კოცნა“ – გამოიკვეთა. სწორედ აქედან იწყება გრიშაშვილის პოეზიის აღიარება და თვით პოეტის შემოქმედებითი აღმავლობა.

ამავე წლიდან იმართებოდა პოეტის სალიტერატურო საღამოებიც, რომლის წარმატებას ხელი აქტიორულმა გამოცდილებამ და თავისებურმა დეკლამაციამაც შეუწყო. თუ როგორი იყო საზოგადოების გამოხმაურება, ამის თაობაზე 1912 წელს „სახალხო გაზეთში“ დასტამბული „გრიშაშვილის საღამო“ მოგვითხრობს: „გრიშაშვილმა ტფილისი შეაჩვია თავის საღამოებს. გრიშაშვილის ყოველწლიური ტრადიციული საღამო ჩვენი დედაქალაქისათვის ნამდვილი დღესასწაულის ხასიათს იღებს... გრიშაშვილის საღამოები განირჩევა თავისი კულტურულობით, სათუთი გემოვნებით, შინაარსიანობით. მგოსანში ძლიერია პასუხისმგებლობის გრძნობა საზოგადოების წინაშე.“

გრიშაშვილის პოეზიის პოპულარობა გაამყარა მისი ლექსების ორ ტომად გამოცემამ (1914,1922წ.წ.).

ნიშანდობლივი ფაქტია: 1909 წლით დათარიღებულ სატრფიალო „რომანსზე“, მოგვიანებით, ავტორს მიუწერია: „ეს ლექსი აკაკი წერეთელმა საკუთარი ხელით გადასწერა და წარმოსთქვა მოხსენებაში ჩემს საღამოზე 1914წ. 23 აპრილს“.

გაიელის სულ შვიდიოდე თვე და დამწუხრებული იოსებ გრიშაშვილი ორ ლექსს მიუძღვნის აკაკის გარდაცვალებას. აი, ერთი მათგანი:

ვარსკვლავებმა რა შეიტყვეს, რომ ქართველი ხალხი სულა
უცხო ხალხის გასახარად დაყოფილა, დაქსაქსულა –
სთქვეს: „მაშ უნდა შევაერთოთ!“ იგალობეს სულთათანა,
იგალობეს და აკაკი წაიყვანეს თავისთანა.

(„აკაკი და ვარსკვლავები“, 1915წ.)

სხვა ახალგაზრდა ახლისმაძიებელ პოეტთაგან განსხვავებით, იოსებ გრიშაშვილის მოწიწებას და თაყვანისცემას წინამორბედი პოეტებისადმი ზღარიც კი არასოდეს გასჩენია.

იოსებ გრიშაშვილის ადრინდელი წიგნაკები, ქალაქური „კიჩის“ ნიმუშები, ძირითადად სალალობოდ და გასართობად (საქეიფოდ) შექმნილნი, — თბილისის ჭრელი მოსახლეობის გარკვეულ ფენებში დიდი წარმატებით სარგებლობდა.

გურამ ასათიანი: „ეს იყო თბილისელ ხელოსანთა წრეში, სამხრეთული ქალაქის ქვაფენილზე, მისი ხმაურიანი მოედნებისა და ქუჩაბანდების შუაგულში აღმოცენებული მდაბიური ეპიკურეიზმი, ის გრძნობათა გასაჯანმრთელებელი წყარო, რომელსაც წინამორბედ ეპოქაში მაშინდელი საქართველოს უპირველესი არისტოკრატი, „ღვინისა და სალომეს“ უკვდავი მომღერალი დაეწაფა“.

დღევანდელი გადასახედიდან სრულიად აშკარაა ამ ლექსთა მიზანი — უბრალო ხალხის, მასის მიზიდვა. შეიძლება ითქვას, რომ იოსებ გრიშაშვილი პირველი ქართველი ჭეშმარიტი პოეტია, მასკულტურას რომ გაულო ხარკი. ნუ ვიქნებით სნობები და ვაღიაროთ, რომ ამ წიგნაკებშიც მოიპოვებოდა თითო-ოროლა მარგალიტი, დიდი ხანია, სიმღერადაც რომ იქცა და დღემდე ამშვენებს სცენასაც და სუფრულ თავშექცევასაც.

რაც უფრო იხვეწებოდა გრიშაშვილი-პოეტი, მით უფრო მწიფდებოდა ლიტერატურული საზოგადოების კრიტიკული დამოკიდებულება მისი ადრინდელი ლექსების, კერძოდ, მისი ენობრივი პოზიციის (ჟარგონი, ვულგარიზმები, ბარბარიზმები) მიმართ. 1909 წელს „დროება“ იუწყებოდა: „ქართველ მკითხველს, ნანახი ექნება, მაგალითად, ბატონ გრიშაშვილის ლექსები; თუ ყველა არა, ამ მოლექსის ბევრი ლექსი მაინც უთუოდ მოეწონებოდა. აი, ეს ბატონი გრიშაშვილი გახლავთ ავტორი ლექსების კრებულის „ზურნისა“, ამ კრებულში ზოგი ისეთის ენით დაწერილი ლექსია ჩართული, რომ ვერც ერთი ფილოლოგი ვერ გამოიკვლევს, რა ენაზე სწერს ავტორი. ერთ ლექსს თვით ავტორი ამ სიტყვებით ახასიათებს: მუხამბაზი ოთხ ენაზე“.

იოსებ გრიშაშვილის პოეზიის ერთ-ერთი საუკეთესო მკვლევარის, აკაკი ხინთიბიძის მოსაზრებით, „კინტოს სიყვარული“ ანუ მუხამბაზი ტიპური მაკარონული პოეზიის ნიმუშია, თბილისის ყარაჩოხელთა ჟარგონით გამართული, ქართულ-რუსულ-აზერბაიჯანულ-სომხური ენის ნარევი.

საინტერესო პარალელი: მიიწურება XX საუკუნე და, ჩვენი თანამედროვე ახალგაზრდა მწერლები მეტნაკლები წარმატებით გამოიყენებენ მაკარონული ლიტერატურის ხერხებს: მათი პოსტმოდერნისტული ე. წ. ინტერტექსტუალიზაცია თუ ციტაცია, დროების შესაბამისად, თბილისური თანამედროვე ჟარგონით და რუსულ-ინგლისური სიტყვებით და ფრაზებით გამოიხატება.

იოსებ გრიშაშვილის „კინტოური ლექსები“ (ძირითადად, 15-18 წლის ასაკში შექმნილი), მოგვიანებით, თვით ავტორის მიერ „კალმის ნაცუღლუტარად“, „პოეტურ სისულელეებად“ მოინათლება; 1913 წელს „სახალხო გაზეთში“ გამოქვეყნებულ წერილში „ქუჩური წიგნები“ გრიშაშვილი აშკარად გამოდის სკანდარნოვას და გივიშვილის წინააღმდეგ: „დიდი და სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს სახალხო წიგნების გამოცემას: საჭიროა შეგნებული და იდეური ადამიანები ჩაუდგნენ სათავეში ამ საქმეს, თორემ ქუჩურმა წიგნაკებმა ლამის მთელი ბაზარი დაიპყრონ და რიგიან წიგნს კი გასავალი მოუსპონ“.

ასე იყო თუ ისე, „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემის“ (1927წ.) ავტორმა, შემდგომში სახალხო მგოსანმა და პოეტმა-აკადემიკოსმა იოსებ გრიშაშვილმა, სიცოცხლის მიმწუხრამდე თან ატარა ძველი ტფილისისა და ქალაქური პოეზიის სიყვარული.

„პოლიტიკური ნერვების საბედისწერო დაჭიმვის“ (ტიციან ტაბიძე), ან, როგორც კიტა აბაშიძე იტყოდა, — „რევოლუციური ვაკხანალიის“ ფონზე, მაშინ, როცა რევოლუციურ-დემოკრატიულმა სკოლამ და არა მარტო მან, კლასობრივი ბრძოლისა და სოციალური ჩაგვრის მოტივი პოეზიის ლამის ერთადერთ თემად დასახა, — იოსებ გრიშაშვილის პოეზიის ხიბლი, თემატიკა და ნატიფი, ახლებური ლექსთწყობა ანდამატივით იზიდავდა მკითხველ საზოგადოებას.

მოგვიანებით, საბჭოთა ლიტერატურის მკვლევარებს დიდი ჯაფა დაადგათ, რათა გამოწვლილვით შეესწავლათ იოსებ გრიშაშვილის შემოქმედების ადრინდელი პერიოდი და სათითაოდ გამოეჩხრიკათ ის ლექსები, რომელნიც რევოლუციურ-კლასობრივი განწყობილებით და პროტესტანტული სულისკვეთებით გამოირჩეოდნენ. რა თქმა უნდა, ასეთი ლექსები გრიშაშვილსაც ჰქონდა, მაგრამ უეჭველია, რომ ისინი შორს იყვნენ პოეტის ინდივიდუალური ხელწერისაგან; ზოგი მათგანი აშკარად ეპიგონური იყო:

არ მოვიხრი მტრის წინ ქედსა,
არ გადვიწყვეტ ხსნის იმედსა,
მწამს, იბრუნებს ბედის ჩარხი
და აღსდგება მუშა ხალხი...

(„მუშის სიმღერა“, 1908წ.)

ან კიდევ:

მალე დავამსხვრევ მე ამ ბორკილებს,
მტარვალთა ხროვავ, არ შევმინდები,
მალე გავარღვევ საკანთა კედლებს,
თავისუფლებას შევხვდებით ძმები.

(„ტუსაღის სიმღერა“, 1907წ.)

ქართული საზოგადოებისა და პოლიტიკურ პარტიათა დამოკიდებულება 1905-7 წლების რევოლუციისადმი არ იყო ერთგვაროვანი: დიდი იყო სხვაობა ეროვნულ და ინტერნაციონალურ პარტიათა მიზანდასახულობაშიც. სტატიაში „ქართული ლიტერატურა 1907 წელს“ კიტა აბაშიძე წერდა: „საერთოდ კი უნდა მოგახსენოთ ჩვენს ლიტერატურაზე, რომ დიადმა ხანამ რევოლუციისამ მეტად ცუდი გავლენა იქონია. ეს სამი წელიწადია ჩვენი საუკეთესო მწერლები ან მიჩუმებულები არიან, ანდა უგუნებოდ, გაუტაცებლად თუ დაუწერიათ ერთი-ორიოდე სტრიქონი, ისიც ისეთი, რომ შეიძლება სრულიად უყურადღებოდ ჩაატაროს კაცმა“... ავტორის მოსაზრებით, ილიას საზარელმა მკვლელობამაც კი ვერ გაარღვია უსიცოცხლო გულგრილობის ატმოსფერო: „იქნებ ჩვენს მწერლობაზე იმოქმედა რევოლუციის ნესტარით დამთვრალი ხალხის ვაკხანალიამ, რომელიც თავისებურის უარყოფაში საოცარ და გაუგებარ უკიდურესობამდე მივიდა?!“

კიტა აბაშიძის საბჭოთა ისტორიოგრაფიისაგან ეგზომ განსხვავებული მოსაზრება, ცხადია, მიჩქმალული იყო. სხვათა შორის, რევოლუციის ზეგავლენით არც გრიშაშვილს შეუქმნია რაიმე შედევრი, ეს უცილობელი ფაქტია.

თვალსაჩინოებისთვის კვლავ ორიოდე მაგალითი ვიკმაროთ:

...მაინც მედგრად გასწით წინა,
არ შეუკრთეთ შხამ-სამსალას...
ძირს ჯალათი — მტარვალთ ბინა, —
გაუმარჯოს მუშის ძალას!

(„ბრძოლა“, 1907წ.)

ამხანაგებო! გვეყო მოთმენა,
გვეყო ესოდენ ტანჯვა, ვაება,
ნუთუ არა გრძნობთ ამდენ ხანს თქვენა,
რომ მოლოდინით არა გვერგება!..

(„ამხანაგებს“,1907წ.)

იგივე ითქმის ლექსზე „თუთუნის ქარხანაში მომუშავე ქალის სიმღერა“ (1915წ.), რომელიც ერთმა, უმაღლესი საბჭოური რეგალიებით აღჭურვილმა კრიტიკოსმა ასე დაახასიათა: „ის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსია არა მარტო გრიშაშვილის შემოქმედებაში, არამედ მე-20 საუკუნის ქართულ პოეზიაშიც. ეს ლექსი დიდი მხატვრული დამაჯერებლობით ასახავს კაპიტალისტური მონობის კლანჭებში მოქცეულ მუშა ქალის ტანჯულ სახეს, გვიჩვენებს ექსპლოატაციის საშინელებას და მისგან მომდინარე გამანადგურებელ შედეგს... აი, კაპიტალისტური ქვეყნის მიერ დასაღუპავად გადასროლილი ადამიანის სახე!“ და ა.შ.

ვის-ვის და, გრიშაშვილს, ყმაწვილობიდანვე რომ იწვნია ობლობა, სიმარტოვე და უკიდურესი სიღატაკე, შეეძლო თანალმობა გამოეჩინა ჭლექით დაავადებული მარტოხელა მუშისადმი, მით უმეტეს, რომ ბავშვობიდანვე აკვირდებოდა ავლაბრის თუთუნის ქარხანაში მომუშავე სნეულ ქალებს; მაგრამ ლექსი „საუკეთესოდ“ ვერ ჩაითვლება თუნდაც იმის გამო, რომ ინგლისელი პოეტის თომას ჰუდლის ლექსის ორი გადმოქართულებული ვერსიის (აკაკი წერეთლის „სიმღერა პერანგის გამო“ და ირაკლი ეზოშვილის „სიმღერა მკერავი ქალისა“) გამოძახილია.

ადრინდელ შემოქმედებაში მაინც „კალმის ნაცუღლუტარი“ ლექსები ჭარბობდა, რომელთა ნაირ ხიბლს გრიშაშვილი ვერა და ვერ შეელია; ეს ლექსები, ოდნავ სახეცვლილი, მის პირველ ხუთტომეულშიც მოხვდა, სახელწოდებით — „გარეუბნელი ბიჭის სიმღერებიდან“.

ყმაწვილი პოეტის „ავტოპორტრეტი“ (კრებულ „ფანტაზიის“ ბოლო ლექსი) დღეს თბილი იუმორით აღიქმება:

ამ ლექსების დამწერი
ნორჩი და ჯელელი ვარ,
წლოვანებით თვრამეტის,
ყველას საყვარელი ვარ,
პირფერობა არ შიყვარს,
ყველგან პირში მთქმელი ვარ
გვარად მამულაშვილი
სწორედ ხარფუხელი ვარ.

სწორედ რომ განსაცვიფრებელია ხარფუხელი „ლოკალური“ პოეტის მეტამორფოზა სულ რაღაც სამიოდე წელიწადში.

1911 და მეტადრე, 1914 წლებიდან ქართულმა სიტყვაკაზმულმა საზოგადოებამ გრიშაშვილის პირველი ტომი გამოსცა, უკვე გაცხადდა მკვეთრი ხარისხობრივი და თვისებრივი სხვაობა პოეტის ადრინდელ ლექსებთან.

იოსებ გრიშაშვილი ამ დროისათვის დაფასებულია როგორც მკითხველი საზოგადოების, ისე სხვადასხვა თაობის მწერალთა და კრიტიკოსთა მიერ (თუმცა, პოეზიის „უტილიტარული“ დანიშნულების მომხრენი დროდადრო მკაცრად საყვედურობდნენ); პოეტი თავისი გზით მიდის... 10-იანი წლების დასაწყისში მისი პოეზია ქართველ კლასიკოსთა მიმბაძველობისაგან თავისუფლდება. პოეტი XIX საუკუნის ქართული ლიტერატურული ტრადიციების შემოქმედებითი ათვისებით, ამასთან, ძალდაუტანებლად და ბუნებრივად წარმოაჩენს საკუთარ ხელწერას და ახალი ფორმებისადმი ცხოველ ინტერესსაც ავლენს.

პარადოქსია თითქოს, რომ მაკარონული პოეზიით მეტისმეტმა გატაცებამ (რის გამო დამსახურებული კრიტიკაც იწვნია), იოსებ გრიშაშვილი მალე ენის სიწმინდის ქომაგად აქცია. შემდეგში ე.წ. „ძველთბილისურ“ ლექსებში აღმოსავლური მგრძნობელობით გაჯერებულ „ტფილისურ ჯიშიან სიტყვებს“ და ქალაქურ ჟარგონს პოეტმა ფუნქციური დატვირთვა მიანიჭა.

აკაკი ხინთიბიძის სამართლიანი მოსაზრებით, 1911 წელს გამოცემულმა პატარა კრებულმა „ოცნების კოცნამ“, – დამოუკიდებელი პოეტური ხედვით, ახლებური წარმოსახვით, ლექსთწყობის თავისებურებებით („რომანსი“, „ნისლი“, „ზამთარი“, „პაემანი“, „სერენადა“ და სხვა) დაასრულა იოსებ გრიშაშვილის დამოუკიდებელ პოეტურ ფიგურად ჩამოყალიბების პროცესი.

ეს ის დროა, როცა აღიარებული და გასაზიარებელი თვალსაზრისით, ალექსანდრე აბაშელი, სანდრო შანშიაშვილი, იოსებ გრიშაშვილი და გალაკტიონი უკვე განაპირობებენ ე. წ. უახლესი ქართული პოეზიის ძირითად ტენდენციებს და მიმართულებებს; ისინი თანამედროვეთა მიერ „მოდერნისტებად“ და „დეკადენტებადაც“ მოიხსენიებიან (იმდროინდელი კრიტიკა ზოგჯერ აიგივებდა ამ ორ ცნებას).

გრიგოლ რობაქიძე იოსებ გრიშაშვილს „პირწავარდნილ დეკადენტად“ თვლიდა; იმასაც დასძენდა, ევროპულ მოდერნიზმს მასზე გავლენა არ მოუხდენია, ის არც ბოდლერსა თუ ვერლენს იცნობს და არც ბალმონტსა თუ ბრიუსოვსო („ფოთლები. ი. გრიშაშვილი“, „სახალხო გაზეთი“, 1913წ. №1028). გრიშაშვილის მოდერნისტობას ავტორი თავისებურად ხსნიდა: „ევროპის მწერლობა მოდერნიზმით აღმოსავლეთს დაუახლოვდა, ზოგჯერ მოტივებით და უფრო კი ტექნიკის ხერხით. ...გრიშაშვილის მოდერნისტობა სწორედ აქ უნდა ვეძიოთ: იგი პირმშო შვილია აღმოსავლეთისა.

„ბარაშკა-ჯან“ – საუცხოო სტილიზაციაა ავლაბრის ხალხური პოეზიისა. ...ავლაბარში მრავალი მარგალიტია პოეზიისა, მხოლოდ იგი

მარგალიტი ვულგარულ ნაჭუჭშია დამალული, ჩამოაცალეთ მას ეს ვულგარულობა და თქვენ მრავალს მშვენიერ მგოსნურ ხატს დაინახავთ.

...მან ლაღი გამარჯვებით აიცილა მისი ვულგარულობა; აი, აქ იხსნება ის სახსარი, საცა გრიშაშვილი რამდენიმედ მოდერნისტულ პოეზიას უახლოვდება" (დასახელებული წერილი).

აქვე შევნიშნავთ, რომ მოგვიანებით, რობაქიძემ მკვეთრად შეიცვალა თვალსაზრისი... მაშინ კი ავტორმა გრიშაშვილის პოეზიის მთავარ მოტივად ფრთოსანი ეროსი და მის ალმურში შობილი კოცნა დასაზა, მისი სატრფიალო ლირიკა „ქებათაქებასაც" კი შეადარა, რითმაც შეუქო პოეტს და გაბედული, ახლებური ფორმებიც.

„აქამდი გრიშაშვილი რითმის მეფედ ითვლებოდა, თუმცა მის გვირგვინში ბევრი ნასესხები მარგალიტი იყო. მის რითმებს სხვები იმეორებენ, მაგრამ ის თვითონ რითმის ავაზაკია... გრიშაშვილს ემარჯვება კლასიკური რითმა და იმას შეუძლია რითმების ლექსიკონი შეადგინოს, რომელიც ჩვენ არ გვაქვს" — აღიარებდა ვალერიან გაფრინდაშვილიც („რითმა და ასონანსი", 1920წ.).

მარინა ცვეტაევა ვალერი ბრიუსოვზე ამბობდა, — მის ლექსებს ოფლის სუნი სდისო... იოსებ გრიშაშვილის პოეზია თითქოს ზეცით მონაბერი ნიავივით ბუნებრივი. სადა და ნათელი იყო; ოფლის ანუ შრომისა და ლექსზე ძალდატანების მაგალითები მის პოეზიაში ძნელი მოსაძიებელია.

ჩემს სიცოცხლეში ზამბახზე მძიმე
არ წარმომითქვამს სიტყვა: და ლექსი,
პეპელას ფრთებზე გამოვიძინე,
მინანაებდა სიოს ალერსი...

ძნელია, არ დაეთანხმო პოეტის ამგვარ თვითშეფასებას.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ გაუხარელი ბავშვობისა და სიჭაბუკის „საკომპენსაციოდ", იოსებ გრიშაშვილმა ყოფიერების ნათელს მიაპყრო გულისყური.

„ყოველ სიმწარეში, ყოველი დაბრკოლების დროს, ყოველი ტანჯვის დროს, იგი პოულობს ერთ ყავარჯენს და ეს არის წმინდა გრძნობა სიყვარულისა, რომელსაც მარადისობის სახესაც კი აძლევს" — წერდა კიტა აბაშიძე:

...შენ ნუ გეშინის... შორს გადასტყორცნე,
შთანთქე უფსკრულში შავი ფიქრები

და გწამდეს მარად, რომ იმ სოფელშიც
შენ მეყვარები... შენი ვიქმნები!

(„სატრფოს“, 1909წ.)

კიტა აბაშიძეს არც „მგრძნობელობა“ თუ ეროტიკულობა აკრთობდა მის ლექსებში, პირიქით, კატეგორიულად შენიშნავდა, „გრიშაშვილის პოეზია მთლიანადაც რომ ეროტიკული იყოს, ამისთვის მას წუნს ვერ დავდებთო...“

1915 წელს, არამცთუ „წუნი დასდეს“გრიშაშვილის პოეზიას სატრფიალო მოტივით „ზედმეტი“ გატაცებისათვის, არამედ წამოაძახეს კიდეც, – „ტუსაღი“, „სამშობლო“, „ბრძოლა“ და მისთანანი, პოეტის ლექსებში მოდის აყოლაა მხოლოდ, რადგან „გრიშაშვილს ამისთვის არა სცხელაო“ (იხ. გაზეთი „თანამედროვე აზრი“, №112).

მართალია, გრიშაშვილის იმდროინდელ შემოქმედებაში გაბატონებული სატრფიალო მოტივი იყო, მაგრამ მას ვერც პატრიოტული ლექსების უქონლობას დავაბრალებთ. მაგალითად, 1908-1910 წლით არის დათარიღებული „რა გენაღვლება, მე რომ მიყვარდე!“, „მიყვარდა“, „რომანსი“, „ნუ თვალთმაქცობ“, „მძულხარ-მიყვარხარ“, „გენაცვალე“ და სხვა და, მეორე მხრით, – „ტანჯული სამშობლოსადმი“ მიძღვნილი ლექსები – „დამწუხრებული ბუნება“, „სიზმრად“, „ზამთარი“, „ბუნება“, „განთიადი“, „მიხმარე ფარად“, „მგოსნის საფლავი. ილიას ხსოვნას“... აშკარაა ისიც, რომ მომდევნო წლებში „სიყვარულის სიმფონია“ ძალას იკრებს და პატრიოტულ მოტივს „ავიწროვებს“. მაგრამ დღესაც ხომ უზომოდ გვხიბლავს – „ნუთუ გაზაფხულს ველარ შევხვდები და მრავალტანჯულს, ჩემს ტურფა მამულს, იმედით შემკულს ვერ ველირსები?!“ („ზამთარი“, 1909წ.).

ან კიდევ „აკაკისებური“ ალეგორიული ლექსი გავიხსენოთ:

განთიადმა შვილდ-ისარი
მოიმარჯვა, მოიქნია,
წყვდიადს გულში ჩაასო და...
გააპო და გააბნია.
ცის მტრედისფერ კაბადონზე
სხივს ისროდა შუქნათელი
და ქვეყანას გულს უთბობდა
საყვარელი, სანატრელი...
მეგობარო! მომე ხელი, გვეყო,
რაც ვსვით შხამ-სამსალა,

გულის პასუხს მიგვხვდომია
ბუნება და მისი ძალა!

(„განთიადი“, 1909წ.)

გულწრფელია სამშობლოს სამსხვერპლოდ გამზადებული პოეტიც:

...როს ბრბო უვიცი შეუბრალებლად
მახვილს გტყორცნიდეს, გტანჯავდეს მარად, –
გთხოვ, ნუ გამზოგავ! ყველგან, ყოველთვის,
ჩემო სამშობლოვ, მიხმარე ფარად!

(„მიხმარე ფარად“, 1909წ)

თუ საბჭოური ლიტერატურათმცოდნეობის კლიშეებს გავიხსენებთ, აღმოჩნდება, რომ იოსებ გრიშაშვილის ლექსებში, 1905-7წ.წ. რევოლუციის დამარცხების შემდგომი რეაქციის პერიოდში, – სულაც არ დომინირებს უსასოობა და პესიმიზმი, ტანჯვა-ვაება და თვითგვემა. პოეტის „საპროგრამო“ ლექსში „შენ გეჯავრები?“ (1910წ.) არაორაზროვნად სახელდება ტრფობის ორი საგანი – ქალი და მამული:

...მიყვარხარ, ქალო! ვფიცავ,
მიყვარხარ! მიყვარს ოცნება ცრემლით
აღთქმული, მაგრამ უფრორე, ჰოი, ქალწულო,
მიყვარს სამშობლო, ჩემი მამული...

სატრფიალო ლირიკის საუკეთესო ნიმუშების, – „ლერწამი ხარ!..“, „ოლოლ, ოლოლ!“, „ვფიცავ“ (სამივე 1911წ.), „ოქროს ფეხი“, „ჩემთან მოდი!“ (ორივე 1912წ.) პარალელურად, 1912 წელს ითხზვება „სამშობლოს ნანგრევებში“, რომელიც 1921 წლის შემდეგ, ოდნავ სახეცვლილი, სიმღერად იქცევა და დღეს ლამის ხალხურად აღიქმება:

სიზმრად ვნახე – საქართველო
სისხლის ზღვაში ბანაობდა,
დაფლეთილი თეთრი დროშა
კოჯრის თავზე ქანაობდა...

ჩვენს არარომანტიკულ ხანაშიც კი, ეს სიმღერა დღესაც ძრწოლისმომგვრელია.

სიზმრად ვნახე – საქართველო
სისხლის ზღვაში ბანაობდა
და დროშა კი დაფლეთილი
ქარის ფრთებზე ქანაობდა.
და მეც ვითომ ღრუბლებიდან
დავყურებდი იმ ნაპირებს,
სადაც ნაშთი ჩაჰხვეოდა
მკერდგაპობილ მებრძოლ გმირებს;
დავყურებდი ძველ მონასტრებს,
ძველ აკლდამებს წინაპართა,
სადაც ერმა ივერიის სისხლის
დროშა ზე აღმართა,
და ვფიქრობდი: ნუთუ ხალხი ისე
დაჭკნა და დაკნინდა,
რომ სხვას მიაქვს ჩვენი სულის
სიამაყე წმინდათ წმინდა?!

იოსებ გრიშაშვილის პოეზიაში გვხვდება აკაკის სატრფო-სამშობლო, მწუხარე ჰანგები მისი ძნელბედობის გამო, „მსოფლიოს სევდაც“ და ობლის ვალალებაც (შდრ. მისი „მითხარ მყინვარო“ და ნიკოლოზ ბარათაშვილის „ჩემს ვარსკვლავს“), მაგრამ მყისიერ პოპულარობას, უპირატესად მაინც, მისი სატრფიალო შედევრები იხვეჭენ, მათი უმრავლესობა შესანიშნავ სიმღერებადაც გვევლინებიან: „ნარგიზი“, „დაჩქარე, დაჩქარე“ (ორივე 1913წ.), „ხელთათმანის ღილი“, „რა კარგი ხარ, რა კარგი!“ „ჩემს დანიშნულს“ (1914წ.), „ყურთბალიში“ (1916წ.), „შენი ყელი“ (1919წ.) და სხვა.

ისიც უნდა ითქვას, რომ თავის დროზე „ოცნების კოცნა“ მკაცრად გააკრიტიკა ჭოლა ლომთათიძემ – პოეტი „ისტორიის ცრუ მოწმე“ იქმნება, რადგან თავისი დროის სოციალურ პრობლემებს გვერდს უვლისო; შემდეგშიც ბევრს საყვედურობდნენ პოეტს სასიყვარულო თემატიკით გატაცებისა და განსაკუთრებით „შიშველი ეროტიკის“ გამო...

სხვათა შორის, აკაკი წერეთელმა 1914 წელს, ერთ-ერთ ლიტერატურულ საღამოზე, წაიკითხა ალექსანდრე ჭავჭავაძის „სიყვარულო, ძალსა შენსა“, ნიკოლოზ ბარათაშვილის „საყურე“, თავისი „თვალად, ტანად,“ და იოსებ გრიშაშვილის რომანსი „შენ ხარ ღვთაება“. აკაკის აზრით ამ ლექსებში გამოხატული იყო „ულამაზესი იდეალური სიყვარული“.

პოეტს მაინც ხშირად უხდებოდა დაეცვა თავი რადიკალურად განწყობილი კრიტიკოსებისაგან – „აპოლიტიკურობისა“ და პატრიოტიზმის უგულებელყოფის ბრალდებათა გამო:

ვის შეუძლია ცილი დამწამოს,
ვის შეუძლიან მითხრას ართქმული,
რომ არ მიყვარდეს ჩემი სამშობლო,
ჩემი ერი და ჩემი მამული...

(„ოღონდ მაცალეთ“, 1915წ.)

გრიშაშვილი მართლაც „აპოლიტიკური“ იყო, იმ თვალსაზრისით, რომ პარტიათა ბატალიებს არად აგდებდა; მაგრამ როცა „ინტერნაციონალისტ-რადიკალთა“ თავგასულობა ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა, მაშინღა იმაღლებდა ხმას.

1917 წელს, მრავალმხრივ მოღვაწესა და დიდ მამულიშვილს ვალერიან გუნიას მადლიერმა ქართველობამ იუბილე გაუმართა. იოსებ გრიშაშვილმა იუბილარს ვრცელი ლექსი მიუძღვნა, სახელწოდებით: „დათოვლილი მედროშე“, რომლის სქოლიოში ვკითხულობთ: „ამ ლექსის პირველი ნაკვეთი მიმართულია გაზ. „ერთობის“ თანამშრომლებისადმი, რომლებმაც ნაამაგარ მოხუც მსახიობს სწორედ იუბილის დღეს (1917წ. 29 აპრილს) ასეთი სიტყვები უძღვნეს:

„მოცლილი ქართველი ინტელიგენცია იუბილეს უხდის ვ. გუნიას“ („ერთობა“, 1917წ., №112).“

ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატთა გაზეთ „ერთობის“ მესვეურებს, ცხადია, არ ეპიტნავებოდათ ამაგდარი ეროვნული მოღვაწის, „ნიშადურის“ (სატირული ჟურნალი, რომელიც დაუნდობლად აქილიკებდა „ეს-დეკეპს“) ყოფილი რედაქტორის ვალერიან გუნიას იუბილე.

1917 წლის გაზაფხულზე, თებერვლის რევოლუციის შემდეგ, რუსეთის იმპერიის რღვევის პერიოდში, „მოცლილ ქართველ ინტელიგენციას“ და, მათ შორის იოსებ გრიშაშვილსაც გულს ეფონებოდა ნანატრი წამის ჰოახლოება: „უნდა აღდგეს საქართველო – ეხლა, ანდა... არასოდეს“.

სწორედ ამ სულისკვეთებითაა გაჟღენთილი რუსული პარტიის პატრიოტის, ქართველ „ეს-დეკთა“ წინააღმდეგ მიმართული სტროფები:

...ამირანმა დაფქვა ჯაჭვი,
ცხრა მთას იქით გადიარა.

შენ შეთოვლდი. და შენს ერსაც
გაუმთელდა კვლავ იარა,
ხომ აღსრულდა შენი ფიქრი
და ქართველებს სხვა რა გვინდა! –
ჰა: ასი წლის ნაინატრი
სულ ერთ წამში დაგვირგვინდა!
შენ სამშობლოს სადიდებლად
მოიხადე შენი ვალი –
აწ კი შესდეგ, შეისვენე,
სხვას დაუთმე მომავალი.
მაგრამ ჩვენ კი ფიცს ვდებთ...ფიცს, ფიცს,
რომ არავის მივცემთ ნებას –
საქართველოს ქართველობის
ჩაწიხვლას და დაკნინებას...

ლექსის მეორე მონაკვეთი უფრო ინტიმურია, იუბილარის მიმართ მადლიერების გამომხატველი:

და მეც გეტყვი გულახდილად!
და მეც გეტყვი თქვენ – მხოლოდა –
თუ მეც გზისა წინამძღოლად
ეს ვალიკო არ მყოლოდა,
თუ ალერსით არ შეეშრო
თვალი, ცრემლით განაბანი,
და არ ეთქვა: .დაისწავლე –
ეს ანია, ეს კი – ბანი,
შეიძლება მე, პოეტი, დღეს
ლექსებად აზავთული,
ვყოფილიყავ ვინმე მავნე,
ბოროტი და ყაჩაღ-თული...

გაივლის მრავალი წელი, მხცოვან პოეტს არა და არ უქრება წრფელი სიყვარული და მადლიერება ვალერიან გუნიასადმი, – „ვინც მე მზრდიდა ბალღობიდან, ვის ვეძახდი მშობელ მამას"..., გურამ ასათიანი კი დაწერს: „ვკითხე: – ძია სოსო, ამდენ ხალხს იცნობდით, ამდენი ჩამოგრჩათ გზაზე, მაინც თქვენი უახლოესი მეგობარი ვინ იყო-მეთქი.

დაფიქრდა, უფრო სწორად, მეხსიერების დაძაბვა სცადა. ბოლოს დამნაშავესავით შემომღიმა და ხმამაღლა განაგრძო ფიქრი:

— როგორ გითხრა, აი, აი, ვალერიან გუნია მიყვარდა ძალიან...“

როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს დამოუკიდებლობის ხანმოკლე პერიოდმა იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებაში პატრიოტული სულისკვეთება გაამძაფრა.

სამწუხაროდ, საბჭოური ლიტერატურათმცოდნეობა მოწოდებული (ან იძულებული) იყო, მიეჩუმათებინა ეს პერიოდი, ან, სულაც, დამახინჯებულად და ტენდენციურად წარმოეჩინა. ზოგჯერ თვით ავტორები იყვნენ დაინტერესებულნი ლექსთა დათარიღების შეცვლაში; ამით ისინი ვზა-კვალს უბნევდნენ „უიდეო“ ან „მტრულად განწყობილ“ შემოქმედთა წინააღმდეგ მიმართულ კამპანიებს. საგანგებო ინტერესის გარეშე, ძნელია აღვადგინოთ იოსებ გრიშაშვილის იმდროინდელი პატრიოტული სულისკვეთებაც.

თუკი ლექსში „ჩემი მუზა ომის დროს“ (იგულისხმება პირველი მსოფლიო ომი) პოეტი, ცოტა არ იყოს, „პოზიორობს“ — „მგოსანი ვარ სუსტი... ნაზი... მიყვარს: რითმა ცვალებადი. თოვლის სარკე. წყლის პირფადი. მზის ბაღჩა და ზღვის ემბაზი. და ეს თითი, რომ სცემდა ჩანგს, რად შეეხო ჩახმახის ჟანგს?!“ — დამოუკიდებელ საქართველოში მისი სულისკვეთება რადიკალურად იცვლება:

გაირღვა შუქეთი! აწითლდა ცხოველადა!
ჩამოდნა სხივები ვარდისფერ თოვლადა!
მებრძოლნი გამოჩნდნენ! დროშებით დგანან!
მეც ვყივი: ჭაბუკნო! რას ელით! რას უცდით!
მახვილით მახვილს! შეერთდით... დაჯგუფდით...
თამარის სამშობლო არ გიყვართ განა?
...და ხანჯალს, — რომ არვინ არ იყოს მდურავი, —
უსისხლოდ ქარქაშში ჩააგებს ნურავინ!..

(„სიმღერა“, 1917წ.)

„დღეს საქართველო ჯვარს იწერს, ჯვარსა“ — ხარობს პოეტი, ისალმება ქართველი ერის აღდგომას და სისხლისღვრისკენაც კი მოუწოდებს („საქართველოს ზადიკი“, „ტფილისო“ და სხვა); თუმცა ვერ ითქვით, რომ მხატვრული თვალსაზრისით ეს ლექსები ახალი სიტყვა იყოს მის შემოქმედებაში.

კვლავ და კვლავ დომინირებს გრიშაშვილის პოეზიაში პოეტის ციყრმის „გულის მურაზი“ — ძველი თბილისი. დასავლეთისა და აღმო-

სავლეთის „სინთეზად“ გვესახება აღმოსავლური თემატიკისა და ევროპული ვერსიფიკაციის სიმბიოზი: სონეტი „თათრის ქალი სუბსარქისში“, ე.წ. კოჭლი სონეტი „მეფე ვახტანგი“, ყველაზე უწინარესად კი სახელგანთქმული „ტრიოლეტები შეითანბაზარში“ (ყველა 1918 წლითაა დათარიღებული):

...მიყვარს თბილისი! ირაკლივით მუდამ მშფოთარი!
და მსურს აქ მოვკვდე, რომ მისი მზე სწვავდეს ჩემს კუბოს,
აწ მსურს მტკვრის ტალღამ ორთაჭალის ხრამს დამაგუბოს,
მიყვარს თბილისი!.. ირაკლივით მუდამ მშფოთარი!
და მე არ მინდა სხვა ანდერძი არავითარი:
ახლიჩეთ მწვადი... სთქვით ლექსები... აყღერეთ თარი...
რომ საიქიოს საიათნოვა არ წამეჩხუბოს!
მიყვარს თბილისი!.. ირაკლივით მუდამ მშფოთარი
და მსურს აქ მოვკვდე, რომ მისი მზე სწვავდეს ჩემს კუბოს.

1919-20 წლებში კვლავ იქმნება იოსებ გრიშაშვილის სატრფიალო ლირიკის შედევრები — „შენი ყელი“, ნინო თარიშვილისადმი მიძღვნილი „პატარას“. პოეტი პოპულარობის ზენიტს აღწევს. ამის დასტურია ლექსი „გასტროლიორის თაიგული“ (1919წ., ქუთაისი):

...საღამოა. ყველა ჰხარობს იმ პოეტით, იმ არეთი,
სხივთა ქვიშით ითენთება პარტერი და მინარეთი,
აქეთ ზარი აწკრიალდა, იქით ტაში ერთი... ორი...
და მგოსანიც რითმებს ისვრის, ვით ხელმარდი ჟონგლიორი:
აბამს „ჰამაკს“, ამბობს „ოლოლს“, ზღვის ჭყანტობში ეძებს „ლილებს“
და ბედნიერ შხამით მთვრალი მზის მაშხალებს აჟინჟღილებს...

ეს არ იყო გადაჭარბება; მის ტრიუმფულ გამოსვლებს თანდაყოლილი არტისტიზმი და თავისებური დეკლამაციაც უწყობდა ხელს: „ლექსს ისე კითხულობდა, თითქოს ბაიათს ასრულებსო, გაბმით, წამღერებით, აქა-იქ წატირებითა და სხეულის მოძრაობას ამ რიტმს აყოლებდა. სხვას ასეთ წაკითხვას არ აპატიებდნენ, უბრალოდ, არ დაუჯერებდნენ. გრიშაშვილისაგან კი სხვაგვარად წარმოუდგენელი იყო“ (გურამ ასათიანი).

იოსებ გრიშაშვილს უცხოური ლიტერატურული მიმართულებებისადმი (სიმბოლიზმი, იმპრესიონიზმი, ფუტურიზმი) განსაკუთრებული ინტერესი არ გაუმჟღავნებია, თუმცა, მეტ-ნაკლებად, ისიც იყენებდა ახალი

პოეზიის გამოცდილებას. თავის დროზე მას დიდ პატივს მიაგებდნენ ქართული პოეზიის განახლების მოსურნე, მასში „მსოფლიოს რადიუსით“ გამართვის მოწადინე შემოქმედნი: გრიგოლ რობაქიძე, გალაკტიონ ტაბიძე, სანდრო ცირეკიძე, ტიციან ტაბიძე და სხვანი; თუმცა, ზოგ მათგანთან გრიშაშვილს შემდგომში მწვავე პოლემიკამ მოუწია, — პირადული ურთიერთკრიტიკის გარდა, მხატვრული მრწამსის განსხვავებულობამაც იჩინა თავი (აღსანიშნავია გრიგოლ რობაქიძისა და იოსებ გრიშაშვილის პაექრობა სონეტის თაობაზე და, განსაკუთრებით, — დაუნდობელი პოლემიკა ოსკარ უაილდის „სალომეას“ რობაქიძისეული თარგმანის გამო — 1917-1918 წლებში).

„მე ევროპამ სახლში არ მიმიწვია“ — ასეთი ფრთიანი ფრაზით გამოთქვა პოეტმა თავისი მრწამსი 1920 წელს; მაშინ, როცა სულ სხვა გზას ადგნენ გალაკტიონი, „ცისფერყანწელები“, მოგვიანებით, — ფუტურისტები და სხვა.

1918 წლით დათარიღებულ გრიგოლ რობაქიძისადმი მიძღვნილ „სონეტში რობაქიძეს“ ავტორი შეუფარავად წარმოგვიჩენს თავის მრწამსს და, დღევანდელი გადასახედიდან, სრულიად ობიექტურად გვიხატავს ორი პოეტის განსხვავებულობა-ერთიანობასაც:

შენზე ამბობენ: კუშტიაო, ამპარტავანი
და გიწოდებენ — უკარებელს, თავკერძს და ტრაბახს;
მე კი მორცხვი ვარ! ვაქებ ტფილისს, სალაყბოს, ყაბახს
და მხიბლავს ნუში. აშპაშხანა, მკერდის მტევანი.
შენ თუ უაილდთან ღრუბლებში გაქვს ვარდის სევანი
და მზის მისამართს აწერ ხოლმე სიოს მუშაბახს,
მე ვეტრფი კინტოს — ატმით სავსე დატვირთულ თაბახს;
შენ სრულობა გსურს? მე მსურს მქონდეს ნაკლულევანი.
ჩვენ ვერ გაგვიგეს! ვერც დაგვღალა ამგვარ ჯირითმა.
მაგრამ ჩვენს შემდგომ, — როს ჩვენ ორი დავიხოცებით,
მოიგონებენ ჩვენს სახელსა მზიე-გაოცებით!
სხვა პოეტებში ამღერდება, მწამს, ჩვენი რითმა, —
და ვინც ისურვებს, რომ იხილოს მგოსნის დამარი:
მას ალბათ, საზღვრად უნდა ჰქონდეს ჩვენი სამარი.

ევროპის ახალი პოეზიის მიმართ, ცხადია, არც გრიშაშვილი იყო გულგრილი, „ანტიევროპეიზაციასაც“ ვერასგზით დავწამებთ; მანაც, რა თქმა უნდა, ისარგებლა ე.წ. ახალი პოეზიის მიღწევებით, და არა მხოლოდ ფორმის თვალსაზრისით.

ოციანი წლების დამდეგისათვის უკვე საბოლოოდ გამოიკვეთა გრიშაშვილის თვითმყოფი პოეტური სტილია.

წინ კი დიდი გზა ელოდა, — პოეტური აღმაფრენა და თაყვანისმცემელთა ჯარი, იმედგაცრუება და კრიტიკის სუსხი, ხან „თანამგზავრისა“ და „უიდეოს“ იარლიყი, ხანაც წამახალისებელი ჯილდოები — სტალინური პრემიები (1942, 1950წ.წ.), პოეტი-აკადემიკოსისა თუ საქართველოს სახალხო პოეტის წოდებანი...

2003 წ.

„ქართული მწერლობის სინდისი“

ალექსანდრე აბაშელი

ალექსანდრე აბაშელი ქართველ პოეტთა იმ თაობას განეკუთვნება, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში, ჯერხნობით, გაუბედავად გამოჩნდა ქართული ლიტერატურის სარბიელზე, თუმცა მალევე მოიპოვა წარმატება. მოგვიანებით, სწორედ ეს თაობა შეიქნა უახლესი ქართული პოეზიის მესაძირკვლე.

ახლა, როცა დღევანდელ ახალგაზრდობას 1905-1907 წლების რევოლუციაზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს, ერთგვარ „ეგზოტიკურ“ წვრილმანად შეიძლება მოგვეჩვენოს ის გარემოება, რომ ღარიბი გლეხის ოჯახში დაბადებული, აბაშის სასწავლებლის დამთავრებისა და მშობლიური სოფლის — საჩოჩიოს (პოეტის ნამდვილი გვარი — ჩოჩიაა) ფოსტის მოხელე, სრულიად ახალგაზრდა ალექსანდრე აბაშელი რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის 1906 წელს შორეულ სოლვიჩეგოდსკში გადაასახლეს. იქიდან დაბრუნებული, 1908 წლიდან თბილისის რუსული გაზეთების „კავკაზისა“ და „ნოვაია რეჩის“ რედაქციაში მუშაობდა. პირველი ლექსებიც 1908 წელს გამოაქვეყნა... რუსულ ენაზე!

მისი პირველი ქართული ლექსი „შავი აჩრდილი“ 1910 წელს დაისტამბა.

ალექსანდრე აბაშელის შემოქმედებითი გზის დასაწყისი, მისი რევოლუციური სიჭაბუკის გათვალისწინებით, ბუნებრივად დაუკავშირდა ე.წ. რევოლუციურ-დემოკრატიულ სკოლას, განსაკუთრებით კი, მის ერთ-ერთ გამორჩეულ წევრს — ნოე ჩხიკვაძეს; მაგრამ ახლისმაძიებელ პოეტს, ჩანს, არ აკმაყოფილებდა სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებზე მოჯაჭვა. —

საკმაოდ მწირი მხატვრული არსენალით. იგი მალევე ჩამოშორდა ზემოხსენებულ კაცურს, თუმცა საცოცხლის ბოლომდე გაჰყვა განსაკუთრებული პატივისცემა ნოე ჩხიკვაძის პოეზიისადმი (სხვათა შორის, ნოე ჩხიკვაძეს დიდად აფასებდნენ ცისფერყანწელებიც).

ბუნებრივია, რომ ჭაბუკმა პოეტმა გულწრფელად გამოხატა პროტესტი თუ სევდა დამონებული სამშობლოს გამო; ბნელეთის, ზამთრის, შავ აჩრდილთა ალეგორიების მეშვეობით წარმოსახა რევოლუციის დამარცხების შემდგომი პერიოდის ქუფრი სურათები („ზამთარი და გაზაფხული“, „შავი აჩრდილი“, „სისხლის წვიმა“ და სხვ.). სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ალექსანდრე აბაშელის ადრინდელი ლექსები, სიწრფელისა და უშუალობის მიუხედავად, სრულიადაც არ იძლეოდა იმის საფუძველს, რომ პოეტი რეფორმატორად თუ მოდერნისტად მიეჩნიათ.

ალექსანდრე აბაშელის პირველი პოეტური კრებული „მზის სიცილი“ (1913წ.) ერთბაშად მოექცა მკითხველი საზოგადოებისა თუ კრიტიკის ყურადღების ცენტრში. გადმოცემით, თბილისის გაზეთ „თემის“ რედაქციამ ალექსანდრე აბაშელს მიანიჭა ჯილდო — აკაკი წერეთლის ოქროს კალამი. არის რაღაც სიმბოლური ამ ფაქტში: ავტორი, რომელიც აკაკის უაღრესად გულმხურვალე თაყვანისმცემელი გახლდათ, სწორედ „მზის სიცილში“ დაეწაფა სამოციანელთა პოეზიისაგან რადიკალურად განსხვავებულ თემატიკას; ამასთან, უდიდესი დატვირთვა მიანიჭა ლექსის ფორმალურ, ტექნიკურ მხარესაც. ავტორი თითქოს განერიდა ამქვეყნიურ ვნებებს, სცადა „მიწიერი“ დრამისაგან თავის დაღწევა, — მიაშურა წარმოსახულ, საოცნებო სამყაროს — მზის საუფლოს.

ამაოდ მოუხმობდა ნოე ჩხიკვაძე ყოფილ თანამოსაგრეს ზეციდან მიწაზე დასაბრუნებლად: „მიზეზთ სათავე აქ ეძიე, აქ, ჩვენს მიწაზეო“ (ალექსანდრე აბაშელისადმი მიძღვნილი ლექსი „გამოძახილი“).

განყენებულ, ფილოსოფიურ საკითხთა წვდომას პოეტი ასტრალურ ფონზე — მზის, მთვარის, ვარსკვლავთა საბრძანებელში შეეცადა. მის პოეზიაში ციური მნათობები მარტო მხედველობით ხატებად თუ მხატვრულ ტროპებად კი არ აღიქმება, — ეს რთული სახე-სიმბოლოები და პოეტური ხილვებია, რომლებიც სამყაროს, ადამიანის, სიკვდილ-სიცოცხლის, სიკეთისა თუ ბოროტების რაობის განჭვრეტისათვის მოიაზრება — „მიწის შვილი ცისკენ ვლიდეს საიდუმლოს სახილველად...“

„მზის სიცილში“ ამაოდ დავუწყებთ ძებნას სოციალურ მოტივს, კრებული უფრო ერთგვარი ციური თუ მზიური „აბსტრაქციაა“; ამაზე ლექსთა სახელწოდებებიც მიგვანიშნებს: „მზის წიაღში“, „მთვარის სახე“, „ორი ცა“, „ლურჯი ვარსკვლავი“ და სხვ.

იდეურ-თემატიკურად კრებული მიწისაგან განრიდების და მარადიული, ზეციური საუფლოს მოხილვის მცდელობაა, მხატვრული თვალსაზრისით, — ვერსიფიკაციისა თუ ქართული პოეტური ფრაზის მუსიკალური შესაძლებლობების მოძიებისა და გამოვლენის დემონსტრაციაა. პოეტური „კოსმოგონიით“ გატაცებამ, ქართული ლექსის მოქნილობამ, ახალი გამომსახველობითი საშუალებების ხიბლმა და, რაც მთავარია, ნოვატორულმა ალღომ, — დიდი გასაქანი მისცეს ალექსანდრე აბაშელს. იგი სამართლიანად აღიარეს ქართული ლექსის რეფორმატორად და მოდერნიზმის ერთერთ მესვეურად იოსებ გრიშაშვილთან და სანდრო შანშიაშვილთან ერთად. ისიც გასათვალისწინებელია, რომ „მზის სიცილის“ გამოსვლის წელს, — 1913-ში ჯერ არც გალაკტიონის კრებულებია (1914წ., 1919წ.) გამოცემული და არც „ცისფერი ორდენია“ ჩამოყალიბებული...

განსაკუთრებით ეფექტურია ალექსანდრე აბაშელის ვირტუოზული ბგერწერა:

გამაგრდი გულო! მსურს გავაბნიო
მთით მონაბერი შავბნელი ნისლი!..
სსსსს... სისინებს სიო,
შშშშშ... შრიალებს ნისლი...

(„სსსსს...შშშშშ“...)

ან კიდევ:

ნისლის ნაკვთი ნარნარ ნიავს
ჩამქრალ ჩრდილად ჩაჰკვდომოდა,
ბუჩქნარ-ბაღში ბროლ-ბილილას
მწკვანე მოლი მოჰფენოდა.
ფრთოსან ფიქრთა ფეიქარი
ქნარზე ქროლით ქენჯნას ქსოვდა,
ზურმუხტ ზახვით ზვირთთა ზარი
შავი შიშის შრიალს შობდა...

(„განთიადის მოლოდინში“)

ალექსანდრე აბაშელის დიდმა წარმატებამ ხელი არ შეუშალა იმდროინდელ კრიტიკას, — რუსი სიმბოლისტის, ბალმონტის „მზის კულტისა“ და მისივე ბგერწერისა და ალიტერაციების სიახლოვე შეენიშნა;

ისიც აღსანიშნავია, რომ „მზის სიცილის“ გამოცემის მომდევნო წლებში პოეტმა ხელი აიღო თვითმიზნურ ბგერწერაზე, მის პოეზიაში მეტი სისადავე, უბრალოება და საგნობრიობა გამჟღავნდა, გამოიკვეთა პატრიოტული მოტივიც („მზე ამოდის“, „სალამო“, „უბრალო ამბავი“, „იისფერი თვალები“, „სოფელი“, „ჩრდილი“ და სხვ.).

ალექსანდრე აბაშელის დიდი დამფასებელი სიმონ ჩიქოვანი მოგვიანებით სამართლიანად შენიშნავდა, რომ მიუხედავად მყისიერი აღიარებისა, პოეტის პირველ კრებულში ბევრი სიტყვიერი მასალაა ჩახერგილიო. „მზის სიცილის“ ლირიკული გმირის იდენტიფიკაცია ავტორთან, მისი პიროვნული თვისებების გათვალისწინებით, ძალზე გაჭირდება. ალექსანდრე აბაშელი მუდამ გაურბოდა ხაზგასმულ პირადულობას, კერძო, რომანტიკული გრძნობების გამჟღავნებას, თვითრეკლამას თუ საკუთარი შემოქმედების პროპაგანდას. მისი პიროვნული მოწესრიგებულობა, გაწონასწორებული ხასიათი და პოეტური ბუნება განსაზღვრავდა მის გამორჩეულ ადგილს თანამედროვე ნოვატორ შემოქმედთა შორის. მას ნაკლებად მიუწევდა გული პოსტსიმბოლისტების მიერ ესთეტიზირებული დისჰარმონიისაკენ, სიმახინჯის ესთეტიკისაკენ: „მის შეკრთომას, მის მწუხარებით შეშფოთებულ სულს ყოველთვის აწონასწორებდა ლტოლვა კლასიკური პოეტური აზროვნებისაკენ, სილამაზის კლასიკური იდეალისაკენ, გამოხატვის კლასიკური ფორმებისაკენ“ (გურამ ასათიანი). ეს გარემოება წარმოჩნდა პოეტის მომდევნო კრებულებშიც — „ანთებული ხეივანი“ (1923 წ.) და „გაბზარული სარკე“ (1929 წ.).

ალექსანდრე აბაშელისათვის სრულიად უცხო იყო ბოჰემურობა და გამიზნული ეპატაჟი, თუმცა, თავის დროზე დიდად გახმაურდა მისი „დეკადენტური“ ტრიოლეტები:

მსოფლიო ციხეა საზარი,
ტყვე არის არსება ყოველი,
და სასჯელს არა აქვს საზღვარი.
მსოფლიო ციხეა საზარი.
დარაჯად სიკვდილი მზად არი.
მის ძახილს ყოველ წამს მოველი.
მსოფლიო ციხეა საზარი
და ტყვეა არსება ყოველი.

(„ტრიოლეტები“, 1919 წ.)

ამ დროისათვის პოეტი „მზიურ“ თემატიკას ჯერ კიდევ ვერ ელეოდა, ძველი ოცნება არ ეთმობოდა:

მე „მზის სიცილი“ მაღალ თაროდან
გადავიტანე დაკეტილ ყუთში.
ვწერდი სხვა ლექსებს და მიხაროდა,
რომ დავიურვე ოცნება ურჩი.
მეგონა ზენამ სხვა ხმა მაჩუქა,
მაგრამ იელვეს ბრძოლის დანათა
და „მზის სიცილის“ დაღლილმა შუქმა
ამ წიგნშიც მკრთალად შემოანათა...

(„საფერფლე ურნა“)

ალექსანდრე აბაშელმა ძველ ოცნებებსაც უერთგულა და აკაკის ანდერძსაც. იგი წინაპართა საქმის, მათ მხატერულ ტრადიციათა შეგნებულ დამცველადაც მოგვევლინა. 1915 წელს ახალგაზრდა მგოსანთა სახელით იგი სამარადჟამოდ გამოეთხოვა აკაკის:

ჩვენ ბევრნი ვართ, შენს კალთაში შენის ჩანგით გამოზრდილნი,
ვით ყვავილნი მრავალფერნი, ჩვენს მამულში ტურფად შლილნი.
ჩვენ შენს ხსოვნას ნათელ-მზიურს მოკრძალებით გარს ვეხვევით
და შენს ლოცვას მარადიულს ვიმეორებთ სიმთა რხევით...

ალექსანდრე აბაშელის შემოქმედების მომდევნო პერიოდი განუხრელად და კანონზომიერად დაუკავშირდა სამწერლო დაჯგუფებას – „აკადემიური მწერლობის ასოციაციას“. იგი ეროვნული მიმართულების, ტრადიციული და, იმავდროულად, ევროპეიზაციის მომხრე ჯგუფის ერთ-ერთი მესვეური და იმ დროისათვის მეტად თვალსაჩინო ჟურნალის – „ხომალდის“ რედაქტორი გახდა.

„ხომალდის“ პირველ ნომერში (1921 წლის დეკემბერი) გამოქვეყნდა ალექსანდრე აბაშელის „შორეული ნაპირი“, რომლის ერთი სტროფი შემდგომში დიდხანს იყო მიჩქმალული:

და ერის ტანჯვის გამომხატველი
იზრდება გულში ორი მწვერვალი –

ერთი ნაღველის ორი სახელი:
კრწანისის ველი და თებერვალი...

ცხადია, ეს ლექსი 30-იან წლებში რომ დაწერილიყო, პოეტი სასტიკ რეპრესიებს ვერ გადაურჩებოდა; მაგრამ იმ დროისათვის ახალი ხელისუფლება ცენზურისათვის ვერ იცლიდა. ეს გარემოება კარგად გამოიყენეს ქართველმა პოეტებმა, მათ შორის ალექსანდრე აბაშელმაც; ყოველ შემთხვევაში, 1924 წლამდე მაინც. გავიხსენოთ, რომ „აკადემიური მწერლობის კავშირის“ საუკეთესო ჟურნალი „კავკასიონი“ 1925 წელს დაიხურა. ამიტომ შეეცადა პავლე ინგოროყვა ჟურნალის გადარჩენას „ახალი კავკასიონის“ სახელწოდებით და ჟურნალის მოწინავე წერილით... ტოტალიტარული ცენზურა ძალას იკრებდა: „აკადემიური მწერლობის ასოციაცია“ კონსერვატორულ და ანტისაბჭოთა დაჯგუფებად გამოცხადდა.

იწყება ახალი პერიოდი აწ უკვე სიცოცხლის ბოლომდე „საბჭოთა“ პოეტებად სახელდებულ ხელოვანთათვის.

1923 წელს გამოცემული „ანთებული ხეივანი“, როგორც მოსალოდნელი იყო, კვლავ მისი ადრინდელი პოეზიის სულისკვეთებას წარმოაჩენდა: კვლავ ცისკენ სწრაფვა, მზის ამოსვლის მისტერია, სევდა და ნაღველი ამსოფლიური ამაოებისა და არასრულყოფილების გამო („პირველი სხივი“; „მზე ამოდის“, „წითელი ფრინველები“, „მზის ამოსვლა“, „ცისარტყელა“, „არწივი ჰაერში“ და სხვ.).

ჩანს, გამძაფრდა კრიტიკული გამოხდომებიც ალექსანდრე აბაშელის მიმართ, რადგან ლექსში „ჩემს მასწავლებლებს“ პოეტი, არამკითხე ოპონენტებთან გაპაექრებით, თავის მრწამსს გვიზიარებს:

მე თუ ცა მასწავლიდა, მიწასაც ვუჯეროდი,
ჩემთვის ზეცა და მიწა განუყრელნი არიან.
თქვენ სიმღერას მიწუნებთ! — თქვენი რა მაბარია?
თქვენ მოსაწონ ჰანგებსა ნეტავ როდის ვმღეროდი?
... მე არ მინდა ვისიმე გახარება ან წყენა, —
ჩემს სიმღერის შედეგებს მე როდი ვანგარიშობ!
მზით შემოსილ სივრცეში მე ფრენით დავთარეშობ
და ვიცი, რომ არ არის მარჯვენა და მარცხენა.
ხედავ, წითელ ღრუბლებზე სცვივა იაგუნდები...
მზე ანთებულ აუზში ბანაობას აპირებს,
თქვენც წამოდით, თუ გნებავთ, ნახავთ ზღაპრულ ნაპირებს.
არა გნებავთ? — მშვიდობით! თქვენთვის არ დავბრუნდები!

ცალკე აღნიშვნის ღირსია უსათაურო კანონიკური სონეტების სიმრავლე ალექსანდრე აბაშელის კრებულებში (მაშინ საუკეთესო ქართველი პოეტები თითქოს ერთმანეთს ეცილებოდნენ სონეტის ფორმის ერთგულებაში); შემოქმედების მოტივაციის გარკვევისათვის კი ლექსთა სათაურების ჩამოთვლაც კი კმარა: „მირაჟი“, „სევდა“, „სულის შემოდგომა“, „ჩრდილი“, „ცრემლი“, „მჭკნარი ფოთლები“ და სხვ.

1929 წელს გამოცემულ „გაბზარულ სარკეში“ (კრებულის სახელწოდება, თავისთავად, დამაფიქრებელი სახე-სიმბოლოა) ავტორი გულწრფელად ცდილობს „ეპოქისათვის თანამგზავრული სიმღერის“ თქმას; ახალი ქვეყნის მშენებლობის თემატიკა უფრო მოგვიანებით ჩნდება მის ლექსებში (იხ. კრებული „მზე და საშობლო“, 1939 წ.).

ოციანი წლების დასასრულს დასტამბულ „მეოცნების დღიურში“ კი, ავტორი, უცდომელი პოეტური ალღოთი წარმოსახ ავს XX საუკუნეს; მისი მხატვრული ნათელხილვა დღესაც აქტუალურია:

მიაფრენს შემკრთალ დედამიწას ფრთოსან რაშივით,
ეს საუკუნე აცეცხლილი და დარკინული.
ჩქარი ბრუნვისგან მიწის ღერძი ტყდება გზაშიეე
და პოლუსებზე სიცხისაგან დნება ყინული.
რას მოგვცემს ეს დრო, სისხლითა და ძვლებით ნათესი,
იქროლებს რაში, შორს დარჩება ყორნის ჩხავილი
და ავარდება მიუწვდენელ მზის სინათლეზე
მოულოდნელად ამოვარდნილ ქარიშხალივით, —
თუ გარს მოწოლილ ნისლის ზღუდეს ვეღარ გაარღვევს,
ვერ გადაიტანს ამ ანთებას მიწის სხეული,
და სამუდამოდ დაიმშვიდებს ცეცხლიან ძარღვებს
სადმე მზის იქით, ცის უფსკრულში გადამსხვრეული...

ალექსანდრე აბაშელი 70 წლისა გარდაიცვალა. მან ურთულეს დროში იცხოვრა და იღვაწა და, რაც მთავარია, „გაუძლო“ ამ დროს. წერდა, როგორც გული უკარნახებდა; იყო კონიუნქტურაც, შემოქმედებითი მარცხიც, დროებითი უნაყოფობაც და იმედგაცრუებაც. არასოდეს უძებნია ჯილდოები, არც საბჭოური პრემიები „დაუმსახურებია“. რაც მთავარია, დროს გაუძლო მისმა პოეზიამ.

· · 20-იანი წლებიდან ალექსანდრე აბაშელმა დიდი ამაგი დასდო ქართველ კლასიკოსთა — ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას და ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებათა გამოცემის საქმეს. როგორც შემდ-

გენელმა, რედაქტორმა და ტექსტის დამდგენელმა, განსაკუთრებით ფასეული იქნა ქაქაბაძის თხზულებათა სრული კრებულის — ცხრატომეულის გამოცემა 1925-28 წლებში (იმ დროისთვის ეს არამარტო თავდაუზოგავ შრომას, არამედ დიდ მოქალაქეობრივ გამბედაობასაც მოითხოვდა), აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებული (1940-59 წლები) და სხვ.

თანამედროვენი ერთხმად აღიარებდნენ ალექსანდრე აბაშელის სულიერ სისპეტაკეს, „ქართული მწერლობის სინდისს“ უწოდებდნენ მას. იმ ავადსახსენებელ წლებში ეს მართლაც იყო აღნიშვნის ღირსი. „გვალვიან დღეს ქუჩაში ისე გაივლიდა, ფიორი მტვერიც მის ტანსაცმელს არ მოედებოდა. წვიმაში ატალახებულ გზაზე თითქო წვეთი არ მიეშხეფებოდა“. — სიმონ ჩიქოვანის მიერ 1959 წელს ნათქვამი ეს ფრაზა მეტაფორადაც შეიძლება გავიაზროთ.

„მის პოეტურ ბუნებაში მკაფიოდ გამოსჭვიოდა დახვეწილი გემოვნება, თავშეკავებული ვნებები და ცხოვრების სუსხში გამომუშავებული სულიერი წესრიგი. იგი იყო კეთილშობილებით აღსავსე ადამიანი... ყოველგვარი ხაზგასმული პირადულობა მისთვის უცხო იყო და პოეტური პოზის შერჩევაც საშინლად ეჩოთირებოდა“. — ესეც სიმონ ჩიქოვანის სიტყვებია.

მხოლოდ იშვიათად ვერ თოკავდა პოეტი მის სულში ჩაბუდებულ ბობოქარ ვნებებს; პირადულ ტკივილს თუ პოეზიის უზენაესობის ღრმა რწმენასაც დიდი ექსპრესიით გადმოსცემდა. ასე შეიქმნა მისი, ალბათ, საუკეთესო ლექსი „წერილი ნოე ჩხიკვაძეს“. ნიშანდობლივია, რომ იგი 1926 წელსაა დაწერილი:

... ალბათ, არ არის ზეცაში ღამე
და შენც მოწყენით თავი ჩაჰკიდე:
გაწვალებს ლექსის ნათელი შხამი,
რაც შეუსმელი აქ დაგრჩა კიდევ.
ქვესკნელს დასთხრიდნენ შენი ფესვები,
მიწას პოეტად რომ არ ეშობე.
საქართველოში შენი ლექსები
მშიერ მგლებივით დათარეშობენ.
და გრგვინვა, მწველი და ალდართული,
კვლავ ცის მყინვარზე დაიგუგუნებს,
რომ ანთებული სიტყვა ქართული
გადაანარცხოს ბნელ საუკუნეს.
როცა ეჭვებით დამქრალ ოცნებას
ლექსების ალი წაეკიდება,
რა მისცემს ჩვენს სულს მეტ გაოცებას,

რა უნდა იყოს მეტი დიდება!
არ გვაწევს ტვირთი სხვა იმედების,
შენ უკეთ იცი, პოეტო ძმაო, –
ჩვენთვის გარეშე შემოქმედების
რომ ყველაფერი არის ამაო.
მაგრამ დღეს სხვაა ჩვენი ჰაერი, –
დაეცა ლოცვა და პოეზია.
მოკვდა ბრწყინვალე ძველი შაირი
და ახალს ჩრდილი შემოესია.
გაგიკვირდება, ლექსს რათ არ შველის, –
რომ კვლავ ამაღლდეს რჩეულ ხარისხად, –
ციდან ქუხილი ბარათაშვილის,
მთიდან ყვირილი ვაჟას ხარისა!
ახლა ქუხილი არ ისტამბება,
ხარი არ ჰყვირის მაღალ მთებიდან,
ლექსი დაახრჩო წვრილმა ამბებმა
ამონაწერმა გაზეთებიდან.

2004 წ.

კონსტანტინე გამსახურდია კემბრიჯში

ევროპაში განსწავლისა და მოგზაურობის დასაწყისი

„დიდ ტალანტებს ვრცელი ფარვატერები
ესაჭიროებათ მუდამ“

კ. გამსახურდია.

ერის სულიერი მამა, ქართული საზოგადოებრივი აზრის „ნახევარსაუკუნოვანი დიქტატორი“ .ილია ჭავჭავაძე საქართველოს უკეთესი მერმისის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ერთ-ერთ უცილობელ და უწინარეს პირობად მისი ახალგაზრდობის განსწავლა-განათლებას მიიჩნევდა: ბუნებით მომადლებული ნიჭისა და ფართო თვალსაწიერის ახალგაზრდები ფართო სარბიელისაკენ მიილტვოდნენ, რამეთუ დამონებულ

საქართველოში მათ სწრაფვას ფრთები ეკვეცებოდა. სწავლამოწყურებული ქართველი ჭაბუკები პეტერბურგსა და მოსკოვს, ოდესასა თუ კიევს მიაშურებდნენ, უფრო თამამნი კი — დასაელეთ ევროპის ქალაქებს.

ცოდნის შეძენის მოსურნე ახალგაზრდობის შორეულ და მძიმე გზაზე შედგომას ილია ყმაწვილკაცობის საუკეთესო სამკაულებით — კეთილშობილური სითამამით, მამულისათვის პატიოსანი თავგამომეტებით, ზოგჯერ ვაჟკაცური წინდაუხედაობითაც კი ხსნიდა. რატომ? უსახსრობისა და უსაშველობის გამო:

„ნუ დაგვავიწყდება, რომ მოსწავლენი მეტი წილი ღარიბნი არიან. თქმა არ უნდა, რომ სიღარიბე უფრო იღვწის ამ შემთხვევაში, ვიდრე სიმდიდრე. სიმდიდრეს რა უჭირს? ცა ყოველთვის ჭუდად აქვს, დედამიწა ქალამნადა. მას ჯერ არ აეშლება საღერღელი სწავლისა და ცოდნისა, და თუ აეშალა, ვარდით დაფენილ გზაზე მიდის. სიღარიბეს წინ ეკლიანი გზა უდევს, იგი მიდის და ეკალი ჰშაშრავს მის შიშველ ფეხსა და ტანსა. აქ სელა მსხვერპლია, თავის გაწირვაა, თავის გამომეტებაა“.

ასეთმა „ვაჟკაცურმა წინდაუხედაობამ“ და „თავის გამომეტებამ“ — უსახსრობამ და გაჭირვებამ — პეტერბურგის უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელი ვაჟა-ფშაველა გულნაკლული დააბრუნა სამშობლოში, ბედკრულ ეგნატე ნინოშვილს საფრანგეთის ქალაქ მონპელიედან აუკრა გუდანაბადი; მოგვიანებით პეტერბურგის ნისლმა და ნესტმა ფილტვები დაულრღნა სანდრო ცირეკიძეს, ვერც დიდმა გალაკტიონმა მოიკლა სწავლის წყურვილი... ის კი არა და, ზოგიერთი ქართველი სტუდენტი სამშობლოში დაბრუნებასაც ვერ მოესწრო: უცხოეთში შიმშილით დაიღუპა.

„გარდიხვეწებიან ხოლმე საცოდავები და აქ დაშთენილნი კი არა ჰფიქრობენ მასზედ, რომ პური არა აქვთ საჭმელად, სახლი არა აქვთ თავშესაფარავად, და არას ჰზრუნავენ, რომ ხელი გაუწოდონ შველისა და შემწეობისა და იმ საშინელ წამებას გადაარჩინონ, რომელსაც შიმშილი და წყურვილი ჰქვიან“ — წერდა ილია გასული საუკუნის მიწურულს.

ქართველი ახალგაზრდობის ყარიბობა ცოდნის შესაძენად მეოცე საუკუნის დასაწყისშიც არ შენელებულა.

დღესდღეობით უმაღლეს სასწავლებელში ლამის საყოველთაო სენად გადაქცეულ „მოწყობას“, ცოდნის შეძენითა და მისი მეშვეობით სამშობლოს მსახურების სურვილზე უწინარეს, უაზრო პატივმოყვარეობა ანდა პრაგმატისტული მიზნები აქვს საფანელად. მაშინ კი ასეთი რამ მხოლოდ გაოცებას თუ გამოიწვევდა.

ცოდნის შეძენა არამც და არამც არ გულისხმობდა მატერიალური

კეთილდღეობის გარანტიას, რაიმე პირად გამორჩენას. მოწინავე ქართულ საზოგადოებაში დიდად პატივცემული ინტელიგენცია, მცირედი გამონაკლისის გარდა, საკმაოდ ღარიბულად ცხოვრობდა. კაცმა რომ თქვას, ეს „ტრადიცია“ გრძელდება: თუმცა ინტელიგენტის ცნება, სრულიად უსამართლოდ, უსაშველოდ „გაიბერა“, ჭეშმარიტი ინტელიგენცია დღესაც ერთ-ერთი უღარიბესი ფენაა საზოგადოებისა.

ერთი მრავალთაგანი, რომელიც მეოცე საუკუნის დასაწყისში არ შეუშინდა შორეულ გზებს, უცხოობასა და სიმარტოვეს, ნათესავ-მეგობრებთან და სამშობლოსთან განშორებას, უსახსრობას და გაჭირვებას, – გახლდათ მომავალი დიდი ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია, მაშინ კი, – მამით ობოლი 19 წლის ჭაბუკი, რომელმაც ის-ის იყო წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის ქართული გიმნაზია.

კაცს სჩვევია მწარედ განცდილის, მაგრამ უკვე ჟამგადასულის ნათელ ფერებში დანახვა. ეს დიდი ადამიანური ღირსება რომ არა, რა გაგვაძლებინებდა ამ ცოდვა-მადლით სავსე წუთისოფელში!

ნათელ ფერებში წარმოსახავს კონსტანტინე გამსახურდია დაუმთავრებელ ავტობიოგრაფიულ თხზულებაში „ლანდებთან ლაციცი“გიმნაზიაში ყოფნის, 1912 წლიდან კი ევროპაში განსწავლისა და მოგზაურობის წლებს; მოლოდ გაკვრით თუ ეხება უსახსრობასა და სიდუხჭირეს.

დღევანდელი გაზულუქებული ყმაწვილებისათვის (მათი მშობლებისათვისაც) უჩვეულო და ჭკუის სასწავლია დიდი მწერლის მოგონებათა ფრაგმენტები:

„... იმის მონატრული ვიყავით, როგორმე მიგველწია მეოთხე კლასამდის და მერმე შინ მივბრუნებულიყავით და ჩვენს სოფლებში გვეცხოვრა უდრტვინველად.

გამოხდა ხანი და მე მეცადინეობამ ძლიერ გამიტაცა. გათენებისას ვდგებოდი, არასოდეს სახელმძღვანელო წიგნი არ მჭონია, ხელს წავავლებდი რომელიმე ზარმაც ამხანაგს, ადრე დავიბარებდი სკოლაში, მასაც ვასწავლიდი და მეც ვსწავლობდი.

ქუთაისში იმჟამად არსებობდა ერთადერთი ბიბლიოთეკა, ნასადილევს იქ მივდიოდი, და გვიან ღამემდის ვკითხულობდი. გიმნაზიის დასრულებამდის ამ ბიბლიოთეკაში გადავიკითხე თითქმის მთელი მსოფლიო ლიტერატურის უმთავრესი შედევრები.

...გათენებისას ვდგებოდი. პალტო არა მქონდა, ცხელ მჭადს ჩავიდებ-

დი უბეში და სკოლისაკენ გავრბოდი.

ქუთაისში ბარე სამი საქალებო სასწავლებელი იყო, ყოველ ნინოობას ჩვენს გიმნაზიას უგზავნიდნენ ეს გოგონები ბილეთებს საცეკვაო საღამოებზე დასასწრებლად.

...მე და ერთ ჩემს თანაკლასელს ლანდიას მოგვდიოდა ყველაზე მეტი მოსაწვევი ბარათი.

„დონ ჟუანი" დამარქვეს.

მათ ავიწყდებოდათ, რომ ამ დონ ჟუანს ერთადერთი ბლუზა ეცვა ზამთარ-ზაფხულ და ვაგლახ დაჯღანული წუღები".

დიდი მადლიერებით იხსენებს კონსტანტინე გამსახურდია მათ, ვინც ნიჭიერ ობოლ ბავშვს ხელი გაუმართა, სიყვარული და ნუგეში არ მოაკლო: „იოსებ ოცხელმა მიხმო, დამამშვიდა: აღარა გყავს მამა, მაგრამ აქა ვართო შენი მამობილები, მე და შენი მასწავლებლები.

მართლაც, იოსებ ოცხელმა, სილოვან ხუნდაძემ, გერასიმე ცაგარეიშვილმა, სამსონ ყიფიანმა, იასონ ნიკოლაიშვილმა, მამობრივი მზრუნველობით გამიტფეს დაზაფრული გული".

ცნობილმა ქართველმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ იოსებ ივანეს ძე ოცხელმა, ქუთაისის ქართული გიმნაზიის დამაარსებელმა და უცვლელმა დირექტორმა, გიმნაზიის დამთავრების შემდეგაც გაუკაფა გზა ნიჭიერ ახალგაზრდას: ქუთაისის ქალაქის გამგეობას გამოსთხოვა სტიპენდია იმ პირობით, რომ სტიპენდიანტს დაესრულებინა პეტერბურგის უნივერსიტეტი, სადაც ილია სწავლობდა.

სწორედ ამ პერიოდს მიეკუთვნება დ. გურეშიძის მიერ ქუთაისის ნიკოლოზ ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდებში მიკვლეული კონსტანტინე გამსახურდიას მანამდე უცნობი სამი წერილი (დ. გურეშიძე, „კონსტანტინე გამსახურდიას უცნობი წერილები", გაზეთი „ქუთაისი", 1981 წლის 16 სექტემბერი, №180).

პირველი მათგანი, დათარიღებული 1912 წლის 22 ივნისით, არის თხოვნა „ქუთაისის ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების" მიმართ: „ეიმყოფები რა მატერიალურათ უკიდურეს მდგომარეობაში, უმორჩილესად გთხოვთ აღმომიჩინოთ დახმარება და ამით საშუალება მომცეთ უმაღლეს სასწავლებელში წასასვლელათო".

კონსტანტინე გამსახურდია გაემგზავრა პეტერბურგს, ჩაირიცხა პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე; ქუთაისის ქალაქის გამგეობამ მას მცირედი სტიპენდია – თვიურად 25 მანეთი დაუნიშნა; როგორც თვით მწერალი გადმოგვცემს – დედამაც ხუთასი მანეთი უსაგზლა.

ჩანს, ეს თანხა არ კმაროდა, რადგან 1912 წლის 1 ოქტომბერს

სტუდენტმა გამსახურდიამ კვლავ მიმართა „ქუთაისის ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოებას", ამჯერად – ერთჯერადი დახმარებისათვის: „...რადგანაც პირველ წელსა ვარ უნივერსიტეტში, სწავლის ქირიდან არ მათავისუფლებენ, გარდა ამისა მე ავათმყოფობ ხშირად და 25 არც კი მყოფნის საზრდოთ. ამასთან გიგზავნით სათვისტომოსგან მოცემულ სიღარიბის მოწმობას. ასეთ ჩემ მდგომარეობას დაამტკიცებენ თუ კი მიმართავთ: თქვენივე პატივცემულ საზოგადოების წევრი ბატონი ბართლომე მოსეშვილი და ბ-ნი დავით ავალიანი".

ამ დროისათვის კონსტანტინე გამსახურდია ცხოვრობდა აკაკი შანიძესთან ერთად – ვოლხოვის შესახვევის მე-4 სახლში.

ცნობილია, რომ ჭაბუკმა სტუდენტმა მალევე მიატოვა პეტერბურგი, როგორც „ლანდებთან ლაციცში" გადმოგვცემს, ნიკო მართან კონფლიქტის გამო. ამით გაქარწყლდა მისი თავდაპირველი გადაწყვეტილება – უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე სომხური და სპარსული ენების შესწავლისა, რაც საქართველოს ისტორიაში მუშაობას გაუადვილებდა.

კიტა აბაშიძემ, რომელიც მფარველობდა მწერლობაში ახლად ფეხადგმულ კონსტანტინე გამსახურდიას, სარეკომენდაციო ბარათი გაატანა მას ნიკო მართან, რომელსაც უნდა დამოწაფებოდა ქართველი სტუდენტი. რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, სწორედ მარის ტენდენციურობამ პატკანოვისა და ილია ჭავჭავაძის პოლემიკის გაშუქებისას, აიძულა მოწაფე მკვეთრად და მოურიდებლად დაპირისპირებოდა ცნობილ მეცნიერს და საბუთები გამოეთხოვა პეტერბურგის უნივერსიტეტიდან.

მეტად საინტერესოდ მიმაჩნია „ლანდებთან ლაციცის" ერთი ადგილი, კიტა აბაშიძისა და კონსტანტინე გამსახურდიას ურთიერთობას რომ ეხება; რომელიც, ამასთან, შუქს ჰფენს ილია ჭავჭავაძის სახელობის სტიპენდიანტის „მეტამორფოზასაც":

„...ვამცნე ქუთაისის ქალაქის თავს: ილია ჭავჭავაძის სახელობის სტიპენდია აღარ მოეცათ ამიერიდან ჩემთვის. მიზეზიც ავუხსენი.

კიტა აბაშიძე დაფაცურდა. ახლა შავი ქვის საბჭოს სტიპენდია დამინიშნეს.

ჩემთვის მარად დაუვიწყარი იქნება კიტა აბაშიძის მეგობრული და ფაქიზი დამოკიდებულება.

ქუთაისის ქუჩებზე როგორც შემხვდებოდა, მკლავზე ხელს წამავლებდა და ტოლივით მებაასებოდა პოლიტიკასა და საქვეყნო საქმეთა გამო. საერთოდ ისე მექცეოდა, თითქოს მე მისი ამხანაგი ვყოფილიყავი".

მაგრამ დავუბრუნდეთ სტუდენტისა და პროფესორის კონფლიქტს:

სულ რაღაც ხუთიოდე წლის შემდეგ, სახელდობრ, 1917 წელს,

კონსტანტინე გამსახურდია კვლავ შეუტევს (ახლა უკვე საჯაროდ) „დიდ მეცნიერს და სახელოვან აკადემიკოს მარრს". ეს ის დროა, როცა ქართული უნივერსიტეტი ჯერ არ დაფუძნებულა, ხოლო ნიკო მარი კავკასიის „ინტერნაციონალური უნივერსიტეტის" დაარსებისათვის იღვწის.

ძნელია აღტაცება არ მოგეგვაროს 25 წლის ჭაბუკის კონსტანტინე გამსახურდიას წერილის გააზრებულმა ეროვნულმა პოზიციამ და წინასწარმეტყველურმა პათოსმა.

თავს ნებას მივცემ შევახსენო მკითხველს ამ წერილის („ტროასეული ცხენი. აკადემიკოს ნიკო მარრის წერილის გამო") რამდენიმე ვრცელი ფრაგმენტი, მით უმეტეს, რომ ისინი საოცრად ეხმიანებიან სადღეისო სულისკვეთებას:

„ყველასთვის ცხადია, რომ ქართველი ერის კულტურული აღორძინების წინამორბედ ცთომილად ქართული უნივერსიტეტის იდეა უნდა ჩაითვალოს. გვჯერა, რომ ქართულმა გენიამ და ჩვენმა მოწინავე თაობამ ის კულტურულ-ისტორიული მისია უნდა განაგრძოს, რომელიც განგებას და ისტორიულ სიტუაციას ჩვენი წინაპრებისათვის უანდერძებია კავკასიაში.

...რა უნდა ვთქვათ დიდ მეცნიერ და სახელოვან აკადემიკოს მარრზე, როცა იგი ხელს უწყობს „საშობლო კავკასიაში" ისეთნაირი ბასტარდული მოდების, სიტყვებისა და მცნებათა შესისხლხორცებას, როგორიცაა „კავკასიური ქრისტიანული კულტურა", „კავკასიური უნივერსიტეტი". ცნება „კავკასიური ორიენტაცია", თუ გინდა „კულტურა" — ისეთი ზოგადი შეკრებითი ცნებაა, როგორიცაა „ევროპული აზროვნება" ანდა „აფრიკული გრძნობა". ეს სიტყვები, ჩვენის აზრით, იმათი მოგონილია, ვინც ევროპაში სხვადასხვა დროს „კავკასიური ნაციის" წარმომადგენლებს ეძახდნენ თავიანთ თავს.

სამწუხაროდ, პატივცემული მეცნიერი უკმაყოფილოა კიდეც, რომ კავკასიაში ძლიერ ცოტაა ისეთი ტიპის უნივერსიტეტის დაარსების მომხრე, რომელსაც მისი აზრით, „ინტერნაციონალური" ეწოდება, ხოლო ჩვენთვის სავსებით აშკარაა, რომ ამ უნივერსიტეტში არაქართული ენა იბატონებს, რადგან აქ ესპერანტოს ვერავის შემოიღებს. ეს უნივერსიტეტი ალბათ რაღაც არაეროვნულ დაწესებულებად უნდა გადაიქცეს, ხოლო უკანასკნელში „ტუზემცების" კულტურისა და ცივილიზაციის კვლევის საქმეს ისეთი შემთხვევითი ფილიალები დაეთმობა, როგორიცაა „არმიანოგრუზინების" ფაკულტეტი პეტროგრადის უნივერსიტეტში.

...რა ვუყოთ, რომ პოლიტიკურ ატმოსფეროს შემთხვევითმა ცვალებადობამ ქართველ ხალხს ხელიდან გააგდებინა ის წვრაქვი კულტურული მშენებლისა, რომლითაც იგი ბნელი საუკუნეების განმავლობაში გზას

უკაფავდა კავკასიურ მოდგმათ კავკასიის მიდამოებში.

განა ჩვენ იმავე ქართველების სისხლისა და სულის მატარებელი არა ვართ? განა ჩვენ იმდენი დაგვიკარგავს სულ ასიოდე წლის მონობის საუკუნეში, რომ საქართველოს დედაქალაქ ტფილისში ქართულ ენასა და ქართულ კულტურის კვლევისა და შეუქის მიფენის საქმეს ისევ ძველი „ტუზემცური“ ხასიათი მივცეთ?

...რაიცა შეეხება „ინტერნაციონალურ უნივერსიტეტს“ კავკასიაში, ეს ჩვენი აზრით, იგივე „ტროასეული ცხენია“, რომელსაც თვით პატივცემული აკადემიკოსი იხსენიებს.

ეს განმანათლებელი ინსტიტუტი, რომელიც ეგზომ თვალთმომჭრელ სიქველედ ეჩვენება ზოგიერთს, სწორედ ისეთ საშიშ კულტურულ კონტრაბანდის შემოტანას ნიშნავს ტფილისში, რომელიც ბერძნის ჯარისკაცებზე მეტ საფრთხეს უმზადებს როგორც ქართველ ერს, ისე დანარჩენ მის მეზობლად მოსახლე ერებს კავკასიაში“. კვლავ შეგახსენებთ, რომ ზემოხსენებული წერილი 72 წლის წინათ დაიწერა!

დ. გეგეშიძის მიერ მიკვლეულ გამსახურდიასეულ მესამე წერილში (1912 წლის 26 ნოემბერი) არაფერია თქმული ნიკო მართან კონფლიქტზე. ჩანს, ჭაბუკ სტუდენტს არ სურდა გერმანიაში გამგზავრების ნამდვილი მიზეზის გამოაშკარავება: „ოქტომბრის პირველ რიცხვებში ავადმყოფობის გამო, დროებით დავანებე უნივერსიტეტს თავი და წამოვედი გერმანიაში, რომ აქ ჯანმრთელობითაც გამოვკეთებულიყავ და ენაც შემესწავლა. აგერ მეორე თვეა ევროპის – აღმოსავლეთ გერმანიის ქალაქ კონიგსბერგში ვიმყოფები.

...ამ ქალაქში მე ერთადერთი ქართველი ვარ – და ასეთი მდგომარეობა უფრო მიჭირებს საქმეს. ყველასთვის უცხო ვარ. იანვრიდან უნივერსიტეტში ვაპირებ დროებით (მაისამდის) ჩაწერას და ამისთვის ფულია საჭირო – მაშ მოგმართავთ გამიწიოთ მატერიალური დახმარება ასეთ კრიტიკულ მომენტს.

ჩემს მდგომარეობას დაამოწმებს ბატონი დათიკო ავალიანი და ბ-ნი ბართლომე მოსეშვილი“...

ეს წერილი – თხოვნა, ისევე როგორც ადრინდელი განცხადებანი, დ. გურეშიძის თქმით, ქუთაისის ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოებას“ დაუკმაყოფილებია.

ბარემ აქვე ვთქვათ, რომ 1907 წელს ქუთაისის მოწინავე ინტელიგენციის თაოსნობით დაარსებული ეს საქველმოქმედო ორგანიზაცია, მიუხედავად ხელმოკლეობისა, ბევრ ნიჭიერ ახალგაზრდას უმართავდა ხელს.

ამჯერად თქვენი ყურადღება მინდა მივაპყრო კონსტანტინე გამსახ-

ურდიას ორ წერილში დასახელებულ პიროვნებას, „ქუთაისის ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოებისა“ და ქართველი სტუდენტის სწორით ალჭურვილ პირს — დავით ავალიანს.

ჩემს ოჯახში ინახება კონსტანტინე გამსახურდიას კენიგსბერგიდან ქუთაისში გამოგზავნილი ღია საფოსტო ბარათი, რომლის ადრესატი დავით ავალიანია.

საქმე ის არის, რომ დავით ნიკოლოზის ძე ავალიანი ბაბუაჩემი გახლდათ; შვილიშვილების დაბადებას იგი არ მოსწრებია.

ჩემს ხელთ არსებული მეტად ღარიბული არქივის მეშვეობით, შემიძლია ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ ამ მივიწყებულ მწერალსა და უჩინარ მოღვაწეზე (ბაბუა გარდაცვლილა 1932 წელს, ბებიას მისი არქივი გადაუცია ქუთაისის მწერალთა კავშირის მაშინდელი თავკაცის დია ჩიანელისთვის. ბევრ სხვა თვალსაჩინო ინტელიგენტთან ერთად, 1937 წელს ემსხვერპლა დავით ჩხეიძეც და, რა თქმა უნდა, მთელი მისი არქივიც).

დავით ნიკოლოზის ძე ავალიანი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის აქტიური წევრი (1903-21 წწ.) მოღვაწეობდა ქუთაისის ბევრ კულტურულ-საგანმანათლებლო თუ საქველმოქმედო საზოგადოებაში („ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“, „ქუთაისის ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოება“ და სხვ.), 1906 წლიდან ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობის გამგეობის მდივანი იყო; 1897 წლიდან მისი წერილები, ნარკვევები, თარგმანები და თეატრალური რეცენზიები სისტემატურად იბეჭდებოდა ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში; წერდა ლექსებს, თარგმნიდა საყმაწვილო მოთხრობებს.

როგორც ჩანს, დავით ავალიანი იყო ის პირი, რომელსაც ჰქონდა მინდობილი კონსტანტინე გამსახურდიასათვის ფულის გაგზავნა. იმ დროისთვის დავით ავალიანი 37 წლის უნდა ყოფილიყო. ალბათ ამით იყო გამოწვეული, რომ ახალგაზრდა სტუდენტი ადრესატს თქვენობით მიმართავდა: „ძ. (მაო) დათიკო! დღეს წერილი მოგწერეთ, სადაც გწერდით ჰაიდელბერგში მივდივარ მეთქი, მარა ჯერ მიხაკოს ადრესი არ მიმიღია იქიდან, ველი, მერე კიდევ ერთ ორ თვეს აქ ჩავუჯდები, ლაპარაკს ვისწავლი, თორემ პირდაპირ საშინელებაა აქ უენობა. პირუტყვს ემზგავსები. თუმცა თეორიულათ ვიცი იმდენი, რომ ნიცშეს ზოგ ალაგს თავისუფლათ ვთარგმნი, მარა თეორიული ცოდნა სხვაა და პრაქტიკული კიდევ სხვა: ამ თვალდავსებულ რუსების რო არსად არაფერი არ ესმით, ცოტა ვიცოდი მეგონა გერმანული და მუნჯი ვარ; მაშ აქ ვაპირობ ორი თვით. ფული ისევ შანიძის ადრესით და თქვენ თუ არ

დაგეზარებათ და ერთ-ორ სიტყვას მომწერთ აი მისამართი:

Königsberg. (Preusen) Германия. Bessel Strasse. q. Blok. Nem. Stud. Gamsachurdia".

უეჭველია, რომ დავით ავალიანის არქივში კონსტანტინე გამსახურდიას სხვა წერილებიც იქნებოდა. ამ ბარათშიც ხომ ვკითხულობთ – „დღეს წერილი მოგწერეთო"... სამწუხაროდ, ოჯახში მხოლოდ ეს ბარათი შემოგვრჩა, დანარჩენებმა კი უთუოდ დია ჩიანელის არქივის ბედი გაიზიარა.

წერილი დათარიღებული არ არის, თუმცა სავარაუდო თარიღის მიკვლევა ადვილია: ის დაწერილი უნდა იყოს ოქტომბრის თვეში.

გავიხსენოთ, რომ კენიგსბერგში კ. გამსახურდია ოქტომბრის დასაწყისში ჩავიდა; ამ ბარათში დ. ავალიანს „სიმუნჯეს" შესჩივის და ატყობინებს, რომ ერთ-ორ თვეს აქ გაჩერდება და გერმანულში კარგად გაიწაფება. დ. გურეშიძის მიკვლეულ III წერილში (1912 წლის 26 ნოემბერი) კი ნათქვამია – „აგერ მეორე თვეა ევროპის – აღმოსავლეთ გერმანიის – ქალაქ კონიგსბერგში ვიმყოფები, ... ახლა უკვე ენა ასე თუ ისე შევითვისეო".

ამრიგად, ბარათი 1912 წლის ოქტომბრით უნდა დათარიღდეს.

მთავარი პრობლემა, რაც გერმანიაში ახლად ჩასულ ჭაბუკ მწერალს აწუხებდა – გერმანულის არცოდნა იყო.

კონსტანტინე გამსახურდიას კორესპონდენციაში „წერილები გერმანიიდან", რომელიც გაზ. „იმერეთში" დაისტამბა 1913 წელს, კვლავ ხაზგასმულია ეს გარემოება: „სამი თვე ვცხოვრობდი ჩრდილოეთ პრუსიის ერთ მოზრდილ ქალაქში. უცხოეთში ყოფნას ჯერ მიჩვეული არ ვიყავი. ცალკე ჩემი ქვეყნის ცის ხილვის წყურვილი, ცალკე ის გარემოება, რომელიც შეხვდება იქ ენის უცოდინარ კაცს – მით უფრო იმ ქალაქში, სადაც ერთი ქართველიც არ იყო. ...სადაც მუნჯივით დავხეტიალობდი პირველი ორი თვის განმავლობაში".

ცხადია, ახალგაზრდა სტუდენტს გული გერმანიის იმ ქალაქებისკენ მიუწევდა, სადაც ქართველები ეგულებოდა: ბარათიდან ჩანს, რომ ჰაიდელბერგში აპირებს გამგზავრებას, მაგრამ ჯერ მიხაკოს მისამართი არ მიუღია.

ეჭვი არ არის, რომ წერილში ფამილარულად, გვარის გარეშე მოხსენიებული „მიხაკო" ადრესატის ახლო ნაცნობიც უნდა ყოფილიყო. და მართლაც, დავით ავალიანის „მოკლე ავტობიოგრაფიაში" ერთი ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტი ამოვიკითხე: „1895 წლიდან ვხელმძღვანელობდი კლასიკურ გიმნაზიაში დაარსებულს მოწაფეთა არალეგალურ წრეს: ვიყავი წიგნთსაცავის გამგე და ჟურნალების ჯერ „ოპოზიცია"-სი და

შემდეგ „სხივი“-ს რედაქტორი და ჰექტოგრაფზე მბეჭდავი. ჟურნალებში, სპკაია შორის თანამშრომლობდნენ: სიმონ ავალიანი (აწ განსვენებული პროფესორი), დ. უზნაძე (ამჟამად პროფესორი), სერგო და პეტრე ქავთარაძეები, საბა კლდიაშვილი (აწ განსვენებული პრივატ-დოცენტი, 1905 წლის რევოლუციის დროს დაღუპული ოდესაში), მიხაკო წერეთელი (Báton), პავლე საყვარელიძე და სხვ.“

ცნობილი ქართველი მეცნიერი, ფილოლოგი, ორიენტალისტი, პუბლიცისტი მიხეილ (მიხაკო) გიორგის ძე წერეთელი (ფსევდონიმები – Báton, მ. სანგალა) ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ კიევის უნივერსიტეტში სწავლობდა. 1899 წელს იგი გაირიცხა, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო. ცხოვრობდა დასავლეთ ევროპაში: პარიზში, ჰაიდელბერგში, ბრიუსელში, ბერლინში, მიუნხენში; მოგვიანებით – ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი იყო, მანამდე კი ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში ასირიოლოგიაში დასპეციალდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ამ დროს სურდა კონსტანტინე გამსახურდიას ჰაიდელბერგს გამგზავრებაც.

მიხაკო წერეთელი გარდაიცვალა მიუნხენში, 1965 წელს (იხ. გ. იმედაშვილის წერილი, ქსე, ტ. XI, 1987 წ., გვ. 308).

გერმანიაში ყოფნის პირველ ხანებში კ. გამსახურდია კვლავ ნიცშეთია გატაცებული. მოგვიანებით იგი წერდა: „ნიცშეთი გატაცებამ მომცა პირველი ბიძგი გერმანული ენის შესწავლის საქმეში. მე უკვე ქუთათურ ქართულ გიმნაზიაში ყოფნის დროს ისე კარგად ვიცოდი ეს ენა, „აგრე იტყოდა ზარატუსტრა“-ს პირველი თავები იმ ხანებში ვთარგმნე“ („ლანდებთან ლაციცი“).

არა მგონია, ამ სიტყვებში დიდი გადაჭარბება იყოს, თუმცა სალაპარაკო გერმანულის სუსტი ცოდნა ძლიერ აღონებდა ახალგაზრდა სტუდენტს – „თეორიულათ ვიცი იმდენი, რომ ნიცშეს ზოგ ალაგს თავისუფლად ვთარგმნიო“ – წერდა დ. ავალიანს.

კიდევ ერთი კომენტარი მინდა შემოგთავაზოთ სიტყვებზე – „ამ თვალდავსებულ რუსების რო არსად არაფერი ესმითო“... აღმოსავლეთი პრუსიის ქალაქი კენიგსბერგი უშუალოდ ესაზღვრებოდა რუსეთის უკიდეგანო იმპერიას, რომლის ყველაზე მიკარგულ განაპირა გუბერნიებშიც კი სხვა ეროვნების ხალხმა, ასე თუ ისე, ძალდატანებით თუ ნებაყოფლობით, იცოდა რუსული ენა. როგორც ჩანს (და ეს ალბათ ბუნებრივია), დამონებული ქვეყნის შვილს – ოციოდე წლის ჭაბუკს გაუკვირდა, რომ უზარმაზარი იმპერიის მეზობლად მდებარე ქვეყანაში რუსულის ცოდნა ზედმეტი ბარგი აღმოჩნდა, რუსული აღმოსავლეთ პრუსიაში არავინ იცოდა.

დრონი მეფობენ და არა მეფენიო... დღეს რსფსრ-ს კალინინგრადის

ოლქში (მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1945 წელს, პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილებით, აღმოსავლეთ პრუსიის თითქმის მესამედი კენიგსბერგითურთ სსრკ-ს შეუერთდა) ალბათ გერმანულის მცოდნე არის სანთლით საძებარი...

კონსტანტინე გამსახურდიას წერილზე საუბარს ამით დავასრულებდი, თვით საფოსტო ბარათი რომ არ იყოს ღირსშესანიშნავი. მასზე გამოხატულია გერმანელი მხატვრის ფრანც შტუკის „ომის" ფერადი რეპროდუქცია, არშიაზე კონსტანტინე გამსახურდიას მიუწერია „ომის გენია!"

ეს სურათი (შავ, ურჩხულის მსგავს ცხოველზე ამხედრებულ, დაკუნთულ, ცალი ხელით დოინჯშემოყრილ შიშველ მამაკაცს მეორე ხელში მხარზე გადებული გრძელი მახვილის ვადა ჩაუბღუჯავს, თვალი სივრცისთვის გაუშტერებია და შემზარავი „ცხენის" ფლოქვებით გათელილი, შიშველი, ტანჯული მამაკაცების გროვაზე ამაყად შემართული მიაბიჯებს) ფრანც-ფონ შტუკის — გერმანელი სიმბოლისტი მხატვრის (1863-1928წწ.) — ალეგორიულ-მითოლოგიური ტილოა. ოფიციალური აკადემიური. ხელოვნების მოწინააღმდეგე, ძირითადად თვითნასწავლი ფ. შტუკი მოდერნისტული სტილის წინამორბედ მხატვართა ჯგუფის „მიუნხენის სეცესიონის" დამაარსებელი იყო. მის ნახატთა უმრავლესობა, მათ შორის ზემოხსენებული „ომიც", გაშიშვლებული სიმბოლიკის, მკვეთრი ბრუტალიზმისა და აკადემიური ნატურალიზმის ნაზავია.

„ომი" მიუნხენში, ბავარიის სახელმწიფო კოლექციაშია დაცული. უეჭველია, რომ კონსტანტინე გამსახურდიამ მიუნხენში ყოფნისას „ომის" დედანიც იხილა და შტუკის სხვა ნახატებიც.

ნიშანდობლივია, რომ შტუკის სახელი მის მხატვრულ შემოქმედებაშიც გვხვდება აქა-იქ.

ორიოდე მაგალითს დავჯერდები:

თარაშ ემხვარის „დონჟუანური სიის" ერთ-ერთ დიაცზე ანნა-შარია ფესტენერზე ნათქვამია: „ფრანც შტუკის ნიმფებისა და რუბენსის ქალების ხორცი მახელებდა ფესტენერის ქალის სხეულში" („მთვარის მოტაცება").

მხატვარმა ვახტანგ ურდოელმა „ეს ქალი... მიუნხენელი მხატვრების გამოფენაზე შენიშნა. ფრანც შტუკის სურათს უჭვრეტდა" (დაუმთავრებელი რომანი „ევროპა გალიაში").

ან კიდევ, ფრაგმენტი ეტიუდიდან „კნუტ ჰამსუნი":

„ერთმა ცნობილმა ბერძენმა ეპიგრამისტმა იობუნჯა ერთ უმგვანო, მახინჯ ადამიანზე:

„ვინ დაგხატავს შენ, როცა შენი შემოხედვაც არავის უნდაო".

რომელიმე თანამედროვე ფრანც შტუკი კი — ეტყოდა იმავე მახინჯს:

იყავ უხამსი, უშნო ახმახი, მე მაინც დაგხატავ. დეე, ნურავინ შემოგხედავს, მე გხატავ იმდენად კი არა, რამდენადაც იგი შენი სატკივარია, არამედ, რამდენადაც იგი ჩემი ხელოვნების დამამტკიცებელია".

მაგრამ სიტყვა გამიგრძელდა. მოკლედ მოვჭრი: უმთავრესი, რაც დიდმა ქართველმა მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ ევროპაში ღრმა ცოდნასთან ერთად შეიძინა (სწავლობდა ლაიფციგის, მიუნხენის უნივერსიტეტებში, დაამთავრა ბერლინის უნივერსიტეტი 1919 წ.), იყო კიდევ უფრო გამძაფრებული ეროვნული ღირსებისა და სამშობლოს სიყვარულის მწველი განცდა.

დღეს გვაოცებს 21 წლის ჭაბუკის ბრძნული, დადინჯებული მოსაზრებანი, გამოთქმული 1913 წელს გაზ. „იმერეთის" ფურცლებზე:

„გერმანელთა ცხოვრებაში ბევრი ნაკლოვანება შევამჩნიე: გაუთლელობა, წვრიმალობა, წრეს გადასული ფორმალისტობა, მაგრამ იმავე დროს ბევრი ისეთი თვისება შემინიშნავს გერმანელების ხასიათში, რაც ბევრჯერ მინატრია ჩემი ერისათვის.

ესენია: მოვალეობის მტკიცედ ასრულება, ეროვნული თავმოყვარეობა, საკუთარი ძალღონის იმედი, თუმცა ხშირად გადაჭარბებული, მაგრამ მაინც ღირსი მიბაძვისა და პატივისცემისა.

...ყოველი ერი, რომელსაც სიცოცხლე სწყურია, თავმოყვარეა, ყველა სცდილობს არსებობისათვის ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდეს. ნურავისა აქვს იმის იმედი, რომ მეზობლის ქურქი გამათბობსო.

ამას ცხადად მოწმობს ევროპის ისტორია და რაღა ევროპისა, მარტო ის მეხი, რომელიც წარსულ საუკუნეში ჩვენს მამა-პაპას თავს დაატყდა...

...ვაი, იმ ერს, რომელსაც ეროვნული თავმოყვარეობა არა აქვს, იგი მუდამ სხვისი საწველი ფური იქნება და ჩამორჩენილი — იმ დიად მიზანს, რომლისკენაც მთელი კაცობრიობა და ყოველი ერი ცალ-ცალკე მიისწრაფის".

1989 წ.

„ხალხის წინაშე მე ვიქნები მუდამ მართალი"

დღეს მხოლოდ ხანდაზმულებს თუ ემახსოვრებათ ცოცხალი პაოლო იაშვილი — გამორჩეული პოეტი-ნოვატორი, ცისფერყანწელთა ძმობის „გვირგვინი და მშვენება", ადამიანებთან ურთიერთობის იშვიათი ნიჭითა და უნარით დაჯილდოებული, ახოვანი, ლამაზი, უებრო მჭევრმეტყველი, კონ-

ფერანსიე, თამადა, მონადირე; საჭიროებისას – იარაღით ხელში დამოუკიდებელი საქართველოს დამცველი, სხვა შემთხვევაში, კლავე თოფმომარჯვებული, მე-11 არმიის მომლოდინე, შიშით გათანგულ თბილისში წესრიგისათვის, მოსალოდნელი სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად შემართული; მშვენიერ ქალთა მოტრფიალე და უნაზესი მამა და მეგობარი, „ცისფერი ძმების“ და მათ ახლობელთა ულალატო ავთანდილი, შემწყნარებელი და ჩხუბისთავი, ამაყი და თავმდაბალი, არტისტი და მისტიფიკაციების დიდოსტატი, ყველას – უბრალოსა და ბრალიანის, ბრუნდისა და მართლის უანგარო შემწე და ხელის გამმართავი; ორდენოსანი და ამიერკავკასიის ცაკის წევრი, გაშინაურებული „ამა ქვეყნის ძლიერებთან“ და თბილისის მათხოვრების დამხმარე და გულშემატკივარი; სიცოცხლით სავსე და სავსე სიცოცხლის მწყურვალი, მარტოობის სევდით, უეცარი კაეშნით შეპყრობილი და სამსხვერპლო მოზვერს მინამგვანი... და ვაჟკაცი, ნამდვილი ვაჟკაცი სიცოცხლეშიც და სიკვდილშიაც...

„ხალხის წინაშე მე ვიქნები მუდამ მართალი“ – დაწერა და შეასრულა კიდეც დანაქადნები.

სიტყვა რომ დავუთმოთ მის თანამედროვეთ, წარმოგვიდგება „ლამაზი, შავგვრემანი, ბრინჯაოსავით ჩამოსხმული, რიხიანი, ალერსიანი“, „Бронзово-твердый и все же сердечный“, „სულით მეამბოხე და გულგაშლილი“ პოეტი, „მუდამ მოზეიმე სიცოცხლით სავსე, სიხარულისა და აღტაცების მომგვრელი ყველასათვის“.

„დაბადებით მეთაური იყო და ამ მეთაურობას ის კი არ ეძებდა, „მეთაურობა“ მასთან თავად მიდიოდა“.

„Большой человек, с кругозором широким, с отточенной мыслью, с культурою чувств, сквозь которую видится стать отчеканенной выдержки. ... В нем поэт и общественный деятель слиты“.

პაოლო „სიტყვით როდი იყო პატრიოტი!“ „Трудно ...найти поэтов, которые так любили свою родину, как они“ (იგულისხმებიან პაოლო და ტიციანი).

კაცთმოყვარე, გულითადი და ალერსიანი, გულღია და გულუხვი – ასეთი იყო პაოლო იაშვილი: „ადამიანებისადმი სიყვარულში მან არ იცოდა ზომა: დაივიწყებდა საკუთარ თავს, ...ღონედ განსაცდელსა და გაჭირვებაში მყოფთათვის ხელი გაეწვდინა“. „ პაოლო თავის პოეტურ დროს და ენერგიას სხვისი გულისთვის ძალაუნებრივ ხარჯავდა ათას წვრილმანებში. ყველას მზრუნველი, შუამავალი და მოფუსფუსე ...ხშირად თვეობით ვერ ეკარებოდა თავის საწერ მაგიდას“.

„ნალმიანი სიტყვის პოეტს“ თან სდევდა „უცნაური პოეტური ატ-

მოსფერო"; „Когда я думаю о Яшвили, городские положения приходят в голову, комнаты, споры, общественные выступления, искрометное красноречие Яшвили на ночных многолюдных пирушках. ...Одаренность сквозила из него. Огнем души светились его глаза"... „მის ტალანტს ყოველთვის უხაროდა ახალი პოეტური ნიჭის გამოჩენა და მასთან ახლო კავშირის დამყარებაც იცოდა". როცა პაოლო იაშვილი თანატოლ პოეტებში გაერეოდა, „ახალგაზრდული დაუდგრომელი ენერგია ამოძრავდებოდა და კალაპოტში დგებოდა". შემდეგში „რაღაც მამობრივ მზრუნველობას" იჩენდა ახალგაზრდა პოეტებისადმი.

პაოლოს „რატომღაც უყვარდა ჭკუაშერეკილებთან და მათხოვრებთან საუბარი. ...სევდა რაღაც მოუხელავზე მისთვის უცხო როდი იყო". ხიბლავდა არტისტული პოზა, მრავალი ნიღაბიც მოისინჯა ნიღაბთა თეატრის მსახიობის მსგავსად, ჩქარობდა, თითქოს გრძნობდა, რომ მოხუცება არ ეწერა. „Жаром испытанного было обожжено ...его лицо, так что он казался старше своих лет, человеком потрепанным, пожившим".

პოეტის თანამედროვეების – ირაკლი აბაშიძის, შალვა აფხაიძის, სერგო კლდიაშვილის, გიორგი ლეონიძის, კოლაუ ნადირაძის, გერონტი ქიქოძის, ანდრეი ბელის, ილია ერენბურგის, ბორის პასტერნაკის მოგონებათა ზემოთმოყვანილი ფრაგმენტებიც კი გვაფიქრებინებს, რომ პაოლო იაშვილის სახით, ჩვენ საქმე გვაქვს არა მხოლოდ პოეტთან – ლიდერთან, არამედ ფრიად საინტერესო პიროვნებასთან, განსაკუთრებული ინტიმურ-საზოგადოებრივი პროფილით. წარმოდგენილი ავტორები – ბრწყინვალე ქართველი და რუსი მწერლები პოეტის მეგობრები და მისი შემოქმედების ჩინებული მცოდნენი იყვნენ. ამიტომაც ახლავს მათ მოგონებებს განუმეორებელი ინტიმიც და მხატვრული ხიბლიც.

გამომცემლობა „მერანი" საიუბილეოდ პირველად შესთავაზებს ქართველ მკითხველს ცალკე წიგნად აკინძულ მოგონებებს პაოლო იაშვილზე. არის მემუარებში რაღაც – ანდამატივით მიმზიდველი ნარგვარ ინტერესთა მქონე მკითხველისათვის: ეს თვითმხილველის, წარსულის ამბების უშუალო თანამონაწილის დაკვირვებული თვალია; თუ ეს თვალი დიდი მწერლისაა, მოგონებები მხატვრული ძალმოსილებითაც გვხიბლავენ.

ზემოხსენებულ ავტორთა მოგონებები ძირითადად 60-იანი წლების დასაწყისში, ე.წ. „გამოდარების" წლებში გამოქვეყნდა, მაგრამ დღეს, ფასეულობათა გადაფასების ჟამს, მაინც გასათვალისწინებელია იმდროინდელი მკაცრი ცენზურა. ფაქტებისა და მოვლენების გარკვეული „შელამაზების" გარეშე. ეგების ეს მოგონებები თავის დროზე არც კი დაბეჭდილიყო.

ამჯერად მინდა შევეხო ისეთ საჭოთირო საკითხს, რომელიც, დღეს

სრულიადაც აღარ არის „სახიფათო". პაოლოს სახელთან დაკავშირებულ ლეგენდას, რომლის გაქარწყლებას ფრიად დაურიდებლად შეეცადა მაშინ უკანასკნელი ცოცხალი ცისფერყანწელი, 95 წლის „ესთეტ-ბუნტარი" (მისივე სიტყვებია) კოლაუ ნადირაძე.

ორიოდე სიტყვა ამ მოარულ და წიგნიდან წიგნში მოჯირითე ლეგენდაზე: თეთრ ცხენზე ამხედრებული პაოლო იაშვილი აღფრთოვანებით შეეგება მე-11 არმიას თბილისის შემოგარენში (ზოგი ვარიანტით — შემოუძღვა კიდეც დედაქალაქში); იმავე დღეს, ქალაქის თვითმმართველობის აივნიდან წარმოსთქვა მხურვალე მისალმება და ექსპრომტი „ახალ საქართველოს".

— „ბატონო კოლაუ, ამბად დადის, თითქოს პაოლო იაშვილი, თეთრ ჩოხაში, თეთრ ცხენზე ამხედრებული შეეგება წითელი არმიის შემოსვლას თბილისში?

— ჰმ, რას ამბობთ, ღმერთო ჩემო, რას არ მოიგონებენ, მონაჩმახია და მეტი არაფერი!" (ინტერვიუ ნინო ჩხიკვიშვილისა, 1990).

ისე როგორ გაეკადნიერდები, რომ საყვედური ვაკადრო რომელიმე ავტორს. დარწმუნებული ვარ, რომ ოციანი წლების ბოლოსა და ავბედით ოცდაათიან წლებში, ოფიციალურ შეკრებებზე, თვით პაოლოც კი არ უარყოფდა ამ ლეგენდას, პირიქით — თავის გადასარჩენად გამოიყენებდა.

ლეგენდა უსაფუძვლოდ არ ჩნდება: იგი დაიბადა, რათა პაოლოს, ტიციანის, მიხეილ ჯავახიშვილისა და სხვათა რეაბილიტაცია დაჩქარებულიყო; მათი თხზულებების ხელახალ პუბლიკაციას ხელი არ შეშლოდა; დაიბადა იმისთვისაც, რომ სოციალისტური რეალიზმის „ადეპტებს", „პროლეტარული" წარსულის მქონე ზოგიერთ მწერალსა თუ კრიტიკოსს, რომელთაც, გადაუჭარბებლად, თავის დროზე სისხლი გაუშრეს ცისფერყანწელებს, ახლა მყარი, „იდეოლოგიური" საყრდენი დასჭირდათ, რათა ქება-დიდება შეესხათ რეაბილიტირებული მწერლებისთვის და, შედროკის წესისამებრ, „გამოდარების" პერიოდისათვის აეწყოთ ფეხი.

ლეგენდა დაიბადა იმის გამოც, რომ მას პაოლოს შეგნებული პოზიცია (კომპრომისული, სამშვიდობო, მოსახლეობის ფიზიკურად გადამრჩენი) ედო საფუძვლად.

რატომღაც სათანადო ყურადღება არ ექცევა იმ გარემოებას, რომ საქართველოს ანექსიას არ მოჰყოლია ქართველ, თუნდაც აშკარად ანტისაბჭოურად განწყობილ მწერალთა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ემიგრაცია. საქართველოს ხელოვანთა ელიტა სამშობლოში დარჩა — პოლიტიკური თუ სამხედრო „ზედა ეშელონებისაგან" განსხვავებით. გულუ-

ბრყვილობა იქნებოდა ამის მატერიალური ხელმოკლეობით ან პოლიტიკური სიპასიურ-ანტიპათიით ახსნა – აქ, უწინარეს ყოვლისა, პატარა ქვეყნის შვილთა ეროვნული ფესვების სიმძლავრეა ღირსსაცნობი.

წარსულს თუ გადავხედავთ, უნდა გავიხსენოთ, რომ სარბიელზე ახლად გამოსული ქართველი „სიმბოლისტები", რომელთაც, ფრანგ წინამორბედთაგან განსხვავებით, სამშობლოს კულტი დაამკვიდრეს იმთავითვე, – არჩილ ჯორჯაძისა და კიტა აბაშიძის ზეგავლენით, დიდ სიმპათიას ამჟღავნებდნენ ფედერალისტების მიმართ, ხოლო სოციალ-დემოკრატიას ანტიეროვნულ ძალად მიიჩნევდნენ. მიუხედავად ამისა, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას დიდი აღტაცებით შეხვდნენ და არასოდეს გამოუხატავთ აშკარა პროტესტი მენშევიკური მთავრობის მიმართ. პირიქით, როცა საჭირო შეიქნა, საბრძოლველად წავიდნენ ბათუმის დასაცავად. პაოლოც და სხვა ცისფერყანწელებიც, იმავდროულად, გიმნაზიის მერხიდანვე პირადად იცნობდნენ და მეგობრობდნენ კიდეც რამდენიმე ცნობილ ბოლშევიკთან.

ყოველივე ამის ლოგიკური შედეგი იყო პაოლო იაშვილის გადაწყვეტილება – სხვებთან ერთად რაზმები შეედგინა და ბედის ანაბარად მიტოვებული ქალაქისათვის შეძლებისამებრ ეპატრონა, დაეცვა უმწეო მოსახლეობა ქურდებისა და ბანდიტებისაგან და, თუ შესაძლებელი იქნებოდა, მე-11 არმიის უსისხლო, მშვიდობიანი შემოსვლისათვის ეზრუნა. სწორედ ამაზე მოგვითხრობს ორიოდე მიუკერძოებელი თვითმხილველი. ამგვარ „შეულამაზებელ" ცნობას პირველად ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულ პატარა ბროშურაში („1921 წლის 25 თებერვალი", ავტორი ლევან მეტრეველი, გამოცემის წელი, თუ არ ვცდები – 1925) წავაწყდი: თბილისში სრული განუკითხაობა, შიში და პანიკა სუფევდა, კოჯრის მისადგომებთან კანონადით დამფრთხალი ნახირი ქალაქის ქუჩებში უპატრონოდ, ზმუილით დაეხეტებოდა, აშკარა იყო მორიდიორობის საფრთხეც. სწორედ ასეთი „პროზაული" ამბების წინააღმდეგ საბრძოლველად შექმნილ მოქალაქეთა ცხენოსან რაზმს მეთაურობდა ნაბადმოსხმული, სანადირო თოფით შეიარაღებული პაოლო.

ანალოგიურია მეორე თვითმხილველის თამარ წულუკიძის მოგონება: მისმა ოჯახმა ვერ მოასწრო გახიზნვა; როცა დილაადრიან სადგურიდან სახლში ბრუნდებოდნენ, თითქოსდა ჩამკვდარ და შიშისმომგვრელ ქუჩაში შემოხვდათ ქალაქში წესრიგის დამცველ მოხალისეთა ცხენოსანი რაზმი, პაოლო იაშვილის მეთაურობით. ავტორის დედა, მსახიობი ბარბარე წულუკიძე კარგად იცნობდა პაოლოს, რომელმაც დედა-შვილს

სახლამდე მცველად ერთი ახალგაზრდა გააყოლა.

ირაკლი აბაშიძესაც 1991 წლით დათარიღებულ მოგონებაში აღნიშნული აქვს პაოლოსა და ტიციანის კეთილი როლი თბილისში თებერვლის დღეებში წესრიგის დამყარების საქმეში.

ეს სინამდვილეა, ხოლო ზემოხსენებული საბჭოური ლეგენდა – კონიუნქტურული ფანდი.

თებერვლის იმ ავადმოსაგონარ ცივ ღამეს პაოლო თანამოქალაქეთა სიმშვიდესა და ღირსებას იცავდა. და ეს არ იყო თავის გადარჩენის ჟესტი, ეს მისი ვაჟკაცური, დაუდგრომელი ბუნების კიდევ ერთი გამოვლენა იყო.

გაუგებრობისა თუ შეგნებული ფალსიფიკაციის ნაყოფია ისიც, თითქოს ექსპრომტი „ახალ საქართველოს“ პაოლოს 1921 წლის თებერვლის მიტინგზე წარმოეთქვას. ზაურ მეძველიამ მიაკვლია, რომ ლექსი 1921 წლით კი თარიღდება, მაგრამ საგანგებოდ დაიწერა პირველი მაისისათვის, ხოლო გამოქვეყნდა იმავე წლის ზაფხულში, სათაურით „წითელ საქართველოს“.

ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველ მწერალთა დიდმა უმრავლესობამ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა... მათ შორის იყო პაოლოც.

მრავალი წლის მანძილზე მიჩქმალული იყო ის ფაქტი, რომ 1924 წლის აჯანყების შემდგომმა ტერორმა იმსხვერპლა პაოლოს უმცროსი ძმა... ბევრი მემუარისტი იგონებს პაოლოს უეცარ გარინდებას და კაშკაშა გამოხედვას, ანდა ჭარმაგი მამამისის – ჯიბრაელის – ენამზიანი თამადის – სეფდაჩამდგარ თვალებს... მიზეზს კი არ ასახელებენ. ნიშანდობლივია ისიც, რომ 1924 წლიდან პაოლოს ერთხანს მწვავე შემოქმედებითი უნაყოფობა შეეყარა...

ახალგაზრდა მკითხველს უთუოდ ისიც ეხამუშება, რომ მემუარისტთა ერთი ნაწილი – დახვეწილი გემოვნების პოეტები, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ პაოლოს ვითომდა შემოქმედებითი აღმავლობის მანიშნებელ ე.წ. „აღმშენებლობით“ ლექსებს, სწორედ ისეთებს, მიუხედავად პოეტის სიწრფელისა, მხატვრული სრულყოფილებით რომ ვერ დაიკვეხნიან. ესეც, რა თქმა უნდა, სავალალო იდეოლოგიური ხარკია.

უეჭველია, რომ პაოლო დიდი სიხარულით შეეგება რიონჰესის, სამგორის მშენებლობებს თუ კოლხეთის ჭაობების ამოშრობას, ნაკადგურებისა თუ კურორტების აღორძინებას, მაგრამ მისი მხატვრული პალიტრა ვერ „შეეწყო“ ამგვარ თემატიკას.

მან დიდი ამაგი დასდო რიონჰესს მუშახელის მოზიდვით თუ ხანგრძლივი მოსკოვური მიელინებებით; სამგორის მშენებლობით გატაცებულმა თავის მონადირე ძაღლს „სამგორი“ დაარქვა; ციებისაგან გადარჩენილი კოლხების ბედი სიხარულით ავსებდა, მაგრამ ამ მოვლენათა სრულყოფილ მხატვრულად განსახოვნებას (რასაც მისგან დაჟინებით მოითხოვდ-

ნენ) მხოლოდ თითო-ორიოლა ლექსში თუ მიაღწია...

კომენტარს საჭიროებს პაოლოს პიროვნული ბუნებისა თუ მხატვრული ხელწერისათვის მიუღებელი ლექსი „ანდრე ჟიდს — მოღალატეს“, რომელიც უთუოდ ზემდგომი ინსტანციების მითითებით და, ვინ იცის, თავის გადარჩენის მიზნითაც დაიწერა. ამაზე მოგვითხრობს ირაკლი აბაშიძის „ზარები ოცდაათიანი წლებიდან“.

ოდესღაც სიცოცხლის, სიკეთის, სიყვარულის, სილამაზის მეხოტბე პოეტმა ველარ გაუძლო იმ წუმპეს, საითკენაც მიეწეოდნენ; კაენის აღზევებული სული ზვავივით მოიწევდა...

ფრთებმოკვეცილ პოეტს აღარ შეეძლო „აფრის ტკაცუნივით“ ვაჟკაცური გაქროლება, მაშ რაღა დარჩენოდა!

მზიურმა პაოლომ თავისი ხელით დაიბნელა მზე.

1995 წ.

ელენე დარიანის მითი

„ერთმა თანამედროვე პოეტმა გამოიგონა
ელენე დარიანის მითი“

ვალერიან გაფრინდაშვილი
(„მოცნებე ნიამორები“, 1922 წ.)

ელენე დარიანი „გამოგონილი“ პოეტია. მისი სახელი პირველად 1915 წლის აგვისტოში გამოჩნდა: ქუთაისის გაზეთი „სამშობლო“ იტყობინებოდა, ელენე დარიანის ლექსების დაბეჭდვა მერმისისთვის გადაიდოო (1915წ., №159). „სამშობლოში“ ეს ლექსები არ დაბეჭდილა. ელენე დარიანის „გამომგონებელმა“ პაოლო იაშვილმა ისინი პირველად გალაკტიონის სალიტერატურო საღამოზე წაიკითხა 1915 წლის 20 სექტემბერს, ქუთაისის თეატრში. მონაწილეთა შორის „სამშობლო“, გალაკტიონის გარდა, ასახელებდა ვალერიან გაფრინდაშვილს, შალვა დადიანს, ვარლამ რუხაძეს და, როგორც ორ განსხვავებულ პიროვნებას — ელენე დარიანსა და პაოლო იაშვილს. სათავე დაედო იმ მისტიფიკაციას, რომელიც წლების მანძილზე საგონებელში აგდებდა მკითხველ საზოგადოებას.

ელენე დარიანის ნატიფი და თან იმ დროისათვის საოცრად „ეროტიკული“ ლექსებით წარუდგა პაოლო იაშვილი საზრგადოებას. ცისფერყანწელთა გარდა, მაშინ ეჭვიც კი არავის ეპარებოდა, რომ ელენე დარ-

იანის სახელს პაოლო იაშვილი ეფარებოდა (მისი მიზანიც ხომ ეს იყო).

„დარიანულ“ ლექსებს დამსწრეთა გაოცება და აღშფოთება გამოუწვევია: „პ. იაშვილმა წაიკითხა ქართველი ქალის, ელენა დარიანის ლექსები, რომელთაც საზოგადოება გააკვირვეს თავისი საოცრებით და გაბედულობით. ამ ლექსების კითხვის დროს რამდენიმე ქალი თეატრიდან გავიდაო“ – იუწყებოდა თბილისის ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ (1915 წ. №40).

ელენე დარიანის ეს ლექსები დაიბეჭდა ქუთაისის გაზეთ „მეგობრის“ ნოემბრისა და დეკემბრის ნომრებში. ესენია – „ძახილი“, „ჩემი თავადი“ (1915 წ., №33) და „ზამთარში“ (№62).

გალაკტიონის საღამოზე პაოლო იაშვილს წაუკითხავს მოხსენებაც – „სამშობლოს გარეთ ომის დროს. პარიზი. ლონდონი. ჩრდილოეთი. იმპრესიონისტული შთაბეჭდილებანი“ („სამშობლო“, 1915 წ., №177).

დამსწრეთათვის მოხსენებაც ისევე მოულოდნელი და უცნაური ყოფილა, როგორც ელენე დარიანის პოეზია.

ელენე დარიანის სახელს ამოფარებულმა პაოლო იაშვილმა პირველად გაიბრძოლა „ბანალური“ სატრფიალო ლირიკის წინააღმდეგ და პარიზიდან ჩამოყოლილი ეპატაჟის სურვილიც დაიკმაყოფილა. ქალის სახელი მსმენელის „შოკის“ მყარ გარანტიას იძლეოდა: გრიგოლ რობაქიძე, მართლაც ძალზე თამამი ეროტიკული სახეებისათვის ერთხელაც არ შეურისხავთ, მაგრამ ქალი – „სხვა“ იყო.

1916 წლის თებერვლის დამლევს ქუთაისის ალმანახ „ცისფერ ყანწებში“ კვლავ გამოჩნდა ელენე დარიანი – „ცისფერი ორდენის“ ერთადერთი „პოეტი ქალი“.

ქუთაისელები აღაშფოთა ელენე დარიანის „ურცხვმა“ ლექსებმა. „მხატვრულად განცდილი ეროტიკა“ გარყვნილების ქადაგებად მიიჩნიეს.

მთავარი „ბატალიები“ კი წინ იყო.

კაფე-საჩაიეში გამართული პოეზიის საღამო 1916 წლის 9 მარტს იყო ცისფერყანწელთა პირველი საჯარო გამოსვლა, პირველი უშუალო შეხვედრა მკითხველთან. პაოლო იაშვილის „პირველთქმით“ აფორიაქებულ ქუთაისელთა უმეტესობა სასეიროდ იყო მოსული.

დამსწრეთა ერთმა ნაწილმა ცისფერყანწელებს ობსტრუქცია მოუწყო: „ჯავრი პაოლო იაშვილზე იყარეს. როგორც კი დაიწყო ლექსის კითხვა, შეიქნა ზარის რეკა, სტვენა, ხმაურობა... ქალები მოითხოვდნენ გაეგდოთ გარეთ“ („თანამედროვე აზრი“, 1916 წ., №59). ცისფერყანწელთა მოთავეს სურდა ელენე დარიანის ლექსების წაკითხვა, მაგრამ კვლავ შეაწყვეტინეს („სამშობლო“, 1916 წ., №309).

ცისფერყანწელებმა საწადელს მიაღწიეს: ალმანახმა მთელი ქუთაისი

აალაპარაკა – „ქუთაისში ომია, ქუჩაში გამართული ომიო“ – იუწყებოდა „ჩვენი მეგობარი“ (1916 წ., №20), „დარიანული“ ლექსები ამ „ომის“ კიდევ უფრო გაცხარებისათვის იქნა გამოყენებული.

დიდი ხანია (დაახლოებით 20-იანი წლების ბოლოდან), „ელენე დარიანს“, ჩვეულებრივ, პაოლო იაშვილის ფსევდონიმად მიიჩნევდნენ. დღევანდელი თვალსაზრისით ასეა; მაგრამ, 1915-24 წლებში, როცა „დარიანული“ ლექსები იბეჭდებოდა, ეს წმინდა წყლის ლიტერატურული მისტიფიკაცია იყო (ლიტერატურული მისტიფიკაციის ავანჩავანს მსურველები გაეცნობიან სინტერესო წიგნში – Евгений Ланн, „Литературная мистификация“, М. Л., 1930 г.).

თანამედროვეთა გადმოცემით, პაოლო ყველა ჯურის მისტიფიკაციის დიდოსტატი ყოფილა; ის ხან გამოცდილი სეკუნდანტის ნილბით მოევლინებოდა შეშინებულ „დუელანტებს“ ნარიყალას მთაზე (ლადო გუდიაშვილის მოგონება), ხან კი რუსი ავანგარდისტების მიერ გენიოსად აღიარებული ველიმირ ხლებნიკოვის „დაუბეჭდავი“ (ნამდვილად – ექსპრომტად, იქვე შეთხზული) ლექსებით აკვირვებდა კაფე „ქიმერიონში“ თავშეყრილ პოეტებს.

„დარიანული“ ლექსები გამართლებულია ტიციან ტაბიძის „ნილაბის აპოლოგიით“: „ქართველ ხალხში სცხოვრობს უკვდავი აქტიორული სული. იმას უნდა მუდამ სხვა იყოს, იმას უყვარს თეატრალიზაცია ცხოვრების, ...ქართველ ხალხს უყვარს ნილაბი“ („ცისფერი ყანწები“, 1916 წ., №1). ევგენი ლანმა „ნაყალბევ“ ნაწარმოებში ნილბის სიყვარული, ლიტერატურის „თეატრალიზაციის“ სურვილი შენიშნა. სწორედ ამ „თეატრალიზაციის“ გამოვლენაა ელენე დარიანიც.

ცნობილია, რომ ვალერი ბრიუსოვი კრებულებში „Русские символисты“ (1894-95 წწ.) თავის ლექსებს, საკუთარი გვარის გარდა, სხვადასხვა ფსევდონიმებით (მათ შორის – „პოეტესების“ სახელით) აქვეყნებდა. ფსევდონიმით ხელმოწერილ ლექსებში იგი შეგნებულად მიმართავდა სტილიზაციას; ე. ი. მისტიფიკაციის საშუალებით არარსებულ პოეტებს „ქმნიდა“ და ამით სიმბოლიზმის „მიმდევართა“ რიგებს განამტკიცებდა. პაოლო იაშვილის „ფერისცვალებაც“ ალმანახის მონაწილეთა რიცხვის გაზრდასაც ითვალისწინებდა უთუოდ.

იმთავითვე დაიბადა ეჭვი, რომ ელენე დარიანის სახელს სხვა პიროვნება, კერძოდ, მამაკაცი–პოეტი ეფარებოდა: „ჩვენ ეჭვი გვებადება, რომ ქართველი ქალი ამ რიგათ დაცემულიყოს, და ვეჭვობთ, რომ ის მართლა ელენე იყოს“ – ვკითხულობთ „სამშობლოში“ (1916 წ., №305). ამასვე იმეორებდა თბილისის გაზეთი „ახალი კვალიც“: „არ შეგვიძლია დავიჯეროთ, რომ ქართველი ქალი ამდენად გაურცხვდა, ეჭვი გვაქვს, რომ ის მართლა

ელენე იყოსო“ (1916 წ., №14).

„ჩვენს მეგობარს“ („მეგობრის“ ახალი სახელწოდება), რომლის ფურცლებზეც პირველად დაიბეჭდა ელენე დარიანის ლექსები, მოსთხოვეს პოეტის ვინაობის გამოაშკარავება. „ელენე დარიანს არ ვიცნობთ და არც მისი მიმართულება ვიცითო!“ განაცხადა რედაქციამ (1916 წ., №20).

ცისფერყანწელებმა, რომელთა ძმობა-მეგობრობა საარაკო იყო, ცხადია, იცოდნენ პაოლო იაშვილის მისტიფიკატორული ოინები და შეგნებულად ხელს უწყობდნენ მას (იხ. ვალერიან გაფრინდაშვილის, შალვა აფხაიძის, სანდრო ცირეკიძის იმდროინდელი წერილები).

ერთადერთი გამონაკლისია სანდრო ცირეკიძის „პორტრეტები“, რომელიც მისი უდროო გარდაცვალების შემდეგ, 1924 წელს დაიბეჭდა „ბარრიკადში“. მასში მინიშნებულია მისტიფიკატორი: „პაოლო იაშვილმა, როგორც თავაზიანმა რაინდმა, ლიტერატურაში გამოიყვანა პოეტი ქალი ელენე დარიანი და ძვირფასი ქვების ნათელი ფერებით გადაშალა ეროტიული ლირიკა“ (№1).

1926 წელს „მნათობის“ კრიტიკოსი „ყარიბი“ (პეტრე გელეიშვილი) მიმოიხილავდა ცისფერყანწელთა განვლილ გზას და, სხვათა შორის, ეხებოდა ელენე დარიანსაც: „ქუთაისის ბულვარზე... ხანჯლოსნები დღე და ღამე იმის ცდაში იყვნენ, თუ როგორ მოენახათ ეს ვიღაც ელენე დარიანი, როგორ გაცნობოდნენ მას, როგორ დამტკბარიყვნენ მისი ტემპერამენტითო“ (№5-6), თუმცა მის ვინაობაზე არას ამბობდა. ასე გააცურა თავის დროზე პაოლო იაშვილმა ქუთათური დონ-ჟუანები.

შეიძლება დავასკვნათ, რომ პაოლო იაშვილის მისტიფიკაციამ გაიმარჯვა. „დარიანული“ ლექსები, უწინარეს ყოვლისა, პოეტის მხატვრული გარდასახვის იშვიათ უნარზე მეტყველებს. ამ ლექსებში თანამედროვე მკვლევარები „პოეტური გარდასახვის გასაოცარ უნარს“ (ბესო ჟღენტი), „თავისებური სტილიზაციის დარს“ (გურამ ასათიანი) ამჩნევენ.

შალვა აფხაიძე მოგვიანებით წერდა: „ჩვენ ყოველთვის გვაოცებდა პაოლოს შემოქმედებითი „გარდაქმნა“, გვაოცებდა მისი ლექსები, რომლებიც ელენე დარიანის ფსევდონიმით ქვეყნდებოდა. რაღაცნი წმინდა ქალური განცდა, ხილვა, სინაზე შეჰქონდა მასში!“

პაოლო იაშვილი ორმაგი სიძნელის წინაშე იდგა: ელენე დარიანი მარტო ლირიკული გმირი როდი იყო ანდა პერსონაჟი, იგი „დარიანული“ ლექსების „ავტორად“ უნდა აღექვათ. პოეტს უნდა დაენახა სამყარო არარსებული პოეტის და, თანაც, პოეტი ქალის თვალით.

ქალის სახელს ამოეფარა XVIII საუკუნის ფრანგი პოეტი დეფორჟ-

მაიარი.

„ბრეტონელი პოეტი ქალის" ძალკრე დე-ლა-ვინის, ნამდვილად კი – დეფორჟ-მაიარის ლექსებმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა. ვოლტერმა ლექსიც კი უძღვნა „პოეტ ქალს". მისტიფიკაციის გამჟღავნების შემდეგაც კი აღნიშნავდნენ გაცებული კრიტიკოსები მალკრე დე-ლა-ვინის ლექსების ღირსებებსა და დეფორჟ-მაიარის პოეზიის უბადრუკობას.

1909 წელს ფრანგმა პოეტმა გიიომ აპოლინერმა დაწერა რამდენიმე წერილი და ლექსი „გამოგონილი" პოეტი ქალის ლუიზა ლალანის სახელით. საფიქრებელია, რომ პაოლო იაშვილმა იცოდა ამ მისტიფიკაციის ამბავი, პარიზში ყოფნისას იგი ხშირად ხვდებოდა აპოლინერს (1913-1914 წლებში). ვინ იცის, „ლალანი" – „დარიანის" – ჟღერადობის სიახლოვე იქნებ არც იყოს შემთხვევითი!

„ელენე დარიანის დღიურებში" პაოლო იაშვილმა ძირითადად დასძლია სტილიზაციის სიძნელენი. აღიშნულია, რომ პოეტს იმიტაციაც ემარჯვებოდა: „ინდივიდუალური კოლორიტის შესაქმნელად პაოლო იაშვილი ხშირად მიმართავს თაყისებურ პოეტურ იმიტაციას. ასე, მაგალითად, ვალერიან გაფრინდაშვილისადმი მიძღვნილი ლექსი დაწერილია უაღრესად დახვეწილი, რაფინირებული სტილით" (გურამ ასათიანი); იგივე ითქმის პაოლოს გიორგი ლეონიძისადმი მიძღვნილ ლექსზე, რომელიც ლეონიძისეული „სიმსუყით" გამოირჩევა (რაც პაოლოს არ ახასიათებდა).

„ელენე დარიანის დღიურები" ოდენ თვითმიზნური მისტიფიკაცია როდი იყო; ის წარმოადგენდა თამამ პოეტურ-სტილისტურ ექსპერიმენტს, მიმართულს „დაკანონებული", გაცვეთილი სატრფიალო ლექსების წინააღმდეგ.

აღნიშნულია ისიც, რომ ელენე დარიანის შექმნა გამოწვეული იყო ცისფერყანწელთა სურვილით – „ცისფერ ორდენში" ჰყოლოდათ პოეტი ქალი (გრიგოლ ხერხეულიძე).

„დარიანულ" ლექსებში რუსული სიმბოლიზმის, კერძოდ, ვლადიმერ სოლოვიოვის „მარადი ქალურობის" კონცეფციის ზეგავლენასაც ხედავდნენ (გიორგი მერკვილაძე).

პაოლო იაშვილის მისტიფიკაციის მოტივირება მოხერხდება მისი პიროვნული (მისტიფიკაციების დიდოსტატი, არტისტული ჟესტებისა და ნიღბების მოყვარული) და შემოქმედებითი (პოეტური გარდასახვის, მხატვრული იმიტაციის ბრწყინვალე უნარის მექონი) თვისება-თავისებურებების გათვალისწინებით. ამასთან, ეს იყო რეაქცია „საცოდავი საჭურისების" შელამაზებული სატრფიალო ლირიკის მიმართ; ეს იყო „სითამამის

მუნების“ ნაღდი გამოვლენა.

პოეტმა მაინც ვერ დასძლია ბოლომდე სტილიზაციის სიძნელენი: „დარიანულ“ ლექსებში მოიძევება პაოლოს პოეზიის იდეურ-თემატური და სტილისტური კვალი: მისთვის დამახასიათებელი ალიტერაცია, გატაცება პატიოსანი თვლებით, მზის კულტი, სოფლის იდილიური წარმოსახ-ვა.

დღეს გვიკვირს კიდეც, რა გამძლე აღმოჩნდა ეს მისტიფიკაცია: ფართო საზოგადოებამ დიდხანს ვერ ამოიცნო ელენე დარიანის საიდუმლო.

თავის დროზე, ზოგიერთი მანდილოსანი აშკარად თუ „საიდუმლოდ“ ელენე დარიანობას იჩემებდა. ეს უსაფუძვლო მითი ისეთი ურყევი აღმოჩნდა, რომ აგერ ჩვენს დრომდე მოატანა.

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ არც ერთ ცისფერყანწელს თუ მათ ლიტერატურულ „მტერს“, არც ერთ ლიტერატურის ისტორიკოსსა თუ კრიტიკოსს, არც ერთ მემუარისტს, არც ერთ თანამედროვე ქართველ პოეტს, – პაოლოს ავტორობაში ეჭვიც არ შეჰპარვია!

და, რაც ცალკე აღნიშვნის ღირსია – არც პაოლოს თხზულებათა პირველ გამომცემელსა და მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის დიდ მოამაგეს – შალვა დემეტრაძეს!

ასეთი ვითარება გახლდათ დღემდე.

ახლახანს, პაოლო იაშვილის ტრაგიკული აღსასრულის 60 წლისთავზე, მკვლევარმა გიორგი ჯავახიშვილმა წერილში – „ცისფერყანწელთა ცისფერი დედოფალი“ – თავისი „ვერსია“ შემოგვთავაზა („ლიტერატურული საქართველო“, 1997 წ., აგვისტო-სექტემბერი).

ნებისმიერ ლიტერატორს უნდა მოეხსენებოდეს, რომ უცნობ მოგონებათა გამოქვეყნება მემუარისტის პირადული ცხოვრებისა და საქმიანობის წვრილმანების შესწავლას, საარქივო მასალის კრიტიკულ გააზრებას და, შეძლებისამებრ, სრულყოფილ კომენტირებას გულისხმობს.

როცა საქმის მცოდნე, კეთილსინდისიერი მეცნიერი (სწორედ ასეთად მივიჩნევდი გიორგი ჯავახიშვილს) აქვეყნებს სრულიად უცნობ მემუარულ მასალას, მით უმეტეს, თუ ლეგენდადქცეული პაოლო იაშვილის „დარიანული“ ლექსების ავტორობის საკითხს ეჭვქვეშ აყენებს, მკვლევარს ათმაგი სიფრთხილე მართებს.

ამთავითვე უნდა შევნიშნო, რომ გიორგი ჯავახიშვილის წინამდებარე პუბლიკაცია ამჯერად სახელდახელოდ და ნაუცბათევად მომეჩვენა, ხოლო ზოგიერთი დასკვნა – ნაკლებდამაჯერებლად კი არა, – სრულიად მიუღებლად.

ზემოთქმულის მიუხედავად, ელენე ბაქრაძის მოგონებების, მეტადრე, პაოლო იაშვილის პირადი წერილებისა და თვით ელენეს ბიძის, იაზონ ბაქრაძის ბარათების გაცნობა, ჩემთვის, როგორც ლიტერატურის ისტორიკოსისათვის, ფრიად საინტერესო იყო.

ღირსსაცნობი და მისასალმებელია ისიც, რომ ამგვარი „რადიკალურად განსხვავებული აზრის" გამოქვეყნება ახალი დროების მონაპოვარია და სიტყვის სრული თავისუფლების დასტური.

ეგების, ზოგიერთმა მკითხველმა გიორგი ჯავახიშვილის წერილი სენსაციურად და სასეიროდაც აღიქვა; უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემთვის მასში არაფერია „სენსაციური". ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ერთობ მეჩოთირა წერილის აშკარად შეუფერებელი სათაური — „ცისფერყანწელთა ცისფერი დედოფალი".

ცისფერყანწელებს, სრულიად ახალგაზრდა პოეტებს, ჰყავდათ თაყვანისმცემელთა გუნდი, სატრფოებიც, უანგარო დობილებიც, მოგვიანებით, — ღირსეული მეუღლეები (მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ტიციან ტაბიძის „კოლომბინა" — ნინო მაყაშვილი; ცისფერყანწელთა დობილი და ლიტერატურული თანამოაზრე, რომელმაც განუზომელი ღვაწლი დასდო ქმრის შემოქმედებითი მემკვიდრეობის გადარჩენა-შენახვის საქმეს და მემუარების ბრწყინვალე წიგნიც დაგვიტოვა); მაგრამ ცისფერყანწელებს „ცისფერი დედოფალი" — ერთი რომელიმე გამორჩეული ქალბატონი — არასოდეს ჰყოლიათ.

ახლა კი დროა გამოვასწორო პუბლიკაციის ერთი ხარვეზი: ელენე ბაქრაძის ვინაობა დღეს ნაცნობ-ნათესავთა ძლიერ ვიწრო წრისათვის თუ არის საინტერესო. არადა, ლიტერატურისმცოდნენი, რომელთაც გაცხრილული აქვთ 20-იანი წლების ქართული პრესა, უთუოდ იცნობენ პოეტ ელენე ბერიშვილს: იგი ქმრის გვარით აქვეყნებდა ლექსებს.

ჩემდა გასაოცრად, გიორგი ჯავახიშვილი ელენე ბაქრაძისა და გოგი ბერიშვილის უიღბლო ქორწინებაზე (1914 წ.) ამახვილებს ყურადღებას და არც ერთხელ არ ასახელებს პოეტ ელენე ბერიშვილს, რომელიც 20-იან წლებში, ვიმეორებ, სწორედ ქმრის გვარით ბეჭდავდა ლექსებს (აქედან ისიც ჩანს, რომ მათი ქორწინება არ ყოფილა დღემოკლე).

გიორგი ჯავახიშვილს არამცთუ მართებდა მცირედი წარმოდგენა მაინც ჰქონოდა მის ლექსებზე, არამედ, — მას გამოწვლილვით უნდა შეესწავლა ელენე ბერიშვილის პოეზია მთლიანად და, განსაკუთრებით, შემოქმედებითი გზის დასაწყისის, ანუ, 1915 წლის პროდუქცია; რადგან სწორედ ამ წელს გამოქვეყნდა პაოლო იაშვილის პირველი „დარიანუ-

ლი“ ლექსები, რომელთა ავტორად, პუბლიკატორი, სრული დაუჭვებლობით, ელენე ბაქრაძეს მიიჩნევს!

გიორგი ჯაჯანიშვილი: „აი, ამ დროისათვის (იგულისხმება 1915 წლის აგვისტოს დამლევი – ლ.ა.) უკვე დაწერილი იყო ელენე დარიანის ლექს-დღიურებიდან სამი ლექსი: „ძახილი“, „გათავდა ნადიმი“ და „ზამთარში“ – ისინი საჭაშნიკოდ გადასცა პაოლო იაშვილს და მოხდა მოულოდნელი ფაქტი, ავტორის დაუკითხავად, პაოლომ გამოაქვეყნა ქუთაისურ გაზეთ „მეგობარში“. რედაქციამ თუ ცისფერყანწელთა ლიდერმა პირველი ლექსის სათაური „ძახილი“ უცვლელად დატოვა, მეორე ლექსი სათაურით „ჩემი თავადი“ გაუგებარი მეზეზების გამო უსათაუროდ „გათავდა ნადიმი“ – დაიბეჭდა (ფაქტობრივი შეცდომაა, სათაური არ არის შეცვლილი! იხ. „მეგობარი“, №33 – ლ.ა.), ხოლო მესამე ლექსი „ზამთარში“ ცოტა მოგვიანებით გამოქვეყნდა ამავე გაზეთის ფურცლებზე (№62).

ამრიგად ელენე დარიანის ფსევდონიმით ხელმოწერილი ელენე ბაქრაძის სამი ლექსი პრესაში დაიბეჭდა და მას მოჰყვა მკითხველ-საზოგადოების აურზაური, თვით ავტორმა კი ისე მტკივნეულად განიცადა მომხდარი, რომ პაოლოს დაეუმძრახა კიდეც. (ავტორის სტილი, ორთოგრაფია-პუნქტუაცია, კორექტურული შეცდომებიც კი, – გადმომაქვს ზედმიწევნითი სიზუსტით – ლ.ა.)

...1915 წლის შემოდგომას და ქრისტეშობის თვეში ქუთაისში კიდევ ჩატარდა რამდენიმე ლიტერატურული საღამო. ცისფერყანწელების ლიდერი სცენიდან უკითხავდა მსმენელებს ელენე დარიანის სამ ლექსს, რომლებიც იმჯერად პრესაში გამოქვეყნდა. ქუთაისელები გაოცებულები იყვნენ ჯერ ამ ლექსების გამოქვეყნებით და მერე ახლა პაოლოს მიერ სცენიდან წაკითხვის გამო“ (კვლავ ფაქტობრივი შეცდომაა: „დარიანული“ ლექსები პაოლომ ჯერ პოეზიის საღამოზე წაიკითხა, 20 სექტემბერს, ხოლო ნოემბერსა და დეკემბერში – „მეგობარში“ გამოაქვეყნა – ლ.ა.).

ვენდოთ გიორგი ჯაჯანიშვილის ლიტონ სიტყვას? უტყუარი საბუთი სადღაა?

გასაოცარია: ავტორი ციტატებს არ იშურებს 15 წლის ყმაწვილი ქალის უწყინარი სასიყვარულო თავგადასავლების გადმოცემისას; „დარიანული“ სამი ლექსის ავტორობის თაობაზე კი, ელენე ბაქრაძის სიტყვების ზუსტი ციტირების სანაცვლოდ – მაინცდამაინც საკუთარ განსჯას გვთავაზობს!

ცხადზე უცხადესია, რომ ავტორს, ზედმიწევნითი სიზუსტით მოგონებათა სწორედ ეს, – „სენსაციური“ ფრაგმენტი უნდა გადმოეცა! ბუნებრივად იბადება კითხვა – არსებობს კია ეს ფრაგმენტი?

ახლა კი ოცი წლის წინანდელი ამბავი უნდა გავიხსენო: საქმე ის გახლავთ, რომ მაშინ ქალბატონ ელენეს, მისივე სურვილით, სახლში ვეახელი; ლიტერატურის მუზეუმის სრულიად ახალგაზრდა თანამშრომლის, ნონა კუპრეიშვილის ინიციატივითა და მისი თანხლებით. ახალი გამოცემული მქონდა მონოგრაფია „პაოლო იაშვილი“ და მასპინძლის ინტერესი ჩემს მიმართ სწორედ ამით იყო განპირობებული. ნონამ დამირეკა — ესა და ეს ქალბატონი, როგორც თვითონ ამტკიცებს, — „ელენე დარიანი“, დაინტერესდა თქვენი წიგნით, პაოლოს რაღაც ხელნაწერებიც ჰქონია და, თუ გნებავთ, ვეახლოთო.

ძველი პრესის მონაცემებით, პაოლოს თანამედროვეთა მოგონებებით, თუ მის, აწ უკვე მზეცოვან თანატოლებთან პირადი საუბრებით ვიცოდი, რომ ელენე დარიანობას 10-20-იან წლებში ბევრი მანდილოსანი იჩემებდა, მაგრამ 70-იანი წლების ბოლოს ამას აღარ ველოდი!

მართალი გითხრათ, წინასწარ უნდობლად ვიყავი განწყობილი უცნობი ქალბატონის მიმართ, მაგრამ მაინც გადავწყვიტე წასვლა. ჯერ ერთი, ნონას გაწბილება არ მინდოდა, სტუდენტობიდანვე ვიცნობდი (მე მაშინ ახალბედა ლექტორი გახლდით) და დიდად ვაფასებდი მის ცოდნასა და ნიჭიერებას; მეორეც, ჩემი მონოგრაფია ახალი გამოსული იყო და ქალბატონ ელენეს, ცხადია, სურდა, მისი ახალგაზრდობის სატრფოსადმი მიძღვნილი პირველი მონოგრაფია ჰქონოდა. თავის არიდება უხერხულად მივიჩნიე. თანაც, რაღაც საარქივო მასალაზე — პაოლოს ხელნაწერებზე იყო საუბარი და ასეთ შესაძლებლობას ხელიდან ვერ გავუშვებდი. სკეფსისის საბაბს კი ნამდვილად მაძლევდა „ცისფერი ორდენის“ თითქმის ათწლიანი სკრუპულოზური კვლევა.

მაშინ ახალგაზრდა და, რა თქმა უნდა, „მაქსიმალისტიც“ გახლდით. ხანში შესული, თითქმის დაბრმავებული, მარტოხელა ქალბატონი, ვერა და ვერ აღვიქვი „დარიანული“ ლექსების ავტორად კი არა (რაც ჩემთვის სრულიად დაუჯერებელი იყო), არამედ პაოლოს ყოფილ სატრფოდაც კი! თანაც პაოლოს დონჟუანობის ამბავიც ვიცოდი, თანაც თითქოს მისი სონეტის „ავტოპორტრეტის“ სიტყვები ჩამესმოდა: „ყოველთვის მელის მშვენიერი ქალთა კრებული“...

ახლა მწარედ ვნანობ ჩემს იმჟამინდელ განწყობას; პაოლოს წერილებით აშკარად გაცხადდა მათი სიყვარულის ამბავი, ეს უეჭველია. სწორედ პაოლოს წერილების გამოქვეყნება მიმაჩნია გიორგი ჯავახიშვილის დამსახურებად; თუმცა მერჩივნა, რუსულად გავცნობოდი მათ და არა ჩიქორთული თარგმანით.

ოცი წლის წინათ კი მხოლოდ ის შევნიშნე, რომ ელენე ქართველიშვილი (მეორე ქმრის გვარია, რომელსაც აიდეალებდა) იმ ყაიდის ხან-

დაზმულ ქალებს მიეკუთვნებოდა, ბავშვობიდანვე რომ მენახა ჩემს ახლობლობასა თუ სანათესაოში: არისტოკრატულად თავდაჭერილ, წელში გამართულ, უპირატესად რუსულად მოსაუბრე, ქედმაღალ ქალბატონებს; ხშირად — პაპიროსით დარდის გამქარვებელთ... მათ, ჩვენგან განსხვავებით, „კარგი ცხოვრებაც“ ჰქონდათ ერთ დროს ნაგემები.

ჩემი სკეფსისი არაფრით გამიმჟღავნებია, არც სახის გამომეტყველებით (რასაც მასპინძელი ვერც შეამჩნევდა, თვალის ჩინი თითქმის სულ წართმეული ჰქონდა), მით უმეტეს, არც ქცევითა თუ საუბრით (წესიერად აღშფოთდეს). მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ქალბატონმა ელენემ გამბაფრებული გუმანით იგრძნო ჩემი განწყობილება. საუბარი ვერ აგვეწყო. მასპინძელმა გულითადი მადლობა მითხრა წიგნის მიძღვნის გამო, თბილად მოიგონა პაოლო, არაფერი უთქვამს მათ ინტიმურ ურთიერთობაზე („პლატონური“ მეგობრობა გვქონდაო), არაფერი უთქვამს "დარიანული“ ლექსების ავტორობაზე (თუმცა ეს უკანასკნელი საკითხი დიდი სიფრთხილით წამოვჭერი).

თვით ძლიერ დაინტერესდა ჩემი მონოგრაფიის წყაროებით. ჩვენი საუბარი მხოლოდ ერთხელ გაცხოველდა, როცა რუსულ სიმბოლიზმზე ჩამოვაგდე უნებლიედ სიტყვა; სრული თანამოაზრენი აღმოვჩნდით: ბალმონტის, ბრიუსოვის, ბელის მცოდნე და თაყვანისმცემელი ყოფილიყო.

ერთხანს ამ თემას ვუტრიალეთ; ერთი-ორჯერ მორიდებით შევახსენე, პაოლოს ხელნაწერები გქონიათ-მეთქი, დაბნეულად მიპასუხა, ბევრი რამ მქონდა, მაგრამ წაიღესო... გაკვრით მოიხსენია პირველი ქმარი, მაშინ გავიგე, რომ პოეტ ელენე ბერიშვილთან მქონია საქმე. მინდოდა მესიამოვნებინა — ვუთხარი, 20-იანი წლების პრესაში დაბეჭდილი თქვენი ლექსები წამიკითხავს-მეთქი. სრული გულგრილობით მიიღო ეს ამბავი, რამაც ძლიერ გამაკვირვა; ჩანს, თავის პოეზიას დიდად არ აფასებდა (მართლაც მდარე ლექსები იყო); რამდენჯერმე ჩამოაგდო სიტყვა მეორე ქმარზე, რომელსაც, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, თითქოს აღმერთებდა.

ისიც მახსოვს, ქალბატონმა ელენემ ჩვენი გამასპინძლება მოინდომა გულაბი მსხლითა და ყურძნით; არ გვინდოდა მისი შეწუხება, მაგრამ მომხმარე თუ მოსამსახურე ქალს მოუხმო და მოატანინა. მართალი გითხრათ, ლუკმა ყელში გამეჩხირა. მახსოვს იქვე, კიროვის ბაღში, სკამზე ჩამოვჯექით ნონა კუპრეიშვილი და მე. დათრგუნულები ვიყავით: მე გული დამიმძიმა მარტოხელა მოხუცის ყოფის ნახვამ, ნონა იმასაც წუხდა, რომ იმედი გამიცრუა.

ქალბატონი ელენეს დუმილი მე ასე ავხსენი: საუბარში უთუოდ შემატყო, რომ, შეძლებისდაგვარად, გამოწვლილვით, ნაბიჯ-ნაბიჯ მქონდა

შესწავლილი პაოლოს შემოქმედებისა თუ ცხოვრების წვრილმანები და გაჩუმება აჯობინა... მოგვიანებით ნონამ მითხრა, მე მგონი, თქვენმა „აკადემიზმმა“ შეაკრთოო.

ამ შეხვედრის თაობაზე ერთადერთ ადამიანთან, ბატონ სერგო კლდიაშვილთან მქონდა საუბარი – მან გადაჭრით უარყო „დარიანული“ ლექსების ავტორობის ბაქრაძისეული „ვერსია“, თუმცა, ჩვეული რაინდობით მიმანიშნა, რომ ეს ქალბატონი მართლაც იყო ჭაბუკი პაოლოს ერთ-ერთი სატრფო.

უფრო ადრე, ბატონ სერგოს ასევე კატეგორიული პასუხი გაუცია ნონა კუპრეიშვილისთვისაც.

ეს ეპიზოდი დიდი ხნის მივიწყებული მქონდა. უცნაური რამ ყოფილა გონება, თუ მოინდომებ, ბევრ რასმე ალიდგენ მეხსიერებაში. მაინც არ ვენდე მთლიანად ჩემს თავს და აწ ცნობილ ლიტერატორს ნონა კუპრეიშვილს გამოვკითხე იმ შეხვედრის წვრილმანებიც და ისიც ვთხოვე – ზედმიწევნითი სიზუსტით მოეთხრო, თუ ჩემს მისვლამდე (საერთო ნაცნობიც უწყობდა ხელს მათ ურთიერთობას, ამასთან ნონა, ჩემზე გაცილებით „კომუნიკაბელური“ გახლდათ) რაზე ჰქონდათ საუბარი.

ქალბატონ ელენეს უთქვამს: პაოლო არ იყო ნაკითხი და განათლებული, მაგრამ უაღრესად მომხიბლავი, ნიჭიერი, ალღოიანი გახლდათ და იოლად ითვისებდა ყველაფერს, რაზედაც ვესაუბრებოდი: „Он был гений наслышки“-ო.

ჩემს წერილებს და ლექსებს რომ ვუგზავნიდი (მიმოწერა რუსულად წარმოებდა; იაზონ ბაქრაძის წერილიდან ჩანს, რომ 1915 წელს ელენე ბაქრაძე ქართულის ძალიან სუსტად მცოდნე, დამწყები მინიატურისტი იყო – ლ.ა.), თავისებურად იყენებდა მათ, გადაამუშავებდა; სწორედ ჩვენი ერთობლივი გრძნობებისა და შემოქმედების ნაყოფია „დარიანული“ ლექსები; ელენე დარიანი კი მე გახლდითო.

მინდა ბოლომდე გულწრფელი და მართალი ვიყო. ახლაც არ ვენდე ჩემს მეხსიერებას, თორემ ქალბატონ ელენეს მაშინდელი საქციელიც და ნონასათვის ნაამბობიც ძალზე ორჭოფული, ორაზროვანი მომეჩვენა. მოხუცი მარტოხელა ქალბატონი, რომელსაც ყოველიე სიკეთე წარსულში ჰქონდა მოტოვებული, ოდენ ტკბილი მოგონებებით ცხოვრობდა და ამ მოგონებებს, შეგნებულად თუ ქვეცნობიერად, კიდევ უფრო „ატკბობდა“ და ასხვაფერებდა.

ეს თვალსაზრისი ვერც გიორგი ჯავახიშვილის წერილმა შემიცვალა. პირიქით, გამიმყარა კიდეც!

მემუარების მკვლევართ აღნიშნული აქვთ ის უნებლიე (ზოგჯერ ნებსითი) ცდომილებანი, რომელნიც მოგონებათა ავტორებს მოსდით. ბევრ ლიტერატორს ულიარებია, რომ, ზოგჯერ, დედანზე უწინარეს, გამომცემელთა კომენტარებია საინტერესო. ასეა თუ ისე, ცხადია, რომ მემუარისტის ბრმა მიყოლა არ ეგების. მოგონებათა ავტორი არ არის დაზღვეული უზუსტობისაგან — იქნება ეს მეხსიერების ჭირვეულობით გამოწვეული თუ წინასწარ აკვიატებული აზრის „ილუსტრირების“ საჭიროებით. ჩანს, არც ელენე ბაქრაძეა გამონაკლისი. ამ სიტყვებში არაფერია შეურაცხმყოფელი. მაგრამ კომენტირება, ჭეშმარიტების დადგენა ხომ აუცილებელია! სწორედ ეს იყო გიორგი ჯავახიშვილის უპირველესი ვალი! ის კი ზოგჯერ, აუცილებელ განმარტებათა სანაცვლოდ, მცდარ კომენტარს გვთავაზობს: „თვით ავტორმა ისე მტკივნეულად განიცადა მომხდარი (იგულისხმება ელენე დარიანის პირველი სამი ლექსის გაზეთში გამოქვეყნება — ლ.ა.), რომ პაოლოს დაეუმძრახა კიდეც.

ელლისა და პაოლოს შორის უსიამოვნება მალევე გაქარწყლდა. პაოლომ ზედიზედ მისწერა ელენეს ასეთი წერილები“...

ამას მოსდევს პაოლოს 1915 წლის აგვისტო-სექტემბრით დათარიღებული რამდენიმე წერილი. ეს კი აშკარა ანაქრონიზმია! „დარიანული“ ლექსები გაზეთ „მეგობარში“ ნოემბერსა და დეკემბერში დაისტამბა! თანაც ამ წერილებიდან მხოლოდ იმას ვგებულობთ, რომ შეყვარებულებს უთანხმოება ოდენ ეჭვიანობის გამო მოსვლიათ. ზედიზედ დასტამბული ექვსივე წერილი (ბოლო 12 სექტემბრით თარიღდება), მხოლოდ და მხოლოდ სამიჯნურო და ყოფითი ხასიათისაა და მათში კრინტიც კი არ არის დაძრული ელენე დარიანზე და ცისფერყანწელთა ჯგუფზე.

პაოლოს ბოლო წერილს, 1915 წლის 10 ნოემბრით დათარიღებულს, აშკარად „საქმიანი“ ხასიათი აქვს; მასში მიჯნური კი არა, უფრო, ერთიანად ლიტერატურულ ცხოვრებაში დანთქმული, პოეზიით ანთებული და ნოვატორული ძიებით გატაცებული ახალგაზრდა ჩანს. აშკარაა ისიც, რომ ელენე ბაქრაძემ არც კი იცის, რა ხდება ამ დროს ქუთაისში (იგი, სატრფოსთან განშორების შემდეგ ყოფილა გორში, კახეთსა და განჯაში — ელიზავეტპოლში). გიორგი ჯავახიშვილის მტკიცების საწინააღმდეგოდ, „ცისფერი ყანწების ცისფერი დედოფალი“ წინასწარ არ ყოფილა ინფორმირებული ახალგაზრდა პოეტთა ჯგუფის ჩამოყალიბების თაობაზე, რადგან პაოლო ატყობინებს: „ჩემი ცხოვრება ქუთაისში არ არის ინტერესს მოკლებული. მე შევძელი ჩემს ირგვლივ შემომეკრიბა ხელოვნების ახალგაზრდა მსახურნი. მალე გამოვცემთ ალმანახს „ცისფერი ყანწები“. და ლიტერატურულ მანიფესტს. ფუტურიზმი არ იქნება, თუმცა

თითქმის ყველა გაზეთებმა აღნიშნეს, რომ ჩვენი ალმანახი იქნება ქართველი ფუტურისტების ორგანო".

წერილის შემდეგი მონაკვეთი, რომელიც გადმოსცემს ქუთაისის საზოგადოების რეაქციას „დარიანული" ლექსების მიმართ (ეს ფრაგმენტი გიორგი ჯავახიშვილის მიერ ხაზგასმულია), სრულიადაც არ აიგივებს ელენე დარიანს ელენე ბაქრაძესთან: „ქუთაისში ელენე დარიანის ლექსებმა გამოიწვია აღშფოთების მთელი ქარიშხალი. ბოლო კვირა არის ელენე დარიანის ლექსებს საზოგადოების ყველაზე საინტერესო ნაწილი მხარს უჭერს. უფრო ჩამორჩენილები, ძუნწები, ხანში შესულები ერთნაირად წინააღმდეგნი არიან. ახალგაზრდობა მისკენაა!" ვინც არ უნდა ყოფილიყო ადრესატი, პაოლო (ანუ მისტიფიკატორი) მხოლოდ ასე მისწერდა!

ელენე ბაქრაძის „დარიანობის" არგუმენტად არც იაზონ ბაქრაძის წერილები გამოდგება. ბიძა ძმისწულს მოუთხრობს ქუთაისის ლიტერატურულ ცხოვრებაზე: „ელენე დარიანის ლექსები პაოლო (?) იაშვილმა წაიკითხა თეატრში ერთ ლიტერატურულ საღამოზე. ...ვინ არის ელენე დარიანი? მისი ლექსები რომ წამეკითხა, უფრო კონკრეტულად გამოვსთქვამდი ჩემს აზრს".

აქედან ნათელია, რომ იაზონ ბაქრაძეს ჯერ წაკითხულიც კი არა აქვს ეს ლექსები! კითხვის ნიშანი პაოლოს სახელის შემდეგ, ჩემი აზრით, იმის აღმნიშვნელია, რომ „პავლეთი" ცნობილი ჭაბუკი აუდიტორიას „პაოლოს" სახელით მოევლინა. შეიძლება ეს კითხვის ნიშანი იაზონ ბაქრაძის გაკვირვებასაც გამოხატავდეს — თუკი ლექსები ელენე დარიანისაა, პაოლომ რად წაიკითხა! გიორგი ჯავახიშვილი კი აქ რაღაც „ქვეტექსტურ მინიშნებებს" ხედავს: „...როცა ლაპარაკობს ელენე დარიანის აეტორობაზე, პაოლო იაშვილის გასწვრივ უსვამს კითხვის ნიშანს, ე.ი. ეჭვი ეპარება მის ავტორობაში და იქვე ქვეტექსტურად მიანიშნებს, რომ შენ ხომ არა ხარ ავტორიო"...

როგორც ჩანს, იაზონ ბაქრაძე სულაც არ ყოფილა ისეთი მანიაკურად ეჭვიანი, გიორგი ჯავახიშვილი რომ წარმოგვიჩენს, რადგან მომდევნო წერილში სრულიად გარკვეულად წერს: „ელენე დარიანი შენ არ მგონიხარ, მაგრამ თუ ამის შესახებ ვრცლად მოგწერე, ეს იმიტომ, რომ ვიღაცა არის, შენი კარგი ნაცნობი უნდა იყოსო". ამასაც არ სჯერდება და კვლავ აშშვიდებს ძმისწულს: „ალბათ შენ გეწყინა, რომ მე დაწვრილებით გაცნობე ჩემი აზრი დარიანის ლექსებზე და შენ იფიქრე, თითქოს შენ გთვლიდი ამ ლექსების ავტორად, სრულებითაც სინამდვილეს არ შეეფერება, მაგრამ ვიცოდი, რომ შენ ავტორს კარგად იცნობდი

(ხაზი ჩემია — ლ.ა.) და მეც ისე მკვახედ გამოვთქვი ჩემი აზრი ისეთ „პოეზიაზე“, რომელიც გვიხატავს მხოლოდ ჩვეულებრივს...“

თუ გავითვალისწინებთ, რომ იაზონი ეჭვობს პაოლო იაშვილისა და ძმისწულის სამიჯნურო ურთიერთობას (ეს ეჭვი მართლაც ქვეტექსტურად თან სდევს მის წერილებს), ჩემს მიერ ხაზგასმული ფრაზა იმის მიმანიშნებელი უნდა იყოს, რომ იაზონს ეს ლექსები სწორედ პაოლო იაშვილისა ჰგონია.

იაზონ ბაქრაძის წერილი ძვირფასი წყაროა მისი ძმისწულის იმჟამინდელი „შემოქმედებითი პორტრეტის“ წარმოსაჩენად; 1915 წლის შემოდგომაზე ბიძა ძმისწულის მინიატურას ბეჭდავს ქუთაისის გაზეთში, ურჩევს, მოთხრობების წერა სცადეო; ამუნათებს — არცთუ ცუდად იცი ქართული, ნუ ნაღლობო (ქალბატონი ელენე 20 წლის წინათაც ხშირად „იშველიებდა“ რუსულს); თუ წერა შენთვის ცელქობა არ არის და ნიჭს შრომით განივითარებ, კარგი იქნებაო და ა.შ. ჩანს, ლექსების წერა ელენე ბაქრაძეს მოგვიანებით დაუწყია.

გიორგი ჯავახიშვილის მიმართ რამდენიმე აუცილებელი კითხვა (შესაძლოა, პრეტენზიაც დავარქვათ) ჩნდება: სად არის დაცული ბაქრაძისეული მოგონებანი, რა ენაზე და როდის დაიწერა მემუარები, ხომ არ არის თარგმნილი (მემუარისტის ქართული აშკარად მოიკოჭლებს) ისინიც, პაოლოს წერილების დარად? დედანი აქვს ხელთ გიორგი ჯავახიშვილს თუ მოგონებათა ასლი და ა.შ.

და ბოლოს, პაოლოს ერთი სტროფის ავტოგრაფი (თუ მართლა ავტოგრაფია) — „ელენე დარიანს“ — ბუნებრივად ჯდება პოეტის მისტიფიკაციის რკალში და „სამხილად“ ნამდვილად არ გამოდგება. სამწუხაროდ, არ მახსოვს სად, მაგრამ ეს სტროფი, როგორც პაოლოს ერთ-ერთი ექსპრომტი, დაბეჭდილი მინახავს (ვცდილობ მოვიძიე, მას შემდეგ ალბათ ათიოდე წელია გასული).

უკვე მოგახსენეთ, ავტორის უეჭველ დამსახურებად მივიჩნევ აქამდე უცნობი წერილებისა თუ მოგონებების გამოქვეყნებას-მეთქი. მაგრამ უადგილოდ მიმაჩნია გიორგი ჯავახიშვილის საკუთარი, „ლირიკულ-ბელეტრისტული“, კეკლუცური წიაღსვლები, რომლებითაც ხშირად უმართებულოდ „ჩაენაცვლება“ ხოლმე ელენე ბაქრაძეს. ასეთია, მაგალითად, 1915 წლის ზაფხულის მიწურულს, პაოლოს მიერ ცისფრად მორთული ეტლით (რომელშიც ცხენის მაგივრად თვითონ შეება), ცისფერმანდილშემოხვეული და ცისფერი ყვავილებით მორთული ელლის ქუთაისიდან გაცილების ეპიზოდი (უზარმაზარი ციტატით აღარ გადავღლი მკითხველს).

დასაწყისში ავტორი ელენე ბაქრაძეს პირველი სამი „დარიანული“ ლექსის უეჭველ ავტორად აცხადებდა; წერილის დასასრულს კი წერს — „მინდა დავსვა დიდი ხნის კითხვა ელენე დარიანის ციკლის 14 ლექსის ავტორობის საკითხზეო“, თუმცა დასკვნას მხოლოდ მიგვანიშნებს, უნდა ვიფიქროთ, უტყუარი საბუთების უქონლობის გამო.

„ასე ორჭოფული აზრით“ (მისივე სიტყვებია), მოულოდნელად, ამთავრებს წერილს გიორგი ჯავახიშვილი.

ელენე დარიანის მრავალწლიანი „გამოცანის“ ახსნას იგი პოვებს თვით ელენე ბაქრაძის სურვილში — არამც და არამც არ გაეცა საიდუმლო, არ გაემჟღავნებინა თავისი ავტორობა. ის კი არ იცის, რომ პოეტმა ელენე ბერიშვილმა 1922 წელს, სრულიად დაუფარავად, გამოაქვეყნა ლექსი „თავად დარიანს“ და თანაც სად, — ცისფერყანწელთა გაზეთ „ბახტრიონში“.

ცისფერყანწელებს ხელს აძლევდათ ელენე დარიანის ამგვარი პოპულარობა; ზოგ იმდროინდელ პოეტს, მათ შორის კოლაუ ნადირაძესაც, ლექსებიც კი აქვს მიძღვნილი „პოეტი ქალისადმი“.

აი ელენე ბერიშვილის ლექსიც: „წკრიალა ზარები, წკრიალა ზარები, ძველი წერილები დღეს ჩემთან არიან. მთვარის ცივ სხივებში მე გავებანები და მოგელოდები თავადო დარიან. ჩვენი მზე წარსული, სილურჯე მთვარისა, ყოველი დაბრუნდა და არის სიმწარე, მე ერთხელ ჩამოგცდი ცისფერი დარდითა, უფალო მაღალო, ორივე გვიფარე. მე მუდამ ვარ ჩუმი, არიან წამები, როდესაც მოდიან და ვხვდები ალებით. მე ცოტა მიცნობენ, ვარ ხომ სხვანაირი, ხელებზეც მკოცნიან ყველა დავალებით. ძვირფასო თავადო, წახვედი შორს ჩემგან, ძველი წერილები დღეს ჩემთან არიან. წკრიალა ზარების ხმაური დამჩემდა, ძვირფასო, მოგელი თავადო დარიან“.

ჯერ ერთი, ელენე ბერიშვილი „დარიანული“ ლექსების ავტორი რომ ყოფილიყო და, თუ თავის გამჟღავნება არ სურდა, ცხადია, ამგვარ „აფიშირებას“ თავს აარიდებდა; მეორეც, — რა უშლიდა ხელს ვითომცდა „ელენე დარიანს“, რომ ეს ერთ-ერთი, „რიგითი“ ლექსი ადრინდელი ფსევდონიმით გამოექვეყნებინა? პაოლომ ხომ 1922 წელს კიდევ ორი „დარიანული“ ლექსი გამოაქვეყნა „ცისფერი ქოლგა“ და „წერილი ანა ახმატოვას“ (იხ. „მეოცნებე ნიამორები“), ცხადია, კვლავ ელენე დარიანის ხელმოწერით.

პასუხი მარტივია: „დარიანული“ ლექსების ავტორი პაოლო იაშვილი იყო და არა ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი.

დღეს, როცა ჭაბუკი პაოლოს სატრფიალო წერილებს გავეცანი, სულ სხვაგვარად, თანაგრძნობითა და თანალმობით აღვივსე ლექსის — „თავად დარიანს“ — ავტორის მიმართ. ლექსი მხოლოდ ეპიგონური მეგონა („დარიანულ“ თარგზე), ის კი ერთგვარად, ავტობიოგრაფიულიც

უნდა იყოს. უკვე „ძველ“ და ნაღვლიან მოგონებად შთენილ სიყვარულზე უნდა მიგვანიშნებდეს სტროფები – „მე ერთხელ ჩამოგცდი ცისფერი დარდითა“, „ძვირფასო თავადო, წახვედი შორს ჩემგან, ძველი წერილები დღეს ჩემთან არიან“. და ბოლოს – ტკივილიანი თხოვნა: „ძვირფასო, მოგელი თავადო დარიან“.

ბუნებრივია ვარაუდი, რომ მათი რომანი დიდი ხნის დამთავრებულია, ელენე ბერიშვილიც აღარ არის ის ყმაწვილი ქალი, ჭაბუკ პაოლოს რომ უყვარდა... ეს მეტად ფაქიზი თემაა და, ქალბატონ ელენეს ხსოვნის პატივისცემის გამო, ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

აღვნიშნავ მხოლოდ, რომ პაოლო იაშვილი 1921 წლის 13 სექტემბერს დაოჯახდა: მისი მეუღლე – სრულიად ახალგაზრდა, ულამაზესი ცისფერთვალება გოგონა თამარ გიორგის ასული ოქრომჭედლიშვილი-სერებრიაკოვა გახდა. პაოლო მაშინ ცნობილი პოეტი და მეტად თვალსაჩინო პიროვნება იყო, მისი ჭაბუკური გატაცებებიც უკვე წარსულის კუთვნილებად ქცეულიყო.

საფიქრებელია, რომ პაოლოს „ადრინდელი“ ელენე დარიანის ერთ-ერთი პროტოტიპი მართლაც ელენე ბაქრაძე გახლდათ (დაახლოებით – 1915-1916 წლებში; მათი რომანი არ ყოფილა ხანგრძლივი, გავიხსენოთ თუნდაც 1917 წლით დათარიღებული ლექსი „მარიამ წერეთელს“, ან პოეტის სხვა „ამურული“ თავგადასავლები).

შესაძლოა, სწორედ ელენე ბაქრაძეს გულისხმობდეს კოლაუ ნადირაძის გვიანდელი მოგონებების ერთი ფრაგმენტი: „ელენესა და პაოლოს რომანი ჰქონდათ. პირველი ხელთათმანი ელენემ გადმოუგდო... (ცოტა არ იყოს, ორაზროვანი მეჩვენა ეს ფრაზა: ელენე იყო მათი რომანის ინიციატორი? – ლ.ა.).

პაოლო იყო სიცოცხლეზე საოცრად შეყვარებული კაცი, ისეთი, სულში რომ ჩაისვამდი...

ელენე სახელად იქცია, „დარიანი“ კი, „დორიან გრეის პორტრეტიდან“ წამოიღო. კარგი ლექსები გამოუვიდა. ყოველთვის მიკვირდა, ვეკითხებოდი, ასე როგორ იცნობ ქალის ფსიქოლოგიას-მეთქი? ვიცნობო, ჩაიცინებდა პაოლო“ („ოცნებად დამრჩა“, გამოაქვეყნა ნინო ჩხიკვიშვილმა 1985 წელს).

თუმცა მხცოვანი პოეტი გვარს არ ასახელებს, შესაძლოა, ელენე ბაქრაძე იგულისხმებოდეს; რადგან გიორგი ჯავახიშვილს მოაქვს ამ უკანასკნელის სიტყვები: „მე იმ ზაფხულს დორიან გრეი ვუწოდე... ჯერ შეიმშვენოვა (?! – ლ.ა.), მერე კი აღარ მოეწონა, აქეთ შემომიბრუნა... მე სილამაზის გამო მივმართე მას ამ სახელით, მან შინაარსი გამაშლევინა და უარი თქვა“. გიორგი ჯავახიშვილი წყვეტს ციტირებას და თავად განაგრ-

ძობს: „აეხადა ფარდა ელენე დარიანის ფსევდონიმის საიდუმლოებას. იგი აღებულია ინგლისელი მწერლის ოსკარ უაილდის „დორიან გრეის პორტრეტის“ მთავარი გმირის სახელიდან და შიგ ჩადეს ქართული სიტყვის დარის შინაარსი“.

არ ვიცი, ეს მისი მოსაზრებაა თუ ელენე ბაქრაძისა; ამიტომ, შესაძლოა გამოვთქვათ ფრთხილი ვარაუდი, რომ „ელენე დარიანს“ ორი „ნათლია“ — პაოლო იაშვილი და ელენე ბაქრაძე ჰყავდა.

თავად ელენე დარიანი კი უთუოდ „კრებითი“ სახეა: თავისუფალი, ენებიანი, სასურველი მიჯნურისა თუ ცოლისა.

ბუნებრივია, რომ საყვარელ ქალზე დაქორწინების შემდეგ, ელენე დარიანის ხატება თამარ იაშვილს დაახლოვებოდა; ბუნებრივია ისიც, რომ პაოლო 1923 წელს საბოლოოდ გამოემშვიდობა „პარიზისაკენ“ გამგზავრებულ ელენე დარიანს („გამოგონილმა“ პოეტმა ქალმა უკვე მოამთავრა თავისი მისია: 1915 წლიდან მოყოლებული, „შოკში ჩააგდო“ პოეზიაში ფარისევლობის მოტრფიალენი, თუმცა, ამ დროისათვის სიახლის მიმზიდველობა დაკარგა). თანაც, მომდევნო, 1924 წელი უმძიმესი აღმოჩნდა არა მარტო საქართველოსათვის, — პაოლოს ოჯახისთვისაც: შეთქმულების დარბევამ და სისხლიანმა ტერორმა იმსხვერპლა მისი უმცროსი ძმა. პაოლოს უმძიმესი შემოქმედებითი კრიზისი დაუდგა.

პაოლოს ერთგვარად ამბივალენტური დამოკიდებულება ჰქონდა საკუთარი ლექსების მიმართ: დაუდევრობაც და უკიდურესი მომთხოვნელობაც. იგი იყო დიდი სახელის მქონე პოეტი, საქართველოშიც და რუსეთშიც; „ცისფერი ორდენის“ მოთავე და სულისჩამდგმელი, დაბადებით ლიდერი...

წერდა იოლად, თამაშ-თამაშით; ხშირად სტამბაში (მაგალითად, „ფარშავანგები ქალაქში“ სტამბაშია დაწერილი), ზოგჯერ — კაფეში, რესტორანში, ოჯახურ სუფრასთან... სრულყოფილ ექსპრომტებს შადრევანივით აფრქვევდა. შემდეგში მისი მეგობრები ჩიოდნენ, ვინმეს რომ ჩაეწერა ეს ექსპრომტები, ერთი მოზრდილი ტომი გამოვიდოდაო.

არ იყო „კაბინეტის კაცი“, თავის ხელნაწერებს არც კი ინახავდა, ზოგჯერ — იქვე ანადგურებდა. ახალგაზრდობაში რატომღაც არც უფიქრია წიგნის გამოცემა. მხოლოს 30-იანი წლების შუაწელს, როცა არც კი ახსოვდა, სად რა ჰქონდა გამოქვეყნებული, სრულიად ახალგაზრდა და მის მოთაყვანე შალვა დემეტრაძეს სთხოვა — მოძებნე ჩემი ლექსები და წიგნად გამოვცემო და წყაროებზეც მიუთითა. შალვა დემეტრაძემ სურვილი კი შეუსრულა. მაგრამ ავბედითი 1937 წელი კარზე იყო მომდგარი.

რაც კი რამ ჰქონდა პაოლოს სახლში — ხელნაწერები თუ წერილე-

ბი, 1937 წლის იმ ავადმოსაგონარ ზაფხულის დღეს, პოეტის თვითმკვლელობის შემდეგ, იმასაც, მყისვე ბერიას დამჭაშებმა „მოუარეს“.

სწორედ ამიტომ, პაოლოს ყოველი ახლად მოძიებული ავტოგრაფი ან პირადი წერილი (თუ, რა თქმა უნდა, მართლაც ავთენტიკურია) მეტად ძვირფასია.

პაოლოს ლიტერატურული მემკვიდრეობის უანგარო მეურვემ და მოამაგემ შალვა დემეტრაძემ პირნათლად შეუსრულა პოეტს სურვილი, თუმცა დიდი დაგვიანებით; პოეტის რეაბილიტაციის შემდეგ, სწორედ შალვა დემეტრაძემ შეადგინა მისი რამდენიმე კრებული (მათ შორის ყველაზე სრული — 1975 წ.).

ამ წიგნებში, რა თქმა უნდა, „ელენე დარიანის ღღიურებიც“ იყო წარმოდგენილი.

ბატონ შალვას პირადად გაეცანი, როცა სადისერტაციო შრომის წიგნად გამოცემა განვიზრახე. მან უამრავი რამ იცოდა პაოლოზეც და „ცისფერ ორდენზეც“. არ დამზარდა, წაიკითხა ჩემი 300-გვერდიანი დისერტაცია, შემაქო (რას ვიფიქრებდი, ამდენი რამ თუ გექნებოდა მოძიებული) და ორიოდე ფასდაუდებელი ფაქტობრივი შენიშვნაც მომცა. ბევრი ვისაუბრეთ, მათ შორის იმაზეც თუ როგორ ნანობდა პაოლო, წიგნი რომ არ გამოსცა თავის დროზე.

საკუთარი შემოქმედების მიმართ მომთხოვნელობამ და საარქივო მასალისადმი დაუდევრობამ პაოლოს დათვური სამსახური გაუწია, ამის შედეგი კი ახლახანს, გიორგი ჯავახიშვილის პუბლიკაციითაც ვიწვნიეთ.

საკუთრივ ელენე ბაქრაძის მოგონებების თაობაზე კი, ოღონ გიორგი ჯავახიშვილის პუბლიკაციის მიხედვით, მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ იგი ბელეტრისტული თხზულებების ფრაგმენტებს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე სანდო მემუარებს. ჩანს, ქალბატონი ელენე, ხანდაზმულობის ჟამს, „ფიქრთ გასართველად“ თავს იქცევდა და დოკუმენტურ სიზუსტეზე სულაც არ ფიქრობდა.

მართლაც ბევრი, რბილად რომ ვთქვათ, — უზუსტობაა: გიორგი ჯავახიშვილის თქმით, ელლი თითქოს, პაოლოს ჯარში გაწვევის მოლოდინში — „ზეზეურად ჩამოხმა“. თუ იგი, გაცრუებული სიყვარულის გამო, მართლაც მელანქოლიამ შეიპყრო, ამის მიზეზი სულ სხვა იქნებოდა — 1913-14 წლები პაოლომ თავის საოცნებო პარიზში გაატარა! საშობლოში რომ დაბრუნდა, ომი კარგა ხნის დაწყებული იყო (დაბრუნდა 1914 წლის ბოლოს, ან, შესაძლოა, 1915 წლის იანვრის დასაწყისში: „1915. იანვარში,

პორტმა, რომელსაც გლაზგო ჰქვია, დიდს ნიაღვარში მე გამისტუმრა ევროპიდან ინგლისის გემზე „კაბადოკია“ – ლექსი „ევროპა“, 1922 წ.).

პაოლოს პარიზული „ოდისეა“, როგორც აღვნიშნეთ, – უგულებელყოფილია მოგონებაში, სადაც ერთგან, მთლად ფანტასტიკური რამ ამოვიკითხე: პაოლო, თითქოს, „აღელვებული იგონებდა იტალიაში ნახულ მარინეტის (იგულისხმება ფუტურიზმის ფუძემდებელი ფილიპო ტომაზო მარინეტი – ლ.ა.) და თავის თავს ფუტურისტად მიხატავდა“.

პაოლო არც იტალიაში ყოფილა, არც მარინეტი უნახავს ოდესმე და არც ფუტურისტად თვლიდა თავს!

ასევე, ჩვენებურ „ზეპირსიტყვიერებას“ განეკუთვნება მოსაზრება „ცისფერი ყანწების“ სახელწოდების თაობაზე. ეს ამბავი 1969 წელს მომითხრო ბატონმა შოთა ძიძიგურმა, ოღონდ „ნათლიად“ ვინ დაასახელა, – ცოდვას ვერ დავიდებ, – ნამდვილად არ მახსოვს.

გიორგი ჯავახიშვილის იმ დასკვნას, რომ „სონეტი ელლის“ ელენე ბაქრაძისადმია მიძღვნილი, მთლიანად ვიზიარებ. სასიხარულო მოულოდნელობაა ისიც, რომ თურმე, ამ ლექსის ავტოგრაფს დღემდე მოუღწევია.

ამ პუბლიკაციის მთავარი ღირსება კი, ჩემის აზრით, პაოლოს წერილების გამოქვეყნებით განისაზღვრება (ვიმეორებ, თუ წერილები ავთენტიკურია).

უნდა მოგახსენოთ, რომ შენიშვნის სახით, კიდევ ბევრი რამ შეიძლებოდა თქმულიყო, მაგრამ ამაზე სხვა დროს...

კულუარულ მითქმა-მოთქმას, მეტადრე სასეირო-„სათრეველს“, წესისამებრ, თავს ვარიდებ. ახლაც, ბევრი რამ ერთ ყურში შევუშვი და მეორიდან გამოვუშვი; გავოცდი მხოლოდ, როგორი მიმნდობი და „მალემრწმენი“ აღმოჩნდა ზოგიერთი, როგორ გამეტებულად, უმალ აიტაცეს მავანთ პაოლოს „პლაგიატორობა“!

ვისაც გულისყური არ აქვს დახშული, ვისაც მართლაც „ესმის“ ჭეშმარიტი პოეზია, მისთვის სრულიად უეჭველი უნდა იყოს, რომ „პირამიდებში“ და „ფარშავანგები ქალაქში“, „სევდიანი ზურმუხტი“ და „ფერადი სონეტი“, „ასო ლასი“ და „დარიანული“, „ელენე დარიანი წერს უბრალოდ და აბნეულად“ და „წერილი დედას“ – ერთი პოეტის ნახელავია.

ნუთუ ვინმეს ჰგონია, რომ პაოლო იაშვილი მიითვისებდა სხვის დაწერილ ლექსებს; პაოლო, რომელიც საკუთარ ლექსებსაც ისევე დაუნანებლად და ალალად ფანტავდა, როგორც, ერთ დროს, მამის ნაჩუქარ ფულს: „მახსოვს, როგორ იდგა ერთხელ ქუჩაში, სახლის კედელზე ზურგმიყრდნობილი, ხალათის ჯიბიდან მუჭა-მუჭა ახლად მიღებულ ქაღალდის ფულს იღებდა და თავის მეგობრებს აძლევდა დაუთვლელად“ (გერონტი ქიქოძე).

პაოლო იაშვილის ერთადერთი საფიცარი ასული, უმშვენიერესი და სიკეთით აღსავსე ქალბატონი, აწ განსვენებული მედეა იაშვილი მუდამ წუხდა, რომ მამის ხელნაწერები ასე შემოეფანტა, რომ სათანადოდ ვერ უპატრონა მის შემოქმედებით მემკვიდრეობას; მწარედ ნანობდა – დროზე როგორ ვერ გავხიზნეთ პაოლოს არქივიო (1937 წელს მედეა 13 წლისა თუ იქნებოდა; თამარ იაშვილი, ცხადია, სრულიად მოუმზადებელი შეხვდა ქმრის თვითმკვლელობას, ჩეკას ხროვის „ოპერატიულ ექსპროპრიაციას“ კი წინ ვინ აღუდგებოდა!)

მაგრამ განგებამ ინება, რომ პაოლოს შვილიშვილებს დღემდე შემორჩენოდათ ერთი ავტოგრაფი, თითქოს საგანგებოდ გამიზნული გიორგი ჯავახიშვილის უმართებულო დასკვნის გასაბათილებლად!

ეს სიფრიფანა, დროისაგან ერთთავად გაყვითლებულგვერდებიანი, შესაძლოა, თვითნაკეთი უბის წიგნაკია, რომლის პირველ გვერდზე, პაოლოს ხელით, სათუთად არის გამოყვანილი მიძღვნა – „თამარ იაშვილს“; ხოლო გვერდის შუაგულს მთავრული წარწერაა – „ელენე დარიანი“.

პაოლოს ალბათ სურდა მიეძღვნა საყვარელი მეუღლისათვის თავისი „დარიანული“ ლექსები. წიგნაკი „დარიანულით“ იწყება („დაიღალა მაჯა“...); ლექსის ბოლოს, პაოლოს მიერ მიწერილია – ელენე დარიანი; მთლიანადვე არის მოტანილი „პირამიდებში“, დანარჩენ ოთხ გვერდზე – კიდევ ოთხი ლექსის („ცისფერი ქოლგა“, „ანნა ახმატოვას“, „ფერადი სონეტი“, „პარიზისაკენ“) სათაურები და პირველი სტროფებია.

სწორედ ამიტომ, თამარ იაშვილისადმი მიძღვნილი წიგნაკი დაუმთავრებლის შთაბეჭდილებას ტოვებს. ის 1923 წელზე ადრე არ იქნება შედგენილი, რადგან ლექსები 1915-23 წლებით თარიღდება.

ჩვენთვის უცნობი გარემოების გამო (შეიძლება ეს მოუცლელობას მივაწეროთ ან, სულაც, სხვა საქმით გატაცებას), პაოლომ ამ ლამაზ იდეას ბოლომდე არ შეასხა ხორცი: იქნებ მხოლოდ „დარიანული“ და „პირამიდებში“ ახსოვდა მთლიანად (ირაკლი აბაშიძე წერდა – „პირამიდებში“, „წერილი დედას“ და „ფარშავანგები ქალაქში“ – მაშინ ისეთივე პოპულარული იყო, როგორც გალაკტიონის შედევრებიო), დანარჩენი ლექსები კი არა. იქნებ ხელნაწერების ან პირველნაბეჭდის მოძიება დაეზარა იმჟამად, მერე კი, მიივიწყა (ვინც პაოლოს შემოქმედებით ლაბორატორიას კარგად იცნობს, მას ეს არ გაუკვირდება).

თუ ვინმეს კიდევ ეპარებოდა ეჭვი, რომ „დარიანული“ ლექსები პაოლოს არ ეკუთვნოდა, იმედია, რომ პოეტის ამ წიგნაკმა ეს უსაფუძვლო ეჭვიც გააბათილა.

პაოლო იაშვილს ვერაფერი დააკლო გიორგი ჯავახიშვილის დაუსაბუთებელმა დასკვნებმა, ხოლო ამ უკანასკნელის, როგორც ლიტერატურის ისტორიკოსისა და მკვლევარის რეპუტაციას, ჩემი აზრით, არცთუ მცირედი ბზარი გაუჩინა.

მინაწერი: ეს წერილი უკვე გამზადებული მქონდა რედაქციაში მისატანად, როცა გაზეთ „კალმასობაში“ გიორგი ჯავახიშვილის ახალ პუბლიკაციას გავეცანი; მისი გაცნობა თუნდაც იმით იყო საინტერესო, რომ მკვლევარი, ბოლოს და ბოლოს, ელენე ბაქრაძის ლექსებსაც შეეხო.

ამჯერად გაწაფულ მკითხველს საშუალება აქვს გიორგი ჯავახიშვილის მიერ გამოქვეყნებული ბაქრაძისეული ლექსები შეუჯეროს პაოლო იაშვილის „ელენე დარიანის დღიურებს“ და თავად გააკეთოს ელენე ბაქრაძისათვის არცთუ სახარბიელო დასკვნა (ბაქრაძისეული და „დარიანული“ ლექსები ისე განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც ცა და დედამიწა).

თუკი საჭიროდ ჩავთვლი, გიორგი ჯავახიშვილის ახალ, დაუმთავრებელ პუბლიკაციას, რომელიც სავსეა ფაქტობრივი შეცდომებით და მემუარისტის მიმართ გამჟღავნებული „ასპროცენტიანი“ ნდობით, — მომავალში „კალმასობაშივე“ გამოვეხმაურები (იხ. „კალმასობა“, 1997 წ., №6, 23 სექტემბერი). მხოლოდ ორიოდე სიტყვას მოგახსენებთ გიორგი ჯავახიშვილის მიერ „აღმოჩენილ“ მეთხუთმეტე „დარიანულ“ ლექსზე!

საქმე ეხება „ეშმაკის მათრახში“ გამოქვეყნებულ ლექსს „რათ შემიგინა სინამდვილემ შმაგი ოცნება?“ ავტორის მცდარი მოსაზრებით ეს, „სონეტის ფორმით ჩამოქნილი“ ლექსი (ლექსი სწორედ რომ არ არის კანონიკური სონეტი) — ელენე დარიანისეულია; არადა, იგი სხვა არაფერია, თუ არა პაროდია!

საქმე ის გახლავთ, რომ სატირულ-იუმორისტული „ეშმაკის მათრახი“, სოციალ-დემოკრატების ორგანო, ცისფერყანწელთა დაუძინებელი ლიტერატურული და პოლიტიკური მტერი იყო; „ცისფერ ორდენს“ ხომ დასაბამიდანვე მფარველობდნენ ფედერალისტების გაზეთი „მეგობარი“ და გამოჩენილი მწერალი და ფედერალისტი კიტა აბაშიძე. პაოლოსა და მის „დარიანულ“ ციკლს, „ეშმაკის მათრახი“, პირზე ქაფმორეული, საკმაოდ უზრდელურად აკრიტიკებდა და, სხვათა შორის, „დარიანული“ ლექსების მეტ-ნაკლებად გონებამახვილურ პაროდიებსაც აქვეყნებდა!

გიორგი ჯავახიშვილი ასეთ „წვრილმანებს“ არ დაგიდევთ. მას ამგვარი სტროფი, „ვფიცავ, ამ ტანის ერთი ნაკეთიც არ დავიშურო, ოდეს იმ

ვაჟის ცხელი კოცნა სულს გამიხურებს. მოვიდა კიდეც... გავირინდე... ჩამომხევს სამოსს... მივტრიალდები და ჩამიხვევს ისეთი ხვევნით, რომ ერთის ნაცვლად მომაგონებს ვაჟკაცსა სამოცს" – პაროდია კი არა, „დარიანული" ჰგონია!

ვეღარ გავიგე, სასაცილოა ეს ამბავი თუ სატირალი! ერთი კი ცხადია: გიორგი ჯავახიშვილს პაოლოს შემოქმედებასა და „ცისფერ ორდენზე" ერთობ ზედაპირული წარმოდგენა აქვს...

არცოდნა ყოველთვის არ არის არცოდვა!

ახლა, როცა საფუძვლიანად შეილახა ბევრი კარგი ქართული ტრადიცია და ქართული მსოფლხედვის არნახული რღვევის ჟამიც დაგვიდგა, მაინც გავიხსენოთ, რომ ჩვენი მენტალიტეტი ძირეულად განსხვავდება დასავლურისაგან: იქ, რა ხანია, გაფაციცებით ჩხრეკენ გამოჩენილ პირთა „ჩვეულებრივ" სამიჯნურო თავგადასავლებს კი არა, – სკანდალურსაც; მაგ., კონსერვატორულ ინგლისში – ბაირონის ინტიმურ ურთიერთობას საკუთარ დასთან, ანდა ოსკარ უაილდის, „სექსუალურ უმცირესობათა" წარმომადგენლის, თავგადასავლებს (რომ აღარაფერი ვთქვათ საფრანგეთზე და აშშ-ზე).

რუსეთშიც, საუკუნეზე მეტია, მეცნიერები თავს იმტვრევენ პუშკინის „დონჟუანური სიის" შევსება-დახვეწაზე.

ჩვენ ჰატარა ქვეყნის შვილები ვართ, უფრო სხვაგვარი ჯიშისა და მრწამსისა და, გამოჩენილ პიროვნებათა აქამდე დაფარული ინტიმური ურთიერთობების გამომზეურებისას ერთობ დიდი სიფრთხილე, ტაქტი და სიფაქიზე გვმართებს. ახლო წარსულის „სენსაციებისა" თუ სასეირო ამბების შეუმოწმებელი გადმოცემისაგან კი, უმჯობესია, თავი შევიკავოთ.

„ლიტერატურულ საქართველოში" გიორგი ჯავახიშვილი მთლად აშკარად ვერ ბედავდა ელენე ბაქრაძის „დარიანობის" მტკიცებას; ახლა კი საქმეს ისე წარმოაჩენს, თითქოს უკვე ყველაფერი გაერკვიოს! ამით კი შეცდომაში შეჰყავს „კალმასობის" რედაქცია.

ასეთი ამჩატება მეცნიერს ნამდვილად არ შეჰფერის. მის პუბლიკაციას შეიძლება „ელენე ბაქრაძის აპოლოგია" ეწოდოს; მაგრამ რალა დააშავა ბრწყინვალე პოეტმა პაოლო იაშვილმა! იგი, ალბათ, კომმარულ სიზმარშიც ვერ წარმოიდგენდა, რომ „სენსაციას" გამოდევნებული მკვლევარი, მისი ულვთო სიკვდილის 60 წლისთავზე, ელენე ბაქრაძის ლექსების მითვისებას დასწამებდა!

1997 წ.

გიორგი ჯავახიშვილის „ლიტერატურულ საქართველოსა“ და „კალმასობაში“ გამოქვეყნებული სტატიების ზუსტი ქანრობრივი განსაზღვრა შეუძლებელია: ეს არის უცნაური ნაზავი უკომენტაროდ მოხმობილი მემუარული ფრაგმენტებისა, გამოჩენილ ქართველ მწერალთა კერძო წერილებისა, ავტორისეული „ლირიკულ-რომანტიკული“ წიაღსვლებისა, და, რაც მთავარია, ყოვლად უსაფუძვლო და უმართებულო დასკვნებისა.

ეს არის საარქივო მასალისადმი სრულიად უკრიტიკო დამოკიდებულებისა და პირველწყაროთა არცოდნის სავალალო ნიმუში.

საკმაოდ ვრცელი წერილების მთელი „სერიალი“ „მას-ლიტერატურის“ კანონებითაა შექმნილი: სენსაცია, სეირი, შეუმოწმებელი ფაქტები.

უგულებელყოფილია აწ განსვენებული სერგო კლდიაშვილის, კოლაუ ნადირაძის, შალვა აფხაიძის, გიორგი ლეონიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, ირაკლი აბაშიძის, შალვა დემეტრაძის, ნინო ტაბიძის, მირიან აბულაძის, გურამ ასათიანის, გია მარგველაშვილის, გრიგოლ ხერხეულიძის და სხვათა უმნიშვნელოვანესი მემუარები, გამოკვლევები და წერილები.

სამწუხაროდ, აღარ არიან ცოცხალნი ის პიროვნებანი, რომელთა ერთი სიტყვაც კი იკმარებდა 20-იანი წლების ნაკლებადცნობილი პოეტის ელენე ბერიშვილის „ელენე დარიანობის“ გასაბათილებლად.

ავტორს ზედმეტად მიუჩნევია თანამედროვე მკვლევართა ნაშრომების გაცნობაც.

არადა, ყოველივე ამის გათვალისწინება ჯავახიშვილის პუბლიკაციებს, სადაც ბევრი საინტერესო ეპისტოლური ნიმუშია გაბნეული, გარკვეულ მეცნიერულ ღირებულებასაც შესძენდა.

გიორგი ჯავახიშვილის პირველი წერილი „ცისფერყანწელთა ცისფერი დედოფალი“ („ლიტერატურული საქართველო“) სრულიადაც არ იძლეოდა იმის საფუძველს, რომ „ელენე დარიანი“ ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი-ქართველიშვილის ფსევდონიმად მიგვეჩნია. იქ ავტორი ორჭოფობდა და ფრთხილობდა მაინც; „კალმასობაში“ დასტამბულ წერილებში კი საქმეს ისე წარმოგვიჩენს, თითქოს უკვე ყველაფერი დაემტკიცებინოს და ელენე ბერიშვილს მხოლოდ „ელენე დარიანად“ მოიხსენიებს. ეს კი უთუოდ აკრძალული ფანდია, რომლითაც შეცდომაში შეჰყავს მკითხველიც და „კალმასობის“ რედაქციაც.

გიორგი ჯავახიშვილის პირველ „სენსაციურ“ პუბლიკაციას „ლიტერატურულ საქართველოშივე“ გავეცი პასუხი (იხ: „ელენე დარიანის მითი“, 1997 წ., ოქტომბერი, №42-43), მაგრამ „კალმასობაში“ აგორე-

ბულმა წერილების ახალმა ტალღამ მაინც განმაცვიფრა. ჯერ მარტო სათაურები რად ღირს! – „ცისფერყანწელთა ცისფერი დედოფლის მეგობრები: პაოლო"; „ელენე დარიანი და გიორგი ლეონიძე", „ელენე დარიანის მეგობრები: კონსტანტინე გამსახურდია, იოსებ გრიშაშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე"...

ავტორის უსაფუძვლო მტკიცების საწინააღმდეგოდ („ფაქტია,. რომ ცისფერყანწელთა წრეში 1915 წლიდან დაიბადა მშვენიერი ელლის – ქართველი ქალის ელენეს კულტი"), კვლავაც უნდა გავიმეორო: არავითარი „კულტი" არ ყოფილა; ცისფერყანწელებს ჰყავდათ თაყვანისმცემელ ქალთა გუნდი, ელენე ბერიშვილზე არანაკლებ მშვენიერი სატრფოებიც, უანგარო დობილებიც, მოგვიანებით, – ღირსეული მეუღლეები, მაგრამ „დედოფალი", ერთი რომელიმე გამორჩეული ქალბატონი – არასოდეს ჰყოლიათ.

დაინტერესებულ მკითხველს უმორჩილესად ვთხოვ, წაიკითხოს ჩემი ზემოხსენებული წერილი – „ელენე დარიანის მითი", ახლა კი მხოლოდ ორიოდე სიტყვას მოგახსენებთ იმ, განსაკუთრებით თვალში საცემ უხეშ შეცდომებზე, „კალმასობაში" გამოქვეყნებულ სტატიებში რომ აღმოჩნდა.

ღმერთია მოწამე, რომ არავის განაწყენება და, მით უმეტეს, შეურაცხყოფა არ მინდა. მართალი გითხრათ, უდიდეს სიამოვნებას მგვრის „პოზიტიური" სტატიების წერა. მაგრამ რა ვქნა, როდესაც გიორგი ჯავახიშვილი პაოლოს „დარიანული" ლექსების ერთ-ერთ პაროდიას, დაბეჭდილს თბილისის სატირულ-იუმორისტულ ჟურნალ „ეშმაკის მათრახში", ელენე დარიანის „ჩამოქნილ სონეტად" (მას არაფერი აქვს საერთო სონეტთან) მიიჩნევს და რიხიანად აცხადებს – მეთხუთმეტე (?!) „დარიანულ" ლექსს მივაგენიო! ანდა, როგორ დავიცვა ელენე ბერიშვილი იმ „პოლოგეტისგან", რომელიც წერს – „ელენესა და პაოლოს შორის სუფევდა ჭეშმარიტი სიყვარული, რასაც თან ახლდა თაედავიწყება, ორგიები(?!) და ზმანებებიო!" რაღა ვუყოთ იმ გარემოებას, რომ ავტორი პაოლოს 1915 წლით დათარიღებული ლექსის „სონეტი ელლის" გამოხმაურებად რატომღაც მიიჩნევს ერთი წლის შემდეგ გამოქვეყნებულ ვითომდა „პასუხს", ნამდვილად კი ზემოხსენებულ ყბადაღებულ პაროდიას – „რათ შემიგინა სინამდვილემ შმაგი ოცნება":

პაოლო იაშვილის მიძღვნა-სონეტს მოჰყვა ელენე დარიანის ლექსი: „რათ შემიგინა სინამდვილემ შმაგი ოცნება?" რომელიც გამოქვეყნდა 1916 წლის 20 მარტსო...

ორმაგი შეცდომაა: ეს ლექსი ხომ პაროდიაა და პაროდია, თანაც, მის გამოქვეყნებას წინ უსწრებდა პაოლოს რამდენიმე „დარიანული" ლექსი,

გამოქვეყნებული 1915-16 წლების ნოემბერ-დეკემბერ-თებერვალში, გაზ. „მეგობარსა“ და ჟურნალ „ცისფერ ყანწებში“. რაღა 1916 წლის მარტში გამოქვეყნებული პაროდია მიიჩნია მკვლევარმა „სონეტი ელლის“ პასუხად?

„ცისფერი ორდენის“ ყველა მკვლევარმა იცის, რა ამაგი დასდო პაოლო იაშვილის ლიტერატურულ მემკვიდრეობას შალვა დემეტრაძემ. ჯავახიშვილი კი, ნებსით თუ უნებლიედ, ცილს სწამებს მას, როცა წერს: „ყველაფერი კი იწყება იქიდან, როცა შალვა დემეტრაძემ შეადგინა პ. იაშვილის ნაწარმოებების კრებული და სწორედ იქ შეიტანა მან ელენე დარიანის ლექს-დღიურების 14 ნიმუში და ერთბაშად „დაადგინა“ მათი ავტორობა“.

ძვირფასო კოლეგებო, ხმა ამოიღეთ, რატომ უნდა გამოაცხადოს მავანმა მკვლევარმა ღვაწლმოსილი ლიტერატორი შალვა დემეტრაძე ყალბისმქმნელად? თანაც ისეთმა მკვლევარმა, რომელიც, ერთის მხრივ, ელენე ბერიშვილს „ელენე დარიანთან“ აიგივებს, მეორეს მხრივ კი, იქვე აბათილებს თავის მოსაზრებას: „ელენე დარიანი თავის ლექსებს პაოლო იაშვილს სარედაქციოდ აძლევდაო!“ სად ორიგინალური ლექსის შექმნა და სად „სარედაქციოდ“ გადაცემა! თანაც, არ არის დაზუსტებული, რა სახისა იყო (თუ იყო) ეს „რედაქცია“? ანდა პაოლო, რომლის „გულიდან ხორცად გამონატან“ ლექსებში „წმინდა შთაგონებას დაკისრებული ჰქონდა მაქსიმუმი“ (გურამ ასათიანი), – იკისრებდა კია რედაქტორობას?

პუბლიკაციათა ყველა შეცდომა-უზუსტობის კომენტირებასა თუ გაბათილებას არ ვაპირებ; დარწმუნებული ვარ, სხვებიც გაირკვებიან!

ახლა, როცა დილეტანტიზმი არნახულად მოეძალა ლიტერატურათმცოდნეობას, როცა ყველას ძალუძს ნებისმიერი დონისა თუ ყაიდის წიგნის გამოცემა (თუ ფული აბადია ან სპონსორი), როცა „მას-კულტურისა“ და „კიჩის“ მძლავრობამ ლამის ახალი „დარგი“ – „პოპ-მეცნიერება“ შექმნას, ღვთის მადლით, კვლავაც არსებობენ მაღალი პროფესიონალიზმით გამორჩეული ლიტერატორები, რომელთაც ხელეწიფებათ ჯეროვანი პასუხი გასცენ ნაირგვარ ინსინუაციებს.

1997 წ.

გვიანდელი მინაწერი: გ. ჯავახიშვილმა პოლემიკის „უადვილესი“, მაგრამ მკვლევარისათვის ფრიად უჩვეულო გზა აირჩია, როცა „მხოლოდ რეპლიკის რეპლიკაში“ (გაზ. „კალმასობა“, 1997 წ., №13) კონკრეტულ შენიშვნებს კონკრეტული პასუხები არ გასცა, მის პუბ-

ლიკაციებში მხილებული უხეში შეცდომები სრულიად უგულებელყო, სხვადასხვა თაობის პოეტების, მემუარისტების თუ ჩინებული ლიტერატურათმცოდნეების უდავო მოსაზრებანი არად ჩააგდო და მრავალი კითხვა უპასუხოდ დატოვა. მისთვისვეა საზიანო პასუხის უღირსი და ფამილარული ტონი, პასუხისა, რომელიც ოპონენტისათვის პირადული (და არა პროფესიული!) ჩრდილის მიყენების მიკიბულ-მოკიბული, ამაო მცდელობის გარდა, ჩემდა გასაოცრად, კვლავ რამდენიმე უზუსტობასა და ფაქტობრივ შეცდომასაც მოიცავდა.

შენიშვნების იგნორირებამ სამართლიანად მაფიქრებინა, რომ ელენე ბერიშვილის (და არა ელენე დარიანის! მათი იგივეობის დასამტკიცებლად მყვირალა სათაურები არ კმარა) „შემოქმედის" მკვლევარს ჩემი არგუმენტების გაბათილება არ შეეძლო.

1997 წლის ნოემბრის თვეში გაზ. „ახალ ქუთაისში" გამოქვეყნებული ავთანდილ ნიკოლეიშვილის ანგარიშგასაწევი კრიტიკული სტატიაც („კიდევ ერთხელ ელენე დარიანზე"), ელენე ბერიშვილის აპოლოგეტმა, ცუდი ჩვევისამებრ, – უპასუხოდ დატოვა. იგივე ბედი ეწია 1998 წლის მარტში „ლიტერატურულ საქართველოში" დასტამბულ დავით თევზაძის წერილსაც, – „გზასაცდენილი დისკუსია". ავტორმა მიუთითა ჯავახიშვილს უპასუხოდ დარჩენილ კითხვებზე და, რაც მთავარია, უმთავრეს ამოცანაზეც მიანიშნა: „გიორგი ჯავახიშვილს უნდა შეეჯერებინა დარიანისეული ლექსები თვით პაოლოსა და ელენე ბაქრაძის ამ პერიოდის ლექსებთან (თემატიკური, ლექსიკური, მხატვრულ-სახეობრივი, ვერსიფიკაციული და სხვა პოეტური აქსესუარების მიხედვით). ...მხოლოდ ამ გზით გახდებოდა შესაძლებელი საკითხის მეცნიერული გადაწყვეტა და არა შეყვარებულთა შეხვედრებსა და ინტიმურ ურთიერთობებზე დაყრდნობით".

ისევ და ისევ ამოჩემებული „არგუმენტებით" აღსავსე ახალ წერილში („ელენე დარიანის მითის სინამდვილე") გ. ჯავახიშვილმა კვლავ აარიდა თავი ჩემს, ავთანდილ ნიკოლეიშვილისა და დავით თევზაძის შენიშვნებს, რითაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ შეგნებულად გაურბის პოლემიკას.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ზეინაბ ლომჯარიას მრავალთვიანი, დაუზარელი, სკრუპულოზური კვლევის შედეგი, – 2000 წელს დასტამბული წიგნაკი – „ელენე დარიანი. წიგნი შეადგინა და გამოკვლევა დაურთო ზეინაბ ლომჯარიამ, რედაქტორი და წინათქმის ავტორი – თამაზ კვაჭანტირაძე".

ზეინაბ ლომჯარიას ვრცელმა გამოკვლევამ — „უვიცობის ტოლფასი „უნებლიე" შეცდომები", — უაბრავი ძველი და ახალი არგუმენტის მოსმობით, ჩემი აზრით, საბოლოოდ გაანიორწყლა ჯავახიშვილისეული „ვერსია".

2000 წ.

პაოლო იაშვილის ფუტუროლოგიური მისტიფიკაცია

1922 წლის დასაწყისია. ანექსირებულ საქართველოში ახალი ხელისუფლება ჯერჯერობით ფრთხილობს: არც „ზედმეტ" რეპრესიებს მიმართავს და სიტყვის თავისუფლებასაც არ ზღუდავს; ცდილობს ინტელიგენციისა და, განსაკუთრებით, მწერლობის ნდობა მოიპოვოს. დამოუკიდებელი საქართველოს თითქმის მთელი ხელისუფლება და მხედრობა საზღვარგარეთაა გახიზნული.

მართალია, 25 თებერვალმა არა მარტო კოტე მაყაშვილს, არამედ მთელ საქართველოს „დაუბნელა მაისი", ხოლო იუნკერთა და მოხალისე სტუდენტთა მიერ დაღვრილი წმინდა სისხლი კოჯრის შემოგარენში, სიმბოლურიც არის და ავისმომასწავებელიც, — ქართველმა ბოლშევიკებმა „თავი მოიკატუნეს" (აკაკი ბაქრაძე) და 1921 წელსვე დიდების ტაძრის წინ, რუსთაველის პროსპექტზე დამოუკიდებლობის დღე — 26 მაისი იდღესასწაულეს; საფუძველი ჩაეყარა რუსთაველის ძეგლსაც.

ფილიპე მახარაძესთან, შალვა ელიავასთან და სერგეი კიროვთან ერთად აღლუმზე სიტყვით გრიგოლ რობაქიძეც გამოვიდა. ვერ გავიზიარებ აკაკი ბაქრაძის მოსაზრებას, თითქოს „გრიგოლ რობაქიძეს სიტყვა იმიტომ ათქმევინეს, რომ მას უკვე ეჭირა პატარა თანამდებობა განათლების სახალხო კომისარიატში (აპრილიდან)".

გავიხსენოთ: გრიგოლ რობაქიძემ ჯერ კიდევ 1908 წელს გადაიმტერა ქართული სოციალ-დემოკრატია, რადგან პირველსავე ლექციაში, ილიას რომ ეძღვნებოდა, საკმაოდ დაურიდებლად მიუთითა მის სავარაუდო მკვლელებზე; ამის გამო სოციალ-დემოკრატიული პრესა მას გამუდმებით დევნიდა. მაგრამ, როგორც ჩანს, პოლიტიკასთან მიმართებით გრიგოლ რობაქიძე საკმაოდ ლოიალური გახლდათ, რადგან შემდეგში, დამოუკიდებელი საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მთავრობასთან ინტენსი-

ურად თანაშრომლობდა. მის ლოიალურობას მივაწერ ამ აღლუმზე ბოლშევიკებთან ერთად გამოსვლასაც, მით უმეტეს, რომ მწერალმა თავის მრწამსს აქაც არ უღალატა:

„დე, ეს ძეგლი, სიმბოლო ქართული გენიის უნივერსალობისა, იყოს აღმოსავლეთის მთელი კულტურისა და მისი ხალხების დამოუკიდებლობის მონუმენტი.

...დიდება თავისუფალ საქართველოს! დიდება განთავისუფლების დღეს – 26 მაისს!

დიდება შოთა რუსთაველს!“

„ცისფერყანწელები“, რომლებიც ეთაყვანებოდნენ თავიანთ უფროს მეგობარს და მაესტროს, გრიგოლ რობაქიძეს, პოლიტიკაში აქტიურად არასოდეს ჩარეულან, თუმცა მუდამ აშკარა იყო მათი სიმპათია ეროვნული მიმართულების პარტიებისა და მათი მესვეურებისადმი (კიტა აბაშიძე, არჩილ ჯორჯაძე). ამასთან, „ცისფერი ორდენის“ მოთავეებს, პაოლოსა და ტიციანს ქუთაისიდან გამოყოლილი პირადი მეგობრობაც აკავშირებდა ყოფილ თანაგიმნაზიელებთან, აწ უკვე ბოლშევიკებთან: არჩილ მიქაძესთან, ლევან ღოღობერიძესთან, შალვა ელიავასთან, ვლადიმერ ჯიქიასთან.

ალბათ ამიტომ იყო, რომ „ცისფერყანწელთა“ ჯგუფს 1921-23 წლებში არც განსაკუთრებული ცენზურა განუცდია და არც რაიმე დაბრკოლება შექმნია (1924 წლიდან, რა თქმა უნდა, ყველაფერი შეიცვალა).

ამის დასტურია 1922 წლის 22 იანვრის გაზეთ „ბარრიკადში“ (№5, გვ. 1-2) გამოქვეყნებული პაოლო იაშვილის უცნაურზე უცნაური წერილი „ყანწელები 1942 წელში“.

წერილი განმეორებით აღარსად დაბეჭდილა, საგანგებოდ არც არავის განუხილავს; მეც, პაოლო იაშვილისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში (რომელიც 1977 წელს თითქმის განახევრებული გამოიცა), წერილის მხოლოდ ერთი ფრაგმენტი მოვიხსენიე. დღეს კი, 80 წლის შემდეგ, დაგვიანებული ქართული პოსტმოდერნიზმის ხანაში, პაოლო იაშვილის ეს „ფუტუროლოგიური“ თამაში სულ სხვა კუთხით წარმომიდგა.

დაახლოებით 35 წლის წინ, როცა პირველად „აღმოვაჩინე“ ეს უცნაური თხზულება „ბარრიკადში“, უამრავ კორექტურულ შეცდომასთან ერთად, იმ გარემოებამაც დამაბნია, რომ ანონიმ მკითხველს ძველმოდური „ქიმიური“ მელნით, სათაურში მონდომებით გადაეხაზა 1942 წელი და სანაცვლოდ 1924 მიეწერა (რა თქმა უნდა – უმართებულოდ).

მოგეხსენებათ, ფუტუროლოგია კომპლექსური დისციპლინაა, საზოგადოებრივი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მონაცემებზე დაყრდნობით მომავლის წინასწარ განჭვრატას რომ ცდილობს.

„ყანწელები 1942 წელში“, უწინარესად, პაოლოს მისტიფიკატორული ბუნების, თამაშისადმი თუ ეპატაჟისადმი მიდრეკილების თაყვანსაცემი გამოვლენაა. მას მხოლოდ პირობით თუ ვუწოდებთ ფუტუროლოგიურ თხზულებას, თუმცა, არსებითად, პაოლო „წინასწარმეტყველებს“, — რა ბედი ეწევა „ცისფერ ორდენს“ (ქართულ პოეზიას, საქართველოს) 20 წლის შემდეგ (ამ დროისათვის თავად ავტორი 29 წლისაა).

გთავაზობთ ტექსტს მცირედი კუპიურებით:

ყანწელები 1942 წელში

1942 წელს ყანწელებიდან მხოლოდ ათი კაცი იყო ცოცხალი. დანარჩენები დაიხოცნენ და მათ შესახებ იხილეთ მონოგრაფია ახალგაზრდა ესპანელი კრიტიკოსის ხოზე-სიერო-ნევადის... ჩამოვიდა საქართველოში 1937 წელს, როდესაც თბილისში ყანწელებმა გამართეს პირველი კონგრესი პოეტების (მისი დედა ამილახვრის ქალი იყო)... ქართველებს ახსოვთ მისი ცნობილი მონოგრაფია ვაჟა-ფშაველას შესახებ, რომელიც დაიბეჭდა ამ რამდენიმე წლის წინათ ფრანგულ ჟურნალში „Mercure de France“-ში.

...ათი ყანწელის გვარი იცის საქართველომ: გრიგოლ რობაქიძე, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, სანდრო ცირეკიძე, ნიკოლოზ მიწიშვილი, ალი არსენიშვილი, გიორგი ლეონიძე, შალვა აფხაიძე და პაოლო იაშვილი.

...მსურს გამოვაჩინო პირველი დღიდან ჩვენი ორდენის დაარსებისა, ჩვენი ინტიმური ცხოვრება. აქამდის ბევრი ჩვენს გარეშე მყოფი ცდილობდა ჩვენი ცხოვრების შესახებ ყალბი ცნობები მიეწოდებინა საქართველოს ერისათვის, რომელსაც ღირსეულად მეთაურობს პრეზიდენტი გიორგი ლაშარელი, პიროვნება, რომელსაც აქვს უახლოესი კავშირი ყანწელების ორდენთან.

...1942 წლის ახალ წელიწადს ჩვენ ვხვდებოდით ქართველი პოეტების კვარტალში... ეს კვარტალი მდებარეობს მტკვრის მარჯვენა მხარეს და დაშორებულია ნახევარი ვერსით მცხეთის სადგურს. 1942 წელს ჩვენ ვხვდებოდით პოეტების კვარტალში, კაფეში, რომელსაც სახელწოდება ჰქონდა „ცისფერი ყანწები“.

ჩვენს სუფრაზე ვისხედით ათივე ყანწელი და ათი ყანწელის უმცროსი შვილები და უფროსი შვილები მარხულობდნენ იმ ღამეს, ლოცულობდნენ ცოდვილ ყანწელების სულის შესანდობრად..

...ღამე გავატარეთ აბასთუმნიდან მომავალ ტივებზე: ტივები იყვნენ უკანასკნელი ნაშთი ძველი, ბარბაროსული საქართველოსი, რომელსაც ჯერ კიდევ სწამდა ილიას და აკაკის პოეზია.

მეტივეები იყვნენ უკანასკნელი ჩოხოსნები და ამბობდნენ: სამწუხაროა, რომ საქართველოში სონეტი აღარ არსებობს.

...ორ იანვარს ცნობა გვეწვია დაღალულებს: ავად არის გრიგოლ რობაქიძე.

თბილისის გეროლდები ავტომობილზე აცხადებენ: ავად არის რობაქიძე.

პაოლო იაშვილმა ავადმყოფ პოეტის სახელით ხალხს განუცხადა: მოქალაქენო, დაიშალეთ! ქართული პოეზია ჯერ კიდევ ცოცხალია, ილოცეთ პოეზიისათვის.

საქართველოს პრეზიდენტმა გამოაცხადა ერთი კვირის სიჩუმე პოეტის გადარჩენისათვის. ქართული პოეზიისათვის ყველაფერი კარგად დასრულდა.

...2 აპრილს გაიმართა იუბილე ტიციან ტაბიძის. საფრანგეთის პოეტებმა, ამ დღისთვის ჩამოსულებმა, მიართვეს პოეტს თასი: საესე ნაღველით და მორიელის მანეკენი...

...ვალერიან გაფრინდაშვილმა მცხეთის სასაფლაოზე ააშენა წნელის კარავი, როგორც მოგონება ძველი პატრიოტული რომანტიზმისა. ...მან სთქვა ჩუმად: ამ კარავში იმიტომ ვარ, რომ ვერიდები თანამედროვეს და შეგნებულ სიგიჟეს... კარავში დადგმულ ტახტის ქვეშ უკვე გათხრილი იყო საფლავი პოეტის გასვენებისათვის.

ჩვენ ვერ ავუკრძალეთ პოეტს სიკვდილისათვის მომზადება. მით უმეტეს, როდესაც დავინახეთ, რომ საფლავის იატაკი და კედლები მოფენილიყვნენ გაფრინდაშვილის წიგნებით და ლექსებით... 7 მაისს ყვავილები შეისყიდა პოეტების ორდენის ხაზინადარმა გრიგოლ რობაქიძემ, რადგან იმ დღეს გარდაიცვალა კოლაუ ნადირაძის უფროსი ქალი და ყველა მაისის ყვავილები თბილისში ამ საფლავისათვის დაბანდდა. კოლაუ ნადირაძე სტიროდა და ცხენების ნაცვლად თვითონ იყო გაბმული ბალდახინში.

...სანდრო ცირეკიძემ მიიღო ნობელის პრემია ზავის და მშვიდობის ქადაგებისათვის. პრემიის დიდი თანხა მან დაურიგა ქუთაისის მათხოვრებს და ეხლაც განაგრძობს ყანწელების სტამბის უფროსობას და დაულალავად სცემს ჩვენს წიგნებს. ასოთამწყობებმა ქრისტეს და ბოდლერის ნაცვლად მისი სურათი დაკიდეს სტამბის კუთხეში.

...შარშან ალი არსენიშვილმა მიიღო აკადემიკოსობა საფრანგეთის და რუსულ პოეზიის გამოკვლევისათვის. მისი დისერტაცია პოეტების ორდენის

შესახებ წარდგენილია საპატიო ლეგიონის ორდენის მისაღებად... მიიღო კათოლიკობა, სცხოვრობს პირინეებში, უხუცეს ფრანსის ჟამესთან და უკანასკნელის შვილებს ასწავლის ქართველ პოეტების ორდენის ისტორიას.

...ნიკოლოზ მიწიშვილმა... მოაიარა მთელი ქვეყნიერება, როგორც პროპაგანდისტმა ჩვენი ორდენისამ. მისი მოხსენებები პარიზში, ლონდონში, პეტერბურგში, ნიუ-იორკში, რომში, პეკინში, ტოკიოში და სხვა უდიდეს ქალაქებში დღესაც ხმაურობენ, როგორც საოცრება მსოფლიოს ახალ ესთეტიკისა. ამ მოკლე ხანში ნიკოლოზ მიწიშვილი პეკინში მიემგზავრება, რადგან იქ საცოლოდ დაუნიშნავს ჩინეთის პრეზიდენტის ქალი.

...პოეტმა გიორგი ლეონიძემ კახეთის თაყადების დახმარებით მოინდომა საქართველოში გადატრიალების მოხდენა და თავისი თავის სრულიად საქართველოს მეფედ გამოცხადება. ის თეთრ ცხენზე თითქმის მიუახლოვდა თბილისს. მას წინ უძღვოდა ორი დროშა: ლაშარის გიორგის და ვაჟა-ფშაველასი. ყანწელების სასახლეს მოაწყდნენ თბილისის ქარხნის მუშები და მოითხოვდნენ: პოეტებო, გადაარჩინეთ საქართველო უბედურებას. დაარწმუნეთ თქვენი ძმა, რომ მისი პოეტის სახელი სრულებით არ უნდა ეძებდეს უფრო მეტ ამაღლებას.

ლეონიძესთან ჩვენ წავედით სათათბიროდ. იგი დათანხმდა და როდესაც ჩვენ მასთან ერთად ეტლებით შემოვდიოდით თბილისში, ხალხი იძახდა:

გაუმარჯოს პოეზიას და სიძველით დამწვარ პოეტს.

ლეონიძე ახლაც ოცნებობს წარსულზე, მაგრამ ჩვენ მას შევიქცევთ და დავავიწყებთ თეიმურაზის გვირგვინს.

...შალვა აფხაიძე ეძებს ძველ ეკლესიებში ქართველ მადონებს და კედლებზე სტოვებს წმინდა სონეტებს... მის ლექსებს ნახულობენ ნახევრად დანგრეულ ეკლესიების კედლებზე. წარსული წელი მან თბილისში გაატარა და სამჯერ მოგვიწვია სიონის გალავანში სადილზე... დიდი მეგობარია სრულიად საქართველოს კათალიკოზის. უკანასკნელი, აფხაიძის გვერდით, სიონში ლოცვის დროს ახსენებს ჩვენს სახელებს და ხალხს ალოცებს ჩვენი ჯანმრთელობისათვის.

...არ დაგეტოვა ცეცხლიანმა არჩილ მიქაძემ. თბილისის ოსტატებმა, დურგლებმა და ზეინკლებმა შავნაბადას მთაზე აუშენეს მას უდიდესი ბიბლიოთეკა, იქ იყო მხოლოდ ორი განყოფილება წიგნების: პოეზია და

რევოლუცია. ...ბიბლიოთეკის ზემო სართულში აღტაცებულმა რევოლუციონერმა გამართა ლადო გუდიაშვილის სამხატვრო ქარხანა. გუდიაშვილმა დაასრულა ბახტრიონის ტაძარი. ათი წელიწადი მხატვარმა ამ ტაძარს შესწირა. უკანასკნელი წლები განუწყვეტლივ ლოთობს. მის სურათებში უძვირფასესია საიდუმლო სერობა პოეტების. ქრისტე–რემბო, იუდა–ლიტერატურა.

პაოლო იაშვილი

80 წლის წინ დასტამბულ ამ სალაღობო, „ჯგუფური ნარცისიზმის“ გამომხატველ და, როგორც დღეს ვიტყოდით, – სარეკლამო წერილში, მიუხედავად მისი „არასერიოზულობისა“, ბევრი რამაა დამაფიქრებელი და ღირსსაცნობი, დამაინტრიგებელი და სახალისო, ირონიული თუ მწარე ღიმილის მომგვრელი; იშვიათად, – წინასწარმეტყველური.

ყველაზე სევდიანია კომენტარი, ათ „ცისფერყანწელს“ რომ ეხება: 1942 წელს მხოლოდ ოთხი მათგანია ცოცხალი: გრიგოლ რობაქიძე (ემიგრაციაშია, გერმანიაში), კოლაუ ნადირაძე, გიორგი ლეონიძე და შალვა აფხაიძე. „ცისფერყანწელთა ბენიამინმა“ სანდრო ცირეკიძემ ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ მხოლოდ ერთი წელი იცოცხლა. ავადსახსენებელ 1937 წელს, როცა პაოლოს ფანტაზიით, თბილისში ვითომცდა პოეტების პირველი მსოფლიო კონგრესი გაიმართა, – წერილის ავტორმა თავისი ხელით მოისწრაფა სიცოცხლე; მოგვიანებით ტიციან ტაბიძე და ნიკოლო მიწიშვილიც შეეწირნენ მძვინვარე ტერორს. 1939 წელს გარდაიცვალა ალი არსენიშვილი, ხოლო 1941 წელს – ვალერიან გაფრინდაშვილი.

პაოლოს წერილის გამოქვეყნებიდან ორიოდე წლის შემდეგ ანუ 1924 წელს საბოლოოდ დასამარდა ხელოვანის თავისუფლების ილუზია ტოტალიტარულ სახელმწიფოში...

ამ წერილის მიხედვით, 1942 წელს საქართველო თავისუფალია, დამოუკიდებელი და ლაღი; მას ღირსეული პრეზიდენტი გიორგი ლაშარელი განაგებს. საქართველო კვლავ პოეზიის ქვეყანაა; პოეტები, განსაკუთრებით „ცისფერყანწელები“, საყოველთაო პატივითა და დიდებით არიან მოსილნი: გრიგოლ რობაქიძის აკადემია მთელი ერისა და თვით პრეზიდენტის ზრუნვისა და ურვის საგანია (ტექსტის მიხედვით, რობაქიძე და პოეზია „სინონიმებია“: თუკი რობაქიძე „გადარჩება“ – ქართული პოეზიაც იცოცხლებს)...

2 აპრილს ტიციან ტაბიძეს იუბილეს უხდიან. ჭაღაროსანი პოეტის პატივსაცემად ფრანგი პოეტები ჩამოსულან „სიმბოლური“ საჩუქრებით: ნაღველით საუსე თასითა და მორიელის მანქანით...

ვალერიან გაფრინდაშვილი მცხეთის სასაფლაოზე (!) რომანტიკულ წნელის კარავს აიშენებს; ტახტის ქვეშ წინასწარ მომზადებული, პოეტის წიგნებით და ხელნაწერებით მოფენილი სამარეა გათხრილი; პოეტი სიკვდილისათვის ემზადება (თუ გავითვალისწინებთ, რომ 1942 წელს ვალერიან გაფრინდაშვილი მხოლოდ ერთი წლის გარდაცვლილია, წერილის ამ პასაჟს ირონიულად ვერ აღვიქვამთ)...

7 მაისით (7 მაისი — პოეზიის დღე იყო) დათარიღებული ეპიზოდი კოლაუ ნადირაძეზე კვლავ სასაფლაოს უკავშირდება: მისი უფროსი ქალის გარდაცვალებაზე მოგვითხრობს. მტირალი პოეტი ცხენების ნაცვლად თვითონ მიეზიდება ბალდახინს („ბალდახინი“ — კოლაუ ნადირაძის პირველი პოეტური კრებულია)...

სანდრო ცირეკიძე, ქუთაისში „ცისფერი ორდენის“ სტამბას რომ ხელმძღვანელობს, არც მეტი და არც ნაკლები, — ნობელის პრემიას იღებს ზავისა და მშვიდობის ქადაგებისათვის...

ალი არსენიშვილი აკადემიკოსი ხდება და საფრანგეთის საპატიო ლეგიონის წევრობაზეა წარდგენილი; კათოლიკობას იღებს და პირინეის მთებში სახლდება ფრანსის ჟამთან (ფრანსის ჟამი, ფრანგი სიმბოლისტების მოწაფე, წყნარი პროვინციისა და ბუნების მადიდებელი, რომლის პოეზიაში კათოლიციზმის მძლავრი ნაკადი შეინიშნება, — ალი არსენიშვილზე ერთი წლით ადრე, 1938 წელს გარდაიცვალა), რომლის შვილებს „ცისფერი ორდენის“ ისტორიას ასწავლის...

ნიკოლო მიწიშვილმა მთელი მსოფლიო მოიარა, როგორც „ცისფერი ორდენის“ პროპაგანდისტმა; მალე ის პეკინში მიემგზავრება, რადგან ჩინეთის პრეზიდენტის ქალიშვილზეა დანიშნული (ეს აზრი, პაოლოს, შესაძლოა, ნიკოლო მიწიშვილის ბაგრატიონის ქალზე დაქორწინებამ „შთააგონა“)...

გიორგი ლეონიძისადმი მიძღვნილი მონაკვეთი ლამის უნიჭიერესი აკა მორჩილაძის „მიბაძვად“ მოგვეჩვენოს: ამ პატარა ფრაგმენტში პაოლოს პოსტმოდერნიზმის არსენალის ხერხები აქვს გამოყენებული. ავტორს „გაუთამაშებია“ ლეონიძის ცნობილი ლექსის „ავტოპორტრეტის“ ფრაგმენტი: „არტურ რემბოსთან ბოროტ ტყუპად ჩახუტებული, მადგამენ

გვირგვინს თეიმურაზ და ჭავჭავაძე". სახელმწიფო „გადატრიალების" მოსურნე და „ტახტის მაძიებელი" პოეტი, მის მიერვე წამოწყებულ ამბოხებას მხოლოდ მეგობარი „ცისფერყანწელების" შეგონებით ჩაშლის...

შალვა აფხაიძე თბილისის იშვიათი სტუმარია; ფეხით შემოიარა მთელი საქართველო ქართული მადონების ძიებაში (შდრ. პოეტის ლექსი „Ave Maria!"); სონეტებს დანგრეული ეკლესიების კედლებზე წერს...

ფინალში „ცისფერყანწელთა" ორი ძვირფასი ახლობელია მოხსენიებული („ძვირფასები" – ასე ჰქვია ამ მცირე მონაკვეთს) – არჩილ მიქაძე და ლადო გუდიაშვილი (საცარი დამთხვევაა: „ბახტრიონის ტაძრის მომხატველმა" ლადო გუდიაშვილმა ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესია 40-იან წლებში, 1947 წელს მოჰხატა!).

მხოლოდ ამ უკანასკნელ ფრაგმენტში ჩნდება სიტყვები „რევოლუცია" და „რევოლუციონერი" (არჩილ მიქაძესთან მიმართებით); საერთოდ კი, პაოლოს წერილი სინამდვილიდან გაქცევად, არსებული რეალობიდან თუნდაც გაუცნობიერებელ თაეის დაღწევად მესახება.

„ყანწელები 1942 წელში" საკმაოდ დაუდევრადაა დაწერილი; არ არის გამორიცხული, რომ ის პირდაპირ სტამბაში, ნაჩქარევად დაიწერა და იქვე აიწყო. სხვათა შორის, ასეთი რამ სჩვეოდა პაოლოს – ექსპრომტების დიდოსტატს, რომელიც, მემუარისტთა მოწმობით, ხშირად სტამბაში თხზავდა ლექსებს.

წერილში შეინიშნება ისეთი რეალიები, რომელნიც უფრო ჩვენს თანამედროვეობას ესადაგება, ვიდრე 1942 წელს.

თბილისში პოეტების პირველი საერთაშორისო კონგრესის გამართვა (ხომ იმართება დღეს მუსიკის, კინოს თუ თეატრალური ფესტივალები, საერთაშორისო კონგრესები და სიმპოზიუმები) 1937 წელს ნამდვილად აბსურდია; დღეს კი, პოეზიის გაუფასურების და დაუფასებლობის ჟამს, ამგვარი რამ შესაძლებელიც არის და მისასალმებელიც (რა თქმა უნდა, თუ „პოლიტიკურმა სპექტრმა" გვადროვა!). ინტერნეტის ხანაში არც ის გაგვაკვირვებს თუ ესპანელი მწერალი ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილ მონოგრაფიას ფრანგულ ჟურნალში დაბეჭდავს.

მცხეთასთან გაშენებულ „ქართველი პოეტების კვარტალთან" მიმართებით მაგონდება ლიანა ისაკაძის განუხორციელებელი (ჩვენდა საგალობლად!) მცდელობა „მუსიკოსთა სოფლის" დაარსებისა სწორედ მცხეთის შემოგარენში!

წერილის ერთ, კუპიურაში მოყოლილ ფრაგმენტში მოხსენიებულია რადიო-ტელეფონი, რომლითაც ტივებზე მოქეიფე „ცისფერყანწელები" მცხეთიდან თბილისში მყოფ ოჯახებს უკავშირდებიან. გავიხსენოთ ყოველი მეხუთე თბილისელი „თინეიჯერი", საქმიანად რომ მიუკრავს ყურზე მობილური ტელეფონი.

„ცისფერყანწელთა" განდიდებისა და მკითხველის მისტიფიცირებისათვის პაოლო ხშირად აშკარა აბსურდსაც არ ერიდება: მარტო ხოზე სიერა-ნევადა (სიერა ნევადა – ერთ-ერთი ულამაზესი მთაგრეხილია ამერიკის შეერთებულ შტატებში) და საქართველოს პრეზიდენტი გიორგი ლაშარელი რად ღირს; ან ფრანსის ჟამთან მცხოვრები ალი არსენიშვილი თუ ჩინეთის პრეზიდენტის ქალიშვილთან დაწინდული ნიკოლო მიწიშვილი!

მაგრამ ყველაზე მეტ აბსურდად ის წელი მესახება, პაოლოს რომ შეურჩევია მომავლის განსაჭვრეტად: 1942, – როცა მთელი ევროპა ცეცხლის ალშია გახვეული, ხოლო კავკასიონზე მომდგარი ჰიტლერის ჯარი რამდენიმე თვეში ამიერკავკასიის დაპყრობას გეგმავს!

2003 წ.

„...განა სუყველას თქმა უნდა!"

რაისა პხედავ წუელსა თუალსა შინა ძმისა შენისასა
და დურესა თუალსა შინა თუსსა არა განიცდი?
სახარება ლუკასი, თ. 6, 42

ქართული პუბლიცისტიკა დროულად და ღირსეულად ეხმაურება ერის საჭირბოროტო, უმტკივნეულეს მოვლენებს; სხვა საკითხია, რომ ამ ურთულეს ჟანრს შეეჭიდა ბევრი მედროვე, რომელიც უღიმღამო, საეჭვო მხატვრული ღირებულების ნაწარმოებითაც იოლად გადის ფონს, ამოფარებული „მომგებიან" იდეებს. ამჯერად საუკეთესო პუბლიცისტთა და პოლიტიკურ მოღვაწეთა ნააზრევიდან გამოვყოფ ერთ, საქართველოს მომავლისათვის უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს – პროფესიონალიზმის საკითხს ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში. მათ შორის, რა თქმა უნდა, ლიტერატურულ კრიტიკაშიც.

სწორედ ამ თვალსაზრისით მინდა შევეხო თემურ მირიანაშვილის წერილს „პირზე მომდგარსა სიტყვასა...“ („ლიტერატურული საქართველო“, 1990 წელი, 8 ივნისი).

წერილის დასწყისში თ. მირიანაშვილი სამართლიანად წერს, რომ – „...ლიტერატურის ჩამწყდევას ეროვნულ თუ სახელმწიფოებრივ ჩარჩოებში არ შეიძლება არ ჰქონდეს უკიდურესად უარყოფითი, ტრაგიკული შედეგები“; რომ „...ყველა უცხოური იდეისა თუ თეორიის წინაშე ქედმოდრეკაც დამღუპველია“; მოიხმობს ილიას სიტყვებსაც ამის თაობაზე და სინანულით აღნიშნავს „სხვისი ბაძის“ მსურველთა ზრდის ტენდენციას. „ჩვენში არამცთუ არ კლებულობს, არამედ პირიქით, მატულობს „სხვისი ბაძის“ მსურველთა რიცხვი. ეს ტენდენცია სულ უფრო და უფრო გლობალურ მასშტაბებს იღებსო“... ჩანს, ეს მართლაც ასეა, რის დასტურადაც, სამწუხაროდ, თავად კრიტიკოსის მიერ უადგილოდ მოხმობილი უცხოური სიტყვა „გლობალური“ მესახება. როგორ იღებს „ჩვენში“ ანუ საქართველოში „გლობალურ“ ანუ მსოფლიო მასშტაბს ესა თუ ის ტენდენცია? მშობლიურ ენაზე თუნდაც გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი „გლობალურის“ სანაცვლო სიტყვა ვერ მოიძებნა? მაგრამ ეს ისე, სიტყვამ მოიტანა.

თ. მირიანაშვილი განაგრძობს: „...როგორც ყველა ლიტერატურულ ტენდენციას, მასაც სჭირდება თეორიული საფუძველი. ამ ამოცანის განხორციელება, „სხვისი ბაძის“ თეორეტიკოსობა იტვირთა ახალგაზრდა ლიტერატორმა კახა ჯამბურიამო“.

ამთავითვე ვიტყვი, რომ ნიჭიერი ახალგაზრდა კრიტიკოსის კახა ჯამბურიას დაცვის უწინარეს, სხვა მიზანი მაქვს, უფრო „გლობალური“.

ჯერ კი მხოლოდ ფაქტებს მოვუხმობ.

ავტორის აზრით, კახა ჯამბურია, ვთქვათ პირდაპირ – ანტიეროვნული მიმართულების თეორეტიკოსია. საფუძველი? აი ისიც: „ბოლო წლების მანძილზე გამოქვეყნებულ რამდენიმე სტატიაში იგი უდიდეს სიკეთედ აცხადებს „ქართული პოეზიის ევროპულ რადიუსზე გამართვას“ (ავტორი ტიციან ტაბიძის ოდნავ სახეცვლილ ამ ფრაზას, როგორც ჩანს, ჯამბურიასეულად მიიჩნევს – ლ.ა.), „უცხოური ლიტერატურის რემინისცენციებს“. ასეთივე დიდ სიკეთედ მიაჩნია კ. ჯამბურიას აკაკისა და ვაჟას „გავლენისაგან“, აგრეთვე, მთელი ქართული კლასიკური მემკვიდრეობისაგან „თავის დაღწევა“.

მკითხველს შეიძლება მოეჩვენოს, რომ ვაზვიადებ ან ცილს ვწამებ კოლეგას. მესმის მკითხველისა. თავდაპირველად მეც ვერ დავუჯერე თვალებს, როდესაც „მნათობის“ (№8, 1986) ფურცლებზე ტიციან ტაბიძისადმი მიძღვნილ სტატიაში — „პოეტი და პიროვნება“ — წავიკითხე შემდეგი: „ფაქტიურად ეს იყო სწრაფვა („ცისფერყანწელებისა“ — თ. მ.) მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო მიღწევებისაკენ, ლიტერატურული სიახლეების წვდომისა და ნოვაციების გადმონერგვის სურვილი. ვაჟა-ფშაველასა და აკაკის ლექსის გავლენისაგან თავის დასაღწევად ევროპული და რუსული მწერლობის მიღწევების ათვისება ალბათ ერთერთი ყველაზე სწორი გზა იყო ქართული პოეზიის წინსვლისა და განვითარებისათვის (გვ. 126)“.

ტყუილად „ვერ დაუჯერა თვალებს“ ავტორმა; კახა ჯამბურიას ამ სიტყვებში არაფერია საგანგაშო. მან თავისებურად გადმოსცა (არცთუ კატეგორიულად — „უცხო ბაძის“ „თეორეტიკოსმა“ სიტყვა „ალბათაც“ მოიშველია) ცნობილი თვალსაზრისი „ცისფერი ორდენის“ მრწამსისა და მხატვრული შემოქმედების თაობაზე. ეს უკანასკნელი კი ძირფესვიანად განსხვავდება 30-იანი წლების გაუნათლებელ „წითელ პროფესორთა“ შეხედულებებისაგან.

მოგახსენებდით, კახა ჯამბურიას დაცვის უწინარეს, სხვა მიზანი მაქვს მეთქი. ეს მიზანი, როგორ პარადოქსადაც არ უნდა ჟღერდეს, ცისფერყანწელთა დაცვაა.

საქმე ის არის, რომ ნებსით თუ უნებლიედ, თემურ მირიანაშვილის ბრალდებანი უმალ ცისფერყანწელებზე ვრცელდება, ვიდრე კახა ჯამბურიაზე.

საერთოდ გაუგებარია, რად მიიჩნია დასაგმობად თ. მირიანაშვილმა ისეთი უცილობელი მადლი, როგორიცაა ქართული პოეზიის მსოფლიო რადიუსით გამართვის მცდელობა, ანდა მსოფლიო ლიტერატურის მონაპოვართა შემოქმედებითი ათვისებისაკენ სწრაფვა; მით უმეტეს, რომ ზემოთქმული ჩვენი საუკუნის 10-იან წლებს ეხება, როცა ცალკეულ პოეტურ გამონათებათა მიღმა, ილიას, აკაკისა და ვაჟას შემდეგ ქართული პოეზიის თითქოსდა დაცლილ სარბიელს დროებითი ერთფეროვნება და უსახო მიმბაძველობა დაპატრონებოდა.

დასავლეთ ევროპისა და რუსეთის ე.წ. „ახალ პოეზიას“ ზიარებულ ცისფერყანწელებს აერთიანებდა ეპიგონური პოეზიის სიძულვილი, ლტოლვა ახალი, აუთვისებელი თემებისა და ახლებურ ფორმათა მიმართ. სიახლესმოწყურებული ცისფერყანწელები ცდილობდნენ, ქართული პოეზიის კუთვნილებად ექციათ მსოფლიოს უახლეს პოეზიაში გაბნეული სახეები.

ზოგი მათგანი „გადმოქართულდა“, მშობლიურ პოეზიას შეერწყა, ზოგიც მივიწყებამ მოიცვა.

ცისფერყანწელთა დროებითი ქედმოხრა დასავლეთის პოეზიის მიმართ არ ნიშნავდა „მონურ მიბაძვასა“ და დამორჩილებას უცხოეთისადმი მშობლიური ქვეყნის საზიანოდ. პირიქით, მათი თავი და თავი მიზანი იყო ქართული პოეზიის წინსვლა ევროპული პოეზიის სიახლეთა ათვისების გზით, მისი გამართვა „მსოფლიოს რადიუსით“.

სარბიელზე გამოსვლისთანავე ცისფერყანწელებმა საფრანგეთს მიაპყრეს მზერა. ტიციან ტაბიძე მოითხოვდა, „მომავალ დიდ ქართველ მხატვარში უნდა შეხვდეს რუსთაველი და მალარმეო“ და ბოდლერის „ბოროტ ყვავილებს“ რგავდა ბესიკის ბაღში („ქალდეას ქალაქები“). ვალერიან გაფრინდაშვილი ბოდლერის პოეტურ კრებულს სახარებას ადარებდა. პაოლო იაშვილი პირდაპირ მიუთითებდა „განახლების მგოსანთა“ ანუ ცისფერყანწელთა ძმებზე – ფრანგ პოეტებზე: „საქართველოს შემდეგ უწმინდესი ქვეყანა არის პარიზი, ... სადაც გიჟური გატაცებით ჯამბაზობენ ჩვენი ლოთი ძმები – ვერლენი და ბოდლერი, მალარმე, სიტყვების მესაიდუმლე და არტურ რიმბო, სიამაყით მთვრალი, დაწყევლილი ჭაბუკი“; ხოლო სონეტების „ტრიპტიხში“ აცხადებდა: „ვერლენი, ბოდლერ და მალარმე! ამ სამებაში მე ყველა მიყვარსო...“

ცისფერყანწელებს ფრანგული ორიენტაცია პოეზიაში მშობლიური მწერლობის ღალატად არ ესახებოდათ: „...როცა ხალხი იღებს სხვისგან რამეს, იმას თავის ბრძმედში ატარებს. ნაციონალური აპერცეპციის ძალით ერი ითვისებს იმას, რაც მის ეროვნულ თავისებურებას ეგუება, რასაც იმასთან ახლობელი კაეშირი აქვს“ – ასკვნიდა ტიციან ტაბიძე.

ევროპული ორიენტაციის მიღებით ცისფერყანწელები ფიქრობდნენ ბოლო მოეღოთ მშობლიური მწერლობის ჩამორჩენილობისათვის, მოესპოთ მისი „შინჩაკეტილობა და საკუთარ წვენში დუღილი“ (პაოლო იაშვილი), მათი ფიქრი „პოეზიის მსოფლიო არესაკენ“ (ესეც პაოლო იაშვილის სიტყვებია) იყო მიმართული.

ცისფერყანწელთა პატივმოყვარული, ამავე დროს ღრმად პატრიოტული სწრაფვა ქართული პოეზიის მსოფლიოს სარბიელზე გაყვანისა – ქართული კულტურის გამარჯვებასაც მოასწავებდა უთუოდ, რადგან: „პოეზია აყვანილი ეტნოგრაფიიდან და ეროვნულ პროვინციალიზმიდან უნივერსალურ ფორმამდე უფრო ამაგრებს ეროვნულ ხერხემალს და ამართლებს ერსაც“.

სხვა საკითხია, რომ ჭაბუკ ცისფერყანწელებს ზოგჯერ ღალატობდა ზომიერების გრძნობა, არც პოზიორობა და პარადოქსებით თავმოწონება იყო

მათთვის უცხო... ამჯერად კი, ვფიქრობ, ზემოთქმულის გათვალისწინებით, ციხურ მირიანაშვილს კახა ჯამბურიასთვის კი არა, ცისფერყანწელებისათვის უნდა „ესაყვედურებინა“ მათი ევროპული ორიენტაციის გამო:

„რომელი მწერლები ჰყავდა არჩეული ორიენტირად ტიციან ტაბიძეს? — სვამს კითხვას კახა ჯამბურია და, რა თქმა უნდა, პასუხიც მზად აქვს, — შარლ ბოდლერი, პოლ ვერლენი, არტურ რემბო, სტეფან მალარმე, ემილ ვერჰარნი, პოლ კლოდელი, ჟიულ ლაფორგი, სიულ პრიუდომი, ლოტრეამონი, პოლ ვალერი, ედგარ პო, ოსკარ უაილდი, ვალერი ბრიუსოვი, ანდრეი ბელი, კონსტანტინე ბალმონტი, ალექსანდრე ბლოკი, ბორის პასტერნაკი და სხვანი და სხვანი“ (იქვე).

პირადად მე, ჯამბურიასეულ სიაში უადგილოდ მიმაჩნია მხოლოდ ბორის პასტერნაკის მოხსენიება (ნაწილობრივ ეს პოლ ვალერისაც ეხება). ტიციანისა და პასტერნაკის პიროვნული და შემოქმედებითი მეგობრობა ყველასათვის ცნობილი ფაქტია, მაგრამ მათი დაახლოებისას ტიციანი უკვე ცნობილი და საკმაოდ ჩამოყალიბებული პოეტი გახლდათ, ამდენად, ცისფერყანწელი ტიციანის „ორიენტირად“ ბორის პასტერნაკი, მართლაც რომ არ გამოდგება, ეს ანაქრონიზმია.

თემურ მირიანაშვილი განაგრძობს:

„ესახოთ კ. ჯამბურიას კიდევ ერთი ტიპიური სტატია — „ეს განწირულის სულისკვეთება...“ („ლიტერატურული საქართველო“, 9. IX-88).

დასაწყისში კ. ჯამბურია ახსენებს უცხოელ მწერლებს, უცხო ცნებებს: ფრიდრიხ ნიცშე და ზიგმუნდ ფროიდი, დოსტოევსკი და ოსვალდ შპენგლერი, ექსისტენციალიზმი და ავანგარდიზმი, ვირჯინია ვულფი და ტოტალური გაუცხოება... ამის შემდეგ კ. ჯამბურია გვიცხადებს: „ცისფერყანწელებმა“ „უარჰყვეს მთელი კლასიკური მემკვიდრეობა (იგულისხმება ქართული. — ლ.ა.) და მზერა ევროპულ მოდერნიზმს მიაპყრეს“.

აქ, როგორც ვხედავთ, უკვე არა მხოლოდ აკაკისა და ვაჟას უარყოფა ითვლება უდიდეს სიკეთედ, არამედ მთელი ქართული კლასიკური მემკვიდრეობისაც.

სტატია თავიდან ბოლომდე „წმინდა პოეზიის“ დასაცავადაა მიმართული. ყოველი უბედურების თავიდათავი კი, კ. ჯამბურიას აზრით, ეს არის, რომ ლიტერატურას მავანმა და მავანმა ასეთი მოთხოვნა წაუყენა: „მას (ლიტერატურას. — თ.მ.) მაინცდამაინც ეპოქის მოთხოვნები და ხალხის პრობლემები უნდა აესახა და ეკვალა“.

ალბათ, ძალიან დიდ ჩამორჩენილობად კი ჩამეთვლება, მაგრამ მაინც გავბედავ და ვიტყვი, რომ ჩვენს მცირერიცხოვან, პოლიტიკურ და სხვაგვარ ძალას მოკლებულ ერს სიტყვაზე, ლიტერატურაზე მძლავრი იარაღი

არ გააჩნია. ამ იარაღზე ნებაყოფლობით უარის თქმა, ევროპული მოდის გულისათვის „წმინდა პოეზიის“ ქადაგება დამღუპველი იქნება ჩვენთვის“ (იქვე).

აქ ერთი მოსაზრება ზოგადად „წმინდა პოეზიის“ წინააღმდეგაა მიმართული, კერძო შენიშვნა კი ცისფერყანწელების კლასიკურ ქართულ მწერლობასთან მიმართების ჯამბურიასეულ შეფასებას ეხმიანება.

კრიტიკოსის შემდგომი მსჯელობა ამ შენიშვნების დაზუსტების მცდელობაა, ამიტომ, მკითხველთან ბოდიშის მოხდით, რაიმე უზუსტობის თავიდან ასაცილებლად, კვლავ ავტორისეულ სიტყვებს მოვიტან:

„კ. ჯამბურიას თუ დავუჯერებთ, ყველა, ვინც ლიტერატურისაგან „მაინცდამაინც ეპოქის მოთხოვნებისა და ხალხის პრობლემების კვლევას“ მოითხოვს, პროლეტკულტელთა „კურიოზული ესთეტიკის“ მიმდევარია. ალბათ, ამიტომაც არ მოსდის თვალში აკაკი და ვაჟა, რომელთა ნაწერებშიც უამრავჯერაა გამეორებული ლიტერატურის ცხოვრებასთან უმჭიდროვესად დაკავშირების მოთხოვნა და რომლებიც პრინციპულად არ იზიარებენ „წმინდა ხელოვნების“ თეორიას.

ერთადერთი ქართველი კლასიკოსი, ვისაც ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი და ვ. გაფრინდაშვილი არ უარყოფენ, კ. ჯამბურიას აზრით, არის ილია. მაგრამ ჯერ ერთი, ნუთუ ილია არ შედის „მთელს კლასიკურ მემკვიდრეობაში“, რომელიც „ცისფერყანწელებმა“ „უარჰყვეს“? ესეც არ იყოს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ტიციანს, პაოლოს და ვალერიანს ჩვენ, პირველ რიგში, სწორედ მათი ე. წ. „სიმბოლისტური“ პერიოდის გამო ვაფასებთ და ეს სავსებით ბუნებრივია“, გამოდის, რომ ქართულ სიმბოლიზმს (გაურკვეველია, რატომ ჩასვა ეს ცნება კ. ჯამბურიამ ბრჭყალებში და რატომ დაურთო წინ „ე. წ.“– ილიასაგან აუღია სათავე (უცნაური, და ჩემი აზრით, ულოგიკო დასკვნაა – ლ.ა.). ვერაფერს იტყვი, ორიგინალური აზრია! მაგრამ კარგი იქნებოდა, კ. ჯამბურიას ხელი აეღო შიშველ დეკლამაციებზე (? – ლ.ა.) და ამ აზრის არგუმენტირება ეცადა; მოეტანა ილიას თუნდაც ერთი გამონათქვამი, რომელიც რაიმეგვარად შეიძლება ჩაითვალოს „წმინდა ხელოვნებისა“ და მოდერნიზმის საფუძვლად. ვგონებ, ვერ შესძლებს ამას კ. ჯამბურია“ (იქვე).

მართალი გითხრათ, კახა ჯამბურიას ზემოხსენებული წერილი ერთგვარად დაუხვეწავად მიმაჩნია, მაგრამ თემურ მირიანაშვილის ბრალდებები გადაჭარბებულად მეჩვენება; მათ, ცოტა არ იყოს, დემაგოგიის ელფერი აქვთ: კრიტიკოსი თვლის, რომ „წმინდა ხელოვნების“ ქადაგება დამღუპველია ჩვენი დღევანდელი სინამდვილისათვის. აქედან ლოგიკური იქნებოდა დასკვნა: კახა ჯამბურიას მოსაზრებაც დამღუპველია ჩვენთვის,

„მავნებლურია“. კრიტიკოსს მიაჩნია, რომ კახა ჯამბურია ქართული კლასიკური მემკვიდრეობის წინააღმდეგია (?!), ცისფერყანწელთა ადრინდელი დეკლარაციული უარმყოფლობის „საყმაწვილო სენს“ ის, შეცდომით, ჯამბურიასეულ მოსაზრებად თვლის.

ერთგან ავტორი ცდილობს, შეარბილოს კრიტიკული სუსხი – „ქართული კლასიკური მემკვიდრეობის უარყოფას საფუძვლად უდევს არა რაიმე პრინციპული მოსაზრება ან, მით უმეტეს, ახალგაზრდა კრიტიკოსის ანტიქართულობა, არამედ უბრალოდ მოდის აყოლა ანუ სნობიზმიო“ – მაგრამ არც სნობიზმის ბრალდებაა კარგი რამ; აქ სიზუსტისათვის შევახსენებთ თ. მირიანაშვილს, რომ „სნობიზმი“ და „მოდის აყოლა“ სულაც არ არის ერთი და იგივე.

არც ამ სიტყვებშია სიმართლე: „ქართველ კლასიკოსებზე შეგიძლია წერო ყველაფერი, რაც პირზე მოგადგება! განმკითხავი არავინაა. აკი კახა ჯამბურიას განცხადებებიც წლების მანძილზე სრულიად უპასუხოდ რჩება“.

კვლავაც ვიმეორებ, შესაძლოა, კახა ჯამბურია ზედმეტად არაკრიტიკულია ცისფერყანწელთა მრწამსის მიმართ, მაგრამ ეს ცისფერყანწელთა ნააზრევია და არა მისი საკუთარი.

ორიოდე საერთო შენიშვნა მაქვს თემურ მირიანაშვილისა და კახა ჯამბურიას მისამართით: ცისფერყანწელთა ქართული კლასიკური მემკვიდრეობისადმი მიმართების საკითხის ზერელე ცოდნა; ამას უკავშირდება პირველწყაროთა და „ცისფერი ორდენის“ მკვლევართა ნაშრომების უგულებელყოფაც.

კახა ჯამბურიას ზემოხსენებული წერილის მისამართით შარშან ვწერდი: „ამ წერილში ავტორი ბევრს რასმე კი გადასწვდა, მაგრამ ცოტა არ იყოს, ნაუცბათევად და ზედაპირულად. ...კახა ჯამბურია იმედისმომცემი კრიტიკოსი გახლავთ და მას უთუოდ მეტიც მოეთხოვება. მაინცდამაინც კარგ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს მისი ერთგვარი შეუვალი ტონი, განსაკუთრებით, პირველწყაროთა სრული უგულებელყოფისა (თუ უცოდინრობის) და შემთხვევით მოხმობილი ციტატების ფონზე; დაიძებნება ზოგიერთი ფაქტობრივი შეცდომაც. უფლებას ვიტოვებ უფრო გამოწვლილვით განვიხილო კახა ჯამბურიას მოსაზრებანი; ამჯერად კი მხოლოდ ერთ მათგანს შევახსენებ მკითხველს: „დიდხანს არ ახსენებდნენ ტიციანს და პაოლოს. მხოლოდ 50-იანი წლების ბოლოდან კვლავ გაისმა მათი სახელები და ფრთხილი „შესწორებებით“ გამოვიდა მათი წიგნები. ამავე

დროს დაიწყო მათი მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლაც. გამოითქვა ბევრი მცდარი და ცოტაც ჭეშმარიტი აზრი". ნუთუ ავტორი არ იცნობს მირიან აბულაძის, გურამ ასათიანის, გრიგოლ ხერხეულიძის, გიორგი მარგველაშვილის, თამაზ ჩხენკელის და სხვათა საინტერესო გამოკვლევებს; ან სერგო კლდიაშვილის, შალვა აფხაიძის, კოლაუ ნადირაძის, ნინო ტაბიძისა და ა.შ. მემუარებს? თუკი იცნობს, გაუგებარია, რად აცხადებს ეგზომ კატეგორიულად – „მთავარი სათქმელი ჯერ კიდევ წინააო!" წინამორბედთა ნაღვაწის ნებსით თუ უნებლიე უგულებელყოფა, ლამის საყოველთაო სენად რომ გადაქცეულა, სწორედ რომ არ შეეფერება ახალგაზრდა ნიჭიერ ლიტერატორს". (იხ. „ინტიმობა – პოეზიად". ზოგი რამ გრიგოლ რობაქიძესა და ცისფერყანწელებზე," „ლიტერატურული საქართველო", 1989 წ., მაისი).

იგივე შენიშვნა, სამწუხაროდ, გაცილებით მეტი საფუძვლიანობით, თემურ მირიანაშვილზეც ვრცელდება.

ორივე კრიტიკოსს უნდა შევახსენო ცნობილი გარემოებანი:

ახლადმოვლენილმა „ცისფერმა ორდენმა" დასავლეთ ევროპისა და რუსეთის ავანგარდისტულ სკოლათა დარად, „ფასეულობათა გადაფასების" პროცესში, ნაწილობრივ უარყო ქართული კლასიკური მწერლობა.

ამ უარყოფას ჰქონდა ობიექტური საფუძველიც. ეს იყო შეურიგებელი დამოკიდებულება XIX საუკუნის დიდი კლასიკოსების, განსაკუთრებით კი აკაკისა და ილიას მიმბაძველებისადმი.

შეცდომაა იმის მტკიცება, თითქოს ცისფერყანწელებმა უარყვეს მთელი ქართული კლასიკური მემკვიდრეობა (კახა ჯაბუნია), რადგან რუსთაველის „ამპარტავანი სახელი" (ვალერიან გაფრინდაშვილის თქმით) შეუბღალავი დატოვეს. ეთაყვანებოდნენ დავით გურამიშვილს, ბესიკს, ნიკოლოზ ბარათაშვილს, ვაჟა-ფშაველას... არაზუსტია ჯაბუნიას მოსაზრებაც იმის თაობაზე, თითქოს ილია გადაურჩა მათ შეტევებს: ილია ასცდაო ნამდვილი პოეზიის რკალს – წერს ტიციანი; „ჩვენთვის უხერხულია ილიას ბრუნდე ლექსები" – ბანს აძლევს მას გოგლა ლეონიძე; „ქართველის დედას" ძუძუები დაუშრაო – წერს პაოლო...

ცისფერყანწელთა იშჯამინდელ დამოკიდებულებას წარსულის ქართული მწერლობისადმი შეიძლება ეპიგრაფად წარუძღვეს ტიციან ტაბიძის სიტყვები:

„ძველ პოეზიას კადნიერად ვახურავთ ჩალმას,
მაგრამ სავსეა სიყვარულით თვალის უპები".

სახელმძღვანელო დევიზით – „სიკვდილი განახლებაა“ – მათ მცირე ხნით უარყვეს ქართული მწერლობის მონაპოვარი, რათა, ევროპული პოეზიის უახლეს მიღწევათა გამოხმაურების შემდეგ, კვლავ მისკენ მიემართათ თვალთახედვა.

1923 წლისათვის ცისფერყანწელებმა ძირითადად უარყვეს მკრეხელური, ჩემი ღრმა რწმენით, „პოზიორული“ გამოხდომები ძველი ქართული მწერლობის მიმართ („ცისფერი ორდენის“ დამოკიდებულება ქართულ კლასიკურ მწერლობასთან განხილული მაქვს მონოგრაფიის – „პაოლო იაშვილი“, თბ., 1977 წ. – 82-94 გვერდებზე, აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ).

ცდება თემურ მირიანაშვილიც, რომლის აზრით, ტიციან ტაბიძე თავის საპროგრამო წერილში „ცისფერი ყანწებით“ წინამორბედად სახავდა ვაჟას. არამც და არამც! პირიქით: ცისფერყანწელთა მიერ მრავალგზის გამჟღავნებულ თაყვანისცემას მათი იდეური ბელადისადმი, გრიგოლ რობაქიძისადმი, ხელი არ შეუშლია ტიციან ტაბიძისათვის მკვეთრად გამოეჯვნოდა ვაჟას სიმბოლისტობის თეორიას და „ცისფერი ორდენის“ დაარსების პირველსავე, 1916 წელს გადაჭრით განეცხადებინა: „ქართულ კრიტიკაში ირევა ორი მცნება: სიმბოლიზმი, როგორც მეთოდი და სიმბოლიზმი, როგორც შკოლა. ეს, რასაკვირველია, შეცდომაა, მაგრამ უფრო უარესია, როცა ირევა ერთმანეთში სიმბოლიზმი და ალეგორია.

ამას ჩვენში უფრო ბევრჯერ ქონია ადგილი. სწორედ აქედან დაიბადა ლეგენდა ვაჟა-ფშაველას სიმბოლისტობის.

...ბევრი ქართველი მწერალი უცდია გრიგოლ რობაქიძეს გაეზომა სიმბოლიზმის საზომით. მისი მჭრელი ჭკუა ამ შემთხვევაში ათამამებდა და ხელს უწყობდა, რაც სინამდვილეში არ არის, ის მოეჩვენებია სინამდვილედ და ისე იყვნენ დაგვირისტებული ეს აზრები, ვერც კი ამჩნევდი, რომ იკერებოდა შეუკერელი. აქედან არის ვაჟა-ფშაველას მოდერნისტობის ისტორია.

...ჩვენში სიმბოლიზმს ღამეც არ გაუთევია, ...მხოლოდ ახლა იწყება ხაზების გასხნა, მხოლოდ დღეს ხდება ეს შეჯგუფება“ (ტ. ტაბიძე, „ცისფერი ყანწებით“, ჟურნალი „ცისფერი ყანწები“, 1916 წელი).

თემურ მირიანაშვილს უკვირს, რად უწოდებს კახა ჯამბურია ცისფერყანწელთა ჯგუფს ე.წ. „ქართულ სიმბოლიზმს“. მას უნდა მოეხსენებოდეს, რომ ზოგი მკვლევარი მხოლოდ პირობითად უწოდებს „ცისფერ ორდენს“ სიმბოლისტურ სკოლას, რადგანაც ამ ჯგუფს თითქმის იმდენივე რამ აქვს განმასხვავებელი სიმბოლიზმისაგან, რამდენიც საერთო. განა ჯგუფის ეკლექტიზმი, თანმიმდევრული იდეურ-ესთეტიკური სისტემის უქონლობა და ურთიერთგამომრიცხავ, ზოგჯერ სიმბოლიზმის საწინააღმდეგო მოსაზრებათა სიუხვე არ გვაძლევს მტკიცე საბუთს იმისათვის,

რომ „ქართული სიმბოლიზმი“ მხოლოდ პირობით ტერმინად მივიჩნიოთ?

„ქართული სიმბოლიზმის“ პირობით ტერმინად აღიარება ოდნავადაც არ ამცირებს ცისფერყანწელთა ძალუმად გამორჩეულ, მკვიდრად შეკრულ და ძლიერ დაჯგუფებას. ეს იყო პრეცედენტი ქართული ლიტერატურის ისტორიაში, როცა მეგობრობამ, შინაურმა ინტიმმა, ახლისმაძიებელ პოეტურ ნიჭთან ურთიერთკავშირში, შექმნა ჯგუფი და ასეთ სიმაღლეზე აზიდა კიდეც.

„ცისფერი ორდენის“ ეკლექტიკურობა, ერთი მხრივ, ამ ჯგუფის, როგორც ლიტერატურული სკოლის, სისუსტეს მოასწავებდა, მეორე მხრივ კი, მისი თაეი და თავი მიზნისათვის — ქართული პოეზიის ნოვაციისათვის ფართო გასაქანს იძლეოდა. ცისფერყანწელებმა სიმბოლიზმს მიმართეს, რამეთუ საქართველოში ქართული პოეზიის „მსოფლიოს რადიუსით გამართველი“ ძალა არ ეგულებოდათ. ხოლო როცა პოეტური წარმოსახვის განახლებისათვის რუდუნება ვერ მოთავსდა სიმბოლიზმის არტახებში, არც სიმბოლისტური დოგმების რღვევას მორიდებიან.

პირადად მე, ეს მოსაზრება ოციოდე წლის წინათ გამოვთქვი.

რაც შეეხება კახა ჯამბურიას — „წმინდა პოეზიის“ ადეპტს, მკაცრად გაკრიტიკებულს ამის გამო, დაე, მეც მიგულეოს თემურ მირიანაშვილმა „წმინდა პოეზიის“ თაყვანისმცემელთა რიცხვში.

ერთი კია, გააჩნია, რა აზრს ჩავდებთ ამ ცნებაში — „სოცრეალისტურს“ თუ ჩვეულებრივს, ადამიანურს. ზოგადადამიანურ ფასეულობათა თვალსაზრისით კი, თუ მკაცრად განვსჯით, აბსოლუტურად „წმინდა ხელოვნება“ არც არსებობს. ძლივს წარსულს ჩაბარდა ეს ცდომილება. ისტორიის ჩარხს უკუღმა ხომ აღარ დავატრიალებთ! „წმინდა ხელოვნება“ სალანძღავი სიტყვა როდია! სწორედ წმინდა ხელოვნების მსახურთ ხელეწიფებათ მოუტანონ მარადიული დიდება მშობელ ქვეყანას.

ხოლო მსჯელობა იმის შესახებ, რომ „წმინდა ხელოვნებით“ გატაცებულ კახა ჯამბურიას თვალში არ მოსდის (?!) აკაკი და ვაჟა, ყურით მოთრეულია.

თემურ მირიანაშვილმა კახა ჯამბურიას დიდ ცოდვად ჩაუთვალა ცისფერყანწელთა მიერ ვაჟასა და აკაკის გავლენისაგან თავის დაღწევის მცდელობის დადებითი შეფასებაც. ჯერ ერთი, აშკარა გავლენა პოეზიაში მხოლოდ უარყოფითად შეიძლება შეფასდეს; მეორეც, ეჭვს გარეშეა, რომ თემურ მირიანაშვილმა არ გაითვალისწინა ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: ქართველ კლასიკოსთა გავლენისაგან თავის დაღწევა, პირველ რიგში, ეპიგონიზმის უარყოფას მოასწავებდა.

XX საუკუნის 10-იანი წლები ქართული პოეზიის დაკნინებისა და

დაცემის, ძველისა და ახლის შეგნებული თუ გაუცნობიერებელი ჭიდილის, თვისებრივად ახალი პოეტური სამყაროს თანდათანობითი დაფუძნების წლებია. ილიას მკვლელობამ, რამდენიმე წლის შემდეგ კი აკაკისა და ვაჟას გარდაცვალებამ მოამთავრა ერთი ბრწყინვალე პერიოდი ქართული პოეზიისა. ძველი გზით სიარული აღარ ხერხდებოდა, ახლის გამკვალავთ ჯერ ძალა არ შესწევდათ. ილიასა და აკაკის გავლენისაგან თავის დაღწევა ადვილი არ იყო! ქართული პოეზიის სარბიელს ჯერ კიდევ ღრმად აჩნდა ილიას, აკაკისა და ვაჟას „დევის ნაფეხურები" (ტიციან ტაბიძის სიტყვებია). ამაოდ ცდილობდნენ პოეზიის წვრილფეხა „რაინდები" – მიმბაძველები მათი გოლიათური ნაკვალევის მორგებას.

რა თქმა უნდა, შეცდომა იქნებოდა 10-იანი წლების პოეზიის მთლიანად, ხელაღებით უარყოფა; ამ დროს გაბრწყინდა პირველად გალაკტიონის, გრიგოლ რობაქიძის, სანდრო შანშიაშვილის, ალექსანდრე აბაშელის, იოსებ გრიშაშვილის ხალასი მარგალიტები: ამაზე არცვინ დაობს. მაგრამ საქმე ის არის, რომ მიმბაძველობა იყო ამ პერიოდის ქართული პოეზიის ჰირითადი და ფრიად შემაშფოთებელი ტენდენცია.

„ბატონი შაბლონი" დღეს მალაყიას გადადის ჩვენს ლიტერატურაში. იგი მრავალსახიანია, მრავალფეხიანი და კოშმარივით აწევს ქართულ სინამდვილეს. მარტო პოლიტიკური ცხოვრება არ არის მისი მოედანი, „ჭრიალა დროგით" მწერლობაშიც შემოდის" – წერდა ტიციან ტაბიძე 1916 წელს.

კოლაუ ნადირაძე კი თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ გაიხსენებს: „გვწამდა, რომ არსებითად სწორ გზას ვადექით, რომ ქართული ლექსის ჯორმა და მისი აღნაგობა დაკნინებას განიცდიდა, რომ აკაკი წერეთლის ხერ სავსებით ამოწურული ქართული ლექსის აკაკისებური წყობა გადაიქცა შტამპად, შაბლონად, რომ აკაკის ეპიგონებმა დაუკარგეს ქართულ ლექსს სილამაზე და ჟღერადობა, გააუბრალოეს, დააყრუეს იგი. ქართული ლექსი გახდა გემოვნების დაცემისა და საოცარი ჩამორჩენილობის მაჩვენებელი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს რუსთაველი უფრო იანამედროვე პოეტი იყო, ვიდრე აკაკის მიმბაძველ პოეტთა ლეგიონი".

რაც შეეხება ვაჟას, თუკი ცისფერყანწელთა სიძულვილს ილიასა და აკაკის ეპიგონებისადმი მიბაძვის ობიექტების მიმართ გაღიზიანებაც მოჰყა, ამგვარ რასმე გამორიცხავდა ვაჟა-ფშაველას პოეზიის ბუნება: მან ისე ხვად ველარ დააპურა 10-იანი წლების ეპიგონური პოეზია, როგორც, თქვათ, აკაკის პოეზიამ. ეს იყო უთუოდ ერთ-ერთი, არცთუ უმნიშვნელო

ფაქტორი ცისფერყანწელთა მიერ ვაჟას გენიის აღიარებისა.

ნიშანდობლივია, რომ ტიციან ტაბიძე შენიშნავდა: „ვაჟა-ფშაველა არავის არ უშლის პოეზიაში, ის პოეზიაში ისეთი სტრატეგიული პუნქტია, როგორც მამისონი საქართველოს ტერიტორიისათვის. ...არ უნდა თქმა იმას, რომ ვაჟას ლექსის ტეხნიკას არ შეუძლია არავიზე მოახდინოს გავლენა. არ უნდა თქმა აგრეთვე იმასაც, რომ მასთან შედარებით თუნდაც ბესიკი წმინდა ალექსანდრიელია. პარნასელ ჰერედიად გამოჩნდება. ამას არავინაც არ თხოულობს მისგან, ამიტომაც იყო, რომ ვაჟა გამორჩა იმ აუტოდაფეს და იმ გილიოტინას, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ აიმართა სხვა პოეტებისათვის“ (გაზ. „ბახტრიონი“, 1922 წ.).

1923 წელს „მეოცნებე ნიამორებში“ დასტამბულ წერილში „დადაიზმი და „ცისფერი ყანწები“ ტ. ტაბიძე ჰკენწლავდა, თუმცა უმისამართოდ, ვაჟა-ფშაველას მიმბაძველებს: „ყველაზე უფრო გასამასხრებელი საქართველოში არიან ვაჟას მიმდევარი პოეტები. მთა ერთხელ იფეთქებს ვულკანივით და შეიძლება ამოაგდოს იხტიოზავრი, სხვა დროს ის მშვიდია და მასზე ცხვრის ჯოგები ბალახს სძოვენ“. ვაჟას ერთ-ერთი კონკრეტული მიმბაძველის შესახებ გაზ. „ბარრიკადში“ (1922 წ.) ეკითხულობთ: „ტუქსიშვილს აქვს თავისი ხმა, მაგრამ მისი მოტივი ისეთმა პოეტმა აამღერა — ვაჟა-ფშაველამ, რომ სამუდამოდ უნდა უკარგაედეს (წერის) ხალისსო“.

სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ თუ ზემოთქმულს გაითვალისწინებდა, თემურ მირიანაშვილს თითქმის აღარაფერი ექნებოდა სადაო კახა ჯამბურიასთან.

საერთოდ კი, ასეთ მძიმე ბრალდებებს (ქართული კლასიკური მემკვიდრეობის უარყოფა, ყოველივე უცხოურის წინაშე ქედის მოდრეკა, მოდის აყოლა, სნობიზმი და ა.შ.) უთუოდ მეტი საბუთიანობა მოეთხოვება. მით უმეტეს, რომ თემურ მირიანაშვილის კრიტიკული პათოსი ძირითადად დეკლარაციულია და ამდენად დამაჯერებელიც ვერ იქნება.

სწორედ დღეს, ფართო თვალსაწიერს მონატრებულთ, არც წმინდა ხელოვნების უკუგდება გვარგებს და არც საკუთარ ნაჭუჭში გამომწყდევა.

ღმერთმა დაგვიფაროს, რომ 30-იანი წლების „ვულგარულ სოციოლოგიზმს“, ახლა, ეროვნული თვითშეგნების ზეობის ჟამს, XX საუკუნის მიწურულს, „ვულგარული ნაციონალიზმი“ შეენაცვლოს!

1990 წ.

ბავშვობაში ერთი სასაცილო ამბავი შემემთხვა: ქართულის მასწავლებელმა „თავისუფალი თემა“ – გამოგონილი ადრესატისადმი მიმართული პირადი წერილი დაგვაწერინა.

როცა საკონტროლოს შედეგებს აჯამებდა, მან საგანგებოდ მიაქცია ყურადღება ჩემი წერილის დასასრულს – „დავშთები პატივისცემით...“ სიცილს ვერ იკავებდა; თანაც შემაქო, თანაც მკითხა, თუ იცი, „დავშთები“ რას ნიშნავს, ანდა საიდან აიღე ეს სიტყვაო.

„დავშთები“-ს მნიშვნელობა, ღლაპს, აბა როგორ მეცოდინებოდა; თვით სიტყვას კი დიდი ხნის გარდაცვლილი ბაბუაჩემის – დავით ავალიანისადმი მიწერილ კერძო ბარათებში წავაწყდი. მაშინ ვკითხულობდი განურჩეველად ყველაფერს, რაც ხელში მომხვდებოდა – აკინძული „კვალის“, „მოამბის“, „ჯეჯილისა“ თუ „ნაკადულისაგან“ მოყოლებული – ყაზბეგის რომანებისა თუ ბოკაჩოს „დეკამერონის“ ჩათვლით. რას ვიგებდი და რას-არა, ღმერთმა უწყის. მაგრამ ახლაც მახსოვს, რა თავზარი დამცა „ჯეჯილში“ ამოკითხულმა სიტყვამ „ნაბუქოდონოსორმა“! ბაბუასეული წიგნების გარდა, ხელს ვაფათურებდი ძველ წერილებშიც. ალბათ, ულამაზესი ძველებური საფოსტო ბარათების ეშხით. სწორედ იმ წერილთაგან ერთ-ერთში ამოვიკითხე უცნაური და გაუგებარი „დავშთები“; ჩემი მოკლე ჭკუით იმას კი მივხვდი, რომ „კარგი“ სიტყვა იყო დაუფიქრებლად გამოვიყენე კიდეც.

კარგა მოგვიანებით აღმოვაჩინე, რომ ზემოხსენებულ წერილთა ავტორები იყვნენ ცნობილი პიროვნებები: ნინო ნაკაშიძე, მარიამ დემურია, ილია ნაკაშიძე, სიმონ ქვარიანი, კონსტანტინე გამსახურდია, ალექსანდრე ჯაბადარი, ანდრია ღულაძე და სხვ.

საქმე ის არის, რომ დღეს სრულიად მივიწყებული დავით ნიკოლოზის ძე ავალიანი (1874-1932 წწ.), ჟურნალისტი, პუბლიცისტი, ფედერალისტთა პარტიის აქტიური წევრი (1903-1921 წწ.), ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობის გამგეობის მდივანი (1906 წლიდან), თავის დროზე მეტად ნაყოფიერ ლიტერატურულ-საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. 1897 წლიდან მისი წერილები, ნარკვევები, თარგმანები, თეატრალური რეცენზიები, უამრავი წვრილმანი კორესპონდენცია, იბეჭდებოდა თბილისისა თუ ქუთაისის ჟურნალ-გაზეთებში („ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „სახალხო ფურცელი“, „ხალხის მეგობარი“, „აკაკის კრებული“, „ნაკადუ-

ლი“, „ჯეჯილი“, „ზაკავკაზსკაია რეჩ“, „ჩერნომორსკი ვესტნიკ“ და სხვ.). მისი გარდაცვალების შემდეგ არქივის ყველაზე ღირსსაცნობი ნაწილი და ლიტერატურული მემკვიდრეობა (გამოუქვეყნებელი ლექსებისა და თარგმანების ჩათვლით) ბებიას გადაუცია დავით ავალიანის მეგობრისათვის – ქუთაისის მწერალთა კავშირის მაშინდელი თავკაცისთვის დია ჩიანელისთვის. დავით ჩხეიძე 1937 წელს დააპატიმრეს, რასაც მის პირად არქივთან ერთად ბაბუას მასალებიც შეეწირა.

ქართველი მწერლების, საზოგადო მოღვაწეების, რედაქტორების დღემდე უცნობი და გამოუქვეყნებელი წერილები თავისთავად ღირსსაცნობია, მაგრამ არანაკლებ ყურადსაღებია ურთიერთმიმართების იმჟამინდელი სტილი, საკამათო თუ სადავო ვითარებაშიც კი – თავდაჭერილობა და ერთურთისადმი ღრმა პატივისცემის გამჟღავნება.

ბაბუას წერილებიდან დღემდე მხოლოდ ერთადერთი გამოვაქვეყნე – ოციოდე წლის კონსტანტინე გამსახურდიას ბარათი, მოწერილი კენიგსბერგიდან 1912 წლის დამლევს (ალმანახი „ქართული მწერლობა“, 1990 წ. №1). დავით ავალიანი ქუთაისის მრავალი კულტურულ-საგანმანათლებლო და საქველმოქმედო საზოგადოების აქტიური წევრი იყო, მათ შორის – „ქუთაისის ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოებისა“; ამ უკანასკნელის დავალებით, როგორც ჩანს, ფულს უგზავნიდა კონსტანტინე გამსახურდიას და რუსეთსა და ევროპის ქვეყნებში სასწავლებლად გამგზავრებულ სხვა ქართველ სტუდენტებსაც.

ამჯერად მკითხველს ვთავაზობ მარიამ დემურიას, ნინო ნაკაშიძის, გრიგოლ ნასარიძისა და სიმონ ქვარიანის წერილებს. პირველი სამი 1910-1911 წლებით თარიღდება, როცა ბაბუა ინტენსიურ ლიტერატურულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდა; საქართველოს ანექსიისთანავე ბაბუა ჯერ ქუთაისის თვითმმართველობიდან დაითხოვა გაურკვეველი რჯულისა და ეროვნების ახლადმოვლენილმა უფროსმა, ვინმე ადამსკიმ (?!), რა თქმა უნდა – ბოლშევიკმა – ვითარცა „თეთრხელება ბურჟუა“, შემდეგ კი უაღრესად შეიკვეცა მისი ჟურნალისტური საქმიანობაც. 1928 წლისათვის გაზ. „კომუნისტმა“ შეწყვიტა თავისი ქუთათური კორესპონდენტის მასალების ბეჭდვა. დავით ავალიანმაც გაიზიარა ეროვნული მიმართულების ძველი ყაიდის ინტელიგენტთა ხვედრი – საბჭოთა საქართველოში მათი მოღვაწეობის არეალი დაიხშო. სწორედ ამ პერიოდს განეკუთვნება მისი ძველი მეგობრის, სიმონ ქვარიანის, 1929 წლით დათარიღებული წერილი.

მკითხველი პირველად გაეცნობა ზემოხსენებულ წერილებს, რომელთაც უცვლელად ვბეჭდავ.

Кутаис. Его Высокоблагородию Г-ну Давиту Авалиани. Городская управа. დიდათ პატივცემულო ბატონო დავით! დიდ ბოდიშს ვითხოვ თქვენს წინაშე, რომ თქვენს წერილზედ ვერ გიპასუხეთ და ვერც მადლობა მოგწერეთ. უნდა მოგახსენოთ, დიდი ავადმყოფობა გამოვიარე. ჯერ მალარიამ დამტანჯა და ახლა გულის სიგანიერე გამომაჩნდა. ჯერჯერობით არ ვიცი, მანდ როდის ჩამოვალ. თქვენ რომ მწერდით, თუ შეიძლება გამოგვიგზავნეთ და რა პირობებსაც გვთხოვდით უსათუოდ აღვასრულებთ. ველით მალე თქვენს თარგმანს. გულითა გთხოვთ წრეულსაც დაგვეხმაროთ და „ნაკადული“ რაც შეიძლება გავავრცელოთ. თუ ისურვებენ ხელის მომწერნი ფოჩტით გამოუგზავნით. გარკვევით და მკაფიოდ კი იყოს ადრესი დაწერილი. კიდევ ბოდიშს ვიხდი ჩემს უზრდელობაზედ, მაგრამ თქვენ რომ ჩემი პირობები იცოდეთ, მაპატიებთ.

თქვენი გულითადი პატივის მცემელი მარიამ დემურია[1]

***

დიდად პატივცემულო ბატონო დავით! თქვენი წიგნი დაიბეჭდება დეკემბერში, როდესაც გათავდება ბეჭდვა „ნაკადულში“. ორი ფორმა უკვე დაბეჭდილია და შენახული. სათაურია „ორი მხატვარი.[2]“ და არა „ძმანი მხატვარნი“, როგორც თქვენ ახლა იწერებით: „ნაკადულის“ ნომრებს გამოგიგზავნით, როცა ნომრებს დავარიგებთ მაშინ. მოიწერეთ სად გამოგიგზავნოთ წიგნები, როცა დაიბეჭდება და რამდენი? ფასი ჯერ არ გამომიანგარიშებია, მაგრამ რაც იაფ ფასს დავინიშნავთ, უმჯობესია. თქვენ რას ფიქრობთ ამის შესახებ? იბეჭდება 1200 ც. წიგნი. დაახლოვებით მე

---

[1] დემურია მარიამ ივანეს ასული (1860-1910 წწ.) — მწერალი, საზოგადო მოღვაწე, „ნაკადულის“ რედაქტორი 1906-1910 წწ. წერილი გამოგზავნილია თბილისიდან 1910 წლის 2 იანვარს. ზუსტად ერთი თვის შემდეგ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ღვაწლმოსილი მანდილოსანი გარდაიცვალა.

[2] „ორი მხატვარი“ — დავით ავალიანის მიერ თარგმნილი წიგნაკი, თბილისი, 1912 წ., „ნაკადულის“ გამოცემა.

მგონია 5 კ. დავჯდება და ვფიქრობთ 10 კ. მეტად არ უნდა გაიყიდოს.

პატივისცემით, ნ. ნაკაშიძე[1]

17 ოქტომბერი. ბოლიშს ვიხდი პასუხის დაგვიანებისთვის.

***

1911 წლის 9 აგვისტო.

ძმაო დათიკო! თითქოს განგებ მწერ იმ დროს, როდესაც მე კრიტიკულ მდგომარეობაში ვიმყოფები ფულის მხრივ, რომ უფრო საგრძნობელი იყოს ეს ჩემთვის (чтобы было больнее), რუსები რომ იტყვიან. მე ამ ორ დღეში თუ როგორმე სადმე სასესხებელი ვერ ვიშოვე, ბრაუნინგი მაინც უნდა ვიშოვო სადმე. ამიტომ ნურას უკაცრავად, თუ შენ თხოვნას ვერ ვასრულებ. ამ წლის ბოლომდის კი უეჭველათ მიიღებ ჩემგან ბიბლიოთეკის[2] საწევრო ფულს, ეხლა კი მაპატივე, თუ ვერ ვახერხებ. შენ, დათიკო, ძლიერ თავშემონახული, ფულიანი კაცი ხარ და ერთ ას მანეთს თუ მიშოვი დროებით, სამიდღემჩიოთ დამავალებ; ხუმრობათ კი არ მიიღო, მართლა გეუბნები, თუ მოგიხერხდება. მე მგონი, როგორც გამოჩენილი აზნოუშვილი, შენ ას და ორას მანეთზე უკან არ დაიხევ და თავს არ შეირცხვენ (ტახტის „აზნოუშვილი" კი იყო ბაბუა, „ფულიანისა" რა მოგახსენოთ — ლ.ა.).

შენი მარადის გრ. ნასარიძე[3].

P.S. დასაზოგავი კი არა ვარ, წუხელი 15 მანეთი წავაგე ბანქოში, გუშინწინ 16, მის წინ 23 და ასე ქვევით და შენ თავს ვფიცავარ, დათიკო, აწი მე მისი ხელში ამღები არ ვიქნე. ესეც მოწყენილობის გამო მომივიდა, კლუბში გართობა ფასათ დამიჯდა.

ნასარიძე.

---

[1]ნაკაშიძე ნინო იოსების ასული (1872-1963 წწ.) – მწერალი, საზოგადო მოღვაწე, „ნაკადულის" რედაქტორი 1910-1928 წწ. წერილი გამოგზავნილია თბილისიდან 1911 წლის 17 ოქტომბერს.

[2]იგულისხმება ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკა, რომლის მზრუნველიც იყო დავით ჯავახიანი.

[3]გრიგოლ ნასარიძე – პუბლიცისტი, ჟურნალისტი, ცნობილი სოციალ-დემოკრატი, ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობის მოხელე; ამ წერილის მიხედვით. იგი საოცრად მოგვაგონებს კლდიაშვილის ზოგიერთ პერსონაჟს!

***

11 ოქტომბერი, 1929 წელი.

ძვირფასო ძმაო დათიკო! მეგობრული სალამი და კეთილი სურვილები ტფილისიდან. მაროს (დავითის მეუღლე – ლ.ა.) წყალობით გავიცანი ორი შვენიერი ახალგაზრდა, – შენი ვაჟები; მეტად მომეწონა ორთავენი. მოხარული ვარ, რომ კარგ მშობლებს ასეთი საუცხოო შვილები გყავთ. ამათ მამამ არ უნდა იგრძნოს არც სიბერე, არც დარდი და მწუხარება... სევდა და ვარამი არ უნდა ეკარებოდეს შენს გულს. ან რა უნდა გქონდეს საჯავრო, როცა ერთი წლის შემდეგ ამოგიდგებიან უმაღლეს სწავლადამთავრებულნი და გაგიწევენ ძმობას და შვილობას! ჭორად გავიგე, მეგობარო, თითქო შეუპყრიხარ სევდას და კაეშანს. არ მჯერა. თუ ეს მართალია, ჰკარი პანღური ორთავეს, ე.ი. სევდა-კაეშანს, იხარე და იმხიარულე, დასძლიე სხეულის დაავადება, ააფრთოვანე სული და იქეც 30 წლის ჭაბუკათ. ჩვენი სიცოცხლე, ჯანსაღობა და ბედნიერება თვით ჩვენსავე ნება-სურვილზეა დამოკიდებული. უნდა გაიმჭვალოთ ერთგვარ შინაგან ჰიპნოზით, რომ წარმოვშვათ სულიერი ძალა, თვით ბედის ტრიალის დამძლევი და სიკვდილის ლანდის უკუმყრელი. არ დაგჯაბნოს ავადმყოფობამ! ააფრთოვანე სული სიცოცხლისადმი ლტოლვით! ამით დაითრგუნება ყოველი სენი, რაგინდ სასტიკი იყოს იგი და მოიპოვებ სულის და სხეულის სისაღეს. ამას გეუბნება ამ სტრიქონების დამწერი თავის მწარე გამოცდილებით. ხომ იცი, როგორ დაავადებული ვიყავ 1914-15 წლებში!..

მაშ ასე, ჩემო დათიკო. ისევ ააყვავე იმედი; გულს ნუ გაგიტეხს ჭაღარა... სიბერე შორსაა. მაშ რა უნდა შენთან სენსა და უძლურებას! გაახარე, ამხიარულე გული და გაახარე ცოლ-შვილი შენი კარგათ ყოფნით... მარომ გადმომცა შენგან მცირე დავალება. დიდად მოხარული ვარ, რომ რამეში მაინც გამოგადეგი. თუ კიდევ რამეში დაგჭირდე, არ დამზოგო, თუ ძმა ხარ, მზათ ვარ სამსახურად რითაც შემიძლია. როგორც წინათ გწერდი, საჭიროა დაიწეროს შენი მოკლე ბიოგრაფია, სადაც იქნება აღნუსხული შენი მოღვაწეობა: საზოგადო, სამწერლო და პოლიტიკურ ასპარეზებზე, აგრეთვე შენი სამსახურის საფეხურები თავიდან ბოლომდე. ეს ბიოგრაფია დააბეჭდვინე მანქანაზე რამდენიმე ცალად. ერთი ცალი განცხადებასთან ერთად გამოაგზავნე აქ საქ. მწერალთა ფედერაციის

პრეზიდიუმის სახელზე და ითხოვე მისგან შუამდგომლობა საქ. სახკომსაბჭოს წინაშე, რათა დაგენიშნოს გადიდებული პერსონალური პენსია. ეს განცხადება ბიოგრაფიასთან ერთად გადმომიგზავნე აქ და მე ვეცდები მოგიწყო ეგ საქმე მწერ.ფედ. პრეზიდიუმში. ამის შემდეგ უნდა აღძრა შუამდგომლობა სახკომსაბჭოს წინაშე. ვფიქრობ, რომ უმჯობესი იქნება მაშინ შენ თვითონ ჩამოხვიდე აქ სათანადო საბუთებით აღჭურვილი...

მაშ ასე ჩემო დათიკო, ახლა შენ იცი... შენი მარად ერთგული მეგობარი ს. ქვარიანი[1].

1995 წ.

ძველი ქუთაისელი ინტელიგენტის ცხოვრებიდან

დავით ავალიანი

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ 1918 წელს ფრთები შეასხა მოწინავე ქართულ საზოგადოებას. თავისუფალი საქართველოს დედაქალაქს მოაშურა ხელოვნებისა და კულტურის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური სარბიელის მრავალმა მოღვაწემ დასავლეთ საქართველოდან, განსაკუთრებით — ქუთაისიდან. ეს იყო, სერგო კლდიაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „დიდი გადმოსახლება".

„დიდ გადმოსახლებას" ღრმა ქვეტექსტი ჰქონდა: ჯერ. ერთი, დედაქალაქს შეემატა მისთვის ესოდენ საჭირო ქმედითი ინტელექტუალური ძალა, მეორეც — ქუთაისი მაშინ გაცილებით უფრო „ქართული" ქალაქი გახლდათ, ვიდრე თბილისი. „დიდი გადმოსახლება" დედაქალაქში ქართული გენის მომძლავრებასაც მოასწავებდა.

XX საუკუნის დასაწყისში, იმპერიული ჩაგვრის, ანტიეროვნული ცენზურის, უკიდურესი ხელმოკლეობის პირობებშიც კი, ქუთაისის აღორძინების მოსურნენი ახერხებდნენ ინტენსიურ კულტურულ-საგანმანათლებლო, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თუ საქველმოქმედო საქმიანობას. მრავალი პარტიის, მათ შორის „ინტერნაციონალური", ფაქტობრივად კი ანტიეროვნული პარტიების არსებობა ვერ აფერხებდა ღირსეულ მამულიშვილთა მოღვაწეობას ეროვნულ სარბიელზე. განსაკუთრე-

[1]სიმონ ალექსის ძე ქვარიანი (1868-1946 წწ.) — მწერალი, ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე.

ბით გაცხოველდა ქუთათური ინტელიგენციის მუშაობა 1918-1921 წლებში, რადგან „დიდმა გადმოსახლებამ", რაც იმ დროისთვის სწორი ტენდენცია იყო, საკმაოდ მძლავრი და, შესაძლოა, დღემდე დაუძლეველი ზიანი მიაყენა საქართველოს მეორე ქალაქს.

მომავლის საქმეა ქუთაისის ქართული ინტელიგენციის მოღვაწეობის ისტორიის შექმნა; წინამდებარე წერილის მიზანი კი ისაა, რომ მკითხველს გააცნოს ერთი ძველი ყაიდის, სრულიად მივიწყებული ქუთაისელი მოღვაწე — დავით ავალიანი. მისი საქმიანობის გაცნობა კი, თავის მხრივ, შუქს ჰფენს იმდროინდელი ქუთაისის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ატმოსფეროს, ბევრი ცნობილი მოღვაწის თუ პარტიის მუშაობას, „გასაბჭოების" სავალალო შედეგებს...

დავით ნიკოლოზის ძე ავალიანი დაიბადა 1874 წელს სოფელ ქვემო ქვიტირში. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იქვე ცხოვრობდა და მსახურობდა. 1903 წლიდან 1921 წლამდე იყო სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი. სხვადასხვა დროს მუშაობდა ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობაში (იყო გამგეობის მდივანი), საადგილმამულო ბანკში, ეკონომიკურ განყოფილებაში და ა. შ. აქტიურად მონაწილეობდა კულტურულ-საგანმანათლებლო და საქველმოქმედო ორგანიზაციათა საქმიანობაში. სამგზის აირჩიეს ქუთაისის ჟურნალისტთა გამგეობის მდივნად. კორესპონდენციებს, პუბლიცისტურ წერილებსა და ნარკვევებს, თეატრალურ რეცენზიებს აქვეყნებდა 1897 წლიდან, როგორც ქართულ, ასევე რუსულ პრესაში; წერდა ლექსებს, თარგმნიდა. მისი ძირითადი ფსევდონიმი „დონ-ვალიანი" იყო.

მის საქმიანობაზე უფრო ზუსტ ცნობებს ჩვენს ოჯახურ არქივში დაცული ზოგი დოკუმენტი გვაწვდის.

როცა მე დავიბადე, ჩემი მშობლები უკვე თბილისში იყვნენ გადმოსახლებულნი; ბაბუა დავით ავალიანი კი კარგა ხნის წინათ, 1932 წელს გარდაცვლილიყო. ერთადერთი სიმდიდრე, რაც ამ მოკრძალებულ მოღვაწეს დაეუნჯებინა, წიგნები გახლდათ; აშაში მოგვიანებით დავრწმუნდი. ომისა არაფერი მახსოვს (ერთადერთი, საჰაერო განგაში შემორჩენია სიზმარივით მეხსიერებას, უფრო სწორად — განგაშით გამოწვეული შიშის გრძნობა). გადმოცემით ვიცი, რომ ომისა და მისი შემდგომი უკიდურესი გაჭირვების წლებში მუზეუმისათვის მიგვყიდია რამდენიმე უძვირფასესი წიგნი, მათ შორის სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის" ძველი, პერგამენტზე შესრულებული ხელნაწერი.

„კვალი, „მოამბე", „იერია", „ჯეჯილი" თუ „ნაკადული", ბროკგაუზისა და ეფრონის ენციკლოპედია თუ ამავე გამომცემლობის პუშკინის ხუთ-

ტომეული ჩემი ბავშვობის უსაყვარლესი „დასათვალიერებელი“, მერე კი საკითხავი წიგნები იყო. შემდგომში განმაცვიფრა კონტრასტმა არსებულსა და იმ ძველ წიგნებში ამოკითხულს შორის. ამ გარემოებამ ალბათ თავისებური დაღი დამასვა, რადგან დღემდე „ნამდვილ სინამდვილეს“ უფრო წიგნებში ვეძიებ, ვიდრე რეალობაში.

ჩემი თაობის თბილისელი ბავშვების ინტელექტუალური „გასართობი“ ომისშემდგომ წლებში ძირითადად წიგნები გახლდათ. ჩვენი მშობლები ბევრს მუშაობდნენ, კინოსა თუ თეატრში იშვიათად დავდიოდით, ტელევიზორი არ იყო; ღვთის მადლით, ვერც ვიდეოთი დავიჩლუნგებდით გონებას.

წიგნით ხელში, ფანჯრის რაფაზე მოკალათებული, ხშირად თავს ვიქცევდი ჩვენს მოპირდაპირე სამხატვრო აკადემიაში მიმსვლელ-მომსვლელთა თვალიერებით. მრავალი კოლორიტული პიროვნება ალუბეჭდავს ჩემს ბავშვურ გონებას, ზოგი მათგანი საოცრად ჩამოგავდა საინტერესო პერსონაჟებს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა ახოვანი, ლამაზი მოხუცი; გრძელი თეთრი თმითა და წვერ-ულვაშით, „უცნაურად“ გამოწყობილი — კახურ ქუდსა და ნაბადში. იგი სამხატვრო აკადემიის ხშირი სტუმარი გახლდათ.

უსაზღვრო იყო ჩემი განცვიფრება, როცა ეს კაცი ჩვენს ოჯახს ეწვია; მისი მოსვლის მიზანი მაშინ კარგად ვერ გავაცნობიერე, ის კი მახსოვს, რომ ჩვენგან უკმაყოფილო წავიდა.

წლები უნდა გასულიყო, რომ ამ საქმიანი ვიზიტის არსს ჩავწვდოშოდი. საქმე ის გახლავთ, რომ ცნობილი მოღვაწე იოსებ იმედაშვილი დიდი ენერგიითა და რუდუნებით შეჭიდებოდა იმ დროისათვის არცთუ მთლად უსაფრთხო, დონკიხოტურ, იმავდროულად კი — საშვილიშვილო, დიდ ეროვნულ საქმეს — „ქართველ მწერალთა ლექსიკონის“ შედგენას. სწორედ ამის გამო, დავით ავალიანზე მასალის მოსაპოვებლად მოაკითხა მან ბებიასა და მამას, მათ კი იმედი გაუცრუეს უანგარო მოღვაწეს. ახლა ვხედები, რომ ამას ორი გარემოება განსაზღვრავდა: ბაბუა 1932 წელს გარდაიცვალა; მისი მოკრძალებული ლიტერატურული მემკვიდრეობა (მათ შორის გამოუქვეყნებელი ნაწერები) და არქივის ყველაზე ღირსსაცნობი ნაწილი გადაუცია ქუთაისის მწერალთა კავშირის მაშინდელი თავკაცისათვის, ცნობილ პროზაიკოს დია ჩიანელისათვის. დია ჩიანელი — დავით ჩხეიძე (1890-1945 წწ.) 1937 წელს დააპატიმრეს. 1937 წელს შეეწირა მთელი მისი არქივი, მათ შორის დავით ავალიანის მასალები.

ბაბუა, როგორც ქუთაისში ცნობილი ინტელიგენტი, ეროვნული მიმართულების მოღვაწე და, რაც მთავარია, ყოფილი აქტიური ფედერალისტი, ცოცხალი რომ ყოფილიყო, უთუოდ 1937 წლის მსხვერპლი გახდებოდა.

ის კი არა და, ალბათ მამაჩემსაც, მის ერთადერთ ვაჟს, გაუხსენებდნენ დავითის წარსულს, 1937 წლისათვის უკვე დიდი ხნის დაფუძნებული რომ არ ყოფილიყო თბილისში.

ისიც გასათვალისწინებელი გახლავთ, რომ ბებია და მამა, ოჯახის უსაფრთხოების მიზნით, მოერიდებოდნენ თუნდაც იმ დოკუმენტების გამოაშკარავებას, რაც ახლა ჩემს ხელთ არის.

სიტყვამ მოიტანა და აქვე ვიტყვი: საოცარი ისაა, რომ იოსებ იმედაშვილის დიდი შრომა „ქართველ მწერალთა ლექსიკონი" დღემდე გამოუცემელია! იმედი მაქვს, ახლა კი ვერაფერი დააბრკოლებს მის გამოცემას.

ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, ჩვენს ოჯახს რომ შემორჩა, ნოტარიუსის მიერ დამოწმებული ავტობიოგრაფიაა.

ბაბუას ლიტერატურული მემკვიდრეობიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მისი მრავალი ათეული კორესპონდენცია, ძველ გაზეთებში რომ მივაკვლიე; მაგრამ ეს ცალკე წერილის თემაა, ეს საკითხი მერმისათვის გადავდოთ, ახლა კი გაგაცნობთ ზემოხსენებულ დოკუმენტს:

„ჩემი მოკლე ავტობიოგრაფია"

დავიბადე 1874 წელს. საშუალო განათლება მივიღე ყოფ. ქუთაისის ქართულსა და შემდეგ კლასიკურ გიმნაზიებში.

1895 წლიდან ვხელმძღვანელობდი კლასიკურ გიმნაზიაში დაარსებულს მოწაფეთა არალეგალურ წრეს: ვიყავი წიგნთსაცავის გამგე და ჟურნალების ჯერ „ოპოზიცია"-სი და შემდეგ „სხივი"-ს რედაქტორი და ჰექტოგრაფზე მბეჭდავი. ჟურნალებში, სხვათა შორის, თანამშრომლობდნენ: სიმონ ავალიანი (აქ განსვენებული პროფესორი), დ. უზნაძე (ამჟამად პროფესორი), სერგო და პეტრე ქავთარაძეები, საშა კლდიაშვილი (აწ განსვენებული პრივატ-დოცენტი, 1905 წლის რევოლუციის დროს დაღუპული ოდესაში), მიხაკო წერეთელი (B`aton), პავლე საყვარელიძე და სხვ. ჩემი წერილები იბეჭდებოდა ჟურნალებში „კირაკოზა"-სა და „ამხანაგი"-ს ფსევდონიმებით.

1901 წლიდან წრეში ჩამოყალიბდა სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი, რომელიც თანდათანობით გაფართოვდა და ბოლოს, 1903 წელში, მთელ წრეს დაეუფლა. ერთი მხრივ ამ გარემოებამაც და მეორე მხრივ იმან, რომ სამსახურში შესვლის გამო სრულიად აღარ მქონდა თავისუფალი დრო, მაიძულა მოწაფეთა წრის ხელმძღვანელობისათვის თავი დამენებებინა.

1900 წელს ქუთაისში დაარსდა ინტელიგენტთა არალეგალური ეროვნულ-დემოკრატიული წრე, რომლის პირველი უჯრედის ერთი წევრთა-

განი მეც ვიყავი (უჯრედისაგან მე მონდობილი მქონდა უმთავრესად პოლიტიკური ხასიათის წერილების ენის მხრით გასწორება, ჰექტოგრაფზე მათი ბეჭდვა და გავრცელება. ამისათვის მე ყოველ შაბათობით დავდიოდი სოფელში, სადაც მოწყობილი მქონდა ჰექტოგრაფი, იქ ვბეჭდავდი წერილებსა და ორშაბათობით უკანვე ვბრუნდებოდი).

1903 წელში, როდესაც ქუთაისში ჩამოყალიბდა სოც-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ცნობილი რევოლუციონერი გიორგი ზდანოვიჩი — ამ წრის წევრთა უმეტესი ნაწილი (მათ შორის მეც) ხსენებულ პარტიას შევუერთდით. აქედან იწყება ჩემი აქტიური მუშაობა ხსენებულ პარტიაში.

პარტიაში მუშაობამ ბევრი ტანჯვა გადამატანინა. ასე, მაგალითად, 1906 წლის დასაწყისში ხელში ჩამიგდეს გენერალ ალიხანოვის კაზაკებმა და უმოწყალოდ მცემეს და რომ გუბერნატორის საგანგებო მინდობილობათა მოხელეს ბ. ჩიქოვანს არ გამოვეგლიჯე მათი ხელიდან, ცხენებით გამსრესდნენ. ამ ცემამ უშედეგოდ მაინც არ ჩამიარა: ამივარდა პირიდან სისხლის ღებინება, ჩავვარდი ლოგინად და ორი თვის განმავლობაში მძიმე ავადმყოფი ვიწექი ვანო ქაჩუხაშვილის[1] სახლში, რომელიც თავის მხრით თითქმის ნახევარი წლის განმავლობაში ჩემს სახლში იმალებოდა სოფელ ქვედა ქვიტირში, ჩემს ძმა სიმონ ავალიანთან (ჟანდარმები დაეძებდნენ). ჩემსავე სახლში ხშირად იმალებოდნენ აგრეთვე მთავრობის მიერ დევნილი სოციალისტები: ლავრენტი კუპრაშვილი (შრომის გმირი), სამსონ კობრეიძე, პარმენ ქაჯაია და სხვა, რომელთაც შეძლებისდაგვარად ნივთიერადაც ვეხმარებოდი.

1909 წელში ადგილობრივ ს.-ფედერალისტთა გაზ. „ფარი"-ში დაიბეჭდა ჩემი რედაქციით ალიხანოვის დროს საზღვარგარეთ გადახვეწილის, აწ განსვენებულის გრ. გველესიანისგან გამოგზავნილი წერილი, თუ არ ვცდები, შემდეგი სათაურით: „ხალხის მტერია სოციალ-დემოკრატია". შემდეგში ეს წერილი ცალკე ბროშურად დაიბეჭდა, რომელშიც მე, ამხანაგების თანხმობით გავაპარე ცენზორისგან დაწუნებული, ამოშლილი ადგილი. ეს შეამჩნია ადგილობრივმა ცენზურამ. გუბერნატორის განკარგულებით 2000 ცალი წიგნი დააკავეს და მე ჩამჭიდეს ხელი, როგორც მის რედაქტორს. ადგილობრივი გავლენიანი პირების დახმარებით მე გამანთავისუფლეს ბრალდებისაგან და სამართალში მისცეს მისი აეტორი გველესიანი. ბროშურა მოსპეს.

---

[1]ეს პიროვნება უნდა იყოს შალვა მაღლაკელიძის „მოგონებებში" მოხსენიებული ვანო კაჩუხაშვილი — ქუთაისის კომისარი. მენშევიკი („განთიადი", 1991 წ., №3, გვ.132).

1912 წელში ჟანდარმთა სამმართველომ გაჩხრიკა ს.-ფედერალისტთა პარტიის ცოტად თუ ბევრად თვალსაჩინო წევრთა ბინები, მათ შორის — ჩემიც. წაიღეს რევოლვერი, წერილები და 20-მდე ლეგალური თუ არალეგალური წიგნი. რადგანაც მე ავად ვიყავი ცოტათი, იმ ღამეს დამტოვეს სახლში; მხოლოდ წინადადება მომცეს, რომ მეორე დილით გამოვცხადებულიყავი სამმართველოში. ისევ გავლენიანი პირების დახმარებით საქმე მიჩქმალეს, რევოლვერი დამიტოვეს (ნებართვა მქონდა), წიგნები კი დაიტოვეს (არც მე მომითხოვია).

1901 წელში სხვებთან ერთად სამართალში ვიყავი მიცემული ქალაქის თეატრში ცნობილი შოვინისტური პიესის „კონტრაბანდისტები"-ს წარმოდგენის დროს სტუდენტების მიერ გამართულ ობსტრუქციაში მონაწილეობისათვის. სასამართლომ თითქმის ყველანი გაგვამართლა.

ჩემი პარტიული მუშაობა 1920 წლის დამლევამდე გაგრძელდა. 1921 წლის დასაწყისში კი, როდესაც პარტიაში ფრაქციულმა განხეთქილებამ იჩინა თავი, მე სრულიად ჩამოვშორდი პარტიას და დავრჩი პარტიის გარეშე სოციალისტად. მას შემდეგ ვდგევარ საბჭოთა პლატფორმაზე და შეძლებისდაგვარად ხელს ვუწყობ მის ალმშენებლობას.

ლიტერატურული მუშაობაც არ იყო ჩემთვის უცხო. 1897 წლიდან განუწყვეტლივ ვმუშაობდი ქართულსა და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში, როგორიც იყო: „ივერია", „ცნობის ფურცელი", „სახალხო ფურცელი", „სახალხო საქმე", „ხალხის მეგობარი", „ფარი", „შრომა" და მათი მომდევნო გაზეთები — „წითელი ვარსკვლავი" და „კომუნისტი", „Грузия", „Возраждение", „Обновление", „Черноморский Вестник" (ბომერიკის რედაქტორობით) და მათი მომდევნო რუსული გაზეთები; ჟურნალები: „მოგზაური", „კრებული" აკაკი წერეთლისა, „ნაკადული", „ჯეჯილი" და სხვ. რამდენიმე ჩემი კორესპონდენცია დაიბეჭდა აგრეთვე გაზ. „С.-Петербургские Ведомости" და „Наша Жизнь"-ში. ჩემი ფსევდონიმები იყო: „კირაკოზა", „ამხანაგი", „დ.ა.", „დონ-ვალიანი", „ისარა", „დამსწრე", „ძველი ამხანაგი", „O", „Jlle", „Jpse", „Neuter" და სხვ.

ჩემი ახალგაზრდობის წერილები (უმეტესად არალეგალური) და აკრძალული წიგნები შეიქმნა თავისი მხეცობით ცნობილი გენერალ ალიხანოვის დამსჯელი რაზმის შემოსევის მსხვერპლი. 1906 წლის დასაწყისში, როდესაც ეს რაზმი ქუთაისს ეწვია, იძულებული გავხდი ხსენებული ნაწერები და წიგნები ღამით გამეგზავნა გადასამალავად სოფელში. აქ ჩემ დას გამოეხვია ისინი ზეწრებში და დაემალა სასიმინდის იატაკზე სიმინდის ქვეშ. რამდენსამე თვის შემდეგ, როდესაც ალიხანოვის თარეში მიწყნარდა, ვეწვიე სოფელს გადამალული ნაწერებისა და წიგნების

წამოსაღებად. აღმოჩნდა, რომ ვირთხებსა და თაგვებს თითქმის სრულიად გაენადგურებინა ეს ჩემთვის ძვირფასი განძი. შესაძლებელი გახდა ნაფლეთებიდან მხოლოდ რამდენისამე ლექსის აღდგენა.

გარდა ამ წერილებისა (უმეტესად პუბლიცისტურის, კორესპონდენციების, თარგმანებისა და სხვ.), რომლებიც ხშირად იბეჭდებოდა ზემოხსენებულ ჟურნალ-გაზეთებში, აღმოვაჩინე 38 დაუბეჭდავი ლექსი, სურათი და სხვ., რომლებიც ცალკე რვეულებში გადავწერე.

გარდა ამისა, მაქვს ნათარგმნი შემდეგი საყმაწვილო მოთხრობები:

1) „პაწია და ბუნგლია“, გამოიცა ცალკე წიგნად ორჯერ; უკანასკნელად 1926 წელში;

2) „ორი მხატვარი“ (ჯერ დაიბეჭდა საყმაწვილო ჟურნალს „ნაკადულში“, შემდეგ გამოიცა ცალკე წიგნად. 1926 წელში ქუთაისში განათლების მუშაკთა კავშირთან არსებულმა საყმაწვილო წიგნების გამომცემელმა წრემ განიზრახა ამ მოთხრობის მეორედ გამოცემა, რისთვისაც გადამაკეთებინა ის დღევანდელ ყაიდაზე და მხატვარს პაევსკის სურათები დაამზადებინა. მაგრამ ამ წრის ხელმძღვანელის გ. სვანიძის გარდაცვალების შემდეგ წრე დაიშალა და გამზადებული მოთხრობა დაუბეჭდავი დარჩა.);

3) „ჩადრი“ (დაიბეჭდა გაზ. „სახალხო საქმის“ „სურათებიან დამატებაში“);

4) „ჩიგალი“;

5) „ნამგალა და ჩაქუჩა“ (რომელიც გადავთარგმნე აგრეთვე ზემოხსენებული წრის მონდობილობით).

გადათარგმნილი მაქვს აგრეთვე ცნობილი ინდოელი მწერლის რაბინდრანატ თაგორას ოთხი საყმაწვილო მოთხრობა: „მსაჯული“, „ღრუბლები და ტალღები“, „მწერალი“ და „უკანასკნელი მორიგება“.

გაზეთებში წერას ბევრი უსიამოვნება მოუყენებია ჩემთვის. სხვათა შორის, 1902 წელში დიფამაციის წესით სასამართლოში ვიყავ მიცემული ჩემ მიერ გაზ. „სახალხო ფურცელში“ მოთავსებული წერილისათვის, სადაც მაშინდელი პოლიციელების მიერ ჩადენილი უმსგავსოებანი იყო აღწერილი. სასამართლომ გამამართლა.

1903 წელში ჩემი წერილით ერთმა უკმაყოფილო პირმა, ქალაქის თეატრში კრების გათავების შემდეგ, მოპარვით, ფიზიკური მოქმედებით მომაყენა შეურაცხყოფა. გადავწყვიტე უკულტურო საშუალებითვე გამეცა მისთვის პასუხი, მაგრამ ის გადაიმალა. საქმეში ჩაერიენ მაშინდელი პოლიტიკური მოღვაწენი, რომელთა წინადადებით შეურაცხმყოფელი მზად იყო, რა სახითაც მოვისურვებდი, მოეხადა ჩემს წინაშე ბოდიში. იძულე-

ბული გამხადეს უარი მეთქვა არაკულტურული საშუალებით პასუხის გაცემაზე.

1904 წელში, რუსეთ-იაპონიის ომის დროს, გაზეთში მოთავსებული იყო ჩემი პატარა წერილი, სადაც განკიცხული იყო ერთი თავად-აზნაურთა წინამძღოლის განზრახვა თავად-აზნაურთაგან „დრუჟინის“ შედგენისა და იაპონიის ფრონტზე წასვლის შესახებ. წერილი, როგორც მახსოვს თავდებოდა შემდეგი სიტყვებით: „უკუდო ხარი სხვას ბუზებს უგერიებდა“-ო. ამ წერილით შეურაცხყოფილმა წინამძღოლმა დუელში გამომიწვია. საქმეში ჩაერიენ გავლენიანი პირები, რომელთა წყალობითაც დუელი არ შედგა.

ვეწეოდი საზოგადოებრივ მუშაობასაც. იშვიათად ყოფილა ქუთაისში ისეთი კულტურულ-საგანმანათლებლო და საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომ მე გამგეობის, თუ სარევიზიო კომისიის წევრი, ან მდივანი თუ არა, აქტიური წევრი მაინც არ ვყოფილიყო. ასეთი ორგანიზაციები იყო: წიგნების გამომცემელი ამხანაგობა, ბავშვებზე მზრუნველი საზოგადოება, საქველმოქმედო, წერა-კითხვის გამავრცელებელი, დრამატიული, ღარიბ სტუდენტთა დამხმარე, ბუნების მეტყველების მოყვარულთა, ქართულ გალობა-სიმღერების მოყვარულთა, ისტორიულ-ეთნოგრაფიული და სხვ. საზოგადოებანი; საკვირაო სკოლა, ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკა (მზრუნველი) და სხვ. გარდა ამისა, 1909 წ. სოფ. ქვემო ქვიტირში დავაარსე აკაკის სახელობის წიგნთსაცავ-სამკითხველო, რომლის სამზრუნველო კომიტეტის თავმჯდომარედ დავრჩი 1916 წლამდე (როდესაც წიგნთსაცავი ცეცხლმა გაანადგურა).

განუწყვეტლივ ვიყავი ქალაქის საბჭოს ხმოსნად და სხვადასხვა კომისიების თავმჯდომარედ ან წევრად 1906 წლიდან 1921 წლამდე.

ვიყავ ქუთაისის სამაზრო ერობის ხმოსნად და კომისიების წევრად 1918-დან 1921 წლამდე;

ვიყავი ქუთ. სამომრიგებლო ოლქის საპატიო მსაჯულად 1918-დან 1921 წლამდე;

ვიყავ ქუთ. საადგილმამულო ბანკის მსესხებელთა რწმუნებულად 6 წლის განმავლობაში.

სამსახური დავიწყე (ჯამაგირიანი) 1902 წლიდან, როდესაც მიმიწვიეს ქალაქს გარედ მდებარე მამულების გამგედ, 1906 წლიდან ქალაქის საბჭოს მიერ არჩეულ ვიქენ ქალაქის (საბჭოსა და გამგეობის) მდივნად; 1917 წელში ამირჩიეს ქალაქის გამგეობის მდივან-კანცელარიის გამგედ (ქალ. საბჭოს მდივნად კი არჩეულ იქნა პარტიული-მუნშევიკი). ხსენებულ თანამდებობაზე დავრჩი 1921 წლის 14 მარტამდე (ქუთაისში საბჭო-

თა ხელისუფლების დამყარებამდე, როდესაც მიმიწვიეს ქუთაისის გუბერნიის სახალხო მეურნეობის საბჭოს საქმეთა მმართველად), ამის შემდეგ განუწყვეტლივ ვმსახურობ სხვადასხვა დაწესებულებაში საქმეთა მმართველად, კანცელარიის გამგედ თუ მდივნად (კომუნალური მეურნეობის განყოფილებაში, მუშკოოპის „კოოპერაცია“-ში, კომუნალური ბანკის ქუთაისის განყოფილებაში, ქუთაისის ოლქის აღმასკომში და, ბოლოს, ისევ მუშკოოპის „კოოპერაცია“-ში).

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობაში სამსახურის დროს განვაგებდი სასამართლოს მაგიდას 1906 წლიდან 1921 წლამდე;

1905 წელში არჩეული ვიყავ რევოლუციონური კომიტეტის მდივნად;

1917 წელში კი — ქუთაისის გუბერნიის აღმასრულებელი კომიტეტის უფროს მდივნად.

საბჭოთა დაწესებულებებში სამსახურის დროს ვმუშაობდი ადგილკომის სარევიზიო კომისიაში, ეკონომ-კომისიაში, კულტ-კომისიაში და სხვ. ამასთან ერთად ვთანამშრომლობდი ამ დაწესებულებებთან არსებულ კედლის გაზეთებში „ძველი ამხანაგი“-ს ფსევდონიმით“.

დავით ავალიანის „მოკლე ავტობიოგრაფია“ 1931 წლის ნოემბრით არის დათარიღებული. დამოწმებულია ნოტარიუსის მიერ, აქვს ექვსი (?!) ბეჭედი; ნოტარიუსის გარდა — შვიდი პიროვნების ხელმოწერა. თუ რისთვის იყო საჭირო ეს დოკუმენტი, ჩემთვის უცნობია. უნდა ვივარაუდოთ — პენსიის მისაღებად (დავით ავალიანი ამ დროისათვის მძიმედ იყო დაავადებული, გარდაიცვალა ერთი წლის შემდეგ).

საინტერესოა „დამოწმებანიც“. სანიმუშოდ მოვიყვან სამიოდე მაგალითს:

„ამხ. დავით ავალიანის ავტობიოგრაფიას ვადასტურებ 1914 წლიდან, რომელ წლიდანაც გავიცანი — 1924 წლამდე. მისი მოღვაწეობის შესახებ, რაც ავტობიოგრაფიაშია აღნიშნული, მე ბევრისგან მსმენია და თვით წამიკითხავს საყმაწვილო მოთხრობები მის მიერ თარგმნილი, რომელიც ჩემს მოწაფეობის დროს მრავლად ვრცელდებოდა მოსწავლე ახალგაზრდობაში — კომპარტიის წევრი 1917 წ. სპ. ფოფხაძე“.

როგორც ჩანს, დამადასტურებელთა კომპარტიის წევრობა ერთგვარად „ამაგრებდა“ დავით ავალიანის პოზიციას, რადგან მინაწერებშიც ხაზგასმულია (როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით) ეს გარემოება: „ვარ გრძელი მანძილით მცნობი ამხ. დავით ავალიანის და აღნიშნულ მომენტებს ვასებით ვადასტურებ, იმას, რომ განვლილი

მოღვაწეობა მისი, შეიცავს ჭეშმარიტებას. ივანე დავითის ძე კილაძე (ძველი ბოლშევიკი 1903 წ.)."

დამმოწმებელთაგან მხოლოდ ერთი არის ჩემთვის ცნობილი პირი — ქუთაისელი საზოგადო მოღვაწე, მწიგნობარი და წიგნის გამომცემელი ისიდორე კვიცარიძე (უპარტიო). „ამით ვადასტურებ, რომ დ. ავალიანის ავტობიოგრაფიის შინაარსი და მასში აღნიშნული ფაქტები საზოგადოებრივი მოღვაწეობისა არის სრული ჭეშმარიტება. ისიდორე გრიგოლის ძე კვიცარიძე".

ალბათ სპირიდონ ფოფხაძეც და ივანე კილაძეც ცნობილი პიროვნებანი იყვნენ. დამმოწმებელთა შორის არის „ქუთაისის პედკომბინატის გამგე თ. ჭუმბურიძე — კომპარტიის წევრი 1923 წლიდან". ეს უთუოდ თეიმურაზ სერგის ძე ჭუმბურიძეა (1891-38 წ.) — პედაგოგი, სახალხო განათლების მოღვაწე, სახელმძღვანელოთა ავტორი.

„მოკლე ავტობიოგრაფიაში" ბევრი თვალსაჩინო ქართველი მოღვაწეა დასახელებული, მაგ., ყოფილი გიმნაზიელები, ჟურნალების „ოპოზიციისა" და „სხივის" (რომელთაც დავით ავალიანი რედაქტორობდა) თანამშრომლები — შემდგომში ქართული ფსიქოლოგიური სკოლის შემქმნელი, დიდი მეცნიერი დიმიტრი უზნაძე (1886-1950 წწ.); პუბლიცისტი, ორიენტალისტი, რუსთველოლოგი მიხაკო წერეთელი (1885-1965 წწ.); რევოლუციონერი და მწერალი პავლე საყვარელიძე (1885-1944 წწ.); ოურისტი, ლექსიკოგრაფი და მთარგმნელი პეტრე ქავთარაძე (1888-1941 წწ); მისი უმცროსი ძმა, რევოლუციონერი, საბჭოთა პარტიული მოღვაწე სერგო ქავთარაძე (1885-1971 წწ); ისტორიკოსი, შემდეგში თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი სიმონ ავალიანი (1881-1922 წწ.); და ბოლოს ალექსანდრე (საბა) კლდიაშვილი, იმედის მომცები ახალგაზრდა მეცნიერი, ტრაგიკულად დალუპული ოდესაში ებრაელთა რბევის დროს 1905 წელს. დავით ავალიანი მას „საშას" უწოდებს; შესაძლოა ეს კორექტურული შეცდომა იყოს („საბას" ნაცვლად), თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ გიმნაზიაში სწავლისას ასე ეძახდნენ. საბა კლდიაშვილის სახელი არ უნდა იყოს მივიწყებული. მკითხველს შევახსენებ მისი ნათესავის, დიდი ქართველი მწერლის დავით კლდიაშვილის მოგონებათა ფრაგმენტებს:

„რუსეთიდან საზარელი ამბები მოდიოდა, განსაკუთრებით საზარელი ამბები იყო ებრაელების დარბევის შესახებ.

...ებრაელების ამგვარი ჟლეტა მოხდა ოდესაში, რაღაც განსხვავებული, მხეცური, უდანაშაულო ხალხის სრესა. სურათი იმის, რაც ქუჩებში ხდებოდა თურმე, პირდაპირ ზღაპრული რამ იყო... დაიღუპა უთვალავი ხალხი, მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერი, ოდესის უნივერსიტეტის

ლაბორანტი ალექსანდრე (საბა) კლდიაშვილი. მაყურებელს საზარელი ხალხის ჟლეტისას ვერ მოეთმინა სახლში ყოფნა და საცოდავთა მისაშველებლად გამოვიდა ქუჩაში და იგიც შეუბრალებლად კაზაკების ნასროლი ტყვიით გამოსალმებულ იქნა წუთისოფელს...“

საბა კლდიაშვილის საქართველოში გადმოსვენება (ოდესიდან ზღვით ბათუმში; ბათუმიდან — ქუთაისამდე) ეროვნულ მანიფესტაციად იქცა.

საცნაურია, რომ დავით ავალიანის მიერ დასახელებული ერთ-ერთი ყოფილი გიმნაზიელიც (სერგო ქავთარაძე) ფიგურირებს დავით კლდიაშვილის მემუარებში:

„მთავარი ხელმძღვანელი იყო ვექილი დინინი, ებრაელი. ბათუმის მთელი ებრაელობა მოვიდა აზიზიეს მოედანზედ მიცვალებულის პატივსაცემად და მათ ხმამაღლა ტირილს დასასრული არ ჰქონდა, როცა ტრიბუნაზედ ასულმა რაბინმა დავით ზილბერმისტრმა მიმართა თავის მხურვალე სიტყვებით მიცვალებულს.

მრავალი ორატორი ამშვენებდა თავისი მხურვალე, გაბედული, ლამაზი სიტყვით ტრიბუნას. განსაკუთრებით კარგები იყვნენ სოსიკო მდივანი, სერიოჟა ქავთარაძე, მკურნალი, ფეოდოროვი“ (დავით კლდიაშვილი, „მეშუარები“).

„მოკლე ავტობიოგრაფიაში“ მოიხსენიება აგრეთვე ალიხანოვის თარეშის დროს საქართველოდან გადახვეწილი გრიგოლ გველესიანი, რომლის საზღვარგარეთიდან გადმოგზავნილი წერილის ცალკე ბროშურად გამოცემის გამო დავით ავალიანს სასამართლო მოელოდა.

გრიგოლ ივანეს ძე გველესიანი (1870-1926 წწ.), ცნობილი საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი გახლდათ; თვალსაჩინო სოციალისტ-ფედერალისტს, 1905 წლის რევოლუციის აქტიურ მონაწილეს, ქუთაისში ალიხანოვის დამსჯელმა რაზმმა სახლ-კარი და მდიდარი ბიბლიოთეკა გადაუწვა. გრიგოლ გველესიანი იძულებული გახდა გასცლოდა საქართველოს და ემიგრაციაში წასულიყო (იხ. „ქართული ენციკლოპედია“ ტ.3, 1978 წ.). ღირსსაცნობი ფაქტია, რომ ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ მან 1913 წელს დააარსა ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. ორგზის (1890 და 1915 წლებში) აღძრა თბილისში უნივერსიტეტის დაარსების საკითხი. 1915 წელს მის ბინაზე ქუთაისში გამართულა საორგანიზაციო სხდომები ამ საკითხზე, რომელსაც ესწრებოდნენ ივანე ჯავახიშვილი, ეუკოლ ბერიძე, დიმიტრი უზნაძე და აკაკი ფალავა (იხ. იქვე, გვ. 139).

დავით ავალიანი, როგორც ჩანს, ფედერალისტთა პარტიის აქტიური წევრი იყო. 1903 წლიდან (როცა თვალსაჩინო პუბლიცისტმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ გიორგი ზდანოვიჩმა ქუთაისში საფუძველი ჩაუყარა

„სოციალისტ-ფედერალისტთა“ პარტიას) საქართველოს ანექსიამდე, ე. ი. 1921 წლამდე, დაკით ავალიანი ერთგულად ეწეოდა პოლიტიკური მოღვაწის ჭაპანს, თუმცა შენიშნავს, „პარტიაში მუშაობამ ბევრი ტანჯვა გადამატანინაო“.

იგი ძლივს გადაურჩა ალიხანოვის დამსჯელ რაზმსაც. ცნობილი პოლიტიკური მოღვაწისა და ჟურნალისტის, ფედერალისტთა ერთ-ერთი მოთავის გიორგი ლასხიშვილის (1856-1933 წწ.) უნიკალურ „მემუარებში“ (თბ., 1934) მოიხსენიება დავით ავალიანიც, რომელმაც ცნობები მიაწოდა თბილისის პრესას ალიხანოვის დანაშაულებრიობათა შესახებ.

ქართული პრესა, მიუხედავად ცენზურის გამკაცრებისა, შეუფარავად ამხელდა 1905 წლის შემდგომ დამსჯელ ექსპედიციებს საქართველოში: „ჩვენი დროის აღა-მაჰმად-ხანი გენერალი ალიხანოვი არაფერს ზოგავდა და ცეცხლში გახვია მთელი მხარე. ტფილისში კანტი-კუნტად მოდიოდა საზარელი ამბები: გადასწვეს ზესტაფონი, გადასწვეს სამტრედია, ცეცხლი წაუკიდეს ქუთაისსაც. დამსჯელი რაზმები შეიჭრნენ დაბა-სოფლებში“ (გ. ლასხიშვილი, „მემუარები“, გვ. 224).

ყოველივე ეს აისახა გიორგი ლასხიშვილის „ცნობის ფურცელშიც“, რასაც მოჰყვა თბილისის გუბერნატორის ტიმოფეევის შემდეგი განკარგულება:

„ქართულ გაზეთს „ცნობის ფურცელში“ არა ერთხელ დაბეჭდილა ქუთაისის გუბერნიიდან ისეთი წერილები და კორესპონდენციები, რომლებითაც რედაქცია ცდილობს აღნიშნოს იქ მყოფი ჯარის უწესო მოქმედება. თუმცა რედაქტორი უკვე გაეფრთხილე, ყურადღებით მოპყრობოდა თანამშრომელთა მიერ მიწოდებულ ამბებს, გაზეთის ერთ უკანასკნელს ნომერში მაინც მოთავსებულ იქმნა კორესპონდენცია იმერეთიდან. ამ კორესპონდენციაში გაზეთი ათას რამეს აბრალებს ჯარს: სახლების ცეცხლის წაკიდებას, მკვლელობას, ქალების გაუპატიურებას და სხვას. ყველა ამის გამო მე, ტფილისის გუბერნატორი წინადადებას ვაძლევ „ცნ. ფურცლის“ რედაქტორს, შეიდი დღის განმავლობაში წარმოადგინოს დაურღვეველი საბუთები იმისა, რომ ამ შენიშვნაში დაბეჭდილი ამბები ნამდვილად მოხდა და არაა მოგონილი კორესპონდენტის მიერ. ამასთან ვაფრთხილებ რედაქტორს, თუ ამ ვადის განმავლობაში არ წარმოადგინა დამამტკიცებელი საბუთები, გაზეთი „ცნ. ფურცელი“ დაიკეტებაო“ (გვ. 225-226).

უეჭველია, რომ ქუთაისიდან გამოგზავნილ კორესპონდენციათა ერთ-ერთი ავტორი დავით ავალიანიც იყო, რადგანაც, დამატებითი საბუთებისათვის გიორგი ლასხიშვილს მიუმართავს პეტრე ყიფიანისა და დავით

ავალიანისათვის: „იმავე დღეს ვაფრინეთ კაცი ქუთაისში და შევუთვალეთ ქუთაისის კომიტეტს და ჩვენს იქაურ კორესპონდენტებს – პეტრე ყიფიანს და დავით ავალიანს სამი-ოთხი დღის განმავლობაში შეეკრიბათ რაიმე ოფიციალური დოკუმენტები, ოქმები ან განკარგულებანი – და ჩვენთვის საჩქაროდ გამოეგზავნათ. ხუთი დღის შემდეგ მართლაც მოგვივიდა ცოტაოდენი საინტერესო დოკუმენტი, და 24 მარტისათვის მე შევუდექი გაზეთის სათანადო ნომრის დამზადებას გენ-გუბერნატორის საპასუხოდ. ნომერი იწყებოდა მოწინავე წერილით, ამ სათაურით „დაურღვეველი საბუთები“ (გვ. 226).

ეს კი იმ დროისათვის დიდი გმირობა გახლდათ: „იმ ღამესვე ჩვენი რედაქცია გაჩხრიკეს. ბევრი ხელნაწერი წაგვართვეს და გამოგვიცხადეს, რომ გაზეთი დაკეტილია“ (გვ. 229) – მოგვითხრობს გიორგი ლასხიშვილი.

ასეთი იყო ქართველ ეროვნულ მოღვაწეთა შფოთიანი და ნარეკლიანი გზა.

განმარტებას საჭიროებს „მოკლე ავტობიოგრაფიის“ ერთი, ცოტა არ იყოს, ორჭოფული მონაკვეთი: „ჩემი პარტიული მუშაობა 1920 წლის დამლევამდე გაგრძელდა. 1921 წლის დასაწყისში კი, როდესაც პარტიაში ფრაქციულმა განხეთქილებამ იჩინა თავი, მე სრულიად ჩამოვშორდი პარტიას და დავრჩი პარტიის გარეშე სოციალისტად. მას შემდეგ ვდგევარ საბჭოთა პლატფორმაზე და შეძლებისდაგვარად ხელს ვუწყობ მის აღმშენებლობას“.

აქ აღსანიშნავია ერთი გარემოება: ფრაქციული განხეთქილება დამთავრდა „საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის“ შექმნით. ამ პარტიამ რევკომთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა, 1923 წელს კი კომუნისტურ პარტიას შეუერთდა.

ცხადია, ძველი ეროვნული მოღვაწენი, მათ შორის დავით ავალიანიც, ამ პარტიის წევრობას განერიდებოდნენ.

უნდა ვივარაუდოთ, რომ დავით ავალიანი სწორედ იმიტომ ჩამოშორდა „სოციალისტ-ფედერალისტთა“ სახეცვლილ პარტიას, რომ „საბჭოთა პლატფორმაზე“ არ იდგა.

შედეგმაც არ დააყოვნა: იგი მალევე მოხსნეს სამსახურიდან და ლუკმა-პური გაუხდა საძებნელი.

დავით ავალიანის შრომითი ბიოგრაფიის ერთი ეპიზოდი მკაფიო ნიშუშია იმისა, თუ როგორი იყო ახალი ხელისუფლების დამოკიდებულება ძველი ყაიდის, ე.ი. ჭეშმარიტი ქართული ინტელიგენციის მიმართ საქართველოს ანექსიის შემდგომ.

დავით ავალიანის 1922 წლით დათარიღებული განცხადება ქუთაი-

სის ეკონომიკური განყოფილების გამგისადმი შუქს ფენს ამ საკითხს და ხელშესახებად წარმოაჩენს არა მარტო იმდროინდელ ვითარებას, არამედ თვით ავტორის პიროვნებასა და მის ლიტერატურულ სტილს.

ქუთაისის მაზრის ეკონომიკურ განყოფილებას, სადაც დავით ავალიანი მრავალი წელი მუშაობდა, ახალი უფროსი, ვინმე „ბ-ნი ადამსკი" მოევლინა. მან 1921 წლის აპრილიდანვე შეავიწროვა ძველი მუშაკი (ყოფილი ფედერალისტი!), შემდეგ კი, სრულიად უმიზეზოდ, სამსახურიდან დაითხოვა. მას არავინ გამოსარჩლებია (ალბათ ადგილის დაკარგვას მოერიდნენ). მხოლოდ ადამსკის იძულებითი წასვლის შემდეგ, 1922 წლის მარტში შეუთავაზებიათ ძველ თანამდებობაზე აღდგენა. დავით ავალიანმა თავაზიანად, მაგრამ კატეგორიულად უარყო მათი წინადადება.

ზემოხსენებული განცხადება საინტერესოა, როგორც საქართველოს „გასაბჭოების" პირველი წლების ვითარების ამსახველი უტყუარი დოკუმენტი.

„ქუთაისის ეკონომიური განყოფილების გამგეს — ეკონომიური განყოფილების ყოფილი საქმეთა მმართველის დავით ნიკოლოზის ძის ავალიანისაგან

განცხადება

ჩამაბარეს თქვენი წინადადება და მასთან ერთად 27 მარტს მომხდარი შეერთებული კრების ოქმის ასლი შესახებ იმისა, რომ მე აღდგენილი ვარ ძველს თანამდებობაზე — ეკონომიური განყოფილების საქმეთა მმართველის ადგილზედ.

ასეთი დადგენილება რომ წინათ ყოფილიყო გამოტანილი, მე ზნეობრივად სრულიად დაკმაყოფილებული ვიქნებოდი და დიდი სიამოვნებითა და სიხარულით დავუბრუნდებოდი იმ ჩემთვის საყვარელ დაწესებულებას, სადაც 20 წლის განმავლობაში მთელის ჩემი ენერგიით ვმუშაობდი; რომელიც საკუთარ ოჯახად მიმაჩნდა და რომელსაც როგორც რევოლუციის (იგულისხმება 1905-07 წწ. რევოლუცია — ლ.ა.), ისე რეაქციის დროს ფარვანასავით თავს ვევლებოდი და მაშინაც კი არ ვტოვებდი, როდესაც მოსალოდნელი საფრთხის გამო თითქმის ყველანი გარბოდნენ და დაწესებულებას უპატრონოდ ტოვებდნენ.

მაგრამ ამჟამად მე არ შემიძლია დავუბრუნდე ეკონომიკურ განყოფილებას და აი, რატომ:

როდესაც ყოველისშემძლე ბ-ნმა ადამსკიმ სრულიად მოულოდნელად,

უმიზეზოდ გამაგდო სამსახურიდან, ყველა ჩემი მცნობი აღშფოთებული იყო ამ ფაქტით და მირჩევდა – უმაღლეს მთავრობასთან მეჩივლა მისთვის. მე ეს ადვილად შემეძლო, მით უმეტეს რომ უმაღლესი მთავრობის ბევრი წევრი, როგორც: ბ. მდივანი, ს. ქავთარაძე, შ. ელიავა, მ. ოკუჯავა და სხვ. დიდი ხანია კარგად მიცნობენ და მგონი, ცუდს ვერაფერს იტყვიან ვერც ჩემს წარსულზე და ვერც აწმყოზე. მაგრამ მე საზოგადოდ ჩივილს დაჩვეული არ ვარ და არც ამ შემთხვევაში მივმართე ამ საშუალებას. მე მხოლოდ შევეცადე მის გაგებას, თუ რა მიზეზით ვიყავი სამსახურიდან დათხოვნილი. აღმოჩნდა, რომ ჩემი დანაშაული ყოფილა ის, რომ მე თურმე, ადამსკის პირადი შეხედულებით, „თანამედროვე მუშა არა ვარ“ („Несовременный работник“), „თეთრხელა ბურჟუა-ბიუროკრატს“ ვგავარ (კიდევ კარგი, რომ მწვირიან ქუჩის მაწანწალას არ შემადარა!), თურმე, გახმებულ სუფთა საყელოს ვატარებ (ესეც თურმე დანაშაული ყოფილა) და სხვ.

ვფიქრობდი, ჩემს მაგივრად სხვები ამოიღებდნენ ხმას, როდესაც ამ ახირებულ მიზეზს გაიგებდნენ და მოსთხოვდნენ ადამსკის სათანადო პასუხს. მაგრამ იმედი გამიცრუვდა. ან კი ვინ მოიცლიდა ჩემისთანა პატარა კაცის გამოსასარჩლებლად, ისიც ისეთი „დიდი პიროვნების“ წინააღმდეგ, როგორიც ბ. ადამსკია!

... ბ. ადამსკის წყალობით ხელი ამაღებინეს იმ მცირე დამატებაზეც, რაც უკვე მიიღეს სხვა დაწესებულებათა საქმეთა მმართველებმა და მდივნებმა, რომელთაგან ზოგიერთს, მხოლოდ გუშინ გამდივნებულთ, უფროსების წინ ფინიასებურად ცერებით სიარული, სალდათურად „ფრონტში“ გაჩერება, „სლუშაიუს“ და „ნიკაკ-ნეტს“-ის ძახილი უფრო ეადვილებათ, ვიდრე წერა-კითხვა და საქმის კეთება.

ბ) მოსალოდნელი იყო, რომ ეკონომიური განყოფილების ადგილობრივი კომიტეტი, რომლის დაუკითხავად ბ. ადამსკიმ ქუჩაში გამომაგდო, ღირსეულად შეასრულებდა თავის მოვალეობას და გამოესარჩლებოდა უდანაშაულოდ დასჯილს კავშირის წევრს (თუ, რასაკვირველია, მე ასეთად მცნობდა), მაგრამ კომიტეტმაც იმედი გამიცრუა და ერთი კრინტიც კი არ დასძრა ამის შესახებ. ამით კი მან, უთუოდ, დაადასტურა, სამართლიანად სცნო ბ. ადამსკის მოქმედება.

ამ ორმა გარემოებამ ძლიერ გამიტეხა გული და სასოწარკვეთილებაში ჩამაგდო. თითქმის გადავწყვიტე სულ დამეტოვებინა ქალაქი, სადაც ჩემი ოცი წლის სამსახურს (ჩემი ფიქრით – სინდისიერს) ჯვარი დაუსვეს. ვფიქრობდი, თუ იმ დაწესებულებაში, სადაც 20 წელი ვმსახურობდი, უვარგისად მიცნეს, სხვა დაწესებულებაში უთუოდ სიახ-

ლოვესაც აღარ გამიკარებენ-თქო; მაგრამ ამ დროს გამოჩნდა ერთი დაწესებულება – მუშათა კოოპერატივი, რომელმაც დაწუნებულსა და სამარცხვინოდ ქუჩაში გაგდებულს თვითონ გამომიწოდა ხელი და შემომთავაზა დროებით სულ უბრალო, საქმის მწარმოებლის ადგილი; მასთან შემპირდა, ვეცდებით – მალე შესაფერი ადგილი მოგეცეთო. ამ დროს ასეთი თანაგრძნობა ჩემთვის მეტად ძვირფასი იყო, და, მიუხედავად იმისა, რომ საქმის მწარმოებლობა არასოდეს გამომიცდია, მაშინვე დავთანხმდი წინადადებაზე.

მართალია, იმის შემდეგ შრომის განყოფილების ინიციატივით ჩემი საქმეც (ადამსკის მიერ ჩემი დათხოვნის შესახებ) განხილულ იქმნა და მე აღმადგინეს ძველს თანამდებობაზე, მაგრამ უკვე გვიანაა...

... განა შეიძლება მთელი გულით, ხალისით დავუბრუნდე იმ დაწესებულებას, რომლის თანამშრომლებმა ადგილობრივი კომიტეტის სახით კრინტიც კი არ დასძრეს უდანაშაულოდ დასჯილი ამხანაგის სასარგებლოდ?! და როდესაც ბ. ადამსკი იძულებული გახდა სამსახურისათვის თავი დაენებებინა, მათ გამოსათხოვარი სადილიც კი გაუმართეს და ბევრი გრძნობიერი სიტყვაც უთხრეს, როგორც ყოვლად პატიოსანსა და სამართლიან ადამიანს. ამის შემდეგ მე რა ზნეობრივი უფლება მაქვს ვისარგებლო მხოლოდ ადამსკის წასვლით და, გატეხილი გულით, ნიღაბაფარებული დავუბრუნდე ძველს ადგილს?! ეს ხომ უსინდისობა იქნებოდა ჩემი მხრით, რასაც მე ჩვეული არა ვარ.

ზემოხსენებული გარემოებანი და აგრეთვე ის, რომ მე არ მინდა ვისიმე მყუდროება შევარყიო და იმ მდგომარეობაში ჩავაყენო, როგორშიც მე ჩამაყენეს, მაიძულებს მოგახსენოთ, რომ არ შემიძლია დავუბრუნდე ძველ თანამდებობას – თქვენდამი რწმუნებული ეკონომიკური განყოფილების საქმეთა მმართველობას“.

საქართველოს ანექსიის შემდეგ დავით ავალიანის ჟურნალისტური მოღვაწეობა ჯერ უკიდურესად შეიკვეცა, შემდეგ კი სრულიად შეწყდა. მან მხოლოდ ორიოდე ძველი თარგმანის ცალკე წიგნაკებად გამოქვეყნება შეძლო.

დავით ავალიანმაც გაიზიარა ეროვნული მიმართულების „თეთრ, გახამებულ საყელოიან“ ინტელიგენტთა ხვედრი – საქართველოს „გასაბჭოების“ შემდეგ მათი მოღვაწეობის ასპარეზი დაიხშო.

1995 წ.

XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის

ქართული მწერლობა ერთიანი, განუყოფელი, მართლაც „თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობაა“ (რ. თვარაძე); მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან ისიც უეჭველია, რომ წინარე პერიოდებთან შედარებით, ლიტერატურული პროცესი XIX-XX საუკუნეებში გართულდა, გაღრმავდა, სხვადასხვა მიმდინარეობებით, ნაირგვარი მხატვრული სისტემებით დაიყურსა.

ვითარება XX საუკუნის II ნახევარში და, განსაკუთრებით, საუკუნის მიწურულს, გაამძაფრა საკომუნიკაციო საშუალებათა არნახულმა პროგრესმა: მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის კულტურული მოვლენა თუ ლიტერატურული ფაქტი ყველასთვის მისაწვდომი გახდა.

ახლა ძნელია ამ პროცესის ძირეული შეფასება, თუმცა, ოპტიმისტთა თვალთახედვით, ინტერნეტის ზეობა და კულტურული გლობალიზაცია სიტყვაკაზმულ მწერლობას მცირედ საფრთხეს უქმნის, პესიმისტები კი უკვე მის გადაგვარება-დაკნინებაზე მსჯელობენ.

ქართული ლიტერატურის ისტორიის სრული კორპუსის გამოცემა დღეს დროულიც არის, საშურიც და, შესაძლოა, დაგვიანებულიც კი.

განსაკუთრებულ სირთულეს გვიქადის აქ უკვე გასული XX საუკუნე. XXI საუკუნის დამდეგს უნდა ვაღიაროთ, რომ XX საუკუნის ქართული ლიტერატურის რამდენადმე სრულყოფილი ისტორია არ გაგვაჩნია. ეს ჩვენი დიდი სირცხვილი იქნებოდა, რომ არა „შემამსუბუქებელი“ გარემოება ანუ ობიექტური საფუძველი ამ არანორმალური ვითარებისა: ბუნებაში არარსებული, ყბადაღებული „სოციალისტური რეალიზმის“ (რომლის ზუსტი დეფინიცია, მასზე დაწერილი მრავალი დისერტაციის მიუხედავად, ვერა და ვერ მოხერხდა) დოგმათა დაცვის მოთხოვნა 70 წლის მანძილზე.

კომუნისტური იდეოლოგიის „კლასობრივი“ საზრისი და ლიტერატურის „პარტიულობის“ პრინციპი (ნონსენსი!), ყოვლისმომცველი ცენზურა, ანტიფორმალისტური კამპანიები, დროდადრო – მწერლების გააფთრებული რეპრესიები თითქმის შეუძლებელს ხდიდა ლიტერატურული პროცესის სათანადო გააზრებას, იფქლისა და ღვარძლის გამორჩევას, ობიექტური კრიტერიუმის მომარჯვებას. ყოველივე ზემოთქმული არა მხოლოდ საბჭოთა პერიოდზე, არამედ XX საუკუნის დასაწყისის, XIX საუკუნისა და თვით ძველ მწერლობაზეც კი ვრცელდებოდა.

სიყალბესთან იყო წილნაყარი საბჭოური პერიოდიზაციაც, რადგან 1921 წელი ანუ საქართველოს ანექსია წყალგამყოფად, „საკრალურ“ მიჯნად, ახალი ეპოქის დასაწყისად იქნა მიჩნეული; თუმცა საქართველოს გასაბჭოების მომდევნო წლებში, ქართული მწერლობა თითქოს ინერციით, მაგრამ მაინც წარმატებულად და თავისი შინაგანი კანონების თანახმად ვითარდებოდა. 1924 წლის ულმობელმა რეპრესიებმა და, აგრეთვე, 1932 წლის საკავშირო „ისტორიულმა“ გადაწყვეტილებამ საბოლოოდ დააბრკოლა მწერლობის ბუნებრივი გეზი და დაასამარა შემოქმედის თავისუფლების ილუზია ტოტალიტარიზმის პირობებში.

ჩვენი დროის უპირველესმა მონაპოვარმა, საჯაროობამ და სიტყვის თავისუფლებამ, არა მარტო ქართულ მწერლობას (რომლის საუკეთესო წარმომადგენლები საბჭოთა პერიოდშიც ისე ლაღად და ოსტატურად წერდნენ, თითქოს აუტანელი იდეოლოგიური წნეხი და ტოტალური ცენზურა არ არსებულიყო) დაუთმო ბურთი და მოედანი, არამედ ლიტერატურისმცოდნეობასაც არნახული გასაქანი მისცა; მაგრამ წარსულის ინერციის დაძლევა გაცილებით ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე მოველოდით.

ახლა კი, როგორც ჩანს, „ფორსირებული“ მუშაობაა საჭირო, რათა, ახლო წარსულის ლიტერატურულ ფასეულობათა გადაფასების უცილობელი პროცესის პარალელურად, მონოგრაფიულად დამუშავდეს და წარმოჩნდეს XX საუკუნის მწერლობის მთლიანი სახე, ცალკეულ, უმნიშვნელოვანეს მწერალთა ცხოვრება-შემოქმედებაც და მათი როლიც ლიტერატურულ პროცესებში.

არცერთი ქვეყნის ლიტერატურა არ შეუქმნია ერთეულებს, მას მთელი მწერლობა ქმნის – კორიფენიც, მეორეხარისხოვანნიც და მეათეხარისხოვანნიც. XX საუკუნის ლიტერატურის ისტორიაშიც კეისარს კეისრისა უნდა მიეზღოს, მაგრამ ლიტერატურული პროცესის ამსახველ გამოწელილვით მიმოხილვაში „წვრილ“ ვარსკვლავთათვისაც უნდა მოიძებნოს ადგილი. ამიტომაც დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ლიტერატურის ისტორიის აგებულებას.

იმ რამდენიმე წიგნს შორის, XX საუკუნის ქართული ლიტერატურის სისტემური მიმოხილვის ცდას რომ წარმოადგენს, მხოლოდ ორ მათგანს აქვს სათაურშივე მითითებული – „ისტორია“. ჩანს, ავტორები, სრულიად მართებულად, ფრთხილობდნენ; თავადვე აცნობიერებდნენ, რომ მათი ნაშრომები სრულყოფილი ვერ იქნებოდა.

ამ მხრივ საყურადღებოა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ 1982 წელს გამოცემული „ქართული ლიტერატურის ისტორიის" V ტომი, რომელიც სანახევროდ XX საუკუნის ქართულ მწერლობას ეხება: „XX საუკუნის 900-იანი წლების ქართული ლიტერატურა", „XX საუკუნის 10-იანი წლების ქართული ლიტერატურა". ქრონოლოგიური თვალსაზრისით ეს ორი მონაკვეთი 1900-1920 წლებს მოიცავს. უკვე შევნიშნე, რომ ამგვარი „პერიოდიზაცია" სრულიად მიუღებელია; მაგრამ კიდევაც რომ დავეთანხმოთ მას, სტრუქტურის თვალსაზრისით, ორივე მათგანი მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რაც დაუშვებელია; იგრძნობა ერთიანი რედაქციის უქონლობაც.

მაგ., თუკი „XX საუკუნის 900-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში" მიმოხილვითი სტატიების გარდა („სოციალურ-პოლიტიკური ვითარება და ლიტერატურა", „ქართველი კლასიკოსები და 1905 წლის რევოლუცია", „პოეზია", „პროზა", „დრამატურგია", „პრესა, სალიტერატურო კრიტიკა"), მოთავსებულია ცალკეული მწერლებისადმი მიძღვნილი სტატიები (იროდიონ ევდოშვილი, ჭოლა ლომთათიძე, ნოე ჩხიკვაძე, შიო მღვიმელი, კოტე მაყაშვილი, უიარაღო), მეორე მონაკვეთში – „XX საუკუნის 10-იანი წლების ქართული ლიტერატურა", ყოველგვარი ლოგიკით, პირველის იდენტური რომ უნდა იყოს, მხოლოდ მიმოხილვით წერილებს ეხვდებით: „სოციალურ-პოლიტიკური ვითარება", „ქართული ლიტერატურა 1917-1920 წლებში" – ამ უკანასკნელი ქვეთავის არსებობა, ცხადია, პოლიტიკურმა კონიუნქტურამ (მენშევიკების პერიოდი?!) განაპირობა: ეს არც არის გასაკვირი, საოცარი ის გახლავთ, რომ პერსონალიისათვის ვეღარ „მოინახა" ადგილი; ან კიდევ: პირველ თავში „პრესა, სალიტერატურო კრიტიკა" მიმოიხილება, მეორეში მხოლოდ „კულტურული ცხოვრებაა" გამოყოფილი. შინაარსობრივ მხარეზე არას მოგახსენებთ, მაგრამ სახელწოდებათა შორის ასეთი სხვაობა უყურადღებობის შედეგია. ბარემ აქვე ვიტყვი, რომ მიუღებლად მიმაჩნია მწერლობის ვიწროჟანრობრივი მიმოხილვაც, რაც ერთიანი ლიტერატურული პროცესის წვდომას მხოლოდ შეაფერხებს.

თუმცა „ქართული ლიტერატურის ისტორია" ექვს ტომად იყო ნავარაუდევი, ვერა და ვერ მოხერხდა ბოლო ტომის გამოცემა. ამ ტომის ერთგვარ გაგრძელებად (თუმცა ქრონოლოგიურად წინ უსწრებს) შეიძლება ჩაითვალოს მოსკოვში, 1977 წელს, მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტისა და ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ერთობლივი გამოცემა „История грузинской советской литературы" (მოსკოვური ინსტიტუტის მონაწილეობა მხოლოდ ამ

წიგნის გამოცემით შემოიფარგლა, რადგან ავტორთა კოლექტივის ყველა წევრი ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელია).

მიუხედავად ხუთწლიანი ინტერვალისა, თვისებრივი განსხვავება ამ ორ წიგნს შორის მეტად უმნიშვნელოა (მხოლოდ წიგნის აგებულებაა სრულიად განსხვავებული) და თუ სათაურსაც „ვენდობით“ – ეს ორი კოლექტიური გამოცემა XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის შექმნის ცდაა (70-იან წლებამდე).

სტრუქტურულად უფრო გააზრებული და მისაღები ჩანს რუსული წიგნი (რომლის შინაარსობრივი თუ იდეური შეფასება სრულიადაც არ არის ჩვენი მიზანი): „ოციანი წლების ლიტერატურა“ (1921-1932), „ოცდაათიანი წლების ლიტერატურა“ (1932-1941), „დიდი სამამულო ომის პერიოდის ლიტერატურა“ (1941-1945), „ომის შემდგომი ათწლეულის ლიტერატურა“ (1945-1954); „საქართველოს თანამედროვე ეტაპის ლიტერატურა“ (1955-1970)... პერიოდიზაციას, რასაკვირველია, ვერ დავეთანხმებით; ოღონდ ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს საბჭოთა ლიტერატურის ისტორია იყო. ერთიც უნდა ითქვას: ავტორები ცდილან ბუნებრივად ჩაერთოთ ლიტერატურულ პროცესში ყველა ის მწერალი, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღოდათ ლიტერატურის განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე.

ფასეულად მიმაჩნია დანართიც: „საქართველოს ლიტერატურული ცხოვრების ქრონიკა“, რითაც ქართული გამოცემები ნამდვილად ვერ დაიტრაბახებენ.

როგორც დამხმარე სახელმძღვანელო, 50-იანი წლებიდან მოყოლებული 70-იანი წლების შუაწელამდე, – გამოიყენებოდა ს. ჭილაიას სამტომეული „მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა“ და მისივე „უახლესი ქართული მწერლობა“ ორ ტომად (XXI საუკუნის დამდეგს, „უახლესის“ ცნება გასულ საუკუნესთან მიმართებით, სამართლიან დაეჭვებას იწვევს); მაგრამ ცალკეულ მწერალთა შემოქმედებისადმი მიძღვნილი ნარკვევები სისტემური კურსის შედგენის ადვილ, მაგრამ უმართებულო გზად მესახება. იგივე ითქმის რ. მიშველაძის „ისტორიად“ სახელდებულ წიგნზეც, თუმცა მასში გვხვდება ერთი ჩანართიც – „20-ანი წლების ლიტერატურული დაჯგუფებანი“ (რატომ 20-იანი და არა 10-20-იანი?).

თბილისის უნივერსიტეტის მიერ გამოცემული „უახლესი ქართული ლიტერატურის“ ორტომეულიც ძირითადად XX საუკუნის უმნიშვნელოვანესი მწერლებისადმი მიძღვნილი მონოგრაფიული ნარკვევების, ლიტ-

ერატურული პორტრეტების თუ ესეების კრებულია (წიგნები მომზადდა 70-80-იან წლებში, გამოიცა დიდი დაგვიანებით); მაგრამ ისიც ვერ აკმაყოფილებს ვერც ლიტერატურის ისტორიის სრული კურსისადმი და ვერც დღევანდელობისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

უცხოური (რუსული, ესპანური, ინგლისური, ამერიკული და ა.შ.) ლიტერატურის ისტორიათა მიმოხილვაც, ზემოხსენებულ ქართულ გამოცემებთან ერთად, გვაფიქრებინებს, რომ ლიტერატურული პროცესის წარმომჩენი საფუძვლიანი წერილებისა და ცალკეული მწერლების შემოქმედების ამსახველი მონოგრაფიული ნარკვევების მონაცვლეობა ანუ, კარგად აპრობირებული სტრუქტურა რაგინდარა ქვეყნის ლიტერატურის ისტორიისა, – უთუოდ მისაღებია.

და, რაც უმთავრესია (რადგან ქართული ლიტერატურის ისტორიის სამივე ტომი, პარალელურად უნდა მომზადდეს), „XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის" გამოცემა შეუძლებელია „XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის" სტრუქტურის გათვალისწინების გარეშე (ძველი მწერლობის სპეციფიკურობა ასეთ „თანხმიერებას" აძნელებს, მაგრამ, ცხადია, არ გამორიცხავს...)

2001 წ.

XX საუკუნის 10-20-იანი წლების ქართული სალიტერატურო დაჯგუფებები

„ცისფერყანწელები"

ლიტერატურული დაჯგუფებანი მთლად უცხო ხილი არ იყო ქართული მწერლობისათვის. XIX საუკუნეში პირველად „თერგდალეულებმა", ე.წ. სამოციანელებმა გამოკვეთეს ნათლად თავიანთი მრწამსი. რუსეთში განათლებაძიღებულ „თერგდალეულებს", – მათ აღიარებულ მოთავეს ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ნიკო ნიკოლაძეს, გიორგი წერეთელს, კირილე ლორთქიფანიძეს და სხვათ, მოგვიანებით დაუახლოვდნენ პეტრე ნაკაშიძე, ალექსანდრე საყანელი, მიხეილ ყიფიანი, ივანე პოლტარაცკი, ილია წინამძღვრიშვილი... მაგრამ მათ არ უცდიათ ორგანიზაციული გამთლიანება, განსხვავებული ლიტერატურული სკოლის, დაჯგუფების შექმნა, თუმცა ზოგ საკითხში მკვეთრად გაემიჯნენ წინა თაობათა მწერლებს, ე. წ. „მამებს".

ვახტანგ კოტეტიშვილი წერდა, რომ ეს არ იყო სკოლა; ეს იყო ერთი მიზნისაკენ მიმსწრაფი ახალგაზრდობის კავშირი, ახალგაზრდობისა, რომელსაც, პროგრამაზე უწინარეს, განწყობილება და ტემპერამენტიც აკავშირებდა.

„თერგდალეულთა“ უპირველეს მიზანს იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნა, ხალხში ეროვნული თვითშეგნების გაღვივება წარმოადგენდა; მწერლობა მათთვის ერთგვარი პლაცდარმიც იყო, რომლის დაუფლებითაც აპირებდნენ თავიანთი იდეების გავრცელებას.

დემოკრატიულ იდეალებზე აღზრდილი სამოციანელები „მამებს“ — კონსერვატორ-ლიბერალებს დაუპირისპირდნენ; ლიტერატურული თვალსაზრისით კი „მამათა და შვილთა ბრძოლა“ კრიზისის გზაზე დამდგარი რომანტიკული მიმდინარეობისა და კრიტიკული რეალიზმის ურთიერთდაპირისპირებას გამოხატავდა. ლიტერატურის ისტორიკოსის თვალთახედვით, ეს მართლაც ასეა; თუმცა, ლიტერატურულ მიმართულებათა ამგვარ მკვეთრ შეჯახებას მაშინ ადგილი არ ჰქონია.

ორგანიზაციული გამთლიანებისაკენ სწრაფვა უფრო „მეორე დასელებს“ („მეორე დასი“, ფაქტობრივად, სამოციანელთა ერთ-ერთი განშტოება იყო) და, განსაკუთრებით, „მესამე დასელებს“ ეტყობოდათ, თუმცა მათი თავიდათავი მიზანი პოლიტიკური ხასიათისა გახლდათ, ლიტერატურას კი უფრო „მეორადი“ ფუნქცია ენიჭებოდა. „თერგდალეულები“ თავადაზნაურული ინტელიგენციის წრიდან იყვნენ; მოგვიანებით მათ ხალხოსნები, „დიაკენის შვილები“, ე. წ. „ტეტიათა მოტრფიალენი“ დაუპირისპირდნენ.

ეს დაჯგუფებანი ხშირად სტიქიურად იქმნებოდა. მათ, უწინარესად, სოციალურ-პოლიტიკური და ეროვნული მისწრაფებები ამოძრავებდათ და არა ლიტერატურული სკოლის შექმნის სურვილი.

„ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზედ ამოსული შტოები არიან“ — ილიას ამ სიტყვებს მეტ-ნაკლებად XIX საუკუნის ყველა ჯგუფი იზიარებდა. მათ უფრო „ძირი“ აინტერესებდათ და მისი რევოლუციური („მესამე დასი“) თუ არარევოლუციური (ხალხოსნების „ხალხში გასვლა“) გარდაქმნისთვის იღვწოდნენ. ზოგჯერ გადაჭარბებითაც კი აფასებდნენ მეცნიერებისა და ხელოვნების როლს საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნაში.

პირველი ქართული ლიტერატურული დაჯგუფება, რომელმაც სრულიად გაცნობიერებულად დაგმო გაკვალული გზა, უარყო სოციალ-პოლიტიკური იდეალები (ეროვნული — არა!) და „წმინდა ხელოვნების“ მსახურება და ქართული მწერლობის „მსოფლიოს რაღინუსით“ გამართვა მოიწადინა, — „ცისფერყანწელთა“ ჯგუფი იყო.

საბჭოურ „ოფიციალურ“ კრიტიკაში გაბატონებული მოსაზრებით, „ცისფერყანწელთა“ ჯგუფი ოდენ ნეგატიური მოვლენა იყო, ანტიხალხური, იდეალისტური (ანუ „უიდეო“), ფრანგული და რუსული სიმბოლიზმის უსუსური მიბაძვა, მათი დაგვიანებული გამოძახილი. განსაკუთრებული სიმკვეთრით უნდა თქმულიყო, რომ ეს ჯგუფი „უნიადაგოდ“ აღმოცენდა!

არადა, „ცისფერი ორდენი“ დღეს გვესახება, როგორც სრულიად კანონზომიერი რეაქცია იმდროინდელი სოციალურ-პოლიტიკური ვითარებისა და 10-იანი წლების ჩიხში მომწყვდეული ქართული ეპიგონური მწერლობის მიმართ.

მართლაცდა, საქართველოში, 1905-1907 წლების რევოლუციის მომდევნო წლებში რუსეთის დამსჯელი ექსპედიციები თარეშობდნენ. ილიას მკვლელობამ გამოუსწორებელი ლახვარი ჩასცა ქართული საზოგადოების ეროვნულ ცნობიერებას და ერთიანობას, საქართველოს ინტელიგენცია გაუთავებელი პარტიული კინკლაობით დაქსაქსულიყო; ლიტერატურის სარბიელზე ძირითადად ეპიგონიზმი, მიმბაძველობა გამეფებულიყო; მალე უმაგალითო მასშტაბის სასაკლაო — პირველი მსოფლიო ომიც დაიწყო.

ასეთი ვითარება სწორედ რომ ნოყიერი ნიადაგი გახლდათ რაგინდარა მოდერნისტული თუ ავანგარდისტული მიმართულებების აღმოცენებისათვის.

საგანგებო კვლევას საჭიროებს კიტა აბაშიძის, არჩილ ჯორჯაძის, გრიგოლ რობაქიძის ფილოსოფიურ-ესთეტიკური ნააზრევის უდიდესი ზეგავლენა ახალგაზრდა ქართველ პოეტებზე. მათ, გადაუჭარბებლად, გზა გაუკაფეს XX საუკუნის 10-იანი წლების შემოქმედებით ნოვაციებს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გრიგოლ რობაქიძის საჯარო ლექციები, რომელთაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრეს „ცისფერი ორდენის“ ჩამოყალიბება.

დასავლეთ ევროპისა და რუსეთის „ახალ პოეზიას“ ზიარებულ მომავალ „ცისფერყანწელებს“ აერთიანებდა ეპიგონური პოეზიის სიძულვილი, უწინარეს ყოვლისა კი, ბრწყინვალე პოეტური ნიჭი და ახლისმაძიებლის აზარტი, ახალი, აუთვისებელი თემებისა და ახლებური ფორმებისკენ ლტოლვა.

ე. წ. „ქართული სიმბოლიზმი“ ანუ „ცისფერი ორდენი“ 1915-1916 წლების მიჯნაზე წარმოიშვა. ამ დროისთვის ფრანგული სიმბოლიზმი უკვე ისტორიის კუთვნილებად იყო ქცეული, რუსული სიმბოლიზმი კი თავისი არსებობის უკანასკნელ ღღეებს ითვლიდა. ამ სკოლათა ვარსკვ-

ლავებს ელვარება დღემდეც არ დაუკარგავთ, მაშინ კი ვერლენის, მალარმეს, რემბოს, ვერჰარნისა და შეტერლინკის, ბალმონტის, ბრიუსოვის, ბელისა და ბლოკის სახელები სალოცავ კერპებად გაეხადათ. გარემოებაც ხომ ამასვე უწყობდა ხელს.

ისტორიამ დაგვანახა, რომ სიმბოლისტური მიმართულების დამკვიდრებას წინ უსწრებდა სოციალური თუ კულტურული კრიზისები. ფრანგულ ლიტერატურაში სიმბოლიზმი კომუნის დამარცხების შემდეგ ჩაისახა; 80-იანი წლების რუსული ეპიგონური ლიტერატურა ნადსონის მეთაურობით რუსული სიმბოლიზმის პიონერს ვალერი ბრიუსოვს კლასიკური პოეზიის კრიზისად ესახებოდა. უეჭველია ისიც, რომ 10-იან წლებში დამდაბლებული და დაქვეითებული იყო ქართული კლასიკური ლექსი.

ძნელია ვილაპარაკოთ ე. წ. „ქართული სიმბოლიზმის“ მტკიცე და ერთიან იდეურ-ესთეტიკურ მრწამსზე, მწყობრ მსოფლმხედველობაზე. „ცისფერყანწელთა“ ჯგუფმა უფრო ნოვატორობისაკენ სწრაფვით, შინაური ინტიმით, უანგარო მეგობრობით, ორგანიზაციული მთლიანობით და ახალგაზრდობისათვის ნიშანდობლივი სითამამით განიმტკიცა მდგომარეობა, ვიდრე სიმბოლიზმისადმი ერთგულებით: დასაბუთებული იდეურ-ესთეტიკური სისტემითა და შესაბამისი პოეტური პროდუქციით.

ზემოთქმული „ცისფერი ორდენის“, როგორც სრულყოფილი ლიტერატურული „სკოლის“ სისუსტეზე მეტყველებს მხოლოდ და საბჭოურ ლიტერატურათმცოდნეობაში ფეხმოკიდებულ აზრს მისი უნიადაგობის და ეპიგონიზმის შესახებ საფუძვლად ვერ გამოადგება. ობიექტური პირობები ქართული მოდერნისტული, ავანგარდისტული თუ დეკადენტური ლიტერატურული ჯგუფის შექმნისათვის ნამდვილად არსებობდა: რევოლუციური მძვინვარების, რეაქციის პერიოდის რეპრესიებისა და პირველი მსოფლიო ომის დასაწყისი იყო სწორედ ის ნიადაგი, რომელზედაც შეეძლო აღმოცენება სწორედ დეკადენტურ-სიმბოლისტურ მიმართულებას. ამას დაერთო ის რეალური საფრთხეც, რასაც უქადდა ქართულ პოეზიას „საკუთარ წვენში დუღილი“, უფრო თანამედროვედ რომ ვთქვათ, – იზოლაციონიზმი და ეპიგონიზმი.

10-20-იანი წლების სხვა ქართული სალიტერატურო დაჯგუფებანი ექვსი, შვიდი, ანდა სულაც 13 წლის დაგვიანებით შეიქმნა. მიუხედავად „ცისფერი ორდენის“ მიმართ პოლიტიკური თუ ლიტერატურულ-ესთეტიკური „დიდი მტერობისა“, ისინი დიდად იყვნენ დავალებულნი „ცისფერი ორდენისაგან“.

„ცისფერყანწელთა“ ჯგუფი ანუ როგორც თვითონ მოიხსენიებდნენ თავს – „ცისფერი ორდენი“, 1915-16 წლების მიჯნაზე ქუთაისში შეიქმ-

ნა. ჯგუფის სახელწოდება მათ პირველ ბეჭდურ ორგანოს ალმანახ „ცისფერ ყანწებს“ უკავშირდებოდა (I ნომერი გამოიცა ქუთაისში, 1916 წლის 28 თებერვალს, II – იქვე, ამავე წლის დეკემბერში, რედაქტორი – პაოლო იაშვილი).

სარბიელზე გამოსვლისთანავე ჯგუფი ავანგარდისტური სკოლებისთვის დამახასიათებელ თვითდამკვიდრებას ანუ თვითრეკლამას შეუდგა.

დასაწყისისთვის მათი მოქმედების არეალი საკმაოდ შეზღუდული იყო: „ცისფერ ყანწებში“ გამოქვეყნებულ დეკლარაციებსა (პაოლო იაშვილის „პირველთქმა“, ტიციან ტაბიძის „ცისფერი ყანწებით“) და მხატვრული პროდუქციის ერთ ნაწილში, ფართო მკითხველმა საზოგადოებამ, არცთუ უსაფუძვლოდ, უწინარესად, გამოწვევა და ახალგაზრდული სითამამე დაინახა, წინაპართა ღვაწლის დაუფასებლობა და უარყოფა – მკრეხელობად მიიჩნია. ალმანახის გამოსვლამ მთელემარე ქუთაისში, როგორც ამბობდნენ, მეხის გავარდნის ეფექტი იქონია; თუ იმდროინდელი ქუთათური საზოგადოების „სტაგნაციას“ გავითვალისწინებთ, ეს არ იყო ურიგო საქმე!

უნდა ითქვას, რომ „ცისფერ ყანწებს“ იმთავითვე გამოუჩნდნენ მფარველნიც და დამფასებელნიც, რომელთაც განჭვრიტეს ჭაბუკ მეამბოხეთა შემოქმედებითი პოტენციალიც და „დაკანონებულ“ ლიტერატურულ ნორმათა „ხელყოფის“ მცდელობაც დადებით მოვლენად მიიჩნიეს. უწინარეს ყოვლისა, ესენი გახლდნენ ღვაწლმოსილი და გაელენიანი კიტა აბაშიძე და „ცისფერყანწელთა“ უფროსი მეგობარი და მაესტრო გრიგოლ რობაქიძე.

1916 წელსვე „ცისფერყანწელთა“ განზრახვა ყოველკვირეული სალიტერატურო გაზეთის „ცისფერი ყანწების“ გამოცემისა ვერ განხორციელდა, რადგან „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ ნება არ დართო ამ „გაურკვეველი მიმართულების“ ჯგუფს ესარგებლა მისი სტამბით.

„ცისფერყანწელებმა“ საჯარო გამოსვლებს მიმართეს; სწორედ საჯარო გამოსვლებმა თეატრსა თუ კაფეებში მოუტანა მათ უეცარი პოპულარობაც და საზოგადოების მოზრდილი ნაწილის მხარდაჭერაც. თუმცა, 1916 წელსვე, ახალგაზრდა პოეტთა მიერ დეკადანსისა საერთოდ და, კერძოდ, სიმბოლიზმის, აგრეთვე, „წმინდა ხელოვნებისადმი“ ხოტბის აღვლენამ, ბოჰემურმა განწყობილებებმა, ლიტერატურული „თამაშისა“ და პოზიორობისაკენ სწრაფვამ, ახალგაზრდულმა ეპატაჟმა, მკრეხელურმა გამონათქვამებმა ქართველ კლასიკოსთა მიმართ – ოდიოზური სახელი მოუხვეჭა ჯგუფს. ამასთან, შეუმჩნეველი არ დარჩენილა მისი მხატვრუ-

ლი ღირსებანი: ნოვაციებისადმი ლტოლვა, ქართული ლექსის ფორმის სრულყოფისაკენ სწრაფვა, ახლებური, აუთვისებელი თემებისა თუ სახეების შემოტანა და დამკვიდრება. გართულებული მხატვრული აზროვნება, დეკადენტური განწყობილებანი თითქოს „ისტორიული აუცილებლობითაც“ იყო განპირობებული: უკვე ითქვა, რომ მიმბაძველებმა ჩიხში მოამწყვდიეს ქართული კლასიკური ლექსი.

1916 წლის დამლევს, როცა ქუთაისში „ცისფერი ყანწების“ მეორე და უკანასკნელი ნომერი გამოვიდა, მას უწინდებური ვნებათაღელვა და მძაფრი კრიტიკა აღარ გამოუწვევია.

„ცისფერყანწელთა“ აღიარებისა და აღმავლობის პერიოდი იწყება საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში, 1918 წლიდან. მაშინ დასავლეთ საქართველოდან დედაქალაქს მოაშურა ქართულმა შემოქმედებითმა ინტელიგენციამ. დაიწყო, როგორც სერგო კლდიაშვილი იგონებდა, „დიდი გადმოსახლება“ ქუთაისიდან თბილისში. „ცისფერყანწელთა“ ძირითადმა ბირთვმაც თბილისში დაიდო საბოლოო ბინა.

დიდი წარმატებით ჩატარდა მათი პირველი საღამო თბილისში, კონსერვატორიის დიდ დარბაზში. ქუთაისშიც და თბილისშიც დაისტამბა მათი ჟურნალ-გაზეთები. 20-იანი წლების დასაწყისში მათი ლიტერატურული „მტრების“ აღიარებითაც კი, „ცისფერყანწელებს“ ხელთ ეპყრათ ჰეგემონობა ქართულ პოეზიაში.

„ცისფერყანწელთა“ ბეჭდვით ორგანოებს „ცისფერი ორდენის“ ძირითადი ბირთვი მეურვეობდა. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, პაოლო იაშვილის, — „ცისფერი ყანწების“ რედაქტორის, ჯგუფის აღიარებული მოთავის ორგანიზატორული ნიჭი და შემოქმედებითი სითამამეა აღსანიშნავი. ვალერიან გაფრინდაშვილი ხელმძღვანელობდა იმ დროისათვის ერთ-ერთ საუკეთესო ჟურნალ „მეცნიერებე ნიამორებს“ (გამოდიოდა 1919-1924 წლებში, ქუთაისსა და თბილისში); გაზეთ „ბარრიკადს“ (თბილისი, 1920, 1922, 1924 წწ.) ტიციან ტაბიძე რედაქტორობდა; გაზეთ „ბახტრიონს“ (თბილისი, 1922-23 წწ.) — გიორგი ლეონიძე, გაზეთ „რუბიკონს“ (თბილისი, 1923 წ.) სარედაქციო კოლეგია განაგებდა. ქუთაისში ცალად დარჩენილმა სანდრო ცირეკიძემ დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც დააარსა ქუთაისში „ცისფერყანწელთა“ გამომცემლობა „კირჩხიბი“, გამოსცა „ახალი მწერლობის ანთოლოგია“, ვალერიან გაფრინდაშვილისა და კოლაუ ნადირაძის პირველი პოეტური კრებულები, სტეფან მალარმეს ლექსთა ქართული თარგმანები, საკუთარი მინიატურების კრებული „მთვარეულები“, მისივე

რედაქტორობით გამოიდა ჟურნალი „შვილდოსანი“ (ქუთაისი, 1920 წ.).

„ცისფერყანწელთა“ ჟურნალ-გაზეთებში ბევრი ისეთი ავტორის გვარი გვხვდება, რომელიც „ცისფერ ორდენს“ ორგანიზაციულად არ განეკუთვნებოდა. პაოლო იაშვილი 1922 წელს გაზეთ „ბარრიკადში“ ათ „ცისფერყანწელს“ ჩამოთვლიდა: გრიგოლ რობაქიძე, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, სანდრო ცირეკიძე, ალი არსენიშვილი, ნიკოლო მიწიშვილი, გიორგი ლეონიძე, შალვა აფხაიძე და პაოლო იაშვილი. ტიციან ტაბიძის თქმით, „ცისფერ ორდენში“ 13 წევრი იყო („ბარრიკადი“, 1924 წ.); 1924 წელს პაოლოც ამ რიცხვს იმეორებდა. „ცისფერყანწელები“ იყვნენ აგრეთვე სერგო კლდიაშვილი, რაჟდენ გვეტაძე, შალვა კარმელი, ივანე ყიფიანი, ლელი ჯაფარიძე, გიონ საგანელი და ზოგიერთი სხვაც, მაგრამ ჯგუფის მოთავის პაოლო იაშვილის მიერ 1922 წელს დასახელებული ათი პოეტი უთუოდ სული და გული იყო „ცისფერი ორდენის“.

მიუხედავად იმისა, რომ გრიგოლ რობაქიძეს, მის სალექციო, თეორიულ თუ მხატვრულ შემოქმედებას, — დიდი წვლილი მიუძღვის პოეტურ ნოვაციათა დანერგვასა და ახალგაზრდა პოეტთათვის გეზის მიცემასა და წახალისებაში; მიუხედავად იმისა, რომ პაოლო იაშვილი ათი „ცისფერყანწელის“ ნუსხას გრიგოლ რობაქიძით იწყებდა, ხოლო ტიციან ტაბიძე ცამეტ „მოციქულთა“ (ანუ ჯგუფის წევრთა) შორის უპირველესად „მოდერნიზმის ქადაგს“, მათ უფროს მეგობარს და იდეურ შთამაგონებელს ასახელებდა, დღევანდელი გაგებით, გრიგოლ რობაქიძე უფრო „საპატიო თავმჯდომარე“ გახლდათ „ცისფერი ორდენისა“ და არა ერთპიროვნული ლიდერი, ანდა, თუნდაც რიგითი წევრი!

რა თქმა უნდა, გრიგოლ რობაქიძის გარეშე, შეუძლებელია „ცისფერი ორდენის“ სრულყოფილი „ჯგუფური პორტრეტის“ წარმოსახვა.

მას შემდეგ, რაც გრიგოლ რობაქიძის ტაბუდადებული სახელი მეცნიერულ „ბრუნვაში“ მოხვდა (80-იანი წლების მეორე ნახევრიდან), ზოგმა კრიტიკოსმა, თავის დროზე სულ ბღღვირი რომ ადინა „ფაშისტ“ რობაქიძეს, ახლა, მედროვეთა წესისამებრ, „ცისფერყანწელთა“ ჯგუფის მოთავედ აღიარა იგი. თუმცა, საბუთიანობის გარეშე ამგვარ განცხადებას უფრო დეკლარაციული ელფერი დაჰკრავდა და, ამდენად, ნაკლებად ღირსსაცნობი იყო.

საქმე ის გახლავთ, რომ გრიგოლ რობაქიძისა და „ცისფერი ორდენის“ ურთიერთმიმართება, თავად რობაქიძემ, 1916 წელსვე ამცნო საზოგადოებას.

ალმანახის პირველ ნომერში (გარდა მანიფესტებისა: პაოლო იაშვილის „პირველთქმა“, ტიციან ტაბიძის „ცისფერი ყანწებით“) დაბეჭდილი

იყო გრიგოლ რობაქიძის, პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, ლადო ასათიანის, იუანე ყიფიანის ლექსები. გალაკტიონის, იოსებ გრიშაშვილის და ნიკო ლორთქიფანიძის თხზულებათა „საეჭვო მიმართულების“ ალმანახში გამოქვეყნება საზოგადოების ერთმა ნაწილმა მტკივნეულად აღიქვა; საყვედურიც შეჰკადრეს მათ, თუმცა უსაფუძვლოდ: „ცისფერყანწელთა“ რიცხვს ისინი არ მიეკუთვნებოდნენ. საცნაურია, რომ ამ დროისათვის გალაკტიონი ოლია ოკუჯავას წერს: საბოლოოდ დავშორდით ერთმანეთს მე, გაფრინდაშვილი და იაშვილიო.

ახალგაზრდული ეპატაჟითა და, ნებისმიერი ხერხით, „შეხის გავარდნის“ ეფექტის მოხდენის სურვილით, ძირითადად, პაოლო და ტიციანი იყვნენ შეპყრობილნი. სწორედ ამიტომ, ქართული კრიტიკა უპირატესად პაოლოს „პირველთქმის“, მისივე ლექსების („პაოლო იაშვილს მომეწყინა ყვითელი დანტე“ და „დარიანული“) და ტიციან ტაბიძის ვრცელი წერილის წრეგადასული ლანძღვით კმაყოფილდებოდა.

ალმანახის პოეტური განყოფილება გრიგოლ რობაქიძის ლექსით „სირენას სიმღერით“ იწყებოდა. დღეს ჩვენს ყურადღებას უფრო მიიძვნა — „თ-დ კიტა აბაშიძეს“ და წითელი საღებავით გამოყოფილი რითმა იპყრობს, ვიდრე ლექსის ღირსებანი.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ გრიგოლ რობაქიძეს ამ დროისათვის უდიდესი პოპულარობა ჰქონდა მოპოვებული სალექციო მოღვაწეობით და ფილოსოფიურ-ესთეტიკური თუ ლიტერატურულ-კრიტიკული წერილებით (უფრო ნაკლებად — ლექსებით!). „ცისფერყანწელებს“, ცოტა გაუბრალოებით რომ ვთქვათ, სახელოვანი მაესტრო უფრო ესაჭიროებოდათ, ვიდრე პოეტი — თანამოსაგრე.

ტიციან ტაბიძემ ასე წარმოაჩინა გრიგოლ რობაქიძე: „სიმბოლიზმი ჩვენში შემოიტანა გრიგოლ რობაქიძემ. რობაქიძეზე არ გამართლდა საერთო დებულება, რომ ყოველ ნოვატორს წინ ელობება გაუგებრობის გალავანი. მას არაფრად დაუდომია ძველ ღირებულებათა გადაფასების კადნიერება.

... გრიგოლ რობაქიძეს უთხრეს თავისი დასტური არჩილ ჯორჯაძემ და კიტა აბაშიძემ. ამ ორი პიროვნებით იწურება ქართული ესთეტიური კულტურა გრიგოლ რობაქიძემდის“.

მიუხედავად გრიგოლ რობაქიძის ერთგული თანადგომისა და ჭაბუკ „ცისფერყანწელთა“ დიდი თაყვანისცემისა მის მიმართ, მათ შორის გარკვეული დისტანცია სუფევდა.

თბილისის გაზეთ „სახალხო ფურცელში“ (1916 წ., 1 აპრილი)

მივაკვლიე გრიგოლ რობაქიძის წერილს, რომელშიც სწორედ ეს დისტანციაა მონიშნული: „ამ დღეებში ქუთაისში გაიმართება ჩემი ლექცია „ცისფერი ყანწების" შესახებ. ბევრსა ჰგონია, თითქოს მე მარტო „დამცველის" როლში გამოვდიოდე. ეს მოკლებულია სიმართლეს. მართალია, მე პირადად „ცისფერი ყანწები" მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩნია ჩვენს ლიტერატურაში, — მაგრამ ისიც მართალია, რომ ამ ალმანახის შედგენისათვის საერთო რედაქცია არ ყოფილა გამართული (ყოველი მათგანი იქ მხოლოდ თავის ნაწარმოების პასუხისმგებელია) — და ამისთვის იქ გამოთქმული პრინციპები ჩემთვის სავალდებულო არ არის და არც რომელიმე მხატვრული ნაწარმოებია იქ მოთავსებული ჩემთვის უთუოდ მოსაწონი: ზოგი პრინციპი მისაღებია, — ზოგი არა; ზოგი ნაწარმოები მოსაწონია, ზოგი არა. სწორედ ამის გასარკვევად ვაპირებ ლექციის წაკითხვას ქუთაისში, როცა „ცისფერი ყანწების" გარშემო ასეთი საზარი ატმოსფერო შეიქმნა. მოვალეცა ვარ, როგორც ალმანახის მონაწილე, საჯაროდ ვთქვა ჩემი სიტყვა"...

ქუთაისის თეატრში 6 აპრილს გამართული ლექციის თაობაზე დაწვრილებითი ანგარიშიც გამოქვეყნდა (იხ. გაზეთი „საშშობლო", 1916 წ., №330), საიდანაც ჩანს, რომ ლექტორი ზომიერებასა და წინდახედულებას იჩენდა, ალმანახს ობიექტურად და კრიტიკულად წარმოგვიდგენდა. მაგ., „...პაოლო იაშვილის მანიფესტში გრიგოლ რობაქიძე მხოლოდ ყმაწვილური გატაცების ნაყოფსა ხედავს. დარიანის ლექსებში ნიჭიერ ავტორს ეძებს, ხოლო თვით ლექსების შესახებ აცხადებს, ზომიერების საზღვარგადაჭარბებულად მიმაჩნიაო. ...გრიგოლ რობაქიძე ამბობდა, როდესაც „ცისფერი ყანწები" თავის მოვალეობას ვეღარ შეასრულებს, ჩვენ თვითონ დავამსხვრევთ მათო"...

რობაქიძე კი არ „განუდგა" „ცისფერყანწელებს", განსხვავებული საზოგადოებრივი აზრის საამებლად კი არ „უღალატა" მათ, არამედ, ღია წერილითაც და ლექციითაც მოახდინა ფაქტის კონსტატაცია: მისი როლი „ცისფერ ორდენში" ერთობ გაზვიადებულად იყო წარმოჩენილი.

თანაც, გრიგოლ რობაქიძე ნამდვილად არ იყო ერთადერთი, ვინც მხარს უჭერდა „ცისფერყანწელებს" და ცდილობდა იმ სასტიკი არეალის გაქარწყლებას, ჭაბუკი პოეტები რომ მოეცვა.

უზადო პიროვნული თუ ლიტერატურული რეპუტაციის მქონე კიტა აბაშიძემ, ჯერ ქუთაისის კაფე-საჩაიეში გამართული საჯარო გამოსვლისას იხსნა „ცისფერყანწელები" ობსტრუქციისაგან, შემდგომში კი ცნო-

ბილი წერილი „გონს მოდით“! გამოაქვეყნა.

„დაუძინებელი ჩემი მტრები ყვირიან: კიტა აბაშიძე „ფუტურისტია“, კიტა აბაშიძე „ფუტურისტებს“ მფარველობს და სხვ.

კიტა აბაშიძე „ფუტურისტებს“ არ მფარველობს იმიტომ, რომ არ იცის, სად არიან ჩვენში ფუტურისტები, ამ აზრის ევროპული მნიშვნელობით. თუ „ცისფერ ყანწების“ მწერლებზე ბრძანებთ, ისინი თავისთავს სიმბოლისტებად თვლიან და არა „ფუტურისტებად“.

ის მიმართულება, რომელსაც ეს მწერლები ემსახურებიან და გამოხატავენ, მიმაჩნია ჩვენი მომავალი ლიტერატურის ერთ ფრიად მნიშვნელოვან საძირკვლად.

ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ყველაფერი მომწონდეს „ცისფერ ყანწებში!“ – არა, არ მომწონს...

ჩემი მფარველობა მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ საზოგადოებას ვთხოვე იმ საბედისწერო საღამოზე: „ნუ ავიდგებთ ამ მწერლებს აბუჩად, რომელთაც „ცისფერ ყანწებში“ მიუღიათ მონაწილეობა და რომელთაგან ზოგიერთს უკვე საპატიო სახელი აქვს მოხვეჭილი ჩვენში-მეთქი. ძველი და ახალი ყოველთვის იბრძვის, ახალი ძნელი შესათვისებელია, მაგრამ ცხოვრება კი მაინც ითვისებს მას; მხოლოდ ყველაფერი კი არ უნდა მოვიწონოთ ახალში, მოვიწონოთ ის, რაც მოსაწონია და დასაგმობი კი დავგმოთ-თქო“ (გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1916 წ., №15).

კიტა აბაშიძე ხუმრობით იმასაც შენიშნავდა, „ფუტურისტი“ არა ვარ თუნდაც იმის გამო, რომ ორმოცდახუთს გადავცილდიო.

გრიგოლ რობაქიძეც ხომ მრავალი წლის მერე, ემიგრაციაში შენიშნავდა, – „ცისფერი ორდენის“ მეთაური არასოდეს ვყოფილვარ, მათი უფროსი მეგობარი ვიყავიო.

ცნობილია ისიც, რომ გრიგოლ რობაქიძე სადაგ ყოფაში უფრო გაწონასწორებული, ევროპული ტემპერამენტის კაცი გახლდათ და ჭაბუკ პოეტთა ბოჰემური მისწრაფებანი და სკანდალური გამოსვლები სრულიადაც არ იზიდავდა.

მათი გულითადი, წრფელ სიყვარულსა და პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობა გროგოლ რობაქიძის საზღვარგარეთ წასვლამდე გაგრძელდა. იყო წვრილმანი გაუგებრობებიც, შემოქმედებითი თუ პირადული, იყო „მიმდინარე პოლიტიკური მომენტით“ ანუ ძალადობით განპირობებული საზარელი „საჯარო“ წერილიც, რომელიც „ფაშისტ“ რობაქიძისაგან გამოიჯნავდა მის ყოფილ შეგირდებს.

ფაქტობრივად კი, „მოდერნიზმის ქადაგი“ გრიგოლ რობაქიძე „ცის-

ფერყანწელთა“ მარადიულ კერპად დარჩა; უცხოეთში გადახვეწილი მაესტრო, რომელიც კარგად იცნობდა კომუნისტთა ხრიკებს, მუდამ განსაკუთრებული ტკივილით, სითბოთი და სიყვარულით იხსენებდა პაოლოს, ტიციანსა და ვალერიან გაფრინდაშვილს.

„ცისფერმა ორდენმა“ კი კიდევ ერთხელ დაამტკიცა ის უძველესი ჭეშმარიტება, რომ ძალა ერთობაშია. ჯგუფი თითქმის ათიოდე წლის მანძილზე „ჰეგემონი“ იყო (ამას პროლეტარული მწერლებიც კი აღიარებდნენ); მაგრამ 1924 წლიდან ჯგუფი ფაქტობრივად ინერციითა და წარსულის მოგონებებით ცოცხლობდა. ამაზე საჯაროდ არ საუბრობდნენ (არც შეიძლებოდა), მაგრამ უეჭველია, რომ ჯგუფის არსებობამ 1924 წლის ამბოხების უსასტიკესი ჩახშობის შემდეგ მართლაც დაკარგა საყრდენი, ის მართლაც „უნიადაგო“ და ხელმოცარული (გადატანითი მნიშვნელობით) აღმოჩნდა.

ღირსსაცნობი იყო ისიც, რომ სისხლიანმა ტერორმა პაოლო იაშვილის 20 წლის ძმა შეიწირა; პაოლოს უმწვავესი შემოქმედებითი კრიზისი დაუდგა. შემდეგში სერგო კლდიაშვილი და შალვა აფხაიძე იგონებდნენ, — 1924-25 წლებში პაოლო წინანდებურად აღარ იღვწოდა „ცისფერი ორდენის“ სიმტკიცისათვის, ჯგუფის ფაქტობრივი დაშლაც სწორედ ამან განაპირობაო.

30-იანი წლების დასაწყისში ჯგუფი იურიდიულადაც გაუქმდა; შინაგანმა უთანხმოებამ, დაბნეულობამ და ხიფათის მოლოდინმაც იჩინა თავი. „ცისფერი ორდენის“ წევრები ჯერ ჯგუფის სახელწოდების შეცვლასა და, მავანთ საამებლად, ლიტერატურული თუ ორგანიზაციული პრაქტიკის გადასინჯვას შეეცადნენ, მაგრამ ამაოდ... ეს უკვე ჯგუფის სრული ლიკვიდაციის დასაწყისი იყო. 1931 წელს ალი არსენიშვილის მიერ დაწერილი დადგენილება „ცისფერი ორდენის“ თვითლიკვიდაციის შესახებ უჩვეულო სტილით გამოირჩა: „გაუქმებულ იქნას „ცისფერ ყანწელების“ ლიტერატურული ჯგუფის არსებობა, რათა სრული საშუალება მიეცეს მას მონაწილეებს, მეტი ტემპებით განაგრძონ თავისი ფსიქო-იდეოლოგიური გარდაქმნა დამკვრელი ეპოქის პროცესში უშუალოდ ჩაბმისთვის“.

თუ როგორ დამთავრდა სამი „ცისფერყანწელისთვის“ „დამკვრელი ეპოქის პროცესში უშუალოდ ჩაბმა“, — ყველას კარგად მოეხსენება: პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე და ნიკოლო მიწიშვილი 1937 წელს ემსხვერპლნენ, „ცისფერი ორდენი“ კი გაქრა ლიტერატურის ისტორიიდან. მისი მოხსენიება მხოლოდ უარყოფით კონტექსტში თუ მოხერხდებოდა.

დღესდღეობით გაცხადებულია „ცისფერი ორდენის“ დადებითი როლი

XX საუკუნის ქართული პოეზიის განვითარებაში. თავის დროზე სიახლეს მოწაფეებში „ცისფერყანწელები“ ცდილობდნენ ქართულ პოეზიის კუთვნილებად ექციათ მსოფლიოს ე. წ. „ახალ პოეზიაში“ გაბნეული სახეები; ზოგი მათგანი „გადმოქართულდა“ და ორგანულად შეერწყა ქართულ პოეზიას, ზოგი კი მივიწყებამ მოიცვა. მათი თანამედროვე კრიტიკა (კეთილმოსურნე და ობიექტური, ზოგჯერ — მტრულად განწყობილიც კი) სათანადოდ აფასებდა ჯგუფის როლს იმდროინდელი „დულილისა და დაწმენდის“, „ფორმისა და ქაოსის ბრძოლის“ პროცესში.

თავიანთი „მოვლენის“ პირველ წლებში „ცისფერყანწელები“ სიმბოლიზმის ერთგულებას ფიცულობდნენ. შემდეგში, როცა მათ უკვე დაიპყრეს ქართული პოეზიის პარნასი, — საოცარი გულმავიწყობა დასჩემდათ: მათ მხატვრულ შემოქმედებაში (იგულისხმება ჯგუფის შემოქმედება მთლიანად და არა ზოგიერთი ცალკეული პოეტისა) უფრო ხშირად უგულებელყოფილია სიმბოლიზმის დოგმატი, ვიდრე დაცული; მათს თეორიულ წერილებში სიმბოლიზმის მეტრები თუმცაღა დიდი აღფრთოვანებით იხსენიებიან, თვით ლიტერატურული მიმდინარეობისადმი ერთგულება აღარ ჩანს.

ჯგუფის სკრუპულოზური კვლევა მიგვანიშნებს, რომ „ცისფერი ორდენის“ „ქართულ სიმბოლიზმთან“ გაიგივება არ არის მართებული. მისი ეკლექტიზმი (გადახრა ფუტურიზმისა თუ დადაიზმისაკენ), თანმიმდევრული იდეურ-ესთეტიკური სისტემის უქონლობა და ურთიერთგამომრიცხავ, ზოგჯერ სიმბოლიზმის საწინააღმდეგო მოსაზრებათა სიუხვე გვაძლევს მტკიცე საფუძველს იმისათვის, რომ „ქართული სიმბოლიზმი“ მხოლოდ პირობით ტერმინად მივიჩნიოთ.

„ქართული სიმბოლიზმის“ პირობით ტერმინად აღიარება ოდნავადაც არ ამცირებს „ცისფერყანწელთა“ ძალუმად გამორჩეულ, მკვიდრად შეკრულ და ძლიერ დაჯგუფებას. ეს იყო პრეცედენტი ქართულ ლიტერატურაში, როცა ახლისმაძიებელმა პოეტურმა ნიჭმა, გაცნობიერებულმა დასავლურმა ორიენტაციამ, ინტერესთა თანხვედრამ, შინაურმა ინტიმმა და მეგობრობამ შექმნა ჯგუფი და ასეთ სიმაღლეზე აზიდა კიდეც.

„ცისფერი ორდენის“ ეკლექტიკურობა, ერთი მხრით, ამ ჯგუფის, როგორც ლიტერატურული სკოლის სისუსტეს მოასწავებდა, მეორე მხრით კი, მისი თავიდათავი მიზნისათვის — ქართული პოეზიის ნოვაციისათვის ფართო გასაქანს იძლეოდა. „ცისფერყანწელებმა“ სიმბოლიზმს მიმართეს, რამეთუ საქართველოში მშობლიური პოეზიის „მსოფლიო რადიუსით გამმართველი“ ძალა არ ეგულებოდათ; ხოლო როცა პოეტური წარმოსახვის განახლებისათვის რუდუნება ვერ მოთავსდა სიმბოლიზმის

არტახებში, არც სიმბოლისტური დოგმების რღვევას მორიდებიან.

ასეთი იყო „ცისფერი ორდენი“. წინააღმდეგობრივი, უცხოური მოდური „იზმების“ მიმდევარი ერთის მხრით, და, — მშობლიური მწერლობის წრფელი მოამაგე, მისი წინსვლის მოსურნე, ქართული პოეზიის განახლებისათვის ჯვაროსნული ლაშქრობის მეწინავე.

მაინც რა ხიბლი ჰქონდა, ან რა „დანაშაული“ მიუძღოდა „ცისფერ ორდენს“, ალმანახის პირველი ნომრის გამოსვლისთანავე უზომო პოპულარობა (პოზიტიურიც და ნეგატიურიც) რომ მოიპოვა და დღემდე ლეგენდის საბურველში რომ მოაღწია?

თავის დროზე, მთვლემარე ქუთაისი შეაზანზარა პაოლო იაშვილის „პირველთქმის“ სიტყვებმა: „ვცოცხლობთ სიმთვრალეში და გვწამს ყოველგვარი ორგია... ვადიდებთ დამსხვრევის მშვენიერებას... უარვყოფთ წარსულს“...

„პირველთქმის“ ავტორი, ახალგაზრდა მგოსანთა სახელით, ქართველ ხალხს მიმართავდა: ქართულ პოეზიას დაეპატრონენ საცოდავი მომღერლები ავადმყოფი ჩანგებით, ყვითელი მასწავლებლები ღმერთის ქადაგების და პატიოსნებისა, საქართველოს უსხივო ხალხმა სითამამის მშვენება დაკარგა და ხელოვნების მეუფებას განუდგა; მაგრამ ოცნებადაკარგულ ხალხს მოევლინენ უკვდავი ძმები, ახალგაზრდა მგოსნები, რომელთაც ბრძოლა გამოუცხადეს უწმინდესი ხელოვნების მტრებს, დავიწყების ზღვაში გადაისროლეს წარსულის ოქროს გვირგვინების ძვირფასი მარგალიტები, ცეცხლს მისცეს ყველაფერი, რაც წარსულმა განადიდა; სამაგიეროდ კი ქართველ ხალხს აღუთქვეს განახლება, ნათელი მომავალი: „საქართველოს ლანდურ არსებას მოვევლინეთ ჩვენ ახალი სხივმოსილებით და ოცნებადაკარგულ ხალხს ვასწავლით გაწმენდილ გზას მომავლის ცისფერ ტაძრისკენ“.

პაოლო იაშვილი პირდაპირ მიუთითებდა „განახლების მგოსანთა“ ძმებზე — ფრანგ პოეტებზე: „საქართველოს შემდეგ უწმინდესი ქვეყანა არის პარიზი... სადაც გიჟური გატაცებით ჯამბაზობენ ჩვენი ლოთი ძმები — ვერლენი და ბოდლერი, მალარმე, სიტყვების მესაიდუმლე და არტურ რიმბო, სიამაყით მთვრალი, დაწყევლილი ჭაბუკი“.

„პირველთქმაში“ სიმბოლისტურ თეორიათა გამოძახილიც გვხვდება: სიმბოლიზმი შემეცნების ორ გზას აღიარებს: ლოგიკურს, რომელიც გარეგან მოვლენებს აწესრიგებს და ინტუიციურს, რომელიც სამყაროს არსს წვდება. სიმბოლიზმი აღიარებს ინტუიციის პრიმატს ლოგიკაზე და პოეზიას ანუ ინტუიციური შემეცნების ერთ-ერთ სახეობას სამყაროს უმაღლეს, სინთეზურ შემეცნებად მიიჩნევს. ამიტომ ყველამ უნდა აღიაროს პოეზიის,

ხელოვნების ქვეშევრდომობა: „პირველთქმა ჩვენი არის შხამური, იგი ადუღებული ფილოსოფიით დასწაყს თქვენს გულს, უწმინდესი ხელოვნების მტერნო, თქვენ, ვისაც არა გწამთ ხელოვნების მეფობა და მისი მაღალი ტახტის წინაშე არ აღიარებთ სამუდამო ქვეშევრდომობას". პაოლო იაშვილი იმასაც დასძენს, რომ განახლების მგოსანთა „პოეზია გამთბარია მახვილი ინტუიციის ალურობით".

ვერლენმა საპროგრამო ლექსში „პოეტური ხელოვნება" მოითხოვა „მუსიკალურ", თუნდაც გაუგებარ სიტყვათა ხმარება პოეზიაში. ამის გამოძახილს ვხვდებით „პირველთქმაშიც": „ჩვენ გვსურს შევქმნათ გაუგებარი და საოცარი სიტყვები"...

ჟან მორეასის „სიმბოლიზმის მანიფესტში" ერთგან ვკითხულობთ: „სიმბოლიზმს ესაჭიროება ენა თამამი შემოქმედისა, რომელიც ისევე ზუსტად ისვრის მიზანში სიტყვას, ვითარცა თრაკიელი მშვილდოსნები ფრთოსან ისრებს". შეავადაროთ „პირველთქმის" ფრაგმენტს: „ჩვენ ვადიდებთ სიტყვას ახალს, მკაცრს და ისეთ გაბედულს, როგორც მეფური ხელის გაფრენა გაგიჟებულ დირიჟორისა".

ცხადია, პაოლო იაშვილი კარგად იცნობდა სიმბოლიზმის თეორიულ წანამძღვრებს, მაგრამ იგი, უწინარეს ყოვლისა, „ცისფერი ორდენის" უპირველესი „მთავარსარდალი" იყო, ხოლო „როგორც თეორიული, ისე შემოქმედებითი ბრძოლის უმთავრესი სიმძიმე ტიციან ტაბიძესა და ვალერიან გაფრინდაშვილს დააწვა მხრებზე" (შალვა აფხაიძე).

სწორედ ტიციან ტაბიძის წერილში „ცისფერი ყანწებით" („ცისფერი ყანწები", №1, 2) ვხვდებით ცდას, — გაამართლოს სიმბოლიზმის მოვლენა საქართველოში, სადაც „ბატონი შაბლონი დღეს მალაყიას გადადის ჩვენს ლიტერატურაში. იგი მრავალსახიანია, მრავალფეხიანი და კოშმარივით აწევს ქართულ სინამდვილეს... თუმცა სიმბოლიზმი... კლასიკურ შკოლად იქცა და ერთი თვალით უყურებს კიდეც თავის საფლავს, ...ჩვენში სიმბოლიზმს ღამეც არ გაუთევია, მხოლოდ ახლა იწყება ხაზების გახსნა, მხოლოდ დღეს ხდება ეს შეჯგუფება" (ნიშანდობლივი ფაქტია, რომ ახალგაზრდა ავტორის ეს უკანასკნელი მოსაზრება ეწინააღმდეგება კიტა აბაშიძისა. თუ გრიგოლ რობაქიძის თვალსაზრისს ქართული სიმბოლიზმის გენეზისის თაობაზე).

სიმბოლიზმის ცნების განსაზღვრისას ტიციან ტაბიძე რემი დე გურმონის სიტყვებს იშველიებდა: „სიმბოლიზმს ახასიათებს: ინდივიდუალიზმი, შემოქმედების თავისუფლება, დასწავლილი ფორმულების უარყოფა, ლტოლვა ყოველივე არაჩვეულებრივისადმი, უცნაურობისადმიც კი"...

შეიძლება ითქვას, რომ ჟურნალ „ცისფერ ყანწებს" ორი მანიფესტი

ჰქონდა: „პირველთქმა“ და „ცისფერი ყანწებით“. შემდეგში დაიბეჭდა გრიგოლ რობაქიძისა და ვალერიან გაფრინდაშვილის ერთობ ღირსსაცნობი ლიტერატურულ-ესთეტიკური წერილები, რომელთაც „ცისფერი ორდენის“ გეზი განსაზღვრეს; მაგრამ ზემოხსენებულ ორ მანიფესტს მაინც სხვა ეფექტი გააჩნდა.

ამ დროისათვის საზოგადოება კარგად იცნობდა რუსი ფუტურისტების შემოქმედებას: 1911 და 1914 წლებში საქართველოში გაიმართა ეგოფუტურისტ იგორ სეევერიანინის (ცნობილ სიმბოლისტ თეოდორ სოლოგუბთან ერთად), შემდეგ კი კუბოფუტურისტების მაიაკოვსკის, დავიდ ბურლიუკისა და ვასილი კამენსკის ლიტერატურული საღამოები. 1914 წელს რუსეთში გამოიცა წიგნი „იტალიური ფუტურიზმის მანიფესტები“, რომლის ფრაგმენტები ქართულ პრესაშიც გამოქვეყნდა.

ამ მეამბოხე პოეტებს არაფრად ულირდათ „საზოგადოების გემოვნებისათვის სილის გაწნა“. „ცისფერყანწელთა“ გამოსვლებშიც კრიტიკოსებმა, უწინარეს ყოვლისა, ეს ტენდენცია შენიშნეს და სასწრაფოდ ფუტურიზმის იარლიყით შეამკეს ახალი მიმართულება, თუმცა ტიციან ტაბიძემ წერილში „ცისფერი ყანწებით“ მკაფიოდ და არაორაზროვნად გამოაცხადა ქართული სიმბოლიზმის „მოვლენა“.

კრიტიკოსთა უმეტესი ნაწილის ამგვარ დაბნეულობას ხელი იმანაც შეუწყო, რომ პაოლო იაშვილის „პირველთქმაში“ აღმოჩნდა ბევრი რამ საერთო იტალიური ფუტურიზმის მანიფესტებთან. ერთმა კრიტიკოსმა, არცთუ უსაფუძვლოდ, „პირველთქმას“ „სიმბოლისტური მართლწერის მიხედვით შესწორებული მარინეტი“ უწოდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ტიციან ტაბიძე ზემოხსენებულ წერილში — „ცისფერი ყანწებით“ — სიმბოლიზმისა და ფუტურიზმის დაპირისპირებას არ ახდენდა და ზოგჯერ თავის მოსაზრებათა განსამტკიცებლად, ფუტურიზმის ავტორიტეტსაც კი იშველიებდა. მაგ: „ახალი ფუტურისტების ტერმინოლოგიით თანამედროვე კულტურა წარმოადგენს უზარმაზარ ქალაქს“... ან კიდევ: „მომავალ დიდ ქართველ მხატვარში უნდა შეხვდეს რუსთაველი და მალარმე. რუსთაველი მე მესმის როგორც ქართული სიტყვის შემკრები ერთეული და მალარმე ამავე აზრით ევროპის პრეზენტიზმის და ფუტურიზმის“. ამ ფრაზაში ფუტურიზმი გააზრებულია როგორც „მომავლის ხელოვნება“, ე. ი. სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით და არა როგორც ლიტერატურული მიმართულება, რომელიც მაშინ საქართველოში არ არსებობდა და ახლად ფეხადგმულ სიმბოლიზმს მეტოქედაც არ ესახებოდა.

„პირველთქმისა“ და ზემოხსენებული „იტალიური ფუტურიზმის მანიფესტების“ შეპირისპირებისას მართლაც შეინიშნება თანხვდენილობა, რომელიც შეუძლებელია შემთხვევითი იყოს.

პაოლო იაშვილი, ცხადია, კარგად იცნობდა ფუტურიზმის მანიფესტებს; მარინეტის მანიფესტს, რომელიც 1909 წელს პარიზის გაზეთ „ფიგაროში“ გამოქვეყნდა, ის პარიზშივე გაეცნობოდა. „ცისფერი ორდენის“ მოთავეს პირადი ნაცნობობა ჰქონდა იგორ სეევერიანინთან და ვლადიმერ მაიაკოვსკისთანაც.

უპირველესი, რაც განასხვავებს „პირველთქმას“ არამცთუ ფუტურიზმის, არამედ სიმბოლისტურ სკოლათა საპროგრამო მანიფესტებისაგან, — ესაა სამშობლოს სიყვარული, საქართველოს განახლებისა და წინსვლის დაუოკებელი სურვილი:

„საქართველოს ფირუზ ხელებს გადავეცი ჩვენი აღსარება, ჩვენი წმინდა პირველთქმა.

... მოფრინდა სურვილი ოქროს ფრთებით და აიტაცა ჩვენი სიმღერა, რომელიც ამიერიდან იქნება მარადი, ისე როგორც ჩვენი ქვეყანა. საქართველოს ხალხო, დავიწყებულო, მაგრამ დიდებით დაგვირგვინების ღირსო!

უდიდესი თვისება არსებობისა არის სიამაყე — ამაღლდეს ერი ჩვენი და თვითშეყვარებით აოცებდეს ქვეყნიერებას“...

საპროგრამო ხასიათისაა „ცისფერი ყანწების“ უსათაურო ლექსიც, რომელშიც კლასიკური ხელოვნების უარმყოფი პოეტი საკმაოდ რეალისტურად გადმოგვცემდა „სიმბოლისტური კაბადონის“ ერთ-ერთ თეზისს:

პაოლო იაშვილს მომეწყინა ყვითელი დანტე,
ვაქებდი შექსპირს, მაგრამ ფარდა, შექსპირს უარი,
რა ვქნა, რომ ჩემთვის ბეთხოვენი მხოლოდ ყრუ არი
და რომ წარსულმა ვერ გადმომცა მე ანდამატი...

პაოლომ ესეც არ იკმარა და, თავისი ეროტიკული ლექსებისათვის მეტი სიმძაფრე რომ მიეცა, ლიტერატურულ მისტიფიკაციას მიმართა: „ელენე დარიანის“ სახელს ამოეფარა. მაშინ ამ არარსებული პიროვნების არსებობაში ეჭვიც კი არავის შეჰპარვია. ცხადია, ქუთაისლები თანაბრად აღაშფოთა „პირველთქმამ“, ზემოხსენებულმა ლექსმა და, განსაკუთრებით, „ქართველი ქალის“ „ურცხვმა“ ლექსებმა. ამიტომ, სწორედ პაოლომ იწვნია „ცისფერი ორდენის“ წინააღმდეგ მიმართული შემოტევების მთელი სიმძიმე, ტიციან ტაბიძისა და ვალერიან გაფრინდაშვილის საპროგრამო წერილები თუ ლექსები კი შედარებით ჩრდილში აღმოჩნდა.

„ცისფერყანწელებმა“ საწადელს მიაღწიეს: ალმანახმა უმალ მიიპყრო ქართული პრესის ყურადღება. გაზეთი „ჩვენი მეგობარი“ იუწყებოდა: „ეს ერთი ხანია, ქუთაისში „შუბებს ამტვრევენ“ „ცისფერი ყანწების“ გარშემო... მოხუცმა თუ ხანში შესულმა, ახალგაზრდამ თუ უსუსურმა, დაკარგეს სულის სიმშვიდე და ქუთაისში ომია, ქუჩაში გამართული ომი“...

გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ „ცისფერყანწელებს“ უჩვეულო პოპულარობა მოუხვეჭა სწორედ იმდროინდელი პრესის გაუთავებელმა და წრეგადასულმა გამოხდომებმა.

„ცისფერი ყანწების“ მეორე და უკანასკნელი ნომრის გამოსვლისას უკვე შერბილდა ის მტრული გარემოცვა, რომელიც სკანდალურ სახელს უხვეჭდა ჯგუფს; ამასთან, შეუმჩნეველი არ დარჩენილა ჯგუფის დადებითი როლი ქართული ლექსის განახლებისათვის. ევროპული ორიენტაცია პოეზიაში, შერწყმული მშობლიური მწერლობის წინსვლის დაუოკებელ ჟინთან — სრულიად მისაღები აღმოჩნდა. „ცისფერყანწელთა“ სხვა პერიოდული ორგანოები წინააღმდეგობას აღარ აწყდებოდნენ; მით უმეტეს, რომ მათი ეპატაჟური ტონიც მკვეთრად შერბილდა.

„ცისფერი ორდენი“ ის-ის იყო მკვიდრდებოდა, როცა ტიციან ტაბიძემ წერილში — „ცისფერი ყანწებით“ უარყო იდეალიზმის გაფეტიშება: „ცისფერი“ ფერია რომანტიზმის... ფილოსოფიურმა იდეალიზმმა იმაში ნახა გამოსავალი. საქართველოში „ცისფერ ყვავილს“ ღერო წითელი ქონდა. ქართველებისათვის ცა და მიწა სამუდამოდ არასოდეს არ გაყრილან... გულგრილად ვუცქერთ ახლაც მატერიალიზმის და იდეალიზმის დუელს... ჩვენში უკვე შერიგდნენ სული და ხორცი“.

ტიციან ტაბიძემ იდეალიზმს „ჭეშმარიტი ქართული მსოფლმხედველობა“ ანუ იდეალიზმისა და მატერიალიზმის ნაზავი დაუპირისპირა.

ახლადმოვლენილმა ქართველმა სიმბოლისტებმა ფრანგულ სიმბოლიზმს მიაპყრეს მზერა; მათი მაესტრო გრიგოლ რობაქიძეც ხომ დიდად აფასებდა ახალი ფრანგული პოეზიის კორიფეებს. ტიციან ტაბიძე მოითხოვდა, „მომავალ დიდ ქართველ მხატვარში უნდა შეხვდეს რუსთაველი და მალარმეო“ და ბოდლერის „ბოროტ ყვავილებს“ რგავდა ბესიკის ბაღში („ქალდეას ქალაქები“):

გაფიზის ვარდი მე პრუდომის
ჩავდე ვაზაში,
ბესიკის ბაღში ერგავ ბოდლერის
ბოროტ ყვავილებს...

ან კიდევ:

...და მე ხანდახან მეჩვენება,
ვითომ სამყარო,
ბალია დიდი, დაწყევლილი
და შხამიანი.
მძიმე მხედარნი, შუბლშეკრული
და უაბუჯარო
მოჰქრიან: რემბო, ერედია,
ემილ ვერჰარნი...
(„უაბუჯარონი", 1916).

პაოლო იაშვილი, რომელმაც ტრიპტიქი — სამი სონეტი უძღვნა ფრანგ პოეტებს („მალარმე", „ვერლენ", „ვერჰარნ") აცხადებდა: „ვერლენი, ბოდლერ და მალარმე, ამ სამებაში მე ყველა მიყვარსო"...

ნიშანდობლივია ვალერიან გაფრინდაშვილის „Interieur — პირველი" (1916 წ.):

ავანთებ სანთელს ვრუბელის წინ მოთენთილ ხელით,
გადავშლი ბოდლერს, გადვიკითხავ მის „მარტოობას",
მეტყვიან ლანდნი, უცხო ლანდნი: „ისევ მოგელით,
შემოგვიერთდით ახლობელო, გიცხადებთ ძმობას".
...ავახელ თვალებს და გაჰქრება ლანდთა ღრუბელი,
ჩემს წინ ბოდლერი, გადაშლილი ვით სახარება;
გიჟურ თვალებით შემომხედავს ჩემი ვრუბელი,
სინამდვილეში დაბრუნება დამეზარება...

„ახლობლობა", „ძმობა" — გიორგი ლეონიძესთან კიდევ უფრო ღრმავდება „არტურ რემბოსთან ბოროტ ტყუპად ჩახუტებული, მადგამენ გვირგვინს თეიმურაზ და ჭავჭავაძე" („ავტოპორტრეტი").

„ცისფერყანწელებს" პოეზიაში ფრანგული ორიენტაცია მშობლიური მწერლობის ღალატად არ ესახებოდათ: „სიმბოლიზმი ჩვენში რომ უცხოეთიდან მოდის, ამაში არაფერი საფრთხე არ არი. ჩვენ ვიცით, რომ ისტორიულ დროში საქართველო იმყოფებოდა ბევრი სხვა და სხვა კულტურის გავლენის ქვეშ. ბევრი გადმოულია იმას ბერძნულ, არაბულ, სპარსულ კულტურის, ბევრი იმათთვისაც გაუტანებია. ამას არაფერი დაუშლია რუსთაველისათვის შეექმნა „ვეფხისტყაოსანი". ...როცა ხალხი

იღებს სხვისგან რამეს, იმას თავის ბრძმედში ატარებს. ნაციონალური აპერცეპციის ძალით ერი ითვისებს იმას, რაც მის ეროვნულ თავისებურებას ეგუება, რასაც იმასთან ახლობელი კავშირი აქვს" – წერდა ტიციან ტაბიძე.

შალვა აფხაიძის მოსაზრებით, „მართალია, სიმბოლიზმი როგორც შკოლა დასავლეთიდან მოვიდა ჩვენში, მაგრამ მის უმაღლეს განვითარებისათვის არსად არ არის ნიადაგი მზათ ისე, როგორც ჩვენში. აქ უკვე გაჟღენთილია ჰაერი სიმბოლიური შემოქმედების ელემენტებით; აღმოსავლეთის თვალუწვდენი მისტიციზმი, ჰაერში გაფანტული სახეები, სპარსეთიდან მოტანილი ფერები და მეტყველი ხმები" („მეოცნებე ნიამორები", 1919 წ.).

ევროპული ორიენტაციის მიღებით „ცისფერყანწელები" ფიქრობდნენ ბოლო მოელოთ მშობლიური ლიტერატურის ჩამორჩენილობისათვის, მოესპოთ მისი „შინჩაკეტილობა და საკუთარ წვენში დულილი", მათი ფიქრი „პოეზიის მსოფლიოს არესაკენ" იყო მიმართული. „ცისფერყანწელთა" პატივმოყვარული, იმავდროულად, ღრმად პატრიოტული სწრაფვა – ქართული პოეზიის მსოფლიო სარბიელზე გაყვანისა – ქართული კულტურის გამარჯვებასაც მოასწავებდა უთუოდ: „პოეზია, – აყვანილი ეტნოგრაფიიდან და ეროვნულ პროვინციალიზმიდან უნივერსალურ ფორმამდე უფრო ამაგრებს ეროვნულ ხერხემალს და ამართლებს ერსაც" – ვკითხულობთ „ბარრიკადში" (1922 წ.).

ისიც უნდა ითქვას, რომ მომავალი „ცისფერყანწელები" ახალ პოეზიას უმთავრესად რუსეთში (ტიციან ტაბიძე, შალვა აფხაიძე, სანდრო ცირეკიძე...) და საფრანგეთში (პაოლო იაშვილი) ეზიარნენ, თუმცა იმ დროისათვის 10-იანი წლების ევროპაში სიმბოლიზმმა უკვე დათმო პოზიცია და არის გარკვეული კანონზომიერება მასში, რომ ქართველ პოეტთა მნიშვნელოვანი ჯგუფი გაიტაცა არა ფუტურიზმმა, დადაიზმმა ან აკმეიზმმა თუ იმაჟინიზმმა, არამედ სწორედ „დრომოჭმულმა" სიმბოლისტურმა მიმართულებამ.

„ცისფერყანწელთა" ქედმოხრა დასავლური ახალი პოეზიის მიმართ არ ნიშნავდა „მონურ მიბაძვას" ყოველივე უცხოურისადმი, მშობლიური ქვეყნის საზიანოდ. პირიქით, – მათი საბოლოო მიზანი იყო ქართული მწერლობის წინსვლა ევროპული პოეზიის სიახლეთა ათვისების გზით, მისი გამართვა „მსოფლიოს რადიუსით".

„აშკარაა წინა აზიაში ევროპა შემოაღებს კარებს და ამ დროს ჩვენ უნდა დავხვდეთ შეჭურვილი ეროვნული შემეცნებით, ეროვნული კულტურის ყველა ფოლაქებშეკრული, რომ იყოს მთავარი მორგვი, რომელზედაც

მოეხვევა ახალი იდეები“ – წერდა ტიციან ტაბიძე 1916 წელს („ცისფერი ყანწები“, №2).

პაოლო იაშვილის აზრით კი, – „უდიდესი მიზანი და ოცნება ქართველი პოეტის უნდა იყოს, რომ მან, საუსმე და დამძიმებულმა ერის ყველა ხმებით და ისტორიის რაინდული ეპოპეებით, გააგონოს მთელ ქვეყნიერებას „ყურის მგლეჯელი ღრიალი“ („ბახტრიონი“, 1922 წ.) „ცისფერყანწელებმა“ თავისებურად გარდასახეს ნიცშეანური მესიანიზმი: „დღეს იწყება ძირიანად შეცვლა ქართული აზროვნების, ...დამონებული სული უბრუნდება თავის ძველ ბუდეს. რამდენადაც გაიზრდება ეროვნული შეგნება, იმდენად ჩვენ ვუახლოვდებით წარსულს და ინაკეთება ქართული იდეა. ...საქართველოს ეროვნული აღდგომა უნდა იქნეს აღდგომა ლომის ძველი ქართული იდეით“ (ტიციან ტაბიძე, „ცისფერი ყანწებით“, 1916 წ.). მესიანური სულისკვეთებაა გამეღავნებული გიორგი ლეონიძის „ქართულ მესიანიზმშიც“: „ჭანგიანმა კავკასიამ აღარ გაგვიშვა და მიგვალურსმა ჩახეთქილ ქედებს, მაშინ ჩვენ დავირქვით ამირანი და რევანშისათვის შევქმენით ტიტანური ენერგია“ („ბახტრიონი“, 1922 წ.).

ყველაზე ორთოდოქს სიმბოლისტად სახელდებული ვალერიან გაფრინდაშვილი იზიარებდა ნიცშეს ალოგიზმს; ქართულ მწერლობაში ეძიებდა ორ საწყისს – აპოლონურს და დიონისურს და ასკვნიდა: „კოსმოსის ზედაპირი ნათელია და მშვენიერია. არიან პოეტები, როგორც პუშკინი, რუსთაველი, რომელნიც გვიჩვენებენ ამ ზედაპირს, გვაბრმავებენ სხივებით და სიხარულით ათრთოლებენ ჩვენს ცქერას. ეს არის პოეზიის აპოლონური სახე. ...კოსმოსის ჭეშმარიტი საფუძველი, მისი მარადი დასაწყისი არის უსახური და მახინჯი ქაოსი, რომელიც იმალება მსოფლიო ყოფნის სიღრმეში. ეს არის პოეზიის დიონისური სახე. ...დღევანდელი პოეზია არის პოეზია ქაოსის, რადგან ქაოტურია თვით საზოგადოებრივი ცხოვრება... პოეტის დანიშნულება იმაშია, რომ შეადუღოს თავის პიროვნებაში ორი სტიქია. ...თანამედროვე ქართული პოეზია ყანწელების სახით აღრმავებს თავის შინაარსს და ფორმას, ის მიდის ქაოსის წყვდიადში, მაგრამ ზურგი გამაგრებული აქვს რუსთაველით“.

ჟან მორეასი განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებდა სიტყვას პოეზიაში; იგი „ზუსტ სიტყვას“ მოითხოვდა. რუსი სიმბოლისტები, პოტებნიას კვალობაზე, აღიარებდნენ მჭიდრო კავშირს სიტყვის გარეგან გარსსა და მის მნიშვნელობას შორის და სიტყვის მაგიურობაზეც მიგვანიშნებდნენ.

პაოლო იაშვილის „პირველთქმაში“ „გაუგებარი და საოცარი სიტყვების“ შექმნის მოთხოვნა სწორედ სიტყვის მაგიური ძალის აღიარებას მოასწავებდა. გრიგოლ რობაქიძემ „სიტყვის მაგიას“ ამავე სახელ-

წოდების სტატია მიუძღვნა: „ქურუმები ძველად ორი ენით მეტყველებდნენ: ჩვეულით და უჩვეულოთი. უჩვეულო სიტყვა მხოლოდ შეწირულებმა იცოდნენ. ამ სიტყვას ჰქონდა მაგიური ძალა“ („მეოცნებე ნიამორები“, 1922 წ.).

„ცისფერყანწელები“ დასავლური ურბანიზმის აპოლოგეტებად და ქართულ სინამდვილეში მის ერთ-ერთ პიონერებადაც მოგვევლინენ: „პირველთქმის“ ავტორი მოითხოვდა: „ჩვენ გვინდა, რომ საქართველო გადაიქცეს უსაზღვრო, მეოცნებე ქალაქად, სადაც ცოცხალი ქუჩების ხმაურობა შესცვლის ყვავილოვანი ველების ზურმუხტობას“ ტიციან ტაბიძეს სიმბოლიზმი „ქალაქის ღვიძლ შვილად“ მიაჩნდა.

„ცისფერი ყანწების“ მეორე ნომერში დაიბეჭდა პირველი ურბანისტული ლექსები – პაოლო იაშვილის „ფარშევანგები ქალაქში“ და კოლაუ ნადირაძის „ავზნიანი ქალაქი“.

სიმბოლისტებმა პოეზია ქურუმთა ქმედებას გაუთანაბრეს; მოგვის ქმედების სანაცვლოდ, ისინი გარემოების შესაფერ ნიღბებსაც ირგებდნენ: ფართო გასაქანი მიეცა „ცხოვრების თეატრალიზაციას“.

ამის გამოძახილია ტიციან ტაბიძის „ნიღაბის აპოლოგია“: „ქართველ ხალხში ცხოვრობს უკვდავი აქტიორული სული. იმას უნდა მუდამ სხვა იყოს, იმას უყვარს თეატრალიზაცია ცხოვრების. ...ქართველ ხალხს უყვარს ნიღაბი, სიმბოლიზმი სწორედ ფილოსოფიაა ამ ნიღბის და ამიტომ სიმბოლიზმი ჩვენში აუცილებელია“.

სიმბოლიზმის დოგმატის ერთგულება „ცისფერყანწელებს“ კლასიკურისა საერთოდ, და, კერძოდ, წარსულის ქართული მწერლობის „უარყოფასაც“ ავალებდა. მათ დამოკიდებულებას წინამორბედებისადმი შეიძლება ეპიგრაფად წარუძღვეს ტიციან ტაბიძის სიტყვები:

ძველ პოეზიას კაცნიერად ვახურავთ ჩალმას,
მაგრამ სავსეა სიყვარულით თვალის უპები...

„ცისფერყანწელთა“ მიერ წინაპართა ღვაწლის უარყოფაში უთუოდ არის არტისტული პოზიორობის, ნიღაბის სიყვარულის მომენტი; თუმცა ნიცშეს „პაროლი“ – „სიკვდილი განახლებაა“ – მათთვის მისაღები იყო.

. გავიხსენოთ გალაკტიონის სიტყვებიც „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ მანიფესტიდან: „ამიერიდან ქართული ხელოვნების დევიზია: განახლება ან სიკვდილი“ (1922 წ.).

წარსულის მოღვაწეთა უარყოფა პირველად ტიციან ტაბიძის წერილში „ცისფერი ყანწებით“ გამოვლინდა.

60-იანი წლების თაობათა ბრძოლა ტიციან ტაბიძეს წარმოუდგება როგორც „ძველი ქართველის და ახალი რუსეთის იდეალოგების“ პაექრობა, როცა „ქართული პოეზიის ყვავილს დაუწყეს შეცვლა რუსულ ხორბლად, ...მწერლობა გაიხადეს სამიტინგო ზალად და პოეზია გაზეთად“... ავტორმა, თუმცა დაგმო ილიასა და აკაკის შეხედულება პოეზიის შესახებ, მახვილის მთელი სიძლიერე მათი ეპიგონებისადმი მიმართა: „აკაკის და ილიას ის უპირატესობა ჰქონდათ, რომ მოქალაქეობრივ მოტივებში ხანდისხან ნახულობდნენ ნამდვილ პოეზიას, შემდეგ მათმა შკოლამ მიიღო კარიკატურული სახე“.

„საქართველოს პანთეონში ახალი მართალი არშინით უნდა გაიზომოს ყველა პიედესტალი, გადაფასდეს ყველა ღირებულებაო“ – აცხადებდნენ „ცისფერყანწელები“ („ბარრიკადი“, 1924 წ.).

რუსთაველის „ამპარტავანი სახელი“ (ვალერიან გაფრინდაშვილის სიტყვებია), რა თქმა უნდა, შეუბღალავი დატოვეს: „რუსთაველმა გაიმარჯვა სამუდამოდ: წარსულში, აწმყოში და მომავალში. რა არის აქ მიზეზი გამარჯვების? ... იდეალური ფორმა, ღრმა შინაარსი, პოემის უნივერსალობა და ამავე დროს ეროვნული ხასიათი“... ან კიდევ: „პოეტიკა რუსთაველის ...წინ უსწრებს ევროპის იდეას ხელოვნების თვითმიზნობის“ (იხ. „რუბიკონი“, 1923 წ. და „ბარრიკადი“, 1922 წ.).

სოციალური საკითხით დაინტერესებას „წმინდა ხელოვნების“ მოშხრე „ცისფერყანწელები“ „სამოციანელთა“ დიდ „ცოდვად“ თვლიდნენ: „ჭეშმარიტად მესაფლავე იყო მე-19 საუკუნე საქართველოში. პოლიტიკური ნერვების საბედისწერო დაჭიმვამ... ესთეტიკური კულტურა გააქრო“ – წერდა სანდრო ცირეკიძე („ბარრიკადი“; 1920 წ.). მათი აზრით, შეცდა ილია, რომელმაც „საშუდამოდ დაწყევლა „ფრინველი გარეგანი“ და „ტკბილი ხმები“, აკაკი, რომელმაც „გარემოების საყვირით“ ძალიან ბევრი იყვირა“ („ცისფერი ყანწები“, №2).

ეპიგონური პოეზიის ძირითადი წყარო აკაკის პოეზია იყო; ალბათ ამიტომაც, „ცისფერყანწელთა“ მეხიც ძირითადად მას დაატყდა: „საიდუმლო ბარათს ჩვენი საუკუნე აღარ უპასუხებს და აღმართ-აღმართ სიარული ისე ნელი იყო, რომ მწვერვალამდის ვერ მიაღწია“ („ბახტრიონი“, 1922 წ.); აკაკი ვითომცდა „ზერელე აღმაფრენით“ გადიოდა ფონს; „ილიას პოეზიას მაინც აქვს კულტურა, ...როცა აკაკი წერეთელი მოკლებულია ლიტერატურასაც კი“... („ბახტრიონი“, 1922 წ.).

ქედმოხრა აკაკის პოეზიის წინაშე და პროტესტი მისი ეპიგონების

მიმართ აშკარად გამოსჭვივის სანდრო ცირეკიძის სიტყვებში: „მისმა მოწაფეებმა ვერ გაიგეს მისი „აღმართ-აღმართი“ და „სულიკო“ და თმაგათეთრებულები დღემდი ლექსავენ მიმდინარე ცხოვრების ფილოსოფიას...“ („მეოცნებე ნიამორები“, 1921 წ.).

„ქართვლის დედას“ ძუძუები დაუშრაო“ — ამ სიტყვების ავტორი პაოლო ილიას პიროვნების მიმართ მოწიწებასაც ამჟღავნებდა: „ილიას უშველა დიდმა ჭკუამ და გრანდიოზულმა ნებამ, არა პოეტის სახელმა მისცა მას ნახევარი საუკუნის დიქტატორობა საქართველოში“ („ბახტრიონი“, 1922 წ.). „ჩვენთვის უბერხულია ილიას ბრუნდე ლექსებიო“ — წერდა გიორგი ლეონიძე; ილია ასცდაო „ნამდვილი პოეზიის რკალს“ — კვერს უკრავდა ტიციანი.

პარადოქსულია ილიას პოეტობის „უარმყოფი“ „ცისფერყანწელების“ აღტაცება ილიას პროზით: „პროზაში ილიას გააქვს XIX საუკუნის საქართველო“ (გიორგი ლეონიძე), „ქართული პროზა შექმნა ილიამ და დღემდის მისი პროზა არაა დაძლეული“ (ტიციან ტაბიძე).

„ცისფერყანწელთა“ მიერ წარსულის მწერლობის უარყოფას, ხელოვნურობისა და ლიტონი პოზის ელფერი რომ დაჰკრავს, იქიდანაც ცხადდება, რომ ამ საკითხში ისინი სრულიად არათანმიმდევრულნი იყვნენ.

მაგალითად, ტიციანი, რომელიც ილიას და სხვა სამოციანელებს „ჭურში ჯდომას“ უსაყვედურებდა, თვითონვე სავსებით გამორიცხავდა ამ ბრალდებას: „ილია ჭავჭავაძემ თავისი დევის ხელით სრულიად გადატეხა ეს სტილი (იგულისხმება „მოკითხვის წერილების“ სტილი, რომელიც თითქოსდა მანამდე არსებობდა ქართულ ლიტერატურაში — ლ. ა.) და ჩვენ გვაქვს უკვე ანალოგია მწერლობის ევროპის მასშტაბით. ...ჩვენში რომ გაჩნდნენ დადაისტები, ისინიც ვერ უარყოფენ, ილია ჭავჭავაძის დიდი ფიგურა რომ გამოაკლდეს, მეცხრამეტე საუკუნე მაშინ იქნებოდა სამუდამოდ დაბნელებული“ („ბახტრიონი“, 1922 წ.).

ჯგუფმა მალევე „გადასინჯა“ თავისი დამოკიდებულება XIX საუკუნის მწერლობის მიმართ; ის ხომ მექანიკურად გაემიჯნა ქართული მწერლობის უწყვეტ მთლიანობას: ეს ჰგავდა იმ ტოტის მოტეხას, რომელზეც თავად იჯდა... ერთადერთი გამონაკლისი ვაჟა-ფშაველა იყო, რომლის გენიის დაფასების პრიორიტეტი (იმჟამინდელი კრიტიკისაგან განსხვავებით) გრიგოლ რობაქიძეს და „ცისფერ ორდენს“ ეკუთვნის: „ვაჟა მოცემულია, როგორც მთა, როგორც მზე, როგორც პლანეტა, ...პოეტები მას გრძნობენ, როგორც

ადამიანი მზესა და ღმერთს“ – წერდა გაზეთი „ბახტრიონი“, რომელმაც, პაოლო იაშვილის თქმით, „ვაჟას დიდებული კამპანია“ წამოიწყო.

20-იანი წლების დასაწყისისათვის „ცისფერყანწელებმა“ ძირითადად უარყვეს მკრეხელური გამოხდომები ქართული მწერლობის მიმართ. ახალგაზრდული ეპატაჟი, ეფექტური ფრაზებით ჟონგლიორობა წარსულს ბარდებოდა.

„ცისფერყანწელთა“ გულისყური ჯგუფის არსებობის მთელ მანძილზე ნეგატიურად და პოზიტიურადაც მუდამ ქართული მწერლობისკენ იყო მიპყრობილი. დევიზით – „სიკვდილი განახლებაა“ – მათ მცირე ხნით უარყვეს ქართული მწერლობის მონაპოვარი, რათა ევროპული პოეზიის უახლეს მიღწევათა გამოხმაურების შემდეგ, კვლავ მისკენ მიემართათ თვალთახედვა. აკი წამოაძახეს კიდეც ქართველმა ფუტურისტებმა „ცისფერყანწელებს“ ამგვარი „ფერისცვალება“: „ხალხი, მოსული აბსოლუტური ნიღილიზმით ლიტერატურაში, თანდათანობით იჩოქებენ ყოველი სახელის წინაშე ჩვენი ძველი მწერლობიდან და დღეს სულხან-საბა ორბელიანის, ილიას და ვაჟას ავტორიტეტს ებღაუჭებიანო“ – წერდა ბესარიონ ჟღენტი (გაზ. „ტრიბუნა“, 1923 წ.).

„ცისფერყანწელთა“ დახასიათება არ იქნება სრული, თუ ორიოდე სიტყვით არ შევეხეთ მათ ბოჰემურ განწყობილებას. ისინი გატაცებულნი იყვნენ ინგლისური „დენდიზმით“, ფრანგი ე.წ. „დაწყეველილი პოეტების“ ზოგჯერ მართლაც დაწყეველილი ცხოვრებით, რუსი სიმბოლისტების დევიზით – „Творите жизнь“. იმ დროის სხვადასხვა ეროვნების პოეტთა ერთი საერთო ნიშანთვისებაც – საოცარი, უცნაურობებით აღსავსე მოუწყობელი ცხოვრება, მათი ბოჰემური მისწრაფებები იყო.

სამარცხვინოა პოეტისთვის სხვა კარიერა
გარდა თვითმკვლელობის.
არა მსურს ვიყო ვიკტორ ჰიუგო, ან აკაკი,
მე მირჩევნია დავიღუპო, როგორც ბოჰემა.
სამარცხვინოა პოეტისთვის სხვა კარიერა გარდა სიგიჟის.
არა მსურს ვიყო ბედნიერი, როგორც გოეტე,
მე მირჩევნია დავიღუპო როგორც როლლინა.
სამარცხვინოა პოეტისთვის სხვა კარიერა
გარდა ჭლექისა,
დღეგრძელ მალარმეს მირჩევნია ისევ ლაფორგი,

...მე მეჯავრება პოეტისთვის რამე ხელობა:
მისთვის ვიწამე სამუდამოთ ეს კარიერა,

სიგიჟე, ჭლექი, ალკოგოლი და თვითმკვლელობა!.. — ვკითხულობთ ვალერიან გაფრინდაშვილის „ბოჰემის მონოლოგში“ (1922 წ.).

მე მესიზმრება კაფე „Mon Parnasse“ –
სენატი ბებერ პროსტიტუტკების.
შენზე ოცნებას ვერვინ მომპარავს
და დღესაც ღვინით დავითუთქები.
არ მინდა მოვკვდე პატრიარქივით,
მინდა გავექცე საქართველოს მზეს,
სადაც, მშობლებო, დაიმარხენით,
დღეს იქ ჯამბაზის სინა გააბეს...
(ტიციან ტაბიძე, „ოცდასამი აპრილი“, 1923 წ.).

ჰა! კინტოს პროფილი,
საეჭვო ტარნები
და დავიკუნტები

ქალაქის ქუჩებში მე – სალახანა, – წერს ქალაქში დაკარგული „გახელებული“ შვილი დედას (პაოლო იაშვილი, „წერილი დედას“, 1916 წ.).

...გაგიჟდა... შემდეგ გარდაიცვალა პოეტი პაოლო იაშვილი...
პოეზიისთვის ბევრი იწვალა,
მაგრამ არ იყო მისთვის საშველი
(პაოლო იაშვილი, უსათაურო, 1918 წ.).

ეს ის დროა, როცა პოეზია და ღვინო დაახლოვდნენ; როცა ყველაფერი, რაც უცნაურობის, სიახლის მიმზიდველობას იყო მოკლებული, მოძველებულად მიაჩნდათ. დრომოჭმულად ითვლებოდა ცხოვრების მოწესრიგებული, ჩვეულებრივი მდინარებაც.

„ცისფერყანწელთა“ ისტორია ეს არისო ისტორია ბოჰემის – წერდა ტიციან ტაბიძე „მეოცნებე ნიამორებში“ 1923 წ.

პოეტებისა და ღვინის სიახლოვით საქართველოში ალბათ ვერავის გააკვირვებ, თუმცა თანამედროვეთ მაინც ეჩოთირებოდათ „ცისფერყანწელთა“ „ჯგუფური“ ბოჰემური მისწრაფებანი. ენამწარე კრიტიკოსები

პაოლო იაშვილს „ცისფერი ყანწების“ თამადას უწოდებდნენ (გაზ. „კომუნისტი“, 1923 წ.).

1923 წელს დაიწყო ე. წ. „მიწასთან დაბრუნება“; ეს ლოზუნგი თავად ვალერიან გაფრინდაშვილის განცხადებით და აღიარებული თვალსაზრისითაც, ყველაზე „ორთოდოქს-სიმბოლისტად“ სახელდებულ ავტორს უკავშირდებოდა, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია გრიგოლ რობაქიძის ვრცელი კრიტიკული წერილი — „დაბრუნება მიწასთან, როგორც კერძო ბარათი“...

„ცისფერი ორდენი“, რომლის აქტიური, ჯგუფური ქმედება, ფაქტობრივად, 1924 წლიდანვე მინავლდა, — ვეღარ „დაუბრუნდა მიწას“... „მიწას დაუბრუნდნენ“ ცალკეული „ცისფერყანწელები“ — ტრადიციული ლექსებით, რომელთა უმრავლესობა ტოლს არ უდებდა „ძველ ლექსებს“, „ცარციით კი არა, — სისხლით რომ წერდნენ“ (ტიციან ტაბიძე).

„ფუტურისტები“

„ცისფერყანწელებმა“ გზა გაუკაფეს სხვა ავანგარდისტულ დაჯგუფებებსაც. ის კი არა და, 20-იანი წლების ყველა ჯგუფმა („პროლეტარულმა მწერლობამაც“ კი!) განიცადა მეტ-ნაკლები ზეგავლენა „ცისფერი ორდენისა“. ამ დაჯგუფებათაგან ლიტერატურული „სკოლის“ სახე, ყველაზე უკეთ, „ქართულმა ფუტურიზმმა“ წარმოაჩინა. სწორედ მან, სარბიელზე გამოსვლისთანავე, სასტიკად შეუტია წარსულის მწერლობას და, როგორც მოსალოდნელი იყო, არც „ცისფერყანწელთა“ ჯგუფი დაინდო.

„ქართული სიმბოლიზმი“ პირობით ტერმინად მივიჩნიეთ, რადგან თეორიულ-მხატვრული ნააზრევით თანმიმდევრული ლიტერატურული მიმდინარეობის სტატუსს არ იმსახურებდა. იგივე, უფრო მეტი საბუთიანობით, ითქმის ჩვენს ფუტურიზმზე: ის იტალიური და რუსული ფუტურიზმის, აგრეთვე, გარკვეულწილად, — დადაიზმის, კონსტრუქტივიზმის თუ რუსული „ლეფის“ („ხელოვნების მემარცხენე ფრონტის“) ერთგვარ ქართულ ნაზავს წარმოადგენდა.

ქართველი ფუტურისტები, შემდეგში „ფუტურისტ-ლეფელებადაც“ რომ იწოდებოდნენ, სალიტერატურო სარბიელზე 1922 წლის აპრილში გამოჩნდნენ. 23 აპრილს თბილისში, კონსერვატორიის დიდ დარბაზში, სწორედ იქ, სადაც 4 წლის წინ „ცისფერყანწელთა“ თბილისური ტრიუმფი შედგა, გაიმართა მათი პირველი საღამო. ერთი თვის შემდეგ კი გამოვიდა მათი პირველი მანიფესტი, რომელსაც ხელს აწერდნენ სიმონ

ჩიქოვანი, ბესო ჟღენტი, აკაკი ბელიაშვილი, პოლ (პაელე) ნოზაძე და სხვანი. მანიფესტს „საქართველო — ფენიქსი“ ერქვა.

ფუტურისტ-ლეფელების“ ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი ალმანახი „H_2SO_4“ (1924 წ.), რომელიც გოგირდმჟავის ფორმულით იყო სახელდებული, არაორაზროვნად მიანიშნებდა მათ „რეეოლუციურ“ მცდელობაზე — გოგირდმჟავასავით მძაფრად ამოეშანთათ კლასიკური მწერლობა! მათი საჯარო გამოსვლები დიდად ჩამოუვარდებოდა „ცისფერყანწელთა“ საღამოებს, რომელთაც იშვიათი მჭევრმეტყველისა და იმპროვიზატორის ნიჭით დაჯილდოებული პაოლო იაშვილი წარმართავდა. თანაც, ამ დროისათვის „ცისფერ ორდენს“ უკვე გადასინჯული ჰქონდა ადრინდელი წრეგადასული განცხადებები წარსულის უარყოფის თაობაზე, საზოგადოების სიმპათიაც ჰქონდა მოპოვებული. რაც მთავარია, მხატვრული დონით ჩვენებური „ფუტურისტები“ „ცისფერყანწელებს“ ვერც კი შეედრებოდნენ.

დღევანდელი სამზერიდან „H_2SO_4“ მაინც დიდად ღირსსაცნობ მოვლენად ჩაითვლება. როგორც თავფურცელი გვაუწყებს, კრებული „დამონტაჟებული“ იყო მხატვარ ირაკლი გამრეკელის (შემდგომში — ცნობილი თეატრალური მხატვარი) მიერ. ეს მართლაც ორიგინალურად და გემოვნებით გაფორმებული ალმანახი ციფრების, სხვადასხვა შრიფტით აწყობილი ასოებისა და სიტყვების, კუბისტური ნახატების მონტაჟი გახლდათ. საინტერესოა ქართველი კუბისტების ირაკლი გამრეკელისა და ბენო გორდეზიანის ნახატებიც. ალმანახის შედგენაში, რომლის შინაარსი აშკარად ჩამორჩებოდა მის გარეგნულ გაფორმებას, მონაწილეობდნენ ნიოგოლ (ნიკოლოზ) ჩაჩავა, ბენო გორდეზიანი, ირაკლი გამრეკელი, პავლე (პოლ პაველო) ნოზაძე, ჟანგო ღოღობერიძე, აკაკი ბელიაშვილი, ბიძინა აბულაძე, სიმონ ჩიქოვანი, ნიკოლოზ შენგელაია (შემდგომში — სახელგანთქმული კინორეჟისორი), შალვა ალხაზიშვილი. ალმანახის მიმართულებას განსაზღვრავდა ორი საპროგრამო წერილი: სიმონ ჩიქოვანის „პროექტი ახალი კრეისერის (ფოკუსი მობრუნებული შემოქმედების)“ და პავლო ნოზაძის „ტრაქტატი დაწერილი პოეზიისათვის“.

ქართველმა ფუტურისტებმა კატეგორიულად უარყვეს წარსულის კლასიკური მწერლობა და ზედ მიაყოლეს „ცისფერი ორდენიც“: „საქართველოში ბუდობდნენ ფეხებდამძვრალი ბუზები, რომლებიც თავს ეხლაც იქებენ ორშაურიან ლექსებით და ცდილობდნენ შეექმნათ ახალი პოეზია და ძმობის ახალი დანახვა. ყველაზე კარგი, რაც მათ ქართულმა სიტყვამ მოუმზადა, ეს არის კალმოსნობა. ყანწელებმა შექმნეს განმეორება ყოვლად გაცვეთილის“ (პავლო ნოზაძე).

1924-25 წლებით არის დათარიღებული ქართველ ფუტურისტთა ჟურნალის „ლიტერატურა და სხვა“ – ერთადერთი ნომერი; მას ნიკოლოზ ჩაჩავა რედაქტორობდა. ჟურნალის „მონტაჟი“ ამჟამად კირილე ზდანევიჩს ეკუთვნოდა, წარმოდგენილი იყო ირაკლი გოცირიძის კუბისტური ნახატები. გარდა მხატვრული პროდუქციისა, აქაც ორი თეორიული ხასიათის წერილი დაიბეჭდა: სიმონ ჩიქოვანის „ახალი ხელოვნების ფაქტები“ და ბესო ჟღენტის „თვით პოეტიკაზე“.

ქართველ ფუტურისტთა ყველაზე ღირსსაცნობი მხატერული პროდუქცია თავმოყრილია „H_2SO_4“-სა და „ლიტერატურა და სხვაშიც“. გაზეთ „დროულსა“ (1925-26 წწ.) და, განსაკუთრებით, ჟურნალ „მემარცხენეობას“ (1927 წ.), ამ მხრივ, უფრო პოზიციის „თეორიული“ გამყარებისა და თვითდამკვიდრების ამაო მიზანდასახულობა ამოძრავებდა: პირველმა ორმა კრებულმა ფაქტობრივად ამოწურა ქართველ ფუტურისტთა შესაძლებლობები.

„მემარცხენეობის“ პირველ ნომერში გამოქვეყნებულ ბესო ჟღენტის „მემარცხენეობის საზღვრები“, უარყოფის პათოსს ძირითადად სხვა თანამედროვე ქართული დაჯგუფებების მიმართ ამჟღავნებდა; საკუთარი ჯგუფის ამავე ჟურნალში გამოქვეყნებული მხატვრული პროდუქციის დონე სრულიადაც არ შეეფერებოდა „მემარცხენე“ თეორეტიკოსთა პრეტენზიულ დეკლარაციებს.

„ფუტურისტ-ლეფელები“ ცდილობდნენ ისეთივე გადატრიალება მოეხდინათ ქართულ პოეზიაში, როგორც ოქტომბრის რევოლუციამ მოახდინა სოციალურ სფეროში. ეს მცდელობა უფრო დეკლარაციული ხასიათისა იყო და, მიუხედავად მტკიცებისა – „ჩვენთვის ყველაზე დიდი სიტყვა არის ოქტომბერიო“ – ეს ლიტონი სიტყვები იძულებითი ხარკი გახლდათ, რადგან მათი უმთავრესი მიზანი ქართული სიტყვის, მისი ჟღერადობის შესაძლებლობათა გამოვლენა და ფორმალისტური ძიებანი იყო.

„ცისფერყანწელთა“ კვალობაზე, ქართველი ფუტურისტებიც უკიდურეს ნიჰილიზმს ამჟღავნებდნენ წარსულის მემკვიდრეობის მიმართ; ამ თვალსაზრისით, მათ დიდად „გადააჭარბეს“ კიდეც წინამორბედებს.

მათი ცდა, შეექმნათ ახალი დროის შესაბამისი ლიტერატურული სკოლა, რომელიც გაითვალისწინებდა იტალიური და რუსული ფუტურიზმის, „ლეფის“, აგრეთვე კონსტრუქტივიზმის გამოცდილებას და ძირეულად გარდაქმნიდა ქართულ ლექსს, – განუხორციელებელი აღმოჩნდა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია „ფუტურუსტ-ლეფელთა“ გატაცება ქართული ფოლკლორული პოეზიით; მასში „ზაუმური“ ელემენტების ძიება, ე.წ.

„ორკესტრული ლექსალობის“ დამკვიდრება, ბგერწერით და სიტყვათქმნადობით დაინტერესება. მათ დადებითი როლი ითამაშეს ქართული ლექსის ფორმალური შესაძლებლობების გამოვლინებაში.

ქართულ პოეზიას მაინც შემორჩა ერთი „ფუტურისტი“ — სიმონ ჩიქოვანი, რომლის ადრინდელი, ე.წ. „ორკესტრული ლექსალობის“ ხერხით შექმნილი ლექსები დღესაც ნამდვილ პოეზიად აღიქმება; თუმცა მათმა ავტორმა შემდეგში ტრადიციული გზა ირჩია და ღირსეული ადგილიც დაიმკვიდრა ღირსეულთა შორის. ერთ დროს ფუტურისტულ ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ გამოჩენილი პროზაიკოსები დემნა შენგელაია და აკაკი ბელიაშვილი, რომელთაც „ფუტურისტული“ წარსული ალარც გახსენებიათ.

დიდი კინორეჟისორი ნიკოლოზ შენგელაიაც საკმაოდ რიგიანი ფუტურისტი პოეტი იყო (საერთოდ, ჩვენი ფუტურისტები დიდ დაინტერესებას იჩენდნენ კინემატოგრაფისადმი); ნიკოლოზ ჩაჩავაც და ბესო ჟღენტიც შემორჩნენ ქართული ლიტერატურის ისტორიას როგორც პოეტი და კრიტიკოსი.

საცნაურია, რომ ყოფილი ფუტურისტები ნაკლებად იხსენებდნენ თავის „ფუტურისტულ“ წარსულს; მით უმეტეს ისეთი ტკბილი სევდით და სინანულით, როგორც „ცისფერყანწელები“ 1916-24 წლებს! ჩანს, ამ პერიოდს „საყმაწვილო სენად“ მიიჩნევდნენ და, შესაძლოა, მაინცდამაინც არ ცდებოდნენ.

მაგრამ სამწუხაროა, რომ XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიკოსები, მცირედი გამონაკლისის გარდა, არ დაინტერესებულან „ფუტურისტ-ლეფელების“ შემოქმედების კვლევით. ჯგუფის ფორმალისტური ვარჯიში და „თამაშიც“ კი ხშირად ყურადსაღები იყო. დასანანია ისიც, რომ ზოგი ჩვენებური „პოსტავანგარდისტი“ თუ „რეაქტიული“ პოეტი არ კი იცნობს „ფუტურისტ-ლეფელების“ მონაპოვარს ფორმის სფეროში და დღეს ხელახლა იგონებს ველოსიპედის ბორბალს.

ქართველმა ფუტურისტებმა „ნაფტალინიან ისტორიას“, მუზას, პოეზიის ტრადიციულ თემატიკას კი შეუტიეს, მაგრამ ერთადერთი ღირებული რამ სწორედ წარსულზე დაყრდნობით, — მხატვრული ზეპირსიტყვიერების უძველესი მონაპოვარის გათვალისწინებით შექმნეს. თუკი მაოი „გურილ ბურულ ულ ულუ“ (ნიკოლოზ ჩაჩავა), ყველაზე უწინარესად, „პირველყოფილი“ რუსული ფუტურიზმის „Дыр, бул, щыл“-ს მოგვაგონებს, ხოლო ბენო გორდეზიანის ლექსი „დადა“ დადაიზმის არცთუ წარმატებული მიბაძვაა, სიმონ ჩიქოვანის ლოზუნგი — „ხალხური თქმა არის საწყისი ჩვენი სიტყვების“ და მისივე ე.წ. „ორკესტრული ლექსალობით“შექმნილი

ლექსები დღესაც საინტერესოა და სიახლედაც კი აღიქმება.

სიმონ ჩიქოვანის ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლა „H_2SO_4“-ის გამოსვლას დაუკავშირდა. 1924 წლით არის დათარიღებული მისი პირველი ლექსებიც, თუმცა უფრო მნიშვნელოვანია ფუტურისტთა პირველ ჟურნალში გამოქვეყნებული სიმონ ჩიქოვანის თეორიული წერილი „პროექტი ახალი კრეისერის (ფოკუსი მობრუნებული შემოქმედების)“. ფაქტობრივად, მას მანიფესტის ფუნქცია უნდა ჰქონოდა, მაგრამ ავტორი ძირითადად ფუტურიზმ-დადაიზმ-კონსტრუქტივიზმის მიმოხილვასა და მარინეტის აპოლოგიას დასჯერდა: „კოლუმბი მაინც მარინეტი არის“... „H_2SO_4“-ში ჟანგო ღოღობერიძისა და ბენო გორდეზიანის დადაისტური ლექსების („ჟანგო დადა და ფაბრიკანტების კოალიცია“, „პირდაპირ შებრუნებულად“, „დადა“) გარდა, ნიკოლოზ ჩაჩავას სიტყვათქმნადობა იქცევს ყურადღებას: პოეტი – „როშარი“, ცირკი – „ხედეირა“, იმ დროისათვის იშვიათი სიტყვა – Небоскреб – „ცამდიარი“ (რომელიც არამცთუ არ ჩამოუვარდება, ჟღერადობით სჯაბნის კიდეცაც „ცათამბრჯენს“).

რამდენიმე ნიმუში სახალისოდ:

ლექსებს ვწერ წამწამებით
ცხოვრებას ვყნოსავ ჯიბიდან
მაინც მიკვირს რობაქიძე ფოსტალიონი
სად არის...

(„დადა“)

...მე მინდა ეიფელის კოშკზე
ფრიალებდეს წითელი დროშა
სულ ერთია ფილიპო სუპო
ვერ გადაახტება თავის თავს.

(შალვა ალხაზიშვილი –
„ამერიკანული დუელი“)

ამგვარი ლექსები ბევრია ქართველ ფუტურისტთა ჟურნალებში, მაგრამ ყურადღებას უფრო სხვაგვარი ლექსები იპყრობს; მაგალითად, ნიკოლოზ ჩაჩავას „ჰაეროდრომზე“:

ქარს ქონდა
ფრთა
ფრინდალი
ქარი გაფრინდა

ქარს გაყვა ცინდალი
ერთი ციდა.

ანდა, მისივე:

ალთა
ბალთა
ბარიბართუბართა.
ჯაჭვი ჯაჭვნადური
ქალდინადური
დარი ნატყუბარი
ხრა ნაგუბარი.
სულადი უწმინდური
ხარდინადური.

(„შელოცვა მთვარისეულებს“)

მაგრამ რომ არა სიმონ ჩიქოვანის „მეკამეჩეების ურმული“ ან „ცირა“ (1924-25 წწ.), ჯგუფის პოეტური პროდუქციიდან ბევრი არაფერი შეგვერჩებოდა. ამ მხრივ „მემარცხენეობაში“ (1927 წ.) გამოქვეყნებული ნიკოლოზ შენგელაიას „მზის ჩასვლა (ლატფარი)“ და კვლავ სიმონ ჩიქოვანის „მიძღვნა ნიკოლოზ ბარათაშვილს“ და „მერანთან“ წილნაყარი „ქარბორიაც“ გამოირჩევა.

საინტერესო ექსპერიმენტია „მეკამეჩეების ურმული“, – ქართულისა და მეგრულის ერთგვარი „ზაუმური“ სიმბიოზი:

ეი! დო ზორ შარა მოტობა დო მუხლი, –
ეი! დო ბორანი კომბალი და სახრე,
ეი! დო ზორ შარა მოტობა დო თხომური
ზომური ზომური...

„ცირას“ პოპულარობას თავის დროზე ვერიკო ანჯაფარიძის ოსტატურმა დეკლამაციამაც დიდად შეუწყო ხელი. უეჭველია, რომ სიმონ ჩიქოვანი ფუტურისტთა უპირველესი ფალავანი გახლდათ, თუმცა მისი პოეტური შემოქმედების ზენიტი ჯერ კიდევ შორს იყო. მასაც არაერთხელ მოუხდა უარის თქმა ძველ, ფუტურისტულ „ცოდვებზე“. ისიც უნდა ითქვას, რომ სიმონ ჩიქოვანის ზოგი ადრინდელი ლექსი ფუტურიზმის ლოზუნგებს აშკარად ეწინააღმდეგებოდა:

მე საქართველო გამხმარ მხრებზე ფრთასავით მაძევს
და გულის ფიცარს დაეწერა კითხვა მრავალი,

ბარათაშვილის და ჭავჭავაძის
მე ვარ შიდგმა და პირდაპირი შთამომაყალი...

1930 წელს, სიმონ ჩიქოვანის პოეტური კრებულის „მხოლოდ ლექსების“ (1924-29 წწ.) ზოგი ლექსი, ავტორს უკვე „საბოდიშო“ გაუხდა. ასეთი გახლდათ იმ დროის ტენდენცია: ცენზურა უკვე ძალზე გამკაცრებულიყო და საუკეთესო ქართველ პოეტებს თავისუფლების არეალი თანდათან ეზღუდებოდათ.

უსასტიკესი კრიტიკის სუსხი იწვნია თითქმის ყველა ლიტერატურულმა ჯგუფმა; ფაქტობრივად აღარ არსებობდა „ცისფერი ორდენი“, „აკადემიური მწერლობის კავშირი“, „ფუტურისტ-ლეფელთა“ ჯგუფი და დღემოკლე „არიფიონი“. პარტიული ელიტა „განკარგავდა“ მწერლობას.

სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა შევხედოთ სიმონ ჩიქოვანის „თავის მართლებასაც“: „თემატიურად, კრებულის ზოგიერთი ლექსი უკვე განვლილი ხანაა ჩემთვის, მათი პროპაგანდა ავტორს საჭიროთ არ მიაჩნია, მაგრამ წიგნის მთლიანობისა და განვითარების აღსანუსხავად, კრებული იტევს წმინდა ლირიული ხასიათის მასალებს და ექსპერიმენტალურ ცდების ნიმუშებსაც. ეს წიგნი ბრძოლაა სიტყვისა და თემის დამორჩილების ასპარეზზე, ამიტომ ის ნოვატორული მოვლენაა ქართულ პოეტურ მეტყველებაში. თანადროობის თვალსაზრისით წიგნს რევოლუციონური თემატიკა მიუძღვის წინ; ხოლო ლექსალობით ის ოთხივე განყოფილებაში რეკონსტრუქციული ცდაა ქართული მწერლობის ტრადიციებთან შეფარდებით“...

„აკადემიური მწერლობა“

„ფუტურისტ-ლეფელების“ სარბიელზე გამოსვლას ქრონოლოგიური თვალსაზრისით წინ უსწრებდა „აკადემიური მწერლობის ასოციაციაც“ (მისი პირველი ჟურნალი „ხომალდი“ 1921 წელს გამოვიდა) და „პროლეტარული მწერლობის კავშირიც“ (შეიქმნა 1921 წლის ბოლოს).

„ფუტურისტ-ლეფელებს“ მაინც მეორე ადგილი მივაკუთვნე 10-20-იანი წლების ლიტერატურულ დაჯგუფებათა შორის, რადგან „აკადემიური მწერლობის ასოციაცია“ — საუკეთესო ქართველ მწერლებს რომ აერთიანებდა და მეტად ღირსსაცნობ ჟურნალებსაც გამოსცემდა — ერთი რომელიმე ლიტერატურული მიმდინარეობის მიმდევარი არ გახლდათ. ამიტომ მას ლიტერატურული სკოლის ან თუნდაც ლიტერატურულ თანამოაზრეთა ჯგუფის სახელს ვერ მივაკუთვნებთ. „ასოციაციაში“ გაერთიანებულნი იყვნენ სხვადასხვა თაობის, გემოვნებისა თუ მიმართულების

მწერლები, რომელთა მხატვრული მიზანდასახულობა და ამოცანები ზოგჯერ ურთიერთსაპირისპიროც კი იყო.

საბჭოური ლიტერატურათმცოდნეობა „აკადემიური მწერლობის ასოციაციას“ (ცნობილი იყო აგრეთვე „აკადემიური მწერლობის კავშირის“ და „ძველი მწერლობის კავშირის“ სახელწოდებითაც) უკიდურესად მემარჯვენე, კონსერვატორულ, ანტირეალისტურ, ნაციონალისტურ დაჯგუფებად მიიჩნევდა. დღევანდელი საზრისით, არცერთ ზემოხსენებულ ეპითეტს არა აქვს უარყოფითი შეფერილობა. მაშინ კი ამგვარი ბრალდებები ძალზე საშიში გახლდათ; მით უმეტეს, რომ „აკადემიური მწერლობის ასოციაცია“ ოქტომბრის რევოლუციის მიერ დამხობილი კლასების განწყობილებათა გამომხატველად იყო აღიარებული.

ასოციაცია მრავალრიცხოვანი იყო; მასში შედიოდნენ: ალექსანდრე აბაშელი, კონსტანტინე გამსახურდია, პავლე ინგოროყვა, კოტე მაყაშვილი, დავით კლდიაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, ლეო ქიაჩელი, ვარლამ რუხაძე, ხარიტონ ვარდოშვილი, გერონტი ქიქოძე, შალვა დადიანი, სანდრო შანშიაშვილი, ტერენტი გრანელი, მარიჯანი, ალექსანდრე ქუთათელი, ვახტანგ კოტეტიშვილი, ივანე გომართელი, ილო მოსაშვილი, არისტო ჭუმბაძე, სოლომონ თავაძე... „ასოციაციის“ ბეჭდურ ორგანოებში მონაწილეობდნენ გალაკტიონ ტაბიძე და „ცისფერყანწელებიც“.

„აკადემიური მწერლობის ასოციაცია“ 1921-25 წლებში გამოსცემდა ჟურნალებს – „ხომალდი“ (1921-23 წწ., რედაქტორი ალექსანდრე აბაშელი), „ილიონი“, „ლომისი“, „საქართველოს სამრეკლო“ (1922-23 წწ., რედაქტორი კონსტანტინე გამსახურდია), „კავკასიონი“ (1924 წ., რედაქტორი პავლე ინგოროყვა), „ახალი კავკასიონი“ („კავკასიონის“ შეცვლილი სახელწოდება, 1925 წ., რედაქტორი პავლე ინგოროყვა), გაზეთი „ქართული სიტყვა“ (1923 წ., რედაქტორი ვახტანგ კოტეტიშვილი).

გადაჭარბებულია უკიდურესი კონსერვატიზმის ბრალდება „აკადემისტების“ მიმართ; ძირითადი ბირთვი ქართული მწერლობის მოდერნიზაციისა და ევროპეიზაციისათვის იღვწოდა. მათი კონსერვატიზმი უფრო სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში აისახა, ვიდრე მხატვრულ-ესთეტიკურში. ჯგუფის პერიოდულ პრესას რომ გადავხედოთ, გაეცნობით, ისეა დაშორებული მათი ინტერესები „სოციალისტური აღმშენებლობის“ პრობლემებისაგან; მათთვის თითქოს არც არსებობს ოქტომბრის რევოლუცია! ამ მხრივ ჯგუფი განსხვავდება „ცისფერი ორდენისაგან“, რომელიც მხოლოდ დეკლარაციულად კი არ მიესალმა, არამედ ლექსებიც კი უძღვნა „ახალ საქართველოს“, საბჭოთა ხელისუფლებასთან იმთავითვე ლოიალური დამოკიდებულება და თანამშრომლობის სურვილიც გაამჟღავნა.

„ფუტურისტ-ლეფელთა“ ჯგუფმაც, თუნდაც ლიტონი სიტყვით,

მაგრამ მაინც რევოლუციის მემკვიდრედ გამოაცხადა თავი, ხოლო ყველაზე „დიდ სიტყვად“ ოქტომბერი აღიარა.

„აკადემიური მწერლობის ასოციაცია“ კი გაემიჯნა პოლიტიკას, მისი უმთავრესი საზრუნავი მწერლობის, თარგმნის ხელოვნების, ლიტერატურათმცოდნეობის პრობლემები გახლდათ.

„აკადემისტებმა“ ფასეულობათა გადაფასების „ცისფერყანწელებისეული“ და ფუტურისტული რადიკალიზმი არ გაიზიარეს. ისინი წარსულის კულტურული მემკვიდრეობის, მსოფლიო და ქართული კლასიკური მწერლობის დიდი მოამაგენი და პოპულარიზატორები იყვნენ. უსაფუძვლოა მათთვის ანტირეალისტთა იარლიყის მიწებებაც; თუმცა მათი რადიკალური ფრთა, რომლის უსაჩინოესი წარმომადგენელი იყო კონსტანტინე გამსახურდია, დიდ ინტერესს ავლენდა ანტირეალისტური მიმართულებებისადმი; იყო ექსპრესიონიზმის, მისტიციზმის ქომაგი, ნიცშეანიზმის მქადაგებელი და ა.შ.

„აკადემიური მწერლობის ასოციაცია“ დღეს მწერალთა მექანიკურ გაერთიანებად გვესახება. ისინი თვით იყვნენ ქართულ მწერლობაში „სექტანტობისა“ და რომელიმე ცალკეული მიმართულებით გატაცების წინააღმდეგნი. მათ უმრავლესობას კარგად ჰქონდა გააზრებული და გაცნობიერებული იმდროინდელი ქართული მწერლობის ნაკლოვანებები, კერძოდ ის, რომ აზიური გავლენისაგან გათავისუფლებული ქვეყანა კარგად არ იცნობდა დასავლეთის ძველ თუ თანამედროვე ლიტერატურასა და ხელოვნებას. ისინიც, „ცისფერყანწელთა“ მსგავსად, დასავლური მწერლობის პოპულარიზაციას ეწეოდნენ, თუმცა, მათგან განსხვავებით, „სკოლურ“ მიკერძოებას არ ამჟღავნებდნენ.

„ასოციაციის“ ბოლო და ამ დროისათვის საუკეთესო ჟურნალმა, პავლე ინგოროყვას „კავკასიონმა“, ქართული მწერლობის უსაჩინოეს წარმომადგენლებს მოუყარა თავი. იგივე ტენდენცია შეინიშნებოდა ვახტანგ კოტეტიშვილის „ქართულ სიტყვაშიც“.

ის, რომ „აკადემიური მწერლობის კავშირს“ ლიტერატურული სკოლის, ჯგუფის, ან მეტადრე, მიმდინარეობის შექმნის მიზანი არ ჰქონია, — მის პირველსავე ჟურნალში გაცხადდა: „მიმართულებას არსად შეუქმნია მწერალი, პირიქით კი. ჩვენც მოვითხოვთ მწერლისაგან არა მიმართულებას, არამედ, შემოქმედებას უპირველესად ყოვლისა.

თუ რეალიზმს ცხოვრების ხუნდზე ჰყავდა დაკრული მწერლის სული, სიმბოლიზმს იგი ჰაშიშით გაბრუებული უნიადაგო საგალიმატიო სფეროში შეჰყავდა.

ჩვენი მწერალი არც ხუნდზე უნდა გაეკრას, ხოლო არც საგალიმატიოდ უნდა მოიცალოს. მისი გზა ერთი უნდა იყოს — თავისუფალი შემოქმედება, რომელიც შინაგანი დამოუკიდებელი განცდის საშუალებით

შეიგრძნ-შეიცნობს სამყაროს თავისდანებისად გარდაქმნისათვის. ამ გზას მე არ უნდა ვუწოდო რომელიმე სკოლის სახელი. ის უფრო სინთეზია, რომელშიც ბოლოს და ბოლოს უნდა მოექცნენ ყველა ძიებანი და მიმართულებანი მწერლობისა"... (ალერტი, „ჩვენი მწერლობის შორი-ახლო", ჟურნალი „ხომალდი", 1921 წლის დეკემბერი, №1).

ჟურნალი იმთავითვე გამოირჩა ეროვნული სულისკვეთებითაც: ამავე ნომერში დაისტამბა ალექსანდრე აბაშელის ლექსი „შორეული ნაპირი", — ამგვარი „კრიმინალური" სტროფითურთ:

და ერის ტანჯვის გამომხატველი
იზრდება გულში ორი მწვერვალი —
ერთი ნაღველის ორი სახელი:
კრწანისის ველი და თებერვალი.

ერთი წლის შემდეგ („ხომალდი", 1922 წ., №4-5) ივანე გომართელის სტატიაში „საქართველო და პოეზია" ვკითხულობთ: „უკანასკნელ დრომდე ჩვენთან პატრიოტიზმი სამარცხვინოდ იყო გამოცხადებული. პატრიოტიზმი აღზრდის საქმეა და ჩვენ ხალხს აღზრდა ესაჭიროება. ჭეშმარიტ პოეზიას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს"...

გაიელის სულ ორიოდე წელი და ჯგუფს, ნაციონალიზმის ბრალდებით, — საუკეთესო ჟურნალს „კავკასიონს" დაუხურავენ.

გრიგოლ რობაქიძისა და „ცისფერყანწელების" კვალობაზე, კონსტანტინე გამსახურდია მოგვეველინა ნიცშეს აპოლოგეტად, მიუძღვნა მას სონეტი „ფრიდრიჰ ნიცშეს" („ილიონი", 1922 წ., №1):

იყო გოლგოთა, ვაიმარი და სილს მარია.
ახალი დროის მატიანე შენ მოგვინდება.
შენ გვაგრძნობინე სინამდვილე რომ სიზმარია,
რომ ახლოვდება ძველ ღმერთების შემობინდება.
...წახვედი სოფლით ვარამისგან გულგამეხილი.
წმინდა ფრიდრიჰი და ჯვარცმული ხარ დიონისე,
ჭაბუკი მუხა გრიგალისგან გადატეხილი...

ნიცშეს ეძღვნება კონსტანტინე გამსახურდიასა და ირაკლი ტატიშვილის წერილებიც („ილიონი", 1922 წ., №3).

„აკადემისტების“ როგორც რადიკალური, ასევე კონსერვატორული ფრთა აუცილებლობად მიიჩნევდა ქართული კულტურის ევროპეიზაციას და მოდერნიზაციას: „ქართველობის წინაშე დღეს რადიკალური პრობლემა დგას: მოდერნიზაცია.

მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურა სრულიად ჩამორჩენილი იყო თავის დროს, იმ პრიმიტიულმა იდეებმა, რომელიც ი. ჭავჭავაძემ, ნ. ნიკოლაძემ და მათმა ლიტერატურულმა მარქაფებმა ჩამოიტანეს რუსეთიდან, ქართული სულისა და კულტურის რენესანსი ვერ გამოიწვიეს“ – კონსტანტინე გამსახურდიას ეს მოსაზრება (იხ. „ილიონი“, 1922 წ., №4), ტყუპისცალივით რომ ჩამოჰგავს „ცისფერი ყანწების“ 10-იანი წლების დეკლარაციებს, ავტორს ათქმევინებს: „ჩემზე ადრე გრ. რობაქიძემ აიღო ეს გეზი. მე თავიდანვე დასავლეთის კულტურის აპოლოგეტი ვიყავი, პოეზიაშიც პირველად (1918) მივუთითე ურბანისტულ გზებზე“...

ეს განცხადება, რა თქმა უნდა, გადაჭარბებულია. 1918 წლამდე, გალაკტიონიც და „ცისფერყანწელებიც“, არსებითად და დეკლარაციულადაც, – სწორედ რომ მოდერნიზმის, დასავლეთის კულტურის აპოლოგეტებად და ურბანისტებადაც მოგვევლინენ.

უნდა ითქვას, რომ თუ სათვალავში არ ჩავაგდებთ დროდადრო აღმოცენებულ მწვავე პოლემიკას, „აკადემისტები“ და „ცისფერყანწელები“ შემდეგში ერთობ მჭიდროდ თანამშრომლობდნენ: განსაკუთრებით გამოიკვეთა ეს ვითარება „კავკასიონში“.

პაულე ინგოროყვამ ასე განსაზღვრა „კავკასიონის“ გეზი: „ქართველი საზოგადოება და პირველ რიგში თვით მწერლები გრძნობენ იმ შეუვსებელ ნაკლს, რომ ქართულ ენაზე არ არსებობს ისეთი პერიოდული ორგანო, რომელიც იყვეს მთლიანი გამომხატველი ქართული შემოქმედების და აზროვნების.

... ჟურნალი დგას ყოველგვარ ვიწრო ლიტერატურულ-ჯგუფური ინტერესების გარეშე. მწერალთა კავშირი, რომლის ორგანოა „კავკასიონი“, აერთიანებს ყველა ქართველ მწერლებს; ყველა თანამედროვე ლიტერატურულ დაჯგუფებებსა და სკოლებს, რამდენადაც ისინი მართლაც წარმოადგენენ ლიტერატურულ მოვლენას, დაეთმობათ ადგილი ჟურნალში. ერთადერთი საზომი, რომლითაც იხელმძღვანელებს ამ შემთხვევაში „კავკასიონი“, ეს არის იდეები იმ მარადი ხელოვნებისა, რომელიც მაღლა დგას წარმავალ ლიტერატურულ მოდაზე, ყოველგვარ „მემარჯვენეობა-მემარცხენეობაზე“.

...ქართული მწერლობის გვერდით, ჟურნალი საპატიო ადგილს დაუთმობს უცხოეთის ლიტერატურის პრობლემების განხილვას. ქართულმა მწერლობამ უკვე დააღწია თავი ვიწრო პროვინციალობას და „კავკასიონი" შეეცდება შეუწყოს ხელი ქართული მწერლობის ევროპეიზაციას".

ჟურნალში მართლაც ჩინებულად იყო წარმოდგენილი ქართველ მწერალთა თანავარსკვლავედი: კოტე მაყაშვილი და სანდრო შანშიაშვილი, შალვა დადიანი და ლეო ქიაჩელი, დავით კლდიაშვილი, გრიგოლ რობაქიძე და ნიკო ლორთქიფანიძე, ირაკლი ტატიშვილი და გრიგოლ წერეთელი, პაოლო იაშვილი და ვალერიან გაფრინდაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი და კონსტანტინე გამსახურდია, ხარიტონ ვარდოშვილი, ალექსანდრე ქუთათელი...

„ახალი კავკასიონის" სარედაქციო წერილი, დღევანდელი დღის სამზერიდან, უკვე სასოწარკვეთილი მცდელობაა ჟურნალის როგორმე გადარჩენისა, თუმცა პავლე ინგოროყვა აქაც ზოგჯერ საკმაოდ დაურიდებელია: „ქართველი შემოქმედი ინტელიგენციის წრეები ერთგვარ გაორებას განიცდიდნენ ახალშექმნილ პირობებში; თუ ერთის მხრივ ის სოციალური იდეები, რომლის მატარებლად გამოდიოდა ახალი ხელისუფლება, არ იყო უცხო ქართული მწერლობისათვის, მეორეს მხრივ, უნებლიედ იბადებოდა შიში, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლების მიერ აღიარებული ეროვნულ-კულტურული დამოუკიდებლობის პრინციპები ვერ მიიღებდნენ სრულ განხორციელებას: რომ ეროვნული პოლიტიკის ხაზი თანდათან გაიხრებოდა საქართველოს საზიანოდ, რომ რუსული ენა სტიქიურად დასჩაგრავდა ქართულს.

...ჩვენ კიდევ ერთხელ მოვუწოდებდით ქართველ მწერალთა ფართე წრეებს გულწრფელი და აქტიური თანამშრომლობის ნიადაგზე საბჭოთა ხელისუფლებასთან ემსახურონ ქართული მწერლობისა და კულტურის აღორძინების საქმეს.

...ჟურნალში მოთავსდება თეორეტიკული ხასიათის წერილები მარქსიზმიდან, სადაც პირველ რიგში ყურადღება მიექცევა მარქსიზმის დამოკიდებულებას ხელოვნებასთან"...

მაგრამ ჟურნალს და თვით „ასოციაციასაც" დიდი დღე აღარ ეწერა. 1924 წლის აჯანყების შემდგომმა ტერორმა, სისხლიანმა თუ იდეოლოგიურმა რეპრესიებმა, — ფაქტობრივი განაჩენი გამოუტანა „აკადემიური მწერლობის ასოციაციასაც". პავლე ინგოროყვა 1925 წელს იძულებული გახდა „კავკასიონი" სასწრაფოდ „ახალ კავკასიონად" მოენათლა, თუმცა ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი: 1925 წლის ორი გაერთიანებული ნომერი (№1-2) უკანასკნელი აღმოჩნდა.

„პროლეტარული მწერლობა“

„პროლეტარული მწერლობის კავშირი“ (ცნობილია სხვა სახელწოდებითაც: „პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია“, „პროლეტარული მწერლობა“) 1922 წელს თბილისში დაარსდა. მისი პირველი სალიტერატურო ჟურნალი „ქურა“ 1922 წლის მარტიდან გამოდიოდა. ჟურნალის სახელწოდება მოსკოვის პროლეტარული მწერლობის ასოციაციისა და მისი ჟურნალის — „კუზნიცა“ — თავისებური გადმოქართულება გახლდათ. „პროლეტარული მწერლობის კავშირი“ საბჭოთა ხელისუფლებისა და წინამორბედი რუსული ჯგუფის ერთგვარი რუპორი იყო; ქართველ წინამორბედებად „მუშა პოეტებს“ — იოსებ დავითაშვილს, იროდიონ ევდოშვილს, შაქრო ნავთლუღელს, გიგო ხეჩუაშვილს, გიორგი შინატეხელს და სხვათ ასახელებდნენ.

მათ იმთავითვე დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს „ცისფერ ორდენს“, მოგვიანებით, — „ფუტურისტ-ლეფელებსა“ და „აკადემიური მწერლობის ასოციაციას“, ვითარცა ანტირეალისტურ, საბჭოთა იდეოლოგიისათვის სრულიად შეუფერებელ მიმდინარეობებს. „ქურას“ სარედაქციო კოლეგია (სილიბისტრო თორდია, რაჟდენ კალაძე, სანდრო ეული-ქურიძე) და თანამშრომლები (ნოე ზომლეთელი, იონა ვაკელი, პეტრე სამსონიძე, იაკინთე ლისაშვილი, კალე ფეოდოსიშვილი, პლატონ ქუთათელაძე და სხვანი) „პროლეტარული მწერლობის“ ე.წ. უფროსი თაობა იყო. მოწინავე წერილში მათ განაცხადეს: „საქართველოში ჩვენამდისაც არსებობდა სუსტი სულის თქმით პროლეტარული რევოლუციური ლიტერატურა იმდენათ, რამდენადაც არსებობდა პროლეტარიატის რევოლუციონერული მაჯისცემა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ბრძოლაში. მაგრამ პროლეტარიატის დიქტატურის აღიარების შემდეგ და საბჭოთა წესწყობილების დამკვიდრების დღიდან, ჩვენში — პროლეტარული ლიტერატურა ჟალიბდება ორგანიზაციულადაც“ (კოლექტიური წერილი „ჩვენი სიტყვა“).

ლიტერატურის კლასობრიობის პრინციპისა და, შინაარსით პროლეტარული, ფორმით ეროვნული მწერლობის აღიარების შემდგომ, ისინი გადაჭრით მოითხოვდნენ: „მწერლობა ძველად იყო ინდივიდუალისტური, ეხლა კი კოლექტივისტური უნდა იყოსო!“ თანაც, შემოქმედებით კოლექტივისტურ პროცესში, პოეტთა გარდა, მუშებიც უნდა ჩაბმულიყვნენ...

საოცარია, მაგრამ ფაქტია: „ანტირეალისტურ“ ქართულ ლიტერატურულ დაჯგუფებებთან მოშუღლე პროლეტარული პოეზია ვერ გაექცა მათ მხატვრულ ზეგავლენას.

მიუხედავად ხელისუფლების მხარდაჭერისა და წახალისებისა, „პრო-

ლეტარული მწერლობის ასოციაცია“ დიდი შინაგანი დაპირისპირებითა და შინაური განხეთქილებებითაც ხასიათდებოდა (რომ აღარაფერი ვთქვათ მათი მხატვრული პროდუქციის უსუსურობაზე).

1923 წელს მის ნიადაგზე აღმოცენდა კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან ჩამოყალიბებული გაერთიანება „მომავალი“ (ალიო მირცხულავა, კარლო კალაძე, ალექსანდრე დუდუჩავა, შალვა რადიანი, პლატონ ქიქოძე და სხვ.).

პარალელურად, ქუთათურმა პროლეტარულმა მწერლებმა (ბენიტო ბუაჩიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, გიორგი მდივანი, დავით რონდელი და სხვ.) ალმანახ „დინამიტით“ მოინდომეს თვითდამკვიდრება.

მოგვიანებით „მომავალი“ და „დინამიტის“ ჯგუფი ორგანიზაციულად „პროლეტარული მწერლობის ასოციაციის“ წევრებად გაფორმდნენ.

1921-23 წლებში გამოდიოდა „პროლეტარული მწერლობის“ ჟურნალები: „ყუმბარა“, „ქურა“, „ორიონი“, „ქარხნის ჰანგები“, „პროლემფი“, „მერცხალი“, „ლიანდაგი“ „ეპოქა“, „პროლეტარული მწერლობა“... ამ ჩამონათვალიდანაც ჩანს, რომ ასოციაციას მთავრობისაგან არც საგანგებო ყურადღება აკლდა და, ცხადია, არც დაფინანსება.

30-იანი წლებიდან „ასოციაციას“ დაუახლოვდნენ ახალი თაობის ნიჭიერი მწერლები: ირაკლი აბაშიძე, გიორგი კაჭახიძე, გიორგი ნატროშვილი, დიმიტრი ბენაშვილი, პანტელეიმონ ჩხიკვაძე, ალექსი გომიაშვილი, გრიგოლ აბაშიძე და სხვანი. მათდა საბედნიეროდ, ისინი მალევე დაუსხლტნენ „ასოციაციის“ დირექტივებს, რადგან 1932 წელს, სხვა დაჯგუფებებთან ერთად, „პროლეტარული მწერლობის კავშირიც“ გაუქმდა.

დღეს ეს დაჯგუფება ყველაზე ოდიოზურად გვეჩვენება; თავის დროზე კი მათ მხატვრულ ღირსებებში ეჭვის შეტანა არ იყო „მიზანშეწონილი“. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ქართული პოეზიის მხატვრული სრულყოფილებისათვის ბრძოლა არცროდის ყოფილა მათი მიზანი: ისინი სოციალური თუ პოლიტიკური „დაკვეთის“ მონდომებული შემსრულებლები იყვნენ.

ასეთია მშრალი ფაქტები. მაგრამ დღევანდელ მკითხველს უთუოდ უნდა შევთავაზოთ ის „კოლორიტი“, რომლითაც იმთავითვე გამოირჩა ჯგუფი: „პროლეტარული დიქტატურის ხანაში ჭეშმარიტი პოეზია შეიძლება იყოს პროლეტარულ-კომუნისტური და ამ რევოლუციონურ კლასის დიქტატურის გატარების როლი შეასრულოს“ (ამონაწერი ჟურნალ „ქურის“ სარედაქციო კოლეგიის საპროგრამო წერილიდან — „ჩვენი სიტყვა“).

ან კიდევ: „ქურის“ დანიშნულება ასე იყო განსაზღვრული: ჟურნალის მიზანია „ჩააბას მწერლებთან ერთად შემოქმედებით პროცესში

ქართველი მუშებიც, რომ კოლექტიური ძალღონით შექმნას პროლეტარული პოეზიის ქართული სახე". ეს თეზისი თავისებურად იყო განმარტებული წერილში „პროლეტარული პოეზია. პირველი თქმა" (შდრ. პაოლო იაშვილის „პირველთქმას"): „ბურჟუაზიულ ეპოქაში მუშებს არ შესწევდათ არც დრო და არც გარემოება უწყობდა მათ ხელს, რომ პოეზიის სამსხვერპლოზე მოეტანათ თავისი ძალა და ენერგია. ქარხანაში მუდამდღე მომუშავე გამურულ მუშას არ შეეძლო გოლიათური ნაბიჯები გადაედგა თავისი მუშური პოეზიის განვითარების საქმეში". ასეთი „სამარგალიტო" მოსაზრებათა გადმოცემა თითქმის დაუსრულებლად შეიძლება.

ასოციაციის წევრები „მავნებლობად" აცხადებდნენ დევიზს — „ხელოვნება ხელოვნებისათვის"; „ცისფერყანწელებს" ახასიათებდნენ, როგორც „ძმაბიჭებს ქუთაისიდან", რომელნიც ევროპის დასაღუპად განწირული კაპიტალიზმის „ლოთიფაშურ" სულისკვეთებას გადმოსცემდნენ; „აკადემიური მწერლობის ასოციაციას" რეტროგრადობას უკიჟინებდნენ: „თუ დარი დაუდგათ, შეიძლება ერთი საუკუნით უკან გადაგვაქანონო"...

მხოლოდ მოგვიანებით, „პროლეტარული ასოციაციის" ზოგიერთმა წევრმა, ნებსით თუ უნებლიედ, უარყო ადრინდელი „ორთოდოქსულობა" და ქართულ პოეზიაში სათანადო ადგილიც დაიკავა.

მაშინ კი ამგვარ „საპროგრამო" ლექსებს ჰქონდა გასავალი:

...თავს შემოგავლებ მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მწერლობას,
დიდ ილიასაც, ერის სახელით რომ უყვარდა ღმერთთან ბაასი
და მე შენს გვერდით დავაყენებ მხოლოდ დანიელს,
ღიპიან ბატონს რომ ჩაარჭო ლახვარი ბასრი.
ჩემო ეგნატე! საქართველო გამოიცვალა.
დავით დროიძე ღრმა მიწაში მძიმედ იძინებს.
თემალმასკომის თავმჯდომარედ არის სიმონა
და მშრომელ ქალებს მეთაურობს ტურფა ქრისტინე...

ამ ლექსის — „ეგნატეს ძეგლთან" — ავტორმა, კალე ფეოდოსიშვილმა, პლატონ ქიქოძეს რომ დავესესხოთ, „პროლეტარული ეთიკის კულტის განმავითარებლის მშვენიერი მაგალითით", — მართლაც რომ „უკვდავება" დაიმკვიდრა. აი, ის „დაუვიწყარი" ტაეპებიც:

მე მამას მოვკლავ, დავახრჩობ დედას,
რევოლუციამ თუკი მიბრძანა...

შემდეგში ცნობილი პროზაიკოსი კონსტანტინე ლორთქიფანიძე კი მაშინ კომუნის ერთგულებას სამშობლოს ანაცვალებდა:

სანამდე ელავს გაბასრული ხმალი კომუნის,
მე ჩემს სამშობლოს ყველგან ვიშოვი...

ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამგვარი კურიოზების პარალელურად, ჯგუფის თეორეტიკოსები დროდადრო გაიბრძოლებდნენ ხოლმე პროლეტარული პოეზიის მხატვრული დონის ასამაღლებლად, თუმც უშედეგოდ (ამ მხრივ ღირსსაცნობია ბენიტო ბუაჩიძის წერილი „პროლეტარულ ლიტერატურის ხარისხობრივობისათვის").

საოცარი კი ის გახლავთ, რომ ზემოხსენებული ლექსები იბეჭდება 1927 წელს (ჟურნალში „პროლეტარული მწერლობა") ანუ გალაკტიონის დიდი კრებულის, „ზარნიშიანი წიგნის" პარალელურად! გავიხსენოთ, რომ ამავე წელს იქმნება ახალი გაერთიანება „არიფიონიც", რომელიც ისე განსხვავდება „პროლეტარული მწერლობისაგან", როგორც ცა და დედამიწა!

ასეთი პარადოქსებით მდიდარია იმდროინდელი ქართული მწერლობა; სწორედ ისინი წარმოგვიჩენენ უფსკრულს, რომელიც სუფევდა ჭეშმარიტ პოეზიასა და თავსმოხვეული „სოციალური დაკვეთის" შემსრულებელთა შორის; წარმოგვიჩენენ ტრაგედიას, რაც განიცადა ქართულმა პოეზიამ გასაბჭოებისა და, განსაკუთრებით, 1924 წლის რეპრესიათა შემდგომ.

„არიფიონი"

დაქსაქსულ ლიტერატურულ დაჯგუფებათა გაერთიანების მცდელობა 1926 წლიდანვე, საქართველოს მწერალთა I ყრილობაზე დაიწყო; ამას ტოტალიტარიზმისათვის დამახასიათებელი ცენტრალიზმიც მოითხოვდა. ყრილობაზე ძირითადი მოხსენება „მიმდინარე მომენტი და ქართული მწერლობის ამოცანები" ფილიპე მახარაძემ წაიკითხა. 1928 წელს, II ყრილობაზე უკვე ლიტერატურულ გაერთიანებებსაც შეუტიეს: ამ დროისათვის მეხუთე და ყველაზე დღემოკლე ჯგუფი „არიფიონიც" იყო შექმნილი. ეს უკანასკნელი დეკლარაციულად 1927 წელს გაფორმდა, მისი ერთადერთი ალმანახი — „არიფიონი" — 1928 წელს გამოიცა. დეკლარაციას, რომელიც 1927 წლის 16 მარტით იყო დათარიღებული,

ხელს აწერდნენ: ვასილ გორგაძე, შალვა დადიანი, კონსტანტინე კაპანელი, ლევან მეტრეველი, ილო მოსაშვილი, დავით სულიაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, პეტრე ქავთარაძე, ლეო ქიაჩელი, გერონტი ქიქოძე, სანდრო შანშიაშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, მიხეილ ჯავახიშვილი. ალმანახის რედაქტორები იყვნენ გერონტი ქიქოძე და ვასილ გორგაძე.

ჯგუფის სახელწოდება, ნაწარმოები სიტყვა „არიფანასგან“ („მოყვასთაგან საჭმელთ შემოკრება“ — სულხან-საბა ორბელიანი; „ფსონით პურის ჭამა“ — „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“), ანდა „არიფისაგან“ (ამხანაგი, ტოლი, თანამოაზრე, თანამეინახე; საბა განმარტავს როგორც „საყვარელს, ფავრიტს“...) — გააზრებული იყო საზოგადოებრივ-ლიტერატურული მრწამსის ერთიანობაზე დაფუძნებულ პირად მეგობრულ ურთიერთობად.

„არიფიონში“ დაიბეჭდა სანდრო შანშიაშვილის, ილო მოსაშვილის, კონსტანტინე ჭიჭინაძის, ვასილ გორგაძის ლექსები; ლეო ქიაჩელის, მიხეილ ჯავახიშვილის, შალვა დადიანის, დავით სულიაშვილის, ლევან მეტრეველის, ბასილ მელიქიშვილის პროზა; პლატონის დიალოგის „კრიტონის“ პეტრე ქავთარაძისეული თარგმანი, კონსტანტინე ჭიჭინაძის წერილი „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეულ რედაქციაზე“ და სხვ.

„არიფიონის“ წევრები ძირითადად ყოფილი „აკადემისტები“ გახლდნენ; შინაარსობრივადაც და იდეურადაც „არიფიონი“ თითქმის არ განსხვავდებოდა „აკადემიური მწერლობის ასოციაციის“ გამოცემათაგან.

გარდა დეკლარაციისა, ალმანახში დაიბეჭდა ერთგვარად „საპროგრამოდ“ ჩაფიქრებული თხზულება „არიფიონი ჰერეთში“.

„არიფიონელებმა“ ორგანულ მთლიანობად მიიჩნიეს წარსული, აწმყო და მომავალი; მიზნად დაისახეს ქართული მხატვრული აზროვნების კულტურის დახვეწა, ადამიანის, ადამიანურობის კულტის განმტკიცება, მეგობრობაზე და თანამოაზრეობაზე დაფუძნებული კოლექტიურობა, ეროვნული ხელოვნებისა და ლიტერატურის განახლება და ა.შ. როგორც ვხედავთ, მათი მოზანდასახულობა ზედმიწევნით ემთხვეოდა „აკადემისტების“ ამოცანებს.

„არიფიონმა“, წინამორბედ „აკადემისტებისაგან“ განსხვავებით, გაცილებით მეტი ხარკი გაუღო ოქტომბრის რევოლუციას („ამ რევოლუციის წყალობით ქართული კულტურა ძალაში შედის, ვითარდებიან ჩვენი ერის შემოქმედებითი ძალები, იღვიძებს ლიტერატურა, მეცნიერება, ფილოსოფია, კრიტიკა, მხატვრობა, ქანდაკება, მუსიკა და ეროვნული სკოლა“ და ა.შ.), მაგრამ მისი ბედი უკვე II ყრილობაზევე იყო გადაწყვეტილი.

„არიფიონელთა“ დეკლარაციას, რომელიც იმითაც გამოირჩევა, რომ გალაკტიონი აწერს ხელს — მართლაც ბევრი რამ ჰქონდა საერთო „აკადემიური მწერლობის ასოციაციასთან“: წარსულის მემკვიდრეობის

დაფასება, მხატვრულ ძიებათა გაცხოველება, ამასთან, – რეალიზმისადმი მოწოდებაც: „კულტურული წარსული, აწმყო და მომავალი „არიფიონს“ ორგანიულ ერთეულად მიაჩნია.

შემოქმედების პროცესი უაღრესად ინტიმურია და პიროვნული. მაგრამ მხატვრული სტილის შექმნას აადვილებს კოლექტივი, რომელიც აერთიანებს თავის წევრებს სულიერი ნათესაობის საფუძველზე ახალი შეგნების, შეგრძნობისა და გემოვნების დასამკვიდრებლად.

ახლის ძიებას ქართული ლიტერატურა მიმდინარე საუკუნეშივე შეუდგა. „არიფიონი“ იმ ქართველ მწერლებს აკავშირებს, რომელთაც უკვე შეიძინეს საკუთარი გარკვეული სახე მეტყველებისა და ესთეტიური ხილვის.

მხატვრის თვალი და ალღო თავისუფალია. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ხელოვნება მიწის წვენით საზრდოობს და სინამდვილის დაკვირვებიდან გამოდის“...

ჯგუფი იძულებული იყო „არიფიონის“ სალიტერატურო განცხადებაში“ პოლიტიკური განცხადებაც ჩაერთო: „რევოლუციამ უდიდესი სოციალ-პოლიტიკური და სულიერი გარდატეხა მოახდინა. საბჭოთა სისტემამ ღრმად გაიდგა ფესვები ხალხის შეგრძნებაში და უზრუნველყო ჩვენი მომავალი.

ამ რევოლუციის წყალობით ქართული კულტურა აღორძინების ხანაში შედის.

„არიფიონიც“ ამ ნიადაგზე მუშაობს და თავის ძალ-ღონის მიხედვით ხელს შეუწყობს ამ საერთო სულიერ შემოქმედებას, ლიტერატურის, ხელოვნების და აზროვნების განახლებას“...

უდავოა, რომ ამ დეკლარაციის თავიდათავი მიზანი ალმანახის გადარჩენა იყო („კავკასიონის“ მწარე გამოცდილების გათვალისწინებთ), უეჭველია „არიფიონის“ მაღალი მხატვრული დონეც.

საქართველოს ძველი და უახლესი ისტორიის, კულტურის, მწერლობის, ქართული მენტალიტეტის, ეროვნული ენერგიის, ტრადიციული მეგობრობისა და რაინდობის ინსტიტუტის გააზრების მცდელობაა გერონტი ქიქოძის დიალოგი „არიფიონი ჰერეთში“ – ანონიმი „ცნობისმოყვარე ახალგაზრდისა“ და „არიფიონელის“ გაბაასება.

არ არის შემთხვევითი, რომ სწორედ ამ დიალოგმა (მიხეილ ჯავახიშვილის ბრწყინვალე სატირულ მოთხრობა „დამპატიჟესთან“ ერთად) გამოიწვია „რაპელ“ კრიტიკოსთა უმაგალითო გაავება. მასში, დეკლარაციისაგან განსხვავებით, არ იყო რევოლუციის აპოლოგია; პირიქით, დაგმობილიც კი იყო „შაბლონური ოდები“: „ჩვენ ქართული მწერლობის ტრადიციების საფუძველზე ვდგევართ, როცა ვამბობთ, რომ შეუძლებელია ცოცხალი ადამიანის განკვეთა, მისი გადაქცევა მანქანის ბორბლად ან მისთვის რაღაც ეტიკეტის მიწებება. რასაკვირველია, ჩვენ არ გვინდა კარის მგოსნების

როლი ვითამაშოთ და მწერლობა ვიწრო პოლიტიკის იარაღად ვაქციოთ. ამ მხრივ ღიღაც განესხვაელებით იმ გულმოდგინე პოეტებიდან, რომელნიც ერთმანეთს ეჯიბრებიან შაბლონური ოდების წერაში.

ისინი თანადროულობას იჩემებენ და ჰგონიათ, რომ თანადროულობა იმაში მდგომარეობს, რომ გაუხედნელი კვიცივით მისდიო და უჭიხვინო რევოლუციის ეტლს. მაგრამ ჩვენ არც იმ მუდამ პირქუშ ცრუმამულიშვილებს ვგევართ, რომელნიც ამავე ეტლს წყევლითა და ლანძღვით მისდევენ, თითქო რომაელი სატრიუმფო მსვლელობის სიკოფანტები (მაბეზღრები, შანტაჟისტები — ლ.ა.)".

განსაკუთრებული სიმკვეთრით არის გაცხადებული გერონტი ქიქოძისა და, საერთოდ, „არიფიონელთა" მრწამსი დიალოგის ერთ ფრაგმენტში:

„ცნობისმოყვარე ახალგაზრდა:

თქვენი აზრით, ე.წ. პოლიტიკურ ორიენტაციას იმდენი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენიც ეროვნული ენერგიის შენარჩუნებას და კულტურული ჯაჭვის შეუწყვეტლობას?

არიფიონელი:

თავისთავად ცხადია"...

თავისთავად ცხადია ისიც, რომ „რაპპელები" მაშინვე „რეაქციონერებად" მონათლავდნენ „არიფიონელებს".

„არიფიონს", ისევე როგორც „აკადემიური მწერლობის ასოციაციას", ლიტერატურული სკოლის ნიმუშად ვერასგზით ვერ მივიჩნევთ.

II ყრილობამ მექანიკურად, შეიძლება ითქვას, ბუტაფორიულად გააერთიანა ხუთივე დაჯგუფება: ეს კი იმას მიგვანიშნებდა, რომ „სექტანტობა" მწერლობაში უკვე „ზემოდან" იყო დაგმობილი და დიდი დღე აღარ ეწერა. მართლაც, „არიფიონი" მალევე დაგმეს, რადგან „მცდარად და გაყალბებულად წარმოსახავს სოციალისტურ სინამდვილესო", „სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და საკოლმეურნეო მშენებლობის არსს" დამახინჯებულად განმარტავსო... განსაკუთრებით შეუტიეს მიხეილ ჯავახიშვილსა და გერონტი ქიქოძეს.

დღეს „არიფიონელთა" მიერ ჯგუფის შექმნის მცდელობა ერთგვარ ანაქრონიზმადაც კი გვესახება. ჩანს, ქართველი მწერლები, და ეს მარტო „არიფებს" არ ეხება, ჯერ კიდევ კარგად ვერ გარკვეულიყვნენ კომუნისტური ტოტალიტარიზმის შესაძლებლობებში.

შეიძლება ითქვას, რომ „არიფიონი" სარბიელზე გამოსვლისთანავე მოაშთეს.

1932 წლის „ისტორიულმა" დადგენილებამ კი საბოლოოდ დაასამარა „ხელოვნების თავისუფლების" ილუზია ტოტალიტარულ სახელმწიფოში.

სარჩევი

მარადი დაბრუნება ანუ ქართული კლასიკური პოეზიის გაკვეთილები 3
დიდი ეპოქის დასასრული — დიდი ეპოქის დასაწყისი 17
გრიგოლ რობაქიძე — არჩილ ჯორჯაძე — დიმიტრი უზნაძე 29
გრიგოლ რობაქიძის პოლემიკა ლევან მეტრეველთან 59
გრიგოლ რობაქიძე — ლექტორი 71
გრიგოლ რობაქიძე და „სანატრელი ასული ივერიისა“ 87
დედაენა — სული ეროვნული არსებისა 90
გალაკტიონი და ოლია ოკუჯავა 101
„...რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა“ 118
„ნუ წამართმევ მგოსნის სახელს“ 129
„ქართული მწერლობის სინდისი“ 147
კონსტანტინე გამსახურდია კენიგსბერგში 155
„ხალხის წინაშე მე ვიქნები მუდამ მართალი“ 166
ელენე დარიანის მითი 172
მხოლოდ რეპლიკა 194
პაოლო იაშვილის ფუტუროლოგიური მისტიფიკაცია 198
„...განა სუყველას თქმა უნდა“ 206
საოჯახო არქივიდან 218
ძველი ქუთაისელი ინტელიგენტის ცხოვრებიდან 223
XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის 239
XX საუკუნის 10-20-იანი წლების ქართული სალიტერატურო დაჯგუფებები 243